

ქართული

და

სახსოვრო

ნარკვევები • მასალები

I




Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Institute of Art History and Theory

Ani and Georgia

STUDIES • MATERIALS

volume I

EDITED BY
ZAZA SKHIRTADZE



TBILISI 2020

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ხელოვნების ისტორიის და თეორიის ინსტიტუტი

ანისი და საქართველო

ნარკვევები • მასალები

ტომი I

რედაქტორი
ზაზა სხირთლაძე



თბილისი 2020



შოთა რუსთაველის
საქართველოს ეროვნული
სამეცნიერო ფონდი



საქართველოს კულტურული
მემკვიდრეობის დაცვის
ეროვნული სააგენტო

თემატიკური რედაქცია
ნატალია ტურაბელიძე

დიზაინი და დაბეჭდვა
ვანო კიკნაძე

კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული
სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (გრანტი № HE 15-022)

თანადამფინანსებელი – საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის
ეროვნული სააგენტო

წინამდებარე პუბლიკაციაში გამოთქმული ნებისმიერი მოსაზრება ეკუთვნის
ავტორს და შესაძლოა, არ ასახავდეს ფონდის შეხედულებებს

საავტორო უფლებები დაცულია

ამ გამოცემის არც ერთი ნაწილი არანაირი ფორმით და საშუალებით, იქნება ეს
ელექტრონული თუ მექანიკური, მათ შორის ფოტოკოპირის გადაღებით და მაგნიტურ
მოწყობილობაზე ჩაწერით, არ შეიძლება გამოყენებულ ან გადაცემულ იქნას საავტორო
უფლებების მფლობელის წინასწარი წერილობითი ნებართვის გარეშე

ანისი – „ათას ერთი ეკლესიის ქალაქი“ – საუკუნეების განმავლობაში იდგა იმ გზა-ვარედინზე, სადაც ქვეყნებისა და იმპერიათა პოლიტიკური, ეკონომიკური და რელიგიური ინტერესები იკვეთებოდა. ქალაქისა და მისი შემოგარენის სტრატეგიული მდებარეობა იყო ის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი, რის გამოც იგი ერთი მხრივ სომხეთისა და საქართველოს სამეფოს, ხოლო მეორე მხრივ თურქ-სელჩუკთა სახელმწიფოს და ბიზანტიის იმპერიის მუდმივი ცილობის არეალს წარმოადგენდა. სხვადასხვა სახელმწიფო ანის-შირაკში მკვიდრობას, სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიკური ძალისხმევის თანადროულად, საკუთარი სარწმუნოებრივი და კულტურული მემკვიდრეობის დაფუძნება-გავრცელების გზით ცდილობდნენ. იცვლებოდნენ ქვეყნები და მმართველები, ვის მფლობელობაშიც ანისი გადადიოდა, იცვლებოდა აღმსარებლობითი ვითარება და, შესაბამისად, მუდმივად იცვლებოდა ქალაქის იერსახეც. შედეგად, ანისი – თავის ეპოქისთვის უჩვეულო მასშტაბების, უაღრესად აქტიური კულტურული თუ სულიერი ცხოვრებით გამორჩეული, ქალაქი – ჩამოყალიბდა სწორუპოვარ მრავალკულტურულ გარემოდ, რომლის შექმნაშიც, საკუთრივ სომხურთან ერთად, გარკვეულ ისტორიულ ეტაპებზე, მონაწილეობდა ბიზანტიური, ისლამური და ქართული კულტურული მემკვიდრეობაც. ყოველივე ეს მკაფიოდ აისახა ანისის ხანგრძლივ ისტორიულ გეგმზე, რომელიც თავისი მრავლისმომცველი და სწორუპოვარი ბუნებით გამოირჩეოდა.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ინსტიტუტი, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით, განვლილი სამი წლის მანძილზე (2016-2018) ახორციელებდა პროექტს, რომელიც მიზნად ისახავს ანის-შირაკის, როგორც გამორჩეული მრავალკულტურული გარემოს, შეძლებისდაგვარი მრავალმხრივობით წარმოჩენას, ამასთან მასში არსებული სხვადასხვა კულტურული მემკვიდრეობის შრეებთან ერთად, ქართული პოლიტიკური, აღმსარებლობითი და მხატვრული მემკვიდრეობის თანაარსებობასთან დაკავშირებული მხარეების შესწავლას. პროექტის განხორციელების შედეგად გამოვლენილი მასალები მრავალმხრივ სრულყოფს ანისის, როგორც სხვადასხვა კულტურული წრის შეხვედრისა და ურთიერთმიმართების გარემოს სურათს, ამასთანავე ახალი კუთხით წარმოაჩენს სამხრეთი კავკასიის ვრცელ რეგიონში მიმდინარე ეთნოკონფესიურ თუ კულტურულ პროცესებს, როგორც საქართველოს სახელმწიფოს, ისე ეკლესიის მიმართებებს მათთან, საზოგადოდ – ქართული კულტურული მემკვიდრეობის ადგილსა და როლს ამ პროცესებში.

პროექტზე მუშაობის შედეგად გამოვლენილ და შესწავლილ მასალებში, წერილობითი წყაროების გვერდით, ერთიანდება არქეოლოგიური მონაპოვარი, ნუმისმატიკა, ლაპიდარული და ფრესკული ეპიგრაფიკა, ხუროთმოძღვრება და კედლის მხატვრობა, აგრეთვე საარქივო მასალები – დოკუმენტები, საველე დღიურები, ფოტოები – რომლებიც ქალაქის ისტორიის სხვადასხვა ეტაპთან და მის კვლევასთანაა დაკავშირებული. ამ მასალის აღნუსხვა და შესწავლა ანისის, როგორც სხვადასხვა კულტურული მემკვიდრეობის თავშეყრის ადგილის, მრავალმხრივ საგულისხმო სურათს სახავს, ამასთან ახალი კუთხით წარმოაჩენს ამ სურათში ქართული მემკვიდრეობის თანამონაწილეობის ხასიათსა და მასშტაბებს.

პროექტის მომზადებისას და, შესაბამისად, მისი განხორციელების საწყის ეტაპზე, განზრახული იყო კვლევის შედეგების გამოქვეყნება ერთ ტომად, ქართულ და ინგლისურ ენებზე. განვლილი პერიოდის განმავლობაში გამოვლენილი მასალის მოცულობისა და მისი სათანადო შესწავლის კვალად, პუბლიკაციის მასშტაბები მნიშვნელოვნად გაიზარდა. საბოლოო სახით, პროექტის განხორციელების შედეგებმა თავი მოიყარა სამტომეულში, რომლის პირველი და მეორე ტომები ეთმობა გამოკვლევებს, ხოლო მესამეში თავმოყრილია კვლევის შედეგად გამოვლენილი და აღნუსხული მასალები.

პირველი ტომი ისტორიოგრაფიული ნარკვევით იწყება; შემდეგ ვრცელი გამოკვლევა ეძღვნება ანისის პოლიტიკური ისტორიის, ისტორიული და საეკლესიო გეოგრაფიის საკითხებს; საგანგებო ნაკვეთში განხილულია ანისის საქალაქო ცხოვრების ცალკეული მხარეები, რომელიც სხვადასხვა ეთნოკულტურული წრის – მათ შორის ქართულის – თანაარსებობით იქმნებოდა; მოკლედია განხილული ანის-შირაკის ქართული ნუმისმატიკური მასალა; დახასიათებულია ქალაქის საფორტიფიკაციო სისტემა, მისი ჩამოყალიბების ეტაპები, მათ შორის – საქართველოს სამეფოს მფლობელობის პერიოდის მასშტაბური აღმშენებლობა და ცალკეული კონსტრუქციულ-მხატვრული მახასიათებლები; განხილულია ანისის საეკლესიო-სააღმშენებლო სკოლის ის ძეგლები, რომელთა მხატვრული იერსახეც სხვადასხვა მხატვრული წრის – მათ შორის ქართულის – მახასიათებელთა თანაარსებობითა და ერთიანობით იქმნებოდა.

მეორე ტომი მთლიანად დაეთმო გამოკვლევას ანისის ყველაზე მნიშვნელოვანი ფერწერული ანსამბლის – ტიგრან ჰონენცის საფასით აგებული წმ. გრიგოლის ეკლესიის, მისი კარიბჭის და ეკვდერის ფრესკების შესახებ.

მესამე ტომში შეძლებისდაგვარად სრულად იქნა თავმოყრილი ანის-შირაკისა და საქართველოს ურთიერთობის სხვადასხვა მხარეთა ამსახველი ქართული, სომხური, ბიზანტიური, არაბული, სირიული, სპარსული, ოსმალური და რუსული ნარატიული წყაროები; ერთიანი კორპუსის სახით ქვეყნდება ანისისა და მისი შემოგარენის ის ეპიგრაფიკული ძეგლები, – სახელდობრ, ქართული და სომხური ლაპიდარული, აგრეთვე ქართული და ბერძნული ფრესკული წარწერები – რომლებიც ასახავს ანისსა და ისტორიულ შირაკში მიმდინარე, ქართულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებულ, პოლიტიკურ, აღმსარებლობით, კულტურულ პროცესებს; ამას მოსდევს კატალოგები, სახელდობრ, ქვეყნდება – ქართული სახელმწიფოს მფლობელობის ეპოქის ნუმისმატიკური მასალა, რომლის ძირითადი ნაწილი ყარსის მუზეუმშია დაცული; ყარსის მუზეუმში დაცული რელიეფი ქართული

წარწერით; საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაცული არქეოლოგიური მასალები ანისიდან. ტომის ბოლო ნაკვეთში გაერთიანდა ანისისა და საქართველოს ურთიერთობების ამსახველი საარქივო დოკუმენტები.

პროექტის განხორციელებაში მონაწილეობდნენ: ზაზა სხირტლაძე (პროექტის ხელმძღვანელი), გიორგი ჭეიშვილი, ენტონი ისტმონდი, ირინე გივიაშვილი, ირინე ელიზბარაშვილი, ნატალია ტურაბელიძე, ნანა სიხარულიძე, ვლადიმერ კეკელია, ირმა ხოსიტაშვილი, ნელი ჩაკვეტაძე, ჯიმშერ ჩხვიმიანი, ნინო ბაგრატიონი, ვიოლა ტულუში, ზეინაბ გურჯიძე. შემდგომში პროექტის განმახორციელებელ ჯგუფს შემოუერთდნენ თეო ჯალაღანია, მათა პატარიძე, ირაკლი ფაღავა და ირაკლი თებელაშვილი.

პროექტის მიმდინარეობის პერიოდში, 2016 წლის ივლისში და 2017 წლის აგვისტოში მოეწყო ორი სავსე ექსპედიცია ანისში და ყარსში; ექსპედიციის წევრთა ნაწილი ორჯერ მივლინებით იმყოფებოდა სომხეთში: პირველად 2016 წლის ოქტომბერში ერევანში და გიუმრიში, შემდეგ კი, 2017 წლის ივლისში – ისტორიული შირაკის იმ ნაწილში, რომელიც ამჟამად სომხეთის რესპუბლიკის ფარგლებშია მოქცეული. პროექტის განმახორციელებელი ჯგუფის წევრები სამეცნიერო მივლინებით იმყოფებოდნენ ინგლისში (ზაზა სხირტლაძე) და ბელგიაში (ნანა სიხარულიძე) – ლონდონის, ოქსფორდისა და ლუვენის უნივერსიტეტებში პროექტთან დაკავშირებული ლიტერატურისა და მასალების მოძიებისა და დამუშავების მიზნით.

პროექტის განხორციელების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენდა საერთაშორისო კონფერენცია „ანისი გზაჯვარედინზე“ (2017 წლის ნოემბერი), რომელიც მიმდინარეობდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და საქართველოს ეროვნულ მუზეუმში. კონფერენციაში მონაწილეობას იღებდნენ სწავლულები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის უნივერსიტეტებიდან და სამეცნიერო ცენტრებიდან. კონფერენციის მსვლელობისას გაიმართა ორი გამოფენა: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მუზეუმში მოწყობილ გამოფენაზე წარმოდგენილი იყო თურქი ფოტოხელოვანის ვედატ აკჩაიოზის მიერ ბოლო ათწლეულების განმავლობაში ანისში გადაღებული ფოტოები, საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორიუმის ფოიეში კი გამოიფინა დიმიტრი ერმაკოვის ანისის ნაქალაქარის სიძველეთა ამსახველი ფოტომასალა. კონფერენციის მასალები საგანგებო კრებულის სახით გამოიცა – პუბლიკაციის განხორციელება *საქველმოქმედო ფონდ ცისკარის*, სახელდობრ მისი გამგეობის თავმჯდომარის ლაშა პაპაშვილის კეთილი ნებისა და თანადგომის წყალობით გახდა შესაძლებელი.

პროექტის განხორციელების პროცესში კვლევის შედეგები პერიოდულად ქვეყნდება: მომზადდა და დაიბეჭდა მონოგრაფია ანისის ისტორიის შესახებ; გამოიცა დიმიტრი ბაქრაძის სამოგზაურო ჩანაწერების ის ნაწილი, რომელიც ანისს ეხება; ცალკე წიგნად გამოქვეყნდა ნიკოლაი სიხოვის სავსე დღიური, რომელშიც დეტალურადაა აღწერილი და განხილულია ეკლესიის მოხატულობა; მომზადდა და გამოიცა ანისში მართლმადიდებლური ეკლესიის აღდგენის მცდელობასთან დაკავშირებული დოკუმენტები. ამას გარდა სამეცნიერო ჟურნალებში პერიოდულად ქვეყნდებოდა ნარკვევები ანისის სიძველეების შესახებ.

პროექტი წლების განმავლობაში ხორციელდებოდა; დაგეგმილზე ბევრად მეტი დრო და ენერგია დასჭირდა მისი შედეგების ამსახველი პუბლიკაციის სათანადოდ მომზადებას. წლების მანძილზე ამ მასშტაბების სამუშაოების განხორციელება, ჯგუფის სათანადო შემართებასთან და თანამშრომლობისთვის მზაობასთან ერთად, შესაძლებელი გახდა თანამდგომთა უშურველი დახმარების წყალობით. პროექტის განხორციელების ყველა ეტაპზე ჯგუფს გვერდით ედგნენ ისინი, ვისი შემწეობითაც მოხერხდა კვლევის ცალკეული ეტაპების წარმატებით განხორციელება და ყოველივე ამის საფუძველზე სამტომეული პუბლიკაციის მომზადება.

რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი მთელი განვლილი პერიოდის განმავლობაში ყოველმხრივ უწყობდა ხელს პროექტის მიმდინარეობას, ამასთან გაგებით ეკიდებოდა იმ ცვლილებებს, რომლებიც პროექტის მასშტაბისა და, შესაბამისად, მისი განხორციელების ეტაპებთან იყო დაკავშირებული.

საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის ეროვნული სააგენტოს ადმინისტრაციამ, ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ პროექტის განხორციელების შედეგები შეძლებისდაგვარად მაღალ დონეზე ყოფილიყო გამოქვეყნებული. სააგენტოს გენერალური დირექტორი ნიკოლოზ ანთიძე და გენერალური დირექტორის მოადგილეები დავით ლომიტაშვილი და პაატა დოლიძე მუდამ მხარში ედგნენ პროექტის განმახორციელებელ ჯგუფს.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაცია და შესაბამისი სამსახურები პროექტის მიმდინარეობის ყველა ეტაპზე უშუალოდ იყვნენ ჩართულები კვლევითი და საველე სამუშაოების განხორციელების პროცესში. უნივერსიტეტის გამომცემლობამ უზრუნველყო გამოკვლევებისა და მასალების ნაწილის დროული გამოქვეყნება, აგრეთვე იზრუნა სამტომეული წიგნის დასაბეჭდად დაუბრკოლებლად მომზადებისთვის.

საქართველოს ეროვნულ მუზეუმთან თანამშრომლობით, პროექტის ფარგლებში, არაერთი მნიშვნელოვანი საქმე განხორციელდა – გამოსაცემად და საგამოფენოდ მომზადდა ანისის ნაქალაქარის სიძველეების ამსახველი მრავალრიცხოვანი ფოტოები დიმიტრი ერმაკოვის კოლექციიდან, დამუშავდა ანისის წმ. გრიგოლის ეკლესიის მოხატულობასთან დაკავშირებული მასალები, რომლებიც დიმიტრი გორდეევის არქივშია დაცული; სამტომეულში ცალკე ნაკვეთად შევიდა მუზეუმში დაცული არქეოლოგიური მასალა ანისიდან; გამოკვლევაში გაერთიანებულ ცალკეული ნარკვევების საილუსტრაციოდ პროექტზე მომუშავე ჯგუფს გადმოეცა მუზეუმში დაცულ ექსპონატთა ფოტოები. ყოველივე ამის განხორციელება შესაძლებელი გახდა ეროვნული მუზეუმის გენერალური დირექტორის, დავით ლორთქიფანიძის, გენერალური დირექტორის მოადგილის, მიხეილ წერეთელის, შუა საუკუნეების კულტურული მემკვიდრეობის ცენტრის ხელმძღვანელის, აწ განსვენებული ზურაბ თვალჭრელიძის, აგრეთვე თბილისის კოლექციების აღრიცხვა-დაცვისა და მართვის სექტორის კურატორის, შალვა ლეჟავას, იმავე სექტორის საინფორმაციო კოლექციების, ფოტოფიქსაციისა და კინო-ვიდეო ფონდების კურატორის თანაშემწის, მაია მაკარიძის, დროებით გამოფენების მომზადების ჯგუფის უფროსის, ლიკა მამაცაშვილის, თბილისის კოლექციების აღრიცხვა-დაცვისა და მართვის სექტორის უფროსი კურატორის, ნანა გოგელიას, იმავე სექტორის ასისტენტ-კურატორის, ნონა ხარატიშვილის, ხე-

ლოვნების ისტორიის სამეცნიერო-კვლევითი მიმართულების ხელმძღვანელის, გიორგი მარსაგიშვილის ხელშეწყობით.

ის მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობა, რომელიც ათწლეულების განმავლობაში არსებობს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს შორის, სხვადასხვა მხრივ აისახა პროექტის მიმდინარეობასა და შედეგებზე – განვლილი წლების მანძილზე ცენტრის ადმინისტრაცია და თანამშრომლები ყოველმხრივ უწყობდნენ ხელს პროექტზე მომუშავე ჯგუფს სხვადასხვა ფონდში დაცული მასალების შესწავლაში, უზრუნველყოფდნენ შესაბამისი ილუსტრაციების დროულად და ზედმიწევნით მაღალ დონეზე დამზადებას – ყოველივე ამაში უშუალოდ იყვნენ ჩართულები ცენტრის დირექტორი, ზაზა აბაშიძე, ფონდების დაცვის, აღრიცხვისა და ექსპონირების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მთავარი მცველი თამარ აბულაძე, აგრეთვე მთავარი მეცნიერ თანამშრომლები თამარ ჭუმბურიძე და აპოლონ თაბუაშვილი.

პროექტის მონაწილეებს შესაძლებლობა ჰქონდათ გაცნობოდნენ საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის მუზეუმში დაცულ მასალებს ანისის სიძველეების შესახებ. მუზეუმის დირექტორის, გიორგი კალანდიას კეთილი ნებით პროექტზე მომუშავე ჯგუფს გადმოეცა ნაქალაქარის ცალკეულ ძეგლთა ამსახველი ძველი საილუსტრაციო მასალა.

საქართველოს ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის დირექტორის, ირინე კოშორიძის ხელშეწყობით გამოკვლევას შეემატა მუზეუმის ფონდებში, სახელდობრ იულიუს სტრაუმეს კოლექციაში, არსებული მასალები – ფოტოები და ჩანახატები.

საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში, გენერალური დირექტორის, გიორგი კეკელიძის და საბიბლიოთეკო რესურსების დეპარტამენტის დირექტორის, ლევან თაქთაქიშვილის, აგრეთვე იშვიათ გამოცემათა განყოფილების გამგის, შორენა ოსიპოვას და უფროსი სპეციალისტის, თამარ დემეტრაშვილის თანადგომის წყალობით უმოკლეს დროში საგანგებოდ პროექტისთვის დამზადდა სკანირებული ასლები ძველ გამოცემებში არსებული იმ ილუსტრაციებისა, რომლებზეც ანისის სიძველეებია ასახული.

საქართველოს ეროვნული არქივის თანამშრომლებმა, გენერალური დირექტორის, თეონა იაშვილის ხელმძღვანელობით, ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რათა პროექტის მონაწილეებისთვის გაეადვილებინათ სათანადო საარქივო მასალების მოპოვება, შესწავლა და გამოსაცემად მომზადება. ამ საქმეში უშუალოდ იყო ჩართული ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების გამოყენებისა და სამეცნიერო-საცნობარო განყოფილების სპეციალისტი, ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნებათმცოდნეობის მიმართულების დოქტორანტი, ჯულია ბენიძე.

ანისის სიძველეების კვლევასთან დაკავშირებული, მრავალმხრივ მნიშვნელოვანი მასალები – ნიკოლაი სიჩოვის 1911 წლის საველე დღიურები, რომლებშიც დეტალურადაა აღწერილი და განხილული წმ. გრიგოლის ეკლესიის ფრესკები, ამ მოხატულობის შესახებ 1912 წელს მის მიერვე წაკითხული მოხსენების ტექსტიდან დარჩენილი ნაწილი, აგრეთვე

იმხანადვე გადაღებული, ნიკო მარის არქივში დაცული, ფოტოები – რომლებიც სანკტ-პეტერბურგის მატერიალური კულტურის ინსტიტუტში ინახება, დამუშავდა და გამოსაცემად მომზადდა ინსტიტუტის სწავლული მდივნის, ნიკოლაი სმირნოვის თანადგომითა და უშუალო მონაწილეობით, აგრეთვე იმავე ინსტიტუტის სამეცნიერო არქივის არქივარიუსის, ტატიანა ერშოვას ხელშეწყობით. მასალები, თავდაპირველად ცალკე წიგნად გამოიცა; ისინი ქვეყნდება წინამდებარე სამტომეულშიც.

პროექტზე მომუშავე ჯგუფის მიერ სავსე სამუშაოების წარმატებით განხორციელება დიდად განაპირობა თურქეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს, სახელდობრ იმჟამინდელი ელჩის, ირაკლი კოპლატაძის, მრჩეველის, დიანა მაღაზონიას, აგრეთვე ტრაპიზონში საქართველოს გენერალური საკონსულოსა და კონსულის, გიორგი ყუშიტაშვილის თანადგომამ და დახმარებისთვის გამუდმებულმა მზაობამ.

ასეთივე ყურადღებას იჩენდა სავსე ექსპედიციების მონაწილეების მიმართ საქართველოს საელჩო სომხეთში, იმჟამინდელი ელჩი გიორგი საგანელიძე და ელჩის მოადგილე ნინო აფციაური.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს იმ კეთილგანწყობისა და უშურველი თანადგომის თაობაზე, რომელიც ყარსის მუზეუმის ადმინისტრაციამ და თანამშრომლებმა, მუზეუმის იმჟამინდელი დირექტორის, აწ განსვენებული ნეჟმეთთან ალპის ხელმძღვანელობით გამოიჩინეს პროექტის მონაწილე ჯგუფის მიმართ. ექსპედიციის მონაწილეებს საშუალება ჰქონდათ გაცნობოდნენ მუზეუმის ფონდებს, აღნუსხათ მათთვის საინტერესო მასალა.

ყარსსა და ანისში მუშაობის შესაძლებლობები და, შესაბამისად, კვლევის შედეგები მნიშვნელოვნად განსხვავებული იქნებოდა, რომ არა ფოტოხელოვანისა და მკვლევრის, ვედატ აკჩაიოზის სრულიად გამორჩეული სტუმართმოყვარეობა და უშურველი თანადგომა – სწორედ მისი, აგრეთვე მისი მეგობრების – ყარსელი ფოტოხელოვანის იავუზ ილდირიმ ობტურქჯანის და სოფელი ანის (ძველი ოშაქლი) მკვიდრის, ქენან ქარას წყალობით მოხერხდა ანისსა და მის შემოგარენში, ისევე როგორც ყარსში ძალზე მნიშვნელოვანი, ზოგ შემთხვევაში სწორუპოვარი, ძეგლების მოძიება, აღნუსხვა და შესწავლა. ვედატ აკჩაიოზის თანადგომა პროექტის განხორციელების მანძილზე გრძელდებოდა და ამჟამადაც გრძელდება – ეს სამომავლოდ განსახორციელებელი არაერთი საინტერესო და მნიშვნელოვანი განზრახულობის წარმატების საწინდარია.

პროექტის იმ მონაწილეებს, რომლებიც სამეცნიერო მივლინებით იმყოფებოდნენ სომხეთში, თანადგომა აღმოუჩინეს სომხეთის ისტორიის მუზეუმის დირექტორმა გრიგორ გრიგორიანმა, იმავე მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელმა სონა ჰოვსეფიანმა, შირაკის რეგიონალური მუზეუმის დირექტორმა ჰამაზასპ ხაჩატრიანმა და იმავე მუზეუმის თანამშრომლებმა.

საისტორიო წყაროების თავმოყრასა და გამოსაცემად მომზადებაში ჩართულნი იყვნენ გრიგოლ ბერაძე, დარეჯან გარდავაძე, ნანი გელოვანი, მირიან მახარაძე, მერაბ რობაქიძე, ნინო სურმავა, ჰუბერტ ქაუფჰოლდი, ზაზა შაშიკიძე, თეა შურღაია, ჰარუთიუნ ხუდანია-ნი, გოჩა ჯაფარიძე.

წიგნის სათანადო პოლიგრაფიულ დონეზე საგანგებოდ იზრუნა გამომცემლობა „სეზანმა“. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო გივი შავერდაშვილის თანადგომა. საქმის წარმართვა დავით დუგლაძემ იტვირთა.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს იმ თანამდგომთა შესახებ, რომელთა დახმარებაც ნებისმიერი სირთულის დაძლევისა და სამუშაოს შეძლებისდაგვარად ზედმიწევნით შესრულების საწინდარი შეიქნა. საგანგებოდ აღსანიშნავია გიორგი ბაგრატიონის მუდმივი მზაობა საილუსტრაციო მასალის დამუშავებისა და პუბლიკაციისთვის შეძლებისდაგვარად ზედმიწევნით მომზადებისათვის; იანა ჩეხანოვეცის თანადგომის გარეშე ბევრად რთული იქნებოდა საარქივო მასალის ნაწილის მოპოვება და დამუშავება; ყარსსა და ანისში ჯგუფის მუშაობისას, მისი ერთგული თანამდგომისა და მეგზურის, ფაქტობრივად ჯგუფის უცვლელი წევრის, ყარსის კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორის, მაია მესხიძის ძალისხმევით წყალობით მოხერხდა ბევრი რამ ისეთი, რისი განხორციელებაც, ერთი შეხედვით შეუძლებელი ჩანდა. ელისაბედ უგულავამ იტვირთა ფოტომასალის საგრძნობი ნაწილის დამუშავება და ეს მისთვის დამახასიათებელი ზედმიწევნითობით შეასრულა. პროექტის ფარგლებში ჩატარებული კონფერენციის მოხსენებათა კრებულს ატყვია ნინო ვაჩიშვილის დამოკიდებულება საქმისადმი, წინამდებარე სამტომეულის იერსახეს კი – ვანო კიკნაძის გულმოდგინება და შრომის უნარი.

პროექტის განხორციელების სხვადასხვა ეტაპზე ჯგუფის მონაწილეებს დახმარებას უწევდნენ ლეონიდ ბელიაევი, ნინო ბერიშვილი, იოსებ ბერიშვილი, გიორგი გაგოშიძე, ხათუნა გაფრინდაშვილი, ეკატერინე გედევანიშვილი, ნატო გენგიური, დავით გოცირიძე, ქეთევან დიღმელაშვილი, ირმა დოლიძე, პატრიკ დონაბედიანი, ნათია დუნდუა, მარიკა ერქომაიშვილი, მაიკლ ვიკერსი, ჟან-პიერ მაე, თამარ მაგრაქველიძე, გიორგი მარსაგიშვილი, გუბამ მეგრელიძე, გოდერძი ნარიშვილი, იავუზ ოზკაია, ბელა რადენოვიჩი, სტივენ სიმი, ქეთევან ტრაპაიძე, ბრანისლავ ცვეტკოვიჩი, ირმა ყარაულაშვილი, დალი ჩიტუნაშვილი, ევგენი ჭანიშვილი, დავით ჭილოლაშვილი, დავით ხოშტარია, ბარუჰი ჰაკობიანი.

დიდი მადლობა ყველას გულისხმიერებისა და თანადგომისთვის.

სარჩევი

ილუსტრაციების სია

xv

თავი I

ანისი და ქართული კულტურული მემკვიდრეობა XIX საუკუნისა
და XX საუკუნისა დასაწყისის სამომავლო და სამეცნიერო

ლიტერატურაში

ნატალია ტურაბელიძე

5

თავი II

ანისი ქართულ სახელმწიფოში

გიორგი ჭეიშვილი

45

თავი III

საქალაქო ცხოვრება ანისში არქეოლოგიური მასალების მიხედვით

ჯიმშერ ჩხვიმიანი

153

თავი IV

ანისი და ქართული ნუმიზმატიკა

ირაკლი ფაღავა, მათა პატარიძე, ჯიმშერ ჩხვიმიანი

187

თავი V

ანისის საფორთიფიკაციო სისტემა – მფლობელობა და აღმშენებლობა

თეო ჯალაღანია

201

თავი VI

ანისის სამკლესიო ხუროთმოძღვრება

და ქართული მხატვრული ტრადიცია

ირინე გივიაშვილი

241

შემოკლებები

387

ბიბლიოგრაფია

389

საძიებლები

415

თავი I

ანისი და ქართული კულტურული მემკვიდრეობა XIX საუკუნისა და XX საუკუნის დასაწყისის სამომავლო და სამეცნიერო ლიტერატურაში

1. ანისის რუკა. წიგნიდან – Texier 1842a. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელი“
2. ანისის ხედი. წიგნიდან – Texier 1842a. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელი“
3. ანისი, წმ. გრიგოლის ეკლესია (გეგმა, ტრილი). წიგნიდან – Texier 1842a. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელი“
4. ანისი, წმ. გრიგოლის ეკლესიის კარიბჭე. წიგნიდან – Texier 1842a. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელი“
5. ჰერმან აბიხი. წიგნიდან – Abich 1896. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელი“
6. ანისის პანორამა. პუბლიკაციიდან – Аних 1882. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელი“
7. ანისის რუკა. წიგნიდან – Brosset 1861. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელი“
8. მარი ბროსე. აღ. როინაშვილის ფოტო. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელი“
9. ანისის პანორამა. წიგნიდან – Brosset 1861. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელი“
10. ანისი, ზაქარია კოშკი, საერთო ხედი. წიგნიდან – Brosset 1861. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელი“
11. ანისი, წარწერა ზაქარია კოშკზე. წიგნიდან – Brosset 1861. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელი“
12. ანისი, წმ. გრიგოლის ეკლესიის რელიეფები. წიგნიდან – Grimm 1864. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელი“
13. დიმიტრი ბაქრაძის საველე დღიური. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, დ. ბაქრაძის პირადი არქივი, საქმე №32, ფ. 79v
14. ფრაგმენტი დიმიტრი ბაქრაძის საველე დღიურიდან. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, დ. ბაქრაძის პირადი არქივი, საქმე №32, ფ. 80r
15. ფრაგმენტი დიმიტრი ბაქრაძის საველე დღიურიდან. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, დ. ბაქრაძის პირადი არქივი, საქმე №32, ფ. 80v
16. ანისი, წმ. გრიგოლის ეკლესია, კარიბჭე. წიგნიდან – Lynch 1901

17. ნიკო მარი ანისში ექსპედიციის წევრებთან და სტუმრებთან ერთად. პირველ რიგში, მარჯვნიდან პირველი – ივანე ჯავახიშვილი. ნ. მარის ფოტოარქივი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მატერიალური კულტურის ისტორიის ინსტიტუტის ფოტოარქივი, №0.1067-23
18. ნიკო მარი ანისში ექსპედიციის წევრებთან და სტუმრებთან ერთად. ნ. მარის ფოტოარქივი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მატერიალური კულტურის ისტორიის ინსტიტუტის ფოტოარქივი, №0.1067-24
19. ანისის გათხრები. ნ. მარის ფოტოარქივი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მატერიალური კულტურის ისტორიის ინსტიტუტის ფოტოარქივი, №III37
20. ნიკო მარის შვილები ანისურ კარასებში. ნ. მარის ფოტოარქივი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მატერიალური კულტურის ისტორიის ინსტიტუტის ფოტოარქივი, №Q738-58
21. ანისი, „ქართული ეკლესია“. დ. ერმაკოვის ფოტოკოლექცია. საქართველოს ეროვნული მუზეუმის შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის ფოტოთეკა, ნეგატივი №7719-15212
22. ანისის სიძველეთა მუზეუმი. ნ. მარის ფოტოარქივი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მატერიალური კულტურის ისტორიის ინსტიტუტის ფოტოარქივი, №III1147
23. ანისი, წმ. გრიგოლის ეკლესია. დ. ერმაკოვის ფოტოკოლექცია. საქართველოს ეროვნული მუზეუმის შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის ფოტოთეკა, ნეგატივი №10693-196
24. ნიკოლაი სიხოვის დღიური. წიგნაკი 1, ფ. 134r, დეტალი. რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მატერიალური კულტურის ისტორიის ინსტიტუტის არქივი (ფონდი 51, საქმე 11, 12)
25. ნიკოლაი სიხოვის დღიური. წიგნაკი 1, ფ. 139r, დეტალი. რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მატერიალური კულტურის ისტორიის ინსტიტუტის არქივი (ფონდი 51, საქმე 11, 12)
26. ნიკოლაი სიხოვის დღიური. წიგნაკი 2, ფ. 20r, დეტალი. რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მატერიალური კულტურის ისტორიის ინსტიტუტის არქივი (ფონდი 51, საქმე 11, 12)
27. ნიკოლაი სიხოვის დღიური. წიგნაკი 2, ფ. 84r, დეტალი. რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მატერიალური კულტურის ისტორიის ინსტიტუტის არქივი (ფონდი 51, საქმე 11, 12)
28. ნიკო მარი ანისში ექსპედიციის წევრებთან და სტუმრებთან ერთად. მეორე რიგში, მარჯვნიდან პირველი – გიორგი ჩუბინაშვილი. ი. მეგრელიძის ფოტოარქივი
29. კარასები ანისის გათხრებიდან. ნ. მარის ფოტოარქივი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მატერიალური კულტურის ისტორიის ინსტიტუტის ფოტოარქივი, №Q756-75
30. წმ. გიორგი და წმ. თევდორე, დიმიტრი გორდევის ჩანახატი. საქართველოს ეროვნული მუზეუმის შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის არქივი, დ. გორდევის პირადი არქივი, №276, ფ. 100
31. ცხოველმყოფელი სვეტის სასწაული, დიმიტრი გორდევის ჩანახატი. საქართველოს ეროვნული მუზეუმის შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის არქივი, დ. გორდევის პირადი არქივი, №276, ფ. 101
32. ანისის ნაქალაქარი. საერთო ხედი მდ. ახურიანის მარცხენა ნაპირიდან. ნ. მარის ფოტოარქივი. რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მატერიალური კულტურის ისტორიის ინსტიტუტის ფოტოარქივი, №Q738-108

თავი II

ანისი ქართულ სახელმწიფოში

1. ბეთანიის მონასტრის მთავარი ეკლესია. მეფეთ-მეფე გიორგი III-ის გამოსახულება
2. ანისის კათედრალი. ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან. დ. ერმაკოვის ფოტოკოლექცია, საქართველოს ეროვნული მუზეუმის შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის ფოტოთეკა, ნეგატივი №5951-12922
3. ანისი-შირაკის რუკა. წიგნიდან – ჭეიშვილი გ. 2017

4. ერერუიქის ეკლესია. ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან ალბა. მადრიდი, ეროვნული ბიბლიოთეკა, Virt. 26-2, ფ. 229v
5. ყარსის ხედი. წიგნიდან – Texier 1842a. საქართველოს პარლამენტის ბიბლიოთეკის ელექტრონული ფონდი „ივერიელი“
6. იოანე სკილიცა, ისტორიის მიმოხილვა, იოანეს-სუმბატი იმპერატორ ბასილი II-ის წინაშე. მადრიდი, ეროვნული ბიბლიოთეკა, Virt. 26-2, ფ. 228r
7. ანისი, მანუჩეს მეჩეთი. წიგნიდან – Brosset 1861. საქართველოს პარლამენტის ბიბლიოთეკის ელექტრონული ფონდი „ივერიელი“
8. ტიგნისის ციხე. საერთო ხედი სამხრეთიდან
9. მაღასბერდის ციხე. საერთო ხედი
10. ანისი, ქალწულთა ციხის ეკლესია. საერთო ხედი ჩრდილო-დასავლეთიდან
11. მრენის ტაძარი. ხედი ჩრდილო-დასავლეთიდან
12. ახალქალაქის ციხე. საერთო ხედი
13. ლორეს ციხე. წიგნიდან – Texier 1842a. საქართველოს პარლამენტის ბიბლიოთეკის ელექტრონული ფონდი „ივერიელი“
14. დმანისის ნაქალაქარი. საერთო ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან
15. ბედიის საკათედრო ტაძარი. მეფე ბაგრატ III-ის გამოსახულება
16. საქართველოს რუკა XI ს. წიგნიდან – მუსხელიშვილი 2016
17. ატენის სიონი. მეფე ბაგრატ IV-ის გამოსახულება. გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრის ძეგლთა ფიქსაციის ლაბორატორიის ფოტო
18. მარმაშენის მონასტერი. ხედი ჩრდილო-აღმოსავლეთიდან
19. მარმაშენის მონასტერი. მარიამ დედოფლის წარწერა
20. მეფე დავით IV აღმაშენებლის მონეტა. ბრიტანეთის მუზეუმის ნუმისმატიკური კოლექცია. საინვ. №1857 1226.7
21. იოანე სკილიცა, ისტორიის მიმოხილვა, ანისის ალბა. მადრიდი, ეროვნული ბიბლიოთეკა, Virt. 26-2, ფ. 229v
22. მეფე გიორგი III-ის „წესიერი“ მონეტა. საქართველოს ეროვნული მუზეუმის ნუმისმატიკური კოლექცია. საინვ. №2858
23. ტბეთის II ოთხთავი. ანდერძმინაწერი მეფეთ-მეფე გიორგი III-ის მიერ ანისის ალბის შესახებ. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, Q-929, ფ. 320r-v
24. ბეთანიის მონასტრის მთავარი ეკლესია. სუმბატ ორბელის გამოსახულება
25. ხოჯორნის ეკლესიის აღმოსავლეთი ფასადის სარკმლის რელიეფი მხარგრძელთა საგვარეულოს მამამთავარის და სანაჰინის ეპისკოპოსის გამოსახულებით
26. მაცხვარიშის ეკლესია. დემეტრე I-ის მეფედ კურთხევის სცენა
27. საქართველოს რუკა XIII ს. წიგნიდან – მუსხელიშვილი 2016
28. ბეთანიის მონასტრის მთავარი ეკლესია, მეფეთ-მეფე თამარის გამოსახულება. გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრის ძეგლთა ფიქსაციის ლაბორატორიის ფოტო
29. ჰარიჭავანძის მონასტერი. მხარგრძელთა საქტიტორო რელიეფი მთავარი ეკლესიის აღმოსავლეთ ფასადზე
30. ჰორომოსის მონასტერი. დ. ერმაკოვის ფოტოკოლექცია, საქართველოს ეროვნული მუზეუმის შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის ფოტოთეკა, ნეგატივი №10715-183
31. რუსუდანის მონეტა. ყარსის მუზეუმის ნუმისმატიკური კოლექცია. საინვ. №2521A
32. ჰორომოსის მონასტერი. წმ. იოანეს ეკლესიის კარიბჭე, ბაქარია მხარგრძელის წარწერა
33. ქობაირის მონასტერი. ხედი სამხრეთიდან
34. ქობაირის მონასტერი. ხოშაქის ეპიტაფია. გ. გაგოშიძის გრაფიკული მონახაზი
35. ასწლოვანი მათიანე. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, H-2135, ფ. 281r

36. გარეჯის მრავალმთის უდაბნოს მონასტერი, ხარების ეკლესია, მეფე დემეტრე II-ის გამოსახულება. გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრის ძეგლთა ფიქსაციის ლაბორატორიის ფოტო
37. ქართულ-ჰულაგუიდური მონეტები ჯვრის გამოსახულებით. კერძო კოლექცია
38. ანისი, წმ. გრიგოლის ეკლესია. მწიგნობართუხუცეს მათეს წარწერა
39. ქობაირის მონასტერი. მწიგნობართუხუცეს მათეს ეპიტაფია
40. ანისი, მანუჩის მეჩეთი. აბუ-საიდის წარწერა და მისი დამტკიცებები. საქართველოს ეროვნული მუზეუმის შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის ფოტოთეკა. ნეგატივი №12917-105
41. საფარას მონასტრის წმ. საბას ეკლესია. სამცხის ათაბაგთა – ჯაყელების გამოსახულებები. გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრის ძეგლთა ფიქსაციის ლაბორატორიის ფოტო
42. საქართველოს რუკა XVIII ს. წიგნიდან – მუსხელიშვილი 2016
43. მეფე ბაქარის მონეტა. საქართველოს ეროვნული მუზეუმის ნუმისმატიკური კოლექცია. საინვ. №2664
44. მეფე თეიმურაზ II. საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმი
45. მეფე ერეკლე II. საქართველოს ეროვნული მუზეუმის შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი, საინვ. №65 რ
46. მეფე გიორგი XII. საქართველოს ეროვნული მუზეუმის შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი, საინვ. №37 რ
47. საქართველოს მთავარსარდალი პავლე ციციანოვი. საქართველოს პარლამენტის ბიბლიოთეკის ელექტრონული ფონდი „ივერიელი“
48. ალექსანდროპოლი. საქართველოს ეროვნული მუზეუმის ფოტოარქივი. დ. ერმაკოვის ფოტოკოლექცია. საინვ. №10715-183
49. სტელა დავით კურაპალატის გამოსახულებით ოშკის ეკლესიიდან. ერზერუმის მუზეუმი
50. მეფე დავით IV აღმაშენებლის ანდერძი. საქართველოს ეროვნული მუზეუმის შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის ფოტოთეკა, ნეგატივი №15853_5976
51. ბეთანიის მონასტრის მთავარი ეკლესია, უფლისწულ გიორგი-ლაშას გამოსახულება. გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრის ძეგლთა ფიქსაციის ლაბორატორიის ფოტო
52. იენაშის სახარების ყდის მოჭედილობა, კათოლიკოს-პატრიარქი ეტიფანე ცხოველმყოფელი სვეტის წინაშე. საქართველოს ეროვნული მუზეუმი, სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი. საინვ. №507
53. კურთხევა მირონისა. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, Ad-560
54. ანისის ნაქალაქარი. ხედი ჩრდილო-დასავლეთიდან
55. სამცხე-საათაბაგოს მღვდელმთავართა ნუსხა. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, Ad-91
56. გარეჯის მრავალმთის უდაბნოს მონასტრის სატრაპეზო. სომეხ მომლოცველთა, მათ შორის – ანელი ხუცესის სავედრებელი წარწერა. მ. სხირტლაძის გრაფიკული მონახაზი
57. ანისი. მოციქულთა ეკლესიის გავითი, ხედი აღმოსავლეთიდან. დ. ერმაკოვის ფოტოკოლექცია, საქართველოს ეროვნული მუზეუმის შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის ფოტოთეკა, ნეგატივი №5938-4070-2
58. ჰორომოსის მონასტრის დასაკრძალავი. ხუთლუ ხათუნის წარწერა
59. ანისი, ნაქალაქარის საერთო ხედი ჩრდილოეთიდან. ცენტრში – „ქართული ეკლესია“

60. ხნძორეკსი, „ქართველის“ წარწერა.
გ. გაგოშიძის გრაფიკული მონახაზი
61. ანისის ნაქალაქარის ცენტრალური ნაწილის
ხედი აღმოსავლეთიდან

თავი III

საქალაქო ცხოვრება ანისში არქეოლოგიური მასალების მიხედვით

1. ანისის ნაქალაქარის რუკა. წიგნიდან –
Kévorkian 2001
2. ანისი, ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან
3. ანისი, სავაჭრო ქუჩა აშოტის გალავანთან
4. ანისი, „ლომის კარიბჭიდან“ მომავალი ქუჩა
სავაჭრო რიგებით
5. ანისი, გალავანი. ხედი ჩრდილო-
დასავლეთიდან. დ. ერმაკოვის
ფოტოკოლექცია. საქართველოს ეროვნული
მუზეუმის შალვა ამირანაშვილის სახელობის
ხელოვნების მუზეუმის ფოტოთეკა, ნეგატივი
№5931-4078
6. ანისი, გალავანი. ხედი დასავლეთიდან.
დ. ერმაკოვის ფოტოკოლექცია. საქართველოს
ეროვნული მუზეუმის შალვა ამირანაშვილის
სახელობის ხელოვნების მუზეუმის ფოტოთეკა,
ნეგატივი №4077-5952
7. ანისი, წმ. გრიგოლის ეკლესია. ხედი სამხრეთ-
დასავლეთიდან
8. ანისი, წმ. გრიგოლის ეკლესია და ე.წ.
არუხის კარიბჭის (კარიბჭე X) გვერდით
მდებარე წმ. მინას სამლოცველო. ხედი
აღმოსავლეთიდან
9. ნახიდური მდინარე ახურიანზე
10. ანისი, წმ. გრიგოლის ეკლესიიდან, ე.წ.
არუხის კარიბჭის გავლით, მდ. ახურიანის
ხიდისკენ მიმავალი, ბაზალტის კლდეში
ნაკვეთი, გზა
11. ანისი, წმ. გრიგოლის ეკლესიიდან
გაილაძორის ხევით ე.წ. „ლომის კარიბჭისკენ“
მომავალი გზა
12. ამიერკავკასიის სავაჭრო გზები IX-X
საუკუნეებში. წიგნიდან – ჭილაშვილი 1970
13. სოფელ ჯრაბთან (სომხეთი) არსებული
ქარვასლა
14. ანისი, საკათედრო ტაძარი. ხედი
სამხრეთ-დასავლეთიდან. დ. ერმაკოვის
ფოტოკოლექცია. საქართველოს ეროვნული
მუზეუმის შალვა ამირანაშვილის სახელობის
ხელოვნების მუზეუმის ფოტოთეკა, ნეგატივი
№10686-175
15. ანისი, მანუჩეს მეჩეთი. ხედი სამხრეთ-
დასავლეთიდან
16. ანისი, ქალწულთა მონასტერი. ხედი
აღმოსავლეთიდან. დ. ერმაკოვის
ფოტოკოლექცია, საქართველოს ეროვნული
მუზეუმის შალვა ამირანაშვილის სახელობის
ხელოვნების მუზეუმის ფოტოთეკა, ნეგატივი
№3374-18912
17. ანისი, ქალაქის XV კარიბჭესთან, მდ. ანისის
ხეობაში კლდეში ნაკვეთი ძეგლები. ხედი
სამხრეთიდან. დ. ერმაკოვის ფოტოკოლექცია,
საქართველოს ეროვნული მუზეუმის შალვა
ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების
მუზეუმის ფოტოთეკა, ნეგატივი №5937-4086
18. ანისი, გაილაძორის ხევის კლდის ძეგლები
19. ანისი, პარონის სასახლე, ხედი სამხრეთიდან.
დ. ერმაკოვის ფოტოკოლექცია, საქართველოს
ეროვნული მუზეუმის შალვა ამირანაშვილის
სახელობის ხელოვნების მუზეუმის ფოტოთეკა,
ნეგატივი №10702-201
20. ანისი, გალავანი, ხედი სამხრეთ-
დასავლეთიდან. დ. ერმაკოვის
ფოტოკოლექცია, საქართველოს ეროვნული
მუზეუმის შალვა ამირანაშვილის სახელობის
ხელოვნების მუზეუმის ფოტოთეკა, ნეგატივი
№10692-197
21. ანისი, ქართული ეკლესიის ჩრდილოეთით
არსებული ზეთსახდელის კედლების ნაშთები
22. დერგები ანისიდან. ყარსის მუზეუმის გამოფენა
23. ანისისი სიძველეთა მუზეუმში (მანუჩეს მეჩეთი)
გამოფენილი საექსპოზიციო ნივთები. ნ. მარის
ფოტოკოლექცია. რუსეთის მეცნიერებათა
აკადემიის მატერიალური კულტურის
ისტორიის ინსტიტუტის ფოტოარქივი, №III1149

24. მილისებრი, რგოლისებრად შეკრული ორყურიანი მათარა. საინგ. №HMA 123-232. წიგნიდან – Armenian Ceramics 2014
25. მოტიქული ჯამი, ე.წ. თეთრი ჭვირული კერამიკა ანისიდან. სომხეთის ისტორიის მუზეუმი. საინგ. №HMA 123-771
26. ლუსტრით მოხატული ჯამის ფრაგმენტები, ირანი. სომხეთის ისტორიის მუზეუმი. საინგ. №HMA 123-357
27. ლუსტრით მოხატული ჯამის ფრაგმენტები, ირანი. სომხეთის ისტორიის მუზეუმი. საინგ. №HMA 123-358
28. ფერადი საღებავებით მოხატული ჯამის ფრაგმენტები, ე.წ. მინაის ტიპის ჭურჭელი, ირანი. სომხეთის ისტორიის მუზეუმი. საინგ. №HMA 123-360a
29. ფერადი საღებავებით მოხატული ჯამის ფრაგმენტები, ე.წ. მინაის ტიპის ჭურჭელი, ირანი. სომხეთის ისტორიის მუზეუმი. საინგ. №HMA 123-360
30. ბრინჯაოს გულსაკიდი ჯვარი, ანისი. საქართველოს ეროვნული მუზეუმი. საინგ. №GNM01 ა646
31. ძვლის ჯვარი, ანისი. სომხეთის ისტორიის მუზეუმი. საინგ. №HMA 123-1216. წიგნიდან – Ani: The Millennial Capital of Armenia 2015
32. ძვლის ჯვარი, ღაღია, ქართული მონასტერი კვიპროსზე. წიგნიდან – გაგომიძე ი., მინდორაშვილი, გაგომიძე გ. 2014
33. მოტიქული ჯამი, დვინი. სომხეთის ისტორიის მუზეუმი. საინგ. №HMA 1794-314. წიგნიდან – Armenian Ceramics 2014
34. მოტიქული ჯამი, თბილისი. საქართველოს ეროვნული მუზეუმი. საინგ. №GNM01 1-54:2765
35. მოტიქული ჯამი, თბილისი. საქართველოს ეროვნული მუზეუმი. საინგ. №GNM01 1-54:3226
36. ფრინველების გამოსახულებიანი მოტიქული ჯამების ფრაგმენტები ანისიდან (სომხეთის ისტორიის მუზეუმი – საინგ. №HMA 123-269 (ზემოთ) და საინგ. №HMA 123-309 (ქვემოთ)). ი. სტრაუმეს ჩანახატი. საქართველოს ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი. საინგ. №17-Г/2

37. ფრინველის და ლომის გამოსახულებიანი მოტიქული ჯამების ფრაგმენტები ანისიდან (სომხეთის ისტორიის მუზეუმი – საინგ. №HMA 123-308 (ზემოთ) და საინგ. №HMA 123-312 (ქვემოთ)). ი. სტრაუმეს ჩანახატი. საქართველოს ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი. საინგ. №22-Г/7
38. მოტიქული ჯამი ლომის გამოსახულებით, დმანისი. საქართველოს ეროვნული მუზეუმი. საინგ. №GNM01 დმ. 209

თავი IV

ანისი და ქართული ნუმისმატიკა

1. დავით აღმაშენებლის არაბულენოვანი მონოეპიგრაფიკული მონეტა. საქართველოს ეროვნული მუზეუმის ნუმისმატიკური კოლექცია. საინგ. №4076
2. რუსუდანის სპილენძის მონეტა. საქართველოს ეროვნული მუზეუმის ნუმისმატიკური კოლექცია. საინგ. №243
3. ჯალალ ედ-დინის მონეტა. კერძო კოლექცია
4. ლაზან-მაჰმუდის მონეტა. თბილისის მარაფხანა. კერძო კოლექცია
5. ერეგნის ფულუსი. კერძო კოლექცია
6. 1831 წლის ორაბაზიანი. კერძო კოლექცია

თავი V

ანისის საფორთიფიკაციო სისტემა – მფლობელობა და აღმშენებლობა

1. ანისის ნაქალაქარი, საერთო ხედი
2. ანისის კედლები. წიგნიდან – Texier 1842a. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელი“
3. ანისის ნაქალაქარი, აეროფოტო

4. ანისის ნაქალაქარი, ციტადელი. საერთო ხედი აღმოსავლეთიდან
5. ანისის ნაქალაქარი, ქალწულთა ციხე, გოდოლი. ხედი სამხრეთიდან
6. ჰორომოსის მონასტერი, საერთო ხედი ჩრდილო-აღმოსავლეთიდან
7. ანისის ნაქალაქარის რუკა. წიგნიდან – Mapp 1934
8. ანისი, აშოტისეული გალავანი. დეტალი
9. ანისი, აშოტისეული გალავანი, კედლის წყობა. დეტალი
10. ანისი, ციტადელის გალავნის კედელი. დეტალი
11. ანისი, გალავნის ჩრდილოეთი კედელი, საერთო ხედი
12. ანისი, გალავნის კედლები
13. ანისი, სმბატისეული გალავნის კედლების წყობა
14. ანისი, გალავანი, მერვე კოშკი. ქრონოლოგიური ფენები
15. ანისი, გალავნის აღმშენებლობის ქრონოლოგიური ფენები. ნარკვევიდან – Mahé et al. 1999
16. ანისი, აღმშენებლობის ქრონოლოგიური ეტაპების აქსონომეტრია. ნარკვევიდან – Mahé et al. 1999
17. ანისი, გალავნის ჩრდილოეთი ნაწილი. პირველი და მეორე რიგის კოშკები
18. ანისი, გალავანი. კედლის პოლიქრომიული აქცენტი
19. ანისი, გალავანი, რელიეფი ჯვრის გამოსახულებით
20. ანისი, გალავანი. რელიეფური წარწერისთვის განკუთვნილი არე
21. ანისი, გალავანი. კოშკი სათავდაცვო სისტემის აღმოსავლეთ ნაწილში
22. ანისი, გალავნის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი. ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან
23. ანისი, გალავანი. ჭადრაკული კარიბჭე
24. ანისის ნაქალაქარი, სმბატის გალავანი, „ლომის კარიბჭე“. ხედი ჩრდილოეთიდან. დ. ერმაკოვის ფოტოკოლექცია. საქართველოს ეროვნული მუზეუმის შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის ფოტოთეკა, ნეგატივი №5955-4067
25. ანისი, გალავანი, „ლომის კარიბჭე“. ლომის გამოსახულება
26. რელიეფი ლომის გამოსახულებით. ჩიკაგოს უნივერსიტეტის აღმოსავლეთის ინსტიტუტის მუზეუმი <https://www.flickr.com/photos/markkaletka/25610890427>
27. ლომი. ასტრონომიული ტრაქტატი, 1188 წ. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, A-65, ფ. 185r. გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრის ძეგლთა ფიქსაციის ლაბორატორიის ფოტო
28. კონსტანტინოპოლი, ქალაქის სათავდაცვო სისტემა, სქემა. წიგნიდან – Banduri 1729
29. კონსტანტინოპოლის კედლები (<https://www.realmofhistory.com/2017/05/11/video-theodosian-walls-constantinople>)
30. ილანკალეს ციხე-სიმაგრე (https://wikivisually.com/wiki/Spur_castle)
31. ანისის ნაქალაქარი. ხედი ჩრდილოეთიდან. დ. ერმაკოვის ფოტოკოლექცია. საქართველოს ეროვნული მუზეუმის შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის ფოტოთეკა, ნეგატივი №3385-12912

თავი VI

ანისის საეკლესიო ხუროთმოძღვრება და ქართული მხატვრული ტრადიცია

1. ანისი, ნაქალაქარის საერთო ხედი. აეროფოტო
2. ანისი, „ქართული ეკლესია“. საერთო ხედი სამხრეთიდან
3. „ქართული ეკლესია“, ინტერიერი. ჩრდილოეთი კედელი
4. „ქართული ეკლესია“. წიგნიდან – Brosset 1861
5. „ქართული ეკლესია“, ინტერიერის ხედი

- სამხრეთ-დასავლეთიდან
6. „ქართული ეკლესია“, აღმოსავლეთი ფასადი. XIX საუკუნის მიწურულის ფოტო
 7. „ქართული ეკლესია“ 1912 წლის აღდგენითი სამუშაოების შემდეგ. ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან
 8. „ქართული ეკლესია“, დასავლეთი კედლის ფრაგმენტი. ხედი დასავლეთიდან
 9. „ქართული ეკლესია“, ჩრდილოეთი ფასადი
 10. „ქართული ეკლესია“, ქვის ლორფინი
 11. „ქართული ეკლესია“: ა. ჭრილი ჩრდილოეთით; ბ. ჭრილი აღმოსავლეთით; გ. გეგმა; დ. კრიპტა, გეგმა. ნ. ბაგრატიონის ანაზომი
 12. საკურთხეველის და კონქის გამყოფი კარნიზები სირიულ და კონსტანტინოპოლურ ეკლესიებში: 1. ქალბ ლოზეჰ, სირია; 2. წმ. სერგის და ბაქოსის ეკლესია, კონსტანტინოპოლი; 3. წმ. ირინეს ეკლესია, კონსტანტინოპოლი
 13. საკურთხეველისა და კონქის გამყოფი კარნიზები სომხურ ეკლესიებში: 1. კოში; 2. ავანი; 3. ანისი, საკათედრო ტაძარი; 4. ჰორომოსის მონასტერი, მეფე აშოტის სამლოცველო; 5. ანისი, ქალწულთა მონასტრის ეკლესია; 6. ანისი, მაცხოვრის ეკლესია; 7. ჰაღარწინი; 8. ჰარიჭავანჯი; 9. გელარდი
 14. საკურთხეველისა და კონქის გამყოფი კარნიზები ქართულ ეკლესიებში: 1. ბოლნისის სიონი, სამხრეთი სტოა; 2. საბუე, წმ. შიოს ეკლესია; 3. ჭერემი, წმ. ბარბარეს ეკლესია; 4. ცანდრიფში; 5. ტაბაწყური; 6. ორსაცდრები; 7. ბზიფი; 8. შუატყე; 9. ბურნაშეთი; 10. ბზა; 11. მატანი, „გუმბათიანი საყდარი“; 12. ორთული
 15. „ქართული ეკლესია“, ინტერიერი. ჩრდილოეთი კედელი, ჩამოსაჯდომი სოლეა
 16. „ქართული ეკლესია“, ინტერიერი. ჩრდილოეთი კედლის დასავლეთი მონაკვეთი
 17. „ქართული ეკლესია“, ინტერიერი. ჩრდილოეთი კედლის პილასტრის ფრაგმენტი
 18. „ქართული ეკლესია“, ინტერიერი. ჩრდილოეთი კედელი, კედლისპირა ნახევარსვეტის ბაზისი
 19. „ქართული ეკლესია“, ინტერიერი. ჩრდილოეთი კედელი, კედლისპირა ნახევარსვეტის კაპიტელი
 20. ანისი, მანუჩეს მეჩეთი, ინტერიერი, კაპიტელი
 21. ნახევარწრიული ფორმის ნახევარსვეტები ანისურ არქიტექტურაში: 1. საკათედრო ტაძარი; 2. დარბაზული ეკლესია; 3. მანუჩეს მეჩეთი; 4. აბულამრენცის ეკლესია; 5. წმ. გრიგოლის ეკლესია; 6. ქალწულთა ციხის ეკლესია
 22. ნახევარწრიული ფორმის ნახევარსვეტები სომხურ არქიტექტურაში: 1. მარმაშენის მონასტერი, წმ. სტეფანეს ეკლესია; 2. ჰორომოსის მონასტერი, რუზაკანის დასაკრძალავი; 3. ამბერდის ეკლესია
 23. ბანას საკათედრო ტაძარი. გარშემოსავლელი, ინტერიერი
 24. ალავერდის საკათედრო ტაძარი, ინტერიერი, დასავლეთ მკლავის სამხრეთი მონაკვეთი
 25. სამხრეთ და დასავლეთ საქართველოს დარბაზული ეკლესიები, გეგმები: 1. ალანძა; 2. აზავრეთი; 3. ხვილიშა; 4. ფარავანი; 5. საღამო; 6. აგარა; 7. დარკვეთი; 8. ხცისი; 9. შეპიაკი; 10. მურჯახეთი; 11. ფოკა; 12. ასფარა; 13. ფექრაშენი; 14. სავანე; 15. სათხე; 16. სპეთი; 17. ეხვევი; 18. ჩაისი (1, 3, 6–9, 14, 16, 17: წიგნიდან – ბერიძე გ. 2014, II; 2, 4, 5, 10–12, 15: წიგნიდან – ბერიძე გ. 2000; 13 და 18: წიგნიდან – ბაგრატიონი გ., ბაგრატიონი ნ. 2015)
 26. ქართული დარბაზული ეკლესიების ჭრილები: 1. აზავრეთი, ჭრილი ჩრდილოეთით; 2. მურჯახეთი, ჭრილი ჩრდილოეთით; 3. ფექრაშენი, ჭრილი ჩრდილოეთით; 4. ასფარა, ჭრილი ჩრდილოეთით; 5. ხცისი, ჭრილი ჩრდილოეთით; 6. ფოკა, ჭრილი ჩრდილოეთით (1, 2, 4, 6: წიგნიდან – ბერიძე გ. 2000; 3: წიგნიდან – ბაგრატიონი გ., ბაგრატიონი ნ. 2015; 5: წიგნიდან – ნუცუბიძე 1990)
 27. ფექრაშენის ეკლესია, ინტერიერი. სამხრეთი კედელი
 28. სათხეს ეკლესია, ინტერიერი. ჩრდილოეთი კედელი

29. ანისი, „ქართული ეკლესია“. დასავლეთი მინაშენის კედლის ფრაგმენტი საერთო ხედი
30. „ქართული ეკლესია“. დასავლეთი მინაშენის კედლის ფრაგმენტი
31. ანისი, „ქართული ეკლესია“, კრიპტა. საერთო ხედი დასავლეთიდან
32. მცხეთის წმ. ჯვრის მცირე ეკლესია. ხედი დასავლეთიდან
33. ოთხთა ეკლესიის ლავრა, ე.წ. არსენისეული ეკლესია. ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან
34. წუნდა, წმ. გიორგის ეკლესია. ხედი აღმოსავლეთიდან
35. ოთხთა ეკლესიის ლავრა, ეკლესია-საძვალე. ხედი სამხრეთიდან
36. ვაჩეძორის მონასტერი, დარბაზული ეკლესია. ხედი სამხრეთიდან
37. კრიპტიანი ეკლესიები საქართველოში: 1. მცხეთის წმ. ჯვრის მცირე ეკლესია, ჭრილი სამხრეთით; 2. წუნდა. წმ. გიორგის ეკლესია, ჭრილი ჩრდილოეთით; 3. ბიეთის ეკლესია, ჭრილი სამხრეთით; 4. ტაბაკინის მონასტერი წმ. გიორგის ეკლესია, ჭრილი სამხრეთით; 5. ანისის „ქართული ეკლესია“, ჭრილი ჩრდილოეთით; 6. ოთხთა ეკლესიის ლავრა, ეკლესია-საძვალე, ჭრილი ჩრდილოეთით; 7. ოთხთა ეკლესიის ლავრა, ე.წ. არსენისეული მეორე ეკლესია, ჭრილი ჩრდილოეთით; 8. ნეკრესის მონასტერი, მცირე ბაზილიკა, ჭრილი აღმოსავლეთით; 9. ურაველის აგარას მონასტერი, სამლოცველო-საძვალე, ჭრილი დასავლეთით; 10. ვაჩნაძიანის სვეტიცხოვლის ეკლესია, ჭრილი სამხრეთით; 11. უჯარმა, ჯვარპატიოსანის ეკლესია, ჭრილი აღმოსავლეთით; 12. თმოგვის ციხე, წმ. მარინეს ეკლესია, ჭრილი აღმოსავლეთით; 13. ოთხთა ეკლესიის ლავრა, ე.წ. არსენისეული პირველი ეკლესია, ჭრილი აღმოსავლეთით; 14. ლალიას მონასტერი, მთავარი ეკლესია, ჭრილი აღმოსავლეთით; 15. მარტვილის მონასტერი, ჩიქვანების საძვალე ეკლესია, ჭრილი აღმოსავლეთით (1-4, 8, 11, 12, 15: საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დოკუმენტთა საცავი; 5: ნ. ბაგრატიონის ანაზომი; 6: Такайшвили 1952; 7, 13: ბაგრატიონი გ., ბაგრატიონი ნ. 2015; 9: გ. მარსაგიშვილის ანაზომი; 10: დვალი, ლალიაშვილი, რჩეულიშვილი 2013; 14: გაგოშიძე ი., მინდორაშვილი დ., გაგოშიძე გ. 2014)
38. ნუკას საყდარი. ხედი დასავლეთიდან
39. თმოგვის ციხე, წმ. მარინეს ეკლესია. ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან
40. ვარნეთის ეკლესია, ინტერიერი, ხედი დასავლეთიდან
41. იშხანის საკათედრო ტაძარი, ახლადგამოვლენილი დარბაზული ეკლესიის ნანგრევები კრიპტით. ხედი დასავლეთიდან
42. იყალთოს მონასტერი, აკლდამიანი ეკლესია. ხედი დასავლეთიდან
43. მარტვილის მონასტერი, ჩიქვანების საძვალე ეკლესია. ხედი აღმოსავლეთიდან
44. ლალია. წმ. ნიკოლოზის ეკლესიის საძვალე. ხედი დასავლეთიდან
45. პეტრიწონის მონასტერი, ეკლესია-საძვალე. ხედი დასავლეთიდან
46. ადრექრისტიანული სომხეთის დასაკრძალავები: 1. ალცი; 2 - 3. ანისი, გაილაძორის ხევი; 4. წმ. რიფსიმე; 5. წმ. გაიანე; 6. ოშაკანი, წმ. მესრობ მაშტოცი; 7. ამარა, წმ. გრიგოლი; 8. ზოვოუნი, წმ. ვარდანი; 9. ჟვრაპი; 10. ნახჩევანი. წიგნიდან – Donabedian 2008
47. ალცი. არშაკუნიანთა დასაკრძალავი
48. ეჩმიაძინი, წმ. რიფსიმეს საკათედრო ტაძარი, ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან
49. ეჩმიაძინი, წმ. გაიანეს ეკლესია. ხედი დასავლეთიდან
50. კარენისი, წმ. თადეოსის ეკლესია, ინტერიერი. ხედი დასავლეთიდან
51. თალინი, საკათედრო ტაძრის ჩრდილოეთით არსებული ეკლესია აკლდამით. ხედი დასავლეთიდან
52. ცალაც ქარის ეკლესია. ხედი ჩრდილო-დასავლეთიდან
53. ანისი, წაღკოცადორის ხევი, კლდეში ნაკვეთი აკლდამა №1, ინტერიერი

54. წალკოცაძორის ხევი, კლდეში ნაკვეთი აკლდამა №2, ინტერიერი
55. ანისი, წალკოცაძორის ხევი, ტიგრან ჰონენცის დასაკრძალავი. ხედი აღმოსავლეთიდან
56. ჰორომოსის მონასტერი, ზედა კომპლექსი. საერთო ხედი ჩრდილო-აღმოსავლეთიდან
57. გავითები სომხურ საეკლესიო არქიტექტურაში: 1. გოშავანქი; 2. საღმოსავანქი; 3. ჰაღარწინი; 4. ჰოვანავანქი
58. ელვარდი, ამიბბექის დასაკრძალავი და ეკლესია. ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან
59. ნორავანქი, ბურთელის დასაკრძალავი და ეკლესია. ხედი ჩრდილო-დასავლეთიდან
60. კაპუტანი, წმ. მინას დასაკრძალავი და ეკლესია. ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან
61. ანისის შემოგარენი, ე.წ. მწყემსთა ეკლესია. ღია ბარათი გამოცემული ანისის მუზეუმის მიერ 1905 წ.
62. სარკმელთა სწორკუთხა საპირეები ანისისა და მისი შემოგარენის საეკლესიო არქიტექტურაში: 1. მარმაშენის მონასტრის წმ. პეტრეს ეკლესია; 2. მარმაშენის მონასტრის წმ. სტეფანეს ეკლესია; 3. ჰორომოსის მონასტრის წმ. გიორგის ეკლესია; 4-5. ანისის წმ. გრიგოლის ეკლესია; 6. ანისის ქალწულთა მონასტრის ეკლესია
63. სარკმელთა სწორკუთხა საპირეები ქართული საეკლესიო არქიტექტურაში: 1. ბეთანია; 2. იკორთა; 3. ზარზმა; 4. იშხანი; 5. თრიალეთის ახალქალაქი; 6. სამთავისი
64. ანისი, „ქართული ეკლესია.“ ჩრდილოეთი კედელი, კარნიზი
65. „ქართული ეკლესია“. ჩრდილო-დასავლეთი კუთხე, კარნიზი
66. სამხრეთ საქართველოს დარბაზული ეკლესიები: 1. ფარავანი, ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან; 2. განძანი, ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან; 3. ფოკა, ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან; 4. ტონთიო, ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან; 5. არჯევანი, ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან; 6. საღამო, სამხრეთ ეკლესია, ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან
67. „ქართული ეკლესია“. ჩრდილოეთი ფასადი, ნაკაწრი ჯვრები
68. „ქართული ეკლესია“. დასავლეთი ფასადი, ნაკაწრი ჯვრები
69. „ქართული ეკლესია“, ინტერიერი. ჩრდილოეთი კედელი, ნაკაწრი გრაფიტები
70. „ქართული ეკლესია“. ჩრდილოეთი კედელი, მეორადი გამოყენების ქვა
71. ანისი, ზეთსახდელი „ქართული ეკლესიის“ ჩრდილო-დასავლეთ კუთხესთან. საერთო ხედი
72. „ქართული ეკლესია“, ინტერიერი, ჩრდილოეთი კედელი, „ღმრთისმშობლის ხარება“
73. „ქართული ეკლესია“, ინტერიერი. ჩრდილოეთი კედელი, „წმ. მარიამის და წმ. ელისაბედის შეხვედრა“
74. პარხალის ეკლესია, ინტერიერი. სამეფო ნიშების კაპიტელების რელიეფური შემკულობა, დეტალი
75. საღამო, ჩრდილოეთი ეკლესია, ინტერიერი, საკურთხევლის სატრიუმფო თაღის სამხრეთი ქანობი, ადამიანის გამოსახულება
76. ზემო კრიხის ეკლესია, ინტერიერი, კაპიტელის ბაზისი ფიგურული რელიეფებით
77. ოთხთა ეკლესიის ლავრის მთავარი ეკლესია. პატრონიკეს სვეტი, ვერძის რელიეფური გამოსახულება. ლონდონის უნივერსიტეტის კურტოს ხელოვნების ინსტიტუტის არქივი
78. კუმურდოს საკათედრო ტაძარი. გუმბათქვეშა ტრომპები. ა. დედოფლის რელიეფური გამოსახულება; ბ. მეფის რელიეფური გამოსახულება
79. ოშკის ტაძარი, სამხრეთ-დასავლეთი გალერეა, რვაწახნაგა სვეტის რელიეფური შემკულობა, ვედრების კომპოზიცივა
80. საფარას მონასტრის ღმრთისმშობლი მიძინების ეკლესიის კანკელის ფილა. საქართველოს ეროვნული მუზეუმის შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი. საინგ. №202
81. ანისი, ციტადელის ეკლესია, ინტერიერი. წიგნიდან – Brosset 1861

82. ციტადელის ეკლესია, საერთო ხედი აღმოსავლეთიდან. XX საუკუნის დასაწყისის ფოტო. virtualani.org
83. ციტადელის ეკლესია, დასავლეთი ფასადი. გამოცემიდან – Mapp 1915
84. ციტადელის ეკლესია. გეგმა. virtualani.org
85. ციტადელის ეკლესია ამჟამად. გეგმა. ნ. ბაგრატიონის ნახაზი
86. ციტადელის ეკლესია. დასავლეთი კედლის ფრაგმენტი
87. ციტადელის ეკლესიის ინტერიერი, ჩრდილოეთი კედელი
88. ციტადელის ეკლესია ჩრდილოეთი ფასადი
89. ციტადელის ეკლესიის ინტერიერი. ჩრდილოეთი კედლის პილასტრების წინაპირის შემკულობა. ა. დასავლეთი პილასტრი; ბ. აღმოსავლეთი პილასტრი; გ. აღმოსავლეთი პილასტრის გვერდითა წახნაგი
90. ციტადელის ეკლესია, ინტერიერი. სამხრეთი კედლის პილასტრის შემკულობა. გამოცემიდან – Mapp 1915
91. წმ. მხედრების რელიეფური გამოსახულებები: 1. ანისის ციტადელის ეკლესიის ჩრდილოეთი კარის არქიტრავის რელიეფი; 2. ჭალას ეკლესიის რელიეფი; 3. წებელდის ეკლესიის კანკელის ფილა; 4. დვინი, კაპიტელი; 5-6. მარტვილის საკათედრო ტაძრის საფასადო რელიეფური ფრიზები; 7. მრენი, ჩრდილოეთი კარის არქიტრავი, რელიეფი იმპერატორი ჰერაკლეს მიერ ჯვრის თაყვანისცემის გამოსახულებით; 8. ატენის სიონი, დასავლეთი ფასადი, ნადირობის სცენა (1: წიგნიდან – Brosset 1861; 2: წიგნიდან – Mapp 1934; 4: წიგნიდან – Степанян 1971)
92. ციტადელის ეკლესია. ჩრდილოეთი ფასადის კარნიზი და ლორფინიანი გადახურვა
93. ციტადელის ეკლესიის ინტერიერი. საკურთხევლის აფსიდის ჩრდილოეთი კუთხე, ქვედა მონაკვეთი
94. ანისი, საკათედრო ტაძარი. საერთო ხედი აღმოსავლეთიდან
95. საკათედრო ტაძარი. წიგნიდან – Brosset 1861
96. საკათედრო ტაძარი, ინტერიერი. წიგნიდან – Brosset 1861
97. საკათედრო ტაძარი. გეგმა, ჭრილი სამხრეთით, საფასადო შემკულობის დეტალები. წიგნიდან – Texier 1842a
98. საკათედრო ტაძარი. სამხრეთ ფასადის რეკონსტრუქცია. წიგნიდან – Texier 1842a
99. საკათედრო ტაძარი. დასავლეთი ფასადი, რეკონსტრუქცია. წიგნიდან – Texier 1842a
100. საკათედრო ტაძარი, ინტერიერი. The Graphic 1885
101. საკათედრო ტაძარი ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან. დ. ერმაკოვის ფოტოკოლექცია
102. საკათედრო ტაძარი, გეგმა. ნ. ბაგრატიონის ანაზომი
103. საკათედრო ტაძარი. ხედი ჩრდილო-დასავლეთიდან. დ. ერმაკოვის ფოტოკოლექცია
104. X–XI სს. გუმბათიანი ტაძრები საქართველოში: 1. ოშკის წმ. იოანე ნათლისმცემლის ეკლესია; 2. ქუთაისის სიონი; 3. ალავერდის საკათედრო ტაძარი; 4. სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარი. წიგნიდან – Mepisaschwili, Zinzadze 1986
105. საკათედრო ტაძარი, ინტერიერი. მოხატულობის კვალი საკურთხევლის კონქში
106. საკათედრო ტაძარი, ინტერიერი. გუმბათქვეშა კამარები
107. საკათედრო ტაძარი, ინტერიერი. ხედი სამხრეთით
108. საკათედრო ტაძარი. საკურთხევლის აფსიდი, მაღალდასაბრძანებელი ნიშების რიგი
109. საკათედრო ტაძარი, ინტერიერი. სამხრეთ-დასავლეთი ბურჯი
110. საკათედრო ტაძარი, დასავლეთი ფასადის სამხრეთი მონაკვეთი
111. საკათედრო ტაძარი. სამხრეთი ფასადი, არწივის რელიეფური გამოსახულება
112. საკათედრო ტაძარი. აღმოსავლეთი ფასადი, არწივის რელიეფური გამოსახულება
113. საკათედრო ტაძარი. სამხრეთი ფასადი,

- წერილი სარკმლები
114. საკათედრო ტაძარი. დასავლეთი ფასადი, რელიეფური ჯვარი
115. ნიშების შემკულობა: 1. ანისის საკათედრო ტაძარი, აღმოსავლეთი ფასადი; 2. ანისის საკათედრო ტაძარი, სამხრეთი ფასადის აღმოსავლეთი ნიშა; 3. ანისის საკათედრო ტაძარი, სამხრეთი ფასადის დასავლეთი ნიშა; 4. მარმაშენის მონასტრის მთავარი ეკლესია. ჩრდილოეთი ფასადის ნიშა
116. საკათედრო ტაძარი. აღმოსავლეთი ფასადი, საკურთხევლის სარკმელი
117. ანისი, წმ. გრიგოლის ეკლესია. საერთო ხედი მდ. ახურიანის მარჯვენა ნაპირიდან
118. წმ. გრიგოლის ეკლესია. საერთო ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან. დ. ერმაკოვის ფოტოკოლექცია
119. წმ. გრიგოლის ეკლესია. სამხრეთი ფასადის რეკონსტრუქცია. წიგნიდან – Texier 1842a
120. წმ. გრიგოლის ეკლესია. გეგმა. ნ. ბაგრატიონის ანაზომი
121. წმ. გრიგოლის ეკლესია. ა. ჭრილი აღმოსავლეთით; ბ. ჭრილი დასავლეთით; გ. ჭრილი სამხრეთით; დ. ჭრილი ჩრდილოეთით. ნ. ბაგრატიონის ანაზომი
122. წმ. გრიგოლის ეკლესია. კარიბჭე და ეკვდერი. ჭრილი აღმოსავლეთით. ნ. ბაგრატიონის ანაზომი
123. წმ. გრიგოლის ეკლესია. ხედი აღმოსავლეთიდან. კემბრიჯის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა (ფოუდენ 3/81)
124. წმ. გრიგოლის ეკლესია. აეროფოტო
125. გუმბათიანი დარბაზის ტიპის ეკლესიები სომხეთში: 1. არუჯი; 2. პტლნი; 3. შირავაქანი; 4. დადმაშენი; 5. ზოვუნი; 6. არგინა; 7. მიჯნაბერდი; 8. ჰორომოსი, წმ. მინას ეკლესია; 9. თაილარი; 10. მარმაშენი; 11. ჰორომოსი; 12. ჰოგევანჯი; 13. ბჯნი; 14. ოგუზლი. წიგნიდან – გენგიური 2005
126. გუმბათიანი დარბაზის ტიპის ეკლესიები საქართველოში: 1. დვანი; 2. კლარჯეთი; 3. ვაჩნაძიანი; 4. ფარნაკი; 5. ნიქოზი; 6. ყინწვისი; 7. სოლომონისი; 8. ნაჯახოვო;
9. მამაწმინდა; 10. ჯვარის მამა; 11. ლოუბანი; 12. გრემი, წმ. ნიკოლოზის ეკლესია; 13. გრემი, თარსა-გალავანი; 14. ბოდორნა; 15. კულბითი; 16. მანავი; 17. მაჩხაანი; 18. ქვაშვეთი; 19. მელაანი; 20. ხელთუბანი. წიგნიდან – გენგიური 2005
127. წმ. გრიგოლის ეკლესია. სამხრეთი და დასავლეთი მკლავები, გუმბათი
128. წმ. გრიგოლის ეკლესია. საკურთხევლის აფსიდი, ჩრდილოეთი მონაკვეთი
129. წმ. გრიგოლის ეკლესია. საკურთხევლის აფსიდი. მაღალდასაბრძანებლის საბურგის ნაშთი
130. წმ. გრიგოლის ეკლესია. საკურთხევლის აფსიდის საერთო ხედი
131. წმ. გრიგოლის ეკლესია, ჩრდილოეთი ფასადი, ცენტრალური არე
132. წმ. გრიგოლის ეკლესია, გუმბათის ყელი, ხედი ჩრდილოეთიდან
133. წმ. გრიგოლის ეკლესია. ინტერიერი, გასასვლელი სამკვეთლოდან საკურთხეველში, აღმოსავლეთი წირთხლი
134. წმ. გრიგოლის ეკლესია. გასასვლელი სამკვეთლოდან საკურთხეველში. ხედი აღმოსავლეთიდან
135. წმ. გრიგოლის ეკლესია, კარიბჭე, ჩრდილო-დასავლეთი კუთხე
136. თალინის საკათედრო. ტაძარი ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან
137. ყარსი, საკათედრო ტაძარი, საერთო ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან
138. ბანა, საკათედრო ტაძარი. სამხრეთი ფასადის თაღნარი და რელიეფური სამკაული
139. მვართნოცის საკათედრო ტაძარი, ფასადის თაღნარის რელიეფური შემკულობის ფრაგმენტები
140. ანისი, მაცხოვრის ეკლესია. ხედი დასავლეთიდან
141. მარმაშენის მონასტერი. საერთო ხედი ჩრდილო-აღმოსავლეთიდან
142. ოთხა ეკლესიის ლავრა. მთავარი ეკლესიის დასავლეთი ფასადი

143. ოშკის ტაძარი. საერთო ხედი სამხრეთიდან
სამხრეთ-დასავლეთიდან
144. ანისი, წმ. გრიგოლის ეკლესია. გუმბათის
ლაგვარდანი 164. ქალწულთა ციხის ეკლესია. ინტერიერი,
საკურთხევლის აფსიდი
145. არზურუმი, წყვილმინარეთიანი მედრესეს
აკლდამა, ლავგარდანი 165. ქალწულთა ციხის ეკლესია. ჩრდილო-
დასავლეთი კუთხე
146. წმ. გრიგოლის ეკლესია. ჩრდილოეთ ფასადის
რელიეფური შემკულობა. დეტალი 166. ქალწულთა ციხის ეკლესია. დასავლეთი
კედლის თაღნარი, დეტალი
147. წმ. გრიგოლის ეკლესია, ჩრდილოეთი
ფასადის რელიეფური შემკულობა. დეტალი 167. ქალწულთა ციხის ეკლესია. სამხრეთი
ფასადის და გუმბათის რელიეფური
შემკულობის ფრაგმენტები
148. წმ. გრიგოლის ეკლესია, სამხრეთი ფასადის
რელიეფური შემკულობა. დეტალი 168. ქალწულთა ციხის ეკლესია. ინტერიერი,
ჩრდილო-დასავლეთი გუმბათქვეშა ბურჯი,
სატახტე ნიში
149. წმ. გრიგოლის ეკლესია. ჩრდილოეთი კედლის
თაღნარი. დეტალი 169. ანისი, ქალწულთა მონასტრის ეკლესია,
ჩრდილოეთი ფასადი. წიგნიდან – Texier 1842a
150. წმ. გრიგოლის ეკლესია. ჩრდილოეთი
ფასადის რელიეფური შემკულობა. დეტალი 170. ქალწულთა მონასტრის ეკლესია, გეგმა.
წიგნიდან – Eastmoond 2018
151. წმ. გრიგოლის ეკლესია, გუმბათის
რელიეფური შემკულობა. დეტალი 171. ქალწულთა მონასტრის ეკლესია, საერთო
ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან. წიგნიდან –
Brosset 1861
152. წმ. გრიგოლის ეკლესია. კარიბჭის
აღმოსავლეთი კედლის რელიეფური
შემკულობა. დეტალი 172. ქალწულთა მონასტრის ეკლესია. ხედი
ჩრდილო-აღმოსავლეთიდან. დ. ერმაკოვის
ფოტოკოლექცია
153. წმ. გრიგოლის ეკლესია. კარიბჭის
აღმოსავლეთი კედლის რელიეფური
შემკულობა, დეტალი 173. ქალწულთა მონასტრის ეკლესია. საერთო
ხედი დასავლეთიდან. დ. ერმაკოვის
ფოტოკოლექცია
154. თაბაშირის სტუკოები ანისიდან: სომხეთის
ისტორიის მუზეუმი. (საინგ. №HMA 123-1032;
№HMA 123-1033; №HMA 123-1034) 174. ქალწულთა მონასტრის ეკლესია.
აღმოსავლეთი აფსიდის საფასადო შემკულობა
155. ანისი, ქალწულთა ციხის ეკლესია, წიგნიდან –
Brosset 1861 175. ქალწულთა მონასტრის ეკლესია. გუმბათის
შემკულობა. დეტალი
156. ანისი, ქალწულთა ციხის ეკლესია. გეგმა.
ნ. ბაგრატიონის ანაზომი 176. ქალწულთა მონასტრის ეკლესია. ინტერიერი
157. ქალწულთა ციხის ეკლესია. აეროფოტო 177. ანისი, ბახტაგეკის წმ. გრიგოლის ეკლესია,
გეგმა. წიგნიდან – Леонтьев 1905
158. ქალწულთა ციხის ეკლესია, აღმოსავლეთი
ფასადი 178. ბახტაგეკის წმ. გრიგოლის ეკლესიის
დასავლეთი და სამხრეთი ფასადები. წიგნიდან
– Mapp 1934
159. ქალწულთა ციხის ეკლესია. აღმოსავლეთი
ფასადის ნიშის შემკულობა 179. ბახტაგეკის ეკლესიის წმ. გრიგოლის ეკლესიის
რელიეფური შემკულობის ფრაგმენტები.
წიგნიდან – Mapp 1934
160. ენირაბათი. გუმბათის ნიშის შემკულობა 180. ბახტაგეკის წმ. გრიგოლის ეკლესიის
რელიეფური შემკულობის ფრაგმენტები.
წიგნიდან – Mapp 1934
161. ოშკის ტაძარი. აღმოსავლეთი ფასადის ნიშის
შემკულობა
162. ქალწულთა ციხის ეკლესია. ხედი ჩრდილო-
დასავლეთიდან
163. ქალწულთა ციხის ეკლესია. საერთო ხედი








თავი I

ანისი და ქართული კულტურული
მემკვიდრეობა XIX საუკუნისა
და XX საუკუნის დასაწყისის
სამოგზაურო და სამეცნიერო
ლიტერატურაში




მეცხრამეტე საუკუნიდან მოყოლებული, მოგზაურთა და სიძველეთ მოყვარულთა დაინტერესება ანისისა და მისი ძეგლების მიმართ, იზრდება – მათ შორისაა ნაქალაქარის კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებული ის მასალები, რომლებსაც ანისი-შირაკისა და საქართველოს მრავალწლოვანი ურთიერთობები სხვადასხვა კუთხით აუსახავს.

ადრეული ცნობები ანისის სიძველეების შესახებ მოიპოვება ინგლისელი მოგზაურის, კაპიტან რიჩარდ უილბრამის მოგზაურობის აღწერაში. უილბრამი რუსეთის იმპერიის პროვინციებში 1837 წელს იმყოფებოდა. ანისში ყოფნისას მოგზაური განსაკუთრებით წმ. გრიგოლის ეკლესიის მოხატულობით დაინტერესებულა; მისი დაკვირვებით, ტაძრის კედლებზე შესრულებულ „უხეშ ნახატთა“ შორის გაირჩეოდა სცენები წმინდა წერილიდან, წმ. გრიგოლის სასწაულები და სომხეთის ეკლესიის სხვა წმინდანთა სახეები.¹

იმავე ეკლესიის შესახებ ბევრად უფრო ვრცელი ცნობები მოტანილია ფრანგი არქეოლოგის, ისტორიკოსისა და არქიტექტორის, შარლ ტექსიეს წიგნში.² მცირე აზიაში, სპარსეთსა და სომხეთში 1839 წლის მოგზაურობის ანგარიშს ერთვის ილუსტრაციები – ანისის ნაქალაქარის ამსახველი გრაფიურები; სახელდობრ: ანისის რუკა, ნაქალაქარის ძეგლების ერთი ნაწილის ნახაზები, მათ შორის – წმ. გრიგოლის ეკლესიის გეგმა, ჭრილი და ფასადები³ (სურ. 1, 2 და 3). ტექსიე წმ. გრიგოლის ეკლესიას „ბერძნული ეკლესიის“ სახელით იხსენიებს (ავტორის მითითებით, „მისი ბიზანტიური სტილის“ გამო); ამ ნიშნით ავტორი ტაძარს ქალაქის კათედრალის თანაგვარად მიიჩნევს. მისი აზრით, ნაგებობის გეგმარება ბერძნული საეკლესიო ტრადიციის შესაბამისად იქნა გადაწყვეტილი.⁴ ტექსიე ეკლესიის ხუროთმოძღვრულ სახეში სომხური ხელოვნების გავლენასაც ხედავს. მოგზაური საუბრობს ეკლესიის გეგმის და აღნაგობის ჰარმონიულ ურთიერთმიმართებაზე.⁵ ტექსიე აღფრთოვანებაში მოუყვანია ნაგებობის ფასადების ორნამენტულ შემკულობას;⁶ მიიჩნევს, რომ შეწყვილებული ნახევარსვეტები, რომლებიც ტაძრის ფასადებს ამშვენებენ, უკეთესი სტილისაა, ვიდრე ნაქალაქარის კათედრალის უბრალო ლილვები;⁷ აღწერს ტაძრის სვეტთა მოხდენილ კაპიტელებს და მათ არაბული ხელოვნების ნიმუშებს ადარებს.⁸

ტექსიეს აღწერია ეკლესიის კარიბჭის გვერდით მდებარე მომცრო სამლოცველოს ნანგრევები; ავტორის დაკვირვებით, წმ.

სურ. 1. ანისის რუკა.
წიგნიდან – Texier 1842a



სურ. 2. ანისის ხედი.
წიგნიდან - Texier 1842a


გრიგოლის ეკლესიის კარიბჭე, სავარაუდოდ, უფრო გვიან უნდა აეგოთ; იგი იქვე იმასაც მიანიშნებს, რომ კარიბჭე სინამდვილეში უფრო დაზიანებული იყო, ვიდრე ეს მის ნახატზეა წარმოდგენილი (სურ. 4).⁹

პუბლიკაციაში საგულისხმო ცნობები მოიპოვება წმ. გრიგოლის ეკლესიის ფრესკების შესახებ – ავტორს ტაძრისა და მისი კარიბჭის მოხატულობა XII-XIII საუკუნეების ევროპული ხელოვნების ნიმუშებს აგონებს. მოგზაური მსჯელობს არა მხოლოდ ფრესკულ სახეებზე, არამედ მათი შესრულების ტექნიკაზეც. ტექსიეს აზრით, სცენები სხვადასხვა ოსტატის მიერ და სხვადასხვა დროს უნდა ყოფილიყო შესრულებული. მისი ვარაუდით, მოხატულობა მოგვიანოდ უნდა გადაეწერათ უფრო გაწაფული ხელით. ძველი და ახალი აღთქმის სიუჟეტებს შორის ტექსიე აღწერს სცენას, სადაც, მისი აზრით, წარმოდგენილია ფიგურა „რომელიც თავდაღმა გამოსახული, თავი ფარის ფორმის საგანზე უდევს და გარშემორტყმულია ერთმანეთთან მოსაუბრე ექიმთა ჯგუფით“.¹⁰ ტექსიეს კარგად ვერ გაურჩევია ფრესკების თანმხლები ქართული და ბერძნული წარწერები – იგი აღნიშნავს, რომ ფიგურებთან არსებული განმარტებითი ტექსტები სომხურადაა შესრულებული.¹¹

1842-1853 წლებში კავკასიაში იმოგზაურა გერმანელმა მინერალოგმა ჰერმან აბიხმა (სურ. 5). ამ მოგზაურობის ჩანაწერები მოგვიანოდ გამოქვეყნდა სათაურით – „მოგზაურის წერილები კავკასიის ქვეყნებიდან“.¹² ანისში მოგზაურობას ავტორი 1844 წლის 5 დეკემბერს, დედასა და დასთან თბილისიდან გაგზავნილ წერილში აღწერს.¹³ წერილის ტექსტი თავდაპირველად თბილისში ჩატარებული



სურ. 4. ანისი, წმ. გრიგოლის ეკლესიის კარიბჭე. წიგნიდან - Texier 1842a



სურ. 3. ანისი, წმ. გრიგოლის ეკლესია (გეგმა, ჭრილი). წიგნიდან - Texier 1842a



სურ. 5. ჰერმან აბიხი.
წიგნიდან - Abich 1896

არქეოლოგიური ყრილობის აქტებში გამოქვეყნდა.¹⁴ პუბლიკაციას, სხვა გრაფიკულ ილუსტრაციებთან ერთად, ახლავს ნაქალაქარის პანორამული ხედიც¹⁵ (სურ. 6).

აბიხის მიერვეა შესრულებული ანისის ნაქალაქარის დეტალური გეგმა¹⁶ (სურ. 7). ამას გარდა, ანისში ყოფნის ოთხი დღის განმავლობაში, მას ტოპოგრაფიული მელნიტ ქალაქდამე გადაუღია ადგილობრივ სიძველეებზე შემონახული წარწერების უმეტესი ნაწილის ასლები.¹⁷ ეს მასალები, ქალაქის რუკებთან ერთად, აბიხს გადაუცია მარი ბროსესთვის, პეტერბურგის სააზიო მუზეუმში დასაცავად.¹⁸ ანისში მეორედ ყოფნისას აბიხმა ნაქალაქარის აღმოსავლეთი კარიბჭის თალიდან ჩამოხსნა 1206 წლის წარწერიანი ქვა (ე.წ. ჯუნდკანის წარწერა).¹⁹ ეს ქვა მან თავდაპირველად თბილისში გადაიტანა 1869 წელს, საიდანაც, კვლავ სააზიო მუზეუმისთვის, იგი ბროსეს გადაეცა.²⁰

თავის წერილებში მოგზაური მხატვრული ენით გადმოსცემს ანისის ნახვით გამოწვეულ ემოციებს, ახასიათებს იქაურ ლანდშაფტს; აღწერს ნაქალაქარის ტერიტორიაზე იმხანად არსებულ ნაგებობებს. აბიხის აღფრთოვანება გამოუწვევია წმ. გრიგოლის ეკლესიას, სახელდობრ, მის სილამაზეს, მდიდრულად გაფორმებულ კარიბჭეს, ორნამენტებით გამშვენებულ თაღებს, სვეტებსა და კაპიტელებს, ცოცხალი ფერებით გამორჩეულ ფრესკებს.²¹ ნიშნულია მხატვრობის მისეული დახასიათება – იგი მიიჩნევს, რომ ეკლესიის მოსახატად ფრესკის ტემპარიტი ოსტატები მუშაობდნენ, ფრესკულ სახეთა ფერები კი ისეთივე მკვეთრი და ცოცხალია, როგორც თავდაპირველად, მოხატვის დროს იქნებოდა. მოხატულობის სტილს იგი ფლორენციული სკოლის ადრეული პერიოდის ნიმუშებს ადარებს. ანისში ავტორის ყოფნისას ეკლესიის მხატვრობა უკვე დაზიანებული ყოფილა.


აბიხი სწვევია „ქართულ ეკლესიასაც“, რომელსაც იგი „ანისის მარგალიტს“ უწოდებს და, როგორც ჩანს, მის კედელზე არსებული რელიეფური კომპოზიციის მიხედვით, ღმრთისმშობლის ხარებისად მიიჩნევს.²² აბიხი მოუხიბლავს ეკლესიის „მშვენიერ სტილს“, რომელსაც იგი ბიზანტიურ მხატვრულ წრეს უკავშირებს. იმხანად მიწისძვრას უკვე სრულად გამოეჩინა ეკლესიის ქვედა სართულზე მდებარე, მშვენივრად ნაგები, სამნაწილიანი კრიპტა. აბიხის ცნო-

სურ. 6. ანისის პანორამა.
პუბლიკაციიდან - Abich 1882



ბით, ეკლესიის დარბაზის გვერდითა (ჩრდილოეთი) კედლის თაღ-ქვეშ განთავსებული იყო უხეშად დამუშავებული, თუმცა კი ძალზე შთამბეჭდავი, რელიეფური გამოსახულება, რომელიც ეტყვს არ ტოვებდა, რომ ეს ქალაქის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საეკლესიო ნაგებობა უნდა ყოფილიყო.

წმ. გრიგოლის ეკლესიის მოხატულობის შესახებ ვრცელი ცნობები მოიპოვება ანდრეი მურავიოვთან, რომელიც ანისს 1846 წელს სწვევია.²³ საქართველოსა და სომხეთში მოგზაურობისადმი მიძღვნილი ორტომეული ნარკვევის მეორე ნაწილში ავტორი საგანგებო თავს უძღვნის ანისის ძეგლებს;²⁴ იგი შედარებით ვრცლად მსჯელობს წმ. გრიგოლის ეკლესიაზე.²⁵ მურავიოვი გამოარჩევს ეკლესიის საფასადო შემკულობას და აღწერს კარიბჭეს, სახელდობრ კარის გასწვრივ არსებულ გამოსახულებებს. მისი მოსაზრებით, იქ წარმოდგენილი ერთ-ერთი კომპოზიცია – მძინარე ფიგურის თავთან გამოსახული დედაღმრთისა და სამი მფრინავი ანგელოზი მის ზემოთ, შესაძლოა, ეკლესიის დაარსების ხატოვანი წინასწარუწყება ყოფილიყო.²⁶ მურავიოვი ფურიებად მიიჩნევს კარიბჭეზე გამოსახულ, გველებზე-



სურ. 7. ანისის რუკა. წიგნიდან - Brosset 1861

მოხვეულ, შიშველ ქალებს და მსჯელობს იმის თაობაზე, თუ როგორ აღმოჩნდა მითოლოგიური სიმბოლოები ქრისტიანულ ტაძარში.

მურავიოვი აღტაცებაში მოუყვანია ეკლესიის შიდა სივრცის ტრადიციულ მართლმადიდებლურ აღნაგობას და კედლის მხატვრობას. იგი ჩამონათვალის სახით იძლევა ცნობებს ფრესკული გამოსახულებების თაობაზე. მურავიოვი უჩვეულოდ მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ სომხეთის დედაქალაქში არსებულ ეკლესიაში ფრესკული წარწერები მხოლოდ ქართულად და ბერძნულადაა შესრულებული, სომხური კი საერთოდ არ გვხვდება. მისი აზრით, ეს საკმაოდ უცნაური იქნებოდა სომხეთის დედაქალაქში, რომ არა




სურ. 8. მარი ბროსე

ტაძრის აღმოსავლეთ ფასადზე ამოკვეთილი წარწერა; ამ წარწერიდან ცნობილი ხდება, რომ ეკლესია აიგო ათაბაგ-ამირსპასალარ შანშეს დროს, 1251 წელს – მაშინ, როდესაც ანისი საქართველოს სამეფოს ფარგლებში იყო მოქცეული.²⁷ მურავიოვის ცნობით, მამის, ზაქარიას გარდაცვალების შემდგომ, მისი ვაჟის, ათაბაგ-ამირსპასალარ შანშეს მეურვეობა უტვირთავს ბიძას, ივანეს, რომელიც მართლმადიდებლად მოექცა მეფეთ-მეფე თამარის დროს და თავისი ძმისწულის სახელზე ააგო ღმრთისმშობლის ტაძარი.

მასალებს ანისის ეპიგრაფიკული ძეგლების თაობაზე პერიოდულად აქვეყნებდა ფრანგი მკვლევარი, რუსეთის საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი მარი ბროსე (სურ. 8).²⁸ მისი პუბლიკაციები, ფაქტობრივად, ნაქალაქარის თაობაზე არსებული უადრესი სამეცნიერო ნარკვევებია. მკვლევრის ნაშრომებში, სხვა საკითხებთან ერთად, აღნუსხული და განხილულია ანისში ქართველთა მკვიდრობასთან დაკავშირებული, ქართული კულტურული მემკვიდრეობის ამსახველი მასალები, სახელდობრ, მხარგრძელთა წარჩინებული საგვარეულოს საქტიტორო მოღვაწეობასთან დაკავშირებულ ძეგლებზე არსებული ეპიგრაფიკული მასალა. თავად ბროსე არასდროს ყოფილა ანისში და იგი ამ მხრივ სხვა მოგზაურთა – სიძველეთა მოყვარულებისა და მკვლევართა – მიერ მოპოვებულ მასალებს ემყარებოდა; ეს მასალები, როგორც წესი, სხვადასხვა სახით ერთვის მის შრომებს.²⁹ ბროსეს პუბლიკაციებისთვის დართულ გრაფიკულ მასალებში, ქალაქის სხვა ნაგებობასთან ერთად, მოტანილია წმ. გრიგოლის ეკლესიის საერთო ხედი და წარწერის ასლი.³⁰ ბროსეს ცნობით, ეს ასლები იულიუს კესტნერის და ნერსეს სარგისიანის მიერ იყო შესრულებული³¹ (სურ. 9, 10 და 11).

ავტორთან მოხმობილი და განხილულია წმ. გრიგოლის ეკლესიის სამხრეთ ფასადზე არსებული, 1215 წლის საქტიტორო წარწე-



სურ. 9. ანისის პანორამა. წიგნიდან – Brosset 1861

რა,³² აგრეთვე მწიგნობართუხუცეს მათეს წარწერა იმავე ტაძრის აღმოსავლეთ ფასადზე.³³ იქვე მოტანილია ეკლესიაში შესასვლელის თავზე ერთ დროს არსებული და მოგვიანოდ საგანგებოდ გადაშლილი, ორ-ორ სტრიქონად განაწილებული ბერძნული და ქართული ფრესკული წარწერები – ციტატები ფსალმუნიდან – რომელთა ტექსტებიც კესტნერს გადმოუწერია.³⁴

ამას გარდა, ბროსემ გამოაქვეყნა და გაშიფრა: საკათედრო ტაძრის სომხური საექიტორო წარწერა, რომელსაც იგი 1213 წლით ათარიღებს;³⁵ ქალაქის დამცავი გალავნის, ე.წ. გაილაძორის კარიბჭის კოშკზე არსებული ბაქარია მხარგრძელისეული სომხური წარწერა, მის მიერ დათარიღებული 1206 წლით³⁶ (სურ. 10 და 11); გალავნის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარე კარიბჭის კოშკზე არსებული სომხური წარწერა;³⁷ 1215 წლის წარწერა;³⁸ ე.წ. ჯუნდკანის წარწერა,³⁹ პარონ აღბუღას – მანდატურთუხუცეს შანშეს შვილისა და ამირსპასალარ ბაქარიას შვილიშვილის – სომხური წარწერა წმ. მოციქულთა ეკლესიაზე სამხრეთიდან მიშენებული გავითის ინტერიერში, მისი დასავლეთი კედლის ჩრდილოეთ კუთხეში;⁴⁰ ქალაქის ცენტრალური შესასვლელის – ე.წ. ლომის კარიბჭის – სომხური წარწერა, შესრულებული ქართველთა მფლობელობის დროს;⁴¹ მანუჩეს მეჩეთის სპარსული იარლიყი და მისი ქართულ-სომხური დამტკიცებები.⁴²

1861 წელს გამოქვეყნებულ ნარკვევში ბროსემ კვლავ გამოსცა ე.წ. ლომის კარიბჭის სომხური წარწერა, რომელიც ნერსეს სარგისიანის მიერ გადმოღებულ ასლს ემყარება.⁴³

წერილობითი წყაროების აღნუსხვის კვალად, ბროსე ყურადღებას ამახვილებდა XII–XIII საუკუნეების ისტორიულ მოვლენებზე და სამოხელეო წყობის ცალკეულ საკითხებზე, სახელდობრ მხარგრძელთა სამფლობელოებზე და მათ ტიტულატურაზე.⁴⁴

ბროსეს შრომებში ჩართულია აღმოსავლეთმცოდნე ნიკოლაი



ხანიკოვის 1848 წელს ანისში მოგზაურობის მასალები. თავის მხრივ, ხანიკოვის ნარკვევში მოტანილია წინამორბედთა – რობერტ კერ პორტერის, რიჩარდ უილბრამის, ქეით ედვარდ ებოტის და სხვათა მოკლე ცნობები ანისის სიძველეების შესახებ. ნაქალაქარის იმ ძეგლთა შორის, რომლებიც ხანიკოვის ნარკვევშია აღნუსხული და მოკლედ განხილული, უნდა აღინიშნოს მანუჩეს მეჩეთის წარწერა-საბუთი ორენოვანი დამტკიცებით.⁴⁵

1864 წელს დავიდ გრიმმა გამოსცა შუა საუკუნეების ქართული და სომხური ძეგლების კატალოგი ანოტაციებითურთ.⁴⁶ კატალოგში



სურ. 10. ანისი, ზაქარიას კოშკი.
საერთო ხედი. წიგნიდან - Brosset 1861

შევიდა მასალები ანისის ორი ძეგლის – საკათედრო ტაძრისა და წმ. გრიგოლის ეკლესიის თაობაზე. გრიმის ცნობით, წმ. გრიგოლის ეკლესია ცნობილი იყო როგორც ღმრთისმშობლის ბერძნული ეკლესია. ნაგებობა აღმოსავლურ-ქრისტიანული საეკლესიო ტრადიციის შესაბამისად, ძველი ტაძრების გეგმარების მიხედვით აიგო. გრიმი ყურადღებას ამახვილებს ეკლესიის მოხატულობაზე, აგრეთვე მის ქართულ-ბერძნულ წარწერებზე. წიგნს ერთვის ტაბულები, სადაც წარმოდგენილია წმ. გრიგოლის ეკლესიის გეგმა, ჭრილი, აღმოსავლეთი და სამხრეთი ფასადების ხედები, აგრეთვე ორნამენტული დეკორის ნიმუშები⁴⁷ (სურ. 12).

ჯონ აშერს ანისში XIX საუკუნის 60-იან წლებში უმოგზაურია. მის ნარკვევში, სხვა მასალებთან ერთად, მოცემულია ცნობები წმ. გრიგოლის ეკლესიაზეც. ავტორი მოკლედ საუბრობს ტაძრის ინტერიერში შემორჩენილი მხატვრობისა და იქ წარმოდგენილი სიუჟეტების შესახებ.⁴⁸

მაქს ფონ თილმანის 1872 წელს კავკასიაში, სპარსეთსა და თურქეთში მოგზაურობის აღწერის მესამე თავი ეძღვნება ანისის ძეგლებს, რომელთა შორისაც ავტორი „ქართული ეკლესიის“ რელი-

ეფებს მოიხსენიებს.⁴⁹ თილმანთან იგი იწოდება როგორც ეკლესია ბიზანტიური ბარელიეფებით – ავტორის აზრით, მათი გადატანა ევროპის რომელსამე მუზეუმში ღირებული იქნებოდა.

რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის დასრულების შემდეგ, მას მერე, რაც ისტორიული სამხრეთი კავკასიის ნაწილი რუსეთის იმპერიის ფარგლებში მოექცა, შესაძლებელი გახდა ამ რეგიონში მოგზაურობა და მისი კულტურული მემკვიდრეობის შესწავლა. სწორედ ამ მიზანს ისახავდა ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე – რუსეთის საიმპერატორო აკადემიის წევრ-კორესპოდენტი, რომელსაც ჯერ კიდევ 1875 წელს ჰქონდა გამოქვეყნებული მასალები ისტორიული ტაო-კლარჯეთის, აგრეთვე ყარსისა და ანისის ქართული სიძველეების შესახებ,⁵⁰ 1879-1881 წლებში კი რამდენჯერმე თავადაც იმოგზაურა ამ მხარეებში.⁵¹


ანისში ბაქრაძე 1881 წლის ექსპედიციის დროს, ორჯერ – 26 ივლისს და 23-26 აგვისტოს იმყოფებოდა. ამ ხნის განმავლობაში მას ნაქალაქარის მრავალი სიძველე აღუწერია, მათ შორის – ქართული ეთნოკონფესიური და კულტურული რეალიების ამსახველი ხუროთმოძღვრული, ფერწერული და ეპიგრაფიკული ძეგლები, სახელდობრ – მანუჩეს მეჩეთის ასომთავრული წარწერა,⁵² წმ. გრიგოლის ტაძარი, მისი მოხატულობა და ფრესკული წარწერების ნაწილი, ათაბაგ შანშე ამილახორის – თაყას საფლავის ქვა წარწერით,⁵³ აგრეთვე ნაგებობის აღმოსავლეთ, სამხრეთ და დასავლეთ ფასადებზე განთავსებული წარწერები. მისი დღიური უაღრესად ფასეული წყაროა ანისის ქართული სიძველეების კვლევისთვის⁵⁴ (სურ. 13, 14 და 15).

1890-იან წლებში რეგიონს ორჯერ სწვევია ბრიტანელი მოგზაური ჰენრი ლინჩი – პირველად 1893-1894 წლებში, მეორედ კი 1898 წელს. მოგზაურობის დროს მის მიერ შესრულებული ჩანაწერები 1901 წელს ერთ წიგნად გამოიცა.⁵⁵





სურ. 11. ანისი, წარწერა ბაქარიას კოშკზე. წიგნიდან – Brosset 1861

სურ. 12. ანისი, წმ. გრიგოლის ეკლესიის რელიეფები. წიგნიდან – Grimm 1864



სურ. 13. დიმიტრი ბაქრაძის საველე დღიური. ხეგ, დ. ბაქრაძის პირადი არქივი, საქმე №32, ფ. 79v



სურ. 14. ფრაგმენტი დიმიტრი ბაქრაძის საველე დღიურიდან, ხეგ, დ. ბაქრაძის პირადი არქივი, საქმე №32, ფ. 80r

ანისში ლინჩი 1893 წელს იმყოფებოდა. მის წიგნში მოცემულია მოკლე ცნობები ნაქალაქარის ტერიტორიაზე არსებული, ქართულ კულტურულ მემკვიდრეობასთან მიმართების ამსახველი, ძეგლების შესახებაც. სახელდობრ, ავტორი ემოციურად აღწერს წმ. გრიგოლის ეკლესიის ხუროთმოძღვრულ იერსახეს, ნაგებობის ფორმებსა და მის რელიგიურ შემკულობას. იგი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ტაძარი საქართველოს სახელმწიფოს მმართველობის ეპოქის არქიტექტურის ნიმუშია. მოგზაური საუბრობს მოხატულობის თაობაზეც – იგი ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ ფრესკები კიდევ უფრო დაზიანდა მას შემდეგ, რაც ეკლესია ტექსიემ, მურავიოვმა და აბიხმა მოინახულეს. ლინჩის აზრით, ფრესკულ სახეებთან არსებული ქართული და ბერძნული განმარტებითი წარწერების არსებობა იმაზე უნდა მეტყველებდეს, რომ ტაძარში ბერძნული ღმრთისმსახურება აღესრულებოდა, თუმცა კი იქვე აღნიშნავს, რომ ტაძარი აიგო სომეხი ქტიტორის მიერ, როგორც სომეხი წმინდანისადმი მიძღვნილი, სომხური მონასტრის ეკლესია.⁵⁶

ლინჩი საუბრობს ტაძრის სამხრეთ ფასადზე არსებული 1215

წლის სადამშენებლო წარწერის შესახებ;⁵⁷ ეხება აღმოსავლეთ ფასადზე არსებულ 1310 წლის წარწერასაც – იგი ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ დასახელებული პერიოდისთვის ქალაქს ჯერ კიდევ მხარგრძელთა გვარის წარმომადგენლები მართავდნენ.

ლინჩი გამოარჩევს ნაქალაქარის „ქართულ ეკლესიას“, როგორც ძალზე მოხდენილს. ანისში მისი ყოფნის დროს ნაგებობა უკვე საგრძნობლად ყოფილა დაზიანებული – კამარაჩამორღვეული ტაძრისგან დარჩენილი იყო ჩრდილოეთ კედელი, საკურთხევლის აფსიდი და სამხრეთი კედლის ნაწილი.⁵⁸

ნაშრომს ერთვის საილუსტრაციო მასალა, მათ შორის – წმ. გრიგოლის ეკლესიის საერთო ხედი, მისი კარიბჭისა და რელიეფის დეტალები,⁵⁹ ტაძრის ჩრდილოეთი კედლის ფოტოები⁶⁰ (სურ. 16).


1903 წელს ანისში არქიტექტორ თოროს თორამანიანთან ერთად იმოგზაურა კარაპეტ ბასმაჯიანმა.⁶¹ ნაქალაქარის არქიტექტურის შესასწავლად ჩასულ მეცნიერს ადგილობრივ ძეგლებზე შემორჩენილი ას ორმოცდასამი წარწერა აღუნუსხავს; ეს მასალები, სხვადასხვა ფორმით, ორი ათწლეულის შემდგომ გამოიცა.⁶²

ბასმაჯიანისთვის განსაკუთრებით შთამბეჭდავი აღმოჩნდა წმ. გრიგოლის ეკლესიის საფასადო რელიეფური დეკორი. ეს ეკლესია, მისი ვარაუდით, ბაგრატუნიანთა დინასტიის დაცემის შემდგომ, 1215 წ. აუგიათ. ნიშნულია, რომ ბასმაჯიანის ანისში ყოფნის დროს ეკლესიაში სომხური ღმრთისმსახურება აღესრულებოდა.

იტალიელი დიპლომატის, ლუიჯი ვილარის წიგნი რუსეთის იმპერიაში, სახელდობრ სომხეთისა და აზერბაიჯანის პროვინციებში მისი მოგზაურობის ანგარიშებს მოიცავს.⁶³ იმ პერიოდში, თურქეთ-სომხეთის 1905-1906 წლების კონფლიქტის შემდგომ, ეს ტერიტორია დავის საგნად რჩებოდა.⁶⁴

წიგნის ერთ-ერთ თავში – „ალექსანდროპოლი და ანისი“, ავტორი ეხება ნაქალაქარის ძეგლებს; მათ შორის აღწერს და მოკლედ ახასიათებს წმ. გრიგოლის ეკლესიის საერთო ხუროთმოძღვრულ სახეს, მისი ფასადების რელიეფურ შემკულობას.⁶⁵ ეკლესიის კარიბჭე, ავტორის დაკვირვებით, უფრო მყარი და მძიმე ნაგებობაა – იგი რამდენადმე მოგვიანოდ უნდა აეგოთ. ვილარი მოკლედ ახასიათებს ეკლესიასა და კარიბჭეში არსებულ ფრესკებს მაცხოვრის, ღმრთისმშობლის და წმინდანთა სახეებით. იგი იმასაც დასძენს, რომ მიუხედავად ნაკლები მხატვრული ღირებულებისა, კარიბჭის ფერწერული დეკორი ეკლესიისა და მისი კარიბჭის საერთო დეკორატიულ ეფექტს აძლიერებს.

ვილარის ცნობით, ეკლესია სამონასტრო კომპლექსის ფარგლებში, სხვა ნაგებობებთან ერთად, აუგიათ ქართველთა მფლობელობის ხანაში, როგორც ამას გვაუწყებს ტიგრან ჰონენცის 1215 წლის სომხური საქტიტორო წარწერა. ავტორს ყურადღება მიუქცევია ეკლესიაში მრავალრიცხოვანი ქართული ან ბერძნული წარწერების არსებობისთვის. ეს გარემოება, მისი აზრით, იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ ეკლესია ბერძნული იყო, თუმცა იქვე ვილარის მოჰყავს ლინჩის მოსაზრება იმის შესახებ, რომ ეკლესია სომეხის მიერ აშენდა, სომეხი წმინდანის სახელზე.



სურ. 15. ფრაგმენტი დიმიტრი ბაქრადის საველე დღიურიდან. ხეც, დ. ბაქრადის პირადი არქივი, საქმე №32, ფ. 80v



სურ. 16. ანისი, წმ. გრიგოლის ეკლესია, კარიბჭე. წიგნიდან - Lynch 1901

* * *

XIX საუკუნის ორმოციანი წლებიდან მოყოლებული, ინტერესი ანისის არქეოლოგიური კვლევისადმი თანდათანობით სულ უფრო ძლიერდებოდა და მიზანმიმართულ ხასიათს იძენდა.⁶⁶ განზრახულის განხორციელება შესაძლებელი გახდა მხოლოდ ათწლეულების შემდგომ, XIX საუკუნის მიწურულიდან მოყოლებული – 1892-1893 და 1904-1917 წლებში, თექვსმეტი სეზონის განმავლობაში, ნიკო მარის ხელმძღვანელობით, ანისში მიმდინარეობდა გეგმაზომიერი არქეოლოგიური გათხრები. ექსპედიციებში მონაწილეობდნენ არქიტექტორი თოროს თორამანიანი, ისტორიკოსი და არქიტექტორი არამ ქალანთარიანი, ისტორიკოსი ნიკოლაი ადონცი, არქეოლოგი და ხელოვნებათმცოდნე იაკობ სმირნოვი, აღმოსავლეთმცოდნე იოსებ ორბელი, ხელოვნებათმცოდნე გიორგი ჩუბინაშვილი და სხვები. ძეგლთა ფოტოფიქსაციას უძღვებოდა არამ ვრუიერი⁶⁷ (სურ. 17 და 18).

ექსპედიციის დღიურებისა და მასალების გარდა, მონაცემებს ანისში განხორციელებული გათხრების თაობაზე მარი საანგარიშო წერილების სახით უგზავნიდა საიმპერატორო არქეოლოგიურ კომისიას. ექსპედიციის თექვსმეტი ანგარიშიდან არქეოლოგიური კომისიის წლიურ შრომებში მხოლოდ 1892, 1893 და 1904 წლის ანგარიშები დაიბეჭდა;⁶⁸ მარის მიერ შედგენილი საანგარიშო წერილების ნაწილი, ისევე როგორც ანისის გათხრებთან დაკავშირებული მისი ანგარიშები და მიმართვები სანკტ-პეტერბურგის სომხური ეკლესიების საბჭოსადმი, საარქივო მასალების საფუძველზე, ათწლეულების შემდეგ გამოიცა.⁶⁹

ამას გარდა, ნაქალაქარის არქეოლოგიური კვლევის შედეგები, მარის ავტორობით, 1892-1934 წლებში გამოქვეყნებულ სხვადასხვა ნაშრომში შევიდა;⁷⁰ თორმეტი სეზონის განმავლობაში, სახელდობრ 1892-1893 და 1904-1913 წლებში, განხორციელებული არქეოლოგიური გათხრებისას მოპოვებული მასალები წარმოდგენილია მარის მონოგრაფიაში, რომელიც მისი გარდაცვალების წელს გამოიცა.⁷¹

ანისის პირველ და მეორე ექსპედიციებს უმეტესად დაზვერვითი ხასიათი ჰქონდა; იმხანად, გათხრების შედეგად, დადგინდა ძველი ქალაქის საზღვრები,⁷² გამოვლინდა მისი ისტორიისთვის საგულისხმო არაერთი მონაცემი (სურ. 19 და 20).

პირველი სეზონის განმავლობაში, 1892 წელს, გათხრები დაიწყო მაცხოვრის ეკლესიის აღმოსავლეთ კედელთან – გაიწმინდა მომცრო ნაგებობის ნაშთები, განსასვენებელთან ერთად (XI ს.).⁷³ ნაქალაქარის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში გაითხარა ბახტაგეკის წმ. გრიგოლის ეკლესია,⁷⁴ სადაც აღმოჩნდა ფრესკების (ღმრთისმშობლის, წმ. გრიგოლისა და სხვა წმინდანთა სახეები) და რელიეფების (არწივის, კურდღელის და ფარშევანგის ფიგურები, წმინდანების გამოსახულებები და სხვა) ფრაგმენტები, აგრეთვე ლაპიდარული წარწერა. მარი საგანგებოდ აღნიშნავდა, რომ რელიეფურ ორნამენტთა ისეთი უხვი რაოდენობა, რაც ბახტაგეკის წმ. გრიგოლის ეკლესიის გათხრებისას გამოვლინდა, არც ანისში და არც სხვაგან მანამდე დადასტურებული არ ყოფილა.

ექსპედიციის მუდმივი წევრების გარდა, ნაქალაქარის ძეგლთა



სურ. 17. ნიკო მარი ანისში ექსპედიციის წევრებთან და სტუმრებთან ერთად. პირველ რიგში, მარჯვნიდან პირველი – ივანე ჯავახიშვილი. ნ. მარის ფოტოარქივი

კვლევაში მონაწილეობდნენ მოწვეული სპეციალისტები. ნიკოლაი სიხოვი, ანისში მუშაობისას, ბახტაგეკის წმ. გრიგოლის ეკლესიის და ტიგრან ჰონენცის საფასით აგებული წმ. გრიგოლის ტაძრის ფრესკებს იკვლევდა. მისი კვლევის შედეგები მხოლოდ ერთ ნაბეჭდ ნარკვევში აისახა⁷⁵ – ეს ნარკვევი შემდგომში მისი რჩეული ნაშრომების ერთტომეულში შევიდა.⁷⁶

ბახტაგეკის წმ. გრიგოლის ეკლესია ნანგრევების სახით შემორჩა; მიუხედავად ამისა, იმთავითვე ნათელი შეიქნა, რომ მიკვლეული ნაშთების მიხედვით მისი თავდაპირველი იერსახის აღდგენა შესაძლებელი იყო.⁷⁷ სიხოვი აღნიშნავს, რომ ეკლესია გეგმითა და აღნაგობით ფაქტობრივად იმეორებს ტიგრან ჰონენცის საფასით აგებული წმ. გრიგოლის ტაძრის ფორმებს – ორივე ნაგებობა წარმოადგენს ცენტრალურ-გუმბათოვანი ტაძრის იმ სახესხვაობას, რომელიც შედარებით ნაკლებად იყო ცნობილი საქართველოში, X-XI საუკუნეების სომხეთში კი – ფართოდ გავრცელებული (იგულისხმება ე.წ. გუმბათიანი დარბაზის ტიპი – Kuppelhalle).

ეკლესიის მოხატულობის ფრაგმენტები, სიხოვის დაკვირვებით, სტილური ნიშნებითა და ფერადოვანი გამით ახლოს დგას X-XI საუკუნეების ბიზანტიური ფერწერის ნიმუშებთან.⁷⁸ მკვლევარი ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ მოხატულობები ანისში მწირადაა შემონახული – ამ მხრივ გარკვეულ გამონაკლისს წარმოადგენს


ტიგრან ჰონენცის მიერ აგებული წმ. გრიგოლის ეკლესია და მაცხოვრის ტაძარი. შემორჩენილი ფრესკები შესრულებულია al secco-ს ტექნიკით, იმ მუქი ლურჯი ტონალობით, რაც ქართული კედლის მხატვრობისთვისაცაა დამახასიათებელი. ამასთანავე, ავტორი ხაზს უსვამს წმ. გრიგოლის ეკლესიის კარიბჭის XIII საუკუნეში შესრულებული ფრესკების შედარებით მკვეთრი ფერადოვნების თანაგვარობას 1892 წელს გათხრილი ეკლესიის მოხატულობის ფრაგმენტების კოლორიტთან. შესაბამისად, სიჩოვის მითითებით, ბახტაგეკის ეკლესიის მხატვრობიდან შემორჩენილი სახეები მნიშვნელოვანია წმ. გრიგოლის ეკლესიის კარიბჭის მოხატულობის სტილური მახასიათებლების შესაცნობად. თავის მხრივ, ეს გარემოება, ავტორის აზრით, იმაზე მიანიშნებს, რომ XIII საუკუნის დასაწყისისთვის სომხეთში შექმნილ ფრესკებში ჩნდება ახალი მხატვრული მიმდინარეობა, რომელიც საგრძნობლად შორდება ადგილობრივ ტრადიციას და თანადროული ფერწერის საუკეთესო საშუალებებს იყენებს.

მეორე სეზონზე, 1893 წლის ექსპედიციის დროს, გაითხარა ანისის დამცავი, ე.წ. „მცირე კედლები“, რომლებიც ნაქალაქარის ცენტრში, მინარეთთან აღმოჩნდა. მარის ვარაუდით, ეს კედლები, მეფე აშოტ IV-ის დროს, 964 წელს იყო აგებული. ისინი მიჯნავდნენ ძველ ქალაქს იმ ნაწილისაგან, რომელიც მოგვიანებით გაშენდა და ასევე კედლებით შემოსაზღვრა.⁷⁹

ამის შემდგომ, მხოლოდ თერთმეტწლიანი შუალედის შემდეგ, 1904 წლიდან მიეცა მარს შესაძლებლობა – კვლავ განეახლებინა არქეოლოგიური გათხრები ანისში და თოთხმეტი სეზონის განმავლობაში, 1917 წლამდე, რეგულარულად განეხორციელებინა სავსე სამუშაოები. იმხანად, ექსპედიციის ხელმძღვანელობის დაბეჯითებითი მცდელობით, აიკრძალა ნაქალაქარის ტერიტორიის გამოყენება საძოვრებად, აიგო სიძველეთსაცავის შენობა.⁸⁰ ყოველივე ეს საშური იყო ანისის – რეგიონის კულტურული მემკვიდრეობის ერთ-ერთი გამორჩეული ძეგლისა და ასწლეულების მანძილზე სხვადასხვა კულტურათა – სომხურის, ქართულის, ისლამურის, ბიზანტიურის – შეხვედრების სწორუპოვარი ადგილის – გადასარჩენად.⁸¹

თერთმეტწლიანი წყვეტილის შემდეგ, 1904 წელს, ექსპედიციას ანისში მნიშვნელოვანი დაზიანებები დახვდა: ჩამონგრეული იყო „ქართული ეკლესიის“ სამხრეთი მინაშენისგან დარჩენილი წყობა, აგრეთვე ქვედა სართულის მნიშვნელოვანი ნაწილი (სურ. 21); დაინგრა მანუჩის მეჩეთის დასავლეთი კედელი სპარსული წარწერა-საბუთით და მისი ქართული და სომხური დამტკიცებით; ექსპედიციის მიერ გაწმენდილი ხამბუშენცის ღმრთისმშობლის ეკლესიის კედლებიდან გამოღებული იყო სვეტები; ჩამორღვეული იყო აშოტისეული გალავნის ერთ-ერთი კოშკის პერანგი; დაზიანდა და ნაწილობრივ გაიფანტა ბახტაგეკის წმ. გრიგოლის ეკლესიის კუთვნილი ფრესკებიანი ქვები; ასევე დაიღუპა ნაწილი წარწერებისა, რომლებიც 1892-1893 წლების გათხრებისას იქნა აღმოჩენილი.⁸²

1904 წლიდან ანისში მარის ხელმძღვანელობით დაიწყო ფართომასშტაბიანი არქეოლოგიური გათხრები. ეს რიგით **მესამე არქეოლოგიური სეზონი** იყო. გაითხარა ნაქალაქარის ცალკეული მონაკ-



ვეთები, სახელდობრ ღარიბი უბანი,⁸³ მიწისქვეშა ანისის ნაწილი.⁸⁴ აღმოჩნდა ორნამენტული ქვები და სომხური წარწერები.⁸⁵ მათ შორის გამორჩეულ ყურადღებას იმსახურებს სომხური წარწერა, რომლის ხუთი ქვაც მაცხოვრის ტაძრის სიახლოვეს, ე.წ. ჭადრაკული ეკლესიის კედლის წყობაში იყო ჩართული – წარწერის ტექსტში მოიპოვება ცნობა ქართველთა მმართველობის შესახებ.⁸⁶ წარწერის სხვა ფრაგმენტები მოგვიანებით იქვე, სხვადასხვა ადგილას აღმოჩნდა. ლაპიდარულ ტექსტში საუბარია ეკლესიის მშენებლობაზე მწყემსმთავრობისას კათოლიკოსისა, რომლის სახელი არ შემორჩა, გეობისას ქართველი მეფისა, რომლის სახელი ასევე დაკარგულია. შემორჩენილი ფრაგმენტების შინაარსობრივი ურთიერთმიმართების შესაბამისად განთავსებამ შესაძლებელი გახადა აღდგენილიყო წარწერის ტექსტის მონაკვეთი – „ქართველებზე და სომეხებზე მბრძანებლობისას“. ამასთანავე, გამოითქვა მოსაზრება ამ მონაკვეთის ორგვარი გააზრების თაობაზე: პირველის მიხედვით, ტექსტში უნდა იგულისხმებოდეს საქართველოს სამეფოს მფლობელობა, რომელიც მოიცავს, XII საუკუნიდან მოყოლებული, საკმაოდ ვრცელ პერიოდს; მეორე შეიძლება გულისხმობდეს სომეხ მეფეთა მმართველობის დროს, რადგან მათ ტიტულატურაში ასევე მოიხსენიებიან ქართველი ქვეშევრდომები. მარის დაკვირვებით, წარწერის მდებარეობა, მისი სამშენებლო მასალად გამოყენება ცხადყოფს, რომ ანისში არ ყოფილა განსაკუთრებული პატივიგება სიძველეებისადმი, განურჩევლად მათი კუთვნილებისა.

1905 წელს, **მეთხე სეზონში**⁸⁷ დაიწყო მეფე გაგიკ I-ის (989-დაახლ. 1017/20 წწ.) მიერ 1001-1010 წლებში აგებული ტაძრის გათხრები.

სურ. 18. ნიკო მარი ანისში ექსპედიციის წევრებთან და სტუმრებთან ერთად. ნ. მარის ფოტოარქივი



სურ. 19. ანისის გათხრები.
ნ. მარის ფოტოარქივი

ნანგრევებადქცეული ნაგებობის გაწმენდისას გამოვლენილ მრავალრიცხოვან არქიტექტურულ დეტალებს შორის გამორჩეული მნიშვნელობისა იყო ქტიტორი მეფის ქანდაკება, რომელმაც იმთავითვე მიიპყრო სამეცნიერო წრეების ყურადღება. იმავე წელს გამოქვეყნდა მარის სტატია ანისის წმ. გრიგოლის ეკლესიაში წმ. ნინოს და მეფეთ-მეფე თამარის ფრესკული გამოსახულებების შესახებ.⁸⁸ ნარკვევში აღნიშნულია, რომ საქართველოს სამეფოს მფლობელობის ხანიდან ანისში მონუმენტური ფერწერის რამდენიმე ნაშთი დარჩენილა, მათ შორის – წმ. გრიგოლის ეკლესიის მხატვრობა. მკვლევრის მითითებით, ეკლესიის სახელდება *სურათოვანი ეკლესია* ან *ბერძნული ეკლესია* „ცოტა არ იყოს, უცოდინარობაზე არის დამყარებული და ეხლა გარეგნივ დასახასიათებლადაც უვარგისი გახლავს“. ივარაუდება, რომ *ბერძნული*, შესაძლოა, გულისხმობდეს ეკლესიის მფლობელთა აღმსარებლობას, კერძოდ ქალკედონურ მართლმადიდებლობას – ასეთ შემთხვევაში გასაგები ხდება მხატვრობის არსებობა, რომელიც ქალკედონური მართლმადიდებელთათვის უფრო მისაღებია, ვიდრე სომხური ეროვნული ეკლესიისათვის. მარის აზრით, ეჭვგარეშეა, რომ გარკვეულ დროს – სავარაუდოდ, მისი აგებისთანავე – ამ ეკლესიას ქართველები ფლობდნენ; ამას მოწმობს ფრესკების ქართული წარწერები, ქვაჯვარი ქართული წარწერით ეკლესიის დასავლეთ კედელზე, ეკლესიაში არსებული საფლავები ქართული ეპიტაფიებით, აგრეთვე წმ. ნინოს და მეფეთ-მეფე თამარის ფრესკული სახეები. მეფე თამარის გამოსახულებად მარი ტაძრის დასავლეთი კარიბჭის ჩრდილო-დასავლეთ კუთხესთან, დასავლეთ-

თი კედლის თაღს ზემოთ წარმოდგენილ ფიგურას მიიჩნევდა. ფიგურისა და მის გარშემო იმხანად შემორჩენილი (აშკარად *განკითხვის დღის* კომპოზიციის კუთვნილი) გამოსახულებების მარისეული აღწერა იმ მხრივაც ფასეული, რომ ფერწერის ფრაგმენტები ნაგებობის ამ ნაწილში ამჟამად ბევრად ფრაგმენტული სახითაა შემორჩა და თითქმის აღარ გაირჩევა.

ანისის წმ. გრიგოლის და ბახტაგეკის ეკლესიებს არქიტექტურის ისტორიისთვის გამორჩეულად საინტერესო ძეგლებად მიიჩნევს კონსტანტინე ლეონტიევი, რომელიც ზედმიწევნით აღწერს წმ. გრიგოლის ტაძრის ფასადების დეკორს. ავტორი ტაძრის კარიბჭის ორნამენტს რომანულ და ბიზანტიურ ნიმუშებს უკავშირებს. პუბლიკაციაში წმ. გრიგოლის ეკლესია სომხური ხუროთმოძღვრების სრულქმნილ ნიმუშად, მისი ინტერიერის მამკობი ფრესკები კი ბიზანტიური ფერწერის გაუწაფავ ასლად სახელდება.⁸⁹

1906 წელს, **მეხუთე სეზონში**, სამოსახლოების გათხრისას მიკვლეულ მრავალრიცხოვან ნუმისმატიკურ მასალაში უმეტესად ბიზანტიური და ქართული, აგრეთვე არაბულ წარწერებიანი მონეტები აღმოჩნდა.⁹⁰ იმხანად დასრულდა გაგიკ I-ისეული ეკლესიის გათხრები და დაიწყო სამუშაოები ქალაქის კედლებს გარეთ,⁹¹ კლდეში ნაკვეთ ქვაბებში. ექსპედიციის მიერ მოპოვებული მასალების საფუძველზე მარი ხაზს უსვამდა ანისის მნიშვნელობას როგორც სომხეთის ისე, საზოგადოდ, ამიერკავკასიის ისტორიისა და კულტურისთვის.⁹²

ექსპედიციის მსვლელობისას, მხატვარმა სერგეი პოლტორაკიმ შეასრულა წმ. გრიგოლის ეკლესიის მოხატულობის ფერწერული ასლები,⁹³ ესაა აქვარელით შესრულებული ცხრამეტი ნახატი, რომელთა უმეტესობაც წმ. გრიგოლის ცხოვრების ციკლის სცენებს აღბეჭდავს.⁹⁴

სეზონის განმავლობაში განხორციელებული სამუშაოების ანგარიშში მარი ეხება სომხეთში კედლის მხატვრობის არსებობის საკითხს.⁹⁵ ადგილობრივ ეკლესიებში ფრესკების არსებობაზე ყურადღების გამახვილებისას, იგი საჭიროდ მიიჩნევს იმის გარკვევას, თუ რომელ აღმსარებლობით გარემოს უნდა დაუკავშირდეს წმინდა გამოსახულებათა თაყვანისცემა – ყველას თუ მხოლოდ ქალკედონურს. სწორედ ქალკედონურ გადმოცემებთან მიმართებით განიხილავს იგი სომხეთის განმანათლებლის ცხოვრების ციკლს, რომელიც წმ. გრიგოლის "ნახევრად ქართული და ნახევრად სომხური" ეკლესიის მოხატულობაშია წარმოდგენილი. ამ ციკლს მარი უკავშირებდა სომხეთის გაქრისტიანების ისტორიის იმ არაბულ ვერსიას, რომელიც სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტრის წიგნთსაცავში აღმოჩნდა და რომელსაც იგი ქალკედონურ წრეში შექმნილად მიიჩნევდა.⁹⁶

ამასთან დაკავშირებით მარი ერთ-ერთ უმთავრეს არგუმენტად მოიხმობდა წმ. გრიგოლის ცხოვრების ციკლში წარმოდგენილ სცენას, სადაც, მისი დაკვირვებით, უნდა გამოესახათ მეფე თრდატი, აფხაზ, ქართველ და აღან მეფეებთან ერთად. ამასთანავე, მარი ყურადღებას ამახვილებს წმ. ნინოს სახეზე, რომელიც იქვე, ცხოველმყოფელი სვეტის სასწაულის ამსახველ სცენაშია წარმოდგენილი.



სურ. 20. ნიკო მარის შვილები ანისურ კარასებში. ნ. მარის ფოტოარქივი



სურ. 21. ანისი, „ქართული ეკლესია“.
დ. ერმაკოვის ფოტოკოლექცია

მარის თვალსაზრისი წმ. გრიგოლის ცხოვრების ციკლის მიმართებაზე სომხეთის გაქრისტიანების ისტორიის ქალკედონურ ვერსიასთან შემდგომში უცვლელად მეორედბოდა მის სხვადასხვა პუბლიკაციაში, მათ შორის – წიგნში ანისის სიძველეების შესახებ.⁹⁷

1907 წლის **მეექვსე სეზონზე** ითხრებოდა ბაგრატუნიანთა სასახლე; გრძელდებოდა არქეოლოგიური კვლევა-ძიება ყარსის კარიბჭესთან, ქალაქის შიდა და გარე კედლებს შორის, აგრეთვე მანუჩეს მეჩეთთან. საგულისხმო დასკვნების საწინდარი აღმოჩნდა წაღკოცადორის ხეობის გამოქვაბულთა შესწავლა – მიკვლეულ იქნა ტიგრან ჰონენცის მოხატული დასაკრძალავი.⁹⁸

სეზონის განმავლობაში მოპოვებული მასალები შევიდა სიძველეთა რეესტრში, რომელიც იმხანად მარმა გამოსცა.⁹⁹ პუბლიკაციაში წარმოდგენილია ნაქალაქარის ზედაციხეზე, ყარსის კარიბჭესთან და მანუჩეს მეჩეთთან, აგრეთვე გუმნის დასახლებაზე განხორციელებული გათხრებიდან მოპოვებული არქიტექტურული დეტალები და წარწერები, ისევე როგორც შენაძენი და შემთხვევით ნაპოვნი სიძველეები.

იმ წელს განათხარი ან ნაპოვნი არქიტექტურული ფრაგმენტების რიგში ყურადღებას იქცევს რელიეფი ცხოველის გამოსახულებით – მარი მას სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძრის დასავლეთი კარიბჭის სამხრეთი ფასადის რელიეფს ადარებს.¹⁰⁰ საგულისხმო ჩანს ანისის სიძველეთა მუზეუმში დაცული ნაღესობის ფრაგმენტი სასახლის დარბაზიდან, ქართული წარწერის ორსტრიქონიანი ნაშთით – 𐌕𐌸[...]| 𐌕𐌸, აგრეთვე წმ. მინას ეკლესიის ინტერიერში შე-

მორჩენილი ნაკაწრი ქართული ტექსტის ფრაგმენტი, სადაც იკითხებოდა – **ქუჩა**.¹⁰¹

იმავე წელს, წმ. მოციქულთა ეკლესიის მახლობლად, დაიწყო სასტუმრო სათავსების გათხრა.¹⁰² ჯერ კიდევ წლის დასაწყისში შემთხვევით ნაპოვნი, ქვაში გამოქანდაკებული, ფრთოსანი სფინქსის გამოსახულება თოროს თორამანიანმა მეფეთ-მეფე თამარის სიმბოლოდ მიიჩნია და ივარაუდა, რომ ნაგებობა ბაქარია მხარგრძელის ან მეფე თამარის სასახლის ნაწილი იყო. მალე მიკვლეულ იქნა ფრთოსანი სფინქსის კიდევ ერთი გამოსახულება. გაჩნდა ვარაუდი, რომ ეს ორი გამოსახულება ნაგებობის ჩრდილოეთ პორტალზე, კარის ღიობის თავზე, ერთმანეთის პირისპირ უნდა ყოფილიყო განთავსებული. ცხოველთა სახეები ამკობდა სამხრეთ პორტალსაც – იქ ლომების და ურჩხულთა წყვილი ფიგურები განუთავსებიათ. ცხადი შეიქნა, რომ მსჯელობა ფრთოსანი სფინქსის რელიეფზე, როგორც მეფე თამარის სიმბოლოზე, საფუძველს მოკლებული უნდა ყოფილიყო – ცხოველთა სახეები შენობის პორტალთა დეკორატიული შემკულობისთვის იყო გამიზნული. თავდაპირველად ივარაუდებოდა, რომ ნაგებობა ბაქარია მხარგრძელისა თუ არა, რომელიმე მდიდარი ანელი მოქალაქის სასახლე უნდა ყოფილიყო; თუმცა, მოგვიანებით, სათავსთა განთავსების გათვალისწინებით, გამოითქვა ვარაუდი, რომ შენობა სასტუმროს წარმოადგენდა.

როგორც უკვე აღინიშნა, 1904 წელს მანუჩეს მეჩეთში მოეწყო ანისის სიძველეთა მუზეუმი, სადაც, ძირითადად, წარწერიანი ქვები და დიდი ზომის არქიტექტურული ფრაგმენტები იქნა განთავსებული. მოგვიანოდ, 1907 წელს, შედგა ახალი, უფრო მასშტაბური მუზეუმის პროექტი, თუმცა სახსრების არარსებობის გამო, თავდაპირველი პროექტი შეიცვალა – გადაწყდა უფრო მოკრძალებული შენობის აგება. მშენებლობა 1908 წელს, **მეშვიდე სეზონში**, მიმდინარეობდა და სექტემბრის პირველ რიცხვებში დასრულდა,¹⁰³ თუმცა ნივთების ნაწილი ძველი მუზეუმიდან ახალ შენობაში 1909 წელს, **მერვე სეზონის** დასაწყისში გადაიტანეს. იმავე წლის 20 აგვისტოს, ახალი მუზეუმი დამთვალეირებლებისათვის ოფიციალურად გაიხსნა¹⁰⁴ (სურ. 22).

1907-1908 წლებში, ძირითადად, ზედაციხის სამეფო სასახლე ითხრებოდა.¹⁰⁵ ასევე გაიწმინდა სასახლის აღმოსავლეთით მდებარე ე.წ. გუმბათიანი დარბაზის ტიპის ეკლესია, რომელიც შელესილი და მოხატული ყოფილა; გათხრების პროცესში მრავლად აღმოჩნდა შელესილობის ფრაგმენტები საღებავის კვალით (რომელიც, შესაძლოა, გვიანდელი ყოფილიყო). გათხრების შედეგად გაირკვა, რომ ეკლესია ორსართულიანი იყო – პირველი სართულის დონეზე მოწყობილი დასაკრძალავით. ნაქალაქარის ამ ნაწილის უხვ ნივთიერ მასალაში ყველაზე ფასეული აღმოჩნდა ინტერიერის მორთულობის არქიტექტურული დეტალები; სახელდობრ, მიკვლეულ იქნა როგორც შელესილობის ფრაგმენტები ფერწერის ფენით, ისე ხის ფრაგმენტები კვეთით და ფერით შესრულებული დეკორით. ამ ფრაგმენტებზე ყურადღებას იქცევს ცხოველთა და ფრინველთა სახეები მცენარეულ ფონზე. მარის დაკვირვებით, მოგვიანებით, XII-XIII საუკუნეებისთვის, ანისში ეს მოტივები სამოქალაქოდან საეკლესიო



სურ. 22. ანისის სიძველეთა მუზეუმი.
ნ. მარის ფოტოარქივი

ნაგებობებზე ინაცვლებს, მართლმადიდებლურ ეკლესიათა თაღნარით გაფორმებულ ფასადებს ამკობს და თავისებურ სიმბოლურ ან დეკორატიულ რიგებს ქმნის.¹⁰⁶

ნაქალაქარის ზედაციხის სასახლის დარბაზებში 1908 წელს განხორციელებული გათხრების შედეგად, ბათქაშით გამოყვანილი და ფერწერით შესრულებული მორთულობის ფრაგმენტებთან ერთად, აღმოჩნდა კვეთილი ორნამენტით შემკული ხის დაფები. ერთ-ერთი დაფის მამკობი მოტივი, რომელიც წრეებისა და ოთხკუთხედების წნულისგანაა შედგენილი, მარის მითითებით, მიღებული და დამკვიდრებული იყო როგორც სომხურ და ქართულ საეკლესიო ნაგებობათა არქიტექტურულ დეკორში, ისე ქართული ხატების ორნამენტულ მოჩარჩოებაში; ასეთად ავტორი ასახელებს სვანეთში არსებულ ხატებს.¹⁰⁷

ზედაციხის სასახლის გათხრებისას აღმოჩენილ, მუზეუმში დაცულ, ხის ერთ-ერთ მოხატულ ფრაგმენტზე (საინვ. №08.N16) იკითხებოდა ქართული ასო F^{108} (ან, სავარაუდოდ, F). იმავე სასახლის ბაზილიკური დარბაზის ნაღესობის ფრაგმენტებზე მიკვლეულ იქნა ქართული, სომხური და არაბული ნაკაწრი წარწერები.¹⁰⁹

იოსებ ორბელისეულ კატალოგში მოიპოვება მონაცემები ანისში ნაპოვნი მონეტების შესახებ – მათი უდიდესი უმრავლესობა სპილენძისა იყო, ძირითადად ბიზანტიური; ამ მასალის მხოლოდ ნაწილია ისლამური, აგრეთვე ქართული – მათ შორისაა დავითისა და რუსუდანის მონეტები.¹¹⁰

ცნობილია XIII-XIV საუკუნეების ანისის ადგილობრივ მმართველთა – მხარგრძელების საგვარეულოს წარმომადგენელთა – მონეტებიც. ეს მმართველები ხან ქართველთა, ხან კი მონღოლთა ქვეშევრდომები ყოფილან. შესაბამისად, მათ მიერ მოჭრილ ფულზე სრულდება როგორც მონღოლური ისე არაბული ზედწერილები ანელი წარჩინებულის გამოსახულებით, რომელიც აღმოსავლურად მის.¹¹¹ ფიგურის გვერდით, ორივე მხარეს ერთი ან ორი ასოა გამოყვანილი, რომლებიც, მარის დაკვირვებით, ძალიან ჰგავს ქართულ თუ სომხურ დამწერლობას. ნათელია ერთი რამ – XIII-XIV საუკუნეებისთვის ადგილობრივი ხელისუფალნი ქრისტიანები ყოფილან, რაზეც მეტყველებს მათ მიერ მოჭრილ მონეტებზე არსებული არაბული ზედწერილი – „სახელითა მამისა, ძისა და სულიწმიდისა“.

1909 წლის არქეოლოგიური ექსპედიციის პროცესში, მანუჩეს მეჩეთის მიმდებარე უბანზე აღმოჩნდა მეჩეთის სპარსულ-არაბულ ქართულ-სომხური წარწერის ფრაგმენტები.¹¹²

მეცხრე სეზონზე, 1910 წლის ზაფხულში, არქეოლოგიური ექსპედიცია რამდენიმე უბანზე მუშაობდა.¹¹³ გათხრებიდან თავისუფალ დროს, მარი დაკავებული იყო „ქართული ეკლესიის“ სამხრეთ ფასადზე არსებული, ერთ დროს ვრცელი, იმ ხანად კი უკვე ფრაგმენტული, ქართული წარწერით – ეპიგრაფიკული საბუთით, რომელიც ადგილობრივი წარჩინებული მოქალაქის, პარონ საჰმადინის მიერ 1288 წელს იქნა შესრულებული.¹¹⁴ დაზიანებული ტექსტის ნაკლები ნაწილების მოსაძიებლად გადაწყდა ეკლესიის გარშემო არქეოლოგიური გათხრების ჩატარება. იმავე წლის აგვისტოში, ნანგრევების გაწმენდისას, მრავლად აღმოჩნდა ქართულწარწერიანი ქვები, რომელთა მცირე ნაწილი, შესაძლოა, საჰმადინის წარწერას ეკუთვნოდა. რაც მთავარია, განხორციელებული სამუშაოები გახდა საფუძველი კავკასიოლოგიისათვის ძალზე მნიშვნელოვანი აღმოჩენისა – მიკვლეულ იქნა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ეტიფანეს 1218 წლის ქართული ეპიგრაფიკული საბუთი, რომელიც ერთ დროს ეკლესიის სამხრეთ ფასადზე, საჰმადინის წარწერის დასავლეთით იყო ამოკვეთილი.¹¹⁵ საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავრის ეპიგრაფიკულ საბუთს ბოლოში ახლავს ანისის სომხური სამწყსოს ეპისკოპოსის, გრიგორის და ქალაქის ამირას, ვაჰრამის სომხურად შესრულებული დამტკიცება. მარი ამ გარემოებას საგანგებო ყურადღებას მიაქცევდა და ხაზს უსვამდა მის მნიშვნელობას ანისის ისტორიისთვის.¹¹⁶ ამასთანავე, მკვლევარი ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავარი ანისში ქართული ეკლესიების საკურთხებლად ჩასულა. მისი აზრით, გარდა „ქართული ეკლესიისა“, აღმსარებლობით ქართულად, ანუ ქალკედონურად, ასევე მიჩნეულ უნდა იქნას წმ. გრიგოლის ეკლესია, რომელიც 1215 წელს ადგილობრივი მოქალაქის, ტიგრან ჰონენცის საფასით აიგო (სურ. 23).¹¹⁷

იმხანად ყარსის კარიბჭესთან განსაკუთრებით მრავლად აღმოჩნდა ისრები სხვადასხვა ფორმის თავებით.¹¹⁸ ამასთან დაკავშირებით ყურადღება მიექცა იმ გარემოებას, რომ ისრის თავის ყველა ამ სახესხვაობას, სულხან-საბა ორბელიანის მიხედვით, ქართულ



სურ. 23. ანისი, წმ. გრიგოლის ეკლესია.
დ. ერმაკოვის ფოტოკოლექცია

ენაზე თავისი დასახელება აქვს. ივარაუდება, რომ მსგავსი სურათი უნდა ყოფილიყო სომხურშიც.

1910 წელს გამოქვეყნებულ ნარკვევში მარი ხაზს უსვამს ანისის, როგორც სომეხთა, ქართველთა და სპარსელთა თანაცხოვრების ადგილის არქეოლოგიური შესწავლის მნიშვნელობას და ანისში არქეოლოგიური ინსტიტუტის დაარსების აუცილებლობაზე საუბრობს.¹¹⁹ იგი თხოვნით მიმართავდა საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიას ამ იდეის მხარდასაჭერად, რათა გაგრძელებულიყო სისტემატური გათხრები, მასალის კვლევა და დაცვა,¹²⁰ ხოლო მიკვლეული მასალებიდან ფასეული და განსაკუთრებული სამეცნიერო მნიშვნელობის მქონე ნიმუშები სახელმწიფო დაწესებულებებში ყოფილიყო გადატანილი. ნარკვევს ერთვის ანისში 1910 წლამდე განხორციელებული არქეოლოგიური ექსპედიციების განმავლობაში შესრულებული სამუშაოების მოკლე ჩამონათვალი და ექსპედიციებთან დაკავშირებული პუბლიკაციების სია.¹²¹

იმავე წელს გამოქვეყნდა ანისის ნაქალაქარის მოკლე გზამკვლევი, რომელიც ექსპედიციის ერთ-ერთმა მონაწილემ, იოსებ ორბელმა შეადგინა.¹²² გზამკვლევი ნაქალაქარის მნახველთათვის იყო განკუთვნილი; იგი მოიცავს მოკლე ინფორმაციას ანისის ძეგლებისა და ღირსშესანიშნაობების შესახებ – მოცემულია მათი აღწერები, მოკლე ისტორიული ცნობები და სხვადასხვა სახის რჩევები ვიზიტორებისათვის.¹²³

გზამკვლევში ჩართულია მასალები „ქართული ეკლესიის“ შესახებ¹²⁴ – იმხანად ნაგებობა შედარებით კარგად იყო შემორჩენილი.

მოკლედ და აღწერილი ნაგებობის ხუროთმოძღვრული სახე, რელიეფები, ეპიგრაფიკა (სახელდობრ, ვრცელი ქართული წარწერა, რომელსაც ავტორი 1320 წლით ათარიღებს).

1892 წელს გათხრილი ბახტაგეკის წმ. გრიგოლის ეკლესიის აღწერისას გზამკვლევაში ყურადღება გამახვილებულია მის მდიდრულ რელიეფურ შემკულობაზე, რომლის რეპერტუარიც ტიგრან ჰონენცის საფასით აგებული წმ. გრიგოლის ტაძრის დეკორის თანაგვარია.¹²⁵ ავტორის მითითებით, ამ ეკლესიებს ისიც აახლოვებს, რომ ერთ დროს ორივეს ინტერიერი შემკული იყო მაღალი მხატვრული ღირსებებით გამორჩეული ფრესკებით.

ნაქალაქარის სიძველეთა შორის ტიგრან ჰონენცისეული ეკლესია გზამკვლევაში ერთ-ერთ საუკეთესო ძეგლად სახელდება.¹²⁶ პუბლიკაციაში მოცემულია ცნობები მის შესახებ, ისევე როგორც მისი საფასადო დეკორისა და ინტერიერის მამკობი ფრესკების, მათ შორის – წმ. გრიგოლის ცხოვრების ციკლის სცენების თაობაზე.¹²⁷ მითითებულია, რომ ფრესკები უფრო ახლოა სომხეთის განმანათლებლის ცხოვრების ქალკედონურ ვერსიასთან, ვიდრე ეროვნულ სომხურთან – ამასთან მიმართებით დამოწმებულია ეკლესიის საკურთხეველში გამოსახული *ბიარების* სცენა.

გზამკვლევაში აღნიშნულია, რომ მოხატულობა ეკლესიის აგების თანადროულად შეიქმნა. ლაპიდარული და ფრესკული წარწერების ენის (საქტიტორო წარწერა სომხურად, ფერწერულ სახეთა განმარტებითი წარწერები – ქართულად, ზოგან კი ბერძნულად) მიხედვით, ტაძარი სომხურ-ქალკედონურად სახელდება. იქვე აღწერილია ეკლესიასთან შემორჩენილ ნაგებობათა ნაშთები – სატრაპეზო, ბათქაშის ფრაგმენტებით და მოხატულობის მკრთალი კვალით; გალავნის ნაშთები კარიბჭით; ქვის ლოდებით ნაგები ზეთსახდელი. ავტორი ახსენებს ეკლესიის საკურთხეველის წინ მდებარე საფლავის ქვას, ქართული წარწერით „ამილახორი“.¹²⁸

გზამკვლევაში მოიპოვება ცნობა საკათედრო ტაძრის წარწერაში არსებული, თარიღის აღმნიშვნელი, ქართული ტერმინის შესახებ.¹²⁹ ავტორი შენიშნავს, რომ წარწერის მიხედვით, ტაძარი X საუკუნეში აიგო, ამასთან არქიტექტურული სტილითა და ორნამენტული დეკორის ხასიათით იგი XII-XIII საუკუნეების ნაგებობის შთაბეჭდილებას ტოვებს, თუმცა ნაქანდაკე მოტივებში X-XI საუკუნეების ხელოვნების გავლენები შეინიშნება.¹³⁰

გზამკვლევის ავტორი ამტკიცებდა – რომ არა ქართველ და სომეხ მემკვიდრეთა ცნობები, ძნელი წარმოსადგენი იქნებოდა, რომ არსებობდა ანისის რაიმი სახის დამოკიდებულება საქართველოზე. მისი აზრით, ნაქალაქარის ეპიგრაფიკულ და ნივთიერ ძეგლებში არ ასახულა საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკური მფლობელობა, ყოველ შემთხვევაში, იმხანად ამის ამსახველი ნაშთები მისთვის უცნობი რჩებოდა (თუმცა, ავტორი გვერდს ვერ უვლის კათოლიკოს-პატრიარქ ეტიფანეს ქართულ წარწერას, რომელთან დაკავშირებითაც იგი იზიარებს მარის მოსაზრებას¹³¹). ამის გათვალისწინებით იგი ვარაუდობდა, რომ საქართველოს სამეფოს და ეკლესიის მფლობელობა მხოლოდ მფარველობითი ხასიათისა იყო.¹³²



სურ. 24. ნიკოლაი სიხოვის დღიური.
წიგნაკი 1, ფ. 13r, დეტალი



სურ. 25. ნიკოლაი სიხოვის დღიური.
წიგნაკი 1, ფ. 139r, დეტალი

ორბელი 1910 წლის სეზონის განსაკუთრებულ აღმოჩენად მიიჩნევს ქართული წარწერების დიდ ჯგუფს, რომელიც ანისის აყვავების პერიოდს ეკუთვნის და ნათელს ჰფენს ქალაქის მოსახლეობის ქალკედონური ნაწილისა და სასულიერო წრის ურთიერთობებს.¹³³ ამასთანავე, ეს წარწერები ახალ მასალებს იძლევა ანისის მოსახლეობის აღმსარებლობის, ისევე როგორც ადგილობრივი მმართველობის ხასიათის ნათელსაცოფად.

1910 წლის არქეოლოგიური ექსპედიციის მსვლელობისას, მხატვარმა სერგეი პოლტორაცკიმ, პიოტრ პოკრიშკინის მიერ რეკომენდირებული მეთოდებით, შეადგინა წმ. გრიგოლის ეკლესიის გეგმა, მის ჩრდილო-დასავლეთ კუთხესთან არსებულ სამლოცველოსთან ერთად.¹³⁴ პოლტორაცკის ასევე დაევალა ტაძრის ფრესკებიდან ასლების გადმოღება. სამუშაო საკურთხეველიდან დაიწყო, შემდეგ კი გუმბათში გადაინაცვლა, რის გამოც აუცილებელი გახდა ხარაჩოს მოწყობა. შედეგად, სრულად იქნა გადმოღებული გუმბათის თალისა და ყელის ფრესკული გამოსახულებების ასლები; ხარაჩოდანვე შესრულდა გუმბათის ყელის მოხატულობის ფოტოები; ფოტოზე აღიბეჭდა კარიბჭის ფრესკებიც.

მეათე სეზონზე, 1911 წელს, არქეოლოგიურ ექსპედიციაში, მარის მოწვევით, ჩაერთვნენ ნიკოლაი სიხოვი და ნიკოლაი ოკუნევი.¹³⁵

სიხოვის საველე დღიურში აღწერილია ეკლესია, მოკლედ დახასიათებულია მისი ნაქანდაკევი დეკორი, მოცემულია დეტალური, მრავალმხრივ საგულისხმო და ფასეული დაკვირვებები ტაძრის, მისი კარიბჭისა და ჩრდილო-დასავლეთი სამლოცველოს მოხატულობების შესახებ. მოხატულობის ტექნიკურ და სტილურ მახასიათებლებზე, ისევე როგორც ანსამბლში წარმოდგენილ გამოსახულებათა იკონოგრაფიულ თავისებურებებზე დაკვირვების კვალად, მკვლევრის ჩანაწერებში გამოთქმულია მოსაზრებები ფრესკების შექმნის სავარაუდო ეტაპებისა და ოსტატების, კერძოდ – მათი მუშაობის მეთოდების თაობაზე.¹³⁶ სიხოვის აზრით, ეკლესიის აგებისას მისი მოხატვა არ უნდა ყოფილიყო განზრახული – ნაგებობის ინტერიერი თავდაპირველად შეეთეთრებული იყო. იგი გარკვეული პერიოდის შემდეგ უნდა მოეხატათ – ამისთვის ამოიქოლა სარკმლები და შეიღესა ნახევარსვეტები. დასავლეთი კარიბჭე, ისევე როგორც ჩრდილო-დასავლეთი სამლოცველო, ტაძრის მოხატვის შემდეგ აუკიათ და მოუხატავთ; ეს ფრესკები სხვა ფერმწერთა მიერ იქნა შესრულებული. სიხოვის ვარაუდით, კარიბჭისა და სამლოცველოს მოხატულობა XIII საუკუნის პირველ მეოთხედს უნდა ეკუთვნოდეს, საკუთრივ ტაძრის ინტერიერის მამკობი ფრესკები კი მათზე რამდენადმე უფრო ადრეული უნდა იყოს (სურ. 24-27).

სიხოვის ჩანაწერებში, გამოსახულებათა აღწერებთან ერთად, ცალკეულ შემთხვევაში დახასიათებულია სცენების იკონოგრაფიაც. მკვლევარმა ყურადღება გაამახვილა ეკლესიის დასავლეთ კედელზე, შესასვლელის ასწვრივ, სარკმლის ორივე მხარეს, გამოსახულ საქტიტორო კომპოზიციაზე – გაირკვა, რომ ფრესკაზე წარმოდგენილი იყო წარჩინებული, რომელიც ეკლესიით ხელში წარუდგებოდა ტაძრის პატრონ წმინდანს, წმ. გრიგოლს. საგულისხმოა სიხო-

ვის დაკვირვებები მოხატულობის ორნამენტთა თაობაზე – მხატვრობაში გამოყენებულ მოტივთა ნაწილს იგი ფოკიდას წმ. ლუკას მონასტრის კათოლიკონის მოზაიკებში არსებულ ორნამენტებს ადარებს.

სიხოვმა გადმოხატა წმ. გრიგოლის ეკლესიის მრავალრიცხოვანი ქართული, აგრეთვე ბერძნული განმარტებითი წარწერები; შესაბამისად, შესაძლებელი გახდა როგორც სცენების, ისე ცალკეული ფიგურების გაიგივება. ფრესკების მნიშვნელოვანი ნაწილი ფოტოზე იქნა აღბეჭდილი. მოგვიანებით, ამ ფოტოების საფუძველზე, შესაძლებელი გახდა მოხატულობის იკონოგრაფიული სქემის ცალკეული დეტალების აღწერების გადამოწმება და შევსება; დაზუსტდა ქართული განმარტებითი წარწერები ეკლესიის მოხატულობის ცალკეული მონაკვეთებზე.¹³⁷

წმ. გრიგოლის ეკლესიისა და მისი ფრესკების შესახებ მოხსენება სიხოვმა 1911 წლის 17 დეკემბერს, რუსეთის არქეოლოგიური საზოგადოების სხდომაზე წარადგინა. მოხსენების ტექსტი არ გამოქვეყნებულა; შემორჩა მისი ნაწილი – რვა გვერდი.¹³⁸

როგორც ზემოთ აღინიშნა, სიხოვთან ერთად, არქეოლოგიური ექსპედიციის მეათე სეზონზე ანისში მუშაობდა ნიკოლაი ოკუნევი.¹³⁹ მკვლევრის ნარკვევების კრებულში, რომელიც ერთი წლის შემდეგ გამოქვეყნდა, ცალკე თავის სახით შევიდა ანისთან დაკავშირებული მასალებიც.¹⁴⁰ პუბლიკაციაში დახასიათებულია წმ. გრიგოლის ეკლესიის არქიტექტურული იერსახე, მისი დახვეწილი არქიტექტურული დეტალებისა და ორნამენტული შემკულობის გამორჩეული მხატვრული ღირსებები.¹⁴¹ ივარაუდება, რომ კარიბჭე და სამლოცველო ეკლესიისთვის მოგვიანოდ უნდა მიეშენებინათ. იქვე მოკლედია აღწერილი სამონასტრო კომპლექსის ნაშთები, რომლებიც იმხანად ეკლესიის გარშემო შედარებით უკეთ იყო შემორჩენილი.

მეთერთმეტე სეზონზე, 1912 წელს, მხატვარმა ალექსანდრ ანდრიანოვმა კიდევ ერთხელ შეასრულა წმ. გრიგოლის ეკლესიის ფრესკების ფერწერული ასლები,¹⁴² მათ შორის – მეფე თრდატის ნადირობის ამსახველი სცენა ნატურალური ბოძით.

იმხანად, გათხრების თანადროულად, ნაქალაქარზე მიმდინარეობდა ძველთა ერთი ნაწილის აღდგენითი სამუშაოები. განისაზღვრა რიგი აშკარა დაღუპვის საშიშროების წინაშე არსებული ძეგლებისა, რომელთა აღდგენაც ყველაზე საშური იყო – სახელდობრ, სასახლის ეკლესია, მაცხოვრისა და მოციქულთა ტაძრები, აგრეთვე „ქართული ეკლესია“; აღდგა მისი აღმოსავლეთი კედელი.¹⁴³ მუზეუმში, ანისის სხვა სიძველეებთან ერთად, ცხაურიან ჩარჩოში ჩაისვა კათოლიკოს-პატრიარქ ეტიფანეს ქართული წარწერა. ეს სამუშაოები თბილისის სათავადაზნაურო კრების მიერ შემოწერილი თანხით განხორციელდა.¹⁴⁴

მეთერთმეტე არქეოლოგიური სეზონის საანგარიშო წერილებში¹⁴⁵ მარი აღნიშნავს, რომ ანისში იმხანად ჩატარებული სამუშაოების შედეგად გამოვლენილი მასალები გარკვეულწილად ნათელს ჰფენს ისეთ პრობლემებს, როგორიცაა საერო და საეკლესიო არქიტექტურის ურთიერთმიმართება და, აქედან გამომდინარე, ქრისტიანული და ისლამური აღმოსავლეთის კულტურული კავშირები.



სურ. 26. ნიკოლაი სიხოვის დღიური. წიგნაკი 2, ფ. 20r, დეტალი



სურ. 27. ნიკოლაი სიხოვის დღიური. წიგნაკი 2, ფ. 84r, დეტალი



სურ. 28. ნიკო მარი ანისში ექსპედიციის წევრებთან და სტუმრებთან ერთად. მეორე რიგში, მარჯვნიდან პირველი - გიორგი ჩუბინაშვილი. ი. მეგრელიძის ფოტოარქივი

აღნიშნულია ისიც, რომ ანისის მეთერთმეტე არქეოლოგიური სეზონი, ისევე როგორც წინა წლებში განხორციელებული კვლევა-ძიება, კიდევ ერთხელ, ამასთან ახალი კუთხით, წარმოაჩინეს ანისის ზოგადსამეცნიერო ღირებულებას – პუბლიკაციაში ნაჩვენებია ნაქალაქარის მნიშვნელობა არქეოლოგიისა და აღმოსავლეთმცოდნეობისათვის, ამასთან არა მარტო ქრისტიანული, არამედ ისლამური მხატვრული არეალის მასშტაბით.¹⁴⁶

1913 წელს, **მეთორმეტე სეზონზე**, არქეოლოგიური სამუშაოები ხუთ უბანზე მიმდინარეობდა.¹⁴⁷ გათხრების პროცესში გაიწმინდა ეკლესია მაცხოვრის ტაძრის სიახლოვეს – მარტივი ფორმის სამლოცველო, რომლის მსგავსი, როგორც მარი აღნიშნავს, არაერთგზის ყოფილა აღნუსხული კლარჯეთსა და შავშეთში მოგზაურობისას.¹⁴⁸

1914 წელს, **მეცამეტე სეზონზე**, დაღესტანში, ინგუშეთსა და სვანეთში ხანგრძლივი მოგზაურობების გამო, მარი არ მონაწილეობდა სავსე სამუშაოებში. თუმცა არქეოლოგიური სეზონი მაინც შედგა¹⁴⁹ – სრულად გაითხარა სასახლის ეკლესია;¹⁵⁰ მისი ერთ-ერთი კაპიტელის მორთულობაში ჩართულ *ისააკის მსხვერპლმწიროვის* სცენას მარი წებელდის ეკლესიის კანკელის რელიეფებს უკავშირებს ერთი იკონოგრაფიული თავისებურების გამო – ესაა ხის ტოტებზე რქებით დაკიდებული ცხვრის გამოსახულება.¹⁵¹ ეს მოსაზრება განმეორებულია მოგვიანო პუბლიკაციაშიც, სადაც, მსგავს სიუჟეტთან დაკავშირებით, წებელდის ეკლესიის კანკელთან ერთად,

დასახელებულია ილორის ეკლესიის რელიეფიც.¹⁵²

1915 წლის **მეთოხმეტე სეზონის** დროს შესწავლილი მასალა, მათ შორის ქვაჯვარები, საინტერესო აღმოჩნდა არა მარტო საეკლესიო, არამედ კულტურულ-ისტორიული და ეთნოგრაფიული ასპექტით. ამ მხრივ ყურადღება გამახვილებულ იქნა მემორიალურ ძეგლებზე – საფლავის ქვებზე. მარი ყურადღებას მიაქცევს მათზე არსებული ყოფითი გამოსახულებების ზედმიწევნით სიახლოვეს ქართულ ძეგლებთან.¹⁵³ ანგარიშიდან ცნობილი ხდება, რომ იმხანად ამ თემას ექვთიმე თაყაიშვილი იკვლევდა.¹⁵⁴

ექსპედიციის მუშაობის პერიოდში განხორციელდა არქიტექტურული და ეპიგრაფიკული ფრაგმენტების კატალოგიზაცია. ძველი მასალის გადახედვა შეიქნა საფუძველი ახალი დაკვირვებებისა და მოსაზრებებისა, მათ შორის – არაბული და სპარსული წარწერების იმ ფრაგმენტებთან დაკავშირებით, რომლებიც XIX საუკუნის 50-60-იან წლებში, მთლიანი ან ნაკლები სახით, ჯერ კიდევ იყო შემორჩენილი.¹⁵⁵ ამ მხრივ მარი გამოყოფს მანუჩეს მეჩეთის ოთხ ენაზე (სპარსულ-არაბულ-ქართულ-სომხურ) შესრულებულ წარწერას და კრიტიკულად განიხილავს ბროსესა და ხანიკოვის თვალსაზრისს ტექსტის წაკითხვასა და დათარიღებასთან დაკავშირებით.¹⁵⁶

იმ წლის სავსე სამუშაოების ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება ნაქალაქარის გამოქვაბულთა აღნუსხვა-აღწერა იყო. ეს არც თუ იოლი სამუშაო დავით ყიფშიძეს დაევალა.¹⁵⁷ მოგვიანებით, მკვლევრის გარდაცვალების გამო, დაწყებული სამუშაო შეჩერდა, თუმცა კი ათწლეულების შემდეგ მის მიერ თავმოყრილი და განხილული მასალები წიგნად გამოიცა.¹⁵⁸ მასალის გამოსაცემად მომზადების პროცესში დაბუსტდა ყიფშიძის მიერ აღნუსხული გამოქვაბულების რაოდენობა – მათი რიცხვი ხუთასიდან ათასამდე გაიზარდა.

ყიფშიძის ნაშრომში აღწერილია ნაქალაქარის გამოქვაბულ კომპლექსთა ნაწილი,¹⁵⁹ მოცემულია კლასიფიკაცია მათი დანიშნულების მიხედვით – ესაა დაახლოებით ოთხასი საცხოვრისი, ოცდაათამდე ეკლესია (რომელთა საგრძნობი ნაწილი ნაგები ეკლესიების ფორმებს იმეორებს),¹⁶⁰ ათეულზე მეტი განსასვენებელი, რომელთაც ყოველთვის ახლავს სამლოცველო, თერთმეტი სამტრედე, ერთი ან ორი მონასტერი და მიწისქვეშა ქუჩები. ანისის გამოქვაბულ კომპლექსთა უმეტესობას შედარებით მცირე მასშტაბის საცხოვრისები ქმნის. საცხოვრებელ სათავსებს ზოგან ენაცვლება ეკლესიები, ქარვასლა (წალკოცაძორის მარცხენა ნაპირზე), აგრეთვე სამტრედეები.

წალკოცაძორის მარჯვენა ნაპირზე გამოიყოფა გამოქვაბულთა სამი დიდი კომპლექსი: ტიგრან ჰონენცის განსასვენებელი;¹⁶¹ საცხოვრისთა დიდი ჯგუფი ეკლესიით, რომელიც, ყიფშიძის აზრით, XII-XIII საუკუნეებში, ქართველთა მფლობელობის პერიოდში, შეიქმნა და შეძლებულ მოქალაქეს ეკუთვნოდა,¹⁶² აგრეთვე კომპლექსი, რომელიც ხუთი სათავსის, ორი განსასვენებლისა და ეკლესიისაგან შედგებოდა.¹⁶³

მარი ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ სომხურ წყაროებში არ მოიპოვება ცნობები ანისის გამოქვაბული კომპლექსების შესახებ. ქალაქის კლდეში ნაკვეთი ნაწილი მხოლოდ ერთხელ არის

მოხსენიებული XII-XIII საუკუნეების ქართულ წყაროში – მეფეთ-მეფე თამარის ისტორიკოსთან; იქ აღწერილია ანისის 1211 წლის მოვლენები, როდესაც არდებილის სულთანმა, აღდგომის ღამეს, ქალაქის ეკლესიებში თორმეტი ათასი ქრისტიანი ამოხოცა: მემატიანის ცნობით, შეძრწუნებულმა ქალაქის მცხოვრებლებმა, თავი სხვადასხვა ადგილს შეაფარეს: „რომელიმე ივლტოდა დარბაზოანთა და მუნ გამაგრდა, რომელიმე ივლტოდა ქუაბოანსა, რომელსა ქარტუნობითა უჭმობენ“.¹⁶⁴ დასახელება „ქარ-ტუნ“ – მიუთითებს მარი – რომლითაც ქართველი მემატიანე ანისის გამოქვაბულებს მოიხსენიებს, სომხურად „ქვის სახლს“ ნიშნავს, თუმცა კი ეს ტერმინი არ დასტურდება სომხურ ლიტერატურასა და ზეპირსიტყვიერებაში.

მარი ანისის თექვსმეტივე ექსპედიციის შეუცვლელი ხელმძღვანელი იყო, თუმცა 1916 წელს, **მეთხუთმეტე სეზონში** მას თითქმის არ მიუღია მონაწილეობა საველე სამუშაოებში, რადგან გაზაფხულსა და ზაფხულში იმყოფებოდა სამოგზაუროდ ვანში. იმხანად მას გიორგი ჩუბინაშვილი ცვლიდა (სურ. 28).¹⁶⁵

ჩუბინაშვილს ეკუთვნის 1916 წლის ანისის სიძველეთა მუზეუმის ანგარიში,¹⁶⁶ გამოკვლევა დერგების, ე.წ. *ანისური კარასების* შესახებ¹⁶⁷ და მცირე ნარკვევი ქალაქ ანისზე.¹⁶⁸

ანგარიშში წარმოდგენილია იმ სეზონის განმავლობაში განხორციელებულ სამუშაოთა შედეგები, სახელდობრ, პაჭლაგუნის ეკლესიის გათხრებისას მოპოვებული მასალები, აგრეთვე ზოგადი შენიშვნები ანისის ხელოვნების თაობაზე. დანართის სახით წარმოდგენილია მონაცემები მოციქულთა ეკლესიასთან 1909 წელს მიკვლეული მცირე ზომის, ე.წ. „ბროწეულის ორნამენტებიანი“ ეკლესიის შესახებ.

ჩუბინაშვილი ანისის ისტორიაში რამდენიმე ნიშანდობლივ ეპოქას გამოყოფს: XI საუკუნიდან, საზოგადო აღმავლობის პირობებში, იკვეთება რიგი თავისებურებებისა, რომლებიც წინარე ეპოქების მხატვრულ ტრადიციებს ითვალისწინებს, ამასთან ისლამური ხელოვნებისადმი მიმართებითაც არის აღბეჭდილი. ტენდენცია, როგორც ივარაუდება, XIII საუკუნიდან საქალაქო ცხოვრების ყველა სფეროში უნდა გაცხადებულიყო – ამ მხრივ განსაკუთრებით ნიშანდობლივი და სახასიათოა ორნამენტი, რომელიც აღმოსავლეთიდან მომდინარე ისლამური მოტივების და ადგილობრივი ტრადიციული სქემებისა თუ ფორმების შერწყმით იქმნება; ამის შედეგად XIII საუკუნისთვის ყალიბდება ახალი, ძალზე თავისებური, სტილური მიდგომა დეკორატიული შემკულობისადმი. ჩუბინაშვილის დაკვირვებით, სწორედ ასეთია წმ. გრიგოლის ეკლესიის, ისევე როგორც ნაქალაქარის საეკლესიო ნაგებობების ერთი ნაწილის – ბახტაგეკის და ზაქარიას ეკლესიათა – საფასადო რელიეფური შემკულობები.¹⁶⁹ მკვლევარი იმასაც აღნიშნავს, რომ ამ ძეგლებზე რელიეფურ ფორმათა კვეთა სხვა მხატვრული ტრადიციიდან მომდინარეობს.¹⁷⁰ XIV-XV საუკუნეებში თავს იჩენს გარკვეული დაქვეითება, თუმცა კი, შეცვლილი ვითარების მიუხედავად, ძველი მოტივები კვლავ აგრძელებს არსებობას.¹⁷¹

ამასთან მიმართებით საგულისხმოა მარის მოსაზრება – მის



სურ. 29. კარასები ანისის გათხრებიდან.
ნ. მარის ფოტოარქივი

მიხედვით, ანისის საეკლესიო არქიტექტურის თავისებური სტილი, რომელიც გარკვეულ ეპოქას ქმნის, არ იფარგლება საკუთრივ სომხური მხატვრული ტრადიციით – მიკვლეული და შესწავლილი ძეგლები იმაზე მეტყველებს, რომ ადგილობრივი, თვითმყოფადი სტილი ანისში, სავარაუდოდ, XI საუკუნის ბოლოდან ყალიბდება, ამასთან XII–XIII საუკუნეებისთვის ვითარდება საეკლესიო და საერო არქიტექტურის ურთიერთმიმართების ფარგლებში; ყოველივე ეს, თავის მხრივ, აღმოსავლურ, სახელდობრ ისლამურ, კერძოდ კი ირანულ ხელოვნებასთან დამოკიდებულების გზით იქმნებოდა. ნაგებობათა აღნაგობისა და მხატვრული იერსახისთვის ნიშანდობლივი ეს თავისებურება გამოიხატა სამშენებლო მასალებში, პროპორციებში, ორნამენტის ნახატის გააზრებაში, რაც თავისთავად განაპირობებს ნამუშევრის თვითმყოფად ხასიათს. ეს მხატვრული სტილი აღბეჭდილია ნიშნებით, რომლებიც არა მარტო ქრისტიანული საქართველოს, არამედ ისლამური, კერძოდ კი სელჯუკური ხელოვნების თანაზიარია.¹⁷²

ჩუბინაშვილის კვლევამ ცხადყო, რომ ანისური კარასები, როგორც ფორმით, ისე შემკულობით, ადგილობრივი კერამიკული ნაწარმის თვითმყოფად ჯგუფს ქმნის (სურ. 20 და 33).¹⁷³ ამასთანავე, ნაძერწი ორნამენტული მორთულობის ხასიათის მხრივ მსგავს მხატვრულ მოვლენად შუამდინარული და შუააზიური არასარწყავი, აგრეთვე ირანული სარწყავი ჭურჭელი სახელდება.¹⁷⁴ ყოველივე ამის ფონზე საგულისხმო ჩანს ჩუბინაშვილის მითითება მსგავსი ჭურჭლის ფრაგმენტების არსებობის თაობაზე საქართველოშიც – ისინი მკვლევარს რკონის მონასტრის ახლოს, წმინდა ცაცხვის ხესთან უნახავს.¹⁷⁵ ნარკვევში ყურადღება ექცევა იმ გარემოებას, რომ შედარებით ადრეული პერიოდის კარასებზე გვხვდება ცხოველთა მსხვილი რელიეფური გამოსახულებები. ასეთია ანისის სიძველეთა მუზეუმში დაცული, თითქმის სრულად შემორჩენილი, კარასის ზედა ნაწილი, სადაც ერთ-ერთ სახელურზე, თითქოს ერთმანეთისკენ მიმართული ორი



სურ. 30. წმ. გიორგი და წმ. თევდორე, დიმიტრი გორდევეის ჩანახატი. სემ, დ. გორდევეის პირადი არქივი, №276, ფ. 100

ავაზაა გამოსახული – გრძელი კუდებით და ზემოთ აწეული, გრძელი წინა თათებით. ფიგურათა ამგვარი განლაგება, როდესაც ისინი თითქოს ჭურჭლის შიგთავსისკენ ისწრაფვიან, ზოგჯერ გვხვდება აღმოსავლურ ხელოვნებაში, ამასთან მისი მსგავსი ნიმუში მოიპოვება სვანეთში, მესტიაში, XII-XIII საუკუნეების ვერცხლის ჭურჭელზე, სადაც დოქის მოხრილ სახელურს ჯიქის ფიგურა ამკობს.¹⁷⁶

ანისის შესახებ ჩუბინაშვილისეულ მოკლე ნარკვევში, ქალაქისა და მისი ღირსშესანიშნაობების მოკლე ისტორიასთან ერთად, მოიპოვება საგულისხმო ცნობები და მასალები საქალაქო ცხოვრების თაობაზეც. მკვლევარი წმ. გრიგოლის ეკლესიას ნაქალაქარის ერთერთ გამორჩეულ, სომხურ-ქალკედონურ, ანუ მართლმადიდებლურ ტაძარს უწოდებს, ამასთან აღნიშნავს, რომ დრო, როდესაც იგი აიგო და მოიხატა, იყო პერიოდი, როცა სომხები მასიურად ხდებოდნენ მართლმადიდებლები; შესაბამისად, მართლმადიდებლური გახდა ქალაქის ზოგიერთი სომხური მონოფიზიტური ეკლესიაც. ამით უნდა აიხსნას ეკლესიების ნაწილში მოხატულობების არსებობა.¹⁷⁷

1917 წლის ანისის **მეთექვსმეტე სეზონში** ექსპედიციას კვლავ მარი ხელმძღვანელობდა; უჩვეულოა, თუმცა კი ფაქტია, რომ არც არქეოლოგიური კომისიის მასალებში და არც მარის პირად არქივში არ მოიძებნა ამ სეზონთან დაკავშირებული დოკუმენტური მასალები.¹⁷⁸

* * *

1917 წელს ანისში იმყოფებოდა დიმიტრი გორდევეი – კავკასიის საისტორიო-არქეოლოგიური ინსტიტუტის ადიუნქტი. მისი ნარკვევი ახალციხის მაზრაში მოგზაურობის შესახებ, სადაც ცალკე თავი ეთმობა ანისში ტიგრან ჰონენცის მიერ აგებულ წმ. გრიგოლის ეკლესიას, წლების შემდეგ გამოქვეყნდა.¹⁷⁹ ნარკვევში აღწერილია ტაძრის მოხატულობა, ამასთან მოტანილია ცალკეული დაკვირვებები და მოსაზრებები ფრესკების იკონოგრაფიასთან და სტილთან დაკავშირებით.

მკვლევარი დეტალურად აღწერს ეკლესიის გუმბათისა და საკურთხევლის ფრესკებს, მოჰყავს გამოსახულებათა განმარტებითი წარწერები. შედარებით ზოგადია სამრევლო სივრცის მოხატულობის აღწერა. ფერწერული ანსამბლი განხილულია თანადროულ და რამდენადმე უფრო მოგვიანო ხანის ქართულ მოხატულობებთან მიმართებით.

სომხურ ეკლესიაში ქართულ და ბერძნულ წარწერებიანი მოხატულობის გაჩენა, გორდევეის აზრით, აიხსნება ანისში ქალკედონური აღმსარებლობის დამკვიდრებით – პროცესით, რომელმაც იმ პერიოდში ფართოდ მოიცვა საქართველოს სახელმწიფოში შემავალი სომხური პროვინციები.¹⁸⁰

მკვლევარი საგანგებოდ ეხება წმ. გრიგოლის ეკლესიის ჩრდილოეთი კედლის ქვედა რეგისტრში არსებულ ფრაგმენტებს¹⁸¹ – მისი დაკვირვებით, მხატვრობის ეს ნაწილი განზრახ უნდა დაეზიანებინათ. ივარაუდება, რომ კედლის ამ მონაკვეთზე წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო ქტიტორთა გამოსახულებები – მკვლევრის დაკვირვებით, ფრესკებიდან შემორჩენილი ფრაგმენტების ზედა მონაკვეთებზე ჯერ

კიდევ იყო შემორჩენილი ქართული წარწერების ნაშთები.

დასავლეთი კარიბჭის მოხატულობა ნარკვევში მოკლედაა აღწერილი.¹⁸² გამოთქმულია მოსაზრება, რომ იქ გამოსახული ვნების ციკლის სცენები გარკვეულ ტავტოლოგიას ქმნის ეკლესიის შიდა სივრცის დასავლეთ მონაკვეთში არსებულ სცენებთან, რაც იმაზე უნდა მეტყველებდეს, რომ კარიბჭის ფრესკები განხილულ უნდა იქნას არა როგორც ძირითადი მოხატულობის „დანამატი“, არამედ ნაგებობის ფერწერული ანსამბლის საზოგადო სქემის ფარგლებში განხორციელებული დამოუკიდებელი ჩანაფიქრი.

წმ. გრიგოლის ეკლესიის მოხატულობას, ანსამბლის იკონოგრაფიული სქემის გააზრება-გადაწყვეტის მხრივ, გორდეევი საფარას და ტულეს ეკლესიის ფრესკებთან მიმართებით განიხილავს.¹⁸³ სამივე ფერწერულ ანსამბლში გუმბათის, აფრების და საკურთხევლის მოხატულობათა სქემები ფაქტობრივად იდენტურია – ისინი მხოლოდ ცალკეული დეტალებით სხვაობს. ამასთანავე, ეს მოხატულობები ზედმიწევნით თანაგვარი არაა – თითოეული აღბეჭდილია გარკვეული ინდივიდუალობით, როგორც სიუჟეტთა შერჩევით, ისე იკონოგრაფიული დეტალებისა და გამოსახულებების განლაგებით; მაგრამ ერთ-ერთი არსებითი, რაც ყველა შემთხვევაში საჩინოა, ეს განკითხვის დღის მრავალნაწილიანი კომპოზიციის არარსებობაა. ამასთანავე, გორდეევი ყურადღებას მიაქცევს წმ. გრიგოლის ეკლესიის მოხატულობის სიახლოვეს ბეთანიის ეკლესიის ფრესკებთან. მისი დაკვირვებით, ამ ორ ფერწერულ ანსამბლს აახლოვებს რიგი ნიშნებისა, რომელთა შემდგომი კვლევის აუცილებლობასაც იგი საგანგებოდ უსვამს ხაზს.¹⁸⁴

გორდეევის პირად არქივში აღმოჩნდა მის მიერ შესრულებული ჩანახატები წმ. გრიგოლის ეკლესიის ფრესკებიდან. ცამეტი ჩანახატის გარდა, რომელთა შესრულებისასაც მკვლევარს სიჩოვის ფოტოებით უსარგებლია, გადმოხატულია გუმბათის ყელის ზედა რეგისტრში წარმოდგენილ გამოსახულებათა რიგის სქემა, ქვედა რიგის ფიგურათა წყვილები, აგრეთვე გუმბათის ფრესკული წარწერები. კიდევ ერთ ნახაზზე – ტაძრის გეგმაზე – აღნიშნულია მოხატულობის პროგრამაში გაერთიანებული კომპოზიციები და წმინდანთა გამოსახულებები (სურ. 30 და 31).¹⁸⁵

1918 წელს გამოქვეყნებულ ორტომიან მონოგრაფიაში, იოზეფ სტრუიგოვსკი ანისის წმ. გრიგოლის ეკლესიას ეხება.¹⁸⁶ ავტორის ვარაუდით, თავდაპირველად ამ ადგილზე ღმრთისმშობლის სამლოცველო მდგარა; მოგვიანებით, 1215 წელს, ტიგრან ჰონენცის საფასით იქ აღუმართავთ წმ. გრიგოლის ეკლესია, რის შესახებაც ტაძრის სამხრეთ კედელზე ამოკვეთილი სამშენებლო წარწერა იუწყება. სხვა, 1310 წლით დათარიღებულ, წარწერაში საუბარია წყაღმომარაგების სისტემის შექმნაზე, რომლის ნაშთების ნახვა იმ დრომდე ყოფილა შესაძლებელი.

სტრუიგოვსკი მოკლედ ახასიათებს წმ. გრიგოლის ეკლესიას და მის მოხატულობას.¹⁸⁷ იგი ნაგებობის ხუროთმოძღვრული გადაწყვეტის თავისებურებად ასახელებს გუმბათქვეშა სივრცის დაუნაწევრებლობას, აგრეთვე ამბიონის გარკვეულ გადანაცვლებას



სურ. 31. ცხოველმყოფელი სვეტის სასწაული, დიმიტრი გორდეევის ჩანახატი. სემ, დ. გორდეევის პირადი არქივი, №276, ფ. 101



სურ. 32 ანისის ნაქალაქარი. საერთო ხედი მდ. ახურიანის მარცხენა ნაპირიდან. ნ. მარის ფოტოარქივი

საკურთხევლის ფარგლებს გარეთ. ავტორს ყურადღება მიუქცევია ეკლესიის ცალკეულ მონაკვეთებზე არსებული მოგვიანო გადაკეთებებისთვის, რასაც იგი სომხური ხუროთმოძღვრების განვითარების საერთო სურათის ფარგლებში განიხილავს. ამ მხრივ სახელდება ის ცვლილებები, რაც კედლის თაღებმა და აფრისებმა ნიშებმა განიცადა XIII საუკუნისთვის.

სტრუქტოვსკი ანისის წმ. გრიგოლის ეკლესიის ფასადზე თაღნარის დეკორატიულ გაფორმებას საგანგებოდ გამოარჩევს.¹⁸⁸ იგი ამგვარ მხატვრულ მიდგომას – დეკორის მსგავს სიუხვეს – სომხურ ხელნაწერთა შემკულობასთან მიმართებით განიხილავს, ამასთან ცალკეულ მოტივთა წინამორბედად ზვართნოცს და ბანას, შემდგომი განვითარების მაგალითად კი კეჩარისის მონასტრის მთავარ ეკლესიას ასახელებს. იქვე ისიც აღინიშნება, რომ მოხმობილ ძეგლებს ბევრად უფრო გვიანდელი წანამძღვრები ეპოვება კოპტური, სირიული, აგრეთვე ისლამური ხელოვნების ნიმუშებში.

სტრუქტოვსკის აზრით, ეკლესიის კარიბჭე ორმოცი-ორმოცდაათი წლით გვიანდელი ჩანს და, სავარაუდოდ, ტექსიეს მიერ შესრულებული რეკონსტრუქციისგან განსხვავებულად უნდა იქნას აღდგენილი. მკვლევარი დარწმუნებულია იმაში, რომ კარიბჭეს ინტერიერში არ უნდა ჰქონოდა საყრდენი ბურჯები, მის ცენტრალურ ნაწილზე კი სამრეკლო იქნებოდა აღმართული.

მკვლევრის ვარაუდით, ტაძრის ინტერიერის მამკობი, კარგად შემონახული, ფრესკები XIII საუკუნეში უნდა იყოს შექმნილი. მოხატულობის მოკლე და ზოგად აღწერასთან ერთად, გამიჯნულია ფერწერის ფენებიც – გამოთქმულია მოსაზრება, რომ ზედა მონაკვეთის მხატვრობა ადრეულია, ხოლო ქვედასი – მოგვიანო.¹⁸⁹

სტრუქტოვსკი ადასტურებს ეკლესიის ფრესკებზე ქართული და

ბერძნული წარწერების არსებობას, რაც, მისი მითითებით, იძლევა იმის საფუძველს, რომ მხატვრობა ბიზანტიური საწყისებიდან მომდინარე ქართულ ხელოვნებად იქნას აღიარებული. ამასთანავე, ავტორს მართებულად მიაჩნია მარის და ორბელის მოსაზრება ეკლესიის ფრესკების ქალკედონური წარმომავლობის თაობაზე.¹⁹⁰

სტრუქტურის დაკვირვებით, ანისის ზედაციხის ეკლესიის ინტერიერის გრძივი კედლების თალებით გაფორმება უფრო მოგვიანო პერიოდის „ქართულ ეკლესიაშიც“ გამოიყენება, რაც საკმაოდ შორსაა სომხური მხატვრული ტრადიციისგან.¹⁹¹ ავტორი მოკლედ ახასიათებს „ქართული ეკლესიის“ ინტერიერის კონსტრუქციულ და მხატვრულ თავისებურებებს.

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ რეგიონებში მოგზაურობა ბევრად გართულდა (სურ. 32). ვითარება შეიცვალა მხოლოდ XX საუკუნის მეორე ნახევრიდან, როდესაც მეცნიერებს ქვეყნის ამ კუთხის ძეგლთა ხილვისა და კვლევის საშუალება კვლავ მიეცათ.¹⁹² ამის თაობაზე წერს ლორდი კინროსი, რომელმაც 1951 წლის ზაფხულში იმოგზაურა ჩრდილო-აღმოსავლეთ თურქეთში, მათ შორის – ანისში.¹⁹³

შენიშვნები

- 1 Wilbraham 1839: 282-291.
- 2 Texier 1842a.
- 3 იქვე, ტაბ. XIV-XVI, XXI, XXII, XXIV; იხ. აქვე, თავი VI, წმ. გრიგოლის ეკლესია.
- 4 Texier 1842a: 115.
- 5 იქვე, 149.
- 6 იქვე, 98-99.
- 7 იქვე, 149-150.
- 8 იქვე, 150.
- 9 იქვე, 149-150, ტაბ. XXIV.
- 10 აქ, სავარაუდოდ, იგულისხმება წმ. გრიგოლის წამების ის სცენა, სადაც იგი ჯალათთა ჯგუფით არის გარშემორტყმული და თავდაღმა კიდია.
- 11 Texier 1842a: 99; იხ. ტ. III, თავი II, ფრესკული წარწერები.
- 12 Abich 1896.
- 13 იქვე, 168-206.
- 14 Аних 1882.
- 15 იქვე, 278.
- 16 აბიხის გეგმა გამოაქვეყნეს მარი ბროსემ (Brosset 1861: ტაბ. XXIII) და ჰენრი ლინჩმა (Lynch 1901).
- 17 Аних 1882: 271.
- 18 იქვე, 276.
- 19 იქვე, 280; იხ. ტ. III, თავი II, სომხური ლაპიდარული წარწერები.
- 20 Brosset 1850: 92-93. ამჟამად ქვა სახელმწიფო ერმი-ტაუში ინახება.
- 21 Аних 1882: 280, 290-292; იხ. ტ. II.
- 22 Аних 1882: 287; იხ. აქვე, თავი VI, "ქართული ეკლესია".
- 23 Khanykof 1849: 125
- 24 Муравьев 1848: 257-288.
- 25 იქვე, 276-277.
- 26 სავარაუდოდ, მან ვერ გაარკვია კარიბჭის აღმოსავლეთ კედელზე წარმოდგენილი დატირების კომპოზიციის სიუჟეტი და ეცადა, მისთვის თავისებური ასსნა მოეძებნა; იხ. ტ. II, კარიბჭის მოხატულობა.
- 27 Муравьев 1848: 277-278.
- 28 Brosset 1849; Brosset 1850; Brosset 1860-1861.
- 29 Brosset 1861.
- 30 იქვე, ტაბ. IV, XXXIX.
- 31 Brosset 1860-1861: 14.
- 32 იქვე, 144-148; იხ. ტ. III, თავი II, სომხური ლაპიდარული წარწერები.
- 33 Brosset 1860-1861: 15; Brosset 1861: ტაბ. XXXIX; იხ. ტ. III, თავი II, სომხური ლაპიდარული წარწერები.
- 34 Brosset 1860-1861: 14; იხ. ტ. III, თავი II, ფრესკული წარწერები.
- 35 Brosset 1860-1861: 27; იხ. ტ. III, თავი II, სომხური ლაპიდარული წარწერები.
- 36 Brosset 1860-1861: 16, ტაბ. XI. წარწერის ზოგადი სახე აღბეჭდილია ბროსეს მიერ გამოცემულ ატლასში ჩართულ ერთ-ერთ გრავიურაზე (იქვე, ტაბ. V). მკვლევრის მითითებით, ეს წარწერა წერილობითი მოწმობაა ანისში ზაქარია მხარგრძელის მიერ განხორციელებული სათავდაცვო სისტემის მშენებლობისა მეფე თამარის ზეობაში; იხ. ტ. III, თავი II, სომხური ლაპიდარული წარწერები.
- 37 Brosset 1860-1861: 17; იხ. ტ. III, თავი II, სომხური ლაპიდარული წარწერები.
- 38 Brosset 1860-1861: 18. ავტორი ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ წარწერის თარიღი ემთხვევა წმ. გრიგოლის ეკლესიის წარწერის შესრულების დროს. ეს თარიღი სავარაუდოდ ხდის, რომ ამირსპასალარი ზაქარია გარდაიცვალა 1212 ან 1214 წელს, თუმცა კი ამასთან დაკავშირებით არსებულ განსხვავებულ მოსაზრებათა გამო მკვლევარი თავს არიდებს დაბეჯითებით დასკვნებს; იხ. ტ. III, თავი II, სომხური ლაპიდარული წარწერები.
- 39 Brosset 1850: 92, 93. ბროსეს ცნობით, აბიხს, ამ წარწერასთან ერთად, მისთვის გაუცვნია ანისში აღნუსხული კიდევ ოცამდე წარწერა, იხ. ტ. III, თავი II, სომხური ლაპიდარული წარწერები.
- 40 Brosset 1860-1861: 49. ბროსეს ცნობით, წარწერის ასლი ეკუთვნის ი. კესტნერს, იხ. ტ. III, თავი II, სომხური ლაპიდარული წარწერები.
- 41 Brosset 1860-1861: 18; Brosset 1861: ტაბ. XXVII; იხ. ტ. III, თავი II, სომხური ლაპიდარული წარწერები.

- 42 Brosset 1849: 96. ავტორი ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ დამტკიცების ქართულ ტექსტში ციფრების აღმნიშვნელი გრაფემები კარგად არ ჩანს. ივარაუდება, რომ წარწერა უნდა შეესრულებინათ 1230 წელს. მკვლევრის მითითებით, დამტკიცებაში მოხსენიებული ათაბაგი ბაქარია უნდა იყოს შვილიშვილი ბაქარია მხარგრძელისა; იხ. ტ. III, თავი II, ქართული ლაპიდარული წარწერები.
- 43 Brosset 1860-1861: 144-145; იხ. ტ. III, თავი II, სომხური ლაპიდარული წარწერები.
- 44 Brosset 1860-1861: 94.
- 45 Khanykof 1849: 139; იხ. ტ. III, თავი II, სომხური ლაპიდარული წარწერები.
- 46 Grimm 1864: 8.
- 47 იქვე, ტაბ. III, VII a-d; იხ. აქვე, თავი VI, წმ. გრიგოლის ეკლესია.
- 48 Ussher 1865: 240-246.
- 49 Thielmann 1875b: 160-171; იხ. აქვე, თავი VI, "ქართული ეკლესია".
- 50 ამ ნაშრომში ავტორი ეხება ანისის ორ ძეგლს – კათედრალს და წმ. გრიგოლის ეკლესიას (Бакраძე 1875: 26-28, 56).
- 51 მკვლევრის მიერ თავმოყრილი მასალების ნაწილი მის მიერ იქნა გამოყენებული ცალკეულ პუბლიკაციებში (ბაქრაძე 1880: 78, 80, 82; Бакраძე 1880: 153-167; Бакраძე 1881: 192-202; Бакраძე 1884: 156, 157; Бакраძე 1889); ნაწილი ბოლო დროს გამოიცა (ტრაბაიძე, ჯალალანია, სხირტლაძე 2016: 323-356), თუმცა კი ძირითადი ნაწილი დღემდე არ გამოქვეყნებულა. მკვლევრის მოგზაურობის დროს აღნუსხული მასალები, მათ შორის – მონაცემები ანისის წმ. გრიგოლის ეკლესიის შესახებ, შესულია ვახუშტი ბაგრატიონის თხზულების „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ პუბლიკაციაში, რომელსაც გამომცემლის, დიმიტრი ბაქრაძის ვრცელი კომენტარები ერთვის (ვახუშტი ბაგრატიონი 1885: 1-33, 144, 149, 150, 156 და შემდ.). მისი მოგზაურობის დღიური დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, მისსავე არქივში (საქმე №32).
- 52 იხ. ტ. III, თავი II, ქართული ლაპიდარული წარწერები.
- 53 იქვე.
- 54 იხ. ტ. III, თავი IV, ანისის ქართული სიძველეები დიმიტრი ბაქრაძის სავლე დღიურში; იქვე, თავი II, ქართული ლაპიდარული წარწერები.
- 55 Lynch 1901.
- 56 იქვე, 374-375.
- 57 იქვე, 375; იხ. ტ. III, თავი II, სომხური ლაპიდარული წარწერები.
- 58 Lynch 1901: 386; იხ. აქვე, თავი VI, „ქართული ეკლესია“.
- 59 Lynch 1901: 334-392.
- 60 იქვე, სურ. 75-78.
- 61 Basmadjian 1904.
- 62 <http://www.virtualani.org/georgianchurch/index.htm>
- 63 Villari 1906: 292-311.
- 64 <http://www.virtualani.org/georgianchurch/index.htm>
- 65 Villari 1906: 305.
- 66 ამის ინიციატორი იყო ჰერმან აბიხი. იხ.: Мapp 1907b: XXV.
- 67 Письма Н. Марра 1979: 93. ამას გარდა ექსპედიციაში სხვადასხვა დროს მონაწილეობდნენ ნ. სიროვი, ნ. ოკუნევი, ს. პოლტორაცკი, ნ. ბუნიათოვი, თ. ტერ-ვართანიანი, პ. კნიაგნიცკი, ა. ანდრიანოვი, ვუკ. ბერიძე, ა. ლორის-ქალანთარი, ლ. ქალანთარი, ი. სტრაუმი. ექსპედიციას სტუმრობდნენ პროფესორი ბ. ტურაევი და არქიტექტორი კ. რომანოვი; სტუდენტთაგან – დ. ყიფშიძე, ნ. ტიხონოვი, ნ. ტოკარსკი, გ. ლაფანციანი.
- 68 Раскопки в Эриванской Губернии 1894; Армения 1895; Мapp 1906a.
- 69 Письма Н. Марра 1979; Докладные записки 1981a; Докладные записки 1981b; Докладные записки 1981в; Докладные записки 1982.
- 70 მარი 1905; Мapp 1898; Мapp 1905a; Мapp 1905b; Мapp 1906b; Мapp 1907a; Мapp 1907b; Мapp 1908; Мapp 1910a; Мapp 1910b; Мapp 1910г; Мapp 1913; Мapp 1915; Мapp 1916a; Мapp 1916b; Мapp 1917; Мapp 1921; ცალკე გამოქვეყნდა ანისში განხორციელებული გათხრების ზოგადი მიმოხილვა (Археологические раскопки в Ани 1914).
- 71 Мapp 1934.
- 72 Докладные записки 1981в: 100.
- 73 Орбели 1910a: VIII.
- 74 Докладные записки 1981a: 102-103.
- 75 Сычев 1912.
- 76 Сычев 1977: 17-31.
- 77 Мapp 1934: 54.
- 78 Сычев 1912: 218-219.
- 79 Докладные записки 1981b: 102.
- 80 Докладные записки 1981в: 100-102. ანისის სიძველეთა საცავი, 1904 წელს, საიმპერატორო არქეოლოგიური კომისიის დავალებით, დოქტორ ზავრიევის მიერ, ანისის შესწავლის მხარდამჭერთა შორის ბაქოში შეგროვებული თანხებით მოეწყო. საცავის მოწყობამდე, გათხრების დროს აღმოჩენილი ნივთები შეძლებისდაგვარად იგზავნებოდა პეტერბურგში, სადაც საიმპერატორო არქეოლოგიური კომისიის მიერ მოწყობილ წლიურ გამოფენებზე ექსპონირებისა და შედარებით საინტერესო ნივთების ფოტოგრაფირების შემდგომ, ისინი იგზავნებოდა სხვადასხვა მუზეუმში – უმეტესობა ერმიტაჟში და მოსკოვის

- ისტორიულ მუზეუმში, ნაწილი კი ენშიაძინში (Мapp 1906б: I-II; Мapp 1907б: XXVI).
- 81 Докладные записки 1981в: 103.
- 82 Мapp 1906а: 73.
- 83 Мapp 1906а: 82-83.
- 84 იქვე, 87.
- 85 იქვე, 90-92.
- 86 იქვე, 92-93.
- 87 Мapp 1934: 55-66
- 88 მარი 1905; იხ. ტ. II.
- 89 Леонтьев 1905: 370-371.
- 90 Мapp 1907а: 51.
- 91 იქვე, 55.
- 92 იქვე, 2.
- 93 იქვე, 53.
- 94 Докладные записки 1981в: 108.
- 95 Мapp 1907а: 53-54.
- 96 Мapp 1905а: 182. წმ. გრიგოლის ეკლესიის მოხატულობასთან დაკავშირებით წინასწარი, მრავალმხრივ საკამათო, მოსაზრებები მარს ჯერ კიდევ 1898 წელს გამოქვეყნებულ ნარკვევში აქვს გამოთქმული. მის მიხედვით, 1215 წელს აგებული ეკლესია მოგვიანოდ ქართველთა ხელში გადავიდა – შედეგად, მოხატულობაში განმარტებითი წარწერები ქართულად შესრულდა. იმ დროს ფერწერული ანსამბლი ნაწილობრივ უნდა განეახლებინათ, თუმცა კი ის წამყვანი ადგილი, რაც მასში სომეხთა განმანათლებლის ცხოვრების სცენებს უკავია, იმავე მეტყველებს, რომ თავდაპირველი გამოსახულებები თუ არა, მათი თავდაპირველი სიუჟეტები მაინც, ქართველთა მიერ შენარჩუნებული იყო. მარის აზრით, ქართული და, აქა-იქ, ბერძნული ფრესკული წარწერების არსებობა მკვლევართა ნაწილში აჩენდა ეჭვს ეკლესიის სომხურობასთან დაკავშირებით. შესაბამისად, ზოგიერთი მათგანი პირდაპირ უწოდებს კიდევ მას ბერძნულ ეკლესიას, რამდენადაც, მათი აზრით, კედლის მხატვრობა შეუსაბამო იყო სომხური ეკლესიისთვის. ამასთანავე, ავტორის მითითებით, სომხურ ეკლესიათა ნანგრევების შესწავლა ცხადყოფს, რომ ისინი იხატებოდა – ამის დასტურად მარი ასახელებს 1892 წელს გათხრილ ბახტაგეკის წმ. გრიგოლის ეკლესიას, კედლის მხატვრობის ფრაგმენტებით (Мapp 1898: 216-217). იმავე პუბლიკაციაში მარი გვაწვდის ცნობას ქალწულთა მონასტრის შესახებ, რომელიც ერთ დროს ქართველთა ხელში ყოფილა (იქვე, 218-219).
- 97 Мapp 1934: 85.
- 98 Мapp 1908: II-III.
- 99 იქვე.
- 100 იქვე, 37 (სურ. 7); ავტორი ამასთან დაკავშირებით იმოწმებს ა. ნატროშვილის საყოველთაოდ ცნობილ ნაშრომს სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძრის შესახებ (Натроев 1900).
- 101 Мapp 1908: 43; წარწერა ამჟამად დაკარგულია, იხ. ტ. III, თავი II, ფრესკული წარწერები.
- 102 Мapp 1934: 71-72.
- 103 Орбели 1910а: V-VII.
- 104 წლების შემდგომ, პირველი მსოფლიო ომის მსვლელობისას, ანისის მუზეუმი და მისი სამეცნიერო ბაზა კავკასიის ფრონტის ზურგში მოხეტილ დაჯგუფებების მიერ განადგურდა (Орбели 1934: 197). ანისის კოლექციების, დოკუმენტებისა და საარქივო მასალის არასწორად განხორციელებული ევაკუაციის შედეგად, ექსპედიციის მიერ მიკვლეული და თავმოყრილი მასალების, ისევე როგორც დოკუმენტაციის, მნიშვნელოვანი ნაწილი 1917 წლის ბოლოს დაიღუპა. გადარჩა მხოლოდ მცირე ნაწილი ნაწერებისა, რომლებითაც სარგებლობდა მარი მის მიერ წლების განმავლობაში ჩატარებული საჯარო ლექციებისთვის. ასევე გადარჩა არქეოლოგიური კოლექციის ის ნაწილი, რომელიც საბრძოლო მოქმედების პირობებში ანისიდან გაიტანეს ერევანში.
- 105 Мapp 1934: 66-70.
- 106 იქვე, 69.
- 107 იქვე, 69-70.
- 108 Орбели 1910а: 10.
- 109 იქვე, 115-116.
- 110 იქვე, 120; იხ. ტ. III, თავი III, ყარსის მუზეუმის ქართული მონეტები.
- 111 Мapp 1934: 42.
- 112 იქვე, 78.
- 113 იქვე.
- 114 Мapp 1910б: 1433. წარწერის გამოცემა ივანე ჯავახიშვილმა იტვირთა, თუმცა ეს განზრახვა განუხორციელებელი დარჩა; იხ. ტ. III, თავი II, ქართული ლაპიდარული წარწერები.
- 115 Мapp 1910б: 1434. იხ. ტ. III, თავი II, ქართული ლაპიდარული წარწერები.
- 116 Мapp 1910б: 1439. ფრაგმენტები კათოლიკოს ეტიფანეს წარწერისა, რომელიც დაკარგულად ითვლებოდა, საქართველოს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ხელშეწყობით განხორციელებული პროექტის “ანისი – ქართული კულტურული მემკვიდრეობა“ ფარგლებში, 2017 წლის ექსპედიციის მსვლელობისას, მიკვლეულ იქნა ანისის ნაქალაქართან ახლომდებარე სოფელ ანისის (ყოფილი ოშაქლის) საცხოვრებელი სახლის კედლის წყობაში; იხ. ტ. III, თავი II, ქართული ლაპიდარული წარწერები.
- 117 Мapp 1910б: 1440-1441.
- 118 Мapp 1934: 79.
- 119 Мapp 1910а: 439, 441.
- 120 იქვე, 444.

- 121 იქვე, 442-443, 445-446.
- 122 ორელი 19106.
- 123 მაგალითად, ინფორმაცია იმის შესახებ, რომ წმ. გრიგოლის ეკლესიის გასაღები მუზეუმში ყოფილა დაცული (იქვე, 4).
- 124 იქვე, 30.
- 125 იქვე, 31.
- 126 ორელი 1911: 32.
- 127 ორელი 19106: 41-43; იხ. ტ. II, წმ. გრიგოლის ციკლი.
- 128 იხ. ტ. III, თავი II, ქართული ლაბიდარული წარწერები.
- 129 ორელი 19106: 39.
- 130 ანისისადმი მიძღვნილი ორბელის ნარკვევები, მისი რჩეული შრომების კრებულში შევიდა (ორელი 1963).
- 131 Marr 1934: 85.
- 132 ორელი 1911: 25.
- 133 იქვე, 54; იხ. ტ. III, თავი II, ქართული ლაბიდარული წარწერები.
- 134 Marr 1934: 86.
- 135 იქვე, 87.
- 136 Каковкин 1987: 92-94; იხ. ტ. III, თავი IV, ანისის წმ. გრიგოლის ეკლესია: ნიკოლაი სინოვის საველე დღიური და მოხსენება.
- 137 Гордеев 1923: 4; იხ. ტ. III, თავი II, ფრესკული წარწერები.
- 138 Каковкин 1987: 92 (მოხსენების ტექსტისთვის იხ. ტ. III, თავი IV).
- 139 Marr 1934: 87, 90.
- 140 Окунев 1912.
- 141 იქვე, 10-11.
- 142 Marr 1913: 4-6; Письма Н. Марра 1979: 102.
- 143 Marr 1913: 3; Письма Н. Марра 1979: 103; იხ. აქვე, თავი VI.
- 144 Письма Н. Марра 1979: 104; Marr 1913: 4.
- 145 Письма Н. Марра 1979: 104.
- 146 Marr 1913: 61.
- 147 Marr 1934: 111.
- 148 იქვე, 113.
- 149 Письма Н. Марра 1979: 105-106.
- 150 Marr 1915: 9.
- 151 Marr 1916a: 9-10 (შენ. 2).
- 152 Marr 1921: 400.
- 153 Marr 1917: 14.
- 154 Такаишвили 1913.
- 155 Marr 1917: 20-23.
- 156 იხ. აქვე, გვ. 12.
- 157 Marr 1917: 30-40.
- 158 Кипшидзе 1972.
- 159 იქვე, 13-24.
- 160 იქვე, 18, 48, 57, 98, 161.
- 161 იქვე, 89-95.
- 162 იქვე, 108.
- 163 იქვე, 108-112.
- 164 Marr 1917: 33-34; იხ. ტ. III, თავი I, გვ. 81.
- 165 Докладные записки 1982: 83; Marr 19166: 814, 816. ანისის XV ექსპედიციის პერიოდის შედეგები შევიდა გ. ჩუბინაშვილის ნარკვევში (Tchoubinachvili 1958).
- 166 Чубинов 1918.
- 167 Чубинов 1916.
- 168 Чубинов 1919.
- 169 Чубинов 1918: 21.
- 170 Чубинов 1916: 31.
- 171 Чубинов 1918: 22.
- 172 Marr 1934: 35.
- 173 Чубинов 1916.
- 174 იქვე, 37.
- 175 იქვე, 22 (შენ. 2).
- 176 იქვე.
- 177 Чубинов 1919: 81.
- 178 Докладные записки 1982: 83.
- 179 Гордеев 1923: 3-12.
- 180 იქვე, 4-5.
- 181 იქვე, 5.
- 182 იქვე, 10.
- 183 იქვე, 10-11.
- 184 იქვე, 11-12.
- 185 იხ. ტ. III, თავი IV.
- 186 Strzygowski 1918: 201-202.
- 187 იქვე, 298-300.
- 188 იქვე, 528.
- 189 იქვე, 298.
- 190 იქვე; იხ. ტ. II.
- 191 Strzygowski 1918: 519-520.
- 192 <http://www.virtualani.org>
- 193 Kinross 1954.



თავი II

ანისი ქართულ სახელმწიფოში

საქართველოს კავკასიურ სახელმწიფოში შემავალი სომხური ტერიტორიებიდან ანისს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა. სტრატეგიულ მდებარეობასთან ერთად ამას იდეოლოგიური ასპექტებიც განაპირობებდა. ანისისათვის ბრძოლა ისლამურ სამყაროსთან წარმოებული „სალმრთოთა რჯულთათვის“ ომის მნიშვნელოვან ეპიზოდს ქმნიდა.¹ ეს ბრძოლები, იმავდროულად, საქრისტიანოში საქართველოს ადგილსაც განსაზღვრავდა. ქართული სამეფოს მესვეურთა თვალთახედვით, „დიდი ქალაქი ანისი“, „რომელი ძუელ ოდესმე“ „დიდი და სახელგანთქმული სახლი სომეხთა მეფეთა“ და „ბერძენთა მეფეთა სახლი და საჯდომი“ ყოფილა, „მირიდებითა ბერძენთათა და მიმოცვალებითა ჟამთათა“ „სპარსთა“ სამფლობელოდ ქცეულა.² ის, რაც საქრისტიანომ ბერძენ კეისართა უნიათობით დაკარგა, ქართველ მეფეთა სიმხნით უკან დაიბრუნა. აი, როგორ აღწერს ანონიმი მემატიანე ანისისათვის ბრძოლის ერთ-ერთ ეპიზოდს: გიორგი III-მ „კუალადცა ინება შეყრად და გალაშქრებად და მიმართა დიდად ქალაქად ანისად... მცის მიმჯდომმან, სამ დღე ყო ომთა სიმრავლე და ძგერა ჰუნეთა. სიტყვთ და საქმით ბოლოდ დასტეხნეს, ვითარცა აკანაფიანმან, ამფხურელმან და მეხისტეხისმყოფელმან შორის ელვებსა, გარდახუეწასა შინა შადადიანისა ჴელთ-იგდო ქალაქი ნებისაებრ თვისისა“.³

ანისი ქართველთათვის ბიზანტიელებზე უპირატესობის სიმბოლოდ იქცა. ამიტომაც შეეძლოთ ქვეყნის იდეოლოგიებს ამაყად განეცხადებინათ: „ელინნი, ესე იგი ბერძენნი“ „ლბილ და დედალ არიან“, ხოლო „ნათესავნი ჩუენ ქართველთანი“ – „ღმრთისა ოდენ და მკლავისა თვისისა მოსავნი, რომლითაცა... საცნაურ იქმნების სიქველე ჭაბუკისად“.⁴

უსჯულოთაგან ხმლით გამოსხნილი ანისის – სომეხთა სასულიერო ცენტრისა და სატახტო ქალაქის – მპყრობელი ბაგრატიონები არათუ სომეხ მეფეთა, არამედ ბიზანტიის იმპერატორთა კანონიერ მემკვიდრეებადაც გამოდიოდნენ.⁵ აპოლოგეტები დავით IV-სა და მის მემკვიდრეებს სახავდნენ „ახალ კონსტანტინეებად“,⁶ „მრავალთა დიდთა იმპერიათა და ფადაშაჰთა სპარსეთისათა“ დამმარცხებლებად და მართლ-მორწმუნეთა მხსნელებად.⁷ თუ დავითის ისტორიკოსი სახელოვან გვირგვინოსანზე ზოგადად ამბობს, რომ „ყოველი სოფელი მოსტაცა ეშმაკსა და შეასაკუთრა ღმერთსა, რომლითა მოიღო მადლი მოციქულობისად, ვითარცა პავლე და ვი-



სურ. 1. ბეთანიის მონასტრის მთავარი ეკლესია. მეფეთ-მეფე გიორგი III-ის გამოსახულება

თარცა დიდმან კოსტანტინე“⁸, „ისტორიანსა და ამჟამში“ გიორგი III-ის „კონსტანტინობა“ ანისისათვის ბრძოლის კონტექსტშია დეკლარირებული.⁹ კონსტანტინე დიდთან „შემსგავსება“ ცხადყოფს, რომ თანამედროვეთ ბაგრატიონები წარმოედგინათ ქრისტიანობისთვის მებრძოლ ოიკომენეს მბრძანებლებად, რომელნიც მორწმუნეთ ურწმუნო სელჩუკებისგან („ემშაკისგან“) ათავისუფლებენ და ღვთის სასუფეველს უბრუნებენ (სურ. 1).¹⁰

ბიზანტიელ კეისართა მსგავსად დავითმა და მისმა მემკვიდრეებმაც ქრისტიანთა მფარველობა დაიჩემეს და სამხედრო-სარწმუნოებრივ ასპარეზზე მოპოვებული წარმატებები საერთაშორისო აქტებითაც განამტკიცეს. დემეტრე I-მა – გვამცნობს მათეოს ურჭაიეცი – ყმადნაფიცებად ქცეულ შადადიანებს ერთგულებასთან ერთად დააფიცა, რომ „წმინდა კათოლიკე, რომელიც ანისში მდებარეობდა, სამუდამოდ სომხებს ექნებოდათ და არ შეუშვებდნენ მასში ტაჭიკებს ან სხვა მუსულმან ხალხს“.¹¹ საქართველოს სამეფო კარი მონოფიზიტების მფარველობასთან ერთად, ცხადია, დიოფიზიტების დაცვაზეც იბრუნებდა. 1210 წელს აიუბიანებთან დადებული ოცწლიანი ზავით, რომლის პირობები კირაკოს განძაკეციმ შემოგვინახა, სასულთნოს ქრისტიან ქვეშევრდომთა მდგომარეობა შემსუბუქდა (განსაკუთრებით – ტარონში, სადაც მრავლად იყვნენ დიოფიზიტები), მონასტრებზე შეწერილი გადასახადები განახევრდა, იერუსალიმში მლოცველთა მიმოსვლა გაადვილდა და ქართველთა უფლებებიც გაიზარდა; ხლათელები განსაკუთრებულ პატივს სცემდნენ ქართველებს, დასძენს სომეხი მემატინანე.¹² ამრიგად, XII-XIII საუკუნეებში მაჰმადიანმა მბრძანებლებმა ქართველები ქრისტიანთა მფარველებად აღიარეს,¹³ რის შედეგად კავკასიურ-ანატოლიურ სივრცეში საქართველომ ბიზანტია როგორც პოლიტიკურად, ისე რელიგიურადაც ჩაანაცვლა (სურ. 2).

საქართველოს სახელმწიფოს მზარდ ავტორიტეტზე მახლობელი აღმოსავლეთის საქრისტიანოში შესანიშნავად მეტყველებს ჯუვეინის შემდეგი ცნობაც: ქართველებს, თითქოს, გადაწყვეტილი ჰქონოდათ „ბაღდადს წასულიყვნენ, კათალიკოსი დაესვათ ხალიფას ადგილზე, მეჩეთები ეკლესიებით და ჭეშმარიტება სიცრუით შეეცვალათ“.¹⁴ ცნობაში, ცხადია, ჭორმართალი ერთმანეთშია არეული. ფრიად საინტერესოა, რომ იგივე ბრალდებას მაჰმადიანი მწერლები ბიზანტიის იმპერატორებს უყენებდნენ.¹⁵ ეს გარემოებაც გვაფიქრებინებს, რომ ისლამური სამყაროს თვალთახედვით მახლობელი აღმოსავლეთის საქრისტიანოში პირველობა საქართველოს ეკუთვნოდა.

ამგვარ იდეურ-პოლიტიკურ კონტექსტში სავსებით გასაგები ხდება ანისის ადმინისტრაციული და საეკლესიო მოწყობის მნიშვნელობა ქართული სამეფოსათვის. წინამდებარე ნარკვევში სწორედ ამაზეა მსჯელობა.¹⁶



ქუეყანა ანისისა

სახელწოდება და საზღვრები

ქართულ წყაროებში ანისის ქვეყნის¹⁷ სახელით ცნობილია ისტორიული პროვინცია შირაკი. ეს ისტორიულ-გეოგრაფიული ქვეყანა ლეონტი მროველთან შირაკუანად მოიხსენება,¹⁸ ხოლო „ისტორიანისა და აზმანის“ ანონიმ ავტორთან – შირაკად.¹⁹ უფრო ხშირად, განსაკუთრებით, ქართველთა მფლობელობის ხანაში, ხორონიმად „ყოველი ანისი“ ან „ანისი“ დასტურდება: დავით აღმაშენებელმა „განაგო ყოველი საქმე ქართლისაჲ, სომხითისა და ანისისაჲ“,²⁰ ჯალალ ად-დინმა „მოაოჯრა ყოველი ქუეყანა დვინისა, კუსტისა დვინისა და ყოველი ანისი“,²¹ ხოლო „ნონინი ესე ზემოვსენებულნი შემოვიდეს ქართლს, თრიალეთს, სომხითს, ჯავახეთს, სამცხეს, შავშეთს, კლარჯეთს, ტაოს, კოლას, არტანს, ანისს“.²² ციტირებული ფრაგმენტებიდან აშკარაა, რომ ანისი ქართლის, ტაოს, თრიალეთის და სხვათა თანაფარდი ქვეყანაა, რომელიც ციხე-ქალაქის სახელით აღინიშნება.²³ საქართველოს საციხისთავო და ციხე-ქალაქის ქვეყნებად დაყოფა ჩვეულ მოვლენას წარმოადგენდა – „აღიღო ქალაქი ანისი და ციხენი მისნი ... და სოფელნი და ქუეყანანი მიმდგომნი ანისისანი“²⁴ ამ სტრუქტურის შესანიშნავი მოწმობაა და ტერიტორიული განვითარების გარკვეულ ეტაპს ასახავს.²⁵ ეპოქის ტენდენციები კი პოლიტიკურ-გეოგრაფიულ ტერმინოლოგიაში ჰპოვებდა გამოხატვას (სურ. 3).


„შირაკის“ „ანისის ქვეყნად“ ტრანსფორმაცია, ასევე, ისტორი-

სურ. 2. ანისის კათედრალი. ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან. დ. ერმაკოვის ფოტოკოლექცია

ულ-გეოგრაფიული ევოლუციის შედეგია, რასაც კარგად ედევნება თვალი წერილობითი წყაროების მიხედვით. უძველესი ცნობები ამ ქვეყნის შესახებ ძვ.წ. VIII საუკუნეს განეკუთვნება; ურარტული წარწერებიდან ირკვევა, რომ ახურიანის ხეობაში განფენილ მიწებს ერიახი (KUR/m Eriahi) რქმევია.²⁶ შირაკი სირაკენეს ფორმით პირველად ახ.წ. II საუკუნის ავტორის კლავდიოს პტოლემეაიოსის „გეოგრაფიულ სახელმძღვანელოში“ გვხვდება.²⁷ სახელთა ცვლა (ერიახი – შირაკი), შესაძლებელია, ტომთა მიგრაციებთან ყოფილიყო დაკავშირებული.²⁸ სომხურ წყაროებში „შირაკი“ V საუკუნიდანვე ჩნდება. ადრეულ შუა საუკუნეებში ის აირარატის ნაჭანგის გავართავანი და კამსარაკანთა სამფლობელო იყო (IV საუკუნიდან). სანახარარო არშარუნიქსაც აერთიანებდა.²⁹

ამ საფეოდალო სახლის ცენტრებიდან ცნობილია ქალაქი ერვანდაშატი და ციხე-სიმაგრე არტაგერსა.³⁰ ციხისა და ქვეყნის ურთიერთმიმართების სახასიათო ცნობა ფავსტოს ბუზანდთანაა შემონახული: არტაგერსა ძლიერი ციხესიმაგრე ყოფილა და არშარუნიქის გავარც მის სატყელად ყოფილა განკუთვნილი.³¹ ასოლიკი VII საუკუნის ცნობილ მოღვაწეს ნერსე კამსარაკანს შირაკის უფალს და კაპუტრუს კომსს უწოდებს,³² ანუ სავარაუდოს ხდის, რომ სამ-

სურ. 3. ანისი-შირაკის რუკა. წიგნიდან – ტეიშვილი გ. 2017





სურ. 4. ერერუიქის ეკლესია.
ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან

თავროს ცენტრი კაპუტრუს ციხე უნდა ყოფილიყო. ანანია შირაკაცი კამსარაკანთა ოსტანად ანუ დედაქალაქად მარმეტს ასახელებს.³³ ამ სანახარარო სახლს, ჩანს, რამდენიმე ცენტრი ჰქონდა და ყველა არშარუნიქში მდებარეობდა. საკუთრივ შირაკის მთავარი პუნქტი, VI საუკუნის მიწურულიდან მაინც, მავრიკოპოლის-შირაკაშატი (დღევანდელი მეგრეკი) უნდა ყოფილიყო (სურ. 4).³⁴

V საუკუნის ავტორებთან პირველად გვხვდება ანისიც: ის, არტაგერსას და გარნისის მსგავსად, კარგად გამაგრებული ციხეა, სადაც სპარსელი მეციხოვნენი არიან განთავსებულნი;³⁵ მის კედლებთან კი მნიშვნელოვანი სამხედრო ძალის დაბანაკება შესაძლებელი.³⁶ გზაც ანისიდან არტაშატამდე იმდენად კარგადაა გაკვალილი, რომ მნიშვნელოვანი შეიარაღებული ჯგუფების (ცხენოსანი, ქვეითი) გადაადგილება თავისუფლადაა შესაძლებელი.³⁷ ამდენად, უკვე V საუკუნის შუახანებისთვის გამოიკვეთა ანისის სტრატეგიული მნიშვნელობა (სიმაგრე, დაბანაკება, კომუნიკაციები).

ეპიგრაფიკულ ძეგლებსა და წერილობით წყაროებში სხვადასხვა საგვარეულოს წარმომადგენლებიც იხსენიებიან,³⁸ რაც შესაბამისი საფეოდალო ცენტრების არსებობასაც გვაგარაუდებინებს.

VIII საუკუნეში კამსარაკანებმა შირაკი და არშარუნიქი ბაგრატუნებს მიყიდეს, რითაც ამ უკანასკნელებმა მშვენიერი ბაზა მოიპოვეს ქართული მიწების (აბოცი, ტაო) კოლონიზაციისა და დაპატრონებისათვის.³⁹ 885 წელს აღდგა სომხეთის სახელმწიფოებრიობაც. ბაგრატუნთა დედაქალაქი ხან ბაგარანში, ხან შირაკავანში, ხან ყარსში მდებარეობდა. 961 წლიდან სამეფოს ცენტრმა ანისში გადაინაცვლა. სულ მალე იქ საპატრიარქო საყდარმაც დაივანა.

ბაგრატუნებმა, გადმოგვცემს აბრაამ კრეტაცი, შირაკავანის პირისპირ დააარსეს ანისი, რადგან იგი მდიდარი იყო ყვავილნარით

და მარცვლეულით,⁴⁰ ე.ი. საძოვრებითა და სახნავ-სათიბი მიწებით. ტრადიციამ სრულიად სამართლიანად განსაზღვრა ანისის დაწინაურების ეკონომიკური საფუძვლები. გარდა ამისა, მნიშვნელობა ჰქონდა ქალაქის თავდაცვითუნარიანობასა და სტრატეგიულ მდებარეობას⁴¹ – ახალი დედაქალაქი, ყარსთან შედარებით, უფრო დაშორებული იყო ბიზანტიის იმპერიისა და ქართველთა სამეფოს საზღვრებს და მეტად დაცულიც მათი ექსპანსიისგან; ამ მტერ-მოყვრებთან ბუფერის როლი კი ყარსს უნდა შეესრულებინა;⁴² მნიშვნელოვანი იყო, აგრეთვე, ურთიერთობათა გააქტიურება დვინის საამიროსთან.⁴³ ანისის გადაქალაქებას, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია მითითებული, დიდად შეუწყო ხელი საერთაშორისო ვაჭრობის აღმავლობამ და ტრაპიზონ-დვინის სატრანზიტო გზის გამოცოცხლებამ. დვინი-ყარსი-ერზრუმი-ტრაპიზონის გზაზე, ცხადია, გაცილებით უფრო მოხერხებული იყო ანისი, ვიდრე შირაკავანი. მოწესრიგებული სამომავლო ინფრასტრუქტურა⁴⁴ ანისს საშუალებას აძლევდა, თავისკენ მიეზიდა გზები და „ზღვიდან და ხმელეთით მოპოვებული სიუხვით გამდიდრებულ“ ქალაქთა რიცხვს შეერთებოდა. არისტაკეს ლასტივერტცი ამ სავაჭრო არტერიას სპარსეთისკენ მიმავალ გზას უწოდებს და აღნიშნავს იმ ძალისხმევასაც, ბიზანტიელები რომ ანდომებდნენ მაგისტრალის გაკონტროლებას.⁴⁵ მიზნის მისაღწევად კეისრები არაფერს ერიდებოდნენ, რაც გზაზე ელოებოდათ, ანადგურებდნენ. სომხების პოლიტიკური დამოუკიდებლობაც ამ სტრატეგიულ ინტერესებს ემსხვერპლა (სურ. 5).

1021 წლის ანდერძ-მინაწერი იუწყება, რომ „რომაელთა მეფე ვასილი ... მოვიდა სომეხთა ქვეყანაში; (მან) სომეხთა მეფეს ჰოვანეს გაგიკის ძეს მოსთხოვა ქალაქი ანი და ყოველი შირაკი“.⁴⁶ შირაკი ფართო მნიშვნელობით იხმარება; ის სომეხთა სამეფოს სინონიმად გამოდის. პარალელურად, ფართოვდება ანისის, როგორც მთელი სამეფოს აღმნიშვნელი ტერმინის, მნიშვნელობაც. ამ პროცესისთვის, გარკვეულწილად, ხელი უნდა შეეწყო სომხეთის სამეფოს ორად გაყოფას ჰოვანეს-სმბატსა და აშოტ IV-ს შორის: ერთი მხრივ „ანისის ციხე, მის გარშემო მდებარე გავარებითურთ“, მეორე მხრივ, „ქვეყნის შიდა მხარე, რომელიც სპარსეთსა და საქართველოს უყურებდა“.⁴⁷ ტერმინოლოგიური ევოლუციის თვალსაზრისით საინტერესოა არისტაკეს ლასტივერტცის შემდეგი ცნობაც: როდესაც კეისარმა მეფე სმბატის გარდაცვალება შეიტყო, ჩათვალა, რომ „სიგელი ... სომეხთა მემკვიდრეობაზე“ ძალაში შევიდა და „იზრუნა ქალაქ ანისისა და იმ ქვეყნის დასაპყრობად“; იმავდროულად, სარგის ჰაიკაზანმა „ღირსად ჩათვალა თავისი თავი გამეფებულიყო შირაკსა და მის გარშემო არსებულ გავარებში ... ამ დროს ჰორომთა ჯარები ... ოთხჯერ შეიჭრნენ სომხეთში“.⁴⁸ კარგად ჩანს, რომ XI საუკუნის სომეხი მემკვიდრეობისთვის *სომხეთი*, *ანისი* და *ის ქვეყანა* და *შირაკი* და *მისი გავარები* სინონიმური ტერმინებია. იგივე ავტორი ბიზანტიელთა მიერ „ანისსა და მთელ ქვეყანაზე“ გაბატონებას აღნიშნავს, ხოლო მათ მიერ დანიშნულ მოხელეს უწოდებს „ანისის გამგებელს“, რომელსაც ქვეყანა ეპყრა,⁴⁹ მაშასადამე, ანისი და ქვეყანა ამჯერადაც ერთმანეთს ფარავს (სურ. 6).



სურ. 5. ყარსის ხედი.
წიგნიდან - Texier 1842a

ანისის ცნების განვითარებას კარგად ედევნება თვალი ბიზანტი-ელთა პოლიტიკური ტერმინოლოგიითაც. იოანე სკილიცე სომხეთის სამეფოს ხან „დიდ არმენიას“ უწოდებს,⁵⁰ ხან – „ანისსა და ეგრეთ წოდებულ (var.: „მთელ“) დიდ არმენიას“,⁵¹ ხან „ანისის ქვეყანას“, ხან – „ანისს“.⁵² მისი მტკიცებით, „ანისის ნაწილები“ და „ქვემდებარე“ ციხეები ყოფილა: წმინდა მარიამი (=სურბმარი), ეგრეთწოდებული ამპიერი (=ამბერდი) და წმინდა გრიგოლი (=ხორ ვირაპი), აგრეთვე ხელიდონიოსი (=ერევნის მიდამოები).⁵³

თურქ-სელჩუკთა დაპყრობებისა და ანისის საამიროს დაარსების შემდეგ ანისი შადადიანთა სამფლობელოსა და მისი ბირთვის, შირაკის, აღმნიშვნელ ტერმინად მკვიდრდება. მათეოს ურჰაეცი ქართველი მხედრობის მიერ დამარცხებულ სელჩუკთა „ქალაქ ანის საზღვრებამდე“ დადევნებას რომ აღნიშნავს,⁵⁴ ცხადია, ქვეყნის, საამიროს, საზღვრებს გულისხმობს. იმავე პერიოდის ამბების გადმოცემისას ვარდანიც აღნიშნავს, რომ ფადლონმა (1125/1126-1130) დიდად იბრუნა ქალაქ ანისსა და მის ყველა საზღვარზე.⁵⁵ ანისის ქვეყანა, სახელდობრ მისი საზღვრები, გვხვდება მხითარ გოშის „ალბანეთის ქრონიკაშიც.“⁵⁶ ვარდან არეველცისთან დასტურდება, აგრეთვე, ანისის ქვეყანა/მიწა⁵⁷ და ანისის გავარი.⁵⁸ ეს უკანასკნელი შირაკის მნიშვნელობით იხმარება – ვარდანი თავის „ისტორიაში“ დპრევანქის მონასტერს ანისის გავარში ათავსებს,⁵⁹ ხოლო „გეოგრაფიაში“ – ანისისა და შირაკის გავარში.⁶⁰ ასოლიკი, სამუელ ანეცი და კირაკოს განძაკეცი იმავე მონასტრის მდებარეობას შირაკის გავარში უჩვენებენ.⁶¹ „ქალაქ ანისის გავარი“ ნახსენებია 1172/73 წლების ჰიშატა-



სურ. ნ. იოანე სკილიცა, ისტორიის მიმოხილვა, იოანე სუმბატი იმპერატორ ბასილი II-ის წინაშე. მადრიდი, ეროვნული ბიბლიოთეკა, *Vita*. 26-2, ფ. 228r

კარანშიც.⁶² ანისისა და შირაკის პარალელიზმი კარგად ჩანს შემდეგიდანაც: სტეფანოს ორბელიანი XI საუკუნის სომეხ წარჩინებულს, გრიგოლ აპირატს ხან შირაკის მთავრად, ხან კი ანისის მთავრად მოიხსენიებს.⁶³

ცვლილებებს გეოგრაფიული ნომენკლატურაც განიცდის – პოლიტიკური ცენტრის სახელი ჰიდრონიმზე გადადის. ვარდანის თანახმად, მდ. ახურიანს ანისის წყალი რქმევია, ისევე როგორც მდ. ჰურასტანს – ბიჯნისის წყალი, ხოლო მდ. ამატს – გარნისის წყალი.⁶⁴ ავტორი არაფერს ამბობს, თანადროულ ვითარებას ასახავს მისი ცნობა თუ ადრინდელი ეპოქის გამოძახილია.

ანისის საზღვრები/ანისის გავარი, როგორც ვხედავთ, შინაარსობრივად ახლოს დგას ქართული წყაროების ანისის ქვეყანასთან, თუმცა ქართული მეტყველებისგან განსხვავებით, სომხურში ანისის გავარი ექსკლუზიურად არ გამოიყენებოდა. ხშირად გვხვდება „ქალაქი ანისი და შირაკის გავარი“, „ანისი და (ყოველი) სახლი შირაკისა“.⁶⁵ XIII საუკუნის სომხურ სინამდვილეში არცთუ იშვიათად, მხოლოდ ტრადიციული შირაკის გავარი იხმარება.⁶⁷

რამდენიმე სიტყვით შირაკის საზღვრებსაც უნდა შევხებით. ვარდანის მიხედვით, „არაგაწის საზღვრების ჩრდილოეთით არის შირაკის ქვეყანა“.⁶⁸ „გეოგრაფიის“ წყარო, შესაძლებელია, ყოფილიყო მოვსეს ხორენაცის „ისტორია“, სადაც ნათქვამია, რომ შირაკის ველი „არაგაწად წოდებული მთის ძირში, მის ჩრდილოეთით“ მდებარეობდა.⁶⁹ ორივე ავტორთან გეოგრაფიული პერსპექტივა 90°-ით დარღვეულია, თუკი არაგაწის მასივიდან გამომავალი განშტოებები არ იგულისხმება. სამხრეთი მიჯნა იოანე დრასხანაკერტცის ერთი ცნობით ირკვევა: მეფე სმბატი – ამბობს ისტორიკოსი – „წავიდა ერასხადორის თხემის წვერზე, სოფელ ნახტრადორში.“⁴⁷⁰ ნახტრადორ-ნახტევანის ადგილმდებარეობის მიხედვით, შირაკსა და ერასხადორ/არშარუნიქს შორის საზღვარს მდ. დიგორზე დებენ. ადრე შუა საუკუნეების სომხურ წყაროებში შირაკის უკიდურესი ჩრდილოეთის პუნ-

ქტებიდან დასახელებულია კუმაირი-გუმრი.⁷¹ ზევით აბოცი იწყებოდა; საზღვარი მათ შორის დღევანდელი შირაკის ქედზე გადიოდა,⁷² დასავლეთი საზღვარი კი ყარსის პლატოსგან გამყოფ სიმაღლეებს მიუყვებოდა. ასეა წარმოდგენილი ადრე და განვითარებული შუა საუკუნეების შირაკის საზღვრები სომხეთის ისტორიული გეოგრაფიის მკვლევართა შრომებში.⁷³ კითხვას იწვევს შირაკის საზღვრებიდან თალინისა და მასტარას გამოყოფა და არაგაწოტნისადმი მიკუთვნება. არაგაწოტნი აირარატის ერთ-ერთი გავარია. მასში შემავალ დასახლებებსა თუ მონასტრებს შორის სომხურ წყაროებში დასახელებულია ჰოვჰანავანქი,⁷⁴ აშტარაკი,⁷⁵ სურბ გრიგოლი,⁷⁶ არუჭი,⁷⁷ ოშაკანი,⁷⁸ ეღვარდი,⁷⁹ ალცქი,⁸⁰ თელენისი და ელიპატრუში.⁸¹ ჩამოთვლილი ტოპონიმები ადვილად ლოკალიზდება. ამის მიხედვით, არაგაწოტნი ქართული წყაროების ამბერდის ქვეყანას შეესატყვისება (არაგაწის მასივის აღმოსავლეთით მდებარე მიწებს). მხოლოდ ერთ შემთხვევაშია ნახსენები სოფ. თალინი არაგაწის საზღვრებში.⁸² არაგაწი თუ მაინცდამაინც არაგაწოტნს გულისხმობს, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ გარკვეულ დროს შირაკის საზღვრები აღმოსავლეთით გაფართოებულა არაგაწოტნის ხარჯზე; ეს დრო კი არაუგვიანეს VII საუკუნის მეორე ნახევრისა უნდა ყოფილიყო, რადგან შირაკისა და არშარუნიქის უფლის, ნერსე პატრიკის სამშენებლო წარწერა თალინიდან (695 წლამდე)⁸³ ამ მხარეზე კამსარაკანთა უფლებებს უეჭველს ხდის. ამაზევე მეტყველებს ანანია შირაკაცის ამოცანებში თალინის ნერსე კამსარაკანის სადგომად დასახელება.⁸⁴ ისიც ნიშანდობლივია, რომ „აშხარაცუიცის“ ვრცელ რედაქციაში არაგაწოტნი არ გვხვდება.


ზემოთ დავინახეთ, რომ სომეხი ავტორები დპრევანქის მონასტერს ერთხმად ანის-შირაკში ათავსებენ. ეს მონოფიზიტური საგანე არუჭის ჩრდილო-აღმოსავლეთით, არაგაწის მასივის სამხრეთ კალთებზე მდებარეობს. მაშასადამე, შირაკის საზღვრები არაგაწოტნის მიმართულებით მომდევნო ხანაშიც იზრდება.

შადადიანთა სამფლობელოები, ძირითადად, შირაკსა და არშარუნიქს მოიცავდა. ანისის საამიროში, ბიზანტიური „ანისისა და დიდი არმენიისგან“ განსხვავებით, აღარ შედიოდა სურბმარი – მას საკუთარი ამირა განაგებდა⁸⁵ – და ხორ ვირაპი. არშარუნიქის დასავლეთი ნაწილი კეჩრორის ამირას ეპყრა.⁸⁶ საამიროებს შორის ცილობის საგანს წარმოადგენდა წარაქარის ციხე, რომელსაც ანელი ეპისკოპოსები მამულად თვლიდნენ.⁸⁷ 1186 წელს ანელებმა, ხანმოკლე მარცხის შემდეგ, „აიღეს წარაქარი“ და „უმოწყალოდ გაჟლიტეს ყველა იქ [მყოფი]“.⁸⁸ ანელი შადადიანები ხელს კალზევანსაც ადებდნენ.⁸⁹ ამ პოლიტიკური ტენდენციების გამოძახილს წარმოადგენს ვარდანის „გეოგრაფიაში“ კამრჯაძორის (ტექსტშია კარმნაჯაძორი) მონასტრის – მდებარეობს არშარუნიქის გავარში, კალზევანის მახლობლად⁹⁰ – ხან არშარუნიქში, ხან შირაკში ლოკალიზება.⁹¹ ანალოგიურ მოვლენას ქართულ სინამდვილეშიც ვხვდებით (ვეჟინის მონაცვლეობა კახეთ-ჭერეთში), რაც ქვეყანათა ისტორიულ-გეოგრაფიული განვითარებით აიხსნება.⁹² არშარუნიქის აღმოსავლეთი ნაწილი, ციხე ბაკრანი ანუ ბაგარანი სურმარის მახლობლად, ისევე როგორც მრენი ციხესიმაგრითურთ, შადადიანებს ეკუთვნოდა.⁹³ აღმოსავლეთის

საზღვრების გასარკვევად მნიშვნელოვანია მხითარ გოშის ცნობა ათაბაგ ელდიგუზისა და სულთნის „ანისის საზღვრებში“ მოულოდნელი მისვლის, აშნაკისა და თალინის „მიტაცებისა“ და სიმაგრეების დაწვის შესახებ.⁹⁴ სომხური წყაროს ჩვენებას არაბული ეპიგრაფიკაც ეთანხმება: სულთან იბნ მაჰმუდის სამშენებლო წარწერა თალინის ციხიდან ამ მხარეზე ანელ ამირათა ძალაუფლების გავრცელებას მოწმობს.⁹⁵ ანისის შადადიანთა საბრძანებელს ამბერდსაც მიაკუთვნებენ;⁹⁶ თუმცა ამბერდის ციხის კედლებზე მხარგრძელთა შემორჩენილი წარწერა⁹⁷ სულაც არ ნიშნავს ამბერდის ქვეყანაზე მინცდამინც შადადიანების ხელისუფლების გავრცელებას. საამისო საბუთად არც თალინის ფლობა გამოდგება; მით უფრო მიუღებელია ანელი შადადიანებისთვის დვინის მიკუთვნება (სურ. 7).⁹⁸

ანისის საამიროს საზღვრების დადგენა წარმოდგენას გვიქმნის ანისის ქვეყნის საზღვრებზე, მით უფრო, რომ ცნობათა ნაწილი ანისის საამიროს საქართველოს სამეფოში ინკორპორაციის პერიოდს ეხება. ქართულ წყაროთა (დავით აღმაშენებლის ანდერძი, ლაშაგიორგის დროინდელი მემატიანე, ჟამთააღმწერელი) მონაცემებზე დაყრდნობით უეჭველად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ანისი და ამბერდი დამოუკიდებელ ქვეყნებს წარმოადგენდა და საზღვარი მათ შორის არაგაწზე გადიოდა. ჩრდილოეთისა და დასავლეთის საზღვრებიც, ვფიქრობთ, კვლავაც იმ სიმაღლეებსა და ქედებს გასდევდა, რომლებიც ანის-შირაკს ყარსის ზეგნისგან, აბოცისგან და ლორე-ტაშირისგან გამოყოფდა. „ქართლის ცხოვრების“ კრებულში შემავალ თხზულებათა მიხედვით, XII საუკუნის 20-იან და 60-70-იან წლებში კალბევანი და „ყოველი ჯევნები კლდოვანი და ქალაქები აშორნისა“, ანუ დიგორსა და არაქსს შორის მდებარე არშარუნიქი,⁹⁹ ცალკე ქვეყანაა¹⁰⁰ და ანისში არ შედის. წინააღმდეგობა ბემოთგანხილულ მონაცემებთან არ უნდა იყოს: გასათვალისწინებელია პოლიტიკური გეოგრაფიის ცვალებადობა დროსა და სივრცეში; ანისის ამირები, ეპისკოპოსები და ნახარალები კალბევან-არშარუნიქში, შესაძლებელია, ფლობდნენ როგორც მთელ თემებს, ისე ცალკეულ ციხესიმაგრეებსა და მონასტრებს. ქართულ სახელმწიფოში ანისის ქვეყანა მოიცავდა არშარუნიქს იმ ნაწილს, რომელიც დიგორის ქვემო წელსა და არაქსს შორის მდებარეობდა.¹⁰¹

დასასრულს, ვარდანის ერთ ცნობასაც უნდა შევეხოთ. თავისი დროის ეს შესანიშნავი მოაზროვნე გეოგრაფიულ ტრაქტატში აღნიშნავს, რომ „ძორაგეტი არის ანისი და შირაკის გავარი“.¹⁰² ამ ცნობაზე დაყრდნობით, სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქვამენ თვალსაზრისს, რომ ანი-შირაკს ძორაგეტიც ეწოდებოდა. უკვე მ. სენ-მარტენი სრულიად მართებულად მიუთითებდა, რომ „აშხარაცუიცის“ ავტორი ამ ადგილას ცდებოდა.¹⁰³ ქართული და სომხური წყაროები ძორაკერტს ტაშირის ერთ-ერთ თემს უწოდებდნენ, სამშვილდარ-ძორაკეტელებად კი ლორე-ტაშირის მეფეებს უხმობდნენ;¹⁰⁴ აღსანიშნავია, რომ იგივე პოლიტიკურ-გეოგრაფიული ტერმინოლოგია ვარდანის „ისტორიაშიც“ გვხვდება.¹⁰⁵ ძორაგეტი დღესაც ჰქვია მდინარეს, რომელიც ლორეს დაბლობზე მიედინება და დებედას მარცხენა შენაკადს ქმნის. ძორაგეტის ანისთან გაიგივებას მხოლოდ



შეცდომად ვერ ჩავთვლით, თუ ვარდანის შემდეგ მტკიცებასაც გავითვალისწინებთ: „ქალაქი კარი ანისია“.¹⁰⁶ ისეთ განათლებულ ავტორს, როგორც ვარდანი იყო, შეუძლებელია არ ცოდნოდა, რომ ძორაგეტი (= ლორე-ტაშირი) და მით უფრო, კარი, ანისისგან დამოუკიდებელი ისტორიულ-გეოგრაფიული ქვეყნები იყო. ამიტომ იბადება კითხვა, ვარდანის ეს ორი რეპლიკა ხომ არ არის რემინისცენცია სომხური „თანამეგობრობისა“, ანუ იმ დროისა, როდესაც – ერთ სომეხ მემატიანეს რომ დავესესხოთ – კარშიც და ლორე-ტაშირშიც სომეხ მეფეთა გვარიდან გამოსული ბაგრატუნები ისხდნენ, სამეფო ხელისუფლება სომეხთა მეფის ბრძანებით ეპყრათ და შირაკის სახლს ემორჩილებოდნენ.¹⁰⁷

სურ. 7. ანისი, მანუჩეს მეჩეთი. წიგნიდან - Brosset 1861

ტერიტორიული დანაწილება

იოანე დრასხანაკერტცის ცნობით, აშოტ ერკათმა (914-928/9) „მოკლე ხანში დაიპყრო და დაიმორჩილა თავისი მამის სამფლობელოს ყველა სიმაგრე, რომლებიც ოსტიკანს ჰქონდა დაპყრობილი... მან ზღუდით, მცველებითა და დიდძალი საზრდოთი გაამაგრა და მოამარაგა ციხესიმაგრეები... წავიდა გუგარეთის მხარეებისაკენ და თავისი სამფლობელოს სიმაგრეებიც დაიპყრო და დაიმორჩილა“.¹⁰⁸ ცნობიდან ჩანს, რომ სომხეთში, ისევე როგორც თანადროულ საქართველოში, ხელისუფლება ციხეში მატერიალიზდებოდა – ვინც ფლობდა ციხეს, ის ფლობდა ქვეყანასაც.¹⁰⁹ ეს საციხისთავო ქვეყნები რომელიმე ცენტრის ირგვლივ იკრიბებოდა და უფრო დიდ ქვეყანას ქმნიდა. იმავე

ავტორს შირაკის პუნქტებიდან დასახელებული აქვს ერაზგავორი, იგივე შირაკავანი და ანისის ციხე,¹¹⁰ როგორც ჩანს, ყველაზე მნიშვნელოვანი ორი ცენტრი. შირაკავანმა და ანისმა შირაკი ორ მიკროქვეყნად გაჰყო: „შირაკავანის ქვეყანა და ქალაქ ანისის თემი“.¹¹¹ XVII საუკუნის ავტორის, ჰაკობ კარნეცის თხზულებაში დადასტურებული ეს მწიგნობრული ტერმინები¹¹² მოწმობს, რომ ამგვარი ისტორიულ-გეოგრაფიული დანაწილება თუ X საუკუნისთვის (იოანე დრასხანაკერტცის დროისთვის) მომხდარი არ არის (ოლონდ, *ანისის ციხის თემი* იქნებოდა მაშინ), მომდევნო პერიოდში მაინც ფაქტია, თანაც XIV საუკუნის დასაწყისამდე, ანუ, ანისის დაცემამდე.

ანის-შირაკის ტერიტორიულ დანაწილებაზე ცნობებს გვაწვდის ქართული წყაროც. „სამცხე-საათაბაგოს მღვდელმთავართა და მწყემსთა ნუსხის“ მიხედვით, ანელი ეპისკოპოსის სამწყსოში შედიოდა „სულა ბარიშტიანი და შირაკიანი და ბარასბერეთი“.¹¹³ ბარიშტიანი იგივე ბარიშაია. ქართულ წყაროებში მის შესახებ, თითქმის, არანაირი ცნობები არ მოგვეპოვება. ადრე შუა საუკუნეების სომხურ საისტორიო მწერლობაში ის ვანანდის ერთ-ერთ სოფლად მოიხსენება;¹¹⁴ მის პარალელურ ფორმად დადასტურებული გვაქვს არფაიკი – მთებითა და დაბლობებით გარშემორტყმული ციხესიმაგრე, სადაც იმპერატორ კონსტანტი II-ის (641-668) მოწინააღმდეგე სომეხი ნახარაები და მათი მოკავშირე ქართველები იყვნენ გამაგრებულნი.¹¹⁵

წყაროები, თითქოს, იმასაც მიანიშნებენ, რომ შირაკის საზღვრები დროდადრო მეზობელი ვანანდის ხარჯზე ფართოვდებოდა. 1021 წლით დათარიღებული ერთი სომხური მინაწერი გვამცნობს, რომ ბრძოლა მეფე გიორგი I-სა და იმპერატორ ბასილი II-ს შორის მომხდარა შირაკის ველზე.¹¹⁶ სხვა ავტორები ბრძოლის ადგილს უჩვენებენ კოლასა თუ მის მახლობლად, სოფელ შირიმში, ან კიდევ პალაკაციოს ტბის მიდამოებში.¹¹⁷ წყაროთა ცნობები ერთმანეთს არ ეწინააღმდეგება, რადგან სამივე ქვეყანა (კოლა, პალაკაციო, შირაკი) საკმაოდ ახლოსაა ერთმანეთთან და საომარი შეტაკებებიც მათ მიდამოებში,¹¹⁸ საქართველოს სამეფოსა და სომხეთის საზღვარზე, მოხდებოდა. კოლა-პალაკაციოს საზღვრებამდე განვრცობილი „შირაკის ველი“, ცხადია, ბარიშატსა და ყარსის უკიდურეს ჩრდილოეთ ნაწილს ფარავს.

ბარიშატის ზუსტი ბედი ქართულ სახელმწიფოში უცნობია. საფიქრებელია, რომ ის „კარულისა და მისი ქუეყანათა“ რიცხვს მიეკუთვნებოდა. ასეთ შემთხვევაში, საქართველოს სამეფოში ინკორპორირებისთანავე (XIII საუკუნის დასაწყისი) ბარიშატს ახალციხელები დაეუფლებოდნენ, იმავე საუკუნის 70-იანი წლებიდან – მანკაბერდელეები, ხოლო XIII-XIV საუკუნეების მიჯნაზე „მოსცა ყაენმან ყაზან კარი და მიმდგომი მისი ქუეყანა“ ბექა ჯაყელს. ჯაყელთა მფლობელობა კარის ქვეყნებში XIV საუკუნის 60-80-იან წლებამდე გაგრძელდა;¹¹⁹ ბარიშატში, შესაძლებელია – საუკუნის მიწურულამდეც.

გვიანდელი ავტორებისთვის ბარიშატი ცალკე ქვეყანაა.¹²⁰ თურქული წყაროების მიხედვით, ბარიშატი ყარსის ვილაიეთის სანჯაყია.¹²¹ ოსმალური დავთრები ხანდახან განასხვავებს ზემო და ქვემო

ზარუშატის ლივებს,¹²² ან ზემო და ქვემო ნაპიებს ზარუშატის ლივა-ში.¹²³ ზარუშატის ცენტრი თანამოსახელე ციხე ყოფილა. ევლია ჩე-ლების აღწერით, „სანჯაყის ბეგის სადგომი ციხე ... გაშლილ, ლამაზ ადგილას, მაღალ გორაკზე მდებარეობს. ძლიერი ოთხკუთხა ციხეა, მაგრამ მაინცდამაინც დიდი არ არის. მის შიგნით და გარეთ სამა-სი სახლია.“¹²⁴ ციხის აგება სპარსეთის შაჰებს მიეწერებოდა.¹²⁵ პაპუნა ორბელიანის თანახმად, „ყარსის ციხის მახლობელ ციხე იყო მაგარი და ძველთაგანვე თლილის ქვით გაკეთებული, რომ მის ციხის სიკე-თეს ყოველი მნახავი აქებდეს, რომელსა ეწოდებოდა ციხე ზარისა-ტისა“.¹²⁶ ზარუშატი დღევანდელ არფაჩაისთან ლოკალიზდება,¹²⁷ შე-საბამისად, ზარუშტიანი ანუ ზარუშატის ქვეყანა არფაჩაის სანახებს უნდა მოიცავდეს.

* * *

შირაკოანი, „სულა ზარუშტიანის“ მსგავსად, ქვეყანას გულისხმობს. მართლაც, გვიანდელ სომხურ წყაროებში გვხვდება „შირაკავანის ქვეყანა“/შირაკვანი, როგორც „ქალაქ ანისის თემის“ (= ქართული წყაროს მალასბერდის) ან გელარქუნის ტოლფარდი და მათთან შე-პირისპირებული ტერმინი.¹²⁸ „მეფეთა ცხოვრებამ“ ჩვენთვის საინტე-რესო ხორონიმი „შირაკუანის“ ფორმით შემოინახა, როგორც მთე-ლი შირაკის აღმნიშვნელი ტერმინი: „შევიდეს ესენი სომხითს და ... წარმოსტყუენეს შირაკუანი და ვანანდი ბაგრევანადმდე და ბასია-ნამდე...“ – მოგვითხრობს ლეონტი მროველი.¹²⁹ უამთააღმწერელთან დასტურდება „შირაკავანი“ და ანისის ქვეყნის ანუ შირაკის ერთ-ერთ დასახლებას აღნიშნავს.¹³⁰

შირაკავანი, მერმინდელი ბაშ-შურაგელი, ხშირად გვხვდება სომხურ წყაროებში შემდეგი ფორმით: *սյանն Շիրակայ* (შირაკის დაბა),¹³¹ *Շիրակսյան*¹³² ან *Շիրակյան*.¹³³ ქართული შირაკოანი/შირა-კუანი, ერთი შეხედვით, შირაკავანის შერყვნილ ფორმად შეიძლება ჩავთვალოთ, თუმცა საკითხი ამით არ ამოიწურება. ბაგნაირის XIII საუკუნის ეპიგრაფიკულ ძეგლებში დამოწმებული გვაქვს ადგილის სახელი *Շիրակուան*,¹³⁴ რომელიც, გრამატიკული ნორმების დაცვით, იკითხება შირაკუანად, ან, მათ დაუცველად – შირაკოვანად. შირა-კავანს შირაკუან-შირაკოვანად მხოლოდ ბაგნაირის წარწერების ამომკვეთნი არ გამოთქვამდნენ; ტოპონიმის ამგვარი სახეცვლი-ლება უფრო ზოგად მოვლენას წარმოადგენდა, რასაც კარგად აჩვენებს XIII საუკუნის ჰიმატაკარანებში *Շիրակյանեցի – Շիրակունի* მონაცვლეობა.¹³⁵ იმავე პერიოდში შირაკუანად გადაქცევის ტენდენციას ამჟღავნებს „შირაკიც“: ვარდან არეველცი ანანია შირაკაცის ანა-ნია შირაკუნით (*Անանիա Շիրակունի*) მოიხსენიებს; იმავე ავტორის თხზულებაში ვხვდებით შირაკუნის მთავარს ბელიდს (*Բելիդն իշխանն Շիրակունի*).¹³⁶ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ *Շիրակուան*-ი, საიდანაც შირაკოანი და შირაკუანი წარმოდგება, *Շիրակսյան*-ის დიალექტური ვარიანტია. სომხურ წყაროებში ეს ფორმა XIII საუკუნეში დასტურდე-ბა, ქართულში – XI საუკუნეში. რეალურად, ქართულ სინამდვილე-ში ამაზე უწინარეს უნდა გაჩენილიყო – თავდაპირველად შირაკუ-ანი შირაკის მხოლოდ ერთ დასახლებას ერქმეოდა, ხოლო შემდეგ



სურ. 8. ტიგნისის ციხე.
საერთო ხედი სამხრეთიდან

მთელ ქვეყანაზე გავრცელდებოდა; ტერმინის ევოლუციას კი დრო სჭირდებოდა. ქართულ სამწერლობო წრეებში ტერმინი გავრცელდებოდა ქართული მოსახლეობის იმ ნაწილისგან, რომელიც უშუალოდ ესაზღვრებოდა შირაკოვანს და მის სახელდებასაც იცნობდა.

შირაკავანი პირველად სებეოსთან იხსენიება. ბიზანტია-სპარსეთის ომებისას (VI საუკუნის ბოლოსა და VII საუკუნის დასაწყისში) ის მნიშვნელოვანი პუნქტია, სადაც მოწინააღმდეგე მხარეები ბანაკდებიან და ბრძოლებს იხდიან. აქედან კონტროლდება, ერთი მხრივ, შირაკისა და კარის პურიტ მდიდარი მიწები, ხოლო, მეორე მხრივ, დვინსა და თბილისისკენ მიმავალი გზები.¹³⁷ შირაკავანს ზურგს უმაგრებდა ერგინას ციხე, როგორც ჩანს, ციხე-გალავანი, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა აფარებდა თავს.¹³⁸

მომდევნო ხანაში შირაკავან-ერაზგავორი ბაგრატუნთა რეზიდენციას და სომეხთა საერო და სასულიერო ცხოვრების ერთ-ერთ დიდ ცენტრს წარმოადგენდა.¹³⁹ მისი დაწინაურებისთვის საგრძნობლად უნდა შეეწყო ხელი სომეხ მეფეთა ექსპანსიონისტურ პოლიტიკას ქვემო ქართლის მიმართულებით.¹⁴⁰ სომხურ წყაროთა მითითებით, ჩრდილოეთის ხალხთა, ანუ გუგარელთა და მათ მეზობელთა, აჯანყების ჩასახშობად გამზადებული სომეხეთის მეფეები შირაკავანში ბანაკდებოდნენ;¹⁴¹ შირაკავანში უცხადებდნენ მორჩილებას ტაშირელი კვირიკიანები ანელ ხელმწიფეებს.¹⁴²

თავისი მნიშვნელობა შირაკავანს ანისის აღზევების შემდგომაც არ დაუკარგავს. 1231 წლის წარწერაში, რომელიც ივანე ათაბაგის და მისი მეუღლის, ხოშაქის სახელით გაცემულ საბუთს წარმოადგენს, იხსენიება „ზემო შირაკის წისქვილის ხარაჯა“, „სოფლელები და ხარკი ციხისა“, იურიდიული ტერმინი „ვათავისუფლეთ“.¹⁴³ 1228 წლის

წარწერაშიც შირაკის სოფლისთვის მინიჭებულ საგადასახადო შეღავათებზეა საუბარი.¹⁴⁴ გამოდის, რომ შირაკავანი სოფლის ტიპის დასახლებას წარმოადგენდა, თუმცა ზოგიერთი მონაცემი განსხვავებული დასკვნის საშუალებასაც იძლევა.

1234 წ. შარაფშაჰ აპირატის ძემ ბაგნაირის ღმრთისმშობლის ეკლესიას შესწირა სამი წისქვილის თვალი შირაკუანში და ჯვრის ველი; მისმა მეუღლემ – შირაკუანში სარიჭ-ფოლოცის ქულბაქს ზემოთ მდებარე ჭლუტის მინდორი, ხოლო ქალიშვილმა – ნალბდნოცნის (ნალბანთა ქუჩის?) საკუთარი ქულბაქებიდან ორი ქულბაქი,¹⁴⁵ დიდი ალბათობით, შირაკუანშივე. ამრიგად, შირაკუან-შირაკავანს აშკარად გამოხატული საქალაქო ელემენტები ახასიათებს (ფოლოცი, ქულბაქი, სახელოსნო). მათ სიახლოვეს სასოფლო-სამეურნეო არეები კიდევ ერთხელ ადასტურებს თეზას, რომ ანატოლიაში საქალაქო და სასოფლო დასახლებები ურთიერთგადაჯატვული იყო.¹⁴⁶

მხარგრძელთა 1231 წლის წარწერა-საბუთი იმითაც არის საინტერესო, რომ დასტურდება ისტორიულ-გეოგრაფიული ქვეყნის, ზემო შირაკის არსებობა, რომლის ცენტრი, იმავე დოკუმენტის ტერმინოლოგიით, „ციხე“ ყოფილა. არ არის გამორიცხული, რომ ეს ფუნქცია ტიგნისის ციხეს ეთავა. ამ საფორტიფიკაციო ნაგებობას ბაგრატუნთა ზეობის ხანით ან მათი შემდგომი პერიოდით ათარიღებენ;¹⁴⁷ შესაძლებელია, მეორე თვალსაზრისი უფრო სწორიც იყოს, მაგრამ ციხის აღმოცენება „არაფრისგან“ (ex-nihilo), როგორც ანისის ფრანგული მისიის წევრები ამტკიცებენ, ფეოდალურ საზოგადოებაში იშვიათად ხდებოდა. ტიგნისის ციხე ძველი შირაკავანიდან (დღევანდელი ბაშ-შურაგელიდან) ორი კილომეტრის დაშორებით, მთის ტაფობზე აღმართული და არე-მარეზე ბატონობს. ციხე სამხრეთ-დასავლეთით ქედებით ისაზღვრება, ხოლო ჩრდილო-აღმოსავლეთით გაშლილია, თითქოს ღორე-ტაშირისკენ იმზირება. ბაგრატუნთან და შედადიანთა მმართველობისას ის თავისუფლად შეიძლებოდა ყოფილიყო ქვემო ქართლისკენ და თბილისისკენ მიმართული ექსპანსიის ბაზა, ხოლო მხარგრძელთა მფლობელობისას – ღორესა და ანისის მამულების დამაკავშირებელი რგოლი. ასეთი მძლავრი ციხე ბაშ-შურაგელის მიდამოებში სხვა არ შეინიშნება (სურ. 8).

ზემო შირაკი ქართული და სომხური წყაროების შირაკოანს/შირაკავანის ქვეყანას უნდა შეესატყვისებოდეს.

* * *

ზემო შირაკის ანალოგიით საგულისხმებელია ქვემო შირაკიც; დიდი ალბათობით, ის ქართული წყაროს ბარასბერეთს ანუ მაღასბერდს¹⁴⁸ შეესატყვისება. მაღასბერდი კარგად ცნობილი ციხეა; ის ანისიდან სამხრეთ-დასავლეთით, ხუთი კილომეტრის დაშორებით მდებარეობს. აგებულია ახურიანის მარჯვენა ნაპირზე, იმ ადგილას, სადაც მდინარე ორ ბრუნს აკეთებს და შედარებით ადვილად გადასალახავია. ციხე ახურიანზე გადასასვლელ გზებს კეტავდა და ციცაბო კანიონში გამავალ ბილიკებსაც აკონტროლებდა. მაღასბერდის ციხეზე შეინიშნება აღმშენებლობის რამდენიმე ფენა, რომელთაგან უგვიანესი, წარწერის მიხედვით, XVIII საუკუნით თარიღდება. სამშენებლო

ტექნიკას პარალელი ეძებნება XIII საუკუნის ანისშიც.¹⁴⁹ მაღასბერდის ციხის ზემოთ, პლატოს პირზე, გამაგრებული ნასახლარიც აღმოჩნდა. ნანგრევებში დადასტურდა თავისუფალი ჯვრის ტიპის ეკლესიის ფრაგმენტები; მონუმენტურ ნაგებობათა კვალი არ იკითხება.¹⁵⁰ გამოითქვა მოსაზრება, რომ ციხე და ნასახლარი, მიმდებარე სურბურბანული სტრუქტურებით, წარმოადგენდა ერთიან კომპლექსს; ეს ადრე შუა საუკუნეების ციხე-ქალაქი ფართობითაც (დაახლოებით 16 ჰექტარი) და მნიშვნელობითაც ბევრად აღემატებოდა თანადროულ ანისს, რომლის აღმავლობა მხოლოდ მისი გადაედაქალაქების დროიდან იწყება.¹⁵¹

ცნობები მაღასბერდის შესახებ ადრე და განვითარებული შუა საუკუნეების წყაროებში საკმაოდ მწირია. სომხური საისტორიო ტრადიციით, მაღასბერდის მშენებლობა კეისარ მავრიკეს (582-602 წწ.) ლაშქრობებს უკავშირდება; ამასთანავე, წყაროთა მონაცემებში გარკვეული სხვაობაც ვლინდება – ფსევდო შაპუჰ ბაგრატუნი ციხის აგებაზე საუბრობს,¹⁵² ხოლო ზაქარია ქანაქერცი – ქალაქის დაარსებაზე.¹⁵³ ამ უკანასკნელმა, ჩანს, უფრო ძველი გადმოცემები შემოინახა,¹⁵⁴ ფსევდო შაპუჰის თხრობაში, კი, სავარაუდოდ, ავტორის დროისთვის მომხდარი ტოპოგრაფიული და სტრუქტურული ცვლილებები აისახა, სახელდობრ, საქალაქო ცხოვრების დაკნინება და საფორტიფიკაციო დანიშნულების წინა პლანზე წამოწევა.

ქართველთა ბატონობის ხანაშიც მაღასბერდი მნიშვნელოვანი ციხე-სიმაგრეა. 1222 წლის ჰიშატაკარანში იხსენიება ქალაქ ანისის კარის ზემო ციხე, სახელად მაღასბერდი და ციხე წარქარი.¹⁵⁵ სომეხი ავტორის „ქალაქ ანისის კარი“ იდენტურია ქართულ წყაროთა „ანისის კარნი“-სა.¹⁵⁶ „ქართლის ცხოვრების“ თხზულებებში „კარის“ დართვა ციხე-ქალაქთა სახელებზე (სამშვილდის კარი, ლორეს კარი) ამ უკანასკნელთა სანახების, მისადგომების (და არა – კარიბჭის) აღსანიშნავად, ჩვეული მოვლენაა.¹⁵⁷ ასეთ ქვეყნებს თავისი „მოკიდებული“ ციხესიმაგრეებიც ჰქონდა (სამშვილდის კარს ფარცხისი ეკუთვნოდა).¹⁵⁸ მსგავს მოვლენას სომხეთის სინამდვილეშიც ვადასტურებთ: XIII საუკუნის ანონიმი ქრონოგრაფის თანახმად, ანისის კართან მეფე დემეტრე I-მა სალთუკი შეიპყრო,¹⁵⁹ გიორგი III-მ – შაჰარმენი,¹⁶⁰ ხოლო თამარმა თურქები შამქორის კართან დაამარცხა¹⁶¹ (შდრ.: „განძას და შამქორს საშუალ“¹⁶²). „კარის“ ქვეყნის აღმნიშვნელ ტერმინად გამოყენება კარგად ჩანს სტეფანოს ორბელიანთანაც: აღფარსლანმა აიღო ანისი, კარი, შირაკი და სხვა ქვეყნები ვიდრე თბილისის კარამდე;¹⁶³ ტარსაიჭ ორბელის სამფლობელოები ბარკუშატის კარიდან ბიჯნისის საზღვრებამდე ვრცელდებოდა¹⁶⁴ და სხვ. ამრიგად, ქართული და სომხური წყაროების ურთიერთშეპირისპირებით შირაკში დასტურდება კიდევ ერთი მიკროქვეყანა – „ანისის კარი“, რომლის ფორპოსტს მაღასბერდის ციხე წარმოადგენდა. როგორც ვხედავთ, გარკვეულ დროს ისტორიულ-გეოგრაფიული ქვეყნების სახელდება ერთნაირი ყოფილა ქართულშიც და სომხურშიც.¹⁶⁵ ჩვენთვის საინტერესო ანდერძ-მინაწერში მაღასბერდის ციხის „ზემოობა“, შესაძლებელია, წარქართან – ეს უკანასკნელი კარის სამხრეთით, კერძოთა თემში მდებარეობდა¹⁶⁶ – მიმართება-



სურ. 9. მაღასბერდის ციხე-საერთო ხედი

შია განსაზღვრული. XIV საუკუნეში მაღასბერდში, სავარაუდოდ, გარაფხანაც მოქმედებდა.¹⁶⁷ „სანამ ქვეყანაში ძალაუფლება ქრისტიანებს ეპყრათ, მაღასბერდსაც ისინი ფლობდნენ“ – ამბობს გაქარია ქანაქერცი და იქვე დასძენს: „ხოლო, როდესაც ქვეყანა სპარსელებმა იგდეს ხელთ, მაღასბერდიც მათ დარჩა“.¹⁶⁸ „ქრისტიანებს“ ქვეშ ავტორი ქართველებს გულისხმობს, რადგან მისივე სხვა ცნობით შირაკის ქვეყანა და კარბის თემი ქართველ მეფეთა საბრძანებელს წარმოადგენდა (სურ. 9).¹⁶⁹

ქართულში მაღასბერდი პოლისემური სახელია – ის აღნიშნავს ციხე-ქალაქსაც და მის ქვეყანასაც, ხოლო სომხურში – მხოლოდ ცენტრს; მისი შესავალი სოფლებით შექმნილი ისტორიულ-გეოგრაფიული ტერიტორია კი ქალაქ ანისის თემის ან ჰიპოთეტური ქვემო შირაკის სახელით მოიხსენიება. განსხვავება, თავისთავად, საყურადღებოა, თუმცა ჩვენთვის იმ გარემოებას აქვს მნიშვნელობა, რომ უკვე XIII საუკუნეში დოკუმენტურად დასტურდება შირაკის ისეთი დაყოფა, როგორსაც სამცხე-საათაბაგოს მღვდელმთავართა ნუსხაში ვხვდებით.

* * *

XVII საუკუნის სომხურ საისტორიო მწერლობაში კვლავ იხმარება შირაკი,¹⁷⁰ შირაკვანი¹⁷¹ ან შირაკვანის გავარი.¹⁷² მაგრამ XVI საუკუნის დასაწყისში ან ამაზე ადრეც ჩნდება ხორონიმი შორაგელი/შურაგელი. ნ. ადონცის თანახმად, ეს გეოგრაფიული სახელი შირაკ-გავარისა ან შირაკ-ავანისგან წარმოდგება.¹⁷³ ევლია ჩელებისთან შემონახული ხალხური ეტიმოლოგიით, ციხე-ქალაქი ააშენა სულტან ჰუსეინ

სურ. 10. ანისი, ქალწულთა ციხის ეკლესია. საერთო ხედი, ჩრდილო-დასავლეთიდან

ბაიკარამ ექიმ შურაგერის მითითებით.¹⁷⁴ ცნობა იმდენადაა საინტერესო, რამდენადაც ტოპონიმის დამკვიდრებას თურქმანთა ბატონობას უკავშირებს. იმავე ავტორის ჩვენებით, შორაგელის „ნაჰიების უმრავლესობა არფაჩაის გაღმა მდებარეობს, ერევნის მფლობელობაშია. აქეთა ნაპირი მთლიანად ყარსის საბრძანებელშია“,¹⁷⁵ ანუ შორაგელი მოიცავდა არფაჩაი-ახურიანის როგორც მარცხენა, ისე მარჯვენა სანაპიროს. ოსმალთა ისტორიკოსს კიდევ ერთი ნიშანდობლივი ცნობა მოეპოვება შორაგელის საზღვრების დადგენისათვის: „მაღაზბერდის ციხე – წერს იგი – სპარსელთა შურაგელის ციხის მიწაა“.¹⁷⁶ გამოდის, რომ შორაგელი ქვემო შირაკსაც მოიცავდა და, ამდენად, მთელ ანის-შირაკის ქვეყანას ფარავდა. ასეთი მნიშვნელობით უნდა იხმარებოდეს ეს ხორონიმი XVI-XVII საუკუნეთა სხვა ავტორების – ჰასან რუმლუს, ისქანდერ მუნშისა და იბრაჰიმ ფეჩევის – თხზულებებში.¹⁷⁷

გეოგრაფიულმა და პოლიტიკურმა ფაქტორებმა, განსაკუთრებით კი, ორად გახლეჩა, თავისი დალი დასავა შორაგელის ისტორიულ-გეოგრაფიულ განვითარებას. სტრატეგიულმა მდებარეობამ და ძლიერმა ეკონომიკურმა ბაზამ ხელი შეუწყო მაღასბერდის მფლობელს, საკუთარი სასულთნო შეექმნა. მაღასბერდის სულთანს უკვე XVII საუკუნის პირველ ნახევარში ვხვდებით.¹⁷⁸ ოსმალებს, მართალია, 1639 წლის ზავით მაღასბერდის მოთხრის ვალდებულება ჰქონდათ აღებული,¹⁷⁹ მაგრამ ომის შემდეგ კიდევ უფრო გაამაგრეს და მირ-ლივას საჯდომად აქციეს.¹⁸⁰ სასულთნოს სხვა ციხეებიდან წყაროებში დასახელებულია ანისი,¹⁸¹ რომელიც XVIII საუკუნის ბოლოს ჯერ ისევ მოქმედი ციხე ყოფილა.¹⁸²

არფაჩაის მარჯვენა ნაპირის ჩრდილოეთი ნაწილი შორაგელის ნაჰიეში ან შორაგელის ლივაში იყო გაერთიანებული.¹⁸³ შორაგელი „საჭირო და მნიშვნელოვან ციხეთაგანი“ ყოფილა, განსაკუთრებით – თურქეთ-სპარსეთის ომების დროს.¹⁸⁴ ისქანდერ მუნშის „ისტორიაში“ რამდენჯერმე იხსენიება აღჯაყალა.¹⁸⁵ ვახუშტი ბაგრატიონი თეთრიციხეს აბოცისა და შირაკის საზღვარზე, ახურიანის მარჯვენა სანაპიროზე უჩვენებს.¹⁸⁶ კავკასიის მხარის ხუთვერსიან რუკაზე, სომხეთში, თალინის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ზემო და ქვემო აღჯაყალაა დატანილი.¹⁸⁷ გარდა ამისა, თურქული დავთრებით ცნობილია აღჩა კალას ნაჰიე შორაგელის ლივაში;¹⁸⁸ ცხადია, ამავე სახელწოდების სოფელიც არსებობდა. აღჩა კალას ნაჰიეში აღირიცხებოდა სოფ. კარა კალე.¹⁸⁹ ეს უკანასკნელი, ზოგჯერ, შორაგელის ნაჰიეშია ნაჩვენები.¹⁹⁰ ამ სახელწოდების სოფლები დღემდე არსებობს; ერთ-ერთი არფაჩაის ჩრდილო-აღმოსავლეთით, დაახლოებით ათი კილომეტრის დაშორებით მდებარეობს. ისტორიულ-გეოგრაფიული თვალსაზრისით ის კარის ქვეყანას, უფრო ზუსტად, ბარიშატს ეკუთვნის. შორაგელ-შირაკის გაფართოება მოსაზღვრე ქვეყნების ხარჯზე სავსებით დასაშვებია, მაგრამ დრო და პირობები უცნობი რჩება. შორაგელის ნაჰიეს სოფლებიდან საინტერესოა, ასევე, ველ კალე. ტოპონიმები აღჩა კალა, კარა კალე და ველ კალე იმის მოწმობაა, რომ იქ ციხეები მდგარა. სამწუხაროდ, არც ადგილმდებარეობაა ცნობილი და არც სხვა ცნობები მოგვეპოვება, რომ მათ არსსა და ცხოვრების ეტაპებზე,



უფრო ზოგადად კი შორაგელ-შირაკის ცენტრებზე, თავდაცვით სისტემასა და სამიმოსვლო ქსელზე ვისაუბროთ.

ზუსტად ლოკალიზდება შორაგელის ლივის თუ ნაჭიეს აღმოსავლეთ საზღვარზე განლაგებული ციხეები: ბაშ-შორაგელი, უზუნ-ქილისი და ყიზილ-ჩახჩახი.¹⁹¹ სიმაგრეთა კონცენტრაცია პირდაპირპროპორციული იყო მოსაზღვრე ქვეყნის – შორაგელის სასულთნოს – დასახლების ინტენსივობისა (შესაბამისად, მოლაშქრეთა მობილიზაციის) და იქიდან მომავალი გზის მნიშვნელობის.

არფაჩაის მარცხენა სანაპიროზე შორაგელის, შერაბხანეს და ელის ნაჭიე შეიქმნა; მას მეღიქი განაგებდა.¹⁹² მოგვიანებით ეს ოლქი დაიშალა და შორაგელის სასულთნო გამოიყო.¹⁹³ XVIII საუკუნის მიწურულს სასულთნოს ცენტრი შორაგელის ციხე ყოფილა.¹⁹⁴ მისი ლოკალიზაცია უცნობია. XIX საუკუნის დასაწყისში შორაგელის სულტნის რეზიდენციას არტიკი წარმოადგენდა.¹⁹⁵

შორაგელის სასულტნო სამხრეთით მდებარე ქვეყნების ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის შესახებ ცნობები არ გავგაჩინია. რუსეთ-ირანის 1804-1813 წლების ომის ამსახველი მასალებიდან ირკვევა, რომ სამხრეთის ცენტრად თალინი მოიაზრებოდა: მოხერხებული მდებარეობა ერევან-ყარსის დამაკავშირებელ მაგისტრალზე, სტაბილური სამეურნეო ბაზა (მემინდვრეობა-მეხორბლეობა), ადვილი წვდომა თურქეთის საზღვრებში მარილსა და სხვა საჭირო პროდუქტებზე არაქსის ორივე სანაპიროზე განფენილ სოფლებს თალინისკენ იზიდავდა და მის ქვეყნად აყალიბებდა.¹⁹⁶ თალინის სტრატეგიული მდებარეობა ეკავა შორაგელთან და ბამბაკთან მიმართებაშიც: როდესაც სპარსელებმა თალინში ციხე-სიმაგრის აგება დაიწყეს, რუსეთის ხელისუფლებამ გადაწყვიტა, რომ ეს საფრთხეს შეუქმნიდა შორაგელსა და ბამბაკს და სამხედრო მოქმედებების გააქტიურებით მოწინააღმდეგეს განზრახვაზე ხელი ააღებინა.¹⁹⁷ იმავე მასალებში საინტერესო ცნობებია დაცული შორაგელის სასულთნოს სამხრეთი საზღვრების შესახებ. 1813 წლის გულისტანის ზავით საზღვარი გასდევდა მასტარასა და არტიკს შორის გამავალ ქედებს, არფაჩაიდან არაგაწამდე,¹⁹⁸ ანუ ისე, როგორც 1812 წლის სამშვიდობო პროექტში იყო ჩადებული.¹⁹⁹ 1825 წლის 30 მარტით დათარიღებულ წერილში აბას-მირზასადმი საქართველოს მთავარმართებელი ალ. ერმოლოვი (1816-1827) კიდევ უფრო აკონკრეტებს ამ მიჯნას: არფაჩაისა და ყარსჩაის შეერთების ადგილიდან პირდაპირი ხაზით დაშკალამდე, იქიდან ნასოფლარ სეგუტლუზე გავლით გადაკვეთს ბალიკჩაის და მისი მარჯვენა სანაპიროს აყოლებით მიადგება ალაგებს. შორაგლელებს უნარჩუნდებოდათ ბალიკჩაიდან გამოყვანილი არხებით სარგებლობის უფლება.²⁰⁰ საზღვრის ასეთი დადგენა ნებისმიერი რომ არ ყოფილა, კარგად მოწმობს ორონიმი შორაგელის მთა, რომელიც თანამოსახელე პროვინციის განფენილობის საზღვრის მაჩვენებელია და ხუთვერსიან რუკაზეც აღნიშნულ წყალგამყოფ ხაზზეა დატანილი. გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ შირაკ-შორაგელის ამგვარი ტერიტორიული დანაწილება, გარკვეულწილად, განვითარებული შუა საუკუნეების ტრადიციით – გემო და ქვემო შირაკზე მოგონებით – საზრდოობდა.

ფიზიკური და ეკონომიკური გეოგრაფია. გზები

ისტორიული შირაკი მაღალი მთებით შემოსაზღვრული ვრცელი უტყეო პლატოა, რომელიც ზღვის დონიდან 1600-1800 მ. მდებარეობს. მისი ვულკანური ქანები წარმოდგენილია ბაზალტით, ტრაქიტით (ქვედა შრე) და ტუფით (ზედა, მეტად ძლიერი შრე). გავრცელებულია შავმიწა ნიადაგი. პლატო ხასიათდება მკაცრი ზამთრით და ცხელი ზაფხულით; აბსოლუტური ტემპერატურა, შესაბამისად -41° -ს და $+36^{\circ}$ -ს აღწევს. გაზაფხული და შემოდგომა სუსხიანია. საშუალო წლიური ტემპერატურა $+6^{\circ}$ -ია. შირაკის პლატო ზამთარში უხვთოვლიანია, ზაფხულობით ბალახით იფარება.

შირაკის მთავარი სასიცოცხლო არტერია მდ. ახურიანია. მისი წყლები ძველთაგანვე გამოიყენებოდა სარწყავად და სასმელად; მდიდარია თევზით. მდინარის დახრამული ნაპირები თავდაცვის შესანიშნავ საშუალებას წარმოადგენდა (სურ. 10).²⁰¹

ფიზიკურმა გეოგრაფიამ შირაკის ზეგანის მეურნეობის მაპროფილებელ დარგებად იმთავითვე მემინდვრეობა და მესაქონლეობა განსაზღვრა. ისტორიის საკმაოდ ადრეულ ეტაპზე ხალხურმა ტრადიციამ მხარის ნაყოფიერება და ეკონომიკური სიძლიერე მითიური ეთნარქ-ეპონიმის, შარას „ღორმუცელობასა და მრავალშვილიანობაში“ გარდასახა და მოარული ანდაზითაც გააფორმა: „უკეთუ შენ შარას საყლაპავი მილი გაქვს, ჩვენ შირაკის ბეღელთა მფლობელები არა ვართ“.²⁰² საუკუნეთა განმავლობაში შირაკი მეხორბლეობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კერას წარმოადგენდა, რაც მოსახლეობისთვის შეწერილ გადასახადებშიც აისახა.

ლაპიდარულ წარწერებში წისქვილებისა და ზეთსახდელების ხშირი მოხსენიება როგორც ხორბლეული, ისე ტექნიკური კულტურების ფართო გავრცელებაზე მეტყველებს.

ალაგ-ალაგ მეხილეობა-მევენახეობასაც მისდევდნენ. ამ ინტენსიური სასოფლო-სამეურნეო დარგების კერებად მრენი, თალინი და აშნაკი მოჩანს. ხილს და ყურძენს შირაკავანიდანაც ეზიდებოდნენ. ზვრებს და მინდვრებს სახელები ჰქონდა; ერთ-ერთი გამორჩეული ვენახი ავეტმანის ანუ ხარების სახელობისა ყოფილა. ღვინოზე დიდი მოთხოვნა იყო როგორც საერო, ისე სასულიერო წრეებში. ვენახებს ხშირად მონასტრებს სწირავდნენ. შირაკის ზეგანი წყლის რესურსებით ღარიბია,²⁰³ ამიტომ წყლით სარგებლობით რეგულირებას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა შუა საუკუნეების ანი-შირაკში. ერთი წარწერა-საბუთით, მონასტრის მამები წყლის უკანონო გამოყენებისთვის ეკლესიიდან განკვეთითაც იმუქრებოდნენ. სარწყავი წყლით სარგებლობა სახელმწიფო შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროსაც წარმოადგენდა.²⁰⁴

მიწათმოქმედებასთან ერთად შირაკის ეკონომიკაში დიდ როლს თამაშობდა მესაქონლეობა (გადასახადები საუღლე ხარზე, სახედარზე, ხბოს ტყავი...), მეფუტკრეობა, ასევე ქვის კარიერის დამუშავება.

ასეთი იყო, უმთავრეს ხაზებში, ანის-შირაკის ეკონომიკური გეოგრაფია X-XIII საუკუნეებში.²⁰⁵ არსებითად ის არც მომდევნო საუკუნეებში შეცვლილა.



სურ. 11. მრენის ტაძარი.
ხედი ჩრდილო-დასავლეთიდან

მზარდი მოთხოვნა პურზე, ღვინოზე/ვენახზე, ხილზე, ტყეზე, ბა-
ლახზე, სამშენებლო ქვასა თუ მარილზე შირაკის სხვადასხვა კუთხეს
ერთმანეთთან აკავშირებდა, ერთ ქვეყნად კრავდა. ეს კავშირები
არც მას შემდეგ დარღვეულა, რაც სპარსეთმა და ოსმალეთმა შირა-
კი ორად გახლიჩეს. ზამთარში შორაგელი, ბამბაკთან ერთად საქარ-
თველოს დანარჩენ მხარეებს მოწყვეტილი, პურიტ მაღასბერდიდან
მარაგდებოდა,²⁰⁶ ხოლო ზაფხულობით მაღასბერდის პირუტყვი სა-
ბალახედ შორაგელს მიდიოდა.²⁰⁷ ორად გახლიჩილი ქვეყნის ეკო-
ნომიკურ ურთიერთობათა ერთ-ერთ გვიანდელ მატერიალურ მოწ-
მობად ანისში აღმოჩენილი ქართული თეთრიც (1831 წ.) გამოდგებო-
და.²⁰⁸

* * *

კავშირურთიერთობები გზებით ხორციელდებოდა. გზა და წყალი
ანის-შირაკის დასახლებებსაც განსაზღვრავდა (უმთავრესად, მდი-
ნარის გასწვრივ),²⁰⁹ უფრო ზუსტად, სამივე კომპონენტი ურთიერთ-
ზემოქმედებდა. უადრეს წერილობით მოწმობას უსახელო სომხურ
გეოგრაფიაში ვხვდებით. „აშხარაცუიცის“ ვრცელ რედაქციაში შირა-
კისა და არშარუნიქის პუნქტებიდან დასახელებულია მავრიკოპო-
ლის-შირაკაშატი, ანისი, მრენი და ერვანდაშატი.²¹⁰ ისინი ახურიანის
გასწვრივ მდებარეობდა, რაც მდინარის ხეობაში გამავალ გზასაც
გულისხმობს. ჰ. მანანდიანის მოსაზრებით, ანტიკურ ხანასა და ადრე
შუა საუკუნეებში ერვანდაშატი არტაშატიდან მომავალი სავაჭრო-
საქარავნო გზების ტოტებს დასავლეთ საქართველოსკენაც მიმარ-
თავდა,²¹¹ ცხადია, ახურიანის აყობებით.

საერთო სურათისთვის მნიშვნელოვანია V-VII საუკუნეებით და-
თარიღებული წარწერები თეკორიდან, ალამანიდან, ბაგარანიდან,

მრენიდან, თალინიდან, ნახჭავანიდან და მასტარადან.²¹² ისინი წარმოდგენას გვიქმნის არა მხოლოდ შირაკის ადრეული ქრისტიანული ტაძრების გავრცელების გეოგრაფიაზე, არამედ დასახლებებისა და გზების ტოპოგრაფიაზეც. საინტერესოა, მაგალითად, რომ მასტარასა და თალინზე ტრადიციულად გადიოდა ვალარშაპატ-გუმრის დამაკავშირებელი გზა. კლავდიოს პტოლემეოსის „გეოგრაფიულ სახელმძღვანელოში“ დასახელებული Thalina-ს²¹³ თალინთან გაიგივების შემთხვევაში შეგვეძლო გვეთქვა, რომ გზები არტაშატიდან თალინისკენ ახ.წ. პირველ საუკუნეებშიც მიდიოდა (სურ. 11).

მას შემდეგ, რაც შირაკი სომხეთის მიჯნაშაჰრიდან ანუ ცენტრალური რეგიონიდან განაპირა მხარედ იქცა, მასზე გამავალმა გზებმა მეტი მნიშვნელობა შეიძინა მეზობელი იმპერიებისთვისაც, რაც კარგად გამოჩნდა ჰერაკლე კეისრის აღმოსავლური ლაშქრობებისას. იმავდროულად, ქართლიდან შირაკისკენ მიმავალი გზის სტრატეგიული უპირატესობაც გამოიკვეთა.²¹⁴

საერთაშორისო ვაჭრობის გამოცოცხლებასთან ერთად მოწესრიგდა ანის-შირაკის საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურაც. თითქმის ყოველ ეპიგრაფიკულ ძეგლში ქალაქად და სოფლად ნახსენებია ფუნდუკები, კამაროვან-ქარვასლები, ხანაბარები, სავაჭრო სახლები. ნ. მარის დაკვირვებით, ანისში ქარვასლები ისევე მდიდრულად ეწყობოდა, როგორც სასახლეები,²¹⁵ რაც XI-XIII საუკუნეებისთვის გაცხოველებული ვაჭრობის კიდევ ერთი მანიშნებელია.²¹⁶

წყაროებში ურმებისა და საპალნე პირუტყვის მოხსენიება²¹⁷ წარმოდგენას გვიქმნის არა მხოლოდ სატრანსპორტო საშუალებებზე, არამედ გზის ხასიათზეც. ზაქარია ქანაქერცის თქმით, ჰოვჰანავანქის მონასტრისთვის შეგროვილი ნატურალური გადასახადი შირაკიდან ვორდკანამდე ურმით მიჰქონდათ, ხოლო შემდეგ – საპალნე პირუტყვით.²¹⁸

* * *

შირაკზე გადიოდა საქართველო-სომხეთის დამაკავშირებელი ერთ-ერთი უმთავრესი მაგისტრალი, რომელიც მათიანეებში „ანისის გზად“ იწოდებოდა.²¹⁹ სახელწოდება, მართალია, გვიანდელია, მაგრამ მარშრუტი ძველისძველია – ის შეესატყვისება კასტორიუსის მსოფლიო რუკაზე დატანილი არტაქსატა-სებასტოპოლისის გზის იმ მონაკვეთს, რომელიც დიდი არმენიის ჩრდილოეთ პროვინციებიდან, ახურიანის ზემო წელის აყოლებით, ქართლში (ჯავახეთი) ჩადიოდა.²²⁰ სამცხე-ჯავახეთიდან გზები იყრებოდა – ან მცხეთა-თბილისისკენ მიემართებოდა, ან დასავლეთ საქართველოში გადადიოდა.

ეს უკანასკნელი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდებოდა სომხებისთვის არაბებთან დაპირისპირების დროს, როგორც ბიზანტიის იმპერიასთან დამაკავშირებელი „გზა ხსნისა“. VIII საუკუნის 70-ანი წლების ანტიარაბული აჯანყების აღწერისას ლევონდი აღნიშნავს, რომ არტავაზდ მამიკონიანი „წავიდა შირაკის გავარში, სოფელ კუმაირში (იგივე გიუმრი – გ.ჭ.), სადაც მოკლა ხარკის ამკრები, ხელთ იგდო მთელი მისი ქონება და იქიდან ქვეყნის სხვა ნახარარებთან



სურ. 12. ახალქალაქის ციხე.
საერთო ხედი

ერთად ქართველთა მხარეებისაკენ გაემართა“. მათ არაბები დაედევნენ. მდევარმა „მიაღწია ქართველთა ქვეყანას, სამცხის გაგარს, დაიპყრო გასასვლელელები, დაიბრუნა ნადავლის ნაწილი“. აჯანყებულები „ეგრისელთა ქვეყანაში“ გადავიდნენ.²²¹ ციტირებულ ფრაგმენტში კარგად იკითხება დაპირისპირებულ მხარეთა მარშრუტი: აღმოსავლეთ შირაკი (გიუმრი) – ჯავახეთი – სამცხე (მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეებრძოლებოდნენ სომხები და არაბები სამცხის გადასასვლელელებთან) – ეგრისი. უფრო გვიან, აღნიშნული მაგისტრალი საქართველოს კავკასიური მონარქიის ჩრდილოეთ-დასავლეთ პროვინციების (ჯიქეთ-აფხაზეთ-ოდიში) სამხრეთ-აღმოსავლეთის პროვინციებთან (ანისი, ბიჯნისი, სივნიეთი) დამაკავშირებელ უმოკლეს გზას წარმოადგენდა.²²² მისი ცალკეული მონაკვეთები, დასახლებულ პუნქტთა დაწინაურება-დაცემასთან ერთად, დროთა განმავლობაში, ცხადია, იცვლებოდა.

საქართველოს მესვეურთათვის ჯავახეთ-შირაკის გზას დიდი ღირებულება მაშინ ჰქონდა, როდესაც ქვემო ქართლი ტაშირ-ძორაგეტელ კვირიკიანებსა და არაბ ამირებს ეპყრათ. ბაგრატოვანთა ჯავახური რეზიდენციები – დლივი, ღრტილა, ბოჟანო – მაჩვენებელია საქართველოს მეფეთა მზარდი ინტერესებისა არა მხოლოდ ბიზანტიისადმი ან თბილისისადმი,²²³ არამედ ანისისადმიდაც. ქართულ და სომხურ წყაროებში დაცული ცნობები მეტად მეტყველია: დლივში დავით კურაპალატთან იკრიბებიან ანისისა და კარის მეფეები და სხვა მოკავშირეები;²²⁴ დლივიდან (?) ლაშქრობს დავით III სმბატ ბაგრატუნის წინააღმდეგ და ჩერდება შირაკის სოფ. ბავაცდორში;²²⁵ ღრტილაში იწვევს ბაგრატ IV საეკლესიო კრებას და იქ იხმობს მარმაშენის წინამძღვარს;²²⁶ ღრტილადან ადევნებს თვალყურს ანისი-

დან მომავალ საფრთხეებს. ლიპარიტ ბაღვაშის მიერ ანისის დაკავებაზე რომ მოგვითხრობს, „მატიანე ქართლისას“ ანონიმი ავტორი დასძენს: ბაგრატმა ამ ამბავის შეტყობისთანავე, „დააგდო ტფილისი ... და გავიდა ჯავახეთს... და მეფე დგა ღრტილას. ხოლო ლიპარიტ შეკრიბნა კახნი და მოადგა ფოკათა“.²²⁷ მოგვიანებით, „დაეწსნა ლიპარიტ თურქთა და შემოვიდა ანისს. დააგდო ბაგრატ ტფილისი ლიპარიტის გზითა, აღმოვლო ქართლი და მოვიდა ჯავახეთს“;²²⁸ უნდა ვიფიქროთ, რომ ამ შემთხვევაშიც მეფე ღრტილას დადგა. მოტანილი ცნობებიდან კარგად ჩანს, რომ ჯავახეთს თბილისთან და ანისთან კავშირისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა.

ჯავახეთიდან ხდება ანისის პირველი შემოერთებაც. „ბოჟანას წყაროთა ზედა მდგომსა“ დავით IV-თან „მოვიდეს მეწიგნენი ანელთა თავადთან და მოაჯსენეს მოცემაჲ ქალაქისა და ციხეთაჲ“; მეფემაც მყის შეკრიბა 60-ათასიანი მხედრობა, „წარემართა და მესამესა დღესა აღილო ქალაქი ანისი და ციხენი მისნი“.²²⁹ „მატიანე ქართლისადან“ ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ახალქალაქის დაარსება 1045 წლის ანისის კამპანიის პრელუდიად განიხილებოდა.²³⁰


ახალქალაქმა, ჯავახეთის ამ ახალმა ცენტრმა, ანისთან დამაკავშირებელი გზა თავისკენ გადასწია. პირველი დამპყრობელი, ვინც ახალქალაქ-ანისის გზით ისარგებლა, ალფ-არსლანი იყო: 1064 წელს, ახალქალაქის აოხრების შემდეგ, მან ანისიც აიღო.²³¹ XVI საუკუნეში ამ გზით ყიზილბაშები ლაშქრობდნენ სამცხის ათაბაგებისა თუ ქართლის მეფეების წინააღმდეგ. ის იმდენად მოსახერხებელი ყოფილა, რომ დიდთოვლიანობასა და ყინვაშიც გამოიყენებოდა (სურ. 12).²³²

კიდევ ერთი გზა ჯავახეთის პლატოდან პალაკაციოს ტბის აღმოსავლეთ ნაპირის – თეთრიციხე-ჭალა-ვანაზის – გავლით ბარიშაბში ჩადიოდა და იქიდან ანისისკენ ან ყარსისკენ მიიმართებოდა.²³³

* * *

თბილისისა და ქვემო ქართლის გათავისუფლების შემდეგ საქართველოს დედაქალაქის ანისთან დამაკავშირებელი უმოკლესი გზა დებედას ხეობაზე დაიდო. დებედას სათავეებიდან გზები იტოტებოდა დებედას დაყოლებით, ასევე მაშავრისა და აღსტაფის მიმართულებით.

ანის-შირაკი და ქვემო ქართლი მრავალი გზა-გადასასვლელით უკავშირდებოდა ერთმანეთს. ამიტომ ანი-თბილისის კომუნიკაციისთვის ქვემო ქართლს ყოველთვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, მათ შორის, თბილისის საამიროს არსებობისას. იოანე დრასხანაკერტეცის „ისტორიაში“ არაერთხელ ვხვდებით ცნობებს ანელ ბაგრატუნთა გუგართა მხარეებსა თუ ტაშირის გავარზე გავლით თბილისში მდგარ „აგარიანთა“ წინააღმდეგ გალაშქრების შესახებ,²³⁴ ან კიდევ საჯიანთა „უეცარ“ თავდასხმაზე თბილისიდან შირაკზე.²³⁵ ერთ-ერთი ასეთი კამპანიისას, „იუსუფ ოსტიკანმა ... მიაღწია ქალაქ ფაიტაკარანს, იქიდან კი მყისვე გამოვიდა უტიის გავარით და ტაშრატაფამდის მივიდა. როგორც კი შეიტყო ეს მეფემ, დიდძალი ჯარი გამოიყვანა, გაემართა და დაიკავა აშოცისა და ტაშირის მხარეთა



სურ. 13. ლორეს ციხე.
წიგნიდან - Texier 1842a

გზების ვიწრო გასასვლელები, რომ არ მიეცა მისთვის საშუალება ქვეითად გადასულიყო. ეს რომ იუსუფმა დაინახა, ფარულად შემოუარა მთას დასავლეთის მხრიდან დაბალი ადგილებით და გადავიდა შირაკის გავარში, სადაც ღამე გაათია. [შემდეგ] კი ისწრაფა და მიაღწია ქალაქ დვინს. მეფემ გვიან შეიტყო იუსუფის მთის დასავლეთის მხრიდან წასვლის შესახებ და თუმცა დაედევნა უკან, მაგრამ ვერ დაეწია.²³⁶ ფაიტაკარანი და ტაშრატაფი თბილისი და ტაშირია.²³⁷ აქედან შირაკში გადასასვლელი ძირითადი გზები ვიწრობებზე გადიოდა და მათი დაცვა, სავარაუდოდ, ერაზგავორიდან²³⁸ ან კუმაირიდან, ადვილად შეიძლებოდა. მათ გარდა არსებობდა სხვა, მეორადი გზები, რომლებიც არაგაწის მთის დასავლეთ კალთებს უვლიდა, დაახლოებით არტიკ-თალინის მიდამოებში ჩამოდიოდა (ამაზე მიანიშნებს სმბატის დაბანაკება არუჭში²³⁹) და დვინისკენ უხვევდა.

XII საუკუნიდან საქართველოს მეფეთა ბრძოლებმა ანისისათვის დმანისი-ლორე-ანისის მაგისტრალი კიდევ უფრო გააცოცხლა.²⁴⁰ ალფარიკის ცნობით, როდესაც სალთუკი ანისს მოადგა, შადადიანმა მცნე გაგზავნა დემეტრე I-თან, რომელიც ანისიდან ერთი დღის დაშორებით, ბაზვას მთებთან იდგა. საქართველოს მეფე სწრაფად დაიძრა და დილით უკვე ანისში იყო.²⁴¹ ბაზვას მთებს ბეზობდალთან აიგივებენ.²⁴² მსგავს სურათს ვხედავთ 1163-1164 წლების კამპანიისას: შაჰ-არმენისა და მისი მოკავშირეების მოსვლის „ამბავი ვითარ მოისმა ქუეყანასა ამას და მიიწია წინაშე მეფისა, რომელი მცირედითა ლაშქრითა მონადირე და მხიარული დგა შორის მთათა ლორისა და დმანისისათა“.²⁴³ მოწინააღმდეგე მოულოდნელად დაესხა თავს გიორგი III-ს და კრკრის ციხესთან (გერგერთან?) სასტიკად დაამარცხა.²⁴⁴ ორივე ეპიზოდის კარგად ჩანს ანის-თბილისის გზის მთავარი მიმართულება

და მანძილი; მოწინააღმდეგეთა სწრაფი გადაადგილება წარმოდგენას გვიქმნის გზის მოწყობაზე. საინტერესოა, აგრეთვე, საქართველოს მეფეთა ტაშირის მთებში დაბანაკება – ეს „ნაპირთა მჭირვის“²⁴⁵ ანუ საზღვრების ინსპექტირების ნაწილი უნდა ყოფილიყო; ამ დროს ხდებოდა „მანდაურთა“ საქმეთა „განგება“, „კეთილთა“ სანადიროთა მონადირება და ხარაჯის „მოღება“ (სურ. 13).²⁴⁶

აღნიშნული გზები გვიან შუა საუკუნეებშიც მოქმედებდა. 1770 წელს „ქუთთზე წაბანდა ბატონი ოკდონბერს 5, მცხეთას მიბანდა უაზრობისათვის, იქიდან დილომზე გამოვიარეთ, წყნეთს ავედით, იქიდან კოჟორზე ჩავედით, დმანისზე წარვლეთ და ყარახანზე შევიარეთ. უთმინო ნეფხვა და ბუქი შეგვიპყრობდა. დავარბივეთ. ოკტონბერს 13 არფაჩაის პირზე ანისის ციხის ქვეით დავდეგით, ლაშქარი დატვირთული შორს იყო...“²⁴⁷ მაშასადამე, თბილისი-ანისის გზას, დმანის-ყარახანზე გავლით, მსუბუქად შეიარაღებული ლაშქარი რვა დღეში ფარავდა. ყარახანის სახელს დღესაც ატარებს უღელტეხილი, რომლის გავლით გზები ძორაგეტის სათავეებიდან ახურიანის ბემო წელის ხეობაში გადადის. ვახუშტი ბატონიშვილი ამ მთებს ყარაღაჯს უწოდებს: „ხოლო ტაშირს, აბოცსა და ბერდუჯ-ბამბაკსა ჰყოფს მთა ირჯანისა და აწ ყარაღაჯად წოდებული... ამ მთის დასავლით კერძ არს აბოცი, აწ ყაიყულად წოდებული... ხოლო ყარაღაჯისა და ტაშირის მთის ჩრდილოთ კერძი არს დბანისის ჯეობა, და მდინარე მაშავერა“.²⁴⁸ დმანისიდან ძორაგეტის სათავეებისკენ (დღევანდელი ქ. ტაშირი), ფინეზაურის ხეობის ავლით, დღესაც მიდის სამანქანო შო-

სურ. 14. დმანისის ნაქალაქარი. საერთო ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან





სურ. 15. ბედის საკათედრო ტაძარი. მეფე ბაგრატ III-ის გამოსახულება

სე, უეტველი, ძველი მიმართულებით.²⁴⁹ ცნობილია, რომ დმანისხევი „გამოირჩეოდა მეზობელ ქვეყნებთან დამაკავშირებელი მოხერხებული გზებითაც“.²⁵⁰ ყოფილი ანის-შირაკის ქვეყნებთან, ზოგადად კი, ყარსის საფაშოსთან საკომუნიკაციოდ დმანისის მნიშვნელობა პაპუნა ორბელიანის ნაწარმოებიდანაც ჩანს: ყარსთან დაბანაკებული სპარსეთის შაჰთან გასამგზავრებლად თუ ყარსის ციხიდან გამოპარულ და ქართლისკენ წამოსულ ლეკთა დასახვედრად თეიმურაზ II (1744-1762) და ერეკლე II (1744-1798) დმანისში დგებიან.²⁵¹ ამავე გზაზე მიანიშნებს ორბელიანების „ყარსისა ქვეყანასა“ „მიხდომა“ ხულუტის ციხიდან,²⁵² ან კიდევ ლეკთა ჯარის შემოსვლა ბოლნისებში არფაჩისა და „ალაგაზის მთის ძირზე“ მდგარ „ურუმთა მისაშველებლად“ (სურ. 14).²⁵³

ყარსის საფაშოს ერთ-ერთი მოთარეშებისას სულხან ორბელიანმა საბარათაშვილოს ჯარითა და კახთა მცირე გუნდით ზარიშატის ციხე აიღო „და იავარ-ყვენეს საქონელი უთვალავნი... გარდმოვიდნენ ქვეყანასა ქართლისასა უვნებელად“.²⁵⁴ მისკენ მიმყვანი გზის დასადგენად საინტერესოა ზარიშატისგან ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე კარა კალე. ციხის ადგილმდებარეობა იმაზე მიანიშნებს, რომ ის ჩილდირიდან და აბოციდან ზარუშატ-შურაგელში მომავალ გზებს კეტავდა. ერთ-ერთი მათგანი კარგად იკითხება ხუთვერსიან რუკაზე: კარა კალედან ჩრდილო-აღმოსავლეთით, პირდაპირი ხაზით დაახლოებით ათი კილომეტრის დაცილებით, კირაჩს ზეით, იმ ადგილას, სადაც მდინარე მუხლს იკეთებს, ნაჩვენებია ციხის ნანგრევები (P. Kp.). ამ პუნქტიდან ხუთი-ექვსი კილომეტრის მოშორებით, მდ. ყარახანჩაის სათავეებში, ისევ და ისევ წყლის ნამუხლთან, აღნიშნულია კიდევ ერთი ციხის ნანგრევი, საიდანაც გზები ჩილდირის ტბისკენ და ახურიანის სათავეებისკენ მიემართება.

მნიშვნელობას არც ლორე-ბამბაკიდან ყარსისკენ მიმავალი გზები კარგავდა. სამიმოსვლო ინტენსივობა ზამთარში, ალბათ, იკლებდა. აბრაამ კრეტეცის მონათხრობიდან ირკვევა, რომ აპრილის თვეშიც უღელტეხილები დიდთოვლობის გამო ძნელსავალი ან, საერთოდ, გაუვალი ყოფილა.²⁵⁵

მას შემდეგ, რაც შორაგელის სასულთნო ქართლ-კახეთის სამეფომ შეიერთა, ერეკლე II-მ თბილისი-ლორე-შორაგელი-ერევანის გზის გამოცოცხლებაც სცადა. 1788 წელს მან ბრძანებაც გამოსცა თბილისელი ვაჭრებისადმი: „ვინცა-ვინ ერევანში ჩვენი მოქალაქენი ქარავნის კაცნი იმყოფებით. მერე ჩვენი ნასახიბაშის ნაიბი გოგია გამოგვიგზავნია და ყაჭრამან-სულთნისათვისაც (შორაგელის სულთანი – გ.ჭ.) მოგვიწერია, რომ თავისის ჯარით გამოგიძღვესთ და ლორემდისინ მშვიდობით მოგიყვანოსთ... საპალნებედ ხუთი აბაზი უნდა მისცეთ სულთანსა და იმის კაცთა. და ლორეს აქეთ ლორელე-ბისათვის გვიბძანებია, რომ წამოგიყვანონ. და ამ ხუთს აბაზს გარდა ათ-ათი შაური საპალნებედ ამ ჩვენს ნასახიბაშის ნაიბს გოგიასაც უნდა მისცეთ თავის გასამრჯელოთ“.²⁵⁶ დოკუმენტიდან კარგად ჩანს პოლიტიკურად შემოერთებული შორაგელელების სოციალური ინტეგრაციის მცდელობაც. სწორედ ამ მოსახერხებელი გზების გამოისობით XIX საუკუნეშიც ქართლის მოსახლეობის დიდი ნაწილი,

მათ შორის ბორჩალოელი თათრები, მარილის მოსაპოვებლად აღ-
ბევანს არჩევდა წასვლას, ვიდრე ერევანს.²⁵⁷

სამომოსვლო სისტემა და გზების ხასიათი ანის-შირაკის საქართველოს სამეფოში ინტეგრაციის ხარისხსაც განსაზღვრავდა.

ანისის პოლიტიკური გეოგრაფია

ანისის შემოსვლა ქართულ სახელმწიფოში: დასაწყისი

X-XI საუკუნეების მიჯნაზე საქართველოსა და სომხეთის სატახტო ქალაქებში, ქუთაისსა და ანისში, თითქმის ერთდროულად აღიმართა ორი საკათედრო ტაძარი, რომლებიც ბაგრატიონ-ბაგრატუნთა სიდიადესა და კავკასიის საქრისტიანოში მათ პირველობას უსვამდა ხაზს.²⁵⁸ ხუროთმოძღვრებაში განსახიერებული მეტოქეობა კავკასიისათვის ბრძოლის ანარეკლს წარმოადგენდა. საუკუნოვან სარწმუნოებრივ და პოლიტიკურ ჭიდილს უნდა გადაეწყვიტა, იქნებოდა ეს გეოპოლიტიკური სივრცე ქართული თუ სომხური.²⁵⁹

X საუკუნის მეორე ნახევრიდან ისტორიული პროცესები ქართველ მეფე-მთავართა უპირატესობით წარიმართა: დავით კურაპალატმა „დაამყარა მშვიდობა და წესრიგი მთელ აღმოსავლეთში, განსაკუთრებით კი სომხებსა და ქართველებში“;²⁶⁰ მისმა შვილობილმა ბაგრატ III-მ (978-1014) „დაიპყრა ყოველი კავკასია თვთმპყრობელობითა“ და „სომხითისა ჴელმწიფებითა ნებიერად განაგებდა“



სურ. 17. ატენის სიონი.
მეფე ბაგრატ IV-ის გამოსახულება

სურ. 16. საქართველოს რუკა XI ს.
წიგნიდან – მუსხელიშვილი 2016



(სურ. 15).²⁶¹ გაერთიანებული საქართველოს მეორე მეფე, გიორგი I (1014–1027) აქტიურ, შემტევ პოლიტიკას ატარებდა და ანის–შირაკის სამეფოს ხარჯზე საკუთარ საზღვრებს აფართოებდა.²⁶² არისტაკეს ლასტივერტეცის ცნობით, გიორგი I-ს ჰოვანეს–სუმბატისთვის (1017/20–1040) სამი ციხესიმაგრე წაურთმევია,²⁶³ ცხადია, საციხისთავო ქვეყნებითურთ. მათი ლოკალიზაცია არ ხერხდება; სავარაუდოდ

სურ. 18. მარმაშენის მონასტერი.
ხედი ჩრდილო-აღმოსავლეთიდან



ისინი ანის–შირაკის სამეფოს ჩრდილოეთ კუთხეში, საქართველოს მოსაზღვრედ მდებარეობდა. იგივე ავტორი ამტკიცებს, რომ ქართველები ანისშიც შეჭრილან და კათედრალი შეურაცხყვიათ.²⁶⁴ სალოცავებთან „შეტაკება“ საკუთარი სარწმუნოებრივ–პოლიტიკური ძალისა და მოწინააღმდეგის უძღურების სადემონსტრაციოდ შუა საუკუნეების მენტალობის ჩვეულ გამოვლენას წარმოადგენდა (სურ. 16).²⁶⁵

გაცილებით გამიზნულად მოქმედებდნენ გიორგის თანამეცხედრე, დედოფალი მარიაში და მისი მემკვიდრე, ბაგრატ IV (1027–1072). ამ პოლიტიკის შედეგი იყო, რომ ბიზანტიის აგრესიის პირისპირ მდგარმა სომხეთმა ისევ საქართველოსთან ურთიერთობა არჩია²⁶⁶ და 1045 წელს, ანონიმი ქართველი მემატიაანის ცნობით, „მოერთო ვესტი ცხრითა ციხითა ანისისაჲთა, თჳნიერ ამბერდისა. და მოსცეს ანელთა ანისი ბაგრატის დედასა, რამეთუ მამულად ეყვოდეს სომეხნი...“.²⁶⁷ კარგად ჩანს, რომ ბაგრატიონთა ხელისუფლება საკუთრივ ანის–შირაკს დიდად არ უნდა გასცლოდა („თჳნიერ ამბერდისა“ და–ისაკუთრეს) – ამბერდი, ისევე როგორც სურბ მარი და ხორ ვირაპი, დვინელ შადადიანებს ჰქონდათ დაპყრობილი.²⁶⁸ ჩრდილოეთიდან ანისს ლორე–ტაშირის მეფეები უტევდნენ;²⁶⁹ ყველას ერთად კი ბიზანტია უქადდა შთანთქმას (სურ. 17).

ანისის კამპანია კავკასიიდან ბიზანტიის გაძევების პოლიტიკის²⁷⁰ ნაწილადაც შეიძლება განვიხილოთ. ბაგრატუნთა დედაქალაქის შემოერთების მნიშვნელობას იქ მარიამ დედოფლის დამკვიდრება უსვამდა ხაზს.²⁷¹ არსებული პოლიტიკური ვითარება გასაგებს ხდის, აგრეთვე, ანისში ოთხი დიდებული აზნაურის – „აბუსერი, ერისთავი არტანუჯისაჲ, და ხიხათა და ციხისჯუარისა და აწყურის ციხის პატ-



სურ. 19. მარმაშენის მონასტერი.
მარიამ დედოფლის წარწერა

რონი, და ივანე ერისთავი, ივანე დადიანი და გუარამ გოდერძის ძე, ბეჭისციხისა პატრონი²⁷² – გამოიჩინას. საგულისხმოა, რომ მესხებთან ერთად ანისს დასავლეთ საქართველოს ერისთავებიც იცავდნენ.²⁷³ ეს წარჩინებულები, იმავდროულად, ახლადშემოერთებული ტერიტორიის მართვა-გამგეობასაც ახორციელებდნენ.²⁷⁴

სომხეთის მონასტრების პატრონობა და ქართულ-სომხური საეკლესიო პოზიციების დაახლოების მცდელობა ბაგრატისა და მარიამ დედოფლის „ანისური“ მოღვაწეობის ერთ საინტერესო მხარეს წარმოაჩენს. მარმაშენის მონასტრის მთავარი ეკლესიის სამხრეთ ფასადზე ამოკვეთილი წარწერიდან ცხადი ხდება, რომ „აფხაზთა და სომეხთა დედოფალს“, მარიამს, სოსთენის წინამძღვრობისას ტაძრისთვის შეუწირავს სოფ. ტარუსი.²⁷⁵ საბუთის კრულვით ნაწილში პოტენციურ გამომწირველებად „დიდ-დიდთა და მცირეთა“ სომეხთა გვერდით ქართველებიც არიან დასახელებულნი.²⁷⁶ XIII-XIV საუკუნეების პარალელური მასალის გათვალისწინებით,²⁷⁷ ლაპიდარული წარწერის ტექსტში მარმაშენსა თუ მის მახლობლად დამკვიდრებულ ქართულ ეთნიკურ ჯგუფებზე, მათ შორის, სამეფო კარის მოხელეებზე, უნდა იყოს საუბარი; ისინი აქ ანის-შირაკის ინკორპორაციასთან ერთად გაჩნდებოდნენ (სურ. 18 და 19).²⁷⁸

სოსთენისვე საშუალებით ცდილობდა საქართველოს სამეფო კარი სომხური ეკლესიის დარწმუნებას დიოფიზიტური მრწამსის ჭეშმარიტებაში.²⁷⁹ ესეც პოლიტიკური ნაბიჯი იყო, რაც კარგად შენიშნა ღრტილას საეკლესიო კრების აქტების ანონიმმა ავტორმა: „იქმნა კუალად კრებად ღრტილას არა ვიდრემე სამღდელო, არამედ უფროდსად სამჯედრო“.²⁸⁰



სურ. 20. მეფე დავით IV აღმაშენებლის მონეტა. ბრიტანეთის მუზეუმის ნუმისმატიკური კოლექცია

ორივე ეპიზოდი შორსმიმავალი სახელმწიფოებრივი გეგმების ნაწილი იყო მხოლოდ. ამკარაა, რომ საქართველოს სამეფოს მესვეურთათვის სომხურ მიწა-წყალობე თავისი გავლენის გავრცელება-გაძლიერებისთვის შირაკის უკიდურეს ჩრდილოეთით, საქართველოს საზღვრებთან მდებარე მარმაშენს ისეთივე მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც შირაკის ცენტრში განლაგებულ ანისს.

ყურადღებას იპყრობს დედოფალ მარიამის წოდებულებაც – „აფხაზთა და სომეხთა დედოფალი“. სომხურ სახელმწიფოებრივ და სამართლებრივ სივრცეში „სომეხთა მეფობა/დედოფლობა“, X საუკუნის მეორე ნახევრიდან კი „შაჰანშაჰობა“, მხოლოდ და მხოლოდ ანის-შირაკის ბაგრატუნთა პრივილეგიას წარმოადგენდა.²⁸¹ მარიამ არწრუნის ტიტულატურაშიც „სომეხთა დედოფლობა“, დიდი ალბათობით, ანისის შემოერთებასთან ერთად გაჩნდებოდა. მარიამ არწრუნის „აფხაზთა და სომეხთა დედოფლობა“, ცხადია, იყო რეპლიკა სომეხ ბაგრატუნთა „სომეხთა და ქართველთა შაჰანშაჰობაზე“;²⁸² იმავდროულად, – სრულიად დაუფარავი განაცხადი თარგამოსიანთა სახლის ორი ყველაზე აქტიური მოთამაშის – ქართლოსიანთა და ჰაოსიანთა კულტურულ-პოლიტიკურ ერთობაზე საქართველოს მეფეთა მოთავსებით.²⁸³

* * *

რამდენიმე თვეში ანისს ბიზანტიელები დაეუფლნენ და იბერიის თემში გააერთიანეს. ბაგრატუნთა სატახტო ქალაქი ბერძენ სტრატეგოსთა რეზიდენციად და საქართველოს მეფის მოწინააღმდეგეთა თავშესაფრად იქცა. იბერიის თემს, მესოპოტამიასთან ერთად, უმნიშვნელოვანესი როლი ეკისრებოდა იმპერიის აღმოსავლეთი საზღვრების დაცვაში. მაგრამ ბიზანტიელთა ექსპანსიონისტურმა პოლიტიკამ, რომელიც სომხური სამხედრო ელიტის აყრა-გადასახლებას ისახავდა მიზნად, საზღვარი დაუცველი დატოვა.²⁸⁴

ბიზანტიელთა ოცწლიან ბატონობას ბოლო სელჩუკებმა მოუღეს. რა ურთიერთობა დამყარდა ამ პერიოდში ანისის შადადიანებსა და საქართველოს ბაგრატიონებს შორის, უცნობია. „ქართლის ცხოვრების“ ჭალაშვილისეულ ნუსხაში დმანისის ანისად ჩანაცვლება იმ ეპიზოდში, რომელშიც გიორგი II-ის წინააღმდეგ ამიერკავკასიის ამირების კოალიციურ გალაშქრებაზე მოთხრობილი,²⁸⁵ არცთუ უსაფუძვლოა – ასეთ შემთხვევაში შადადიანების სამივე შტოს (დვინელ, განძელ და ანელ) თანხმობლივ აქციაზე იქნებოდა საუბარი. აღმოსავლური წყაროების ნიშანდობლივი მოწმობით, ანისის თაღრი (მარკა) და რუმის მიმდებარე მიწები ალფ-არსლანმა შადადიანებს მიანდო.²⁸⁶ დაპირისპირების ერთ-ერთი მიზეზი იქნებოდა ანისის უახლოესი ციხე-სიმაგრე ყარსი, რომელიც გიორგი II-მ თურქ-სელჩუკებისგან წაიღო, საკუთარ სამეფოს შეუერთა და საგანგებოდ გაამაგრა.²⁸⁷ ექვსი წლის შემდეგ, 1080 წელს, სელჩუკებმა ყარსი დაიბრუნეს.

* * *

პოლიტიკურმა ცვლილებებმა ანი-შირაკში მიგრაციული პროცესებიც განაპირობა. თანამედროვეთა მოწმობით, „უპატრონო ცხენოსა-



ნი ჯარი (სომეხი აზნაურებისა – გ. ჭ.) დახეტილობს ზოგი სპარსეთის, ზოგი საბერძნეთის, ხოლო ნაწილი ქართველთა მხარეებში²⁸⁸ მათი ნაწილი საქართველოში ესახლებოდა და თან მშობლიურ ტოპონიმებსაც ამკვიდრებდა. ამ მხრივ საინტერესოა ნასოფლარი ზრესკი, რომელიც კუმურდოს სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობს.²⁸⁹ სომხური წყაროებით ცნობილია ამ სახელწოდების სოფელი შირაკში, სადაც VIII საუკუნის მეორე ნახევარში მნიშვნელოვანი სამონასტრო ცენტრი ყოფილა.²⁹⁰ ჯავახეთში ზრესკის გაჩენის და, შესაბამისად, შირაკიდან მოსახლეობის მიგრირების, თარიღისათვის საინტერესოა ვაჩიანის სტელაზე მოხსენებული ბერი ზრესკელი.²⁹¹ წარწერა XII-XIII საუკუნეების მიჯნით თარიღდება.²⁹² ამდენად, სომხური მოსახლეობის ჯავახეთში გადმოსახლება ამაზე უწინ უნდა მომხდარიყო, ეთნოკულტურული გარემოს შეცვლის გარეშე.²⁹³

სურ. 21. იოანე სკილიცა, ისტორიის მიმოხილვა, ანისის ალება. მადრიდი, ეროვნული ბიბლიოთეკა, Virt. 26-2, ფ. 229v

* * *

საქართველოს სამეფოს კონსოლიდაციისა და კავკასიის გაერთიანების პროცესი თითქმის ერთი საუკუნით შეფერხდა. კიდევ მეტი, XI საუკუნის 80-იანი წლებიდან საქართველოს, მცირე აზიისა და კავკასიის უდიდესი ნაწილის მსგავსად, ნომადიზაციის საფრთხე დაემუქრა. მომთაბარულ ისლამურ სამყაროსთან სამკვდრო-სასიცოცხლო დაპირისპირებაში ქართველმა მეფეებმა არნახულ წარმატებას მიაღწიეს²⁹⁴ – დავით აღმაშენებლის (1089-1125 წწ.) ზეობაში არა მხოლოდ დასრულდა საქართველოს ისტორიული მიწა-წყლის გაერთიანების პროცესი, არამედ ხორცი შეესხა კავკასიის პოლიტიკური ერთობის იდეასაც. დავითის საქმე წარმატებით გააგრძელეს მისმა მემკვიდრეებმა (დემეტრე I, გიორგი III, თამარი) და XII-XIII საუკუნეთა მიჯნაზე საქართველოს სამეფოში ქრისტიანული კავკასიის უდიდესი ნაწილი გაერთიანდა (სურ. 20).²⁹⁵

* * *

1122 წელს თურქ-სელჩუკთა არმია ყარსი-თრიალეთის გზით დიდგორს მიაღწა.²⁹⁶ დიდი ალბათობით, მათ ანი-შირაკზე გაიარეს. დიდგორის ველზე გამარჯვებულმა დავით აღმაშენებელმა მტერს ანისის საზღვრებამდე მისდია.²⁹⁷ კოალიციის წინსვლისა და მისი ნაშთების უკანდახევის მარშრუტი კარგად მიანიშნებს ანისის, როგორც საქართველოს წინააღმდეგ საბრძოლო მოქმედებათა პლაცდარმის, მნიშვნელობაზე. ნიშნეულია, რომ მომდევნო ათწლეულებშიც მარბიელთა გზა ხლათის სასულთნოდან საქართველოში²⁹⁸ თუ საქართველოდან ხლათის სასულთნოში²⁹⁹ შირაკზე გადიოდა.³⁰⁰ ამ მაგალითებიდანაც აშკარა ხდება, რომ ქრისტიანული საქართველოსა და ისლამური მახლობელი აღმოსავლეთის გზაგასაყარზე ანისი დაპირისპირებათა ერთ-ერთ მნიშვნელოვან არეალს წარმოადგენდა. ამიტომაც ბრძოლა ანისისათვის სასტიკი და ხანგრძლივი გამოდგა.

სურ. 22. მეფე გიორგი III-ის “წესიერი” მონეტა. სემ, ნუმისმატიკური კოლექცია



ეს ისტორიული პერიპეტიები კარგადაა შესწავლილი სამეცნიერო ლიტერატურაში (სურ. 21).³⁰¹

XII საუკუნეში, თამარის გამეფებამდე, ქართველები რამდენჯერმე დაეუფლნენ ანისს: 1124-1125/6 წწ., 1161-1164/65 წწ. და 1174-1178 წწ. გიორგი III-ის მიერ ხელმეორედ შემოერთებული ანისის დაკარგვას ორბელთა აჯანყებას უკავშირებენ.³⁰² სომხური ქრონიკების მიხედვით, შადადიანთა ხელისუფლების რესტავრაცია 1176 წელს მომხდარა.³⁰³ ქრონოგრაფიულ ცნობებს ეწინააღმდეგება სტეფანოს ორბელიანის „ისტორია“: დემნა-ორბელთა აჯანყების თხრობისას „საქართველოს ყოველ თავთა და ამატთა“ შორის მას დასახელებული ჰყავს გრიგოლ აპირატი ანეცი, იგივე გრიგოლ მაჟისტროსიანი,³⁰⁴ შირაკის უპირველესი სანახარარო სახლის წარმომადგენელი. მაშასადამე, აჯანყების დასაწყისში ანისი საქართველოს სამეფოს საზღვრებშია; შადადიანებისთვის ის მეამბოხეთა დამარცხებისას, ან ამის ახლო პერიოდში უნდა დაებრუნებინათ.³⁰⁵ ანისის შემომტკიცება საუკუნის მიწურულს მოხერხდა მხოლოდ, მაგრამ ეს ეპიზოდური ბატონობაც მნიშვნელოვან კვალს ამჩნევდა ქართული მონარქიის განვითარებას.


თანამედროვენი თუ მოგვიანო ხანის უცხოელი ავტორები სომეხთა ყოფილი დედაქალაქის აღებას აფასებდნენ, როგორც ანისის ქართველთა სამფლობელოებში შესვლას,³⁰⁶ საქართველოს საზღვრების გაფართოებას,³⁰⁷ სამეფოს დიდად განვრცობას.³⁰⁸ ანისის დაუფლება ქრისტიანული საქართველოს ჩრდილოეთ სომხეთზე გაბა-

ტონებას ნიშნავდა.³⁰⁹ სომხეთის მთიანეთის მალლობებზე ფეხის მოკიდებით საქართველოს სამეფოს კონტროლქვეშ კავკასიიდან ანატოლიაში, სირიასა და მესოპოტამიაში მიმავალი გზები ექცეოდა.³¹⁰ სავაჭრო-საქარავნო მაგისტრალეებზე ბატონობა საქართველოს სამეფოს, სამხედრო-სტრატეგიულ უპირატესობასთან ერთად, დიდ ეკონომიკურ კეთილდღეობასაც უქადდა; ამიტომაც მახლობელი თუ შორეული გზების დაუფლება დავითისა და მისი მემკვიდრეების პოლიტიკის ლეიტმოტივს წარმოადგენდა.³¹¹

ბასილი ეზოსმოდღვარი ამტკიცებს, რომ ანისი თამარმა „წარულო სპარსთა შანშეობისა თანა მრავალუამ მათგან ქონებულნი“.³¹² „შანშეობა“ ანუ „შაჰანშაჰობა“ პირველად გიორგი III-ის ტიტულატურაშია დადასტურებული: „ნებითა ღმრთისაითა აფხაზთა, ქართველთა, რანთა კახთა და სომეხთა მეფისა, შარვანშია და შაჰანშია“.³¹³ მკვლევართა სამართლიანი შენიშვნით, ქართველ მეფეთა ეს წოდებულება დავით IV-ის დროსაა შექმნილი, რადგან ანისიცა და შარვანიც მან შემოუერთა საქართველოს სამეფოს.³¹⁴ „შაჰანშია“ ანისის არა ყმადნაფიცობას, არამედ სწორედ მპყრობელობას გულისხმობდა.³¹⁵ ეს ფაქტი კარგად ჩანს სახელმწიფო ტერიტორიის განფენილობის აღმნიშვნელი კიდევ ერთი ფორმულირებიდან, რომელიც დავით აღმაშენებლის ანდერძში დასტურდება: „ნიკოფსითგან დარუბანდისა საზღურამდე და ოვსეთიდგან სოერად და არეგაწადმდე“.³¹⁶

მონარქიის სამხრეთ საზღვრად არაგაწის მთიანი მასივის დადება იმაზე მიანიშნებს, რომ საქართველოს სამეფოში ანისთან ერთად მისი ქვეყანაც შემოდიოდა. მართლაც, ანონიმი ისტორიკოსის ცნობით, დავითმა „აღილო ქალაქი ანისი და ციხენი მისნი უჭირველად და სოფელნი და ქუეყანანი მიმდგომნი ანისისანი“.³¹⁷ შადაღიანები მეფემ „ჩაგზავნა აფხაზეთს“, ხოლო „ანისის მცველად დაუტევნა აზნაურნი მესხნი“.³¹⁸ „განაგო მეფემან ყოველი საქმე ... ანისისად“ – ამბობს მემატეიანე, მაგრამ „საქმეთა ზედამხედველად“ დატოვებულ მოხელეს არ ასახელებს.³¹⁹ სომხური წყაროებიდან ჩანს, რომ ანისს განაგებდა აბულეთი ან ივანე აბულეთის ძე³²⁰ – ქართლიდან თუ კახეთიდან გამოსული აზნაური, დავითის „გაზრდილი“ და მისი ერთგული მონაპირე.³²¹ არამკვიდრთა მოხელე-ერისთავებად დასმა სახელმწიფოს გაერთიანებისა და განმტკიცების ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენდა.³²² არანაკლებ საინტერესოა ანისის გარნიზონის მესხი აზნაურებით დაკომპლექტება. ახლადშემოერთებულ ქვეყნებში მეციხოვნეების ჩაყენება მოსაზღვრე ქართული პროვინციებიდან, როგორც ჩანს, ჩვეულ სტრატეგიას წარმოადგენდა: გიორგი II-მ კარში შავში აზნაურები დატოვა,³²³ ხოლო დავით IV-მ შარვანის დაცვა კახებსა და ჰერებს მიანდო.³²⁴ XII საუკუნის მეორე ნახევარში ანისის მართვა-გამგეობა საკმაოდ კომპლექსური ყოფილა, რაც კარგად აჩვენებს ანისის მნიშვნელობის ზრდას ქართული მონარქიისათვის (სურ. 22).³²⁵

ქართველი მემატეიანის ცნობით, 1161 წლის კამპანიისას გიორგი III-მ „წველთ იგდო ქალაქი (ანისი – გ. ჭ.) ნებისაებრ თვისისა და არა დამბრუნებელმან და შემტყობელმან დაიმჭირა სადგომად, ტახტისა



სურ. 23. ტბეთის II ოთხთავი, ანდერძმინაწერი მეფეთ-მეფე გიორგი III-ის მიერ ანისის აღების შესახებ. ხეგ, 0-929, ფ. 320r-v



სურ. 24. ბეთანიის მონასტრის მთავარი ეკლესია. სუმბატ ორბელის გამოსახულება

მისისა შესანახავად და გასამაგრებლად. დამგდებელმან ივანე ორბელისა, მანდატურთ-უხუცესისა და ამირსპასალარისა, თანაშემწეობითა სარგის მჯარგრძელისათა და სხუათა თემისა დიდებულთა აზნურთათა“.³²⁶ ცნობიდან აშკარაა, რომ ანისი-შირაკი გადაიქცა ამირსპასალარის საგამგეო ქვეყნად, რომელსაც მეფის მიერ დანიშნული მოხელეები მართავდნენ (სურ. 23).

1174 წელსაც გიორგი III-ს ანისი ამირსპასალარ ივანე ორბელისთვის გადაუცია (სურ. 24).³²⁷

საქართველოს ამირსპასალარის საჯდომად ლორე ითვლებოდა;³²⁸ ანის-შირაკსაც, ჩანს, იქიდან განაგებდა. სტეფანოს ორბელიანი ამტკიცებს, რომ გიორგი III-მ ანისი ორბელებს მამულად უწყალობა.³²⁹ თუ სომხური *հայրենիք* ქართული *მამულის* ტოლფარდი იურიდიული ტერმინია,³³⁰ მაშინ ორბელთა გვარის მემკვიდრე აშკარად აზვიადებს.³³¹ თუმცა ისიც ფაქტია, რომ ორბელები ანისშიც ცდილობდნენ დამკვიდრებას, ვითომცდა ქრისტიანებზე ზრუნვით,³³² რეალურად, კი, მახლობელი აღმოსავლეთის მუსლიმ მბრძანებლებთან კომუნიკაციის გასაადვილებლად.³³³ ახლადშემოერთებული ანისის (მანამდე კი, ლორეს) სამამულედ დაუფლების ტენდენციებს მნიშვნელოვანწილად, ალბათ, კვირიკიანებთან მოყვრობა და „სომეხთა მეფისა ადგილსა“ „ჯდომა“ განსაზღვრავდა. მეტად ნიშანდობლივია

1172-1173 წწ. ჰალბატში გადაწერილ „ბასილი კაპადოკიელის სწავლათა“ ანდერძ-მინაწერი: „რუსუდანმა გამოიჩინა თავისი წინაპრებისეული გულმოდგინება და ... ყოველი ადგილი, რომელიც მის წინაპრებს აეშენებინათ და შემდგომ დამცრობილიყო, მის დროს კვლავ განახლდნენ და გაბრწყინდნენ ჩვენს გავარსა თუ მათი საკუთარი ქალაქის ანის გავარშიც და თვით ანიშიც, აგრეთვე დვინის გავარში, რადგანაც მისი ქმრის, დიდ სპასალარის ივანეს ძალაუფლება და შიში ყოველგან აღწევდა“;³³⁴ დაუფარავად გამოსტვივის რუსუდან კვირიკიანის პრეტენზიებიც ბაგრატუნთა მემკვიდრეობაზე (ანისის რუსუდანის „საკუთრად“ მოხსენიება) და ამირსპასალარ ივანე ორბელის შეუვალი ავტორიტეტიც ამ ქვეყანაზე.

საკუთრივ ქალაქს გიორგი III-ის მიერ დანიშნული ამირა მართავდა. მეფის ამ მოხელეს ინსტიტუციურად არანაირი კავშირი არ ჰქონდა შადადიანთა ამირობასთან;³³⁵ ანისის ამირა ისეთივე გამგებელი იყო, როგორც საქართველოს სამეფოს სხვა ქალაქების –



სურ. 25. ხოჯორნის ეკლესიის აღმოსავლეთი ფასადის სარკმლის რელიეფი მხარგრძელთა საგვარეულოს მამამთავრის და სანაჰინის ეპისკოპოსის გამოსახულებით

ქუთაისის, ჟინვალის, დმანისის, რუსთავის, კარის – ამირები.³³⁶ XII საუკუნის 60-იან წლებში ანისის ორი ამირაა ცნობილი: სადუნი და სარგის მხარგრძელი.³³⁷ მხარგრძელები ხოჯორნის ციხის მეპატრონენი და ორბელთა ვასალები იყვნენ.³³⁸ სადუნის მუსლიმობა³³⁹ ნაკლებ სარწმუნოა; სახელის მიხედვით,³⁴⁰ ის თბილისის ამირობამდე აღზევებულ მანკაბერდელთა³⁴¹ სახლის წარმომადგენლად შეიძლება ვცნოთ.³⁴² ორივე ფეოდალური სახლი ქვემო ქართლში დამკვიდრებულ გასომხებულ ქურთთაგან წარმომავლობდა;³⁴³ ეს გარემოება კი ხელს უწყობდა სომხეთის ყოფილ დედაქალაქში საქართველოს მეფეთა პოლიტიკის წარმატებას (სურ. 25).³⁴⁴

ანისის დაცვაში და სავარაუდოდ, ადმინისტრირებაში სომხითრებთან ერთად თორელებიცა და მესხებიც მონაწილეობდნენ. „ისტორიანი და აზმანის“ ერთი ცნობით, „ანისსა განამტკიცებდა თორელი, დიდი და სახელგანთქმული მოლაშქრე, და განამზადნა საბრძოლველნი და მანქანანი, დამრლუველმან და მარბიელმან და



სურ. 26. მაცხვარიშის ეკლესია.
დემეტრე I-ის მეფედ კურთხევის სცენა


ამაოვრებელმან გარეთთა ქუეყანათამან³⁴⁵ მოტანილი ამონარი-
დიდან კარგად ჩანს, რომ ანისში გამაგრებულ თორელს მეზობელი
ტერიტორიების მოთარეშებაც ევალებოდა. ის, შესაძლოა, მონაპირე
ერისთავის ვალდებულებებს ასრულებდა³⁴⁶ – სწორედ თორელებს
და მესხებს ეჭირათ თვალი ანისის მეზობელ მხარეებზე: კარზე,
აშორნი-არშარუნიქზე, პალაკაციოზე.³⁴⁷ ანისთან კავშირში თორე-
ლები, დაახლოებით, ასი წლის შემდეგაც ჩანან – საქართველოში შე-
მოჭრილმა აბალა ყაენმა (1265-1282) ანისის საზღვრებთან თორელე-
ბი დასაჯა სიკვდილით.³⁴⁸ უნდა ვიგულისხმოთ, რომ მათ სანაპირო
საერისთავოში ზარუშატიც (დღევ. არფაჩაის სანახები) შედიოდა.³⁴⁹

სხვა თემებიდან გამოსულ დიდაზნაურთა ვინაობა და კუთხუ-
რობა არ დგინდება.

ზემოთ მოხმობილ სომხურ ანდერძ-მინაწერში ჰალბატის მთა-
ვარებისკოპოსი „ქართველთა ხელისუფლების ქვეშ მყოფი მთელი
სომხური საქრისტიანოს“ „გამგებლად“ მოხსენიებული.³⁵⁰ ცნობა
მით უფრო საინტერესოა, რომ ჰალბატი სამეფო მონასტრად ითვ-

ლებოდა და მის მესაჯეს საქართველოს მეფე ნიშნავდა.³⁵¹ ამდენად, ცენტრალური ხელისუფლება შემოერთებული თუ ყმადნაფიცი ანისის შემომტკიცებას ჰალბატის სამეფო მონოფიზიტი ეპისკოპოსის საშუალებითაც ცდილობდა და, ისევე, ლორე-ტაშირიდან. ეს მაგალითიც კარგად აჩვენებს, რომ ქართული სახელმწიფოს დასაყრდენს ანისში მხოლოდ სამხედრო ძალა არ წარმოადგენდა. განსხვავებით ერთმორწმუნე ბიზანტიისგან, რომელიც ანისში მონოფიზიტური ეკლესიის დათრგუნვას ცდილობდა,³⁵² საქართველოს სამეფო სარწმუნოებრივ შემწყნარებლობას იჩენდა და თავის ირგვლივ სომეხ აზნაურებსა და ფრიად გავლენიან სამღვდელეობებსაც იკრებდა.³⁵³ მიზგითად ქვეული კათედრალის „მონობისაგან“ გათავისუფლება და ხელმეორედ კურთხევა იყო ის აქტი, რომელმაც დავით აღმაშენებელს სომხების ლოიალობა და საუკუნოვანი პატივისცემა დაუმკვიდრა.³⁵⁴ ერთი გვიანდელი ქართული წყარო, რომლის ავტორი ძველი ქრონიკებით სარგებლობდა, იმავე ამბების აღწერისას ამბობს: „მოლათა და დარიმანთა სისხლითა ახლავე მან მორწყო, საყდარი იგი ახლად მონათლა, რომელი აღეშენა ბერძენთა ასულს დედოფალსა კატრონიტეს. და იქი ესაფლავა“.³⁵⁵ კარგადაა ცნობილი, რომ კატრამიდე ვასაკ სივნიელის ქალიშვილი იყო.³⁵⁶ მისი „გაბერძნება“ რომ დავითის ეპოქას ეკუთვნის და თან, გამიზნული იდეოლოგიური დატვირთვით, ამას მათეოს ურჭაიეცის თხზულებაც მოწმობს. დავითის ეს უმცროსი თანამედროვე ამტკიცებს, რომ დედოფალი კატრამიდე საქართველოს მეფის, გიორგის ასული ყოფილა.³⁵⁷ მაშასადამე,

სურ. 27. საქართველოს რუკა XIII ს. წიგნიდან – მუსხელიშვილი 2016





სურ. 28. ბეთანიის მონასტრის მთავარი ეკლესია, მეფეთ-მეფე თამარის გამოსახულება

გარკვეულ სომხურ წრეებში კატრამიდეს არათუ „ბერძნად“, არამედ „ქართველად“ (და დიოფიზიტადაც) აღიქვამდნენ. კავკასიიდან შუამდინარეთამდე მოარული ეს ლეგენდა უხილავ ძაფებს აბამდა ანისის კათედრალის დამაარსებელსა და გამათავისუფლებელს შორის და სომხეთში საქართველოს მეფის ხელისუფლების ლეგიტიმურობას კიდევ ერთ საბუთიანობას სძენდა.

დემეტრე I-ისა და გიორგი III-ის მეფობისას მიმდინარეობდა მოლაპარაკებები ანისში სომეხთა კათალიკოსების დასაბრუნებლად; მათაც იმედი მიეცათ „გაძლიერებული ქართველთა ქვეყნის მთავრისა და აფხაზთა მეფისა“, თუმცა, საბოლოოდ, ჰრომკალაში დამკვიდრება არჩიეს (სურ. 26).³⁵⁸

ქართულ-სომხური ურთიერთობები XII საუკუნეში, რა თქმა უნდა, არ ყოფილა იდეალური,³⁵⁹ მაგრამ ტოლერანტობა ერთიანი კავკასიური სახელმწიფოს აღმშენებლობის მნიშვნელოვან ქვაკუთხედს წარმოადგენდა.

* * *

რომელიღაც ამ გვირგვინოსთაგანის (ბაგრატ IV, დავით IV, დემეტრე I, გიორგი III) სახელი იქნებოდა ამოკვეთილი ქვაზე, რომელიც ანისის ე.წ. ჭადრაკული ეკლესიის საშენ მასალად ყოფილა გამოყენებული. ეკლესიას XII-XIII საუკუნეებით ან XIII საუკუნით ათარიღებენ.³⁶⁰ დულაბად ჩაყრილ ნაეკლესიარის ქვებზე წარწერები, ცხადია, ამაზე უწინ (XI-XII სს.) იქნებოდა შესრულებული. იქ ლაპარაკი იყო ქართველთა ან ქართველთა და სომეხთა მეფეზე (წაკითხვა დამოკიდებულია ქვების განლაგებაზე), ვის ზეობაშიც სალოცავი აიგო.³⁶¹ ტიტულატურის მეორე ვარიანტის შემთხვევაშიც საქართველოს მეფე უნდა ვიგულისხმოთ, რადგან სომეხი ბაგრატუნები ყოველთვის „სომეხთა და ქართველთა მეფეებად/შაჰანშაჰებად“ იწოდებოდნენ.³⁶²

სახლი და ტახტი მხარგრძელთა

1191 წელს, დაახლოებით ათწლიანი პაუზის შემდეგ, საქართველოს მესვეურთ განაახლეს ანის-შირაკის ინკორპორაციის პოლიტიკა³⁶³ და 1198 წლისთვის სამეფოს საზღვრები ქალაქ ანისის სანახებამდე განავრცეს.³⁶⁴ 1199/1203 წლებში მხარგრძელებმა ანისიც აიღეს (სურ. 27).³⁶⁵

XIII საუკუნის დასაწყისის სომეხ მოღვაწეთა მტკიცებით, საქართველოს მეფეები ფლობდნენ „ტფილისს, ანის და ადრინდელ სომეხ, ალან და ალვანელ ტანუტერთა მრავალ სხვა ქალაქს, კარინიდან სპარსეთამდე“ (1214 წლის ჰიშატაკარანი).³⁶⁶ სომეხ ავტორთათვის (კირაკოს განძაკეცი, ვარდანის, სტეფანოს ეპისკოპოსის, ანონიმი სებასტაცი, გრიგოლ აკანელი, სტეფანოს ორბელიანი, ჰეთუმი) საქართველოს სამეფო კავკასიის საქრისტიანოს მომცველი ქვეყანაა; ამ პოლიტიკური სივრცის ნაწილებია (დიდი) სომხეთიცა და ალბანეთიც.³⁶⁷ არაქართულ პროვინციათა, მათ შორის – ანისის, სტატუსს, შესანიშნავად განსაზღვრავს „სისაკანთა სახლის ისტორიაში“ დამოწმებული სამართლებრივი ფორმულა: „...ამ ქვეყანასავით, რომელიც მახვილითა და ხელით არის აღებული და საქართველოს სამეფოს

საკუთარ სამემკვიდრეოდ იწოდება...“ (დვინის 1216 წლის სასამართლოს განჩინება).³⁶⁸

თამარის ხანაში სამეფო ხელისუფლება შემოერთებულ ციხე-ქალაქებს „არცა სამეფოდ იმჭირვიდა ... არამედ თვთ მათვე მისცემდა, რომელთა აუცალოებდა, თვსთა ლაშქართა“.³⁶⁹ ეპოქის ტენდენციების შესაბამისად, ანისიც საპატრონოდ „გაიცა“;³⁷⁰ სომეხ ბაგრატუნთა „სახელგანთქმული სახლი“ და მასთან ერთად, შაჰინშაჰობაც, მხარგრძელებმა გაიმკვიდრეს (სურ. 28).³⁷¹

ანის-შირაკის ზოგიერთ ლაპიდარულ ძეგლში ქვეყნის პატრონად ბაქარია და ივანე მხარგრძელები არიან დასახელებულნი: „... უფლობდნენ ქალაქებსა და დიდ სომხეთის მთელ ქვეყანას ქრისტეს დიდი მოლაშქრენი ბაქარია და ივანე“ (ტაილარი – 1198 წ.; ჰორომოსგანქი – 1198 წ.).³⁷² ანისის ე.წ. ბაქარიას ეკლესიის უთარილო წარწერაში ორივე ძმა სომეხთა მეფეებად იწოდება.³⁷³ ბაქარია და ივანე ანის-შირაკის სომხურ ეპიგრაფიკაში კიდევ რამდენჯერმე გვხვდებიან ერთად; საინტერესოა, რომ რამდენიმე შემთხვევაში ბაქარია ამირსპასალარი წარწერის შესრულების დროისთვის გარდაცვლილია.³⁷⁴

იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს ანის-შირაკს ბაქარია და ივანე მხარგრძელები კოლექტიურად ფლობდნენ; თუმცა, რეალურად ასე არ ყოფილა. ამირსპასალარ ბაქარიას მიერ აქტების ერთპიროვნულად გამოცემა (ანისი, ბაქარიას ეკლესია – უთარილო; ჰორომოსი – 1206 წ.; ლმბათი – 1205/1206 წლების შემდეგ, ჰარიტავანქი – 1206-1207 წლების შემდეგ; ხწკონქი – 1211 წ.)³⁷⁵ თუ ლაპიდარულ საბუთებში ექსკლუზიურად ბაქარიას ხსენება ქვეყნის უფლად და პატრონად (ჰორომოსი – 1201 წ.; ანისი – 1206-1216 წლებს შორის შესრულებული წარწერები; ბაგნაირი – 1210 წ.; ბაგარანი – 1211 წ.; ხწკონქი – 1213 წ.)³⁷⁶ იმაზე მიანიშნებს, რომ ანის-შირაკს უფროსი მხარგრძელი განაგებდა (სურ. 29).³⁷⁷

XIII საუკუნის 20-იან წლებში ათაბაგ ივანეს, ამირსპასალარ შანშეს და ავაგის უფლობა და პატრონობა ან ათაბაგ ივანესა და შაჰანშა სარგისის განმგებლობა/პატრონობა დასტურდება.³⁷⁸ კირაკოს განძაკეცის ცნობით, შანშე სრულწლოვანი რომ შეიქნა, მამეულ/სამამულე სამთავროს დაეუფლა.³⁷⁹ ხწკონქის 1221 წლის და ართიკის 1222 წლის წარწერებში მხოლოდ შანშეს უფლობაა ხაზგასმული.³⁸⁰ რომის პაპისადმი გაგზავნილ წერილში (1223 წ.) ივანე მხარგრძელი თავის ძმისწულს, შანშეს, მემკვიდრედ და თხუთმეტი „დიდი ქალაქის“ პატრონად აცხადებს.³⁸¹ ეპისტოლეს ცნობას ქართული წყაროც ეთანხმება; ჟამთააღმწერლის მიხედვით, 1225 წლისთვის „ივანე ათაბაგსა ეპყრა დვინი, და ანისი მიეცა ძმისწულისა მისისა შანშე მანდატურთუხუცესისათვს“;³⁸² ხოლო 20-იანი წლების ბოლოსთვის „მანდატურთუხუცესი შანშე იყო ანისსა და ამირსპასალარი ავაგ ბიჯნისსა“.³⁸³ ათაბაგ-ამირსპასალარი ივანე შირაკის ჩრდილოეთ მხარეში ინარჩუნებდა მფლობელობას, როგორც ეს შირაკავანის ეკლესიის 1228 და 1231 წლების წარწერა-საბუთებიდან შეგვიძლია დავასკვნათ.³⁸⁴

ივანესა და მისი მემკვიდრეების სენიორალური უფლებები ში-



სურ. 29. ჰარიტავანქის მონასტერი. მხარგრძელთა საქტიტორო რელიეფი მთავარი ეკლესიის აღმოსავლეთ ფასადზე

რაკავანზე, ჩანს, დიდხანს არ გაგრძელებულა. ბაგნაირის სახარების მინაწერის (1232 წ.) ავტორი, მსახურთუხუცესი ხავრასი „დიდი ზაქარიას“ ერთადერთ მემკვიდრედ და „სამეფო ტახტის“ მჭერად, ანუ ანისის მეპატრონედ, მანდატურთუხუცეს შანშეს ასახელებს.³⁸⁵ ჟამთააღმწერლის თანახმად, XIII საუკუნის 30-40-იანი წლებისთვის ანისი მხოლოდ და მხოლოდ შანშეს „სახლსა და ტახტს“ წარმოადგენდა.³⁸⁶ ამ მსხვილ საფეოდალოს სომეხი ავტორი შანშეს სახლად მოიხსენიებს,³⁸⁷ ხოლო სპარსელი ისტორიკოსი – შაჰანშაჰი ანისის თუმნად.³⁸⁸

ზაქარია მხარგრძელის მიერ დაარსებული სამთავრო ლორეთაშირს (ნაწილობრივ) და ამბერდსაც მოიცავდა.³⁸⁹ ზაქარია არა მხოლოდ ანელ შადადიანთა, არამედ დამხობილ ორბელთა (საქართველოს ყოფილ ამირსპასალართა და ლორეთ-ანისის მეპატრონეთა), მემკვიდრედაც გამოდიოდა. შანშეს დროს სენიორიის საზღვრები სამხრეთითაც განივრცო, სურბმარისა და ვალაშკერტის ხარჯზე.³⁹⁰

ამ ფეოდალური სახლის ცენტრი თავდაპირველად, როგორც ჩანს, იყო ლორეთ („მიიცვალა ზაქარია ამირსპასალარი ... მთავარი თემისა ლორისა“³⁹¹), ამირსპასალართა საჯდომი ციხე-ქალაქი, საიდანაც გავრცელდა მხარგრძელთა მფლობელობა ჩრდილოეთ სომხეთზე. ზაქარიას დროსვე დაიწყო ცენტრის ანისში გადმონაცვლების პროცესი (ეკლესიების მშენებლობა, კედლების გამაგრება), რაც, საბოლოოდ, მისი მემკვიდრეების (ივანე, შანშე) დროს დასრულდა. ასეთი სურათი იქმნება ქართული (ჟამთააღმწერელი) და ევროპული (რუბრუკვისი) წყაროებიდან; კირაკოს განძაკეცის კი გარკვეული დაზუსტებები შეაქვს: მონღოლთა შემოსევამდე შანშე მხარგრძელი ლორეთში იჯდა; იქ ჰქონდა რეზიდენციაცა და საჭურჭლეც;³⁹² ანისი მის სამფლობელოდ (իქსანოქინ) ითვლებოდა და მასვე ემორჩილებოდნენ ქალაქის მთავრები (ციქსაოქინი და ქაღაქინი).³⁹³ ანისში მყოფ ქალაქის მთავრებს იცნობენ არისტაკეს ლასტივერტეცი (ქაღაქინი ციქსაოქინი)³⁹⁴ და ვარდანი (იქსანოქინი ციქსაოქინი).³⁹⁵ დავითის ისტორიკოსი ამ ფენას „ანელთა თავადთანის“ უწოდებს,³⁹⁶ ხოლო „ქართლის ცხოვრების“ სომეხი გადმომთარგმნელი – ქაღაქინი.³⁹⁷ ქალაქის ეს მთავარი თუ თავადნი ადგილობრივი არისტოკრატის წარმომადგენელნი უნდა ყოფილიყვნენ (მათ რიცხვს, სავარაუდოდ, დიდვაჭარნიც მიეკუთვნებიან), რომელნიც აქტიურად იყვნენ ჩართულნი ქალაქის მართვა-გამგეობაში და თავის პატრონად, XIII საუკუნის 30-იანი წლებისთვის მაინც, შანშე მხარგრძელს ცნობდნენ.³⁹⁸

ანისის ქვეყნის სოციალურ გეოგრაფიაზე საუბრისას გასათვალისწინებელია ის საყურადღებო გარემოებაც, რომ მხარგრძელები ანისში არ იკრძალებოდნენ,³⁹⁹ ანუ ქ. ანისი მოკლებული იყო სენიორიალური ცენტრის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ატრიბუტს – საძვალეს.⁴⁰⁰ ხომ არ ნიშნავს ეს ფაქტი, რომ ქ. ანისი და მისი შემოგარენი მხარგრძელთა სახარაჯოს წარმომადგენდა და სამეფოდაც რჩებოდა?

ანისის მდიდარი ეპიგრაფიკული მემკვიდრეობიდან მხოლოდ

სამმა ძეგლმა შემოგვინახა ხელრთვა: ქეი-სულთან შადადიანის ბრძანებამ (1199 წ.),⁴⁰¹ ეტიფანე კათალიკოსის განჩინებამ (1218 წ.)⁴⁰² და აბუ-საიდ ბაჰადურ ყაენის იარლიყმა (1330 წ.).⁴⁰³ ასეთი გამორჩეულობა იმას მიანიშნებს, რომ სახელმწიფოს ამ უზენაეს პირებს – მათ შორის, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს (შდრ. „მიეცა პატივი კათალიკოსსა მეფისა თანა“⁴⁰⁴) – ადგილობრივი მოსახლეობაც ხელმწიფეებად აღიქვამდა. ქეი-სულთანის საბუთის სომხური დამტკიცება, ისევე როგორც აბუ-საიდის იარლიყის სამენოვანი ხელრთვის მესამე, სომხური ნაწილი, დალოცვის ზოგად ფორმულას წარმოადგენს: „ვინც მტკიცედ დაიცავს, ღმერთი აკურთხებს“.⁴⁰⁵ აღნიშნული ფორმულა ქართული დოკუმენტებისთვისაცაა დამახასიათებელი (მაგალითად: „დამამტკიცებელნი ღმერთმან აკურთხენს“, „ვინ დაამტკიცოს, ღმერთმან აკურთხოს“), მაგრამ როგორც დამტკიცების დამამთავრებელი – და, არა დამოუკიდებელი – ნაწილი.⁴⁰⁶ ქართული დიპლომატიკის ნორმებთან სრულ შესაბამისობაშია კათალიკოს-პატრიარქ ეტიფანეს განჩინების სომხური და აბუ-საიდის იარლიყის სპარსული და ქართული დამტკიცებები, რომლებშიც თარიღი და დამამტკიცებლის ვინაობაცაა ფიქსირებული. ორივე შემთხვევაში დადასტურებული დიპლომატიკური და სამართლებრივი ნორმები ეპოქის პოლიტიკური გეოგრაფიის ანარეკლია: როგორც მონღოლთა ყაენის – საქართველოს მეფის ხელმწიფის – მიერ ანისის ვილაიეთისათვის გამოცემულ ბრძანებას ამ მხარის მბრძანებელი და საქართველოს სამეფოს ათაბაგი ზაქარია მხარგრძელი ამტკიცებს, ისე საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავრის განჩინებას ქალაქ ანისისათვის ქალაქის ამირა ვაჰრამი და იქ აღსაყდრებული სომეხთა ეპისკოპოსი გრიგოლი ამოწმებენ.⁴⁰⁷ ანისში ქალაქის ამირას ინსტიტუტის ხელმეორე გამოჩენა, ცხადია, ქართული სახელმწიფოებრიობის დამკვიდრებასთანაა დაკავშირებული. სადუნისა თუ სარგის მხარგრძელის მსგავსად, ამირა ვაჰრამიც საქართველოს მეფის მოხელეა. ქალაქში გამოცემულ ყველა აქტს, მათ შორის, მთავარეპისკოპოსთა საბუთებსაც, ამირას „ნება“ ანუ დამტკიცება სჭირდება.⁴⁰⁸ ამ ინსტიტუტის მნიშვნელობაზე მიანიშნებს მხარგრძელთა და ამირათა ერთად მოხსენიება ზოგიერთ ლაპიდარულ წარწერაში.⁴⁰⁹ მონღოლთა ბატონობის ხანაში ამირები აღარ ჩანან (შესაძლოა, ქალაქის პატრონებმა ჩაანაცვლეს⁴¹⁰); ისინი კვლავ ჩნდებიან 1320 წლის წარწერაში – ხუანძე მხარგრძელის წყალობის წიგნი ვინმე ლიპის ამირობისას დამტკიცდა.⁴¹¹ გასარკვევია მხოლოდ, იყო ის მეფის თუ ათაბაგის ამირა.⁴¹²

ქალაქში ერთდროულად პატრონობაცა და ამირობაც სავსებით თავსებადია. კიდევ მეტი, მეფეს შეეძლო ქალაქის „შესავლობისგან“ მისი შესავალი (პირი) სოფელი „გამოეღო“ და სხვა ფეოდალური სახლისთვის ეწყალობა.⁴¹³

* * *

ანის-შირაკის ტერიტორიაზე სხვა, უფრო წვრილი, საფეოდალო ქვეყნები, მათ შორის, შანშეს მრავალრიცხოვან შთამომავალთა სახლებიც, არსებობდა. მათი ცენტრები და საზღვრები ამ ეტაპზე არ



სურ. 30. ჰორომოსის მონასტერი.
დ. ერმაკოვის ფოტოკოლექცია

დგინდება. ინტენსიური საველე-დაზვერვითი სამუშაოების წარმოება ამ მხარეში, სასაზღვრო მდებარეობის გამო, დღეისთვის, ფაქტობრივად, შეუძლებელია; პირველწყაროებში დაცული ცნობები კი მეტად მწირია.

სომხურ ძეგლებში, ხანდახან, მონასტერთა სენიორები იხსენიებიან; მათი უფლება ტერმინით *ტერუთიუნ* აღინიშნება.⁴¹⁴ ლაპიდარული წარწერებიდან ცნობილია, რომ ჰორომოსისა და ტაილარის მონასტრებს ჰეტუბ გრიგოლის საგვარეულო ფლობდა,⁴¹⁵ ჰარიტივანქს – ჰიჯუბ ვაჰრამი,⁴¹⁶ რომელსაც თანამედროვენი „დიდ იშხანსაც“ უწოდებდნენ;⁴¹⁷ არჯევარიტს – ოჰანეს მაგისტროსეანი და ფახრადინ ამირას ძე.⁴¹⁸ გრიგოლისა და ვაჰრამის პატრონობა (*պատրոն*) – შდრ. ტრადიციული სომხური *პარონ* – და ჰეტუბობა ამ სომეხ აზნაურთა ქართულ ფეოდალურ სამყაროში ინტეგრაციას უსვამდა ხაზს.⁴¹⁹ ჰეტუბ-ჰიჯუბი, რა თქმა უნდა, იგივე ეჯიბია, ქართული სინამდვილისთვის კარგად ცნობილი სამოხელეო ტერმინი. მეფეთა და დიდმოხელეთა სასახლეებში ისინი მეკარეთა ფუნქციას ასრულებდნენ.⁴²⁰

მოსაზრება, რომ სახელოს გაჩენა ანისში მხარგრძელებს უნდა უკავშირდებოდეს,⁴²¹ სარწმუნო ჩანს; თუმცა, სავალდებულო არაა, ჰეჭუპები, მინცდამინც, ანისის სასახლის კამერჰერებად წარმოვიდგინოთ.⁴²² საქმე ისაა, რომ ეჭუბებს მნიშვნელოვანი უღელტეხილებისა და მათზე გამავალი გზების, ანუ ზეკარების, დაცვაც ევალებოდათ.⁴²³ ჰეჭუპ გრიგოლის საფეოდალოს ცენტრი, მონასტერთა მფლობელობის მიხედვით, სადღაც, ზემო და ქვემო შირაკის საზღვარზე უნდა ვივარაუდოთ, და მათ მოვალეობად, შესაბამისად, ერთი ქვეყნიდან მეორე ქვეყანაში გადმომყვან გზათა მეკარეობაც შეიძლება ვცნოთ.⁴²⁴ ასეთი კარი ანის-შირაკში, ჩანს, არაერთი ყოფილა. კავკასიის მხარის ხუთვერსიან რუკაზე, ჰორომოსიდან ჩრდილო-დასავლეთით, თექვსმეტი კილომეტრის დაშორებით, დატანილია სოფლები ბაშკადიკლარი, ორთაკადიკლარი, აშაგაკადიკლარი. კადიკლარი-გედიკლერი, რაც ნაპრაღს აღნიშნავს, სამხრეთ კავკასიაში არაერთხელ გვხვდება.⁴²⁵ საქართველოში თურქულენოვანი მოსახლეობა გედიკლარად კლდეკარს გამოთქვამდა.⁴²⁶ მართალია, ანისის გედიკლარს მრავალი საურმე გზა კვეთდა, მაგრამ მის რაობაზე პასუხის გაცემა მხოლოდ ადგილის მიმოხილვისა და მატერიალური ნაშთების აღმოჩენის შემთხვევაში გახდება შესაძლებელი. იგივე ითქმის ორონიმზე ხანაკ-დური (ბაშ-გედიკლარის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ყარს-ჩაისთან), რაც მოსასვენებელ ან სასტუმრო კარად ითარგმნება⁴²⁷ და სრულიად აშკარად, გზას უკავშირდება (სურ. 30).

ზეკარების, თავდაცვითი კოშკებისა და სასტუმროების ურთიერთმიმართების საინტერესო სურათს გვაძლევს ანის-შირაკის აღმოსავლეთი ნაწილიც. თალინიდან არტიკისკენ მიმავალ გზაზე, დაახლოებით 2,5 ვერსის დაშორებით, ქარვასლა მდგარა; მისგან 4 ვერსზე კი იწყებოდა სიმაღლეები, რომლებიც თალიშის (არუჭის) დეფილემზე ბატონობდა.⁴²⁸ მოსალოდნელია, რომ იქვე ახლოს ციხეც ყოფილიყო. ხუთვერსიან რუკაზე თალიშიდან ჩრდილოეთით, მთავარ საურმე გზაზე ნაჩვენებია სოფელი ქარავანსარაი, მის ჩრდილო-დასავლეთით კი – ზემო და ქვემო აღჯაყალა. ტობოგრაფია, დაახლოებით, ზემო და ქვემო შირაკის საზღვარს შეესაბამება და შუა საუკუნეების ტრადიციას აგრძელებს. ეს მეტად მეტყველი ადგილის სახელები და ძეგლები კარგად აჩვენებს, ერთი მხრივ, ზეკარებსა თუ ხეობებზე გამავალი გზების და, მეორე მხრივ, ამ გზების დაცვის ანუ მეკარეობა-ეჯიბობის მნიშვნელობას.

სომხური ეპიგრაფიკის მიხედვით, ანის-შირაკის კიდეც ერთ მნიშვნელოვან ცენტრს წარმოადგენდა მრენი, სადაც რეზიდენცია ჰქონდა მოწყობილი არტაშირ შანშეს ძეს.⁴²⁹ იქ ციხეც მდგარა.⁴³⁰ მრენის მოსახლეობაც არცთუ უმნიშვნელო ყოფილა; ათაბაგ ელდიგუმის ერთი ლაშქრობისას ოთხი ათასი მკვიდრი დალუპულა.⁴³¹

შირაკავანის ციხისა და მალასბერდის შესახებ ზემოთ ვისაუბრეთ.

* * *

ეკონომიკური და პოლიტიკური გეოგრაფიის თვალსაზრისით საინტერესოა ანისის სამონეტო ბაზრის შეცვლა XIII საუკუნეში. ბაზა-



სურ. 31. რუსუდანის მონეტა. ყარსის მუზეუმის ნუმისმატიკური კოლექცია



სურ. 33. ქობაირის მონასტერი.
ხედი სამხრეთიდან

სურ. 32. ჰორომოსის მონასტერი.
წმ. იოანეს ეკლესიის კარიბჭე, ზაქარია
მხარგრძელის წარწერა

რი ნუმისმატიკური სიტყვებით ხასიათდება; ნაირგვარობა აიხსნება როგორც ქვეყნის ცხოვრებაში მომხდარი პოლიტიკური ცვლილებებით, ისე დივერსიფიცირებული კავშირ-ურთიერთობებით. სხვადასხვა წარმომავლობის მონეტებს შორის ბაგრატიონთა სახელით მოჭრილი მონეტები ჭარბობს (სურ. 31).⁴³²




ანისის სტატუსი მონღოლთა ბატონობის ხანაში

1236 წელს მონღოლებმა ანისი აიღეს.⁴³³ მხარგრძელთა დამორჩილების შემდეგ, ნოინებმა „შანშესაცა ფრიადი პატივი უყვეს, და ანისი და მათ მიერ წაღებული მისი ქუეყანა ყოველი მისცეს, და მცველნი დაუდგინნეს ქუეყანასა შინა“.⁴³⁴ შანშე მანდატურთუხუცესი საქართველოს მეფის მოხელედაც რჩებოდა: როგორც კი ლიხთიმერეთში გადახვეწილი რუსუდანი და დავით რუსუდანის ძე მონღოლებს დაუზღვდნენ, ბაგრატიონთა უზენაესი ხელისუფლება კვლავ აღდგა საქართველოს სამეფოს მთელ ტერიტორიაზე. ანის-შირაკთან დაკავშირებით შესანიშნავ მოწმობას წარმოადგენს შეწირულობის სიგელი, ამოკვეთილი ჰორომოსის ეკლესიაზე 1246 წელს: „სომეხთა და ქართველთა [მეფის] დავითის მეფობისას და დიდი ბაქარიას ძის, შანშანსას სპასალარობისას...“.⁴³⁵ ჰორომოსის 1247 წლის და მრენის 1251 წლის წარწერებიც მოწმობს, რომ ანისის ქვეყანა შანშე მხარგრძელის სამფლობელოს წარმოადგენდა.⁴³⁶ იმავედროულად, ის ანისშიც მოღვაწეობდა.⁴³⁷ იგივეს ადასტურებს რუბრუკისი: მისი ჩვენებით, ანისში იჯდა ქართველი მთავარი შანშე, რომელიც „სარკინობთაგან“ განთავისუფლებულ სომხურ მიწა-წყალს განაგებდა.⁴³⁸ კიდევ მეტი, გარკვეული დროით შანშე გარდაცვლილი ავავ მხარგრძელის (†1250) მამულებსაც განაგებდა.⁴³⁹ შანშე პატრონად ანის-შირაკის ეპიგრაფიკაში უკანასკნელად ბაგრატიონის 1262 წლის წარწერაში იხსენიება: ვინმე ხორაზ სასანის ძეს მისთვის მიუცია მამული სოფელი აშნაკი, შემდეგ ისევ გამოუსყიდავს (სურ. 32).⁴⁴⁰

ამრიგად, XIII საუკუნის 50-იან წლებშიც ანისის ქვეყანა საქართველოს სამეფოს საზღვრებში რჩებოდა, თუმცა მონღოლთა ბატონობის გავლენით იცვლებოდა მისი ისტორიულ-გეოგრაფიული განვითარების ყველა მხარე: პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, დემოგრაფიული.

რუბრუკისის მოწმობით, შანშეს სამფლობელოში თითქმის ყველა ციხე დანგრეული ყოფილა.⁴⁴¹ ციხესიმაგრეთა მოთხრა მონღოლთა ჩვეულ პოლიტიკას წარმოადგენდა.⁴⁴² დამპყრობლები ამ გზით ქვეყანას იმორჩილებდნენ და მის ფეოდალურ წეს-წყობილებასაც ძირს უთხრიდნენ, საფეოდალო ცენტრებს არღვევდნენ. ნიშანდობლივია, რომ შანშეს დაკნინებული ხელისუფლების გამოხატვად რუბრუკისი მონღოლურ ხარკსა და დანგრეულ ციხესიმაგრეებს მიიჩნევს.⁴⁴³ XIII საუკუნის 60-იან წლებში მხარგრძელებმა მრენიც და ანისიც გაყიდეს.⁴⁴⁴ შანშე მანდატურთუხუცესმა რეზიდენცია ანისიდან ოძუნში (ტაშირი) გადაიტანა,⁴⁴⁵ ხოლო საძვალედ ქობაირი (ლორე) აქცია (სურ. 33).⁴⁴⁶

შირაკის ვრცელი მიწები მომთაბარეთათვის შესანიშნავ სადგომს წარმოადგენდა.⁴⁴⁷ საქართველოს დაპყრობისთანავე მონღოლებმა ანისსა და შირაკავანში ბანაკები დასცეს.⁴⁴⁸ მონღოლთა ყოველ ამგვარ გამოჩენას, როგორც წესი, ინტენსიური სახნავ-სათიბი მიწების ექსტენსიურ საძოვრებად გადაქცევა მოჰყვებოდა. ამას ზედდართული მონღოლური გადასახადები ქვეყანას აჩანაგებდა, მოსახლეობისგან ცლიდა.⁴⁴⁹ ყოველივე ეს ანის-შირაკში ერთდროუ-



სურ. 34. ქობაირის მონასტერი. ხოშაქის ეპიტაფია



სურ. 35. ასწლოვანი მათიანე.
ხეგ, H-2135, ფ. 281r

სურ. 36. გარეჯის მრავალმთის უდაბნოს
მონასტერი, ხარების ეკლესია, მეფე
დემეტრე II-ის გამოსახულება



ლად არ მომხდარა – პროცესები ნელ-ნელა ვითარდებოდა.

მონღოლი დიდმოხელენი არა მხოლოდ მომთაბარეები, არამედ მიწათმფლობელები და შესანიშნავი ინვესტორები იყვნენ. ისინი ხელს უწყობდნენ მიწების ამოძრავებას, ძველი საგვარეულოების მოშლას და ახლების აღზევებას. ახალკაცებში ერთგულ მოკავშირეებსა და საქმიან პარტნიორებს ხედავდნენ. ასეთი უნისონის შედეგად, 1263 წლიდან ანისის მეპატრონეებად საჰიბ-დივანი, საჰმადინი და ქარიმადინი გვევლინებიან.⁴⁵⁰ მათგან ორი უკანასკნელი ადგილობრივი, სომხური ფინანსური წრეების წარმომადგენლები არიან, ხოლო საჰიბ-დივანი, იგივე საჰიბ ხოჯა, ქართული და უცხოური წყაროებით (ჟამთააღმწერელი, რაშიდ ად-დინი, სტეფანოს ორბელიანი) კარგად ცნობილი ილხანთა ვაზირი, შამს ად-დინ ჯუვეინია. მისი მეუღლე იყო ხომაქი, ავაგ მხარგრძელის ქალიშვილი და ერთადერთი მემკვიდრე.⁴⁵¹ ავაგის სახლს დაპატრონებული მონღოლი დიდმოხელე ხელს შანშეს სახლსაც ადებდა. სავარაუდოდ, მას ეკუთვნოდა არა მხოლოდ ქალაქი, არამედ ანისის ქვეყნის მნიშვნელოვანი ნაწილიც: რაშიდ ად-დინთან შემონახული დოკუმენტური მოწმობით, საჰიბ-დივანი ფლობდა მამულებს შაჰანშაჰ-ი ანისის თუმანში.⁴⁵² ნიშანდობლივია, რომ მისი პატრონობის პერიოდში ანისის ეპიგრაფიკაში მხარგრძელები არ ჩანან (სურ. 34).

ამავე დროიდან ანის-შირაკის ლაპიდარულ წარწერებში ქვეყნის უმაღლესი ძალაუფლება „ილხანობით“ აღინიშნება, ხელმწიფეებად კი მონღოლი ყაენები ჩანან. უცხო მფლობელთა სახელების აღბეჭდვა და ქართველ მეფეთა მოუხსენებლობა XIII საუკუნის მეორე ნახევრის მონეტებისთვისაცაა დამახასიათებელი.⁴⁵³ აღნიშნული გარემოება, რა თქმა უნდა, ბაგრატიონთა ძალაუფლების შესუსტებაზე, კონკრეტულ შემთხვევებში, კი, მოშლაზეც შეიძლება მიანიშნებდეს.

მონღოლთა ბატონობის წყალობით საქართველოს მეფის ხელისუფლება რომ უკიდურესად დაკნინებული იყო, ეს ჟამთააღმწერლის ლაკონური ფრაზიდანაც შესანიშნავად ჩანს: „მთავარნი და ერისთავნი ვერ ცვალების შიშისათვის ყაენისა“.⁴⁵⁴ ილხანთა წყალობით „გაკეთების“ მოიმედე დიდაზნაურნი თუ დიდვაჭარნი ხასობის მოპოვებას ცდილობდნენ და აღწევდნენ კიდევ საგადასახადო და ადმინისტრაციულ შეუვალობას (ორბელები, ჯაყელები...). სწორედ ასეთი თავისთავადი მეპატრონენი უნდა ყოფილიყვნენ საჰიბ-დივანი, საჰმადინი და ქარიმადინი (სურ. 35).⁴⁵⁵

ანისის დამოუკიდებლობა დიდხანს არ გაგრძელებულა. XIII საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში, აჰმად ყაენმა (1282-1284) დემეტრე II-ს (1272-1289) „დიდად დაუმაღლა ... თანახლება ხუარასანს, და პატივიცა უყო დიდი, და ყოველნი მთავარნი საქართველოსანი მოსცნა“.⁴⁵⁶ საქართველოს სამეფოს კონსოლიდაციის პროცესი ამაზე არ შეჩერებულა. აჰმადისა და საჰიბ-დივანის დამხობისთანავე ბუღამ „მოსცა (დემეტრეს) ყოველი სამეფო მისი და სახლი ავაგ ათაბაგისა, რომელი აქუნდა საჰიბ-დივანს“.⁴⁵⁷ ვაზირ ბუღას ანისიც ებარა;⁴⁵⁸ ასე, რომ, დიდი ალბათობით, შანშეს სახლსაც საქართველოს მეფეს დაუბრუნებდა. მართლაც, სტეფანოს ორბელიანის ცნობით, ტახტზე ახლადასულმა არღუნ-ყაენმა (1284-1291) დემეტრე II-ს უბოძა „ყოველი

ქვეყანა სომხეთისა: სახლი ავაგიანთა, სახლი შანშიანთა და გაგელთა და შვილნი სადუნ ათაბაგისა“.⁴⁵⁹ ანისზე კვლავ საქართველოს მეფის იურისდიქცია გავრცელდა: თბილისთან და ყარსთან ერთად ის დემეტრეს „საუფლოდ“ განიხილებოდა (სურ. 36).⁴⁶⁰

მხარგრძელთა სამფლობელოებზე ბაგრატიონთა ხელისუფლების აღდგენა დოკუმენტურადაც მტკიცდება; კერძოდ, საამისო უტყუარ საბუთს წარმოადგენს დემეტრე II-ის მოხსენიება შემდეგ წარწერებში: 1283 წ. – გოშავანქში (კაენი),⁴⁶¹ 1285 წ. – დსელში (ტაშირი)⁴⁶² და




სურ. 37. ქართულ-ჰულაგუიდური მონეტები ჯვრის გამოსახულებით

არუჭში (შირაკი),⁴⁶³ 1286 წ. – სურბ კირიაკში (კოტაიქი),⁴⁶⁴ უთარილო, დიდი ალბათობით, იმავე პერიოდში შესრულებული – ახტალაში.⁴⁶⁵ ნარატიული და ეპიგრაფიკული წყაროების სინქრონიზმი მეტად საყურადღებოა. ამავე კონტექსტში იკითხება აჰმადისა და არღუნის სახელით თბილისში (?) მოჭრილი (1282-1291 წწ.) ქართულ-ჰულაგუიდური მონეტების აღმოჩენაც ანისში.⁴⁶⁶ ანისში ნაპოვნია, აგრეთვე, მანგუ ყაენის სახელით მოჭრილი მონეტები (1248-1257 წწ.), რომელთა ემისია – ნაწილის მაინც – თბილისში ხორციელდებოდა.⁴⁶⁷ XIII საუკუნის მეორე ნახევრის სხვა ფულადი ერთეულები ანისიდან უცნობია. გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ანისი ცენტრისგან არც „დამოუკიდებლობის“ დროს ყოფილა მოწყვეტილი.

* * *

XIII საუკუნის ბოლოდან ანისს კვლავ მხარგრძელები განაგებენ.⁴⁶⁸ მათი სახელით გამოცემულ პირველსავე წარწერა-საბუთებში (1289 წ., 1301 წ.) უზენაეს მმართველებად ილხანები იხსენიებიან, საქართველოს მეფეები კი არ ჩანან.⁴⁶⁹ იმავე დროიდან ანისში ამოქმედდა ზარაფხანა, სადაც მონეტები ყაენთა სახელით იჭრებოდა. ფულის ემისია თითქმის ასორმოდათი წლის განმავლობაში გრძელდებოდა; განსაკუთრებულ აღმავლობას აბუ-საიდ ბაჰადურის ყაენობისას მიაღწია (სურ. 37).⁴⁷⁰ ნიშნავს თუ არა ეს ფაქტები საქართველოს პოლიტიკური რუკის შეცვლას?

1298 წელს ანისში, ნერქის ციხეში გადაწერილ ხელნაწერს ერთვის მინაწერი, საიდანაც ცნობილი ხდება, რომ ის შესრულებული ყოფილა ილხან ყაზანის მპყრობელობისას, სომხებზე სუმბატის მეფობისას, უფალ გრიგოლის კათოლიკოსობისას, ქართველებზე ვახტანგის მეფობისას, ამირსპასალარ შანშეს პარონობისას, უფალ იოვანეს ეპისკოპოსობისას.⁴⁷¹ აღნიშნული ჰიშატაკარანი კარგად გა-



სურ. 39. ქობაირის მონასტერი.
მწიგნობართუხუცეს მათეს ეპიტაფია

მოხატავს ანისის მკვიდრთა წარმოდგენებს სახელისუფლო იერარქიაზე: ყველაზე მაღლა მონღოლი ყაენი დგას, მას ემორჩილება საქართველოს მეფე ვახტანგი, რომლის ხელქვეით შანშე ამირსპასალარი და ანელი ეპისკოპოსი არიან. ამგვარია გადამწერის პოლიტიკური იდენტობა; ეთნო-კონფესიური კუთვნილების ხაზგასასმელად კი სომხეთის მეფესა და კათალიკოსს ასახელებს.



სურ. 38. ანისი, წმ. გრიგოლის ეკლესია.
მწიგნობართუხუცეს მათეს წარწერა

ანონიმი სებასტიელის ცნობით, 1300 წელს ყაზან-ყაენი ურიცხვი ჯარით ეგვიპტეში შეიჭრა. სხვა მხედართმთავრებთან ერთად მასთან იმყოფებოდა „შაჰანშა საქართველოდან“.⁴⁷² ამრიგად, ათაბაგ-ამირსპასალარი შანშე II, თანამედროვე სომეხი ავტორის მოწმობით, საქართველოს დიდებულია, შესაბამისად, მისი სამამულე ქვეყანაც (ანისი) ქართული სახელმწიფოს ნაწილია. ასევე აღიქვამდა თავისი ქვეყნის სტატუსს ანისის სომხური მოსახლეობაც, რასაც შესანიშნავად მოწმობს ქალაქის გალავანში, ე. წ. ლომის კარიბჭის თავზე ამოკვეთილი წარწერა: „...დღეგრძელობისთვის მეფეთ-მეფისა, ღმრთივდამყარებელი ფადიშაჰისა და ... ამ ქვეყანაზე ქართველთა მეფობისა, როდესაც დედაქალაქი ანისი გახდა ხასინჯუ...“.⁴⁷³ წარწერა უთარილოა. მკვლევართა დიდი ნაწილი მას XIV საუკუნით ათარილებს⁴⁷⁴ და ანისის შეუვალობას აბუ-საიდის წყალობად⁴⁷⁵ ან კიდევ უფრო გვიანდელ მოვლენად⁴⁷⁶ მიიჩნევს.

ანისის ახალი სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის მიუხედავად,

მისი პოლიტიკური გეოგრაფია უცვლელი რჩებოდა. ანისისა თუ სხვა სომხური მიწების კავშირურთიერთობებს საქართველოს სამეფოსთან საკმაოდ ღრმა ფესვები ჰქონდა. ამ მოვლენის იდეურ-ფსიქოლოგიური მხარე კი ის იყო, რომ სომხური მოსახლეობა ქართულ სამეფოს საკუთარ სახელმწიფოებრიობად აღიქვამდა. XIV საუკუნის ანელ მხარგრძელთა პოლიტიკურ (თვით)იდენტობას, დიოფიზიტო-



ბასთან ერთად, კარგად მოწმობს მათი ამირსპასალარობა, მანდატურთუხუცესობა თუ ათაბაგობა; საკუთარი კარის ქართულ სამოხელეო მოდელზე მოწყობა მწიგნობართუხუცესთა, ამირახორთა თუ სხვა სახელოებით და ამ თანამდებობების ქართულ და სომხურ წარჩინებულ საგვარეულოთა წარმომადგენლებისთვის წყალობა (სურ. 38 და 39); ქართულის ოფიციალურ ენად გამოყენება.⁴⁷⁷ უმაღლეს საკარისკაცო თანამდებობათა ფლობა კი აუცილებელ პირობას წარმოადგენდა მათი სამთავრო ქვეყნის „სიმტკიცისა და მოუდერობისათვის“, რის კანონიერებასაც არა მონღოლური სამართალი, არამედ ქართული წეს-წყობილება განსაზღვრავდა.⁴⁷⁸

მონღოლთა ოფიციალური თვალსაზრისითაც ანისი საქართველოს ერთ-ერთი მხარეა.⁴⁷⁹ საილხანოს უზენაეს ხელისუფალთა ეს შეხედულება კარგად გამოსჭვივის აბუ-საიდ ყაენის იარლიყის (1330 წ.) შემდეგი სტრიქონებიდან: „...როგორც წინათ ქალაქს ანისში და საქართველოს სხვა ვილაიეთებში (ქვეყნებში) ... უკანონო

სურ. 40. ანისი, მანუჩეს მეჩეთი. აბუ-საიდის წარწერა და მისი დამტკიცებები. სემ, ფოტოთეკა, ნეგატივი №12917-105

გამოსაღებლებსა და ტარხს ძალით ჰკრებდნენ და ავიწროებდნენ (მოსახლეობას და ამის გამო ქვეყანა) გაოხრდა...⁴⁸⁰ არანაკლებ საყურადღებოა ის გარემოება, რომ აღნიშნულ ბრძანებას მოსდევს ზაქარია ათაბაგის ხელრთვა სპარულ, ქართულ და სომხურ ენებზე (სურ. 40).⁴⁸¹

ჰამდალლაჰ ყაზვინი, მონღოლთა სამსახურში მდგარი სპარსელი დიდმოხელე, 1340 წელს შედგენილ გეოგრაფიულ ტრაქტატში თბილისს, ანისსა და ყარსს საქართველოს უმნიშვნელოვანეს ქალაქებს მიაკუთვნებს.⁴⁸² თანადროული პოლიტიკური რეალიები დიდ გავლენას ახდენდა სპარსელ ისტორიკოსთა ნარატივის სტილზეც. XIV საუკუნის მწერალი აჰმედ ბენ-მუჰამედ ელ-ჯაფარი თურქ-სელჯუკთა მიერ ანისის აღებას რომ აღწერს, პოლიტიკურ-გეოგრაფიული სივრცის აღმნიშვნელ ტერმინად მხოლოდ „საქართველოს“ იყენებს.⁴⁸³

როგორც ვხედავთ, აღმოსავლურ წყაროთა თანხმობლივი ჩვენებით ანისი საქართველოს საზღვრებში რჩებოდა.⁴⁸⁴ ამ მნიშვნელოვანი გარემოების გათვალისწინებით, გადააზრებას მოითხოვს ანისის „ხასინჯუ“-ობაც (ის არ გამოირცხავს „ქართველთა მეფობას“) და სამონეტო ემისიაც,⁴⁸⁵ რაც ანისის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ისტორიის უფრო ფართო სპექტრით დანახვის შესაძლებლობას იძლევა.

სურათის სისრულისათვის ქართულ წყაროებზეც შევჩერდებით. ჟამთააღმწერლის ცნობით, როდესაც ყაენმა დავით VIII (1293-1311) მეფედ დაამტკიცა და „წარმოგზავნა ტფილისს“, „თანა-წარმოატანნა სპანი საქართველოსანი, შანშე და ხუტლუბულა და ყოველნი დიდებულნი. და მოუწოდეს სამცხით ბექასა, და მან არა ინება მოსლვად, რამეთუ ფრიად განდიდებულ იყო“.⁴⁸⁶ იმავე ისტორიკოსის სხვა მონათხრობით: „ამან ოლჯათ სულტანმან წარმოავლინა მცირე გიორგი მეფედ, და ზაალ მელიქი, ვინმე სპარსი ხუარასნელი, და ახრუჩი, მამისძმა ჩოფანისა, თანა წარმოიტანა, რათა ყოველი საქართველო ერთად შეკრიბონ მეფობასა შინა გიორგისსა. და აჩინეს ამათ შანშე მჯარგრძელი და ზაქარია, ავაგის ასულის, ხუაშაქის, ნაშობი. მივიდეს ჯავახეთს, მიერ კობტისთავსა და აწუევდეს სარგისს და ყუარყუარეს გამოსლვად, და არა ინებეს“.⁴⁸⁷

აშკარაა, რომ შანშე მხარგრძელი საქართველოს დიდებული და მისი სპის ნაწილია. ის ილხანთაგანაც შეწყალებულია, მაგრამ არა იმდენად, რომ მეფისგან დამოუკიდებელ მთავრად იქცეს. ეს საკმაოდ რელიეფურად ჩანს მხარგრძელთა და ენჩუდ ქცეულ ჯაყელთა სრულიად განსხვავებული ქმედებებით.

ანელი მხარგრძელები აღარ ფლობდნენ უწინდელ გავლენასა და ძალას; მათი პოზიციები სულ უფრო არამყარი ხდებოდა. ჯერ კიდევ XIII საუკუნის ბოლოს ზაქარიას შთამომავლებმა, უმაღლეს სახელოებთან ერთად, დაკარგეს ლორეს ციხე და ტაშირის სხვა სამფლობელოები – ამ მიწების მეპატრონეებად, სომხური ნარატიული⁴⁸⁸ და ეპიგრაფიკული⁴⁸⁹ ძეგლების მიხედვით, ათაბაგ-ამირსპასალარი სადუნ მანკაბერდელი და მისი შვილი ხუტლუბულა გვევლინებიან. XIV საუკუნის დასაწყისში, დაახლოებით 1308-1311 წლებს შორის,



სურ. 41. საფარას მონასტრის წმ. საბას ეკლესია. სამცხის ათაბაგთა – ჯაყელების გამოსახულებები

შანშეს სახლმა დათმო ამბერდიც, სადაც ბაგრატიონთა ალასტანური შტო დამკვიდრდა.⁴⁹⁰ ამრიგად, შანშეს მემკვიდრეები, აქედან მოყოლებული, მხოლოდ ანისს ფლობდნენ. თუმცა ვითარება აქაც შეიცვალა. მკვლევრები სამართლიანად მიუთითებენ, რომ სამცხე-საათაბაგოს მღვდელმთავართა ნუსხა ჯაყელთა დომენის არა მხოლოდ საეკლესიო, არამედ პოლიტიკურ საზღვრებსაც ასახავს;⁴⁹¹ შესაბამისად, სამცხის საეპისკოპოსოთა შორის ანელის სამწყსოს მოხსენიება ანისზე ჯაყელთა ხელისუფლების გავრცელებაზე უნდა მეტყველებდეს (სურ. 41). როდის უნდა დაპატრონებოდნენ ჯაყელები ანისს?

მოსაზრება, თითქოს ჩვენთვის საინტერესო საეკლესიო დოკუმენტი შედგენის თანადროულ, ე.ი. XVI საუკუნის დასაწყისის,⁴⁹² პოლიტიკურ-გეოგრაფიულ ვითარებას ასახავს,⁴⁹³ ეწინააღმდეგება სპარსულ წყაროებს, რომლებიც ამ დროისთვის შურაგელს საქართველოს, უკეთ, სამცხე-საათაბაგოს, საზღვრებს მიღმა უჩვენებენ.⁴⁹⁴

საამისო თარიღად არც 1325 წელი⁴⁹⁵ გამოდგება – ქალაქ ანისში ყაენის 1330 წლის იარლიყის ბაქარია ათაბაგის მიერ დამოწმებაცა და ჰორომოსის 1336 წლის წარწერაში შანშეს სახლის წარმომადგენელთა პატრონთ-პატრონობისა და უფლობის ხაზგასმაც⁴⁹⁶ ანიშირაკს მათ დომენად წარმოადგენს. 1342 წლით თარიღდება უკანასკნელი სამშენებლო წარწერა ანისიდან – იმ წელს ათაბაგ ვარამ მხარგრძელის ბრძანებით მაცხოვრის ეკლესიის გუმბათი განუახლებიათ.⁴⁹⁷ XIV საუკუნის 50-იან წლებში, მედიქ აშრაფის შემოსევების შედეგად, შანშე (III) ათაბაგი ანისიდან ბიჯნისში გადავიდა⁴⁹⁸ და, როგორც ჩანს, იქვე დამკვიდრდა.⁴⁹⁹ ჯაყელებს შესაფერისი დრო დაუდგათ და მხარგრძელთა სახელოების დაუფლების კვალდაკვალ⁵⁰⁰

მათ სამამულე ქვეყანასაც დაეპატრონენ.⁵⁰¹

XIV საუკუნის მეორე ნახევარში, მეფე ბაგრატ V-ის ზეობისას, აღნიშნავდა ივ. ჯავახიშვილი, „მთელი მესხეთიც საქართველოს სახელმწიფოს ეკუთვნოდა, ქ. ანისიც წინანდებურად საქართველოს ხელში იყო“.⁵⁰² ეს დასკვნა სპარსულ და სომხურ წყაროთა ჩვენებებზეა დამყარებული. შარავ ად-დინის ცნობით, ერანის ადერბაჯანის ქალაქების – ნახჭევანის, გარნისისა და ყარსის დაპყრობის შემდეგ თემურ-ლენგმა ყარსში დაიბანაკა და ქართველთა განადგურებაზე იწყო ფიქრი.⁵⁰³ ყარსიდან ის აღ-ბოლრას მალეობ თემში გადავიდა და ქაითუზე გავლით თბილისს მიადგა.⁵⁰⁴ აღ-ბოლრას სიმაღლეები აღბულა ჯაყელის სამთავროს, სამცხე-საათაბაგო,⁵⁰⁵ ხოლო ქაითუ – სომხურ ქრონიკებში დამოწმებული ქაითუს მთა.⁵⁰⁶ ანონიმი სებასტიელის ცნობით, ქაითის მთა ანისის საზღვრებთან თუ მის საზღვრებში მდებარეობდა (Ապսղայսն ի Վրաց տունն ստաս. և զՋալալ Թարայսն և զՌաքի Պասան սպանին ի Քայխուն լեսան, որ է ի սահմանս Անյ).⁵⁰⁷ სამეცნიერო ლიტერატურაში მას, ჩვეულებრივ, კანგარქთან აიგივებენ⁵⁰⁸ და, მაშასადამე, ანისის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ლორე-ტაშირის საზღვართან ათავსებენ. ხუთვერსიან რუკაზე შირაკის ქედზე ნაჩვენებია სიმაღლე 6913 ო. ჩაიხუძხ, ხოლო ამავე ქედის სამხრეთ კალთაზე – М. Кейты და Б. Кейты; ორონიმი, შესაძლოა, მართლაც ქაითუ იყოს. იგივე სახელი ოსმალურ დავთრებშიც დასტურდება. თურქი მოხელეების აღწერით, თბილისის ვილაიეთის „ყაიყულის კაზას ... ყარს-არზრუმის მხარის სახელმწიფო საზღვარი კუთუს მხრიდან ქვევით მიემართება. შურაგელის საზღვრისკენ მიმავალი გზა აქვე იკვეთება“.⁵⁰⁹ ეს დოკუმენტური ჩვენება საყურადღებოა, რადგან კუთუს ქედით შექმნილი საზღვარი არფაჩაის (ახურიანის) ორივე საზღვართან გადჭიმული. ქაითის მთასთან თორელთა დაკავშირება⁵¹⁰ ამ ორონიმის ანის-შირაკის ჩრდილო-დასავლეთ საზღვრებთან ლოკალიზაციის საშუალებასაც იძლევა. ყოველ შემთხვევაში, აშკარაა, რომ სამცხე-საათაბაგოდან თბილისში თემურ-ლენგი ანისზე გავლით ჩადის და ეს უკანასკნელი საქართველოს, უკეთ, აღბულა ჯაყელის სამთავროს საზღვრებშია.⁵¹¹

* * *

ფარსადან გორგიჯანიძის „ისტორიის“ მიხედვით, ანისი ქართველებს 1400 წლის მახლობლად დაუკარგავთ. ეს ფრიად სანდო ისტორიკოსი შემდეგს გადმოგვცემს: „რა ჯემწიფის გამოლაშქრება აღინჯაში მყოფთ ქართველთ გაიგონეს, თავიანთ ნებით ციხე დაუცალეს და გელაქუნის ზღვის გარეშემო და ანისის ქალაქი და გარეშემო ციხეები დაუცალეს, აიყარნენ და საქართველოში წავიდნენ“.⁵¹² ავტორი თანადროულ ისტორიულ-გეოგრაფიულ ტერმინოლოგიას იყენებს და „საქართველოს“ ქართლს, აღმოსავლეთ საქართველოს უწოდებს.⁵¹³ სომხურ ანდერძ-მინაწერთა თანახმად, ანისის „აუღებელი სიმაგრე“ ლანგ-თემურის ურდოებს 1398 წლისთვის ჰქონიათ დაპყრობილი.⁵¹⁴ თოვმა მეწოფეცის „ისტორიაში“ მოხსენიებული ბაგრატუნთანა სიმაგრე თუ ანისია, მაშინ მისი აღება და „ძირიანად მოთხრა“ 1386/87 წლისთვის მომხდარა.⁵¹⁵ „დასაბრმავებელი თემურის“ მიერ ანი-ში-

რაკის რბევასა და „ოდესღაც დიდი ქალაქების“ ნგრევებზე ევლია ჩელებიც საუბრობს.⁵¹⁶ მისივე ცნობით, თემურ-ლენგის შემოსევებამდე შორაგელი ყარა-იუსუფს (1389-1400) ეპყრა.⁵¹⁷ უცხოურ და ქართულ წყაროთა ცნობების შეთანხმება იმგვარად შეიძლება, რომ ალინჯის კამპანიის დროს ქართველებმა უკვე დაკარგული ანისის ციხე და გელაქუნი დაიბრუნეს, მაგრამ მალევე დათმეს.


XV საუკუნის პირველ ნახევარში ალექსანდრე დიდმა (1412-1442) საქართველოს სამეფოს კვლავ შემოუერთა დაკარგული სომხურ-ალბანური მიწები, თუმცა მათ შორის წყაროები (ვახუშტი ბატონიშვილი, თოვმა მეწოფეცი) ანი-შირაკს არ ასახელებენ. ამასთანავე, არსებობს ერთი დოკუმენტი, რომლის საფუძველზე, თითქოს, უფრო სრულად შეიძლება აღვადგინოთ იმდროინდელი პოლიტიკური გეოგრაფია. ესაა დავით მეფის 1425 წლის შეწირულობის წიგნი, რომლის ძალით მცხეთის სვეტიცხოველს განუახლდა სამამულე მიწათმფლობელობა მარმარაშენის თავს – წყარომრავალსა და ვარდისუბანში.⁵¹⁸ სიგელი თუ ბეპირ და უსაფუძვლო შენათხზს არ წარმოადგენს,⁵¹⁹ მაშინ XV საუკუნის პირველ ნახევარში ანის-შირაკის ჩრდილოეთი ნაწილი მაინც საქართველოს სამეფოს შემადგენლობაში უნდა გვცნოთ.

საქართველოს პოლიტიკური რუკა ძალზე სწრაფად შეიცვალა. ცნობილია, რომ ალექსანდრე დიდის მეფობის ბოლოს საქართველოში კვლავ შინააშლილობა ჩამოვარდა და სამეფოს ჩამოცილდა არაქართული ტერიტორიები. თურქი და სომეხი ავტორების ჩვენებით, ამავე საუკუნის ბოლოსთვის შურაგელში თეთრბატკნიანები მბრძანებლობდნენ. პოლიტიკურ ცვლილებებს თან სდევდა მომთაბარე ელის მასობრივი ჩასახლება⁵²⁰ და ერთ დროს აყვავებული მხარის პასიურ საძოვრებად გადაქცევა.

1491 წელს ქართლის მეფემ კონსტანტინე II-მ შირაკავანსა და გელაქუნში ილაშქრა. მის მთავარ მიზანს თურქმანთაგან ლორეს განთავისუფლება წარმოადგენდა. ლორეს მეზობელ სომხურ პროვინციებში შეჭრა უფრო სტრატეგიული მოსაზრებებით იყო ნაკარნახევი და ქართველებიც მხოლოდ მათი მოთარეშებით დაკმაყოფილდნენ.⁵²¹

დომინაციის უკანასკნელი ფაზა

XVI საუკუნის დასაწყისში ახურიანის ხეობაში აკ კონილუს ნაცვლად სეფიანები გაბატონდნენ.⁵²² 1532-1555 წლების ომის დროს ოსმალებმა სასტიკად ააოხრეს ეს მხარე. 1553-1554 წლებში თურქები, წერს იბრაჰიმ ფეჩევი, „შურაგელად წოდებულ ადგილას დაბანაკდნენ. ეს არის კეთილნაშენი ქვეყანა, რომლის გარშემო სოფლები, ყანები და მთები მდებარეობს. ძღვევამოსილმა ლაშქარმა ეს ნაგებობანი გაავერანა და ააოხრა ისე, რომ კეთილნაშენობის კვალი აღარ დარჩენილა და გაცამტვერდა“.⁵²³ ცნობა ნათლად ასახავს ნგრევით გამოწვეულ ცვლილებებს ქვეყნის ეკონომიკურ გეოგრაფიაში. კატასტროფული შედეგები თვალნათლივ აისახა მრენზე: შუა საუკუნეებში წალკოტად ცნობილი მრენი, მომდევნო ხანაში, უწყლო და გაუდაბურებული, ჯოჯოხეთს უფრო წააგავდა, ვიდრე სამოთხეს.⁵²⁴



სურ. 42. საქართველოს რუკა XVIII ს. წიგნიდან – მუსხელიშვილი 2016

1639 წლის ბავით ანისის პროვინციის დასავლეთი ნაწილი ბარუმბეტის, მალასბერდის და შურაგელის ციხეებითურთ ოსმალეთმა დაისაკუთრა და ყარსის ვილაიეთს მიათვალა, ხოლო აღმოსავლეთი მხარე ირანს დარჩა და ერევნის სახანოში გაერთიანდა.⁵²⁵

დროდადრო სპარსეთის შაჰები შორაგელის ამა თუ იმ სოფელს „საჭმელ“-სამართავად რომელიმე ქართველ თავადს უბოძებდნენ. ასეთი „წყალობები“ ქართლის პოლიტიკურ რუკას არ ცვლიდა, მაგრამ გავლენას ახდენდა ეთნიკურ გეოგრაფიაზე: შორაგელის თათრის ელის ჩამოსახლებით თავადები მტრის თარეშისგან დაცლილ-აოხრებული მიწა-წყლის მოშენებას ცდილობდნენ (სურ. 42).⁵²⁶

ასე აღმოჩნდებოდა, ალბათ, ქართლის მეფის, ბაქარის, მონეტები (1717-1719 წწ.) ანისში.⁵²⁷ შესაძლებელია, ეს ნუმისმატიკური ძეგლე-



სურ. 43. მეფე ბაქარის მონეტა. სემ, ნუმისმატიკური კოლექცია

ბი არც ყოფილიყო ქართლისა და შირაკის პირდაპირი კავშირების შედეგი და ანისში ერევნის გავლით მოხვედრილიყო; იმ პერიოდში ერევანსა და ანისს შორის ურთიერთობები აქტიურდება, რასაც ერევნის სახანოში მოჭრილი მონეტების (XVIII საუკუნის პირველი ნახევარი) ანისში გამოჩენა მოწმობს (სურ. 43).⁵²⁸

* * *

სპარსეთ-ოსმალეთის 1730-1735 და 1743-1746 წლების ომებმა ანი-შირაკზე გამავალი გზების მნიშვნელობა გააძლიერა. ნადირ-შაჰს კარგად ჰქონდა გააზრებული აღმოსავლეთ საქართველოს მნიშვნელობა ყარსისთვის წარმოებულ ბრძოლებში. შემთხვევითი არ იყო, რომ არფაჩაის ნაპირებთან დაბანაკებულმა სპარსეთის მბრძანებელმა ქართლი თეიმურაზს უწყალობა, ხოლო კახეთი – ერეკლეს.⁵²⁹ ქართველ მეფეთა ერთგულებასთან ერთად, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა ქვემო ქართლის – ლორე-ტაშირის, ბამბაკისა და ყაზახის – გადაქცევას სამხედრო მოქმედებათა ბაზად: სპარსელები, თათრის ელემენტი (მეფის ნებართვითაც და თვითნებურადაც), თეიმურაზისა და ერეკლეს ჯარები ერთმანეთის მიყოლებით აოხრებდნენ ყარსსა და „ყარსის ციხის აქეთ ქვეყნებს“.⁵³⁰ მოალაფება – „მოიტანეს საქონელი ანუ ტყვე ფრიადი“ – სამეურნეო-ეკონომიკური ცხოვრების ერთ-ერთ მხარესაც წარმოადგენდა. მოთარეშების ძირითად ასპარეზს, ცხადია, ანის-შირაკის ქვეყნები, მალასბერდი, შურაგელი – ეს ორი დასახლებული არაა, მაგრამ იგულისხმება – და ზარიშატი წარმოადგენდა. გამანადგურებელ შედეგებზე პაპუნა ორბელიანი წერს: „ასე შეაშინეს ოსმალუს ქვეყანა, რომ თუ არ სიმაგრეთა და ციხეთა, სხვაგან ვერარ დადვიან ჯავახნი ანუ ყარსელნი“ (სურ. 44).⁵³¹

ქვემო ქართლიდან ყარსისკენ მიმავალ გზებს ლეკებიც აქტიურად იყენებდნენ. XVIII საუკუნის 50-იანი წლების დასაწყისში „გარდმოვიდა დიდრონი ჯარები დალისტნიდამ, მივიდნენ ქვეყანასა ბამბაკისასა, გატეხეს ციხეები... მოუხდნენ ყარსისა ქვეყანათა, წაახდინეს მრავალი ალაგი, ვერსად გამოუჩნდათ წინააღმდეგი“,⁵³² ან კიდევ „დაკრეს (ლეკებმა) ყარსის ქვეყანათა, მოიტანეს მრავალი საქონელი და ტყვე“.⁵³³

ამრიგად, სპეციფიკურ ისტორიულ პირობებში სამიმოსვლო გზებს ანის-შირაკის ქვეყნებისთვის აყვავების ნაცვლად აოხრება და გავერანება მიჰქონდა.

ქართლ-კახეთის მესვეურთათვის ანის-შირაკის გზებმა მეტი მნიშვნელობა შეიძინა XVIII საუკუნის 60-იანი წლებიდან, ერევნის სახანოში ქურთთა დასახლებისა და მათი აგრესიის გაძლიერების კვალდაკვალ.⁵³⁴ ქურთებთან კავშირში ქართველი მეფის მორჩილებიდან გამოსვლას ცდილობდა ჰუსეინ-ალი ხან ერევნელი, რომელიც ერეკლეს „თვლიდა ... ჩვენი ქვეყნის (ერევნის სახანოს – გ.ჭ.) დიდ მტრად“.⁵³⁵ 1765 წელს, ყაზახის მორბევის საპასუხოდ, ერეკლე II თბილისიდან ყაზახში, ხოლო იქიდან ყიფჩაღში (არტიკის მახლობლად, შორაგელში) გადავიდა და არაქსის ნაპირებისკენ დაიძრა.⁵³⁶ ხუთი წლის შემდეგ ქართლ-კახეთის მეფემ ქურთთა დასასჯელად ანისის ციხისკენ გაილაშქრა; არფაჩაის მარჯვენა სანაპიროდან



სურ. 44. მეფე თეიმურაზ II. საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმი



სურ. 45. მეფე ერეკლე II. სემ

ერეკლე II-მ გზა ერევნისკენ (ცხადია, თალინზე გავლით) და შარურისკენ გააგრძელა.⁵³⁷ 1780-იანი წლების დასაწყისში ერეკლეს ჯარი ერევანს ორი მხრიდან მიადგა.⁵³⁸ წყაროში მარშრუტი მითითებული არ არის, თუმცა ერთ-ერთი გზა, უეჭველია, შორაგელზე გადიოდა. ერევნიდან ქართლისკენ მომავალი საქარავნო გზების შორაგელზე გადმოტანის მცდელობაც⁵³⁹ მოხერხებული ბუნებრივი გარემოთი იქნებოდა ნაკარნახევი. XIX საუკუნის დასაწყისის რუსი სამხედროების ჩვენებით, ლორე-ტაშირიდან ერევნისკენ გასალაშქრებლად ოპტიმალურ მარშრუტს, გეოგრაფიული პირობების წყალობით, — მეტწილად უტყეო, სტეპური გარემო, წყლის საკმარისი რაოდენობა, მდინარეთა მეჩხერი ფონი — შურაგელი-თალინი-ეჩმიადინი წარმოადგენდა.⁵⁴⁰

* * *

XVIII საუკუნის ბოლოს შორაგელი, ანისის ქვეყნის აღმოსავლეთი ნაწილი, კვლავ ქართული სახელმწიფოს ორბიტაში მოექცა. ომან ხერხეულიძის თანახმად, 1780 წელს ერეკლე II-მ დაამარცხა გამდგარი ერევნის ხანი, რის შემდეგ „შორაგელის სულტანი ყარამან ... მოერთვა ყმად ყ(ოვლით)ა შორაგელის ხალხითა და მამულითა“.⁵⁴¹ „მეფობის“ თეიმურაზ ბაგრატიონისეული ვერსია კი უმატებს: „მოვიდა შორაგელისა ყარამან სულტანი, სთხოვა მეფესა ერეკლეს შეცოდებისა მითევება და აღუთქვა ფიცით, რათა საუკუნოდ არღარა იკადნიეროს ერევნის ხანისა მორჩილება ... არამედ როგორათაც შორაგალი მარადის საქართველოს მეფეთ ყმანი ყოფილან, ეგრეთ ემორჩილებოდეს მეფესა ერეკლეს... რადგანაც შორაგალი საქართველოს მამულია, დაიმკვიდრა მეფემან საუკუნოდ“.⁵⁴² არსებობს ცნობა, რომ ქართლ-კახეთის მეფეს შორაგელი ერევნის ხანისთვის დაუბრუნებია, მაგრამ შემდეგ განრისხებულა და კვლავ ჩამოურთმევია.⁵⁴³ ეს გადმოცემა, გარკვეულწილად, ხსნის იმ ფაქტს, რომ პოლკოვნიკ ბურნაშევის 1784 წლის რუკაზე შორაგელი ერევნის სახანოს საზღვრებშია ნაჩვენები.⁵⁴⁴ თუმცა, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ 1784 წლის მარტ-ივლისით დათარიღებულ მასალებში შორაგელი ერევნის სახანოსგან ცალკე მდგომ და ერეკლეს ხელდებულ ქვეყნად მოსჩანს (სურ. 45).⁵⁴⁵

იოანე ბაგრატიონის თანახმად, შორაგელში შემდეგი დასახლებული პუნქტები აღირიცხებოდა: სოფელი ანუ ობა 7, გუმრი, ყარაქელისია, არტიგი, ყიფჩალი, სონავერდი, გორუმი, ბაშქანთი, ლორქეჩანი, ჯილოვხანი, ყაფლი, ანისი.⁵⁴⁶ ტოპონიმების დიდი ნაწილის ლოკალიზაცია, ხუთვერსიანი რუკის მიხედვით, სავარაუდოდ, შესაძლებელია; ისინი გუმრის მიდამოებში, არფაჩაის მარცხენა სანაპიროს შემდინარე წყლების გამყოფი სიმაღლეების ჩრდილოეთით თავსდება.⁵⁴⁷ შესაბამისად, შორაგელის სასულთნო ანის-შირაკის მარცხენა სანაპიროს მხოლოდ ჩრდილოეთ ნაწილს მოიცავდა. ასეთივე დასკვნა გამომდინარეობს XIX საუკუნის 10-20-იანი წლების რუსეთ-სპარსეთის სამშვიდობო მოლაპარაკებათა ამსახველი მასალებიდანაც (იხ. ზემოთ). შესაბამისად, ქართლ-კახეთის სამეფოს სამხრეთი საზღვარი, შურაგელის სასულთნოს ინკორპორაციის შემ-

დეგ, იმავე ხაზზე უნდა გაივლოს.⁵⁴⁸ დაეჭვებას იწვევს იოანე ბატონიშვილის ჩამონათვალში ანისის დასახელება, რადგან ეს უკანასკნელი ოსმალეთის საზღვრებში შედიოდა: თურქეთ-სპარსეთის ორმა ომმა (1730-1735 და 1743-1746 წლები) და თანმდევმა სამშვიდობო ხელშეკრულებებმა დაადასტურა 1639 წლის ზუჰაბის ზავით დადგენილი საზღვრები,⁵⁴⁹ მათ შორის, მდ. არფაჩაის მონაკვეთზე.⁵⁵⁰ არსაიდან ჩანს, რომ მომდევნო ხანაში ერევნის სახანოს (სპარსეთს) ყარსის საფაშოსაგან (ოსმალეთისგან) ანისი წაეღოს და საზღვრები შეეცვალოს. ამიტომ, იოანე ბატონიშვილის ზემოთ მოტანილ ჩვენებაზე დაყრდნობით, XVIII საუკუნის მიწურულის ქართლ-კახეთის სამეფოს ტერიტორიებში არფაჩაის მარჯვენა სანაპირო ზოლის (ანისითურთ) შემოტანა,⁵⁵¹ ჩვენი აზრით, დამატებით არგუმენტაციას მოითხოვს.

* * *

გარკვეულ დრომდე შემოერთებულ შორაგელს ისევ სულთანი განაგებდა. ერეკლე II-ის მეფობაშივე, დაახლოებით 1788 წლის შემდგომ,⁵⁵² ის სამეფო-სამოურავო ქვეყნად იქცა. ცნობილი არიან შორაგელის მოურავები: ეშიკადასბაში აიდემურ ვაჩნაძე და ზაქარია ბებურიშვილი. მათ ეს თანამდებობა „საერთოთ წყალობად“ ეჭირათ და „შემოსავალიც საერთო იყო“. შორაგელის მოურავის სარგოს ოცი თუმანი შეადგენდა. ასეთი იყო ვითარება 1800 წლამდე.⁵⁵³

შორაგელის მინდორი და შორაგელის მთა სამეფო სათიბ-სადოვარ და სანადირო ადგილებში ირიცხებოდა.⁵⁵⁴ ის კვლავინდებურად პურეულის უმდიდრეს მხარედ ითვლებოდა,⁵⁵⁵ თუმცა პურის გადასახადი ფულით აიღებოდა. ერთი დოკუმენტის მიხედვით, იასაული შორაგელთ „სურსათის მაგიერ თეთრსა სთხოვდა, ხან ას თუმანს, ხან ორსა, ხან მეტსა და ხან ნაკლებსა“.⁵⁵⁶ შემორჩენილია გიორგი ბატონიშვილის 1790 წლის ბრძანება, რომელიც შორაგელის მოსახლეობისთვის ხვნა-თესვის საკითხებს აწესრიგებდა.⁵⁵⁷ შორაგელის ხვედრითი წილი ქართლ-კახეთის მემინდვრეობაში ჩანს ოფიციალური დოკუმენტაციიდან. 1783 წელს რუსეთის რეზიდენტი-სათვის მიწოდებულ ცნობაში „პრავიანტის რაოდენის შოვნის“ შესახებ განმარტებული ყოფილა, რომ „სომხით-საბარათაშვილოში შეიძლება პრავიანტი ორი ათას ათი ხარვარი. თივა და ბზე შეიძლება ორი ათას ათი ურემი. ფამბაკსა და ბორჩალუში შეიძლება პრავიანტი ათას სამას თოთხმეტი ხარვარი. თივა და ბზე შეიძლება ათას სამას თოთხმეტი ურემი. ყაზახში შეიძლება პრავიანტი სამიათას ოცდაათი ხარვარი. თივა და ბზე შეიძლება სამიათას ოცდაათი ურემი... შორაგალს შეიძლება პრავიანტი ორასი ხარვარი. თივა და ბზე შეიძლება ორასი ურემი.“⁵⁵⁸ როდესაც რუსეთის იმპერიაში აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობას განუახლდა სახელმწიფო პურის გადასახადი (1802 წ.), შორაგელს შესწერდა „კოდი ათას ხუთასი“, იგივე ოდენობა, რაც ბამბაკელ „ერთობით“ თათრებსა და სომხებს, ორჯერ ნაკლები – ვიდრე შამშადილს და ექვსჯერ ნაკლები, ვიდრე ყაზახს.⁵⁵⁹

შემოსავლის მომტანი ყოფილა საძოვრებიც; როდესაც თურქე-



სურ. 46. მეფე გიორგი XII. სემ

თიდან შორაგელს საბალახედ საქონელს მირეკდნენ, ასი თავი პირუტყვიდან ერთს ქართლ-კახეთის სამეფოს მოხელენი იღებდნენ გადასახადის სახით.⁵⁶⁰

შორაგელის შემოერთებას ეკონომიკურთან ერთად სტრატეგიული მნიშვნელობაც ქონდა: არფაჩაიზე გადიოდა ყარსისა და ერევნის დამაკავშირებელი გზები. ამიტომ ქართლ-კახეთის მეფეს საშუალება ეძლეოდა, ეკონტროლებინა სამხედრო თუ ეკონომიკური კომუნიკაციები, გადაეკეტა სასიცოცხლოდ აუცილებელი არტერიები (პურიით დატვირთული ქარავნების მოძრაობა ყარსიდან სპარსეთის პროვინციებისკენ),⁵⁶¹ ეკონომიკური კავშირები (პურისა და მარილის ექსპორტ-იმპორტი), მეტი ეფექტურობით, ყარსის საფაშოდან ქართლ-კახეთის სამეფოსკენ მიემართა.⁵⁶² გარდა ამისა, ქართლ-კახეთის სამეფო უშუალოდ უმეზობლდებოდა ყარსის საფაშოს (იზრდებოდა საზღვარი ოსმალეთთან) და ღრმად იჭრებოდა ერევნის სახანოს ზურგში; ამით ბაგრატიონებს საშუალება ეძლეოდათ, მუდმივი შიშის ქვეშ ჰყოლოდათ არცთუ ერთგული ერევნის ხანი, თვალი ედევნებინათ მეზობელ საფაშოებსა და სახანოებში მიმდინარე მოვლენებისთვის, დროული რეაგირება მოეხდინათ მოსალოდნელ საფრთხეებზე, აგრეთვე, აღეკვეთათ მეზობელ საფაშოებში დაბანაკებულ მომთაბარე ქურთებისა თუ თურქმანების თარეში სამეფოს საზღვრებში თუ მოხარკე ქვეყნებში, გაეკონტროლებინათ ქვეშევრდომი ელების გადაადგილება ოსმალეთისკენ, შეექმნათ მოხერხებული სამხედრო ბაზა, შეევსოთ სამეფო ლაშქარი ადგილობრივი მოსახლეობისგან. ამრიგად, შორაგელი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა საზღვრების დაცვასა და ქვეყნის უსაფრთხოებაში.⁵⁶³

ქართლ-კახეთის სამეფოს თავდაცვითუნარიანობის განსამტკიცებლად, იგეგმებოდა ახურიანის მარჯვენა სანაპიროზე განლაგებული ციხეების – ბაშ-შორაგელის, უზუნ-ქილისისა და ყიზილ-ჩახჩახის – აღება (ფაქტობრივად, მთელი ჩრდილოეთ შურაგელის, ძველი შირაკოვანის, დაკავება), მაგრამ ოსმალეთისა და განსაკუთრებით, რუსეთის რიდით ეს გეგმა განუხორციელებელი დარჩა.⁵⁶⁴

XVIII საუკუნის მიწურულს ერევნელი მოჭამედ-ხანი (1784-1804), დიპლომატიური მოლაპარაკებებითა თუ საბრძოლო მოქმედებებით, შეეცადა შორაგელის დაბრუნებას⁵⁶⁵ და მიაღწია კიდევ მიზანს – რუსი სამხედრო მოხელეების მიმოწერიდან ირკვევა, რომ ქართლ-კახეთის სამეფომ შორაგელი გიორგი XII-ის მეფობაშივე (დაახლ. 1800 წლის შემოდგომა-ზამთარი) დაკარგა,⁵⁶⁶ რაშიც ბრალი მეფის სიმამრს, გიორგი ციციშვილს ედებოდა.⁵⁶⁷ შორაგელის დაუფლებისთანავე ერევნის ხანმა პრეტენზიები ბამბაკზე განაცხადა⁵⁶⁸ და შორაგელში დაბანაკებული ჯარების საშუალებით ბამბაკელი თათრის ელების გადაბირება დაიწყო.⁵⁶⁹ როგორც ვხედავთ, შორაგელის მფლობელობა დემოგრაფიულ პროცესებზეც ახდენდა გავლენას (სურ. 46).

* * *

1805 წელს რუსეთის ჯარებმა დაიკავეს შორაგელი;⁵⁷⁰ „ამიერიდან და სამუდამოდ“ ეს მხარე საქართველოს შეუერთდა.⁵⁷¹ შორაგელში აღ-

დგა მოურავობაც: მას ხან საკუთარი, ხან ბამბაკის მოურავი განაგებდა.⁵⁷²

ყოფილი ქართლ-კახეთის სამეფოს ტერიტორიულ მთლიანობაზე ზრუნვით რუსეთის იმპერია, ცხადია, საკუთარ გეოპოლიტიკურ ინტერესებს იცავდა; როდესაც გულისტანის ზავის (1813 წ.) შემდეგ იმპერიის უმაღლეს ეშელონებში მსჯელობდნენ, თუ რა ტერიტორიების დათმობა შეიძლებოდა შაჰისთვის, გენერალი ერმოლოვი აღნიშნავდა: მოსახლეობისგან დაკლილი და სრულიად დაუცველი შორაგელის სპარსეთისთვის გადაცემა დიდი დანაკლისი არ იქნებოდა; მაგრამ ეს ქვეყანა „не в последнюю приобретена войну, а есть древнее достояние Грузии. Государь Российский не разрушить состава земли, прибегшей под сильную Его защиту.“⁵⁷³

ამრიგად, საქართველოსთვის შორაგელის შემოერთებით რუსეთმა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პლაცდარმი მოიპოვა მახლობელ აღმოსავლეთში საკუთარი ინტერესების გასატარებლად.

რუსეთ-სპარსეთის (1804-1813 წწ.) და რუსეთ-თურქეთის (1806-1812 წწ.) ომებისას გამოიკვეთა გუმრის სტრატეგიული მნიშვნელობაც: ყარსიდან და ერევნიდან მომავალი გზების შესაყარზე მდებარე ეს პუნქტი უმთავრეს საფარს წარმოადგენდა კავკასიის ცენტრისკენ – თბილისისკენ – მიმავალ უმოკლეს გზაზე და რუსეთის ხელისუფლებამ მის საგანგებო გამაგრებაზეც დროულად იწყო ფიქრი.⁵⁷⁴ სულ მალე გუმრი ყარსის საპირწონე სიმაგრედ და რუსეთ-თურქეთის საზღვარზე იმპერიის უმთავრეს ბასტიონად გადაიქცა (სურ. 47).⁵⁷⁵



სურ. 47. საქართველოს მთავარსარდალი პავლე ციციანოვი

სურ. 48. ალექსანდროპოლი. სემ, ფოტოარქივი. დ. ერმაკოვის ფოტოკოლექცია





სურ. 49. სტელა დავით კურაპალატის გამოსახულებით ოშკის ეკლესიიდან. ერზერუმის მუზეუმი

სურ. 50. მეფე დავით IV აღმაშენებლის ანდერძი. სემ, ფოტოთეკა

რუსული ხელისუფლება გუმრის ეკონომიკურ დაწინაურებაზეც ზრუნავდა: უკვე XIX საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისისათვის იქ მოქმედებდა ალზევის მარილზე მიმავალი ურმების სადგური; საამისო სპეციალური მოხელეც არსებობდა – ქარავან-ბაში.⁵⁷⁶ სამხედრო-ეკონომიკური ინტერესების რეალიზაციისათვის რუსი მოხელეები ხელს უწყობდნენ სპარსეთისა და თურქეთის იმპერიებიდან სომხური მოსახლეობის შურაგელში გადმოსახლებას (სურ. 48).⁵⁷⁷

1840 წელს შორაგელი, აბოცთან და ბამბაკთან ერთად, ალექსანდროპოლის მაზრად გარდაიქმნა და 1849 წელს ერევნის გუბერნიაში შევიდა.⁵⁷⁸ ამით დასრულდა ანის-შირაკისა და მისი ცალკეული ქვეყნების საქართველოს სახელმწიფო თუ ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებობის ისტორიაც.

სამკლესიო და ეთნიკური გეოგრაფია

ქართული ეკლესიის დაფუძნება

ანისში ქართველთა მფლობელობის ხასიათის გასარკვევად საეკლესიო გეოგრაფიის შესწავლა ფრიად მნიშვნელოვანია. ცნობილია, რომ განვითარებულ და გვიან შუა საუკუნეებში ჩრდილოეთ სომხეთში, სულ მცირე, სამი ქართული საეპისკოპოსო – ანისისა, კარისა, ვალაშკერტისა – მოქმედებდა.⁵⁷⁹ მართალია, ახალი ეპარქიების შექმნა უშუალოდ საქართველოს სამეფოში სომხური ტერიტორიების ინკორპორაციასთანაა დაკავშირებული,⁵⁸⁰ მაგრამ მცხეთის საკათალიკოსოს საზღვრების გაფართოებას თავისი წანამძღვრებიც ჰქონდა.

ქართლის ეკლესიის გავლენა მეზობელ სომხეთზე ადრე შუა საუკუნეებიდანვე შეიმჩნევა,⁵⁸¹ ათასწლეულის მიწურულს კი განსაკუთრებული სიცხადით ვლინდება როგორც კულტურულ, ისე პოლიტიკურ ცხოვრებაში.⁵⁸² მცხეთის საკათალიკოსოს ავტორიტეტი სომხეთში დიოფიზიტობის მომხლავრებასთან ერთად იზრდებოდა.⁵⁸³ ქართული გავლენა ანის-შირაკში აშკარაა X საუკუნის შუახანებისთვის, როდესაც არგნიში (ანისის მახლობლად, სადაც X საუკუნის ბოლოს კათალიკოსის სასახლე და უმთავრესი საკათედრო ტაძარი მდებარეობდა⁵⁸⁴) ახლად აღსაყდრებულმა სომეხთა კათალიკოსმა ვაჰან სივნიეციმ (968-969) სარწმუნოებრივი კავშირი შეკრა ქართველებთან, იქიდან ხატები შემოიტანა, დიდი ალბათობით, საპატრიარქო ტაძარში საკურთხეველი მორთო, და ბრძანა, ჰრომთა წესისამებრ ხატებისთვის ეცათ თაყვანი სხვა ეკლესია-მონასტრებშიც.⁵⁸⁵ არ აქვს მნიშვნელობა, სომეხთა მწყემსმთავარს დიოფიზიტური სიმპათიები სივნიეთიდან მოჰყვა მხოლოდ⁵⁸⁶ თუ ყოველივე ამან შირაკშიც ჰპოვა დასაყრდენი; ერთ კონტექსტად შეკრული ეს და სხვა მსგავსი ეპიზოდები ანის-შირაკის მეზობელი მხარეებიდან (კარი, ლორე-ტაშირი, სივნიეთი) კარგად წარმოაჩენს ქართული ეკლესიის პოზიციების განმტკიცების ტენდენციას სომეხ ბაგრატუნთა სამფლობელოებში.⁵⁸⁷

ნიშნავდა თუ არა ეს წარმატება მცხეთის საყდრის იურისდიქ-

ციის გავრცელებასაც ანის-შირაკზე? საკითხის დასმა, ვფიქრობთ, საფუძველს მოკლებული არაა – XI საუკუნის საქართველოს მესვეურნი, სარწმუნოებრივ-სახელმწიფოებრივი უპირატესობის გრძნობით გამსჭვალულნი, მონოფიზიტური ტაძრების მფარველობასაც კი იჩემებდნენ,⁵⁸⁸ სომხური ელიტისთვის ქედის მოხრას და მშობლიური ეკლესიის წიაღში შემოყვანას ცდილობდნენ.⁵⁸⁹ ამ პროცესში მთავარ დასაყრდენს სომეხი დიოფიზიტები წარმოადგენდნენ; ისინი „ასწავიდნენ“ ქართველებს „პატმოთანას“ და „აღჭურვიდნენ“ „მათ ბრძოლად სარწმუნოებისა ჩუჭნისა“;⁵⁹⁰ ანუ მონოფიზიტობის წინააღმდეგ (სურ. 49).⁵⁹¹

უფრო მეტი ალბათობით შეგვიძლია ვისაუბროთ ანისში ქართული ეკლესიის დაფუძნების შესაძლებლობაზე XI-XII საუკუნეებში, როდესაც სომხეთმა ქართულ სახელმწიფოში იწყო შემოსვლა. პოლიტიკური ბატონობის ყოველ ეტაპზე (1045 წ., 1124-1126 წწ., 1160-70-იანი წწ.) ბაგრატუნთა დედაქალაქში ქართველი მეციხოვნენი დგებოდნენ: ბაგრატ IV-მ ახლადშემოერთებულ ანისში ოთხი დიდებული აზნაური დატოვა, რაც არცთუ მცირერიცხოვან მოლაშქრეთა და მეციხოვნეთა დამკვიდრებას გულისხმობს;⁵⁹² 1161 წლის სამხედრო კამპანიის შემდეგ გიორგი III-მ ქალაქში ორი ათასი რჩეული მეზრძოლი ჩააყენა.⁵⁹³ საუკეთესო ქართველი მეომრები იცავდნენ ანისს დავით აღმაშენებლისა და დემეტრე I-ის ზეობაშიც.⁵⁹⁴ სომხურ თუ სომხურ-ისლამურ გარემოში, ერთმორწმუნე ბერძნებისა და ურწმუნო სელჩუკების პირისპირ მდგარ ქართველ მხედრობას, ცხადია, სულისა და ხორცის ხსნაზე უნდა ებრუნა; მათ ესაჭიროებოდათ ეკლესია, სადაც წირვა-ლოცვა აღესრულებოდა არა ბერძნულად ან სომხურად, არამედ ქართულ ენაზე, ქართული საეკლესიო ტრადიციის შესაბამისად. შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოს მხედრობა და ეკლესია ერთად იჭრებოდნენ უცხო ეთნოკულტურულ გარემოში.⁵⁹⁵ ქართული და, მასთან ერთად, სომხურ-დიოფიზიტური თემები საქართველოს ეკლესიის მრევლს ქმნიდა.

ქართველთა დამკვიდრების ამ ადრეულ ეტაპს უნდა უკავშირდებოდეს ე.წ. ქართველთა ეკლესიის აღმართვა ანისში. მისი აგების თარიღი სამეცნიერო ლიტერატურაში X-XIII საუკუნეთა შორის მერყეობს.⁵⁹⁶ ქტიტორები თუ მართლაც ბაგრატ IV და დედოფალი მარია-მი იყვნენ,⁵⁹⁷ მაშინ საეკლესიო-სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით მეტად საგულისხმო მოვლენას დავადასტურებდით: სომეხ ბაგრატუნთა დედაქალაქში ქართული ეკლესიის დაარსება წინ უსწრებდა ბერძნულისას.⁵⁹⁸

XII-XIII საუკუნეთა მიჯნაზე საქართველოს სამეფომ დაასრულა ჩრდილოეთი სომხეთის შემომტკიცების პროცესი. საქართველოს ეკლესიამაც ანისში მყარად მოიკიდა ფეხი. ეს მნიშვნელოვანი ტეხილი სიმბოლურად წმ. გრიგოლის ეკლესიის ინტერიერის ფერწერაში გამოიხატა. მოხატულობის პროგრამაში აღბეჭდილ იდეურ-პოლიტიკურ საზრისთან დაკავშირებით ისაა აღსანიშნავი, რომ მხატვრობის მოტივი სრულად ეხმიანება ძველქართულ პოლემიკურ მწერლობაში (ეფთვიმე გძელი, არსენ საფარელი, „თავნი სომეხთა წვალებისანი ოცდაათნი“) გამოთქმულ იდეას გზას აცდენილი სომე-





სურ. 51. ბეთანიის მონასტრის მთავარი ეკლესია, უფლისწულ გიორგი-ლაშას გამოსახულება

ხი ერის კათოლიკე ეკლესიასთან და ოთხ მსოფლიო საპატრიარქოსთან ხელახალი შეერთების შესახებ საქართველოს ეკლესიის წიაღში შემოსვლის გზით (სურ. 50).

საქართველოს სამეფოს მესვეურებმა ანისის საეკლესიო მოწყობაზე იწყეს ფიქრი. ცნობილია, რომ „პოლიტიკურად რთულ რეგიონებში ქართლის კათალიკოსები ... თავად იერთებდნენ ადგილობრივ ეპისკოპოსთა ფუნქციებს.“⁵⁹⁹ გარკვეულ ეტაპზე ანისი რომ საკათალიკოსო ოლქს წარმოადგენდა,⁶⁰⁰ დოკუმენტურადაც მტკიცდება. 1218 წელს ანისში კათალიკოს-პატრიარქი ეტიფანე (1210-1220) ჩაბრძანდა. მან ტაძრები აკურთხა და განაჩენი გამოიტანა ანისის მართლმადიდებელ მოსახლეობასა და ანელ ხუცესთა შორის ატეხილი დავის გამო.⁶⁰¹ მის ოცსტრიქონიან განჩინებას სომხეთის ეკლესიის ადგილობრივი ეპისკოპოსის გრიგოლის, აგრეთვე ქალაქის ამირას, ვაჭრამის სომხურ ენაზე შესრულებული დამტკიცებაც ერთვის; სამაგიეროდ, არსად ჩანს ქართველი მღვდელმთავარი – ის არც ეკლესიების კურთხევაში იღებს მონაწილეობას, არც ბერისა და ერის დაპირისპირებას აგვარებს, არც კათალიკოსის გადაწყვეტილებას ურთავს ხელს. დიდი ალბათობით, XIII საუკუნის დასაწყისში ანისში ქართველი ეპისკოპოსი ჯერ კიდევ არ იჯდა და ეს მხარე უშუალოდ მცხეთის საყდარს ეკუთვნოდა (სურ. 51).⁶⁰²

შირაკში კათალიკოს-პატრიარქთა სამამულე მფლობელობა ანისის ეპარქიის შექმნის შემდეგაც დასტურდება. 1592 წლის გუჯარში ჩამოთვლილია სვეტიცხოვლის კუთვნილი შემდეგი სოფლები: „მარმაშენის თავს სოფელი წყარომრავალი და წინუბანი, სოფელი ფუქემარგი და სოფელი ველთა, სოფელი მთავარანგელოზისა“.⁶⁰³ დამოწმებულ ტოპონიმთა ზუსტი ლოკალიზაცია არ ხერხდება; ცნობილია მხოლოდ მარმაშენის/მარმარაშენის მდებარეობა, გიუმრიდან ჩრდილო-დასავლეთით 10 კმ. დაშორებით. ამის მიხედვით, დოკუმენტში დასახელებული სხვა დასახლებული პუნქტებიც შირაკის ჩრდილოეთით უნდა ვივარაუდოთ. 1425 წელს მეფე დავითმა მცხეთის ტახტს განუახლა სხვადასხვა შეწირულობანი, მათ შორის – მარმაშენის თავს წყარომრავალი და ვარდისუბანი.⁶⁰⁴

ანისის ქართული საეპისკოპოსოს დაარსება სომეხთა ყოფილ სატახტო ქალაქში, სავარაუდოდ, კათალიკოს-პატრიარქ ეტიფანეს ვიზიტისას გადაწყდა. ახლად შემოერთებული ტერიტორიების ეპარქიული მოწყობა, ერთი მხრივ, საქართველოს ეკლესიის (resp. სახელმწიფოს) ინტერესებიდან გამომდინარეობდა (დიოფიზიტური მრევლის გაძლიერება),⁶⁰⁵ მეორე მხრივ, კი, მხარგრძელთა ამბიციებს აკმაყოფილებდა (საკუთარი ეპისკოპოსის ყოლა). ჩვენთვის ცნობილი პირველი და, ჯერჯერობით ერთადერთი, ანელი მწყემსმთავარია დავითი (David Episcopo de Hanii),⁶⁰⁶ რომელიც რუსუდანი-სა (1222-1245) და ივანე მხარგრძელის რომის პაპისადმი გაგზავნილ ეპისტოლეებში იხსენიება.⁶⁰⁷ საპასუხო წერილები 1224 წლის მაისით თარიღდება. ამის მიხედვით, ანისის ქართული ეპარქია 1218-1223/24 წლებს შორის უნდა დაარსებულიყო (სურ. 52).⁶⁰⁸

საეპისკოპოსო კათედრის შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა: მას ხან კათედრალთან,⁶⁰⁹ ხან წმ. გრიგოლის ეკლესიასთან,⁶¹⁰ ხან კიდევ



სურ. 52. იენაშის სახარების ყდის მოჭედილობა, კათოლიკოს-პატრიარქი ეტიფანე ცხოველმყოფელი სვეტის წინაშე. სემ, სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი

ე.წ. ქართველთა ეკლესიასთან აიგივებენ.⁶¹¹ ამ უკანასკნელის სასარგებლოდ მდებარეობა (ლომის კარიბჭესთან, მთავარი გზის სიახლოვეს) და მასზე ამოკვეთილი უმნიშვნელოვანესი ლაპიდარული წარწერები (ქართულის სომხურზე დომინირების დემონსტრირებით) შეიძლება მეტყველებდეს. ტოპოგრაფიასა და ეპიგრაფიკასთან ერთად, ეკლესიაში აღსრულებული ღვთისმსახურების ენაც ქალაქის მკვიდრებსა თუ სტუმრებს შეახსენებდა სომეხ საეკლესიო მამათაგან ნაწინასწარმეტყველებ „აღმობრწყინებას“ ჩრდილოეთის მთავრისა (ე.ი. ქართველ ბაგრატიონთა) და სომეხთა მოახლოებულ აღორძინებას „სულითა ღუთისათა“.⁶¹² საინტერესოა ქართველთა ეკლესიის ფორმებიც: ძველი მცირე ზომისაა⁶¹³ და შედარებით მოკრძალებულად გამოიყურება სხვა ტაძრებთან, განსაკუთრებით კი, ქალაქის კათედრალთან შედარებით; მისგანაც საკმაოდ დაშორებულია. უნდა ვიფიქროთ, რომ საქართველოს მესვეურნი ანგარიშს უწევდნენ ანისის მოსახლეობის რელიგიურ განწყობას და თავს არიდებდნენ კონფლიქტს სომხურ ეკლესიასთან.

ანელი ეპისკოპოსის სამწყსოს საზღვრები „სამცხე-საათაბაგოს მღვდელმთავართა და მწყემსთა ნუსხითა“ განსაზღვრული – „სულა


ზარიშტიანი და შირაკიანი და ბარას-ბერეთი“.⁶¹⁴ სამივე ქვეყნის მდებარეობა ჩვენთვის უკვე ცნობილია.⁶¹⁵ ამრიგად, ანისის სამწყსო მოიცავდა შირაკის ოლქს, ახურიანის ხეობაში და ზარიშატს, ჯარჯის ანუ ჩილდირის წყალზე.⁶¹⁶ დასავლეთიდან მას მდ. ყარსისა და მდ. არფას წყალგამყოფი მთები კარის საეპისკოპოსოსგან გამოჰყოფდა, ჩრდილო-დასავლეთიდან ჩილდირის ქვაბური (სადაც ეს უკანასკნელი ყარსის ზეგანს უერთდება) – წყაროსთავის ეპარქიისგან; ჩრდილოეთით, შირაკის ქედს გადალმა აბოცი მდებარეობდა, სადაც მცხეთის სვეტიცხოველს საკათალიკოსო მამულები ჰქონდა; ჩრდილო-აღმოსავლეთიდან ბამბაკის ქედი ანისის ეპარქიას ჰიუნევანის (ძელი ჭემმარიტის) სამწყსოსგან მიჯნავდა; XIII საუკუნის ბოლოს ჰიუნევანის კათედრა მოიშალა და სამწყსოს ცენტრმა ახტალაში გადაინაცვლა.⁶¹⁷ გამოთქმულია ვარაუდი, რომ გარკვეულ დროს ჰიუნევან-ძელი ჭემმარიტის სამწყსოს ნაწილზე მეზობელი ანელის იურისდიქცია უნდა გავრცელებულიყო.⁶¹⁸

ეპარქიის სამხრეთი საზღვრები, სავარაუდოდ, არაქსამდე აღწევდა და არშარუნიქის ნაწილსაც (ამ ოლქის დასავლეთ ნაწილს, კალბევანს, კარელი მწყემსდა), ანუ ქუეყანა ანისისას სამხრეთ პერიფერიებსაც მოიცავდა.

ანის-შირაკის აღმოსავლეთით (ამბერდის პროვინცია) და სამხრეთით (სურბმარი/სურმანი) საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საეპისკოპოსოები წერილობითი წყაროებით არ ჩანს; თუმცა ლაპიდარული წარწერები⁶¹⁹ ანისის აღმოსავლეთით (კოში, თეჟარუიქი) ქართული მონასტრების, შესაბამისად, საქართველოს საეკლესიო წეს-წყობილების, არსებობას ადასტურებს.

აღსანიშნავია, რომ ანისის ქართული საეპისკოპოსო ერთ რომელიმე სენიორიას არ ფარავდა და მისი ტერიტორიები რამდენიმე ფეოდალურ სახლს ეპყრა.

მკვლევართა ნაწილი ვარაუდობს, რომ ანელი მამამთავარი „დიდი სომხეთის მიტროპოლიტადაც“ იწოდებოდა; ის მწყემსდა საქართველოს ეკლესიის წიაღში შემავალ სომხურ-დიოფიზიტურ ფრთას, რომელიც გარკვეული ავტონომიით სარგებლობდა.⁶²⁰ აღნიშნული მოსაზრება ეყრდნობა XIII საუკუნის შუახანებით დათარიღებულ ქართული სამართლის ძეგლს „კურთხევა მირონისა და განგება დარბაზობისა“.⁶²¹ წყაროში კათოლიკოსისა და ჭყონდიდელის შემდეგ დასახელებული მღვდელმთავარი Ad-560 ხელნაწერში იხსენიება როგორც „დიდისა სომხეთისა მიტროპოლიტი“, ხოლო S-352 ხელნაწერში – „სომხეთისა მიტროპოლიტი“.⁶²² შედარებით გვიანდელ ხელნაწერებში (S-1492, 1612) გვხვდება „დიდი სომხეთისა მიტროპოლიტი“.⁶²³ მეფე ერეკლე II-ის და კათოლიკოს ანტონ I-ის 1748 წლის განჩინებაში „დიდის სომხეთის მიტროპოლიტი“ და „სომხეთის მიტროპოლიტი“ თანაფარდი ტერმინებია.⁶²⁴ სომხეთის მიტროპოლიტს ვახუშტი ბატონიშვილიც იხსენიებს; ეს იერარქი ქვემო ქართლის მწყემსმთავარია, ახტალელი ეპისკოპოსი.⁶²⁵ ახტალელი სტრატეგიულად მნიშვნელოვან და ვრცელ ეპარქიას მწყემსდა; ამიტომ მისი მიტროპოლიტობაც და დარბაზობისას მესამე ადგილზე „ნატითა და ბალიშითა“ „ჯდომაც“ სავსებით გასაგებია.⁶²⁶ ეპითეტი



სურ. 53. კურთხევა მირონისა. ხეგ, Ad-560

„დიდი“ სწორედ იერარქს ეკუთვნის და არა ქვეყანას (სურ. 53).⁶²⁷

„დიდი სომხეთის“ „დიდ სომხეთად“ (არმენიად) გააზრების წინააღმდეგ სხვა ისტორიულ-გეოგრაფიული მოსაზრებებიც მეტყველებს: ჩრდილოეთ სომხეთის (დიდი არმენიის) სამივე მამამთავარი – ვალაშკერტელი, ანელი, კარელი – „განგების“ მიხედვით, ლიხთამერის მღვდელმთავართა ბოლო ათეულშია დასახელებული; ანუ დიდი არმენიისთვის სიის დასაწყისში ადგილი აღარ რჩება. სამწუხაროდ, ჩვენთვის საინტერესო წყაროს მოღწეული ხელნაწერები ანისის ეპისკოპოსის რიგს საქართველოს ეკლესიის იერარქიაში ერთმნიშვნელოვნად არ განსაზღვრავს⁶²⁸ – ანისის მღვდელმთავარი ხან ოცდამეშვიდე ადგილზეა, ხან – ოცდამეცხრეზე, ხან კი სულაც აშეიბება მიწერილი.⁶²⁹ ამგვარი გაურკვევლობის მიუხედავად, „სომხეთის მიტროპოლიტის“ ანელობას შემდეგი გარემოებაც არ ეთანხმება: „სამცხე-საათაბაგოს მღვდელმთავართა ნუსხაში“, სადაც მესხეთის ეპისკოპოსები ზუსტად ისეთივე თანმიმდევრობით არიან ჩამოთვლილნი, როგორც ძეგლში „კურთხევა მირონისა“, ანელს ცამეტ მწყემსმთავარს შორის მხოლოდ მეათე ადგილი აქვს მიკუთვნილი (ვალაშკერტელს და კარელს შორის). ძნელი წარმოსადგენია, რომ სამცხე-საათაბაგოს საეკლესიო იერარქიაში ცვლი-

ლება მხოლოდ ანელს შეხებოდა და ისიც ამგვარი რადიკალური სახით.⁶³⁰ დასასრულს დავძენ, რომ საქართველოს სამოციქულო ეკლესიის შიგნით არანაირი ავტონომიები არ არსებობდა.

საეკლესიო გეოგრაფიის სამი მოდელი

სომხური საეკლესიო დანაწილებით, შირაკი არშარუნიქის საეპისკოპოსოში შედიოდა.⁶³¹ წყაროებში ბაგრევანდისა და არშარუნიქის ეპისკოპოსი IV საუკუნის 60-იანი წლების ამბების გადმოცემისას იხსენიება.⁶³² VI საუკუნის შუახანებამდე ეს ორი ოლქი ქმნიდა ერთ ეპარქიას, რომლის მღვდელმთავარი ხან ბაგრევანდის, ხან არშარუნიქის ეპისკოპოსად იწოდება; დაახლოებით 555 წლისთვის არშარუნიქი დამოუკიდებელი სამწყსოა.⁶³³ სომხური წეს-წყობილებით, თითოეული საეპისკოპოსო გარკვეულ სანახარაროს შეესაბამებოდა. ამ ტრადიციით, არშარუნიქის ეპისკოპოსი მწყემსდა კამსარაკანთა სანახარაროს,⁶³⁴ რომლის მეთაურს შირაკისა და არშარუნიქის გავარის იშხანი⁶³⁵ / შირაკისა და არშარუნიქის უფალი,⁶³⁶ არშარუნიქის ნაჰაპეტი⁶³⁷ / არშარუნიქის იშხანი⁶³⁸ / არშარუნიქის უფალი,⁶³⁹ ან შირაკის უფალი⁶⁴⁰ ეწოდებოდა. საერო სენიორისგან განსხვავებით, საეკლესიო ხელისუფლის ტიტულატურაში „შირაკი“ არ გვხვდება; თითქმის ხუთასი წლის განმავლობაში წყაროებით დადასტურებული გვაქვს არშარუნიქის ეპისკოპოსი ან არშარუნიქის ქორეპისკოპოსი.⁶⁴¹ მხოლოდ XI საუკუნის მიწურულის ამბების თხრობისას სომხურ მათიანებში გვხვდება შირაკის მთავარეპისკოპოსი.⁶⁴² ერთ-ერთ ძველ ჰაისმავურქში 1072 წლის ქვეშ ასეთ ჩანაწერსაც ვხვდებით: კათალიკოსი გრიგორისი აღმოსავლეთში მობრძანდა და დალოცა ანისისა და შირაკის არქიეპისკოპოსი ბარსელი.⁶⁴³ ფიქრობენ, რომ ეს სომხური ეპარქია XI საუკუნის 70-იანი წლებისთვის ანისისა და შირაკის საეპისკოპოსოდ იწოდებოდა.⁶⁴⁴ XII საუკუნისათვის ძალზე მწირი მონაცემები გვაქვს. ჩვენს ხელთ არსებულ ორიოდ შემთხვევაშიც ანის-შირაკის ეპისკოპოსთა წოდებულებაში შირაკის მთავარეპისკოპოსობა ან „ჩვენი ნაჰანგის“ მამამთავრობაა ხაზგასმული; ანისი კი არ ჩანს.⁶⁴⁵ არაა გამორიცხული, რომ ანისის არქიეპისკოპოსობა ბარსელის ტიტულატურაში XIII საუკუნის რედაქციის ანარეკლს წარმოადგენდეს, რადგან მონოფიზიტი მღვდელმთავრები ანისის ეპისკოპოსად XIII საუკუნის დასაწყისიდან იწოდებიან.⁶⁴⁶ „ანისის ტახტის გამგებელს“⁶⁴⁷ / „ანისის ტახტის მპყრობელს“⁶⁴⁸ თანამედროვენიც და შთამომავალნიც „ანისის დიდი ეპისკოპოსის“ ან „ანისის არქიეპისკოპოსის“ პატივითაც ამკობდნენ.⁶⁴⁹ ეპიგრაფიკულ ძეგლებში გვხვდება უფრო სრული ტიტულატურაც: „დედაქალაქ ანისის ზედამდგომელი/ეპისკოპოსი“,⁶⁵⁰ „დედაქალაქ ანისის წინამძღვარი“,⁶⁵¹ „დედაქალაქ ანისის არქიეპისკოპოსი“,⁶⁵² „დედაქალაქ ანისისა და შირაკის ნაჰანგის არქიეპისკოპოსი“,⁶⁵³ ან „დედაქალაქ ანისის ტახტის მპყრობელი და ამ ნაჰანგის არქიეპისკოპოსი“.⁶⁵⁴ „ანისის ეპისკოპოსის“ წოდებულება დადასტურებული გვაქვს XIV-XV საუკუნეების ანდერძ-მინაწერებშიც.⁶⁵⁵

XIII საუკუნეშიც ანელ მღვდელმთავართა იურისდიქცია, წარ-

წერა-საბუთების მიხედვით, შირაქსა და არშარუნიქს წვდებოდა. ეპარქიის საზღვრები, კონსერვატულობის მიუხედავად, დროთა განმავლობაში იცვლებოდა. ჰორომოსის მონასტრის წმ. გიორგის ეკლესიაში შესრულებული ეპიგრაფიკული ძეგლებიდან ცნობილია XI საუკუნის დასაწყისის სასულიერო მოღვაწე ანანია, არშარუნიქის, ჭაკატქისა და აირარატის ეპისკოპოსი,⁶⁵⁶ ხოლო ჰოვჰანავანქის მონასტერში დაცულ ჯვარზე ამოტიფრული 1311 წლის წარწერიდან ცნობილი ხდება, რომ ამ სავანის წინამძღვარი ვასილი შირაკისა და სრულიად ამბერდის საჭეთმპყრობელიც ყოფილა.⁶⁵⁷ სხვა მონაცემებით, XIV საუკუნის დასაწყისში ანისის მონოფიზიტურ სამწყსოს ორი ეპისკოპოსი განაგებდა – ოვანესი და ვარდანის.⁶⁵⁸ ორიანობა ანისის სომხურ ეპარქიაში XIII საუკუნიდან საკმაოდ გავრცელებული ყოფილა;⁶⁵⁹ ვასილ ჰოვჰანავანქელი თუ იერარქის რეალურ ძალაუფლებას ფლობს, მაშინ ტრიარქიის შემთხვევასაც დავადასტურებდით.⁶⁶⁰

სამწუხაროდ, ანისის ქართული სამწყსოს ფორმირების შესახებ წყაროები არაფერს გვუბნება; თუმცა იმის თქმა კი დაბეჯითებით შეიძლება, რომ თანამოსახელე ქართულ და სომხურ საეპისკოპოსოთა საზღვრები არ ემთხვეოდა ერთმანეთს. ჩვენთვის საინტერესო სომხური ეპარქიის მნიშვნელოვან თემს, როგორც დავინახეთ, არშარუნიქი წარმოადგენდა. ვარდანის „გეოგრაფიიდან“ ვიგებთ, რომ ამ უკანასკნელს XIII საუკუნეში კალბუანი ეწოდებოდა.⁶⁶¹ კალბუანი ანუ კალბევანი კი, სამცხე-საათაბაგოს მღვდელმთავართა ნუსხის მიხედვით, კარელის სამწყსოს მიეკუთვნებოდა.⁶⁶² განსხვავება სხვა მხრივაც შეინიშნება: ბარიშატი, რომელსაც ქართული წყაროს თანახმად, ანელი ეპისკოპოსი მწყემსდა, სომხური საეკლესიო დაყოფით ვანანდის ანუ კარის საეპისკოპოსოს მიეკუთვნებოდა.⁶⁶³ ორივე ეპარქიის საეკლესიო ცენტრის მიხედვით სახელდებას რაც შეეხება, შემდეგი შეიძლება ითქვას: ეს პრინციპი ქართული საეკლესიო წეს-წყობილებისთვის დასაბამიდანვე იყო დამახასიათებელი, მაშინ როცა სომეხი მღვდელმთავრები, ტრადიციულად, საეკლესიო ოლქის მიხედვით იწოდებოდნენ. ინოვაცია სომეხ ეპისკოპოსთა წოდებულებაში – ტიტულატურის გამართვა საეპისკოპოსო კათედრის მიხედვით – XIII საუკუნის დასაწყისიდანვე დასტურდება,⁶⁶⁴ რაც დროში ემთხვევა საქართველოს სამეფოს მიერ ჩრდილოეთი სომხეთის შემომტკიცებას. ამიტომაც მონოფიზიტ სომეხ ეპისკოპოსთა ტიტულატურაში ცვლილებები ქართული სახელმწიფოს კულტურულ გავლენას შეიძლება მივაწეროთ.⁶⁶⁵

ჩრდილოეთ სომხეთში (ანისი, კარი, ვალაშკერტი), სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებული თვალსაზრისით, არსებობდა სომხური ქალკედონური ეკლესიაც. ის განსაკუთრებით XI საუკუნეში, ბიზანტიის ექსპანსიის ჟამს, გაძლიერდა, რაც ანისისა და კარის ეპარქიების შექმნაში გამოიხატა. თურქ-სელჩუკთა შემოსევებმა ბოლო მოუღო ბიზანტიის ბატონობას სომხეთში და ქალკედონური ეპარქიები იძულებულნი შეიქმნენ, საქართველოს კათალიკოსის იურისდიქცია ელიარებინათ; XIII საუკუნეში ისინი „ქართულ“ სამწყსოებად აღიქმებოდნენ.⁶⁶⁶

მთელი ეს დებულება ცნებებისა და ფაქტების აღრევის შედეგია.




VI საუკუნის ბოლოს ბიზანტიელებმა დვინის მონოფიზიტურ საკათალიკოსოსთან დასაპირისპირებლად ავანის დიოფიზიტური საკათალიკოსო შექმნეს და მას პერსარმენის ახლად შემოერთებული ტერიტორიებიც დაუქვემდებარეს.⁶⁶⁷ სომხური დიოფიზიტური ეკლესია დღემოკლე აღმოჩნდა – სომხურ ტერიტორიებზე სპარსელთა ხელისუფლება აღდგა, ავანის საკათალიკოსო გაუქმდა, ხოლო ეპისკოპოსებმა, „რომლებიც იყვნენ რომაელთა ხელისუფლების ქვეშ“ აბრაამ სომეხთა კათალიკოსს მორჩილება გამოუცხადეს და ქალკედონის კრებაზე შეაჩვენეს.⁶⁶⁸ ამ უკანასკნელთა შორის, „ეპისტოლეთა წიგნი“ არშარუნიქის მღვდელმთავარს არ ახსენებს. წყაროში მისი სახელი თუ შემთხვევით არაა გამორჩენილი, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ეს მღვდელმთავარი პოზიციების შეცვლას არ ჩქარობდა.⁶⁶⁹ მოგვიანებით, როდესაც სომხეთის ეკლესიას დიოფიზიტი თუ დიოფიზიტობისკენ მიდრეკილი კათალიკოსები – ეზრა (630–641), ნერსე III (641–661/62) – ედგნენ სათავეში, არშარუნიქი-შირაქის სასულიერო და საერო მბრძანებელთა პრობიზანტიური სიმპათიები საკმაოდ გამოკვეთილია. ამაზე მეტყველებს არშარუნიქის ეპისკოპოსის მონაწილეობა დვინის 644 წლის საეკლესიო კრებაში, რომელიც კათალიკოსმა ნერსემ და იმპერატორმა კონსტანტი II-მ მოიწვიეს,⁶⁷⁰ აგრეთვე, მათი დამახასიათებელი ბერძნული სახელები (თეოფილე), კამსარაკანთა ბიზანტიური ტიტულები⁶⁷¹ და, სავარაუდოდ, იმავე პერიოდში შესრულებული ბერძნული წარწერები.⁶⁷² როდესაც იოანე ოძნეციმ სომხური ეკლესია საბოლოოდ შემოატრიალა მონოფიზიტობისკენ (728 წ.),⁶⁷³ არშარუნიქის ეპისკოპოსები მის გვერდით აღმოჩნდნენ.⁶⁷⁴

ამრიგად, ერთიან სომხურ ეკლესიაშიც – მიუხედავად იმისა, ედგნენ მას სათავეში მონოფიზიტი თუ (პრო)დიოფიზიტი კათალიკოსები – და მისგან დროებით ჩამოცილებულ დიოფიზიტურ სომხურ ეკლესიაშიც ნახარარულ-იეროკრატული მოწყობის პრინციპი უცვლელი რჩებოდა. როგორც იყო სომხური დიოფიზიტური თემების ეპარქიული მოწყობა მანასკერტის კრებიდან XI საუკუნის შუახანებამდე, უცნობია. ვიცით მხოლოდ, რომ დამოუკიდებელი სომხური დიოფიზიტური ეკლესია აღარ აღმდგარა. ერთი ბერძნული ნოტიცის⁶⁷⁵ – რომელიც საკმაოდ ადრინდელ ვითარებას უნდა ასახავდეს⁶⁷⁶ – და მისი სომხური თარგმანის⁶⁷⁷ მიხედვით, ყოფილ პერსარმენიაზე ანტიოქიის პატრიარქის იურისდიქცია გავრცელდა. ბერძნული ეკლესიის მდგომარეობა გამყარდებოდა უფრო მას შემდეგ, რაც X-XI საუკუნეებში ბიზანტიამ ერთიმეორის მიყოლებით შთანთქა სომხური სამეფო-სამთავროები და იმპერიის ადმინისტრაციას დაუქვემდებარა.⁶⁷⁸

ვარაუდი, რომ ანისში, სომეხ ბაგრატუნთა დედაქალაქსა და სომხური მონოფიზიტური ეკლესიის ცენტრში, დიოფიზიტური საეპისკოპოსო მხოლოდ ბიზანტიის ექსპანსიის შედეგად წარმოიქმნებოდა, სავსებით ლოგიკურია; თუმცა არსაიდან ჩანს ახლად წარმოქმნილი ეპარქიის მაინცდამაინც კონსტანტინოპოლის საყდარზე დამოკიდებულება (სურ. 54). საამისო არგუმენტად მკვლევრები იშველიებენ კონსტანტინოპოლის საეკლესიო კრების აქტებს (XII საუკუ-

სურ. 54. ანისის ნაქალაქარი.
ხედი ჩრდილო-დასავლეთიდან



სურ. 55. სამცხე-საათაბაგოს მღვდელმთავართა ნუსხა. ხეგ, Ad-91

ნის შუახანები), რომლებსაც, თითქოს, ხელს ანელი მწყემსმთავარიც აწერს.⁶⁷⁹ მაგრამ მთელი ეს მსჯელობაცა და საბუთიანობაც ამკარა შეცდომამა დაამყარებული – აღნიშნულ წყაროში არაერთხელ დამოწმებული Αἴνου⁶⁸⁰ არის არა ანისი, არამედ აინოსი. ეს უკანასკნელი ხშირად გვხვდება ბერძნულ ნოტიციებში როგორც ვერ როდობის საარქივისკოპოსო ცენტრი,⁶⁸¹ ხოლო შემდეგ – სამიტროპოლიტო.⁶⁸² შესაბამისად, აქტებზე ხელმომწერი ἡγουμένης Αἴνου Ἰσάνιος ბალკანეთში მოღვაწე მწყემსმთავარია. იოანეს „ანისის ქალკედონიტ სომეხ ეპისკოპოსად“ გამოცხადება კი, ისევე როგორც კონსტანტინოპოლს დაქვემდებარებული ანისის საეპისკოპოსოს აღმოჩენა, რბილად რომ ითქვას, გაუგებრობაა.

სამაგიეროდ, *Notitia Antiochena*-ს ლათინურ თარგმანში, რომელიც XII საუკუნის პირველ ნახევარში უნდა იყოს შესრულებული,⁶⁸³ იხსენიება Catholicus Ani qui est Persidis.⁶⁸⁴ ანისის ეპისკოპოსს ნოტიციის სხვა ვერსიებში არ ვხვდებით; ბერძნულ ნუსხაში (Codex Vaticanus Graecus 1455) დასახელებულია ὁ χαριστικός Παπαπύργωας ἦτοι Πεδριάς,⁶⁸⁵ ხოლო სომხურში (ე.წ. სუმბატის ქრონიკის გამგრძელებელთან) – Կաթուղիկոս րուսիկსერի, որ է Պարսիկ.⁶⁸⁶ სომხური ირომიკერიოს ბერძნული ტექსტის რომაგირეოსის შერყვნილი ფორმა უნდა იყოს,⁶⁸⁷ ასეთ შემთხვევაში სპარსეთის საეკლესიო ოლქის ცენტრად, *Notitia Antiochena*-ს ორი ნუსხის მიხედვით, რომგირეოსი გამოდის.⁶⁸⁸ მაშინ, როგორ უნდა გავიგოთ ლათინური ვერსიის ცნობა? ჩვენამდე მოაღწია ანტიოქიის 1365 წლის საეკლესიო კრების აქტმა, რომელსაც, სხვებთან ერთად, ხელს აწერს გერმანოსი, რომაგირეოსის კათალიკოსი და სრულიად იბერიის ეგზარქოსი.⁶⁸⁹ იბერიას ბერძნები, ჩვეულებრივ, საქართველოს უწოდებდნენ, მაგრამ საქართველოს ეკლესიის საჯეტმპყრობელი რომაგირეოსის კათალიკოსის პატივსაც არ ფლობდა და ანტიოქიის პატრიარქის უზენაესობასაც დიდი ხანია არ ცნობდა.⁶⁹⁰ ამ გარემოების გათვალისწინებით, „სრულიად იბერია“ ხომ არ გულისხმობს იბერიის თემს? ბიზანტიის ეს ადმინისტრაციული ოლქი, როგორც ცნობილია, XI საუკუნის პირველ ნახევარში შეიქმნა და თანდათანობით იმპერიაში ინკორპორირებული სომხური მიწების ხარჯზე ფართოვდებოდა.⁶⁹¹ თანადროულ დოკუმენტურ და ნარატიულ წყაროებში ის „იბერიის“, „ანისის, დიდი არმენიისა და იბერიის“, „ანისისა და იბერიის“, „იბერიისა და დიდი არმენიის“, „არმენიისა და იბერიის“, „ანატოლიის“, „ყარსისა და იბერიის“ თემად იწოდება.⁶⁹² ზემოთ აღინიშნა, რომ ბიზანტიის სახელმწიფოს ექსპანსიასთან ერთად თავის საზღვრებს ბერძნული ეკლესიაც აფართოვებდა, ამიტომაც ანტიოქიის საპატრიარქოს გაბატონება იბერიის თემში თუ მის სომხურ ნაწილში სავსებით ბუნებრივია. ამასთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას ისიც გაგვეხსენებინა, რომ *Notitia Antiochena*-ს ბერძნულ ნუსხებში ანტიოქიის საყდრის იურისდიქციას დიდი არმენიის⁶⁹³ ეპარქიაც აქვს მითვლილი.⁶⁹⁴ რადგან XI საუკუნის შუახანებიდან იბერია, დიდი არმენია და ანისი, გარკვეულწილად, სინონიმური ტერმინებია, ბერძნული ეკლესიის ერთ-ერთი მამამთავრის, გერმანოსის ტიტულატურაშიც რომგირეოსისა და ანისის (resp. დიდი არმენიის/იბერიის) კათალიკოსობაც


შეიძლება ამოვიკითხოთ. ასეთ შემთხვევაში გასაგები გახდება ანტიოქიის საპატრიარქოსადმი დაქვემდებარებული საკათოლიკოსო და საეპისკოპოსო საყდრების ნუსხის ლათინურ ვერსიაში *Catholicus Aniqui est Persidis* გამოჩენა; ბერძნულ და სომხურ ნუსხებთანაც წინააღმდეგობა მოხსნილი იქნება.⁶⁹⁵

ანისი, ჩანს, არ ყოფილა შირაკის ერთადერთი მართლმადიდებლური საეპისკოპოსო ცენტრი. საეკლესიო ნოტიციებში ანტიოქიის საპატრიარქოში შემავალ საყდრებს შორის დასახელებულია თეოდოსიოპოლი, რომელსაც ორტროსის, მაწნუბეს, მავროკასტრონის, ჰაგია მარიას, აქსიერქსეს, ტარუჭასა და პოლიტიმოსის ეპისკოპოსები ექვემდებარებოდნენ.⁶⁹⁶ თეოდოსიოპოლი, საერთო იდენტიფიცირებით, კარინ-არზრუმია; სამაგიეროდ, აზრთა სხვადასხვაობას იწვევს დანარჩენ კათედრათა ლოკალიზაცია. ე. ჰონიგმანისა და რ. ჰიუსონის აზრით, მავროკასტრონი „აშხარაცუიციში“ დამოწმებული მავრიკოპოლისი-შირაკაშატია.⁶⁹⁷ ასეთ შემთხვევაში, ბერძნული კათედრა შირაკის პროვინციის ჩრდილოეთ ნაწილში შეიძლება იქნას დადასტურებული. განხილული მასალის მიხედვით, შირაკის ტერიტორიაზე ორი დიოფიზიტური (ბერძნული) საეკლესიო ცენტრი არსებობდა – მავროკასტრონი-შირაკაშატი და ანისი. მაგრამ ამ შემთხვევაშიც ბევრი კითხვა წამოიჭრება: რა მიმართება იყო ანისის საკათალიკოსოსა და მავროკასტრონის საეპისკოპოსოს შორის?

რა საზღვრებს მოიცავდა თითოეული მათგანის სამწყსო? თუ თეოდოსიოპოლის საყდარს დაქვემდებარებული საეპისკოპოსოების ნაწილი, მავროკასტრონის მსგავსად, ყოფილ ანის-შირაკის სამეფოს ტერიტორიაზე ლოკალიზდება,⁶⁹⁸ რა ტერიტორია რჩება დიდი არმენიის ეპარქიას? ჰქონდა ანისის საყდარს თავისი საკუთარი საეპისკოპოსო ტერიტორია თუ სამიტროპოლიტო იურისდიქციას ახორციელებდა იბერიის თემზე?

დასასრულს აღვნიშნავთ, რომ XIII საუკუნის სომხეთის, კერძოდ კი, ანისის ქალკედონიტთა თუ უნიატთა ერთი ნაწილის არქაუნად მოხსენიება⁶⁹⁹ მათი ანტიოქიის საიმპერიო ეკლესიის ოდინდელი წევრობის (შდრ. ანტიოქიის სამწყსოს აღმნიშვნელი ტერმინი „მელქიტები“) მანიშნებელი უნდა იყოს. ისიც საინტერესოა, რომ XIV საუკუნეშიც ანტიოქიის საყდარი დეკლარირებს თავის იურისდიქციას ანისზე (კათოლიკოს გერმანოსის ტიტულატურა). გამოდის, რომ ანისის მხარის, ისევე როგორც მთელი ჩრდილოეთი სომხეთის, მწყსობას ორი – მცხეთის და ანტიოქიის – საპატრიარქო იჩემებდა. ანტიოქიის მამამთავრები შერყეული პოზიციების გამყარებას, როგორც ჩანს, ილხანთა დახმარებით ცდილობდნენ,⁷⁰⁰ ხოლო ქართველი იდეოლოგები მცხეთის საყდრის კანონიკურ უფლებებს რეალპოლიტიკითა და ზეალმატებული პოლიტიკურ-თეოლოგიური ფრაბეოლოგიით ასაბუთებდნენ.⁷⁰¹

როგორც ვხედავთ, ანისში ქართული და ბერძნული ეპარქიების ურთიერთდამოკიდებულების გარკვევისას ბევრი პასუხგაუცემელი კითხვა რჩება; თუმცა იმის თქმა კი დაბეჯითებით შეიძლება, რომ ქართული საეპისკოპოსო ბერძნულისგან დამოუკიდებლად წარმოიქმნა და განვითარდა – განსხვავება საეკლესიო გეოგრაფიაში



სურ. 56. გარეჯის მრავალმთის უდაბნოს მონასტრის სატრაპეზო. სომეხ მომლოცველთა, მათ შორის – ანელი ხუცესის სავედრებელი წარწერა

(ეპარქიათა რაოდენობა, საზღვრები, კათედრათა რიცხვი) ამის სასარგებლოდ მეტყველებს. ანელის სამწყსო, რა სახითაც ის „სამცხე-საათაბაგოს მღუდელთმთავართა და მწყემსთა“ ნუსხაშია წარმოდგენილი, ქართული სახელმწიფოს შემოქმედების ნაყოფს წარმოადგენდა (სურ. 55).

ანისის ქართული თემი

ჩრდილოეთ სომხეთში ქართული საეპისკოპოსოების წარმოქმნა ამ მხარეში ქართული/ქართულენოვანი მოსახლეობის ზრდის მანიშნებელია.⁷⁰² უფრო სწორი იქნება ვთქვათ, რომ ქართული ეთნოკულტურული ელემენტის ინფილტრაცია და ქართული საეკლესიო წეს-წყობილების წარმოქმნა ჩრდილოეთ სომხეთში ურთიერთგანმსაზღვრელი პროცესები იყო.

ჯერ კიდევ XIX საუკუნის ბოლოს, „სამცხე-საათაბაგოს მღუდელთმთავართა და მწყემსთა“ ნუსხის აღმოჩენის შემდეგ, სამეცნიერო წრეებში დაისვა საკითხი: „для кого нужны были кафедры грузинских епископов в тех местах (იგულისხმება ანისი, კარი, ვალაშკერტი – გ. ჯ.)? Надо полагать, что с одной стороны господство Византии в части Армении, а с другой усилившееся политическое развитие Грузии и возраставшие ее виды на Аракский бассейн способствовали появлению там греческого и грузинского элементов, образовавших три отдельные православные епархии. В подкреплении сказанного укажем на один факт, передаваемый Асогиком: он утверждает, что Давид Куропалат, по отнятии в 996 г. у арабов Манаскерта, наполнил его жителями из армян и иверцев, признававших власть его. Вероятно грузинское население Армении было в последствии, в монгольский период, или истребленно или вытеснено в Грузию...“⁷⁰³ დ. ბაქრაძის მიერ დანახული ისტორიულ-გეოგრაფიული განვითარების ეს მაგისტრალური ხაზი – ქართული საეპისკოპოსოსა და ქართული ელემენტის გაჩენის ურთიერთკავშირი – დაახლოებით მეოთხედი საუკუნის შემდეგ გადაფარა და დავიწყებას მისცა ნ. მარის კონცეფციამ ქალკედონიტი სომხების შესახებ. 1905 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში ცნობილი მეცნიერი კატეგორიულად ამტკიცებდა, რომ „В этих пределах встречаются и теперь кое-где развалины грузинских церквей, точнее монастырей, но лишь кое-где. Поэтому нельзя успокаивать себя предположением, что будто эти халкедонитские епархии могли существовать исключительно для грузин. Грузинское население в этих краях едва-ли было вообще, и во всяком случае его не было в таком количестве. Халкедонитские епархии в самой Армении, приходится думать, прежде всего состояли из армян-халкедонитов“.⁷⁰⁴ ეტიფანე კათალიკოსის წარწერის აღმოჩენის შემდეგ, ნ. მარმა შესაძლებლად ცნო ქალაქ ანისში ქართველთა („грузин по национальности“, „грузины по крови“) მკვიდრობა; მიუხედავად ამისა, „ქართველი“ კონფესიურ, უპირატესად, სომეხი ქალკედონიტების აღმნიშვნელ ტერმინად გამოაცხადა, ქართული ენა კი ქალკედონიტი სომხების ეკლესიას დაუკავშირა.⁷⁰⁵ ნ. მარის თანამოაზრენი კიდევ უფრო შორს წავიდნენ და ანისისა და ისტო-



რიული ჩრდილოეთ სომხეთის ქართული ეპიგრაფიკა დიოფიზიტი სომხების შემოქმედებად გამოაცხადეს.⁷⁰⁶

ტერმინი „ქართველი“ XIII საუკუნის ანის-შირაკში პირველად კათოლიკოს ეტიფანეს განჩინებაში ჩნდება და ანისის მცხოვრებთა ერთ ნაწილს, მცხეთის სამწყსოს აღნიშნავს („მ[კუ]იდრნო ა[მ]ის ქალაქისისანო ქართველნო...“⁷⁰⁷); დოკუმენტის ადრესატები, უმთავრესად, გადასახადის გადამხდელნი – ვაჭარ-ხელოსნები და მიწისქვეშა ქალაქის ბინადარნი არიან;⁷⁰⁸ მათთან ერთად, ქალაქის შემოგარენის გლეხობაც უნდა ვივარაუდოთ. „ქართველი“ ერსაც გულისხმობს და ბერსაც, რადგან მწყემსმთავრის მიმართვა ანელ ხუცესებსაც განეკუთვნება („სასონო ჩემო, ან[ე]ლნო ხუცესნო“⁷⁰⁹).

ენისა და იდენტობის ურთიერთმიმართების გასარკვევად უნდა გვახსოვდეს, რომ აღმსარებლობითი კუთვნილება ჩვენთვის საინტერესო ეთნონიმის ერთ-ერთი, მაგრამ არა ერთადერთი, მსაზღვრელია. ქართველთა თვითსახელწოდების აღმნიშვნელ ამ ტერმინს⁷¹⁰ მრავალსაუკუნოვანი ისტორია ქონდა: IX-X საუკუნეებისთვის, ისტორიულ-გეოგრაფიული ევოლუციის შედეგად, მან ვიწრო ტომობრივიდან ზოგადეროვნული, კულტურულ-პოლიტიკური მნიშვნელობა შეიძინა. წყაროთა უთუმცაო ჩვენებით, „ქართველი“ შეიძლება ყოფილიყო ნებისმიერი ეთნიკური წარმომავლობის პირი, ვინც ქართულ ფეოდალურ საზოგადოებას ეკუთვნოდა, ქართულ ენას ფლობდა და ქართულ საეკლესიო და სახელმწიფო სარბიელზე მოღვაწეობდა. XII-XIII საუკუნეების ქართველი მოღვაწენი „ქართველის“ განსაზღვრისას რამდენადმე უკანა პლანზე სწევდ-

სურ. 57. ანისი. მოციქულთა ეკლესიის გავითი, ხედი აღმოსავლეთიდან. დ. ერმაკოვის ფოტოკოლექცია



სურ. 58. ჰორომოსის მონასტრის დასაკრძლავი. ხუთლუ ხათუნის წარწერა

ნენ რელიგიურ-კონფესიურ მომენტს, უფრო მეტად ხაზს უსვამდნენ „საქართველოს“ მკვიდრობას. ეს მკვიდრობაც გულისხმობდა არა სისხლისმიერი ნათესაობის პრინციპით შეკავშირებულ კოლექტივს, არამედ სრულიად გამოკვეთილ ეთნოსოციალურ ერთობას, რომელიც განსხვავდებოდა სხვა მსგავსი ერთობებისგან კულტურულ-პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და ფსიქიკური წყობის სპეციფიკით.⁷¹¹ ენა ამჟერადაც სახელმწიფო თუ რელიგიური იდენტობის მნიშვნელოვან ატრიბუტს წარმოადგენდა. აქედან გამომდინარე, კათოლიკოს ეტიფანეს მეტყველებაშიც „ქართველნი“ არა ზოგადად მართლმადიდებლებს, არამედ ქართულ სახელმწიფოში მცხოვრებ, ქართული ეკლესიის წიაღში შემოსულ და წირვა-ლოცვის ქართულ ენაზე აღმსრულებელ დიოფიზიტებს გულისხმობს.

სწორედ ამ მართლმადიდებელი თემისთვის – ნათესავთა ქართველთა და ნათესავთა სომეხთა კრებულისთვის⁷¹² – იყო განკუთვნილი აღნიშნული განჩინება, ისევე როგორც ანისის ეკლესია-მონასტრებში ქართულ ენაზე ამოკვეთილი სხვა იურიდიული აქტები, ეპიტაფიები, პილიგრიმული და ფრესკული წარწერები.⁷¹³ იგულისხმება, რომ არაქართველნიც ქართულ ენაზე კითხულობდნენ და ის ესმოდათ, ანუ ისინი ქართულენოვანნი იყვნენ.

ზოგი მათგანისთვის, განსაკუთრებით კი არისტოკრატიული გედაფენისთვის, სომხოზა ეკლესიის ზღურბლთან მთავრდებოდა, იმის იქით მიმზიდველი ქართულ-სპარსულ-არაბული ცხოვრების პერსპექტივა იშლებოდა. უცხო კულტურას დაწაფებული ეს ფენა დროთა განმავლობაში ეროვნულ თავისთავადობასაც კარგავდა.⁷¹⁴ უცხო ენაზე ამეტყველება დენაციონალიზაციის ერთ-ერთი წინაპი-

რობა იყო. ასე ხდებოდა, კერძოდ, დიოფიზიტი (ზოგჯერ, მონოფიზიტი) სომხების მიერ პრესტიჟული (საეკლესიო, სახელმწიფო) ქართული ენის⁷¹⁵ გათავისება-შესისხლობრცებით. აღნიშნული კუთხით ანისის სიძველეთა კვლევამ სრულიად კანონზომიერი კითხვა აღძრა: „თუ ქართული ეპიგრაფიკული და ფრესკული წარწერები იმ ქალკედონელი სომხებისათვის იყო, რომლებიც მთლიანად მოექცნენ ქართული ეკლესიის გავლენაში და თავიანთი ენაც დაკარგეს, რამდენად მიზანშეწონილია მათი „სომხებად“ მოხსენიება. ენის, რელიგიური კუთვნილებისა და სახელმწიფოს ქვეშევრდომობის ფაქტორების გარდა, შუა საუკუნეებში ეთნიკურ კუთვნილებას კიდევ რა განსაზღვრავდა?“⁷¹⁶

ქართულენოვნება სომეხი დიოფიზიტებისა სულაც არ ყოფილა საყოველთაო. პირუკუ, ისინი სულდგმულობდნენ მშობლიური ენით, რომელიც მათი ეროვნულ-სარწმუნოებრივი თვითშეგნების უმთავრეს ინსტრუმენტს წარმოადგენდა (ანისის სომხური ეპიგრაფიკა;⁷¹⁷ ანელ პილიგრიმთა წარწერები გარეჯის უდაბნოში⁷¹⁸), სათუთად ინახავდნენ ისტორიულ მემკვიდრეობას, საზრდოობდნენ ეროვნული ძირებით.⁷¹⁹ საქართველოს ეკლესიაც კეთილგონივრულად იწყნარებდა თავის წიაღში ღვთისმსახურების არაქართულ (resp. სომხურ) ენაზე აღსრულებას⁷²⁰ – ეს სომხურენოვანი სასულიერო და საერო პირები ქართულ და სომხურ ეკლესიათა დაახლოების, მონოფიზიტთა დიოფიზიტურ სარწმუნოებაზე მოქცევის პროცესში უმთავრეს აგენტებად გამოდიოდნენ.⁷²¹ ნ. მარის ვარაუდით, ანისში არსებობდა უნიატთა ფენაც არქაუნთა სახით (სურ. 56).⁷²²

ანისის სომხურ ეპიგრაფიკულ ძეგლებში ქართველთა აღმნიშვნელი ტერმინი „ვრაციც“ დასტურდება. სომხური მოსახლეობისთვის – მიუხედავად აღმსარებლობითი კუთვნილებისა – „ქართველი“ და „ქართული“ ხშირად მართლმადიდებლობის სინონიმად გამოდიოდა,⁷²³ მაგრამ განსახილველ მაგალითებში წინა პლანზე ეთნიკური მომენტია წამოწეული. წმ. მოციქულთა ეკლესიის გავითის ფასადზე ამოკვეთილი 1320 წლის წარწერა-საბუთის კრულვით ნაწილში იხსენიებიან სომხები, ქართველები და ტაჭიკები.⁷²⁴ იქვე, ინტერიერში შესრულებულ 1263 წლის განჩინებაში ხუცესთა გადასახადებისგან განთავისუფლების შესახებ ნათქვამია, რომ „არცა რა ტომს (იქ ჩიხაყ) აქვს უფლება მოთხოვოს გადასახადი“.⁷²⁵ ძველ სომხურში „აზგი“ (აզგ) და მისი სინონიმები ყოველთვის წარმომავლობაზე – ტომს, გვარს, ხალხს – მიუთითებს,⁷²⁶ ამიტომ აკრძალვაც ქალაქში მცხოვრებ ეთნოსებს ეხება.⁷²⁷ ამის ანალოგიით, ჩვენთვის საინტერესო 1320 წლის დოკუმენტშიც ზოგადი „აზგის“ ნაცვლად კონკრეტული ეთნოსები ან ეთნო-კონფესიები – სომხები, ქართველები და ტაჭიკები – უნდა დავინახოთ. ეთნიკურად და რელიგიურად ტრეელ ქალაქში უმთავრეს ეროვნულ ჯგუფებზე მითითება გასაკვირი არ უნდა იყოს. XIII საუკუნის იურიდიულ აქტებზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ აღნიშნული პრაქტიკა მიღებული ყოფილა ქართულ სამართლებრივ სივრცეში: ზაქარია მხარგრძელის „მოსახსენებლის“ (1210 წ.) თანახმად, ყველა მომშლელი „ჩემიანი ან უცხო, დიდი ან მცირე, ქართველი ან სომეხი, ლორეს უფალნი, ეპისკოპოსთაგან, მღვდელ-

თაგან ან საერთოაგან ... წყეულიმც იყოს“⁷²⁸ ხოლო კახა თორელის „დაწერილით“ (1260 წ.) „და რაჲ გინდა გუარი კაცი გამოჩნდეს ამისად მშლელად და მცვალებელად, ქართველი, ანუ სპარსი, ანუ სომეხი, რკონისა ღმრთისმშობელი, შენ შეჭრისხდი...“⁷²⁹ მამასადამე, ანისის ლაპიდარულ წარწერებში დამოწმებული „ვრაცი“ გულისხმობს არამართო ქართულ თემს, არამედ, მაინცდამაინც, ადმინისტრაციული ძალაუფლების მატარებელ ქართველებს, ვისაც განჩინების მოშლა ხელეწიფების (სურ. 57).

წარწერის ჩვენთვის საინტერესო ნაწილში ეთნიკური გეოგრაფიის რეალური სურათი რომ არის წარმოდგენილი, ამას 1330 წელს შესრულებული ათაბაგ ზაქარიას სამენოვანი – სპარსულ-ქართულ-სომხური – ხელრთვა მოწმობს.⁷³⁰ ენობრივი (resp. ეროვნული) მრავალფეროვნების გარდა საინტერესოა წარწერათა თანმიმდევრობა და განლაგება (1. სპასული, 2. ქართული, 3. სომხური), შინაარსი (1-2, თითქოს, უფრო ოფიციალურია: სპარს.: „ჰიჯრით --ნ, მე, ცოდვილმა ზაქარიამ, ძემ გარდაცვლილისა...“; ქართ.: „ქრონიკონსა ფნ. მე ათაბაგსა ზაქარიას დამიმტკიცებია“; სომხ.: „ვინც მტკიცედ დაიცავს, ღმერთი აკურთხებს“) და ასოთა მოხაზულობა (ენობრივი რიგის ცვლასთან ერთად ისინი პატარავდება), რაც ეთნო-პოლიტიკურ იერარქიასაც შეიძლება ასახავდეს: სპარსთა ჯელმწიფობა, ქართველთა მეფობა, სომეხთა პატრონობა...⁷³¹ საქართველოს სახელმწიფოსა და ეკლესიის მთავარ დასაყრდენს, როგორც ადრე, სამხედრო არისტოკრატია ქმნიდა. იბნ ალ-ასირის ჩვენებით, ხვარაზმელთაგან ალყაშემორტყმულ ქალაქ ანისს, „რომელიც ქურჯებს ეკუთვნოდა“, იცავდნენ ქურჯთა ჯარების მთავარსარდალი ივანე და მასთან მყოფი ქურჯები.⁷³² ანისშიც და ყარსშიც, დასძენს იგივე ავტორი, ქართველებმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს მტერს, რადგან ეშინოდათ, თბილისში მცხოვრებ თანამოძმეთა სასტიკი ბედი არ გაეზიარებინათ.⁷³³ თბილისის ბრძოლების აღწერისას იბნ ალ-ასირი ქართველთა დამარცხებასა და ამოხოცვაზე საუბრობს,⁷³⁴ იმავე ამბების თანამონაწილე ან-ნასავი კი თბილისში ქართველთა და სომეხთა ჟლეტას აღნიშნავს; მისივე ცნობით, ქართველთა სპა და მათი აზნაურები ციხეში გამაგრდნენ.⁷³⁵

ბრძოლას საერთო მტრის წინააღმდეგ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველთა და სომეხთა ინტეგრაციისთვის. XIII საუკუნის სომეხი ავტორები სომეხ აზნაურთა ლაშქარს „სრულიად საქართველოს სპის“ ნაწილად მოიაზრებდნენ,⁷³⁶ ხოლო XIII-XIV საუკუნეებში ქართველი იდეოლოგები საქართველოს სამხედრო ასპარეზზე მოღვაწე მონოფიზიტურ სომხურ არისტოკრატიას (მათთან ერთად, მსახურ-მოლაშქრეებსაც) უპირობოდ მიათვლიდნენ „საქართველოს მკვიდრთ“ და „ქართველობას“.⁷³⁷ XIV საუკუნის დასაწყისის ანონიმური ისტორიკოსმა პოლიტიკური ფორმულაც კი შემოგვთავაზა: „სპანი ქართველთანი“ – „თანამონათესავენი და ერთსჯულ ქრისტეს აღმსარებელნი“.⁷³⁸ კიდევ მეტი, სწორედ მონოფიზიტური ზედაფენებიდან „ამქვეყნიური დიდებისა და ხორცის სიამოვნებისთვის“ „ბერძენთა და ქართველთა სარწმუნოებაზე“ გადადიოდნენ,⁷³⁹ ქართველთა სჯულის თანამოზიარენი ხდებოდნენ.⁷⁴⁰ მაგალითის მიმცემნი და სარ-

წმუნობათა დაახლოებისა თუ შეერთების პოლიტიკის უმთავრესი გამტარებელი ანის-შირაკის მეპატრონე მხარგრძელები იყვნენ. ამ პროცესში ისინი თავად ქართველდებოდნენ (*Gurgini potentissimi*) – აღმსარებლობით, ენით, „ქცევა-ზნით“, სახელმწიფოებრივი მოღვაწეობით.⁷⁴¹

დავუბრუნდეთ კვლავ ანისს. მართალია, იქ ქართული გარნიზონი საბრძოლო მოქმედებებთან დაკავშირებით ჩნდება, მაგრამ მეციხოვნეთა მუდმივი კონტიგენტის არსებობა შუა საუკუნეების ქალაქში ჩვეულ მოვლენად უნდა ჩავთვალოთ. იბნ ალ-ასირისა და ან-ნასავის მონათხრობის ურთიერთშეჯერება კი ცხადყოფს, რომ ანისის დამცველები ეთნიკურადაც (ნაწილი მაინც) და პოლიტიკურადაც ქართველები არიან – არაბი ავტორი ტერიტორიულ-სახელმწიფოებრივ კუთვნილებასთან (საქართველოს მკვიდრობა) ერთად წამყვანი პოლიტიკური ეთნოსის იდენტობასაც ითვალისწინებს.⁷⁴²

ქართველები არა მხოლოდ ქალაქ ანისში, არამედ ანის-შირაკის სხვა მხარეებშიც მკვიდრობდნენ. შირაკავანის ეკლესიაზე ამოკვეთილი ერთ-ერთი ეპიგრაფიკული საბუთის საწყის სტრიქონებს ნ. მარი ასე თარგმნიდა: „Я, атабек Иванэ, и я, [супруга] Хошак, властвующая над сим краем, населенным грузинами и армянами и посему царица...“⁷⁴³ და შენიშნავდა: პატივმოყვარე ხოშაქს სულ ის აზრი უტრიალებდა, როგორც ქართველთა და სომეხთა სარწმუნოებრივი ერთობისთვის მიეღწია; სომხურ ენაზე გამოცემულ აქტებში ის ხშირად იწოდება „ქართველთა და სომეხთა დედოფლად“, რადგან მისი მეუღლის სამფლობელოებში ქართველებიც ცხოვრობდნენ და სომეხებიც.⁷⁴⁴ მარისეული ინტერპრეტაცია და დასკვნა ფრიად ყურადსაღებია, მაგრამ, ცხადია, არასაკმარისი შირაკავანში (ჩრდილოეთ შირაკში) ქართული მოსახლეობის არსებობის სამტკიცებლად. საამისოდ მეტად მეტყველი მოწმობაა 1592 წლის საკათალიკოსო მამულების სითარხნის გუჯარში დამოწმებული შირაკის ისტორიული ტოპონიმიკა: წყარომრავალი, წინუბანი, ფუძემარგი, ველთა, სოფელი მთავარანგელოზისა (იხ. ზემოთ). სოფლის სახელწოდებათა ქართული ხასიათი ეჭვს არ ტოვებს, რომ ზემო შირაკში (ქართული წყაროების შირაკოვანში), „მარმაშენის თავს“, ქართველი და გაქართველებული დიოფიბიტები სახლობდნენ.⁷⁴⁵ ამავე კონტექსტში საინტერესოა შირაკის ქედის ჩრდილოეთ კალთაზე დადასტურებული „გურჯიელი“⁷⁴⁶ ანუ ქართველთა მხარე/ქვეყანა.

საკუთრივ ანისის თემში ანუ ქვემო შირაკში (ქართული წყაროების მაღასბერდი) ქართული ახალშენების ტოპოგრაფიისთვის საინტერესოა სოფ. ჭალა (სომხ. Ճալա, რუს. Джала), რომელიც ქ. ანისის ჩრდილო-აღმოსავლეთით, მისგან არცთუ დაშორებით, მდებარეობს.⁷⁴⁷ აქვე უნდა აღვნიშნოთ სოფელი შავთა (Շաթա), რომელიც რამდენჯერმე გვხვდება ჰორომოსის XIII საუკუნის ლაპიდარულ წარწერებში.⁷⁴⁸ ტოპონიმი წარმოების ფორმითაც და ფონეტიკურადაც ქართულ ლინგვისტურ სამყაროს უფრო განეკუთვნება, ვიდრე სომხურს. მისი მდებარეობა უცნობია (სურ. 58).

კიდევ ერთი საინტერესო მოწმობა ეთნიკური გეოგრაფიის რეკონსტრუირებისთვის ევლია ჩელების მოეპოვება. მემატიანე

„ყარსის საბრძანებელში“, მდ. არფაჩაის ნაპირზე, შარაბხანესა და შურაგელის ციხეს შორის უჩვენებს სამასკომლიან სოფელ ბეგუმს, რომლის „მცხოვრებლები არიან სომხები და ქართველი აზნაურები“. ⁷⁴⁹ სოფლის ზუსტი ლოკალიზაცია არ ხერხდება, თუმცა თვითმხილველის აღწერის მიხედვით ანის-შირაკში თავსდება. სოფლის სოციალურ ზედაფენად ქართველების მოხსენიება კი აძლიერებს თვალსაზრისს, რომ ქართული კოლონია არცთუ უმნიშვნელო ყოფილა ამ სომხურ მხარეში XIII-XIV საუკუნეებისათვის.

ბუნებრივი მიგრაციებისა თუ მიზანმიმართული გადმოსახლების




სურ. 59. ანისი, ნაქალაქარის საერთო ხედი ჩრდილოეთიდან. ცენტრში – „ქართული ეკლესია“

შედეგად ანის-შირაკში დამკვიდრებული ქართველი მოახალშენენი, ⁷⁵⁰ როგორც ვხედავთ, სხვადასხვა სოციალურ ფენას განეკუთვნებოდნენ. მათი ნაწილი ციტადელსა და მის მიდამოებში სახლობდა. ძირითადი კვარტალი, სავარაუდოდ, ანისის ახალი ქალაქის ჩრდილოეთ ნაწილში, „ქართველთა ეკლესიის“ მიდამოებში მდებარეობდა – ყოველ შემთხვევაში, ქართული მოსახლეობისთვის განკუთვნილმა უმთავრესმა საკანონმდებლო აქტებმა ამ მიდამოებიდან მოაღწია. აღნიშნული უბნის სახელს ქართველები (და, მათგან სესხებით, სომხები) რომ მართლაც „ახალქალაქად“ გამოთქვამდნენ, ამას შესანიშნავად მოწმობს ვიმაფორის ეკლესიის წარწერაში სომხური ასოებით ამოკვეთილი **ԱԽԷԼՔԱՂԱՔԻՍ** („ახელქალაქის“). ⁷⁵¹ კიდევ უფრო საინტერესოა ქართული საეკლესიო ტერმინოლოგიის – ხატი, ⁷⁵² ხუცი, ⁷⁵³ კრულვა ⁷⁵⁴ – დადასტურება ანისის სომხური მოსახლეობის მეტყველებაში. იგივე ან მსგავსი სემანტიკის სიტყვები გვხვდება სხვა სომხურ ეპიგრაფიკულ თუ ნარატიულ ძეგლებში, ⁷⁵⁵ ყოველივე ამის ერთობლიობა წარმოდგენას გვიქმნის ტერმინთა გავრცელების არეალსა და ინტენსივობაზე, შესაბამისად, ეთნოკონფესიურ ურთიერთობებზე ქართულ-სომხურ საკონტაქტო რეგიონებში.

ამავე კონტექსტში კიდევ ერთ გარემოებას მივაქცევთ ყურადღებას: ი. კესტნერის ალბომებში (1851-1852 წწ.) ალექსანდროპოლის საცხოვრებელ ნაგებობათა აღსანიშნავად გამოყენებულია ქართული სიტყვები „სახლი“ და „დარბაზი“. ⁷⁵⁶ ეს ტერმინები თუ ად-

გილობრივი, სომხური ან მაჰმადიანური, მოსახლეობისგანაა ნასესხები, მაშინ გასარკვევია, როდის ან რა პირობებში უნდა ყოფილიყო ისინი შესული შორაგელში, ანის-შირაკის აღმოსავლეთ ნაწილში, ქართული სამყაროდან; ხომ არ გაჩნდა ისინი XIII-XIV საუკუნეებში ან XVIII საუკუნის ბოლოს, ქართველთა პოლიტიკური და კულტურული დომინაციის დროს? ასეთ შემთხვევაში ეთნოლინგვისტურ ურთიერთობათა კიდევ ერთ საინტერესო ასპექტს დავადასტურებდით (შდრ., ერთი მხრივ, თურქულიდან ქართულში შემოსული „ოდა“/„ოდა-სახლი“ და, მეორე მხრივ, ქართული „სახლიდან“ წარმომდგარი რუსული „са́мля“, ჩრდილოკავკასიელ მთიელთა სახლების აღმნიშვნელი ტერმინი).

სიტყვათა ურთიერთსესხების თვალსაზრისით საინტერესოა ქართულ მატრიანებში დამოწმებული მიწისქვეშა ანისის სომხური სახელწოდება „ქარტუნი“ და მისი ქართული ექვივალენტი „ქუა_



სურ. 60. ხნძორეკსი.
„ქართველის“ წარწერა

ბონი“.⁷⁵⁷ ეს ის შემთხვევაა, როდესაც დომინანტი ერი მასზე დამოკიდებული ერებისგან ითვისებს ლექსიკურ ერთეულებს. ქართველ მწიგნობართა წრეებში ტერმინი „ქარტუნი“ ანისის ქართული მოსახლეობისგან გავრცელდებოდა.

* * *

მულტიკულტურულ ანისში ქართველები მნიშვნელოვან თემს ქმნიდნენ.⁷⁵⁸ ისინი სხვა ქრისტიანებთან თუ მაჰმადიანებთან გვერდიგვერდ ცხოვრობდნენ და მათთან ერთად ქალაქის განუმეორებელ იერსახეს ქმნიდნენ. მოსახლეობის უმრავლესობას, ცხადია, სომხები შეადგენდნენ.⁷⁵⁹ ანელის სამწყსოს ძირითად ნაწილსაც სომეხი დიოფიზიტები წარმოადგენდნენ. მრევლი, უმთავრესად, სომეხი მონოფიზიტების წრიდან ივსებოდა (იხ. ზევით). ეს პროცესი არც მონღოლთა ბატონობისას შეფერხებულა; შესაბამისად, იზრდება აგებული-გადაკეთებულ დიოფიზიტურ ეკლესიათა რიცხვიც.⁷⁶⁰

აღნიშნული მოვლენის გლობალური არსი კარგად შენიშნა ნ. ბერძენიშვილმა: „და როდესაც ქართული სტილით და ქართული წარწერებით ეკლესიები შენდებოდა სომხეთში ... ან დაღესტანში ... ან ოსეთ-ალანებში ... ამას აშენებდნენ არა ქართველი მისიონერები, არა საქართველოს სამეფო ხელისუფლება, არამედ ადგილობრივი ფეოდალური საზოგადოება, რომელიც ამ ნიშნით ქართველობას იჩენებდა. მაგრამ მათ ამ ქართველობაში ახლა უკვე უპირველეს

ყოველისა ქართული ფეოდალური კულტურა იგულისხმებოდა...“.⁷⁶¹ ქართული ეკლესიის გავლენით ანისში მართლმადიდებლობა სწრაფად ვრცელდებოდა – 1218 წლისთვის, საქართველოს სამეფოსთან შეერთების თითქმის ოცი წლის თავზე, სომეხთა ყოფილ სატახტო ქალაქში რამდენიმე მართლმადიდებლური საგანე მოქმედებდა; ზოგი მათგანი ახლად დაარსებული იყო.⁷⁶² ანისის ქართველობა და სომეხი დიოფიზიტები ან ახალ ტაძრებს აგებდნენ ან ძველ, მონოფიზიტურ საყდრებს ეუფლებოდნენ, მართლმადიდებლური კანონიკით სახეს უცვლიდნენ და ხელახლა აკურთხებდნენ.⁷⁶³ ნ. მარის ეს დებულება, ზოგადად, მისაღებია; თუმცა ცალკეულ ეკლესიათა მაშინებლების კონფესიური ვინაობის საკითხი სამეცნიერო ლიტერატურაში დღესაც საკამათოა.⁷⁶⁴

ეკლესია-მონასტრები დიდძალ ყმა-მამულს ფლობდნენ. წმ. გრიგოლის ეკლესიის ქონება მიმოფანტული იყო როგორც ანის-შირაკში, ისე მეზობელ პროვინციებში.⁷⁶⁵ ტიგრან ჰონენცის შეწირულობათა ჩამონათვალში საინტერესოა „ერთი ვენახი წმაკს, კათალიკოსის მიწად წოდებული“.⁷⁶⁶ „კათალიკოსის მიწა“ თუ სომხური ეკლესიის საკათალიკოსო მამულს გულისხმობს, მაშინ ამ უკანასკნელის ხარჯზე ქართული ეკლესია-მონასტრების მიწათმფლობელობის გაფართოების ფაქტს დავადასტურებდით (სურ. 59).

ქართული ეკლესიის პოზიციების განმტკიცებისა და დიოფიზიტობის გავრცელების კვალდაკვალ იცვლება ანისის კულტურული ლანდშაფტიც. პირველ ყოვლისა, ეს საეკლესიო ხუროთმოძღვრებასა და მის მამკობ ფრესკებში აისახა.⁷⁶⁷

სწორედ ანისის კულტურულმა მემკვიდრეობამ ათქმევინა ვ. ბარტოლდს, რომ ქართველ ხელისუფალთა მფარველობის წყალობით დიოფიზიტობამ ანისში გაბატონებული მდგომარეობა მოიპოვა.⁷⁶⁸ ამ ფაქტს სომხური ისტორიოგრაფია დუმილით უვლის გვერდს,⁷⁶⁹ მკვლევართა ნაწილი კი ტენდენციურად შენიშნავს: რომ არა ქართველ და სომეხ მემკვიდრეთა ჩვენებანი, ლაპარაკი ქართველთა რაიმე გავლენაზე ანისში შეუძლებელი იქნებოდა.⁷⁷⁰

ანთროპონიმები და ეთნოკულტურული ისტორიის ასპექტები

მცდარი იქნებოდა გვეფიქრა, რომ ეთნოკულტურული პროცესები ქართველთა უპირობო დომინირების ნიშნით მიმდინარეობდა. განსხვავებული ეთნოსები და რელიგიები სრულიად სხვადასხვაგვარად ურთიერთზემოქმედებდნენ. მრავალპლანიან ურთიერთობათა ერთ-ერთ მხარეს ანის-შირაკის ონომასტიკა წარმოაჩენს.

ჟ.-პ. მაე პირველი იყო, ვინც ტიგრან ჰონენცის მამის სახელში (სულემა სმბატორენც) ქართული ძირები დაინახა. მისი აზრით, ნათესაობითი ბრუნვის მრავლობითი რიცხვის ფორმით წარმოდგენილი *ՏԱԲԱՏԱՐԻՆԸ* ქალის ხაზით შთამომავლობაზე მიანიშნებს. მატრონიმში გამოიყოფა *-աւր* მაწარმოებელი, რომელიც სრულიად უცხოა სომხური ონომასტიკისთვის, სამაგიეროდ მსგავსებას პოულობს ამავე სუფიქსით ნაწარმოებ ქართულ სახელებთან: ლატავრი, გურამავრი და სხვ. ამიტომ მკვლევარი ვარაუდობს, რომ ტიგრანის

მამის დედა ან დიდდა ქართველი უნდა ყოფილიყო.⁷⁷¹

ასევე საგულისხმოა ბაგნაირის მონასტრის ღმრთისმშობლის ეკლესიის ნართექსის დასავლეთ კედელზე 1201 წელს შესრულებული შეწირულობის საბუთი, რომელშიც იხსენიება ვინმე მხითარი, ძე დგვალისა (Մխիթար որդի Դըսպին).⁷⁷² ჩვენთვის საინტერესოა შემწირველის მამის სახელი, რომელიც ჰ. აჭარიანს არაბული დოვლათიდან გამოჰყავს.⁷⁷³

საქართველოს კავკასიურ სახელმწიფოში აღმოსავლური Dawlay-დან ნაწარმოები გვარსახელების უადრესი ნიმუშები დავლაძე, დავლაეთი ტბეთის სულთა მათიანეში გვხვდება.⁷⁷⁴ ისინი დამოწმებულია ძეგლის უძველეს ფენებში, რომლებიც XII-XIII საუკუნეებითა და XIII საუკუნით თარიღდება.⁷⁷⁵ XIII საუკუნის ბოლოდან ის რთული შედგენილობის საკუთარ სახელთა კომპოზიტადაც ვრცელდება: ჟამთააღმწერელის თხზულებაში დასახელებულია დავით VIII-ის თანამედროვე სამადავლა ერისთავი.⁷⁷⁶

სომხურ გარემოში, ჰ. აჭარიანის ლექსიკონის მიხედვით, „დოვლათ“ საკმაოდ გავრცელებული ანთროპონიმია XIV საუკუნის ბოლოდან; ამასვე უწინარეს, კერძოდ, XIII საუკუნის პირველ ნახევარში, დავლა/დოლა მხოლოდ რამდენიმე პირს ერქვა: მხითარის მამას და ხაჩენის მთავრებს.⁷⁷⁷ ვარდანის ცნობით, ვახტანგ ხაჩენელს ჰყავდა ორი ვაჟი, ჰასანი, რომელსაც მოფერებით ჯალალ-დავლას (Ջալալույა/Ջալալասույալ) ეძახდნენ და ბაქარია, იგივე ნასრადავლა (գճաբալէ՝ որ և Նասրադույա/ Նասրասույալ).⁷⁷⁸ გეტის სახარების გადამწერი (1232 წ.) ასახელებს „კეთილმსახურ მთავრებს ჯალალს, ბაქარიასა და ივანეს“.⁷⁷⁹ განძასარის 1240 წლის წარწერაში ჰასანი თავის თავს ხან ჯალალ დავლა ჰასანს (Ջալալ Դավալ Հասանն), ხან ბარონ ჰასანს უწოდებს, ხოლო ძმას – ბაქარიას ან დავლას (Դավին).⁷⁸⁰ დიდ ჯალალ დავლად (մեծին Ջալալ Դավին) მოიხსენიებს მას ტარსა-იჭ ორბელი.⁷⁸¹ იმავე საუკუნეში დავლა/ტოვლა კომპოზიტად გვხვდება ანთროპონიმებში ალადოვლე (Ադադուլէ, ჰორომოსი, 1247 წ.)⁷⁸² და არამ აიტოვლე (Արամ Այտուլէ, ჰორომოსი, 1285 წ.).⁷⁸³ კარგად ჩანს, რომ სომხურ ენობრივ გარემოში, კერძოდ კი, ანის-შირაკში, ძლიერია დავლას გავლენის მქონე დოლა/დოვლა/ტოვლა-თი⁷⁸⁴ ჩანაცვლების ტენდენცია. ბაგნაირში გახალხურებული დავლა დულუს/დოვლოს/Դուլու-ად ითქმოდა; ასე რქმევია ადგილობრივი გლეხის, ხაჩატურის სიმამრს (1262 წ. წარწერა-საბუთი).⁷⁸⁵

ყველა დამოწმებული, ისევე როგორც უფრო გვიანდელი, XIV-XVI საუკუნეების, ფორმისგან Դըսպին განზე დგას. მოტანილი მაგალითები იმასაც ცხადყოფს, რომ „დავლა“, ერთი თუ ორი შემთხვევის გარდა, დამოუკიდებელ ანთროპონიმს არ წარმოადგენდა. ის შეიძლება კომპოზიტად დართვოდა მამაკაცის სახელს (ალერსობითი დანიშნულებით, როგორც თანადროული წყარო აღნიშნავს), ან საერთოდ არც ყოფილიყო.⁷⁸⁶ ამ ნიშნით ის განსხვავდება მხითარის მამის სახელისგან, რომლის დაწერილობაშიაც მეორე გრაფემად გამოყენებულია თანხმოვანთგამყარი ხმოვანი ը (გ). სომხური ენის გრამატიკიდან ცნობილია, რომ „იგი თუმცა იწერება მხოლოდ განსაზღვრულ შემთხვევებში, მაგრამ გამოითქმის ყველგან, სადაც

სურ. 61. ანისის ნაქალაქარის
ცენტრალური ნაწილის ხედი
აღმოსავლეთიდან





თანხმოვნები თავს მოიყრის. ძნელი სათქმელია, როგორ უნდა ყოფილიყო ძველად, მაგრამ თანამედროვე სალიტერატურო სომხური და ყველა მისი დიალექტი ასეთ გამოთქმას უგამონაკლისოდ იცავს: ცალად დარჩენილ თანხმოვანს ყოველთვის ამოუდგება გვერდით გამოთქმაში *ը*, თუმცა არ იწერება; მაგ.: ძველშიც და ახალშიც იწერება *ანაჲ* „დარჩენა“, გამოითქმის *ანაჲ... იწერება ასე* „ნათლისმცემელი“, გამოითქმის *ანაჲ...⁷⁸⁷* ძველ სომხურში მსგავს მოვლენაზე უნდა მიანიშნებდეს *ანაჲ*-ისა და *ანაჲ*-ის პარალელური ხმარება XIII საუკუნის ავტორთან.⁷⁸⁸ ყოველივე ამის გათვალისწინებით მხითარის მშობლის სახელში შეიძლება ამოვიცნოთ *ანაჲ-ანაჲ*, ანუ ეთნონიმი „დვალი“. დვალები და დვალეთი კარგად ცნობილი ტერმინებია სომხურ ისტორიულ და გეოგრაფიულ ლიტერატურაში: *ანაჲ* გვხვდება „ამხარაგუცში“,⁷⁸⁹ *ანაჲ* – დავით ქობაირელის ანდერძ-მინაწერში,⁷⁹⁰ *ანაჲ* – ვარდანის „ისტორიაში“,⁷⁹¹ შერყვნილი *ანაჲ* (უნდა ყოფილიყო *ანაჲ*) – თოვმა მეწოფეცისთან.⁷⁹² უმრავლეს შემთხვევაში თანხმოვნებს *ან*-სა და *ან*-ს შორის ჩნდება ხმოვანი *ი*, რომელიც კომპლექსში „*ან*“-დ ხმოვნდება და, ამდენად, თანხმოვანთგამყრელის ფუნქციასაც ასრულებდა. ბაგნაირშიც წარწერის ამომკვეთმა მხითარის მამის სახელი ისე დაწერა, როგორც გამოთქვამდა.

როდის და რა ვითარებაში გასომხდა დვალი, ძნელი სათქმელია. ის თუ მისი წინაპარი, შესაძლოა, გიორგი III-ის თანამოლაშქრეთაგანიც ყოფილიყო – ცნობილია, რომ დვალები კარგ მეომრებად ითვლებოდნენ და მეფე გიორგიც მათ დიდად ენდობოდა.⁷⁹³ ზოგი მათგანი სომხეთში (ანისში) დარჩებოდა და დროთა განმავლობაში დენაციონალიზაციის გზას დაადგებოდა.⁷⁹⁴ ეთნონიმის ანთროპონიმად გადაქცევა უჩვეულო მოვლენას არ წარმოადგენდა – ქვემო ქართლში, ხნძორეთში, სომხებით დასახლებულ სოფელში, პირის სახელად დამოწმებული გვაქვს „ქართველი“ (*ილიქსი დარხიქი ანაჲ* *ანაჲ* *ანაჲ*) 1213 წლის ეპიგრაფიკულ ძეგლში.⁷⁹⁵ ეს ქართველი და მისი ძენი, ჩვეულებრივ, დიოფიზიტებად მიანიჭათ,⁷⁹⁶ თუმცა ეკლესიის ქტიტორებთან ერთად სარკავაგ ვარდაპეტის – ცნობილი სასულიერო მოღვაწის, მხითარ გოშის მოსწავლისა და გეტიკის მონასტრის წინამძღვრის⁷⁹⁷ – დასახელება იმის მანიშნებელია, რომ გრიგორისა და სარგისის მამა ქართველყოფილია, რომელმაც გარკვეულ გარემოში (სომხურში) ჯერ სარწმუნოება შეიცვალა (მონოფიზიტობაზე მოექცა) და მერე ენაც დაკარგა (სურ. 60).

ეს ორიოდე მაგალითიც კარგად აჩვენებს, რომ ეთნო-კულტურული დინებები ანისში მრავალმხრივი ყოფილა.⁷⁹⁸ მხითარ გოში დაუფარავად აცხადებს, რომ არა მხოლოდ ქართველები ნათლავდნენ ხელმეორედ სომხებს, არამედ სომხებიც გადანათლავდნენ ქართველებს.⁷⁹⁹ რამდენად ხშირი იყო დიოფიზიტების მონოფიზიტობაზე გადასვლის შემთხვევა, ძნელი სათქმელია. საინტერესო ისაა, რომ ეს ყველაფერი საქართველოს სამეფოს ძლიერების ზენიტში ხდებოდა. პოლიტიკური ბატონობის მიუხედავად ქართული სახელმწიფო, ჩანს, პროზელიტიზმის ამგვარ გამოვლინებებსაც (დიოფიზიტების გამონოფიზიტებას) იწყნარებდა.

აღნიშნული პროცესი მომდევნო საუკუნეებშიც გრძელდებოდა, განსაკუთრებით სომხური პროვინციების საქართველოს სამეფოსგან ჩამოცილების შემდეგ. მხარგრძელთა სამფლობელოებში (შირაკი, ამბერდი) ქართველთა ჩასახლებისა და დენაციონალიზაციის პროცესმა ასახვა ჰპოვა ზაქარია ქანაქერცის ნახევრადლეგენდარულ გადმოცემებში მისი ქართული წარმომავლობის შესახებ.⁸⁰⁰

საეკლესიო ცენტრის მოშლა ანისში

პოლიტიკური ცვლილებების მიუხედავად, მცხეთის საკათალიკოსო XVI საუკუნის დასაწყისშიც ინარჩუნებდა თავის იურისდიქციას ანისზე.⁸⁰¹ ამისი ერთ-ერთი მიზეზი ანი-შირაკში ქართული მოსახლეობის მკვიდრობა უნდა ყოფილიყო. ზემოთ მოტანილ იქნა ევლია ჩელეების უთუმცაო ჩვენება XVII საუკუნეში შორაგელის ციხესთან ქართველთა დასახლების არსებობის შესახებ. კიდევ უფრო საინტერესოა ოფიციალური თურქული ისტორიოგრაფიის მიერ ანის-შირაკის ქართულ პროვინციად აღიარება. ევლიას თანახმად, „მაღაზბერდის ციხე: ძველი კანონის მიხედვით საქართველოს მიწაზე, ყარსის ვილაიეთის მბრძანებლობის ქვეშ მირ-ლივას სადგომი ადგილი იყო... ციხის ძირას არფა-ჩაჲ მიედინება. ეს მდინარე საქართველოს მხრიდან მოდის... ეს მაღაზბერდის ციხე სპარსელთა შურაგელის ციხის მიწაზეა...“;⁸⁰² იმავე ავტორის სხვა ჩვენებით „შურაგელის ძველი ... ციხე დანგრეულია. სამასი სახლი აქვს. რადგანაც მისი ნაჭიების უმრავლესობა არფა-ჩაის გაღმა მდებარეობს, ერევნის მფლობელობაშია. აქეთა ნაპირი მთლიანად ყარსის საბრძანებელშია. ესეც საქართველოდანაა“.⁸⁰³ თურქი ისტორიკოსი განმარტავს კიდევ თავის ისტორიულ-გეოგრაფიულ კონცეფციას: „მდინარე არეზისა (არაქსის – გ.ჭ.) და ზანგის (რაზდანის – გ.ჭ.) ჩრდილოეთით ორმოცი დღის სავალი კავკასიის მთების ჩათვლით, ხაზართა ზღვამდე (კასპიის ზღვამდე – გ.ჭ.) დაღისტნად და საქართველოდ ითვლება“.⁸⁰⁴ ცხადია, ევლია ჩელეები გადმოსცემს XII-XIII საუკუნეების მიჯნაზე ისლამურ სამყაროში შემუშავებულ პოლიტიკურ-გეოგრაფიულ ფორმულას, რომელიც საუკუნეთა მანძილზე ცოცხლობდა მახლობელი აღმოსავლეთის იმპერიებში.

მაგრამ სად მდებარეობდა ქართული სამწყსოს ცენტრი? რჩებოდა ის კვლავ ქალაქ ანისში თუ იცვალა მდებარეობა? ან როგორ წარიმართა მთლიანად სამწყსოს ბედი? განაგრძობდა ცალკე ეპარქიად არსებობას თუ დროდადრო რომელიმე კათედრასთან ერთიანდებოდა?⁸⁰⁵ კითხვის დასმა სავსებით კანონზომიერია იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ გაცილებით უფრო ძლიერი ანისის სომხური ეპარქია ცენტრებისა და საზღვრების ცვლილებას განიცდის (სურ. 61).

ზემოთ დავინახეთ, რომ XIV საუკუნის დასაწყისისთვის ანისის სომხური საეპისკოპოსო ანბერდსაც მოიცავდა. XIII საუკუნის პირველ ნახევარში ამბერდსაც და ანისსაც საკუთარი ეპისკოპოსები ჰყავდა,⁸⁰⁶ ამდენად საზღვრების აღმოსავლეთით განვრცობა შედარებით გვიანდელ მოვლენას წარმოადგენდა. ორი საეპისკოპოსოს გაერთიანება გამოწვეული უნდა ყოფილიყო, ერთი მხრივ, ანისის

ეკონომიკური და დემოგრაფიული კრიზისით (მოსახლეობის შეთხელებით), ხოლო, მეორე მხრივ, ჰოვანავანქის პრესტიჟის ამაღლებით, რაც, ნაწილობრივ, იქ ბაგრატიონთა ალასტანელი შტოს დამკვიდრებითაც⁸⁰⁷ შეიძლებოდა ყოფილიყო გამოწვეული.

თემურ-ლენგის გამანადგურებელი ლაშქრობებისა და თურქმანთა თარეშის შედეგად ანისის ეპისკოპოსის რეზიდენცია, როგორც 1426 წლის ჰიშატაკარანიდან ჩანს, დროებით თმოგვში ინაცვლებს.⁸⁰⁸ საეკლესიო ცენტრის საქართველოს სამეფოს (ყოფილი) პერიფერიებიდან შუაგულისკენ, შედარებით უფრო მშვიდობიან და უკეთ დაცულ ჯავახეთში, გადასვლა კარგად ეწერება მაჰმადიანთაგან დარბეული სომხური მოსახლეობის ქართულ მიწა-წყალზე მიგრირების საერთო კონტექსტში.⁸⁰⁹ საინტერესოა, რომ თმოგვის ციხის მიდამოებში საფლავებზე შემორჩენილი მემორიალური ხაჩქარების სომხური წარწერები 1356-1425 წლებს შორისაა შესრულებული.⁸¹⁰ ანისის ეპისკოპოსის თმოგვში დამკვიდრება იმის მანიშნებელია, რომ ჯავახეთში მიგრანტთა შორის ანის-შირაკელებიც უნდა ყოფილიყვნენ.⁸¹¹

1485 და 1585 წლებით დათარიღებულ ხელნაწერებში ჰორომოსის წინამძღვარი ეპისკოპოსად მოიხსენება; ასევე, თითქოს, ჰორომოსის ერთი ფრაგმენტული ლაპიდარული წარწერის მიხედვითაც.⁸¹² ეს ეპისკოპოსი, ცხადია, შირაკის მღვდელმთავარია;⁸¹³ რეზიდენციის ანისის კათედრალიდან ჰორომოსში გადმოტანა კი ანისის დაცემის (მაჰმადიანთა აგრესია, მოსახლეობის ძალდატანებითი თუნებაყოფლობითი აყრა-გადასახლება) უტყუარი ნიშანია. 1606 წლის ანდერძ-მინაწერში ანისი ქალაქად იხსენიება,⁸¹⁴ რეალურად კი ნანგრევებად ქცეული ნაქალაქარი იგულისხმება.⁸¹⁵

ცვლილებები სომხეთის საეკლესიო გეოგრაფიაში სხვა მხრივაც შეინიშნება. ანის-შირაკის მწყობა ჰოვანავანქის მონასტერმა დაიჩიმა. XVII საუკუნის სომეხ სასულიერო მოღვაწეებს უკვე ეჭვიც არ ეპარებოდათ, რომ ტერიტორია ერასხაძორიდან მდ. რაზდანამდე, ანუ, არშარუნიქი, შირაკი, ამბერდი, ჰოვანავანქის მონასტრისთვის ყოფილა განკუთვნილი თვით წმ. გრიგოლის მიერ.⁸¹⁶ ბაქარია ქანაქერცისთან დაცული ჩვენების თანახმად, ქასალს და ყიფჩაღს შორის მდებარე მიწები ჰოვანავანქის ეპარქიაში შედიოდა, ხოლო შირაკავანსა და მარმარაშენს ერთდროულად მარმარაშენისა და ჰოვანავანქის მონასტრები მწყემსდნენ.⁸¹⁷ ამ უკანასკნელის სასარგებლოდ შირაკავანიდან სხვადასხვა გადასახადი იკრიფებოდა.⁸¹⁸

ამ მოვლენათა ფონზე ანელის მართლმადიდებლური სამწყსოს ბედ-იღბლის გარკვევაც საინტერესო იქნებოდა სომხურ მიწებზე საქართველოს საეკლესიო გეოგრაფიის სრული სურათის წარმოსადგენად.

საქართველოსგან მოწყვეტილ ანისში ძლიერდებოდა თურქმანული მოსახლეობა, ქართველობა ნელ-ნელა ილეოდა, სომეხი დიოფიზიტებიც მონოფიზიტობას უბრუნდებოდნენ. მრევლის გაქრობასთან ერთად საქართველოს ეკლესიამაც დაკარგა ეს მხარე. როდის გაუქმდა ანისის საეპისკოპოსო, ზუსტად ცნობილი არ არის. ანელს, სამცხე-საათაბაგოს სხვა მწყემსმთავრებთან ერთად, ახსენებს არქანჯელო ლამბერტი (XVII საუკუნის 30-იანი წლები);⁸¹⁹ მაგ-

რამ იტალიელი მისიონერის ცნობები მეტად არეულია და ჭირს იმის თქმა, ის თანადროულ ვითარებაზე საუბრობს თუ ზეპირი, არცთუ ზუსტი, ტრადიციით ხელმძღვანელობს.⁸²⁰ მისი თანამედროვე ევლია ჩელები ანისში ასახელებს პატარა დანგრეულ ციხეს, ხოლო საკუთრივ ციხეში – „ერთ კეთილნამენ დასახლებას“ სომხებისა,⁸²¹ ანუ ქართველთა და მათი ეპისკოპოსის ადგილი იქ არაა; კიდევ მეტი, XVII საუკუნის ანისში, როგორც დავინახეთ, სომხური საეპისკოპოსო საყდარიც კი მოშლილია. ანელს არც ვახუშტი ბატონიშვილი და იოანე ბაგრატიონი ასახელებენ. ანელის კათედრა, სავარაუდოდ, XVI საუკუნეში უნდა გაუქმებულიყო.

შენიშვნები

- 1 ისტორიანი და აზმანი 1959: 8; ჯაფარიძე გ. 1995: 232-233; შდრ. ჯავახიშვილი 1983: 304-305.
- 2 ისტორიანი და აზმანი 1959: 6; ბასილი ეზოსმოძღვარი 1959: 130.
- 3 ისტორიანი და აზმანი 1959: 6-9.
- 4 ნიკოლოზ გულაბერისძე 2007: 70.
- 5 საინტერესოა კირაკოს განძაკეცის ცნობა (Кириакос Гандзакеци 1976: 195), რომ ქართველთა სამეფოში ინახებოდა თრდატ დიდის მამის, მეფე ხოსროვის საუცხოო გვირგვინი. იხ. აბდალაძე 1988: 125-126.
- 6 იხ. Eastmond 1994: 283-293; Eastmond 1998: 63-71, 181-184.
- 7 ისტორიანი და აზმანი 1959: 7.
- 8 ცხორებად მეფეთ-მეფისა დავითისი 1992: 209. შდრ. დავით აღმაშენებელზე თქმული „განმადიდებელ ფლობისა, ვითარცა ავღუსტოს კეისართა შორის... სახის-დასაბამ უცთომელისა ქრისტეანობისა, ვითარცა დიდი კოსტანტინე თვთმპყრობელთა შორის“ (დოლიძე ი. 1970: 125).
- 9 ისტორიანი და აზმანი 1959: 10.
- 10 XI საუკუნის მეორე ნახევარში შექმნილი კონცეფცია კავკასიური სამყაროს ერთიანობას შესახებ, XII საუკუნის საქართველოს მესვეურთა კავკასიური პოლიტიკის იდეოლოგიურ საფუძვლად გადაიქცა. ქართველი ბაგრატიონები, სელჩუკიანებისგან საპირისპიროდ, მოძმე სომხეთსა (ანისს) და შარვანს თურქთაგან მიტაცებულ ქვეყნებად თვლიდნენ და იარაღით ათავისუფლებდნენ „მწარე მონობისაგან“ (ბერძენიშვილი ნ. 1990: 346; მუსხელიშვილი 2014ა: 110).
- 11 მათე ურჭაელი 1966: 249.
- 12 Кириакос Гандзакеци 1976: 119-120; ჯავახიშვილი 1983: 301-302; ჯაფარიძე გ. 1995: 88-89, 169-170.
- 13 მათე ურჭაელი 1966: 249; Кириакос Гандзакеци 1976: 119-120; ჯავახიშვილი 1983: 301-302; ჯაფარიძე გ. 1995: 88-89, 169-170.
- 14 ჯუვეინი 1974: 28-29.
- 15 ал-Хусайни 1980: 57; ჯაფარიძე გ. 1995: 223.
- 16 პრობლემის შესწავლისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გ. მაისურაძის შრომები. ამავე საკითხს ეხება ჩვენი წერილები: ტეიშვილი გ. 2012; ტეიშვილი გ. 2013ა; ტეიშვილი გ. 2013ბ.
- 17 ასწლოვანი მათიანე 1987: 97.
- 18 ლეონტი მროველი 1955: 45.
- 19 ისტორიანი და აზმანი 1959: 7.
- 20 ცხორებად მეფეთ-მეფისა დავითისი 1992: 198.
- 21 ასწლოვანი მათიანე 1987: 56.
- 22 იქვე, 71.
- 23 ბერძენიშვილი ნ. 1990: 101.
- 24 ცხორებად მეფეთ-მეფისა დავითისი 1992: 197.
- 25 ბერძენიშვილი ნ. 1990: 118-139; მუსხელიშვილი 1980: 86-118.
- 26 Меликишвили 1960: 425; **ურხაყან** 1963: 74; Арутюнян 2001: 504.
- 27 კლავდიოს პტოლემეაიოსი 1955: 49, 61.
- 28 **ურხაყან** 1963: 74; Ašxarhac'oyc' 1992: 214.
- 29 P'awstos Buzand 1989: 81, 111; Łazar P'arpec'i 1991: 176, 178, 180 და შემდ.; Адоиц 1971: 300-301.
- 30 მოვსეს ხორენაცი 1984: 202; P'awstos Buzand 1989: 149, 173-176. ერვანდაშატი მდებარეობდა ახურია-ნისა და არაქსის შესართავთან, ბაღჩალარისა და ხერბეკლუს ადგილას (**ურხაყან** 1963: 51). არტაგერსას ზუსტი ადგილმდებარეობა უცნობია (იხ. P'awstos Buzand 1989: 447-448). ვარდანის ცნობით, კაპუტის ციხეს არტაგერეცი ეწოდებოდა (**ქარაყან** 1960: 25).
- 31 P'awstos Buzand 1989: 149.
- 32 Step'anos Tarōnec'i 2017: 167.
- 33 Орбели 1963: 515, 521.
- 34 Hewsen 2011: 31. მავრიკოპოლისისა და დღევ. მეგრაკის იგივეობის შესახებ იხ. Honigmann 1935: 215; **ურხაყან** 1963: 65; Ašxarhac'oyc' 1992: 214; Hewsen 2001: 90.
- 35 **სიქუნ** 1989: 136.
- 36 Łazar P'arpec'i 1991: 174-175.

- 37 იქვე.
- 38 Greenwood 2004: 81-82, 84-85; ვარდანი 2002: 88; P'awstos Buzand 1989:490.
- 39 ვარდანი 2002: 102.
- 40 Abraham de Crète 1876: 331.
- 41 Манандян 1985: 153.
- 42 Greenwood 2011: 58.
- 43 Matevosyan 2015: 17.
- 44 საამისო ცნობებს წყაროებში არაერთხელ ვხვდებით; მაგ.: 890 წ. აშოტ ბაგრატიონი „გარდაიცვალა გზაზე, ფუნდუკში, ქარსპარად წოდებულ კლდოვან ადგილას“ (იოანე დრასხანაკერტელი 1965: 42), 1036 წ. მეფე სმბატმა ჰორომოსის მონასტერს შესწირა სამეფო სოფელი საჭარუნიქი კამაროვანით (ქარვასლით) და ფუნდუკით (Karapetyan, Mahé 2015: 401-402).
- 45 არისტაკეს ლასტივერტეცი 1974: 50-51.
- 46 აბდალაძე 2005: 29.
- 47 არისტაკეს ლასტივერტეცი 1974: 44; Matthew of Edessa 1993: 23.
- 48 არისტაკეს ლასტივერტეცი 1974: 67.
- 49 იქვე, 71.
- 50 გიორგი კედრენე 1963: 61.
- 51 იქვე, 59-60.
- 52 იქვე, 59.
- 53 იქვე, 62, 65.
- 54 მათე ურჰაელი 1966: 246.
- 55 Վարդան 1862: 120; Vardan Arewelc'i 1989: 203; შდრ. ვარდანი 2002: 140.
- 56 მხითარ გოში 1968: 49.
- 57 ვარდანი 2002: 142; Վարդան 1862: 122.
- 58 იქვე, 95.
- 59 იქვე.
- 60 Վարդան 1960: 15, 28.
- 61 Step'anos Tarōnec'i 2017: 227; Սամուէլ Անեցի եւ շարունակողներ 2014: 173; Киракос Гандзакечи 1976: 80.
- 62 აბდალაძე 2005: 34.
- 63 Ստեփաննոս Օրբէլեան 1859, II: 64.
- 64 Վարդան 1960: 15.
- 65 Սամուէլ Անեցի եւ շարունակողներ 2014: 206.
- 66 ვარდანი 2002: 148; Ստեփաննոս Օրբէլեան 1859, II: 127.
- 67 Օրբէլի 1966: 16; Киракос Гандзакечи 1976: 123.
- 68 Վարդան 1960: 28.
- 69 მოვსეს ხორენაცი 1984: 73.
- 70 იოანე დრასხანაკერტელი 1965: 105.
- 71 ცაგარეიშვილი 2012: 125.
- 72 ვახუშტის „ატლასში“ ორი პროვინციის გამყოფი ხაზი ამასის ზევითაა გატარებული (ვახუშტი ბაგრატიონი 1997: 34-35); ეს სოფელი შირაკის ქედის ჩრდილოეთით მდებარეობს. შირაკის ასეთი ევოლუცია სავესებით შესაძლებელია (იხ. აქვე, 47-72).
- 73 Շրենյան 1963: 73-74 და თანდართული რუკა; Hewsen 2001: 63, 76, 85, 100, 111, 115.
- 74 Գիրք Թղթոց 1901: 111.
- 75 Step'anos Tarōnec'i 2017: 172.
- 76 იქვე, 173.
- 77 Гевонд 1862: 9.
- 78 Թովմա Արծրունի եւ անանուն 2010: 113; Step'anos Tarōnec'i 2017: 202.
- 79 Step'anos Tarōnec'i 2017: 151, 213.
- 80 იქვე, 155.
- 81 Վարդան 1960: 14, 25-26. ასოლიკი ელიპატრუშ ნიგის გავარში ათავსებს (Step'anos Tarōnec'i 2017: 172).
- 82 Թովմա Արծրունի եւ անանուն 2010: 89.
- 83 Greenwood 2004: 86.
- 84 Օրბელი 1963: 517, 524.
- 85 Minorsky 1953: 90, 96; ჯაფარიძე გ. 1995: 76-78.
- 86 ვარდანი 2002: 150.
- 87 იქვე, 143, 149-150.
- 88 იქვე, 151.
- 89 იქვე, 131.
- 90 Սամուէլ Անեցի եւ շարունակողներ 2014: 173; Киракос Гандзакечи 1976: 79; Hewsen 2001: 115.
- 91 Վարդան 1960: 13, 15.
- 92 მუსხელიშვილი 1967: 115-116.
- 93 Minorsky 1953: 89; ვარდანი 2002: 146.
- 94 მხითარ გოში 1968: 49.
- 95 იხ. Хачатрян 1979; Хачатрян 1987: 25, 46, 166.
- 96 Хачатрян 1979: 196-197; Хачатрян 1987: 19, 166 (შდრ. იქვე, 25); ჯაფარიძე გ. 1995: 121.
- 97 Хачатрян 1987: 47.
- 98 შდრ. Hewsen 2001: 128.
- 99 Շրենյան 1963: 40.
- 100 ცხორებად მეფეთ-მეფისა დავითის 1992: 188; ისტორიანი და აზმანი 1959: 5, 16.
- 101 შდრ. მუსხელიშვილი 2016: 18-29; იხ. აგრეთვე, Hewsen 2001: 130.
- 102 Վարդան 1960: 15; შდრ. ვარდანი 2002: 124.
- 103 Saint-Martin 1819: 459, N. 37.
- 104 მათიანე ქართლისა 1955: 280, 297; ბასილი ემოს-მოდღვარი 1959: 129, 144; აბდალაძე 2005: 43.
- 105 ვარდანი 2002: 115, 156.
- 106 Վարդան 1960: 17, 28.
- 107 Matthew of Edessa 1993: 24.
- 108 იოანე დრასხანაკერტელი 1965: 160-162.
- 109 ბერძენიშვილი ნ. 1990: 120, 124.

- 110 იოანე დრასხანაკერტელი 1965: 117.
- 111 **ჯაკობი** 1956: 562.
- 112 ავტორის თანადროული ტერმინოლოგიის შესახებ იხ. აქვე, 61-64.
- 113 დოლიძე ი. 1970: 245; სურგულაძე, აბაშიძე 2016: 194.
- 114 მოვსეს ხორენაცი 1984: 236.
- 115 ცაგარეიშვილი 2012: 115-116; Sebeos 1999: 138-139.
- 116 აბდალაძე 2005: 30.
- 117 მათიანე ქართლისა 1955: 284; სუმბატ დავითის ძე 1955: 383; არისტაკეს ლასტივერტეცი 1974: 44.
- 118 აბდალაძე 2005: 69-71.
- 119 დაწვრილებით იხ. ჭეიშვილი გ. 2012: 35-37.
- 120 Аракел Даврижеци 1978: 71; Закарий Канакерци 1969: 47.
- 121 ქათობ ჩელები 1978: 138.
- 122 შენგელია 1987: 119.
- 123 ვოლკოვი, შენგელია 1989: 154.
- 124 ევლია ჩელები 1971: 312.
- 125 იქვე.
- 126 პაპუნა ორბელიანი 1981: 114.
- 127 **ხრესი** 1963: 52; Hewsen 2001: 331.
- 128 **ჯაკობი** 1956: 562; აბდალაძე 1978: 98.
- 129 ლეონტი მროველი 1955: 45.
- 130 ასწლოვანი მათიანე 1987: 97.
- 131 **სტეფანოსი სარინსი ასოქი**: 742, 826; Step'anos Tarōnec'i 2017: 215, 311; ცაგარეიშვილი 2005: 285.
- 132 **სტეფანოსი** 1851: 60, 117 (=Sebeos 1999: 12, 59); იოანე დრასხანაკერტელი 1965: 43; **სამოქ ანსი ხი ჯარიასლინი** 2014: 163, 166; **სიქსო ფანასსი** 1961: 77 (=Киракос Гандзакци 1976: 76); **ქაროან** 1862: 82, 86 (=ვარდანი 2002: 107, 111).
- 133 **სტეფანოსი ორქელსანი** 1859, II: 18, 32.
- 134 Эмин 1881: 62-63; Karapetian 2014: 33.
- 135 **სარქიუსი ა.** 1984: 131-132.
- 136 ვარდანი 2002: 96, 127 (=ქაროან 1862: 70, 105).
- 137 Sebeos 1999: 11-12, 59-60, 166-167, 199.
- 138 იქვე, 59-60.
- 139 იოანე დრასხანაკერტელი 1965: 43, 88, 105...; ვარდანი 2002: 111; Киракос Гандзакци 1976: 76; **სტეფანოსი ორქელსანი** 1859, II: 32.
- 140 ამ დაპყრობების შესახებ იხ. იოანე დრასხანაკერტელი 1965: 38, 42, 64, 224-225; ვარდანი 2002: 114-115; ჯავახიშვილი 1998: 472-473; ბერძენიშვილი დ. 1979: 68-71; მუსხელიშვილი 1980: 210-212; მუსხელიშვილი 2016: 11-13, vii.
- 141 Арутюнова-Фиданян 1996: 47-48.
- 142 ცაგარეიშვილი 2005: 285.
- 143 დარჩიაშვილი 2010: 163.
- 144 იქვე, 162.
- 145 Эмин 1881: 62-63; Karapetian 2014: 33.
- 146 Vryonis 1971: 24.
- 147 ტიგნისის ციხის შესახებ იხ. Thierry N. et. J.-M. 1965: 173; Dangles et Prouteau 2005-2007: 279-281.
- 148 ბაქრადისეულ და თაყაიშვილისეულ ნუსხებში იკითხება მალასბერეთი (Бакрадзе 1878: 81; თაყაიშვილი 2017: 216), რასაც ი. დოლიძე, სრულიად სამართლიანად, მალასბერდად კითხულობს (დოლიძე ი. 1970: 245).
- 149 Dangles 2015: 118-120, 125-128.
- 150 იქვე, 120-124.
- 151 იქვე, 124-125.
- 152 ცაგარეიშვილი 2012: 164-165.
- 153 Закарий Канакерци 1969: 118.
- 154 შდრ. Dangles 2015: 120.
- 155 **სარქიუსი ა.** 1984: 131.
- 156 მათიანე ქართლისა 1955: 300; ისტორიანი და აგმანი 1959: 7, 12-13.
- 157 ბერძენიშვილი ნ. 1979: 134; ბერძენიშვილი დ. 2014: 221.
- 158 ბერძენიშვილი დ. 2014: 112-114, 221.
- 159 **ჯაკობი** 1951: 25.
- 160 იქვე.
- 161 იქვე.
- 162 ბასილი ეზოსმოდვარი 1959: 126.
- 163 **სტეფანოსი ორქელსანი** 1859: II: 122-123.
- 164 იქვე, 163.
- 165 ქართველთა და სომეხთა მენტალობის კვლევა ტერიტორიის აღქმის ტრილში ფრიად საინტერესოა, თუმცა ამჯერად წინამდებარე ნარკვევის ფარგლებს სცილდება.
- 166 **ქაროან** 1960: 25; შდრ. Dangles 2015: 124.
- 167 Бартольд 1965: 329.
- 168 Закарий Канакерци 1969: 118.
- 169 იქვე, 270.
- 170 იქვე, 47.
- 171 Аракел Даврижеци 1978: 71, 351.
- 172 იქვე, 60.
- 173 Адонц 1971: 301.
- 174 ევლია ჩელები 1971: 314-315.
- 175 იქვე, 315.
- 176 იქვე, 311.
- 177 ჰასან რუმლუ 1966: 20, 25; ისქანდერ მუნში 1969: 17; Eskander Beg Monshi 1930: 932; იბრაჰიმ ფეჩევი 1964: 28.
- 178 Закарий Канакерци 1969: 119.
- 179 Hurewitz 1956: 21-23; ქათობ ჩელები 1978: 246; მუსტაფა ნაიმა 1979: 226.
- 180 ევლია ჩელები 1971: 311; მეჰმედ რაშიდი 1976: 22.

- მალასბერდის ციხეში გონულიანთა დანაყოფების შესახებ იხ. შენგელია 1987: 124-127.
- 181 ევლია ჩელები 1971: 312.
- 182 იესე ბარათაშვილი 1950: 57. ანისი, ციხის ნიშნის გარეშე, ვახუშტის რუკებზე გვხვდება.
- 183 ვოლკოვი, შენგელია 1989: 147-148 და შემდ.
- 184 იბრაჰიმ ფეჩევი 1964: 76; მუსტაფა ნაიმა 1979: 105.
- 185 Eskander Beg Monshi 1930: 858-859, 932.
- 186 ვახუშტი ბაგრატიონი 1997: 26-27, 36-41.
- 187 Пятиверстная карта Кавказского Края: Д8.
- 188 ვოლკოვი, შენგელია 1989: 150 და შემდ.
- 189 იქვე, 176.
- 190 იქვე, 231.
- 191 Цагарели 1898: 166.
- 192 შაჰ სულთან-ჰუსეინის 1695 წ. ფირმანი მედიქ სელიმს (ფუთურიძე 1962: 60-61).
- 193 ომან ხერხეულიძე 1989: 70, 94.
- 194 Берже 1866: 591.
- 195 Берже 1868: 572-574.
- 196 Агаян 1972: 313, 315.
- 197 იქვე, 615-617.
- 198 ПСЗРИ 1830: 642-643.
- 199 Агаян 1972: 604.
- 200 Берже 1875: 305; შდრ. იქვე, 327-329.
- 201 Акопян Т. 1985: 7-9.
- 202 მოვსეს ხორენაცი 1984: 73.
- 203 Колюбакин 1906: 13.
- 204 Мapp 1893б: 193-196.
- 205 ჩვენი მსჯელობა, უმთავრესად, სომხურ ეპიგრაფიკულ ძეგლებზე დამყარებული (Эмин 1881; **Оრქი** 1966; Karapetian 2014; Karapetyan, Mahé 2015); საინტერესო ცნობებია დაცული ზაქარია ქანაქერცის „ისტორიაშიც“ (Закарий Канакерци 1969: 239).
- 206 Берже 1868: 576.
- 207 Берже 1873: 829.
- 208 Mousheghian et al. 2000: 62, 132.
- 209 Колюбакин 1906: 13.
- 210 Ašxarhaç'oyc' 1992: 65.
- 211 Манандян 1985: 30-32, 86.
- 212 Greenwood 2004: 80-87.
- 213 Claudius Ptolemy 1932: 124.
- 214 Манандян 1950: 146-149.
- 215 Мapp 1934: 72.
- 216 Манандян 1985: 153, 196, 199.
- 217 **Орქი** 1966: 37.
- 218 Закарий Канакерци 1969: 239.
- 219 ფარსადან გორგიჯანიძე 1926: 5.
- 220 ამ გზის შესახებ იხ. Манандян 1985: 110-115; შდრ. ლომოური 1958: 107-110; Hewsen 2001: 70, 90.
- 221 ცაგარეიშვილი 2012: 125.
- 222 გავისენოთ, თუნდაც, კობხასთავის შეთქმულების ბოლო ეპიზოდში: „მივიდა დადიანიც ცოტენ ლაშქრითა მთასა ლადოსა, შორის სამცხესა [და გურიასა], რომელ არს რკინისჯუარი. და ... განვლო სამცხე და ჯავახეთი და მივიდა ანისსა“ (ასწლოვანი მათიანე 1987: 97-98).
- 223 ბერძენიშვილი დ. 1985: 84-85, 100-102.
- 224 ცაგარეიშვილი 2005: 280.
- 225 იქვე, 278. ბავაცძორი, ალბათ, იგივე ბოვაცძორია. ჰომომოსის 1266 წ. წარწერაში ნახსენებია ბოვაცძორის ხიდი; კონტექსტის მიხედვით, ანისიდან არცთუ შორს უნდა ყოფილიყო (Karapetyan, Mahé 2015: 466).
- 226 ლოლაშვილი 1983: 278, 286.
- 227 მათიანე ქართლისა 1955: 300.
- 228 იქვე, 303.
- 229 ცხორებად მეფეთ-მეფისა დავითისი 1992: 196-197.
- 230 მათიანე ქართლისა 1955: 300.
- 231 იქვე, 306-307; Matthew of Edessa 1993: 101-102; ალ-ჰუსეინი 1976: 189-191; Ibn al-Athīr 2002: 153-154; ვარდანი 2002: 124.
- 232 ჰასან რუმლუ 1966: 20, 25; ისქანდერ მუნში 1969, 17; ფარსადან გორგიჯანიძე 1926: 5.
- 233 ბერძენიშვილი ნ. 1966ა: 102.
- 234 იოანე დრასხანაკერტელი 1965: 161-162.
- 235 იქვე, 90.
- 236 იქვე, 103-104.
- 237 Step'anos Tarōnec'i 2017: 216.
- 238 შდრ. იოანე დრასხანაკერტელი 1965: 117.
- 239 იოანე დრასხანაკერტელი 1965: 104.
- 240 ბერძენიშვილი დ. 2014: 149.
- 241 Minorsky 1953: 87.
- 242 იქვე, 87, შენ. 2.
- 243 ისტორიანი და აზმანი 1959: 12-13.
- 244 Minorsky 1953: 93; ჯაფარიძე გ. 1995: 108.
- 245 ცხორებად მეფეთ-მეფისა დავითისი 1992: 205.
- 246 ისტორიანი და აზმანი 1959: 99-100.
- 247 იესე ბარათაშვილი 1950: 57.
- 248 ვახუშტი ბაგრატიონი 1973: 313-314.
- 249 ბერძენიშვილი დ. 2014: 125.
- 250 იქვე.
- 251 პაპუნა ორბელიანი 1981: 86-87, 89.
- 252 იქვე, 130.
- 253 იქვე, 98.
- 254 იქვე, 114-115.
- 255 Abraham de Crète 1876: 267.
- 256 Гамрекели 1991: 114.
- 257 Берже 1874: 167-168.
- 258 ტეიშვილი გ. 2013ბ: 247.

259 ბერძენიშვილი ნ. 1990: 304-305, 398-400.
 260 ცაგარეიშვილი 2005: 283.
 261 სუმბატ დავითის-ძე 1955: 382. აქვე შეიძლება დაგვეხსენებინა ანისის წმ. გრიგოლის ეკლესიის დასავლეთ ფასადზე, ფრონტონს ქვეშ არსებული წარწერის დ. ბაქრაძისეული წაკითხვა: „ძლევის ძალის მომც(ე)მ(ე)ლი. მეფე ბ(ა)გრატ, ლ(იპარი)ტ მწედ ტ(ი)გრან მ(ე)ფისა. ქრ(ონიკო)ნი სი (990 წ.)“. დ. ბაქრაძე თითქმის დარწმუნებული ყოფილა ბაგრატის სახელისა და ქორონიკონის ამოკითხვის სისწორეში. თანამედროვე მკვლევრები ეჭვს გამოთქვამენ გადმონაწერთან დაკავშირებით; კითხვებს ბადებს წარწერის შინაარსიც და პალეოგრაფიული ანალიზიც (Бакрадзе 1982: 89; კუდავა 2016: 104-113). ფილის დაზიანებები რომელიმე მოსაზრების უკრიტიკოდ გაზიარების საშუალებას არ იძლევა.
 262 არისტაკეს ლასტივერტეცი 1974: 44; ვარდანი 2002: 117.
 263 არისტაკეს ლასტივერტეცი 1974: 44.
 264 იქვე. ნ. მარს ეპიზოდი ანისის ტაძრის გაძარცვის შესახებ მერმინდელი ჩანართი ჰგონია (Март 1934: 126, прим. 81).
 265 შდრ. ცაგარეიშვილი 2005: 282.
 266 არისტაკეს ლასტივერტეცი 1974: 70.
 267 მათიანე ქართლისა 1955: 299. ბაგრატ IV-ს კავშირი ანელ დიდებულებთან სმბატის გარდაცვალებისთანავე დაუმყარებია (Matthew of Edessa 1993: 66; Юзнашян 1988: 162; Матевосян 1990: 50). ეს ეპიზოდი კარგად არის შესწავლილი ქართველ მკვლევართა მიერ (ივ. ჯავახიშვილი, ვ. კოპალიანი, მ. ლორთქიფანიძე, ვ. სამუშია).
 268 გიორგი კედრენე 1963: 61-65; Minorsky 1953: 53.
 269 Matthew of Edessa 1993: 66.
 270 გიორგი კედრენე 1963: 58-59; მათიანე ქართლისა 1955: 299.
 271 მათიანე ქართლისა 1955: 299, 300.
 272 იქვე.
 273 გამოთქმულია მოსაზრება, რომ ივანე დადიანი ოდიშის ერისთავთ-ერისთავი უნდა ყოფილიყო, ხოლო ივანე ერისთავი – სვანეთის (ბახტაძე 2003: 216-217, 234-235).
 274 შდრ. Юзнашян 1988: 168-169.
 275 დარჩიაშვილი 2010: 46; Орбели 1963: 444; **Բարխუդარյան** 2017: 97.
 276 Орбели 1963: 444; **Բարխուդարյան** 2017: 97. წარწერის ანალიზისთვის იხ. კეკელია, ტეიშვილი 2018.
 277 იხ. აქვე, 121-122.
 278 მარმაშენის წარწერა უთარილოა. კ. კოსტანეანცი და მასზე დაყრდნობით სხვა მკვლევრებიც 1033 წ.

ათარილებენ (**Կոստանեանց** 1913: 18; დარჩიაშვილი 2010: 46). თარიღი აბსოლუტურად პირობითია; ის სოსთენის მარმაშენის წინამძღვრად ხელდასმას უკავშირდება მხოლოდ (Закарийн Ханакерци 1969: 241; **Աճախյան** 1948: 572). 1033 წლისთვის კი ქართველთა მარმაშენში ყოფნა ნაკლებად სარწმუნო ჩანს.
 279 ლოლაშვილი 1983. ღრტილა მდებარეობდა არა არტანუჯთან (ჟორდანი 1892: 126, შენ. 2; კეკელიძე 1957: 95), ე. ი. კლარჯეთს, არამედ ჯავახეთში (ჯავახიშვილი 1983: 57; ბერძენიშვილი დ. 1985: 100). ღრტილას კრების თარიღის შესახებ იხ. კეკელიძე 1957: 95-99; შდრ. ჟორდანი 1892: 125-126 და მასზე დაყრდნობით Март 1905в: 22. კ. კეკელიძის მიერ შემოთავაზებული თარიღი, 1046 წ., რომელიც გაზიარებულია სამეცნიერო ლიტერატურაში (შდრ. სამუშია 1999: 103-106), ეყრდნობა „მატიანე ქართლისას“ შემდეგ ცნობას: ანისის დაკარგვისთანავე ბაგრატ IV-მ „დააგდო ტფილისი... და გავიდა ჯავახეთს... და მეფე დგა ღრტილას“ (მატიანე ქართლისა 1955: 300; კეკელიძე 1957: 98-99). ვფიქრობთ, ბიზანტიელთა აგრესიის მოლოდინში ბაგრატს ნაკლებად ეცლებოდა საეკლესიო კრების მოსაწვევად. ხელსაყრელი პირობები არც ანისში ბიზანტიელთა გაბატონების (1045 წ.) შემდეგ შეიქმნებოდა. ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ საქართველოს მეფე საზაფხულო რეზიდენციაში, ღრტილაში საეკლესიო კრებას ანის-შირაკის ფლობის პერიოდში (1045 წ-ის გაზაფხულ-ზაფხული, შეიძლება შემოდგომაც) მოიწვევდა.
 280 ლოლაშვილი 1983: 278.
 281 Greenwood 2011: 46-47, 62-63.
 282 ცნობილია, რომ IX საუკუნის ბოლოს ქვემო ქართლის დაპყრობამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სომეხ ბაგრატუნთა ტიტულატურის ჩამოყალიბებაში (ჯავახიშვილი 1998: 472): „სომეხთა და ქართველთა მთავარი/მთავართ-მთავარი“ (ცაგარეიშვილი 2005: 277), „სომეხთა და ქართველთა მეფე“ (**Մաթևոսյան Ա.** 1988: 59), „სომეხთა და ქართველთა შაჰან-შაჰი“ (**Օրբելի** 1966: 35, 48), „სომეხთა და ქართველთა მეფე და ტიგერაკალი“, „სომეხთა და ქართველთა მეფე და მრავალ გავართა მპყრობელი“ (Pseudo-Sapuh 1988-1989: 219). სომეხ მეფეთა ეს წოდებულება მეზობელ სახელმწიფოებშიც კარგად ყოფილა ცნობილი. ერთ არაბულ წყაროში ნათქვამია, რომ ჯურბანსა (საქართველოში/ქართლში) და სომხეთის სხვა ნაწილებში მეფობდა აშოტ იბნ აბასი, რომელიც შაჰანშაჰად იწოდებოდა (Minorsky 1953: 10).
 283 აბდალაძე 1978: 71-72, 122, შენ. 117.
 284 მიხეილ ატალიატე 1966: 24, 26, 31-32; გიორგი კედრენე 1963: 80-82; კეკავმენოსი 1963: 315; Vryonis 1971: 54,

- 85-86. საქართველოსთან დაკავშირებით იხ. მათიანე ქართლისა 1955: 303-305.
- ²⁸⁵ მათიანე ქართლისა 1955: 317.
- ²⁸⁶ Minorsky 1953: 21, 58.
- ²⁸⁷ მათიანე ქართლისა 1955: 317; ცხორებად მეფეთ-მეფისა დავითისი 1992: 158.
- ²⁸⁸ არისტაკეს ლასტივერტეცი 1974: 68.
- ²⁸⁹ ბერძენიშვილი დ. 1985: 126.
- ²⁹⁰ იოანე დრასხანაკერტელი 1965: 3; ვარდანი 2002: 101; **სთქიანნუ ორქიქანი 1859, I: 203.**
- ²⁹¹ სილოგავა, ახალაძე 2012: 52-53.
- ²⁹² იქვე.
- ²⁹³ შდრ. ბერძენიშვილი დ. 1985: 126. სტეფანოს ორბელიანი V საუკუნის II ნახ. ამბების თხრობისას იხსენიებს სოფელს **Լუთ** (**სთქიანნუ ორქიქანი 1859, I: 103**), რაც ჯავახეთის ერთ-ერთი სოფლის, ეშტიოს, სახელწოდებას მოგვაგონებს. ამ უკანასკნელს განური წარმომავლობის ტოპონიმებს მიაკუთვნებენ (ბერიძე გ. 1972: 191). ასეთ შემთხვევაში ეთნიკურ დიფუზიას ჩრდილოეთიდან სამხრეთით დავადასტურებდით, თანაც ისტორიის საკმაოდ ადრეულ ეტაპზე. ამასთან დაკავშირებით შეიძლება გავიხსენოთ, რომ ურარტული წარწერების მიხედვით საკმაოდ მჭიდრო კონტაქტები ჩანს ერიახის ტომებსა და ისტორიულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ პოლიტიკურ ერთეულთა და ტომთა კავშირებს შორის (გორდემიანი 2012: 94-98, 101, 105-109).
- ²⁹⁴ ს. ვრიონისის შენიშვნით, „the efforts of the Comnenoi and Lascarids to extirpate the nomads never attained the success the Georgian monarchs achieved“ (Vryonis 1971: 284).
- ²⁹⁵ მუსხელიშვილი 2016: 18-23, ix- xi.
- ²⁹⁶ ალ-ფარიკი 1985: 88; Minorsky 1949: 31-32.
- ²⁹⁷ მათე ურჰაელი 1966: 246; Matthew of Edessa 1993: 233.
- ²⁹⁸ ვარდანი 2002: 143.
- ²⁹⁹ ისტორიანი და აზმანი 1959: 5.
- ³⁰⁰ ჯაფარიძე გ. 1995: 102.
- ³⁰¹ საკითხისათვის იხ. მეტრეველი რ. 2002: 250-258; Метревели, Самушия 2015: 126-132; ჯაფარიძე გ. 1995: 88-89, 102-109, 113-116.
- ³⁰² მესხია 1979: 283; მეტრეველი რ. 2002: 439-468; აბდალაძე 2005: 82-85; ჯაფარიძე გ. 1995: 113-114.
- ³⁰³ **ჯაკიქიანი 1956: 502; შამოქიანი ანდრეი ხი ჯაკიქიანი 2014: 222.**
- ³⁰⁴ სტეფანოს ორბელიანი 1978: 45-46, 123; **სთქიანნუ ორქიქანი 1859, II: 129-130.**
- ³⁰⁵ შდრ. აბდალაძე 2005: 83-84.
- ³⁰⁶ მათე ურჰაელი 1966: 248; **შამოქიანი ანდრეი ხი ჯაკიქიანი 2014: 206;** ცხორებად მეფეთ-მეფისა დავითისი 1992: 196-197; Minorsky 1953: 96.
- ³⁰⁷ **სთქიანნუ ორქიქანი 1859, II: 124.**
- ³⁰⁸ იქვე, 127.
- ³⁰⁹ ჯაფარიძე გ. 1995: 58.
- ³¹⁰ Колюбакин 1906: 3-4.
- ³¹¹ ბერძენიშვილი ნ. 1974: 122, 196.
- ³¹² ბასილი ეზოსმოდგარი 1959: 130.
- ³¹³ ენუქიძე, სილოგავა, შოშიაშვილი 1984: 71. გიორგი III-ის 1170 წლის სიგელში „სომეხთა მეფობა“ ამოვარდნილია (იქვე, 67).
- ³¹⁴ ლორთქიფანიძე მ. 1979: 256; მუსხელიშვილი 2016: x; შდრ. მესხია 1979: 299.
- ³¹⁵ ბერძენიშვილი ნ. 1974: 103.
- ³¹⁶ ენუქიძე, სილოგავა, შოშიაშვილი 1984: 62. შდრ. დოლიძე ი. 1965: 19; „...დარუბანდისა ბლუადმდე“.
- ³¹⁷ ცხორებად მეფეთ-მეფისა დავითისი 1992: 197.
- ³¹⁸ იქვე.
- ³¹⁹ იქვე, 198.
- ³²⁰ ვარდანი 2002: 139-140; **შამოქიანი ანდრეი ხი ჯაკიქიანი 2014: 207.**
- ³²¹ ბერძენიშვილი ნ. 1974: 30, 56.
- ³²² იქვე, 103-104, 156-157.
- ³²³ ცხორებად მეფეთ-მეფისა დავითისი 1992: 158.
- ³²⁴ იქვე, 197.
- ³²⁵ ამავე დროს ჩნდება ანისში პირველი ქართული მონეტაც ფეხმორთხმით მკდომი გიორგი III-ის გამოსახულებით (Mousheghian et al. 2000: 112). ის „წესიერად“ მოჭრილ მონეტათა ტიპს განეკუთვნება და XII საუკუნის 70-იანი წწ. თარიღდება (კაპანაძე 1969: 73). გიორგი III-ის მონეტები, ოლონდ „უწესოდ“ მოჭრილი, დვინშიც არის აღმოჩენილი. ამ ნუმიზმატიკურ სიახლეს სპეციალისტები ქართველთა სამხედრო კამპანიას (XII საუკუნის 60-იანი წწ.) უკავშირებენ (Зирицкая 2008: 167). აღნიშნული ტიპის მონეტები ანისშიც იტრიალებდა, თუმცა ჩვენამდე არ მოაღწია.
- ³²⁶ ისტორიანი და აზმანი 1959: 6.
- ³²⁷ **ჯაკიქიანი 1956: 502.**
- ³²⁸ ჯავახიშვილი 1982ა: 18; ჯავახიშვილი 1998: 475.
- ³²⁹ **სთქიანნუ ორქიქანი 1859, II: 127.**
- ³³⁰ საკითხის დასმისთვის იხ. ბერძენიშვილი ნ. 1974: 104.
- ³³¹ შდრ. Манандян 1985: 194.
- ³³² ვარდანი 2002: 148.
- ³³³ ამ კონტექსტშია განსახილველი ქალაქ ანისის „თურქებისთვის“ გადაცემის ცდა (ვარდანი, იქვე).
- ³³⁴ აბდალაძე 2005: 34; ა. მათევისიანის გამოცემაში ჰიპატაკარანს 1173 წ. უბის (**შამოქიანი ა. 1988:**

- 206-208).
- ³³⁵ შდრ. ლორთქიფანიძე მ. 1979ა: 269.
- ³³⁶ ამირობის შესახებ იხ. მუსხელიშვილი 2006: 131-133; ბაინდურაშვილი 2017. ანისის ამირასთან დაკავშირებული კ. მუტაფიანი სრულიად სამართლიანად შენიშნავს „a kind of lord-mayor“ (Mutafian 2011: 160).
- ³³⁷ Minorsky 1953: 89; ვარდანი 2002: 146.
- ³³⁸ ვარდანი 2002: 156; ისტორიანი და აზმანი 1959: 19; მესხია 1979: 236, 277.
- ³³⁹ Minorsky 1953: 92.
- ³⁴⁰ Киракос Гандзакечи 1976: 141; Մաթևոսյան Ա. 1988: 334.
- ³⁴¹ აბდალაძე 2005: 38; მხითარ გოში 1968: 47. ქურდი მანკაბერდელის ამირობის შესახებ იხ. მუსხელიშვილი 2006: 134-136. მანკაბერდელ ამირათა შესახებ იხ. მესხია 1970: 152-153 და მესხია 1979: 288.
- ³⁴² შდრ. Աճառյան 1948: 339. სადღეს, რა თქმა უნდა, სხვა საგვარეულოს წარმომადგენელიც შეიძლება ყოფილიყო. ანთროპომიმის გავრცელების შესახებ იხ. იქვე, 339-342.
- ³⁴³ ვარდანი 2002: 156; Киракос Гандзакечи 1976: 118; მესხია 1979: 288.
- ³⁴⁴ მესხია 1979: 281.
- ³⁴⁵ ისტორიანი და აზმანი 1959:13; თორელის ვინაობის შესახებ იხ. მესხია 1979: 155-157.
- ³⁴⁶ შდრ. მესხია 1979: 281.
- ³⁴⁷ ისტორიანი და აზმანი 1959: 16, 38.
- ³⁴⁸ Հակոբյան 1956: 147; ჯავახიშვილი 1982ა: 186, შენ. 3.
- ³⁴⁹ ზარუშატის შესახებ იხ. აქვე, 56-57.
- ³⁵⁰ აბდალაძე 2005: 34.
- ³⁵¹ Киракос Гандзакечи 1976: 87. ეს სამართლებრივი ნორმა XVIII საუკუნის ბოლომდე მოქმედებდა (დავით ბატონიშვილი 1964: 169-170).
- ³⁵² Bart'ikian 1986: 60-62.
- ³⁵³ Minorsky 1953: 88-89; მხითარ გოში 1968: 48; ვარდანი 2002: 148-149. ვარდანის ცნობის განსხვავებული ინტერპრეტაციების შესახებ იხ. ჯავახიშვილი 1983: 239; ლორთქიფანიძე მ. 1979ა: 272; Vardan Arewelc'i 1989: 207; აბდალაძე 2005: 84, შენ. 96.
- ³⁵⁴ მათე ურჭაელი 1966: 248; ვარდანი 2002: 139.
- ³⁵⁵ თაყაიშვილი 1913: 62-63. ეს ფრაგმენტი საფუძვლად დაედო დავითის ისტორიკოსის თხზულებაში შესულ ჩანართსა (ცხორებად მეფეთ-მეფისა დავითის 1992: 197) და ვახუშტის „ისტორიის“ შესაბამის მონაკვეთს (ვახუშტი ბაგრატიონი 1973: 162).
- ³⁵⁶ Օրբելի 1966: 35; Эмин 1881: 81; ვარდანი 2002: 115; Ստեփաննու Օրբելիան 1859, II: 43.
- ³⁵⁷ Matthew of Edessa 1993: 23.
- ³⁵⁸ აბდალაძე 2005: 36, 86-90.
- ³⁵⁹ მხითარ გოში 1968: 48.
- ³⁶⁰ Mapp 1934: 86; Karapetian 2011: 171.
- ³⁶¹ Mapp 1906a: 92-93; შდრ. Օրբելի 1966: 57.
- ³⁶² შდრ. Mapp 1906a: 93. სომეხ მეფთა ტიტულატურის შესახებ იხ. შენ. 282.
- ³⁶³ ვარდანი 2002: 156.
- ³⁶⁴ დარჩიაშვილი 2010: 140-141.
- ³⁶⁵ ვარდანი 2002: 156; Հակոբյան 1951: 37; მეტრეველი რ. 2002: 570-574.
- ³⁶⁶ აბდალაძე 2005: 49; ცნობის ინტერპრეტაციისათვის იხ. იქვე, 129-130.
- ³⁶⁷ იხ. მუსხელიშვილი, ჭეიშვილი, დაუშვილი 2016: 52-53.
- ³⁶⁸ აბდალაძე 1985: 111.
- ³⁶⁹ ბასილი ეზოსმოდღვარი 1959: 130.
- ³⁷⁰ ბასილი ეზოსმოდღვარი 1959: 144; ბერძენიშვილი ნ. 1974: 117, 187. იხ. აგრეთვე, დარჩიაშვილი 2010: 109-112.
- ³⁷¹ ამავე გარემოებით უნდა ყოფილიყო ინსპირირებული სახელმწიფოებრივი დუალიზმის ხაზგასმა მხარგრძელთა წოდებულებაშიც – „სომეხთა და ქართველთა ამირსპასალარი“ (იხ. მუსხელიშვილი, ჭეიშვილი, დაუშვილი 2016: 52). ზემოაღნიშნული დუალიზმის საერთაშორისო ასპარეზზე დაკანონების ერთ-ერთ ცდას ივანე ათაბაგის ეპისტოლე წარმოადგენს. ცნობილია, რომ 1223 წლის მიწურულსა თუ 1224 წლის დასაწყისში რომის პაპთან ელჩობა გაიგზავნა. საქართველოს წარგზავნილმა, დავით ანელ ეპისკოპოსმა ჰონორიუს III-ს რუსუდან მეფისა და ივანე მხარგრძელის წერილები მიართვა. დედნებმა, სამწუხაროდ, ჩვენამდე არ მოაღწია. ლათინურ თარგმანში რუსუდანი იხსენიება როგორც regina de Aneguiā, რაც აფხაზთა ანუ საქართველოს დედოფალს უნდა გულისხმობდეს, ხოლო მისი გარდაცვლილი ძმა, ლაშა გიორგი – Rex Georgianorum/Jurgianorum (ქართველთა მეფე). საქართველოს ათაბაგი თავის თავს Comestabulus totius Brataie sive Armeniae ანუ სრულიად საქართველოსა და სომხეთის მხედართმთავარს უწოდებს (თამარაშვილი 2011: 7-8, 563-564; ტაბალუა 1984: 176, 178, 239-243). საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი სომხური ვრაცის (ტაბალუა 1984: 178, შენ. 2) ლათინიზირებული ფორმა გვაფიქრებინებს, რომ ეპისტოლე ივანე მხარგრძელის კანცელარიის სომეხი მწიგნობრების მიერ უნდა ყოფილიყო შედგენილი. ქვეყნის სახელდების განსხვავება მეფისა და ათაბაგის წერილებში კი ფრიად ნიშანდობლივია. არანაკლებ საინტერესოა ის გარემოება, რომ საპასუხო ეპისტოლეში რომის პაპი ივანე ათაბაგს Comestabulo Brataie-თი მიმართავს (თამარაშვილი 2011: 11, 567; ტაბალუა 1984:

- 251), ანუ მხოლოდ საქართველოს მხედართმთავრობით მოიხსენიებს (შდრ. ტაბალუა 1984: 183). ივანე მხარგრძელის წოდებულებაში კორექტივის შეტანა და „სომხეთის“ ამოგდება, შესაძლებელია, დავით ანელთან კონსულტაციითაც მოხდა. ყოველ შემთხვევაში, ფაქტია, რომ სომხურიდან შემოსული ვრაცი პაპების მიმოწერაში ამის შემდეგ აღარასდროს გამოყენებულა. ჰონორიუს III-ის რუსუდანისადმი გაგზავნილი ეპისტოლედან მოყოლებული, საქართველოს სამეფოს აღმნიშვნელ ტერმინად მკვიდრდება Georgia, ხოლო საქართველოს მეფისადმი მიმართვაში – Rex (რუსუდანი: regina) Georgiae, rex georgianorum, ან, მწიგნობრული ტრადიციით, rex Iberiae (თამარაშვილი 2011: 567, 568, 572, 574, 578, 580, 584, 588; ტაბალუა 1984: 244, 252, 255, 267, 279).
- ³⁷² დარჩიაშვილი 2010: 140-141; Karapetyan, Mahé 2015: 430-431.
- ³⁷³ **Орбели** 1966: 57; შდრ. Хачатрян 1987: 47.
- ³⁷⁴ **Орбели** 1966: 20, 69.
- ³⁷⁵ **Орбели** 1966: 58; Karapetyan, Mahé 2015: 432; დარჩიაშვილი 2010: 144-147; Эмин 1881: 84-85.
- ³⁷⁶ Karapetyan, Mahé 2015: 440; **Орбели** 1966: 2, 5, 6, 7, 8, 14, 55, 58, 62-63; დარჩიაშვილი 2010: 142, 145-149, 152-155; Karapetian 2014: 22; Эмин 1881: 78, 87-88.
- ³⁷⁷ შდრ. მესხია 1979: 300.
- ³⁷⁸ **Орбели** 1966: 4, 7, 17; **Բարխუդარյան** 2017: 95; დარჩიაშვილი 2010: 163.
- ³⁷⁹ Киракос Гандзакеци 1976: 129.
- ³⁸⁰ Эмин 1881: 85; **Բարխუդარյան** 2017: 66; კეკელია 2019.
- ³⁸¹ ტაბალუა 1984: 179.
- ³⁸² ასწლოვანი მათიანე 1987: 54.
- ³⁸³ იქვე, 65.
- ³⁸⁴ დარჩიაშვილი 2010: 101, 162-163. წარწერაში იკითხება სომხური წელთაღრიცხვის ოდ ანუ 680 წელი (ალიშანი, ემინი, კოსტანეანცი, მარი, დარჩიაშვილი), რაც 1231 წელს შეესაბამება. 1227 წელს გარდაცვლილი ივანე მხარგრძელი (იხ. მესხია 1979) „ცოცხალი“ ჩანს XIII საუკუნის 30-იანი წლებით დათარიღებულ სხვა ეპიგრაფიკულ ძეგლებშიც (მაგალითად, ყარსის წარწერებში). აქ უკვე სომხური წელთაღრიცხვის საკითხი დგება, რაც სცილდება ჩვენი კვლევის ფარგლებს.
- ³⁸⁵ აბდალაძე 2005: 56.
- ³⁸⁶ ასწლოვანი მათიანე 1987: 95
- ³⁸⁷ სტეფანოს ორბელიანი 1978: 103, 144.
- ³⁸⁸ Рашид ад-Дин 1946: 116.
- ³⁸⁹ მუსხელიშვილი 2016: 24-27; შდრ. დარჩიაშვილი 2010: 125.
- ³⁹⁰ ასწლოვანი მათიანე 1987: 94-95; **Заскочьян** 1951: 41; მუსხელიშვილი 2016: 24-27; ჭეიშვილი გ. 2013ა: 175.
- ³⁹¹ ისტორიანი და ამმანი 1959: 109. ვარდანიც ამბობს, რომ თამარმა საქარია და ივანე მხარგრძელებს ლორე უბოძა (ვარდანი 2002: 156; შდრ. მესხია 1979: 293-294). ნიშანდობლივია, აგრეთვე, საქარია მხარგრძელის მიერ საეკლესიო კრებების მოწვევა ლორესა და ანისში (კირაკოს განძაკეცი, ვარდანი).
- ³⁹² Киракос Гандзакеци 1976: 162-163.
- ³⁹³ Киракос Гандзакеци 1976: 165; **Կիրակոս Գանձակեցի** 1961: 258.
- ³⁹⁴ არისტაკეს ლასტივერტეცი 1974: 70; **Արիստակես Լաստիվերտეցի** 1963: 62.
- ³⁹⁵ ვარდანი 2002: 137; **Վարդան** 1862: 116.
- ³⁹⁶ ცხორებად მეფეთ-მეფისა დავითისი 1992: 196.
- ³⁹⁷ ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი 1953: 251.
- ³⁹⁸ შდრ. Манандян 1985: 165.
- ³⁹⁹ საქარია მხარგრძელი მამის გვერდით, მონოფიზიტურ სანაინში დაიკრძალა, მისი შთამომავლები, შანშედან მოკიდებული, დიოფიზიტურ ქობაირში იკრძალებოდნენ; ივანე მხარგრძელის შტომ კი საძვალე დიოფიზიტურ ახტალაში გაიჩინა.
- ⁴⁰⁰ თუმცა, ცნობილია, რომ მონასტრებსაც ფლობდნენ და თავის მოხელე ფეოდალებსაც უწყალობებდნენ (ამირახორის თაყას განსასვენებელი წმ. გრიგოლის ეკლესიაში; მათე მწიგნობართუხუცესის წარწერა იმავე ეკლესიის აღმოსავლეთ ფასადზე).
- ⁴⁰¹ Гюзальян 1935: 633.
- ⁴⁰² Мapp 19106: 1437-1439; სილოგავა 2001: 41-43.
- ⁴⁰³ Khanykof 1849: 139-141; **Орбели** 1966: 54; **Մուրათյան** 1977: 54-57; სილოგავა 2001: 25, 47; Eastmond 2014: 79. დასახელებულ ნაშრომებში განსხვავდება დათარიღებაც და სომხური დამტკიცების თაგმანიც.
- ⁴⁰⁴ ვახუშტი ბაგრატიონი 1973: 26.
- ⁴⁰⁵ **Орбели** 1966: 54-55.
- ⁴⁰⁶ ენუქიძე, სილოგავა, შოშიაშვილი 1984: 19, 85-87, 104, 113 და სხვ.; ენუქიძე, თარხნიშვილი, ლომინაძე 2013: 52, 57.
- ⁴⁰⁷ და არა აქტის ლეგალიზაციას ახდენენ, შდრ. Мapp 19106: 1440 და Дондуа 1935: 668.
- ⁴⁰⁸ **Орбели** 1966: 17.
- ⁴⁰⁹ იქვე, 6.
- ⁴¹⁰ შდრ. Юзашян 1971: 84-85.
- ⁴¹¹ **Орбели** 1966: 27.
- ⁴¹² მრენის 1320 წ. წარწერიდან ცნობილია ადგილობრივი ამირა ივანიკი, ვისი პარონიც ვინმე სარგისია (Мapp 1893a: 88-89). ამირობა, უნდა ვიფიქროთ, ანისის გარდა სხვა მნიშვნელოვან პუნქტებშიც ფუნქცი-

- ონირებდა და ადგილობრივი დიდებულის სამოხელეო შტატს განეკუთვნებოდა.
- 413 ეს კარგად ჩანს ჟინვალის მაგალითიდან (იხ. ენუქიძე, სილოგავა, შოშიაშვილი 1984:183-185).
- 414 Юзбашян 1971: 86-87.
- 415 Karapetyan, Mahé 2015: 418-419, 421-23, 430-31, 436-437, 444-445, 470-472; დარჩიაშვილი 2010: 140-141.
- 416 **ჩარქითარქიანი** 2017: 48-49.
- 417 **სარქიანი** **ს.** 1984: 114. ვაჭრამი ჰეჭუპობით ჰორომოსის წარწერებშიც იხსენიება (Karapetyan, Mahé 2015: 474). წარწერის გამომცემლები მას ანისის ამირა ვაჭრამთანაც აიგივებენ (იქვე, შენ. 188) და ფაშლაგუნად ან ჰორომოსის მფლობელი ფეოდალური სახლის თავკაცად მიიჩნევენ (იქვე, 367). ამ უკანასკნელ მოსაზრებას მხარს უნდა უჭერდეს ჰორომოსში ვაჭრამის საძვალევა და ტერუთიუნობაც (Kazaryan 2015: 73; Mahé 2015: 320; Karapetyan, Mahé 2015: 416). გაურკვეველი რჩება ვაჭრამისა და გრიგოლის სახლების, ისევე როგორც, ჰორომოსისა და ჰარიტივანქის ურთიერთმიმართება.
- 418 **სარქიანი** **ს.** 1984: 818; Юзбашян 1971: 81.
- 419 მონასტერთა პატრონობა ამ პერიოდის საქართველოში გავრცელებული პრაქტიკა ჩანს: „რამანცა კაცმან მოუშალოთ (დაწერილი რკონის ღმრთისმშობელს – გ.ჭ.) ... ატენისა ციხუნათა და ანუ რკონისა პატრონთა...“ (ენუქიძე, სილოგავა, შოშიაშვილი 1984: 158).
- 420 იხ. კლდიაშვილი 2017.
- 421 Karapetyan, Mahé 2015: 419, n. 52.
- 422 იქვე, შენ. 188.
- 423 ბერძენიშვილი დ. 2014: 241-242.
- 424 გრიგოლი და მისი სახლის წევრები 1195-1228 წწ. დათარიღებულ წარწერებში იხსენიებიან, ანუ იმ დროს, როდესაც ანის-შირაკი გაქარესა და ივანეს ჰქონდათ გაყოფილი.
- 425 Пагирев 1913: 92.
- 426 Такайшвили 2018: 267; ბერძენიშვილი დ. 2014: 47.
- 427 ტერმინის „ხანაგა“ მნიშვნელობისთვის ქართულ სინამდვილეში იხ. გაბაშვილი 1976: 95-105.
- 428 Агаян 1972: 303.
- 429 Мapp 1893a: 83, 87.
- 430 ვარდანი 2002: 146.
- 431 იქვე.
- 432 იხ. Mousheghian et al. 2000: 59-60.
- 433 Киракос Гандзакечи 1976: 165-166.
- 434 ასწლოვანი მათიანე 1987: 74.
- 435 Karapetyan, Mahé 2015: 450-451.
- 436 იქვე, 420; Эмин 1881: 74.
- 437 **ორქი** 1966: 64.
- 438 რუბრუკვისი 1942: 173.
- 439 Киракос Гандзакечи 1976: 198.
- 440 Эмин 1881: 66-67; Karapetian 2014: 38-40.
- 441 რუბრუკვისი 1942: 173.
- 442 მხითარ აირივანეცი 1990: 84.
- 443 რუბრუკვისი 1942: 173.
- 444 Мapp 1893a: 82-87; **საანოქე სინციხი** **სი** **ჯარონასკიონსი** 2014: 253.
- 445 Киракос Гандзакечи 1976: 236.
- 446 იხ. ჯოჯუა, გაგოშიძე 2012-2013: 259-307.
- 447 მხითარ აირივანეცის თქმით, „როდესაც [თათრებმა] იხილეს სომეხთა და ალვანელთა ქვეყნები, მოისურვეს თავიანთ დასავანებელ ადგილებად [ექციათ]: ბაფხულობით მოფენოდნენ სომხეთის მთებს, ხოლო ზამთრობით გამოკვებილიყვნენ არანის ბარაქიანი და ნაყოფიერი ველებით, რომლებსაც მულანი ეწოდება“ (მხითარ აირივანეცი 1990: 83).
- 448 ასწლოვანი მათიანე 1987: 97-98; რუბრუკვისი 1942: 175.
- 449 ბერძენიშვილი დ. 2014: 89-90.
- 450 **ორქი** 1966: 24.
- 451 ასწლოვანი მათიანე 1987: 136; სტეფანოს ორბელიანი 1978: 93.
- 452 Рашид ад-Дин 1946: 116.
- 453 იხ. კაპანაძე 1969: 86-107.
- 454 ასწლოვანი მათიანე 1987: 142.
- 455 Мapp 1893a: 80.
- 456 ასწლოვანი მათიანე 1987: 175-176.
- 457 იქვე, 176.
- 458 Рашид ад-Дин 1946: 116.
- 459 სტეფანოს ორბელიანი 1978: 103, 144.
- 460 იქვე, 104, 144.
- 461 **სოსთანსანგ** 1913: 124.
- 462 **ჩარქითარქიანი**... 2012: 417.
- 463 **სოსთანსანგ** 1913: 126, 162.
- 464 იქვე, 127.
- 465 **ჩარქითარქიანი** 2012: 260.
- 466 Mousheghian et al. 2000: 118-119.
- 467 იქვე, 117-118.
- 468 **ორქი** 1966: 22.
- 469 იქვე, 22, 28.
- 470 Vardanyan 2013; Акопян А. 2015.
- 471 **სარქიანი** **ს.** 1984: 817-818; Юзбашян 1971: 81.
- 472 **ჯაკიქიანი** 1956: 151.
- 473 **ორქი** 1966: 1; Мapp 1893b: 78; Джанашиа 2009: 55.
- 474 შდრ. Мapp 1893b: 79-80.
- 475 Бабяян 1969: 228, 262; Sinclair 2011: 172, 182; Vardanyan 2013: 206, 222. თ. სინკლერის მტკიცება, თითქოს ხასინჯულობასთან ერთად ანისში მხარგრძელთა

- მფლობელობაც სრულდება, ვფიქრობთ, უსაფუძვ-
ლოა.
- 476 Джанашиа 2009: 55.
- 477 იქვე, 55-56; მესხია 1979: 270-272; მაისურაძე 1982: 87-88.
- 478 ბერძენიშვილი ნ. 1966ბ: 102; მაისურაძე 1982: 101.
- 479 Бартольд 1966а: 326; ჯავახიშვილი 1982ა: 156-158; Джанашиа 2009: 55.
- 480 ჯავახიშვილი 1982ა: 157.
- 481 წარწერის შესახებ იხ. გვ. 138.
- 482 ჰამდალლაჰ ყაზვინი 1937: 23. ამ პერიოდის ანისის საქართველოს დედაქალაქად გამოცხადება (Sinclair 2011: 172) წყაროთა არასწორი ინტერპრეტაციის შედეგი უნდა იყოს.
- 483 Мapp 1934: 26-27.
- 484 შდრ. Hewsen 2001: 135.
- 485 ა. აკოფიანისა და ა. ვარდანიანის დასახელებულ ნაშრომებში შეინიშნება წერილობითი წყაროების ნუმერომატიკური მასალისადმი დაქვემდებარების ტენდენცია, რაც, ვფიქრობთ, მეთოდოლოგიურადაც გაუმართლებელია და მცდარი დასკვნების გამოტანის ალბათობასაც ზრდის.
- 486 ასწლოვანი მათიანე 1987: 189.
- 487 იქვე, 219.
- 488 Галстян 1962: 29, 37.
- 489 Բարխუդარյան 2012: 80, 137, 485.
- 490 ნინიძე, სანაძე 1990: 117-119.
- 491 ბერძენიშვილი 1966: 62-63; მუსხელიშვილი 2016: 28-29; Hewsen 2001: 143, 148, 149.
- 492 სურგულაძე, აბაშიძე 2016: 193; შდრ. ბერძენიშვილი 1966: 62.
- 493 ბერძენიშვილი 1964: 253-254; შდრ. Hewsen 2001: 148.
- 494 ჰასან რუმლუ 1966: 20, 25; ისქანდერ მუნში 1969: 17.
- 495 მუსხელიშვილი 2016: 28-29.
- 496 Karapetyan, Mahé 2015: 415-416.
- 497 Орепх 1966: 44; Акопян Т. 1985: 263.
- 498 Бабаиян 1969: 179.
- 499 Կոստանևանց 1913: 169-170. ანისიდან გადასახლებულთა კვალი ერევანშიც ჩანს (Ղափարյան 1975: 141, 225). ერევნის ლაპიდარული წარწერებიდან საინტერესოა ვინმე შანშეს მოსახსენებელი (იქვე, 216). თუ ის, მაინცდამაინც, მხარგრძელია, მაშინ არა შანშე I, არამედ შანშე II ან, კიდევ უფრო, შანშე III უნდა იყოს (შდრ. იქვე, 217).
- 500 ასწლოვანი მათიანე 1987: 207; ვახუშტი ბაგრატიონი 1973: 256; ჯოჯუა, ბერიძე 2011.
- 501 შდრ. Бабаиян 1969: 179-180; Vardanyan 2013: 206-207.
- 502 ჯავახიშვილი 1982ა: 180.
- 503 Шараф ад-Дин 2008: 113.
- 504 იქვე, 114.
- 505 ჯავახიშვილი 1982ა: 186.
- 506 იქვე, შენ. 3.
- 507 Հակոբյան 1956: 147.
- 508 იქვე, 168, შენ. 160; Галстян 1962: 112; ბერძენიშვილი დ. 1979: 55.
- 509 თბილისის ვილაიეთის დავთარი 2009: 541.
- 510 ჯავახიშვილი 1982ა: 186.
- 511 შდრ. Hewsen 2001: 143.
- 512 ფარსადან გორგიჯანიძე 1926: 99; ჯავახიშვილი 1949: 324.
- 513 შეიძლება ისეც გავიგოთ, რომ ფარსადან გორგიჯანიძე, ვახუშტი ბატონიშვილის მსგავსად, ანისს არ მიიჩნევს ქართულ მხარედ და ამიტომ მას „საქართველოს“ უპირისპირებს.
- 514 Խաչիկյան 1950: 621.
- 515 თოვმა მეწოფეცი 1987: 2; Акопян Т. 1985: 274.
- 516 ევლია ჩელები 1971: 314-315.
- 517 იქვე, 314.
- 518 სურგულაძე, აბაშიძე 2016: 473; კლდიაშვილი და სხვ. 1991: 214; ჟორდანიან 1897: 229.
- 519 ეჭვს იწვევს საბუთის თარიღი, აგრეთვე გამცემისა და ადრესატის ვინაობა (სურგულაძე, აბაშიძე 2016: 471).
- 520 აბდალაძე 1978: 98; ევლია ჩელები 1971: 311; ფუთურიძე 1962 : 60-61. დამახასიათებელია, რომ მაღას-ბერდის სულთნები ბორჩალოს ტომიდან იყვნენ გამოსულნი (Закарий Ханакерци 1969: 119).
- 521 აბდალაძე 1978: 98.
- 522 ევლია ჩელები 1971: 311; Eskander Beg Monshi 1930: 932.
- 523 იბრაჰიმ ფეჩევი 1964: 28.
- 524 Мapp 1893а: 84.
- 525 ევლია ჩელები 1971: 311-315; ქათბი ჩელები 1978: 246; Hurewitz 1956: 21-23; ფუთურიძე 1962: 60-61.
- 526 დოლიძე ი. 1981: 21.
- 527 Mousheghian et al. 2000: 61, 114.
- 528 იქვე, 2000: 61, 129-130.
- 529 პაპუნა ორბელიანი 1981: 81.
- 530 Abraham de Crète 1876: 267-268; პაპუნა ორბელიანი 1981: 92, 114-115, 130, 197, 242-243.
- 531 პაპუნა ორბელიანი 1981: 130; იქვე, 114.
- 532 იქვე, 232.
- 533 იქვე, 242-243.
- 534 სიმეონ ერევანცი 1997: 91-92.
- 535 იქვე, 92-93.
- 536 იქვე.
- 537 იესე ბარათაშვილი 1950: 57.
- 538 ტეიშვილი ა. 1982: 29.

- 539 გამრეკელი 1991: 114.
- 540 Агаян 1972: 308, 370–371.
- 541 ომან ხერხეულიძე 1989: 70.
- 542 იქვე, 94.
- 543 Берже 1866: 591–92.
- 544 მუსხელიშვილი 2016: 56–57.
- 545 გამრეკელი 1980: 85–86, 149, 179–80, 196–197.
- 546 იოანე ბაგრატიონი 1986: 58.
- 547 სოფელი ანუ ობა 7 – Ильхи-аби (?), გუმრი – Гумри, ყარაქელისია – Кара-клись, არტივი – Артикь, ყიფ-ჩალი – Кипчагь, სონავერდი – Суванверды, გორუმი – Хором, ბაშქანთი – Бенандь (?) ან Башкеть (?), ჯილოვხანი – Джлдехань. ლორქეჩანისა და ყაფლის შესაფერის ტოპონიმებს რუკაზე ვერ მივაკვლიე.
- 548 შდრ. Томкеев 1901. „სომხეთის ისტორიის ატლასშიც“ (Hewsen 2001: 167, 172) და „სომხეთის სსრ ატლასშიც“ (გვ. 107) შორაგელის სასულთნოს სამხრეთი საზღვარი. დღევ. ანიპემზამდე ჩადის, დაახლოებით, ალექსანდროპოლის მაზრის სამხრეთ მიჯნას მიუყვება.
- 549 Lockhart 1938: 106, 255; Naradounghian 1897: 306–308; Hurewitz 1956: 51–52.
- 550 ეს კარგად ჩანს, მაგალითად, ომის შემდგომ მოქმედებათა დეტალებიდან: ერევნის ციხიდან გამოსულ თურქულ გარნიზონებს არფაჩაიმდე ერევნელი მეურმეები მიაცილებენ, არფაჩაიდან კი თვითონ განაგრძობენ გზას (Abraham de Crète 1876: 276–278).
- 551 მუსხელიშვილი 2016: 52–53.
- 552 ამ წლით დათარიღებულ სამეფო ბრძანებაში ადგილობრივ მმართველად ყარამან სულთანია დასახელებული (გამრეკელი 1991: 114). არ არის გამორიცხული, რომ შორაგელში, ბაიდარის მსგავსად, ფორმალურად სულთნის ხელისუფლებაც შენარჩუნებულიყო (ბოშიშვილი 2015: 143).
- 553 იოანე ბაგრატიონი 1986: 58; ბერძენიშვილი ნ. 1955: 140; დოლიძე ი. 1985: 453.
- 554 იოანე ბაგრატიონი 1986: 79–80.
- 555 Берже 1868: 572.
- 556 ხანთაძე 1955: 155.
- 557 დუნდუა 2010: 16.
- 558 გამრეკელი 1980: 85.
- 559 ხანთაძე 1955: 164.
- 560 Берже 1868: 576.
- 561 შდრ. Агаян 1972: 17; Берже 1868: 916, 1031.
- 562 შდრ. Агаян 1972: 353.
- 563 გამრეკელი 1980: 149, 179–80, 196–97; Цагарели 1898: 165–166; სიმეონ ერევანცი 1997: 93; თაყაიშვილი 1910: 61–62.
- 564 Цагарели 1898: 166.
- 565 Берже 1866: 119, 158, 591.
- 566 იქვე, 602; Берже 1868: 571–572. 1802 წლის სახელმწიფო საგადასახადო დავთარში აღმოსავლეთ საქართველოს პროვინციებს შორის შორაგელის მოხსენიება ძველი წიგნებიდან მექანიკური გადაწერის შედეგი უნდა იყოს.
- 567 Берже 1866: 221.
- 568 იქვე, 602.
- 569 იქვე, 599.
- 570 Берже 1868: 572–574.
- 571 იქვე, 577.
- 572 Агаян 1972: 604.
- 573 Берже 1875: 141–142.
- 574 Агаян 1972: 312; Берже 1874: 19–21.
- 575 Колубакин 1906: 19.
- 576 Берже 1874: 168.
- 577 Агаян 1972: 307; Берже 1874: 468.
- 578 ПСЗРИ 1850: 312.
- 579 იხ. ჭეიშვილი გ. 2013ბ.
- 580 იქვე; ჭეიშვილი გ. 2012; ჭეიშვილი გ. 2013ა.
- 581 გვიანდელი ტრადიციის თანახმად, მეექვსე მსოფლიო საეკლესიო კრებაზე (680–681) ქართლის კათოლიკოსისთვის, სხვა ტერიტორიებთან ერთად, „მიუციათ სამწყსოდ და ხელქვეშ ... ანისი, იმისი გარემამო და იალათი, აზრუმისა და საქართველოს სამზღვარს იქით, ზემო საქართველო...“. VI მსოფლიო საეკლესიო კრების ჩვენამდე მოღწეული აქტები ცნობას არ ადასტურებს. მკვლევრები სამართლიანად ფიქრობენ, რომ დომენტი IV კათოლიკოსის (1705–1741) მიერ შედგენილი ეს სიგელი მიზნად ისახავდა სულთნის კარზე ქართლის ეკლესიის ავტოკეფალიის დასაბუთებას და ყოფილი სამცხე-საათაბაგოს ტერიტორიაზე იურისდიქციის აღდგენას მეექვსე მსოფლიო კრების ავტორიტეტის მოხმობით (სურგულაძე 2015: 331; სურგულაძე 2013).
- 582 ჭეიშვილი გ. 2013ბ: 247.
- 583 X საუკუნის პირველი ნახევრისთვის სომხეთში დიოფიზიტობა იმდენად მომძლავრებულა, რომ სომხეთის ეკლესიის მამებს დიოფიზიტების ძალდატანებით გადანათვლა გადაუწყვეტიათ (Step'anos Tarōnec'i 2017: 229). მოზღვავებულ ქალკიდონიზმს სომხურმა საზოგადოებამ სამონასტრო ცხოვრების აღმავლობით უპასუხა (იქვე, 118–119, 121, 139, 194; **Մամուլ Աննցի և շարունակողներ** 2014: 173, 179, 182, 185); არცთუ იშვიათად ახალ მონასტრებს ჰრომთა ქვეყნიდან (ბიზანტიიდან) და ეგრისიდან (= აფხაზთა სამეფო? თემა ქალდეა?) გამოძევებული ბერები აარსებდნენ (იქვე, 118, Киракос Гандзакечи 1976: 79–80). არისტაკეს ლასტივერტეცის ერთი ცნობით, გაგიკ I-ის მეფობაში (989– 1017/1020) „მოღვაწეობდნენ

- ბერ-მონაზვნები ... რომელთა დროსაც ეკლესიის ძლიერება ფრიად განმტკიცდა მართლმადიდებლური სარწმუნოებით. ხოლო მათ, რომლებიც სიძულვილით გვიყურებდნენ ჩვენ, მათი ბერმონაზვნური საქმეებისაგან შერცხვენილებმა თვალები ძირს დახარეს და თავების მსგავსად კედლების ხვრელებში შეიმაღლნენ“ (არისტაკეს ლასტივერტეცი 1974: 43-44).
- ⁵⁸⁴ Step'anos Tarōnec'i 2017: 237.
- ⁵⁸⁵ იქვე, 126; **Սաւոուէ Աննցի և շարունակողնր** 2014: 175-176; **Ниракос Гандзакечи** 1976: 81; ვარდანი 2002: 114; **Մտեփաննու Օրբէլան** 1859, II: 32-33, 203. ანის-შირაკის „გამართლმადიდებლობისთვის“ ბრძოლაში ერთმანეთს ქართველები და ბერძნები უპირისპირდებოდნენ. სომხეთში დიოფიზიტობა ალბანეთიდანაც ვრცელდებოდა (Mapp 1905b: 6).
- ⁵⁸⁶ სივნიეთში დიოფიზიტობის გავრცელების შესახებ იხ. მაისურაძე 2002: 146-161.
- ⁵⁸⁷ ტეიშვილი გ. 2013ბ: 247.
- ⁵⁸⁸ იხ. აქვე, 75.
- ⁵⁸⁹ ლოლაშვილი 1983: 278-287.
- ⁵⁹⁰ იქვე, 283.
- ⁵⁹¹ აბდალაძე 1988: 91-92.
- ⁵⁹² მათიანე ქართლისა 1955: 300.
- ⁵⁹³ Gregory the Priest 1993: 278.
- ⁵⁹⁴ **Սաւոուէ Աննցի և շարունակողնր** 2014: 207.
- ⁵⁹⁵ ტეიშვილი გ. 2013ბ: 248.
- ⁵⁹⁶ Thierry J. -M. 1984: 91; გივიაშვილი 2015ა: 215; Karapetian 2011: 64.
- ⁵⁹⁷ გივიაშვილი 2015ა: 215. ამ თვალსაზრისს იზიარებს ისტორიკოსთა ნაწილიც (ტეიშვილი გ. 2013ბ: 248; კუდავა 2016: 130). ასეთი დაშვების შემთხვევაში ბევრი კითხვა წამოიჭრება – იყო თუ არა საკმარისი ქართველთა რამდენიმეთვიანი ბატონობა ეკლესიის ასაგებად? თუ არა, რომელი კონფესიის მიმდევართაგან დაისაკუთრეს იგი – დიოფიზიტებისგან თუ მონოფიზიტებისგან? ამ უკანასკნელ შემთხვევაში, მართლმადიდებლური კანონიკით სახე უცვალეს მონოფიზიტურ ეკლესიას თუ მხოლოდ არსებული, მაგრამ უმოქმედო სტრუქტურა გამოიყენეს?
- ⁵⁹⁸ ტეიშვილი გ. 2013ბ: 248.
- ⁵⁹⁹ სურგულაძე 2016: 77.
- ⁶⁰⁰ ტეიშვილი გ. 2013ბ: 249.
- ⁶⁰¹ Mapp 1910b: 1439; ჯავახიშვილი 1982ბ: 347; სილოგავა 2001: 43. წარწერის მნიშვნელობისათვის საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის შესასწავლად იხ. Дондуа 1935.
- ⁶⁰² ტეიშვილი გ. 2013ბ: 249.
- ⁶⁰³ სურგულაძე, აბაშიძე 2016: 425. სხვა გამოცემებში დოკუმენტი 1392 წლით თარიღდება (იხ. დოლიძე ი. 1970: 176, 1149). დოკუმენტის გეოგრაფია მოწმობს, რომ მის შემდგენელს აშკარად ძველი წყარო ჰქონდა ხელთ.
- ⁶⁰⁴ სურგულაძე, აბაშიძე 2016: 425. კლდიაშვილი და სხვ. 1991: 214; ჟორდანი 1897: 229.
- ⁶⁰⁵ დაახლოებით 1218 წელს სამეფო კარზე კვლავ გამართულა ქართულ-სომხური საეკლესიო პაექრობა, მაგრამ ვარდაპეტნი „გაცუდდნეს“ „და მერე მრავალნი სომეხნი მოიქცნენ ქართველთა სარწმუნოებასა ზედა“ (კეკელიძე 1956: 290-292).
- ⁶⁰⁶ დავით ანელის თანამედროვე მონოფიზიტი ანელი ეპისკოპოსები არიან სარგისი (1187-1220) და მისი თანამოსაყდრე გრიგოლი (1215-1227), ასევე ბარსელი (1229-1253) (Ալիշան 1881: 96; **Մաթևոսյան Հ.** 1997: 72).
- ⁶⁰⁷ თამარაშვილი 2011: 8 (ქართ. თარგმანი), 564 (ლათ. ტექსტი); ტაბალუა 1984: 177, 179 (ქართ. თარგმანი) 240, 243 (ლათ. ტექსტი). ჩემს წინა წერილში (ტეიშვილი გ. 2013ბ: 249) აღნიშნული ცნობა გამომჩნა მხედველობიდან და ანისის ეპარქიის დაარსება XIII საუკუნის მეორე ნახევრით განვსაზღვრე.
- ⁶⁰⁸ შდრ. Бакрадзе 1882: 89-90; Силогава 2001: 443; ჯაფარიძე ა. 2011: 395-396.
- ⁶⁰⁹ Mapp 1934: 118. სომხურ წყაროებში მინიშნებაც არაა კათედრალის „გაქართულებამ“ (შდრ. Мүрадян 1987: 40-41).
- ⁶¹⁰ Бакрадзе 1882: 90.
- ⁶¹¹ სილოგავა 2001: 18; Силогава 2001: 444.
- ⁶¹² ლოლაშვილი 1983: 283; ალექსიძე 2009: 481.
- ⁶¹³ ი. ორბელის აღწერით „небольшая грузинская церковь“ (Օրბელი 1963: 120). კათედრალისა და „ქართველთა ეკლესიის“ პროპორციების შედარებისას გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ეს უკანასკნელი დაარსდა როგორც მეციხოვნეთა სალოცავი (შდრ. Рчеулишвили 1988: 66).
- ⁶¹⁴ სურგულაძე, აბაშიძე 2016: 194; დოლიძე ი. 1970: 245.
- ⁶¹⁵ იხ. აქვე, 56-61.
- ⁶¹⁶ შდრ. მუსხელიშვილი 2016: 59.
- ⁶¹⁷ მუსხელიშვილი 2016: 59, xxi; შდრ. ბერძენიშვილი დ. 2014: 419.
- ⁶¹⁸ ბერძენიშვილი დ. 2014: 403.
- ⁶¹⁹ **Մուրադյան** 1977: 98-131.
- ⁶²⁰ იქვე, 63; Лидов 1990: 78. შდრ. გორდემიანი 1984: 78 და სურგულაძე 2016: 81, 205-206.
- ⁶²¹ დოლიძე ი. 1965: 596-597; გორდემიანი 1984.
- ⁶²² დოლიძე ი. 1965: 48.
- ⁶²³ თაყაიშვილი 2017: 217, 221.
- ⁶²⁴ იქვე, 222-223.
- ⁶²⁵ ვახუშტი ბაგრატიონი 1973: 309-310.

- 626 სურგულაძე 2016: 205.
- 627 *Канабадзе* 1982: 82.
- 628 შდრ. სილოგავა 2001: 18; *Силогава* 2001: 444.
- 629 ჟორდანიას 1892: 45-47; თაყაიშვილი 2017: 218, 222; დოლიძე ი. 1965: 47-49; *Канабадзе* 1982: 81-85.
- 630 ტეიშვილი გ. 2013ბ: 249, შენ. 6.
- 631 *Hewsen* 2001: 77.
- 632 P'awstos Buzand 1989: 34; მოვსეს ხორენაცი 1984: 202.
- 633 *Адонц* 1971: 329-333; *Hewsen* 2001, 76-79; შდრ. *Greenwood* 2004: 47-48.
- 634 ადრე შუა საუკუნეების საეკლესიო გეოგრაფიის, ეპარქიათა საზღვრებისა და იურისდიქციის ურთიერთმიმართების გარკვევისთვის საინტერესოა აპაგვუნთა და გნუნთა ეპისკოპოსების მოხსენიება მასტარაში VII საუკუნის 40-იან წლებში (*Greenwood* 2004: 47-48, 84-85).
- 635 P'awstos Buzand 1989: 81, 111.
- 636 მოვსეს ხორენაცი 1984: 213; *Greenwood* 2004: 82, 83, 86, 87.
- 637 P'awstos Buzand 1989: 98.
- 638 *Łazar P'arpec'i* 1991: 82, 119, 155, 164.
- 639 მოვსეს ხორენაცი 1984: 236; **Գիրք Թղթոց** 1901: 42.
- 640 *Łazar P'arpec'i* 1991: 176, 178, 180, 186, 191, 192, 197, 204, 206, 208, 224.
- 641 **Գիրք Թղթոց** 1901: 73, 223-224, 232; *Greenwood* 2004: 82; *Эмин* 1881: 73; *Ասատանსანց* 1913: 13; *Step'anos Tarōnec'i* 2017: 168, 170, 237, 296.
- 642 *Matthew of Edessa* 1993: 145.
- 643 **Մաթնիկյան Կ.** 1997: 72.
- 644 იქვე, 71.
- 645 *Matthew of Edessa* 1993: 145; *Karapetyan, Mahé* 2015: 429.
- 646 *Киракос Гандзакечи* 1976: 122, 192; **Բարխուդարյան** 2017: 72.
- 647 აბდალაძე 2005: 57.
- 648 *Киракос Гандзакечи* 1976: 122.
- 649 აბულაძე 1985: 54; **Օրբնի** 1966: 61.
- 650 *Karapetian* 2014: 22, 26, 36.
- 651 **Օրբնի** 1966: 17.
- 652 *Karapetyan, Mahé* 2015: 442; **Օրբնի** 1966: 15, 18.
- 653 **Բարխուդարյան** 2017: 70.
- 654 **Օրբնի** 1966: 14.
- 655 **Խաչիկյան** 1950: 484; აბდალაძე 1978: 45.
- 656 *Karapetyan, Mahé* 2015: 407-408.
- 657 *Закарий Канакерци* 1969: 261; *Ասատանსანց* 1913: 156.
- 658 **Մաթնիկյան Կ.** 1997: 95-98, 108-109.
- 659 ანისის ეპისკოპოსთა შესახებ იხ. **Մաթնիկյան Կ.** 1997: 71-109.
- 660 შდრ. **Մաթնիկյան Կ.** 1997: 329.
- 661 **Վարդան** 1960: 13.
- 662 სურგულაძე, აბაშიძე 2016: 194; მუსხელიშვილი 2016: 58-59; ტეიშვილი გ. 2012: 34.
- 663 *Hewsen* 2001: 77.
- 664 ასეა არა მხოლოდ ანელის, არამედ სხვა სომეხ მონოფიზიტ ეპისკოპოსთა შემთხვევაშიც (იხ. *Киракос Гандзакечи* 1976: 122, 192).
- 665 ჩვენს დასკვნას შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს ბიჯნისის ეპისკოპოსის მოხსენიება კენარისის 1051 წ. წარწერაში (**Ասատանსანց** 1913: 23). მონოფიზიტ მამამთავრის წოდებულება საეპისკოპოსო ცენტრის მიხედვით ბიზანტიელთა პოლიტიკურ-სარწმუნოებრივ გავლენას უნდა მიეწერებოდეს.
- 666 *Арутюнова-Фиданян* 1980: 97-99; *Арутюнова-Фиданян* 1996: 55-56, 62; *Арутюнова-Фиданян* 2010: 14. მსგავსი თვალსაზრისისთვის ქართულ ისტორიოგრაფიაში იხ. *მესხია* 1979: 256; *Силогава* 2001: 443.
- 667 *Sebeos* 1999: 37.
- 668 იქვე, 64; ეპისტოლეთა წიგნი 1968: 59-61.
- 669 არმარუნიქის ეპისკოპოსი, ჩანს, მართო არ ყოფილა. ასევე მოქმედებს ტაოს მღვდელმთავარიც. უფრო გვიან (728 წ.), ტაოელი ეპისკოპოსებიც იოანე ოძნეცის და მანასკერტის საეკლესიო კრების დადგენილებას მიემხრნენ (ტეიშვილი გ. 2007: 111-113; შდრ. *ალექსიძე* 2010: 151-152).
- 670 *Адонц* 1971: 334.
- 671 *Greenwood* 2004: 62-64, 66, 82-84, 87.
- 672 იქვე, 88.
- 673 *Адонц* 1971: 344.
- 674 **Գիրք Թղթոց** 1901: 223; *Адонц* 1971: 336.
- 675 *Parthey* 1866: 141.
- 676 *Gelzer* 1892: 260.
- 677 *Conybeare* 1896: 119.
- 678 ბიზანტიის ბატონობის შესახებ სომხეთში იხ. *Юзнашян* 1988.
- 679 *Лидов* 1990: 78; *Арутюнова-Фиданян* 1996: 55.
- 680 *PG* 140: 244, 260, 278, 282.
- 681 *Darrouzès* 1981: 206, 218, 233 და შემდ.
- 682 იქვე, 343, 349, 367 და შემდ.
- 683 *Gelzer* 1892: 280.
- 684 იქვე, 272.
- 685 იქვე, 247. სავარაუდოდ, XI საუკუნის მეორე ნახევართი თარიღდება (იქვე, 279).
- 686 *Sěmpad* 1869: 674. განსახილველი სომხური ვერსია XI საუკუნის I ნახევარში, 1053 წლამდე უნდა შექმნილიყო (*Gelzer* 1892: 247).
- 687 შდრ. *Gelzer* 1892: 272.
- 688 ლოკალიზდება ხორასანში, ძველი ნიშაბურის სანა-

- ხებში. ფართო მნიშვნელობით ხორასანსაც გულისხმობს. რამდენჯერმე გვხვდება „ქართლის ცხოვრებაში“, მათ შორის, რომგვროს ფორმითაც (ისტორიანი და აზმანი 1959: 103, 107; ბასილი ეზოსმოძღვარი 1959: 125; ასწლოვანი მათიანე 1987: 104, 116; Gelzer 1892: 273).
- ⁶⁸⁹ Gelzer 1892: 272.
- ⁶⁹⁰ შდრ. იქვე, 272–274.
- ⁶⁹¹ Арутюнова–Фиданиян 1979: 42–47; Юзбашян 1988: 183–191; Seibt 2009.
- ⁶⁹² გიორგი კედრენე 1963: 53, 63, 79–82; კეკავენოსი 1963: 315; მიქელ პსელოსი 1966: 15–16; მიხეილ ატალიატი 1966: 23–26, 31; Бенешевич 1921: 16, 19. Seibt 2009: 157.
- ⁶⁹³ ამ საგეოგრაფიო სახელით X–XI საუკუნეების მწერლობაში სომეხ ბაგრატიუნთა სამფლობელოები აღინიშნებოდა; მოგვიანებით – შაჰ-არმენტა სახელმწიფო.
- ⁶⁹⁴ Gelzer 1892: 253.
- ⁶⁹⁵ შდრ. იქვე, 277.
- ⁶⁹⁶ იქვე, 249.
- ⁶⁹⁷ Ašxarhaç'oys' 1992: 65, 215; Honigmann 1935: 215; Hewsen 2001: 125; შდრ. Gelzer 1892: 269; Арутюнова–Фиданиян 2010: 12.
- ⁶⁹⁸ იხ. Honigmann 1935: 211–218; Hewsen 2001: 125.
- ⁶⁹⁹ არქანუბის შესახებ იხ. Мapp 1905в; Мapp 1934: 83, 85, 103–104. შდრ. Karapetyan, Mahé 2015: 388.
- ⁷⁰⁰ ანტიოქიის პატრიარქის ვიზიტი საილხანოში (Ниракос Гандзакечи 1976: 238) ერთ–ერთ ასეთ მცდელობადაც შეიძლება განვიხილოთ.
- ⁷⁰¹ იხ. აქვე, 45–46.
- ⁷⁰² ჭეიშვილი გ. 2013ბ: 249; ჭეიშვილი გ. 2012: 43–45.
- ⁷⁰³ Бакрадзе 1882: 88–89.
- ⁷⁰⁴ Мapp 1905в: 40.
- ⁷⁰⁵ Мapp 1910б: 1440–1441; Мapp 1934: 131, прим. 256.
- ⁷⁰⁶ ამ თვალსაზრისს აქტიურად ავითარებდა პ. მურადიანი (Մուրադյան 1977); იხ. აგრეთვე, თაყაიშვილი 2016: 131–132.
- ⁷⁰⁷ სილოგავა 2001: 43.
- ⁷⁰⁸ Дондуа 1935: 663.
- ⁷⁰⁹ სილოგავა 2001: 42.
- ⁷¹⁰ „ქართველი“ წერილობით პირველად უმლეიზონის მონასტრის წარწერაშია დამოწმებული; პალეოგრაფიული ნიშნებით ის V საუკუნის მიწურულითა და VI საუკუნის პირველი ნახევრით თარიღდება (Gagoshidze 2014: 123–127).
- ⁷¹¹ იხ. მუსხელიშვილი 1993: 337–377.
- ⁷¹² Мapp 1910б: 1440–1441; ჯავახიშვილი 1982ბ: 347.
- ⁷¹³ ანისის ქართული ეპიგრაფიკისთვის იხ. სილოგავა 2001: 13–25, 41–47; Մուրադյան 1977: 35–64 (თუმცა მისი ინტერპრეტაციები ყოველთვის მისაღები არ არის); კალანდია, ასათიანი 2011; ახლად აღმოჩენილი პილიგრიმული წარწერებისთვის ჯოჯუა 2016–2017; კუდავა 2016: 127–128.
- ⁷¹⁴ Мapp 1934: 43–44.
- ⁷¹⁵ ანი–შირაკში ქართულის გავრცელება–გაძლიერებაზე ნ. მარიც მიუთითებდა (Мapp 1934: 132). მისივე მოწმობით, ქართული წარწერები თითქმის ყველა საკულტო ნაგებობაზე ყოფილა შერჩენილი (იქვე, 131).
- ⁷¹⁶ კეკელია 2012: 106.
- ⁷¹⁷ Мapp 1934: 54, 93, 103–104, 132; Арутюнова–Фиданиян 1996: 58, 60.
- ⁷¹⁸ მელიქსეთ–ბეგი 1940: 165–166; ანელ მავედრებელთა კონფესიური ვინაობისთვის იხ. კლდიაშვილი, სხირტლაძე 1999: 16–17, 54–55.
- ⁷¹⁹ იხ. Тьерри 1977: 1, 9–11, 13.
- ⁷²⁰ შდრ. Арутюнова–Фиданиян 1996: 58, 60.
- ⁷²¹ მსგავს ვითარებას ვხედავთ ბიზანტიაშიც. (ყოფილი) იმპერიის სხვადასხვა კუთხეში მიმოფანტული და ბერძნულ ეკლესიას დაქვემდებარებული დიოფიზიტის სომხები თანამედროვეთა, როგორც დიოფიზიტთა, ისე მონოფიზიტთა, მიერ აღიქმებოდნენ „ნათესავად სომეხად“, საკუთარი დამწერლობითა და ენით, რომლებიც ბერძნულ კანონებს მისდევდნენ და „მწვალებელ“ თანამოძმეთა წინააღმდეგ გამოიყენებოდნენ; ასე ხდებოდა საუკუნეთა მანძილზე (Мapp 1905в: 30–36; იხ. აგრეთვე, Цагарейшвили 2009в: 367–381). სომეხი დიოფიზიტები ღვთისმსახურებაში მშობლიურ ენას XX საუკუნის დასაწყისშიც იყენებდნენ (Мapp 1905в: 29).
- ⁷²² Мapp 1934: 103.
- ⁷²³ Цагарейшвили 2009б.
- ⁷²⁴ Brosset 1851: 100–101; Brosset 1860–1861: 50–51; Ореңიქი 1966: 27. შდრ. Ալիჯან 1881: 62–63, Կոստաննանց 1913: 160.
- ⁷²⁵ Эмин 1881: 23–24; Ореңიქი 1966: 24.
- ⁷²⁶ Цагарейшвили 2009а: 391.
- ⁷²⁷ შდრ. „И никто, к какой бы национальности он ни принадлежал, не имеет права...“ (Эмин 1881: 23).
- ⁷²⁸ დარჩიაშვილი 2010: 151.
- ⁷²⁹ ენუქიძე, სილოგავა, შოშიაშვილი 1984: 151.
- ⁷³⁰ Khanykof 1849: 139–141; Ореңიქი 1966: 54; Մուրադյան 1977: 54–57; სილოგავა 2001: 25, 47; Eastmond 2014: 79. დასახელებულ ნაშრომებში განსხვავდება დათარიღებაც და სომხური დამტკიცების თარგმანიც.
- ⁷³¹ შდრ. Eastmond 2014: 79.
- ⁷³² Ibn al-Athīr 2008: 276.

- 733 იქვე.
- 734 იქვე, 269-271.
- 735 ан-Насави 1996: 162.
- 736 მუსხელიშვილი, ჭეიშვილი, დაუშვილი 2016: 74-75.
- 737 იქვე, 67-69, 75.
- 738 ასწლოვანი მათიანე 1987: 55.
- 739 მხითარ გოში 2012: 126.
- 740 კეკელიძე 1956: 290-292; **სინქანნიუ ორქლან** 1859, II: 203; Киракос Гандзакецი 1976: 149.
- 741 ბერძენიშვილი ნ. 1974: 91; მესხია 1979: 253-279; შდრ. Mapp 1934: 42-43.
- 742 შდრ. ჯაფარიძე გ. 1995: 115, შენ. 79; Mapp 1934: 26.
- 743 Mapp 18936: 192.
- 744 იქვე, 191-192.
- 745 ჭეიშვილი გ. 2013ბ: 249.
- 746 Пятиверстная карта Кавказского Края: Д8 61-30, 41-00; Дорожная карта Кавказского края 1903 года: 61-62, 41-40. ხუთვერსიანი რუკის საძიებლის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, სხვაგან კავკასიაში მსგავსი გეოგრაფიული სახელი არ გვხვდება, იხ. Пагирев 1913: 72.
- 747 **სიქუან** 1881: 17.
- 748 Karapetyan, Mahé 2015: 442, 470-472.
- 749 ევლია ჩელები 1971: 314.
- 750 Бакрадзе 1882: 88-89; ჭეიშვილი გ. 2013ბ: 249; შდრ. ჯაფარიძე ა. 2011: 340, 356.
- 751 **ორქლი** 1966: 68.
- 752 იქვე, 63; Mapp 1905в: 40.
- 753 **ორქლი** 1966: 28.
- 754 იხ. შენ. 724.
- 755 სიტყვა „ხატი“ დამოწმებული გვაქვს სტეფანოს ორბელიანთანაც: **ყააყ ჯაათინ**; ცნობა საქართველოს სამეფო კარზე მომხდარ ამბავს ეხება (**სინქანნიუ ორქლან** 1859, II: 126; Mapp 1905в: 40, შენ. 1). სხვა შემთხვევაში იგივე ავტორი ბერძნულიდან ნასესხები „იკონას“ დამახინჯებულ **სიან**-ს ხმარობს (**სინქანნიუ ორქლან** 1859, II: 32, 296.); ვარდან არეველცი საქართველოში სელჩუკთა შემოსევისას ასახელებს ჯავახეთის ცენტრს ახალ ქალაქს, რომელსაც ქართველები ახალქალაქს უწოდებდნენ (ბერძენიშვილი დ. 2006: 249-250), ლორე-ტაშირის XIII საუკუნის სომხურ ლაპიდარულ წარწერებში ვინმე პეტრეს წინამძღვრობა ახტალის ქართულ მონასტერში გადმოცემულია ქართული სიტყვით – „წინამძღვართიუნ“, ხოლო ამბასპის ეპისკოპოსობა ჰალბატის მონაფიზიტურ მონასტერში – სომხური „ჰაირაპეტუთიუნით“ (ბერძენიშვილი დ. 2006: 195-196).
- 756 Brosset 1860-1861: 6.
- 757 ისტორიანი და აზმანი 1959: 100-101.
- 758 მსგავს მოსაზრებას გამოთქვამენ Eastmond 2000: 9; კეკელია 2012: 106.
- 759 **სირაქუან** 1977: 62-63.
- 760 Mapp 1934; შდრ. Karapetian 2011: 64.
- 761 ბერძენიშვილი ნ. 1974: 91.
- 762 ამგვარი დასკვნა ძალდაუტანებლად გამომდინარეობს ეტიფანე კათალიკოსის „განჩინებიდან“ (სილოგავა 2001: 42-43); შდრ. Mapp 1934: 123.
- 763 Mapp 1934: 86, 103.
- 764 არაერთი ნაშრომი მიეძღვნა ტიგრან ჰონენცის აღმსარებლობას (იხ. კეკელია 2012).
- 765 **ორქლი** 1966: 63.
- 766 იქვე.
- 767 იხ. წინამდებარე წიგნის შესაბამისი თავები.
- 768 Бартольд 1965: 329.
- 769 იქვე.
- 770 ორბელი 1963: 9.
- 771 Mahé 2001: 1327.
- 772 Эмин 1881: 55; Karapetian 2014: 24.
- 773 **ადრაქუან** 1944: 76.
- 774 ალექსიძე 2014: 117, შენ. 3.
- 775 ტბეთის სულთა მათიანე 1977: 13, 17-18 (დათარილება), 110, 112 (მოსახსენებლები).
- 776 ასწლოვანი მათიანე 1987: 194.
- 777 **ადრაქუან** 1944: 76-79.
- 778 ვარდანი 2002: 158. სომხური ტექსტისთვის იხ. **ქარქუან** 1862: 140, **ქარქუან** 1861: 184.
- 779 აბდლაძე 2005: 54, 185.
- 780 **ჯოსთანსანც** 1913: 81-82; ალექსიძე 2014: 114-115 (სომხ. ტექსტი), 115-116 (ქართ. თარგმანი).
- 781 **ჯოსთანსანც** 1913: 114; შდრ. **ქარქუთარქუან** 1960: 114.
- 782 Karapetyan, Mahé 2015: 420.
- 783 იქვე, 413. გამომცემლები ორივე შემთხვევაში ანატოლოს-ს ვარაუდობენ (იქვე, 413, შენ. 34, 420, შენ. 55).
- 784 „დოლა“ „დავლას“ ვულგარიზმად მიაჩნდა ი. ორბელს (Orbéli 1963:164, прим. 37).
- 785 Эмин 1881: 67; Karapetian 2014: 38; შდრ. **ადრაქუან** 1944: 80.
- 786 შდრ. ორბელი 1963: 149.
- 787 შილაკაძე 1955: 81.
- 788 **ქარქუან** 1861: 156.
- 789 Géographie 1881: 26.
- 790 აბდლაძე 2005: 176.
- 791 **ქარქუან** 1862: 119. ნ. ემინიეულ მოსკოვის გამოცემაში „დავლეთი“ არ გვხვდება.
- 792 თომა მეწოფელი 1937: 20.
- 793 აბდლაძე 2005: 37-38.
- 794 ამასთან დაკავშირებით საინტერესოა სამეცნიერ-

რო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება, რომ გიორგი III-სა და თამარის დროს და, შესაძლოა, ამაზე ადრეც, დავით აღმაშენებლიდან მოკიდებულის, საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება ჩრდილოეთ სომხეთში ყივჩაღებსაც ასახლებდა (Еремян 1946: 393-394; ჩხატარაიშვილი 1966: 169-172). აღნიშნული თვალსაზრისი ემყარება ჰარიტის ტოპონიმკას (ღფჩახი, ღფჩახვანქი, იალალი ყივჩაღი) და ჰარიტივანქის XIII-XIV სს. ლაპიდარულ წარწერებში დამოწმებულ ანთროპონიმებს (ელხუთლუ ძე ჩაგანისა, აბაში, ხოდლუ, ხუპასარენცი). ეს პირები, ს. ერემიანის თანახმად, დენაციონალიზებული, სომხური მონოფიზიტური ეკლესიის წიაღში შესული, ყივჩაღები არიან; კერძოდ, ხუპასარენცები ამირსპასალარ ყუბასარის საგვარეულოა. ხუპასარენცების ყუბასარისგან წარმომავლობას ჰ. აჭარინიც აღნიშნავდა (Աճառյան 1944: 551). ხუპასარენცები, მაინცდამაინც, ნაცივჩაღარ ყუბასარის გვარის წარმომადგენლები არ უნდა ყოფილიყვნენ – როგორც ჰარიტივანქის 1235 წლის წარწერიდან ჩანს, ხუპასარი მამაკაცის სახელია, ხოლო ხუპასარენცები ხუპასარის ძეთ, სანასარსა და ბაღდასარს გულისხმობს (Աქიჯან 1881: 163; Բարխუդარյան 2017: 51-52). ტოპონიმებს რაც შეეხება, ისინიც შედარებით გვიან (შესაძლებელია, მონღოლთა ბატონობის ხანაში) წარმოქმნილი ჩანან – მანდატურთუხუცეს-ამირსპასალარის ზაქარია მხარგრძელის სამშენებლო წარწერაში (1206/1207 წწ. შემდეგ) ჰარიტისა და ჰარიტივანქის (ე.ი. ჰარიტის წყლის) (და არა ღფჩახის ან ღფჩახვანქის) დასახელება ამის დასტურია (წარწერის ტექსტისთვის იხ. დარჩიაშვილი 2010: 146-147; დათარიღებისთვის იხ. მესხია 1979: 43).

⁷⁹⁵ მუსხელიშვილი 2014გ: 198-199; გაგოშიძე, ჩანტლაძე 2009: 121-122.

⁷⁹⁶ მუსხელიშვილი 2014გ: 199; ბერძენიშვილი დ. 2014: 413-414; Цагарейшвили 2009გ: 389.

⁷⁹⁷ Киракос Гандзакечи 1976: 141. თუმცა, ამგვარი იდენტიფიკაცია სრულებითაც არ არის სავალდებულო.

⁷⁹⁸ XIII საუკუნეში ცნობილია ქრისტიანებისა და „ტატიკების“ ქორწინების ფაქტებიც, განსაკუთრებით, არისტოკრატიულ მედაფენებში (აბდალაძე 2005: 57).

საქართველოს სამეფოს, კერძოდ, ანისის მაჰმადიანი მოსახლეობისადმი ტოლერანტული დამოკიდებულების მაგალითია დგინის სასამართლო პროცესში ანისის ყადის მონაწილეობა (აბულაძე 1985: 54; მუსხელიშვილი 2014გ: 47).

⁷⁹⁹ მხითარ გოში 2012: 86, 122.

⁸⁰⁰ Закарий Канакерци 1969: 270-273; დავლიანიძე 1987: 109-111.

⁸⁰¹ დოლიძე ი. 1970: 244-246; ჭეიშვილი გ. 2013გ: 250.

⁸⁰² ევლია ჩელები 1971: 311.

⁸⁰³ იქვე, 314-315.

⁸⁰⁴ იქვე, 315.

⁸⁰⁵ როგორც, მაგალითად, იმავე პერიოდში მოიხრებულ ქვემო ქართლში მანგლელ-თბილელობა გაერთიანდა (ენუქიძე, თარხნიშვილი, ლომინაძე 2013: 148, 221-223; დოლიძე ი. 1965: 128-129; დოლიძე ი. 1970: 184, 186-187; ბერძენიშვილი დ. 1979: 116-117).

⁸⁰⁶ Киракос Гандзакечи 1976: 192.

⁸⁰⁷ ნინიძე, სანაძე 1990: 117-119.

⁸⁰⁸ აბდალაძე 1978: 45.

⁸⁰⁹ Давлиანიძე 1959: 199; ბერძენიშვილი დ. 2006: 255-256; აბდალაძე 1978: 117-118. სომხური მოსახლეობა თავშესაფარს ჰპოვებდა საქართველოს სხვა მხარეებშიც: ტაოში, ქვემო ქართლში (განსაკუთრებით, ლორე-ტაშირში), შიდა ქართლში, კახეთში.

⁸¹⁰ Давлиანიძე 1959: 198-200.

⁸¹¹ ანისის მოსახლეობისგან თანდათანობითი დაცლის შესახებ იხ. Аюпян Т. 1985: 275-280.

⁸¹² Խաչիկյան 1967: 70; Matevosyan 2015: 48-50; Karapetyan, Mahé 2015: 486.

⁸¹³ Մաքեդიսյան Կ. 1997: 101.

⁸¹⁴ Հակոբյան, Հովհաննիսյան 1974: 196.

⁸¹⁵ Аюпян Т. 1985: 275.

⁸¹⁶ Закарий Канакерци 1969: 238.

⁸¹⁷ იქვე, 240.

⁸¹⁸ იქვე, 239.

⁸¹⁹ თამარაშვილი 1995: 469-470.


⁸²⁰ ჭეიშვილი გ. 2012: 47.

⁸²¹ ევლია ჩელები 1971: 312. წინამდებარე ნარკვევი ემყარება ამავე ავტორის მონოგრაფიას – ჭეიშვილი გ. 2017.



თაზი III

საქალაქო ცხოვრება ანისში
არქეოლოგიური მასალების
მიხედვით




ანისი X საუკუნის მეორე ნახევარში გახდა ბაგრატუნთა დინასტიის სომხური სამეფოს დედაქალაქი. თუმცა, X საუკუნის პირველი ნახევრიდან, ის თანდათან უკვე ყალიბდება შუა საუკუნეებისთვის ტიპურ ქალაქად. ანისის, ისევე როგორც სომხეთის სხვა ქალაქების წარმოქმნა-ჩამოყალიბების პროცესში შუა საუკუნეების ამიერკავკასიისთვის დამახასიათებელი ქალაქთქმნის – „ახალქალაქობის“ საზოგადო ტენდენციები შეინიშნება. ამასთანავე, რა თქმა უნდა, თავს იჩენს განსხვავებული, ადგილობრივი პოლიტიკურ-ეკონომიკური და გეოგრაფიული ფაქტორებიც.

ცხადია, ანისის შემთხვევას ვერ განვიხილავთ როგორც ძველი ანტიკური ტრადიციის ქალაქის შუა საუკუნეების ქალაქად გარდასახვის, აღორძინებისა და ჩამოყალიბების მაგალითად. ის რეგიონში განვითარებული პოლიტიკურ-ეკონომიკური მოვლენების შედეგად, ახალ გეოგრაფიულ გარემოში, განსხვავებული ფაქტორებით წარმოქმნილი ქალაქია (სურ. 1).¹

ბაგრატუნთა სამეფოს უმთავრეს პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცენტრად, დედაქალაქად გადაქცევის შემდგომ, ანისში არსებული კამსარაკანების დროინდელი ციხე, უკვე განახლებული სახით, ქალაქის ციტადელად იქცა. ეტაპობრივად, ქალაქის ზრდასთან ერთად, ანისი შუა საუკუნეების ქალაქებისთვის დამახასიათებელი თავდაცვითი კედლებით შემოიზღუდა. ეტაპობრივად შეიქმნა ყველა ის სტრუქტურული სეგმენტი, რომელიც დამახასიათებელია შუა საუკუნეების, მათ შორის, ამიერკავკასიის ქალაქებისთვის (ქალაქის საფორტიფიკაციო სისტემა – ციტადელი, გალავანი, კარიბჭეები, საიდუმლო გვირაბების სისტემა; ქალაქის საწარმოო, სავაჭრო, საცხოვრებელი, საკულტო უბნები და ა.შ. ქალაქის გარეუბნები; სავაჭრო და სავაჭრო ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული მშენებლობები; ქალაქის სამაროვანი და სხვ.) (სურ. 2).

ამდენად, დღეისთვის ანისის ნაქალაქარზე შემორჩენილი სურათით ჩვენ შეგვიძლია დავინახოთ აღმოსავლური ქალაქის ყველა ის კომპონენტი, რომელიც დამახასიათებელი იყო სპარსეთისა და მცირე აზიის ქალაქებისთვის. ესენია: სპარსული „ყუჭენდიზი“ – შიდაციხე/ციტადელი (არაბული შესატყვისი: კალა/ყალა); „შახრისტანი“ – უშუალოდ ქალაქი (მაღალი წრის საზოგადოების საცხოვრებელი სივრცე) და „რაბათი“ – ხელოსნებითა და ვაჭრებით დასახლებული ეკონომიკური გარეუბანი (X საუკუნის ბოლოდან უკვე ქალაქის



სურ. 1. ანისის ნაქალაქარის რუკა. წიგნიდან - Kevorkian 2001



სურ. 3. სავაჭრო ქუჩა აშოტის გალავანთან

საერთო გალავნის შიგნით მოქცეული). ანისის ქალაქობის პირველ ეტაპზე შიდაციხის ჩრდილოეთიდან უშუალოდ ქალაქი, ანუ „შახრისტანი“ მდებარეობდა და იგი ე.წ. აშოტის გალავნის კედლებით იყო გარშემორტყმული. შემდგომში, როგორც ჩანს, აღნიშნულ კედლებს გარეთ განვითარება პოვა „რაბათმა“, სადაც მოცემული იყო ქალაქის ხელოსან-ვაჭართა აქტიურობის ზონა, სახელოსნო-საწარმოო კვარტლები და მანუჩეს მეჩეთთან მდებარე კარიბჭით დაბოლოებული ქალაქის ცენტრში გამავალი სავაჭრო ქუჩა (სურ. 3 და 4), ასევე სხვა სავაჭრო ადგილები.²

მოგვიანებით, ე.წ. აშოტის გალავანს კედლებს გარეთ მდებარე ახალი და ვრცელი ნაწილი ქალაქის ზრდა-განვითარების, ტერიტორიის გაფართოების შედეგად ახალი საფორტიფიკაციო ზღუდის



შიგნით მოექცა: ე.წ. აშოტის გალავნის კედლების აგებიდან მოკლე ხანში, 989 წლისთვის, „ძველი ქალაქის“ (როგორც მას ნ. მარი და ი. ორბელი მოიხსენიებენ), მზღუდავი კედლებიდან ჩრდილოეთით, 700 მეტრის დაშორებით, ე.წ. სმბატის ვრცელი გალავნის კედლები აშენ-



სურ. 4. ანისი, „ლომის კარიბჭიდან“ მომავალი ქუჩა სავატრო რიგებით

და.³ ამდენად, „ძველი ქალაქის“ თანადროულად, გალავანს გარეთ არსებული „რაბათიც“ – ტერიტორია სადაც აქტიურობა ჯერ კიდევ კამსარაკანების პერიოდში შეინიშნება – ქალაქის თანდათანობითი ზრდის შედეგად წარმოქმნილ ახალ ტოპოგრაფიულ სივრცეში, ერთიან საფორტიფიკაციო სისტემის ზღუდეში მოექცა (სურ. 5 და 6).⁴

გამაგრებული ციხე (კალა) და ქალაქი (მადინა) – ასე მოიხსენიებს ანისს XII-XIII საუკუნეების მიჯნის არაბი ისტორიკოსი და გეოგრაფი იაკუთი.⁵

ანისის მსგავსად, ქალაქის თანდათანობითი ზრდის შედეგად, რაბათისა თუ სხვა გარეუბნების ახალი გალავნის კედლებით ეტაპობრივი შემოზღუდვის სურათი არქეოლოგიური მასალების⁶ თუ

სურ. 2. ანისი, ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან





სურ. 5. ანისი, გალავანი.
ხედი ჩრდილო-დასავლეთიდან.
დ. ერმაკოვის ფოტოკოლექცია

საისტორიო წყაროების⁷ მიხედვით ჩანს ქალაქ განჯის მაგალითზეც. გაქალაქების დაახლოებით მსგავს პროცესებზე, სახელდობრ, ქალაქის ზღუდეთა ეტაპობრივ მშენებლობაზე მოგვითხრობენ ქართული საისტორიო წყაროები ჯავახეთის ახალქალაქთან დაკავშირებითაც.⁸

ამიერკავკასიის ამ ქალაქების წარმოქმნა-ჩამოყალიბება, საქალაქო ცხოვრების განვითარების ურთიერთმსგავსი ტენდენციები, ბუნებრივია, განპირობებული იქნებოდა საერთო გეოგრაფიულ-რეგიონული, პოლიტიკურ-ეკონომიკური და სოციალური ფაქტორებით.

შუა საუკუნეების ქალაქების პოლიტიკურ-ეკონომიკურ მნიშვნელობას და, ამასთანავე, მის გარეგან იერსახეს, მრავალმხრივ წარმოაჩენდა ზღუდე-გალავანი, მასთან მისასვლელი გზებითა და კარიბჭეებით. ზოგადად, კარიბჭეების რაოდენობაში, მათ მდებარეობასა და სახელწოდებებში, მეტ-ნაკლებად აისახებოდა შუა საუკუნეების ამა თუ იმ ქალაქის მასშტაბები და ურბანული თავისებურებები, ისევე როგორც გარემო სამყაროსთან არსებული სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები.⁹ მაგალითად, შუა საუკუნეებში ფრიად გავრცელებული იყო პრაქტიკა, როდესაც მსხვილი ქალაქების კარიბჭეებს მეზობელი თუ შორეული ქალაქების სახელწოდებები ერქვათ. ბუნებრივია, ეს სახელწოდებები ქალაქიდან თუ ქალაქისკენ მომავალი გზის მიმართულებიდან მომდინარეობდა. ამავე დროს, აღნიშნული მოვლენა ქალაქთა თუ ქვეყანათა შორის გარკვეული ისტორიული მონაკვეთისთვის არსებულ პოლიტიკურ, სავაჭრო-ეკონომიკურ და კულტურულ კავშირებზე მიუთითებს და ქალაქის შესაბამისი კარიბჭით/კარიბჭეებით ახლო თუ შორეულ ქალაქებს შორის სავაჭრო ქარავნების მიმოსვლას, საქალაქო პროდუქციის გასვლა-შემოსვლას უნდა ასახავდეს.

საგულისხმოა, რომ მსგავსი სურათი იკვეთება თბილისის შემთხვევაშიც, სადაც ჯერ კიდევ IX საუკუნის არაბ ისტორიკოსთან,

ალ-ტაბარისთან მოხსენიებულია თბილისის ერთ-ერთი კარიბჭე – ყარსის კარი, ხოლო მოგვიანოდ, ჟამთააღმწერლის თხზულებაში, ჯალალ ად-დინის მიერ თბილისის ალების ამბებთან დაკავშირებით, იხსენიება განძის/განჯის კარი.¹⁰

განსაკუთრებით საინტერესო ცნობებს გვაწვდის დვინთან დაკავშირებით X საუკუნის მეორე ნახევრის არაბი გეოგრაფი ალ-მუკადასი. მის ნაშრომში, გარდა ქალაქის ცალკეული ნაწილების დეტალური აღწერისა, მოცემულია ქალაქის კარიბჭეების სახელწოდებებიც. დვინის მრავალ კარს შორის დასახელებულია თბილისისა და ანისის კარებიც.¹¹

ბუნებრივია, ზემომოყვანილი მაგალითები განვითარებული შუა საუკუნეების ამიერკავკასიის მსხვილი ქალაქების, მათ შორის, თბილისის, დვინისა და ანისის მჭიდრო სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთკავშირებზე მიუთითებს.

ნაქალაქარად ქცეული ანისი, განსხვავებული მიმართულებით მიმავალ გზებთან დაკავშირებულ და, შესაბამისად, სხვადასხვა სახელწოდების კართა სიმრავლით გამოირჩევა. ქალაქის არსებობის გარკვეული ეტაპისთვის საერთო საფორტიფიკაციო სისტემაში მოქცეული, სამხედრო-სტრატეგიული მოთხოვნების შესაბამისად განთავსებულ-გადაწყვეტილი და ხუროთმოძღვრული თუ მხატვრული თვალსაზრისით გამორჩეულად მაღალი ესთეტიკური გემოვნებით გაფორმებული კარიბჭეები გალავნის კედლებთან ერთად სიმბოლურ დატვირთვას ატარებს, ამასთან ქალაქის სიდიადეს, გარესამყაროს მასშტაბით მის გამორჩეულ ძალმოსილებას განაცხადებს.

ამასთან დაკავშირებით ნიშნული ჩანს მოსაზრება, რომლის მიხედვითაც ქალაქ ანისის მთავარი კარიბჭის თავზე არსებული რელიეფი ლომისა და ჯვრის გამოსახულებით¹² ქალაქის გერბს უნდა წარმოადგენდეს.¹³

ქალაქის კარიბჭეებისადმი გამძაფრებული დამოკიდებულება ასევე განპირობებული იყო ადგილობრივი მფლობელების ეკო-

*სურ. ნ. ანისი, გალავანი.
ხედი დასავლეთიდან.
დ. ერმაკოვის ფოტოკოლექცია*



სურ. 7. ანისი, წმ. გრიგოლის ეკლესია.
ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან



ნომიკური ინტერესით. კარი თავისი საბაჟოთი¹⁴ ქალაქისა და მისი მფლობელისთვის შემოსავლის ერთ-ერთ მთავარ წყაროს წარმოადგენდა. დაცვის უმთავრესი სეგმენტის – კარის მტრისთვის „გაღება“ ან მტრის მიერ კარის „აღება“ თავისთავად იწვევდა ქალაქის დაცემას. შესაბამისად, ქალაქში შესვლაც მკაცრად კონტროლდებოდა. ამ მხრივ ნიშნული ჩანს ანისის მაგალითი: არისტაკეს ლასტივერტცის (XI საუკუნის მეორე ნახევარი) ცნობით, ქალაქის კარებს მცველები დილით აღებდნენ და საღამო ჟამს კეტავდნენ.¹⁵

ანისის გალავნის კედლებში დატანილი იყო თხუთმეტზე მეტი დიდი და მცირე კარი.¹⁶ მაღალ დონეზე იყო მოწყობილი საგზაო ინფრასტრუქტურა – ქალაქთან მისასვლელი გზები და მდინარეზე გადებული ხიდები, უშუალოდ ქალაქში თუ ქალაქის გარეთ არსებული ქარვასლები. ყოველივე ზემოხაზოთვლილი ანისში მიმდინარე აქტიურ საქალაქო ცხოვრებაზე, კერძოდ კი განვითარებულ სავაჭრო-ეკონომიკურ საქმიანობაზე მეტყველებს.

აქტიური საქალაქო ცხოვრების, საგზაო ინფრასტრუქტურის, საზოგადოდ – ქალაქის ეტაპობრივი განვითარების სურათის ამსახველი უნდა იყოს ანისის გალავნის გარშემო არსებული, ძველი კა-

რიბტეებისკენ მიმავალი გზების განლაგება-მოწყობის სურათიც. ამ მხრივ საინტერესოა ნაქალაქარის ტერიტორიაზე არსებული, ტიგრან ჰონენცის მიერ XIII საუკუნის 10-იან წლებში აგებული წმ. გრიგოლის ეკლესიასთან მიმავალი გზა. ტაძარი მდებარეობს ნაქალაქარის კონცხის უკიდურეს აღმოსავლეთ შვერილზე, იქ სადაც მდინარე ახურიანს მისი შენაკადი, გაილაძორი ერთვის.

ნაქალაქარსა და მის შემოგარენზე დაკვირვებისას დადასტურდა წმ. გრიგოლის ეკლესიის აღმოსავლეთით მდებარე ერთ-ერთ კარიბჭესთან მისასვლელი, მასთან ერთად კი ქალაქის გალავანს გარეთ არსებული გზების მიმართულებები, რაც, შესაბამისად, არ არის ასახული ნაქალაქარის გეგმარების გენერალურ რუკებსა და ტოპოგრაფიულ ანაზომებში. წმ. გრიგოლის ეკლესიასთან არსებული კარიბჭე ანისის გენერალურ გეგმაზე დატანილია X ნომრით (ე.წ. „არუხის კარიბჭე“).¹⁷ იმავე კარიბჭეში ერთ-ერთ სტრუქტურულ ელემენტად ჩართულია წმ. მინას მომცრო ეკლესია, რომელსაც ქალაქის



კარიბჭის სამლოცველოს ფუნქცია უნდა ჰქონოდა – ეს იყო სალოცავი და შესაწირი ადგილი ქალაქში შემსვლელ ქრისტიანთათვის (სურ. 7 და 8).

ქალაქის კარიბჭეებში ტაძრების, სახელდობრ სხვადასხვა წმინდანისად სახელდებული მცირე სამლოცველო-სამწირველოების შექმნის ტრადიცია ჯერ კიდევ შორეული წარსულიდან მომდინარე-

სურ. 8. ანისი, წმ. გრიგოლის ეკლესია და ე.წ. არუხის კარიბჭის (კარიბჭე X) გვერდით მდებარე წმ. მინას სამლოცველო. ხედი აღმოსავლეთიდან

სურ. 9. ნახიდური მდინარე
ახურიანზე





სურ. 10. ანისი, წმ. გრიგოლის ეკლესიიდან, ე.წ. არუხის კარიბჭის გავლით, მდ. ახურიანის ხიდისკენ მიმავალი, ბაზალტის კლდეში ნაკვეთი, გზა




ობს – ის უკვე ანტიკურ ხანაში დასტურდება საკუთრივ ამიერკავკასიაშიც, სახელდობრ ვანის ნაქალაქარში.¹⁸

X კარიბჭიდან ძველი გზა მიემართებოდა ქალაქის ჩრდილო-აღმოსავლეთი გალავნის აყოლებით, მდინარე ახურიანის მცირე შენაკადის, გაილაძორის ხეობის მარჯვენა, დამრეცი ფერდის გასწვრივ და გალავნის შემოვლით მიდიოდა მთავარი კარიბჭეებისკენ – თავდაცვითი სისტემის ჩრდილოეთ ნაწილში, ორმაგ გალავანში არსებულ მთავარ, ე.წ. „ლომის კარიბჭესთან“ (IV და V), ასევე, ე.წ. ყარსის კარიბჭესთან (II და III). აღნიშნული მარშრუტით გზა მიუყვება გაილაძორის ხეობაში არსებულ, კლდეში ნაკვეთ გამოქვაბულ კომპლექსებს; იგი თანამიმდევრობით გაივლის ე.წ. გაილაძორის კარიბჭეს (IX), ე.წ. გაილაძორის უკანა კარიბჭეს (VIII), ქალაქის ორმაგი კედლების ჭადრაკულ კარიბ-

სურ. 11. ანისი, წმ. გრიგოლის ეკლესიიდან, გაილაძორის ხევით ე.წ. „ლომის კარიბჭისკენ“ მიმავალი გზა





ტეებს (VI და VII). აღსანიშნავია რომ ზემოაღწერილი გზა ჭადრაკულ კარიბჭესა და მთავარ, „ლომის კარიბჭეს“ შორის გაივლის ქალაქის გალავნის კედლებთან არსებულ ღრმა, ხელოვნულ თხრილში, რომელსაც ასევე თავდაცვითი ფუნქცია უნდა ჰქონოდა.¹⁹

საინტერესო გარემოებები გამოიკვეთა ე.წ. არუხის კარიბჭისა და მდინარე ახურიანის ხეობის დამაკავშირებელ მონაკვეთზე. აღნიშნული კარიბჭიდან გზა ეშვება მდინარის ღრმა ხეობაში. განსხვავებით ქალაქის გარშემო არსებული სხვა გზებისა, ეს გზა ნაქალაქარის კონცხის მაგმური წარმოშობის, კერძოდ ბაზალტურ შრეებში, კონცხის თითქმის შვეულად დამრეც მონაკვეთზე, ღრმა ხევის კლდოვან ფერდზეა გაჭრილი. დღეისთვის გზის ეს მონაკვეთი დაზიანებულია, თუმცა იკითხება რამდენიმე მეტრი სიგანისა და 200 მეტრამდე სიგრძის ირიბად დახრილი გზის მონაკვეთი, რომელიც ხეობაში მდინარე ახურიანის მარჯვენა ნაპირით ჩადის და შემდეგ მიემართება ე.წ. ქალწულთა მონასტრის (XI-XII) და ე.წ. სარგისის (XIII) კარიბჭეთა გავლით – იქვე, მდინარე ახურიანზე არსებული ნახიდურისკენ. ეს გზა, მდინარე ახურიანის გადაკვეთით მისი მარცხენა სანაპიროთი ქალაქ დვინისა და სხვადასხვა შორეული მიმართულებით იტოტებოდა (სურ. 9, 10 და 11).

ზემოთ აღწერილი გზა, რომელიც, როგორც აღინიშნა, ნაქალაქარის კონცხის მყარ ქანებშია ნაკვეთი, თავის დროზე დიდი მასშტაბის სამუშაოების შედეგად, მნიშვნელოვანი ფინანსური დანახარჯებით უნდა გაეყვანათ. სავარაუდოდ, ეს სამუშაოები XIII საუკუნის პირველ

სურ. 12. ამიერკავკასიის სავაჭრო გზები IX-X საუკუნეებში. წიგნიდან - ტილაშვილი 1970

ნახევარში უნდა განხორციელებულიყო – ანისის განსაკუთრებული აყვავების ხანაში, იმ პერიოდში, როცა რეგიონი და ქალაქი საქართველოს სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა. ამ სამუშაოებისა და გზის მოწყობის საქმეში გადამწყვეტი როლი უნდა შეესრულებინა ადგილობრივი მოქალაქის, ტიგრან ჰონენცის მიერ წმ. გრიგოლის ტაძრის აგებას და მისთვის სამლოცველოიანი კარიბჭის აშენებას ან განახლებას (ქალაქის გალავნის ამ მონაკვეთზე ჩანს სხვადასხვა დროის გადაკეთება-განახლებების კვალი). ამდენად, იკვეთება ერთგვარი სურათი, როცა ქალაქის ერთ-ერთი ტაძარი და, სავარაუდოდ, მის უშუალო სიახლოვეს არსებული მცირე სამლოცველოიანი კარიბჭე, მასთან მისასვლელი გზების მოწყობით თუ განახლება-კეთილმოწყობით, იზიდავს ქალაქში შემსვლელებს. სავარაუდოა, რომ ქალაქის ამ კარიბჭით მოსარგებლები – იმავდროულად წმ. გრიგოლის ეკლესიის მომლოცველები – ტაძრისა და მასთან არსე-



სურ. 13. სოფელ ჯრაპთან (სომხეთი) არსებული ქარვასლა

ბული სამლოცველოიანი კარიბჭის მნიშვნელოვანი შემწირველები იქნებოდნენ.

გარდა უშუალოდ ქალაქის გარშემო მოწყობილი საგზაო ინფრასტრუქტურისა, ანისის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარება და იქიდან მიღებული შემოსავალი, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვნად იყო დამოკიდებული საერთაშორისო კავშირურთიერთობებზე და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, დიდ სავაჭრო გზებსა და მაგისტრალზე ანისის ხელსაყრელი მდებარეობით.

ცნობილია, რომ მთელ სამხრეთ კავკასიაში და, მათ შორის, ახალწარმოქმნილ სომხურ პოლიტიკურ ერთეულებში IX საუკუნის მეორე ნახევრიდან მდგომარეობა შეიცვალა. არაბული სახალიფოსა და ბიზანტიის იმპერიას შორის ძალთა თანაფარდობის ცვლილებით, რეგიონში განვითარებული პოლიტიკური ფაქტორების წყალობით, ეკონომიკის, კერძოდ კი საქალაქო ცხოვრების განვითარებისთვის ახალი, ხელსაყრელი პირობები შეიქმნა. ამგვარი ვითარებისას, ერთ-ერთი მთავარი ხელშემწყობი იყო ბიზანტიის აღმოსავლეთთან დამაკავშირებელი სავაჭრო გზების სამხრეთიდან ჩრდილოეთით,



სურ. 14. ანისი. საკათედრო ტაძარი. ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან. დ. ერმაკოვის ფოტოკოლექცია

ამიერკავკასიაში გადატანა. ეს გზები ანის-ყარს-არტანუჯზე გადიოდა და ტრაპიზონს, იმ დროის ერთ-ერთ ყველაზე დიდ საზღვაო-სავაჭრო პუნქტს, უკავშირდებოდა (სურ. 12).²⁰

რა თქმა უნდა, აღნიშნული სავაჭრო გზიდან, ანისის მფლობელების მსგავსად, დიდი სარგებელი უნდა მიეღოთ ტაო-კლარჯეთის ქართველ მესვეურებს – ბაგრატიონებსაც, რაც საისტორიო წყაროებში შესაბამისად არის ასახული.²¹

ზემოთ დასახელებული სავაჭრო გზების მნიშვნელობისას, მათი საშუალებით მეტი შემოსავლის მიღებით, ამა თუ იმ პოლიტიკურ ერთეულზე გამავალი დიდი სავაჭრო გზებისა და მათთან დაკავშირებული საგზაო ინფრასტრუქტურის შექმნითა და კეთილმოწყობით დაინტერესებული იყვნენ ანისის ქვეყნის მოსაზღვრე სამეფო-სამთავროების მესვეურები (მონარქები, ფეოდალური ზედა ფენა).

ანისისკენ მიმავალ გზებზე შორეული მარშრუტით მოგზაურ-



სურ. 15. ანისი. მანუხეს მეჩეთი. ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან

თათვის და სავაჭრო ქარავნებისთვის არსებობდა დიდი და მცირე ხიდები, ქარვასლები. ერთ-ერთი ასეთი დიდი მშენებლობის მაგალითად შეიძლება დასახელებულ იქნას ხიდისა და ქარვასლის ნაშთები სოფელ ჯრაპთან (სომხეთი), ანისიდან (ჰორომოსიდან) სამხრეთით, მდინარე ახურიანის მარცხენა ნაპირზე (სურ. 13).²²

განსხვავებით ბაგრატუნთა პერიოდისგან, XII საუკუნეში შესუს-



სურ. 16. ანისი. ქალწულთა მონასტერი. ხედი აღმოსავლეთიდან. დ. ერმაკოვის ფოტოკოლექცია

ტებული ჩანს ვაჭრობა სატრანზიტო მაგისტრალზე, რომელიც ანისს, ყარსსა და თეოდოსიპოლისს (ერზრუმს) აკავშირებდა. 1123 წლიდან, საქართველოს მეფის, დავით IV აღმაშენებლის მიერ ანისის აღების შემდეგ, მისი დაუფლებისთვის ბრძოლაში არიან ჩართული აღმავლობის გზაზე მყოფი საქართველოს სამეფო და მეზობელი სომხეთის ტერიტორიებზე წარმოქმნილი მუსლიმური საამიროები. ხელიდან ხელში გადამავალი ანისისთვის ბრძოლაში საბოლოოდ ქართველმა მეფეებმა გაიმარჯვეს და სადავო ქალაქი, ისევე როგორც მთელი შირაკი, XII საუკუნის მიწურულს საქართველოს სამეფოში მოექცა. კვლავ აღდგა და განვითარების ახალ ეტაპზე ავიდა საერთაშორისო ვაჭრობა დასავლეთთან, ტრაპიზონისა და შავი ზღვის გავლით.²³

ამდენად, განსაკუთრებულად ხელსაყრელი პირობები სომხური ქალაქების განვითარება-აღმავლობისთვის ამჟერად უკვე საქართველოს სამეფოს ერთიან პოლიტიკურ-ეკონომიკურ სივრცეში წარმოიქმნა.

ამ ხელსაყრელი პირობების შედეგები ჩანს ანისშიც, სადაც საქალაქო ცხოვრების დაწინაურება, სოციალურ-ეკონომიკური აღმავლობა და საქალაქო კულტურის განვითარება ასახულია საკუთრივ ქალაქის იერსახეზე, მის არქიტექტურაზე, რომელიც სხვადასხვა მხატვრული წრის წარმოდგენილია სომხურ-ქართული ქრისტიანული და აღმოსავლურ-ისლამური სინკრეტიზმით (სურ. 14, 15 და 16).²⁴

ანისსა და მის შემოგარენში მრავლადაა შემორჩენილი სხვადასხვა სახის საერო ნაგებობები; ზეთსახდელები და წისქვილები; ვაჭრობისთვის გამოყოფილი ქუჩები და ადგილები; მომლოცველ-



-მოგზაურთათვის, მოვაჭრე-მოქარავნეთათვის განკუთვნილი ფუნდუკ-ქარვასლები, აბანოები, დუქნები და ა.შ. მასალები და მონაცემები მათ შესახებ, როგორც ქვემოთ ვნახავთ, წერილობით წყაროებშიც მოიპოვება.

სურ. 17. ანისი. ქალაქის XV კარიბჭესთან, მდ. ანისის ხეობაში კლდეში ნაკვეთი ძეგლები. ხედი სამხრეთიდან. დ. ერმაკოვის ფოტოკოლექცია



სურ. 18. ანისი. გაილაძორის ხევის კლდის ძეგლები

ანისის ურბანულ გარემოში სრულიად გამორჩეულია ე.წ. მიწის-ქვეშა ანისი – ნაქალაქარის ქვეშ მდინარე ახურიანის ხეობასა და მისი მცირე შენაკადების, მდინარე გაილაძორის, მდინარე ანისის,

სურ. 19. ანისი, პარონის სასახლე,
ხედი სამხრეთიდან. დ. ერმაკოვის
ფოტოკოლექცია







სურ. 20. ანისი, გალავანი, ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან. დ. ერმაკოვის ფოტოკოლექცია

იგაძორისა და წახკოწაძორის ხევებში მდებარე, მრავალრიცხოვანი გამოქვაბულები, ერთმანეთთან დამაკავშირებელი გვირაბების სისტემებით. ქალაქის გალავანს გარეთ მდებარე ეს ასეულობით ქვაბი სხვადასხვა მასშტაბის კომპლექსებში ერთიანდებოდა და ქალაქის გარეუბნებს ქმნიდა. კლდეში ნაკვეთი ქვაბებიდან ნაწილი საცხოვრებელი დანიშნულებისაა, ნაწილი სამეურნეო (მაგალითად, სამტრედეები), ან ქალაქში შემომავალ გზებთან დაკავშირებული. გვხვდება სახიზრები, სამალავები ან საიდუმლო გვირაბების მთელი სისტემები.²⁵ მრავლადაა ეკლესია-სამლოცველოები და/ან დასაკრძალავები, სახელდობრ სამარხი ეკლესიები (მათ შორის, შესაძლოა, ადრე შუა საუკუნეების პერიოდისაც).²⁶ სავარაუდოა, რომ ანისის ქვაბების ნაწილი ჯერ კიდევ წინაქრისტიანულ ეპოქაში, გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში იყოს გამოკვეთილი. ამის მანიშნებელია ძვ.წ. I ათასწლეულის შავპრიალა კერამიკის ფრაგმენტები, რომლებიც ბედაპირულად დღესაც მრავლად გვხვდება ქვაბების ნაწილში (იგაძორისა და წახკოწაძორის ხევებში). სავარაუდოდ, იმ პერიოდის სტრუქტურებს შემდგომშიც, შუა საუკუნეებშიც იყენებდნენ და აახლებდნენ.

მსგავსი, შუა საუკუნეების პერიოდით დათარიღებული, კლდეში ნაკვეთი ქვაბების უფრო ადრეული/თავდაპირველი, შუა და გვიან ბრინჯაოს ხანაში გამოყენება დადასტურდა ქვემო ქართლის მდინარეების, ხრამისა და მაშავერას ხეობებში არსებული შუა საუკუნეების კლდის ნასახლარი კომპლექსების არქეოლოგიური შესწავლის პროცესში (სურ. 17 და 18).²⁷

უშუალოდ ქალაქში, ისევე როგორც ქალაქის გარშემო მდებარე, საქალაქო ინფრასტრუქტურასთან, სავაჭრო-ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული, სხვადასხვა დანიშნულების ობიექტების არსებობისა და მათი მდებარეობის განსაზღვრისთვის მრავალმხრივ მნიშვნელოვანი ცნობები მოიპოვება ანისის ფეოდალური არისტოკრატის ერთ-ერთი წარმომადგენლის, ტიგრან ჰონენცის მიერ აგებული წმ. გრიგოლის ეკლესიისადმი შესაწირავთა სიაში. ამ ჩამონათვალში დასახელებულია როგორც უშუალოდ გალაგნის შიგნით, ქალაქში არსებული, ისე გალაგანს გარეთ, ქალაქის შემოგარენში მდებარე ობიექტები. ესენია – ქარვასლები, ფუნდუკ-ქარვასლები და ცალკეული ფუნდუკები; საზოგადოებრივი აბანო; სავაჭრო ქუჩებზე მდებარე ქულბაქები, დუქნები; ქალაქის წყალმომარაგების სისტემასთან დაკავშირებული და შემდგომში ეკლესიისთვის განკუთვნილი წყლის რეზერვუარი; ორგელაზიანი ზეთსახდელი, რომელიც, როგორც ჩანს, ერთ-ერთი იყო ქალაქში მდებარე მრავალ ზეთსახდელთაგან. ქალაქის შემოგარენის, მისი ეკონომიკური რაიონის მასშტაბის წარმოსაჩენად ასევე საინტერესოა შესაწირთა სიაში დასახელებული შემდეგი ობიექტები: მდინარე ახურიანზე, დვინის

სურ. 21. ანისი, „ქართული ეკლესიის“ ჩრდილოეთით არსებული ზეთსახდელის კედლების ნაშთები





სურ. 22. დერგები ანისიდან.
ყარსის მუზეუმის გამოფენა

კარიბჭესთან, ასევე ახურიანის შენაკადზე, გაილაძორზე მდებარე წისქვილები; უშუალოდ ეკლესიასთან, ქალაქის გარეთ, ხეობებში თუ სხვაგან არსებული ბალები და სხვა სავარგულები; საქონლის სადგომი ნაგებობები და ა.შ. (სურ. 19, 20 და 21)²⁸

თუნდაც მხოლოდ ეს წყარო შეიცავს უმნიშვნელოვანეს ინფორმაციას ქალაქის ნაწილების, ადგილობრივი ყოფისა და სამეურნეო საქმიანობის თაობაზე მსჯელობისათვის. სავარაუდოა, რომ ტიგრან ჰონენცის მსგავსი, შეძლებული და გავლენიანი მოქალაქეები, პრივილეგირებული მოხელეები და დიდვაჭრები უშუალოდ მონაწილეობდნენ ქალაქის მართვაში. ამდენად, „ქართლის ცხოვრებაში“, აგრეთვე ვარდან არეველცისთან და კირაკოს განძაკეცისთან²⁹ მოხსენიებული „ანისის თავადები“, „ქალაქის თავაკები“ (მმართველები), აგრეთვე „მწიგნობართა“ (სასულიერო პირთა) ჯგუფები უნდა წარმოადგენდეს ქალაქის ერთგვარ თვითმმართველო ორგანოს.³⁰ სწორედ მათ გადასცეს საქართველოს მეფეს, ბაგრატ IV-ს ქალაქი ანისი 1045 წელს, ხოლო 1123 წელს მეფე დავით IV-ს შესთავაზეს ქალაქის გადაცემა.³¹

ბუნებრივია, გარდა მსგავსი ხასიათის საისტორიო წყაროებისა, ანისის საქალაქო ცხოვრებაზე, ხელოსნობა-წარმოებასა და ვაჭრობაზე, საგარეო სავაჭრო-ეკონომიკურ კავშირებზე არსებითი მნიშვნელობისაა არქეოლოგიური მასალები და მონაცემები.

ანისის ნაქალაქარის არქეოლოგიურ შესწავლას XIX საუკუნის 90-იან წლებში ჩაეყარა საფუძველი.³² რუსეთის საიმპერატორო არქეოლოგიური კომისიის დავალებით და ნიკო მარის ხელმძღვანელობით 1892 წელს დაწყებულმა არქეოლოგიურმა სამუშაოებმა 1917 წლამდე გასტანა და თექვსმეტი სეზონი მოიცვა.³³ არქეოლოგიური მონაცემების მხრივ ასევე მნიშვნელოვანი იყო ანისში XX საუკუნის მეორე ნახევარში წარმოებული გათხრები.³⁴ ანისის ნაქალაქარის არქეოლოგიური კვლევა ამ ეტაპზეც გრძელდება,³⁵ რაც მომავალში ახალი არქეოლოგიური აღმოჩენების საწინდარია.

შედარებით მწირია ხელოსნურ წარმოებასთან დაკავშირებული არქეოლოგიური მონაცემები ანისის ქალაქობის პირველი ეტაპის, ბაგრატუნთა მმართველობის პერიოდისთვის (961-1045 წწ.). მასალები ბევრად უფრო მომცველი ხდება X-XI საუკუნეების შემდგომი პერიოდისთვის. ამ მხრივ საგულისხმო სურათს სახავს წერილობითი წყაროები, სადაც საუბარია ხელოსნობის ცალკეულ დარგებთან დაკავშირებულ ქუჩებზე და მათ სახელწოდებებზე – ასეთია, მაგალითად, სამჭედლო, სამეწალო სახელოსნოები, ქუდების სამკერვალო და სხვა ქუჩები.³⁶ ყოველივე ეს აღნიშნულ ქუჩებზე სახელოსნოების ან შესაბამისი ხელოსნური ნაწარმით მოვაჭრე ფუნდუკების არსებობაზე უნდა მიუთითებდეს.³⁷

ანისში წარმოება-ხელოსნობის დარგებზე საუბრისას განსაკუთრებით აღსანიშნავია ნაქალაქარის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ათობით ბეთსახდელი საწარმო.³⁸ მათი მრავალრიცხოვნებიდან გამომდინარე, სავარაუდო ხდება, რომ აღნიშნულ საწარმოებში გამოხდილი სელის ბეთი ფართო მოხმარების საკვები პროდუქტი იყო,



ამასთან იგი აღებ-მიცემობისთვის და საგარეო ვაჭრობისთვის უნდა ყოფილიყო განკუთვნილი. ბუნებრივია, მცენარეული ბეთის დიდი რაოდენობით მომხმარებლები უნდა ყოფილიყვნენ ანისში არსებული ეკლესია-მონასტრებიც და მოსახლეობის ფართო ფენა, განსაკუთრებით მარხვის პერიოდში. შუა საუკუნეების მასალებიდან ცნობილია, რომ მცენარეული ბეთი ასევე ფართოდ გამოიყენებოდა საწვავის სახით სხვადასხვა განათების საშუალებებში, მაგალითად, ტრაქებისთვის.³⁹

სურ. 23. ანისისი სიძველეთა მუზეუმში (მანუჩეს მეჩეთი) გამოფენილი საექსპოზიციო ნივთები. ნ. მარის ფოტოკოლექცია



სურ. 24. მილისებრი, რგოლისებრად შეკრული ორყურიანი მათარა. საინვ. №HMA 123-232. წიგნიდან - Armenian Ceramics 2014



სურ. 25. მოჭიქული ჯამი, ე.წ. თეთრი ჭვირული კერამიკა ანისიდან. სომხეთის ისტორიის მუზეუმი. საინვ. №HMA 123-771

ანისში წარმოებული არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩენილ არტეფაქტებში დასტურდება სხვადასხვა მასალისგან – თიხის, მინის, ლითონის, ძვლისა და ა.შ. დამზადებული ნაწარმი, კერძოდ კი საყოფაცხოვრებო, სამეურნეო, საბრძოლო თუ სხვა დანიშნულების ნივთები. აღნიშნული მასალა მრავალმხრივ საინტერესო ადგილობრივი ხელოსნური წარმოების თუ საგარეო სავაჭრო ურთიერთობების საკითხების განხილვისას. ანისში აღმოჩენილი არქეოლოგიური არტეფაქტების დეტალური განხილვა ამ ეტაპზე ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს და, ამდენად, მათ შევხებით მხოლოდ ზოგადად, ჩვენთვის საინტერესო კონკრეტულ მონაპოვრებს კი – უფრო დეტალურად.

ანისის არქეოლოგიურ მონაპოვარში ყველაზე მრავალრიცხოვან ნაწილს კერამიკული ნაწარმი შეადგენს. ამ მასალის შესახებ არაერთხელ დაწერილა.⁴⁰ ამასთანავე, ანისის შემთხვევაში ძნელია ვისაუბროთ ადგილობრივ კერამიკულ წარმოებაზე. ამ მხრივ, პირველყოვლისა, ისაა ნიშნული, რომ ნაქალაქარის ტერიტორიაზე წარმოებული არქეოლოგიური გათხრების დროს არსად გამოვლენილა კერამიკული წარმოებაზე მიმანიშნებელი რაიმე მტკიცებულება – კერამიკის გამოსაწვავი ქურები, ქურების შიგნიდან კედლებზე თაროების მოსაწყობად განკუთვნილი კერამიკული სოლები; კერამიკული სამფეხები, ნაწარმის წუნდებული ნიმუშები და სხვ.

როგორც ამიერკავკასიის ქალაქების არქეოლოგიური კვლევის პრაქტიკამ აჩვენა, მსგავსი კერამიკული ნაწარმები, შესაძლოა, ყოფილიყო როგორც ქალაქის შიგნით, ისე ქალაქის მთავარი ზღუდის გარეთაც. შესაძლოა, მომავალმა არქეოლოგიურმა სამუშაოებმა მოიგვას ანისის ნაქალაქარის შემოგარენიც, მათ შორის – გარეუბნებიც; ამით გაიზრდება ადგილობრივ კერამიკულ წარმოებასთან დაკავშირებული მასალების გამოვლენის შესაძლებლობაც. ამასთანავე, ანისში დიდი ზომის მოუჭიქავი სამეურნეო, სამზარეულო და სხვა საყოფაცხოვრებო ტურტლის, ასევე სამშენებლო კერამიკის დამზადება უფრო მოსალოდნელი ჩანს, ვიდრე რთული ტექნოლოგიური პროცესის საჭიროების მოჭიქული ტურტლის წარმოება. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ანისი საკმაოდ მკაცრი კლიმატურ-ლანდშაფტური პირობების ზონაში მდებარეობს; ამდენად, სავარაუდოა, რომ ადგილობრივი დიდი ბაზრისთვის რთულტექნოლოგიური პროდუქციის წარმოება, შესაბამისი მასალისა და საწვავის დახარჯვა, ადგილზე არამომგებიანი უნდა ყოფილიყო. შესაბამისი პროდუქტი შეიძლება ადვილად შემოეტანათ მეზობელი დიდი ქალაქებიდან (დვინი, დმანისი, თბილისი) ან კერამიკული წარმოების საყოველთაოდ ცნობილი, უფრო შორეული, ცენტრებიდან.

ყოველი შემთხვევაში, დღეისათვის ანისში არ მოიპოვება კერამიკული წარმოების ამსახველი ისეთივე არქეოლოგიური მონაცემები, როგორც ეს სომხეთის,⁴¹ აზერბაიჯანისა⁴² და საქართველოს⁴³ სხვა შუა საუკუნეების ქალაქების შემთხვევაში დასტურდება.

ნაქალაქარზე აღმოჩენილ კერამიკულ ნაწარმში ორი ძირითადი ჯგუფი გამოიყოფა: ა. სამშენებლო-კომუნალური კერამიკა და ბ. საყოფაცხოვრებო-სამეურნეო კერამიკული ტურტელი.

სამშენებლო-კომუნალური კერამიკიდან წარმოდგენილია აგურები, კრამიტები, მოჭიქული შორენკეცები, წყალგაყვანილობის მილები. იმავე ჯგუფს უნდა მიეკუთვნოს ცილინდრული ფორმის, ტანზე ნახვრეტებიანი, თავბოლო ღია და თავზე სახელურიანი გადასატანი სათბური ზესადგარები.⁴⁴ სავარაუდოა, რომ აღნიშნულ, ვერტიკალურად მდგარ ზესადგარში ხის ნაკვერჩხალს ან სხვა რაიმე სახის საწვავ მასალას (შესაძლოა წივას) დებდნენ, აღვივებდნენ და შენობის გასათბობად იყენებდნენ.

ანალოგიური, ე.წ. ცილინდრული სათბურ-კოლორიფერებია აღმოჩენილი ანისის და, ზოგადად, შირაკის მსგავს მკაცრი კლიმატის ადგილებში საქართველოს ტერიტორიაზე, კერძოდ ჯავახეთის ახალქალაქის⁴⁵ და ვარძია-ვანის ქვაბების⁴⁶ გათხრებისას.

დიდი რაოდენობითაა ანისში აღმოჩენილი სამეურნეო დანიშნულების, სახელდობრ, მარცვლეულისა თუ სითხის შესანახი ჭურჭელი, განსაკუთრებით კი გარედან შტამპური ორნამენტებით შემკულ-გაფორმებული დერგები.⁴⁷ ჭურჭლის ეს ტიპი, ფორმების მსგავსებით, მხატვრული გაფორმებისთვის დამახასიათებელი საერთო მოტივებით, XII-XIII საუკუნეებით თარიღდება და გავრცელებული ჩანს მთელ ამიერკავკასიაში.⁴⁸ შესაბამისად, დერგის უამრავი ნიმუშებია აღმოჩენილი აზერბაიჯანის,⁴⁹ სომხეთის,⁵⁰ საქართველოს⁵¹ შუა საუკუნეების ძეგლებზე (სურ. 22).

ანისის არქეოლოგიურ კოლექციაში მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს ძვირფასი სითხეების (ვერცხლისწყალი, სინდიცი, სხვა ქიმიური სითხეები, წამლები, ნელსაცხებლები და ა.შ.) შესანახ-გადასატანად განკუთვნილი ჭურჭელი, ე.წ. სფეროკონუსები. ცეცხლგამძლე, მდგრადი თიხისგან დამზადებული, IX-XV საუკუნეებით დათარიღებული, ჭურჭლის ეს ტიპი ფართოდ იყო გავრცელებული აღმოსავლეთსა თუ დასავლეთში. ამიერკავკასიაში ამ ტიპის ჭურჭლის დამზადება დადასტურებულია აზერბაიჯანში, ორენ-ყალას არქეოლოგიური გათხრებისას – შესაბამისი ჭურჭლის გამოწვისთვის საჭირო ქურებითა და სფეროკონუსების წუნდებული ნიმუშებით.⁵²

ნ. მარის ხელმძღვანელობით წარმოებული არქეოლოგიური გათხრების დროს ანისის ნაქალაქარზე ასეთი ჭურჭლის ასობით ნიმუში აღმოჩნდა – როგორც მთლიანი, ისე ფრაგმენტების სახით (სურ. 23). საგანგებოდ აღინიშნა სფეროკონუსების აღმოჩენის შემთხვევები ე.წ. აშოტის კარებისკენ მიმავალი ქალაქის მთავარ სავაჭრო ქუჩაზე.⁵³ ანისში აღმოჩენილი სფეროკონუსების ნიმუშები ხასიათდება სხვადასხვა ზომის, ფორმისა და ორნამენტული დეკორის მრავალფეროვნებით. ანისურ სფეროკონუსებზე ასევე ვხვდებით არაბულ წარწერებს, სახელების აღმნიშვნელ ინიციალებს. ნაქალაქარის ტერიტორიაზე აღმოჩენილი სფეროკონუსებიც, სხვადასხვა ანალოგიების მიხედვით, X-XIV საუკუნეებით თარიღდება. სფეროკონუსების ესოდენ დიდი სიმრავლე ანისში კიდევ ერთხელ მეტყველებს ქალაქის აქტიურ სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებზე.⁵⁴

ტრანსპორტირებისთვის განკუთვნილი უნდა იყოს 1905 წელს ანისში აღმოჩენილი და სომხეთის ისტორიის მუზეუმში დაცული კერამიკული ჭურჭლის ერთი, მეტად საინტერესო, ნიმუში (№HMA



სურ. 26-27. ლუსტრით მოხატული ჯამის ფრაგმენტები, ირანი. სომხეთის ისტორიის მუზეუმი. საინგ. №HMA 123-357; საინგ. №HMA 123-358

სურ. 28-29. ფერადი საღებავებით მოხატული ჯამის ფრაგმენტები, ე.წ. მინაის ტიპის ჭურჭელი, ირანი. სომხეთის ისტორიის მუზეუმი. საინგ. №HMA 123-360a; საინგ. №HMA 123-360



სურ. 30. ბრინჯაოს გულსაკიდი ჯვარი, ანისი. სემ, საინგ. №GNM01 ა646.

სურ. 31. ძვლის ჯვარი, ანისი. სომხეთის ისტორიის მუზეუმი. საინგ. №HMA 123-1216. წიგნიდან - Ani: The Millennial Capital of Armenia 2015

სურ. 32. ძვლის ჯვარი, ლალია, ქართული მონასტერი კვიპროსზე. წიგნიდან - გაგოშიძე ი., მინდორაშვილი, გაგოშიძე გ. 2014

123-232) (სურ. 24). ეს არის ერთგვარი მათარა, ზომით 23.5x25.5 სმ., მრგვალგანივკვეთიანი, რგოლისებრად შეკრული, მილისებრი ტანით, გარედან მოწერნაქებული, თავზე დაბალი ყელითა და მრგვალი პირით, ოვალურად მორკალური ყელსა და მხრებზე მიძერწილი ბრტყელგანივკვეთიანი ყურებით. მათარა XI-XIII საუკუნეებითაა დათარიღებული.⁵⁵

ამიერკავკასიაში ამგვარი ჭურჭლის ანალოგების არქონის გამო მათარის სავარაუდო თარიღზე მსჯელობა რთულია; თუმცა კი, მოსალოდნელია, რომ იგი შედარებით ადრეულ პერიოდს განეკუთვნება და ისლამური კერამიკის გავლენით კავკასიაში ადგილობრივ წარმოებულ ნივთს უნდა წარმოადგენდეს.

მსგავსი ფორმის, სავარაუდოდ ირანიდან ან ერაყიდან მომდინარე, ამასთან შედარებით მრავალგვარად – რელიეფური შტამპური ორნამენტებით გაფორმებული და მწვანედ მოჭიქული ქუსლიანი ჭურჭელი (სამუზეუმო №1978.549.2), რომლის ფორმებსაც ფესვები და გავლენა ადრეისლამურ ხანაში, ჯერ კიდევ რომაულ პერიოდში ეძებნება, დაცულია ნიუ იორკის მეტროპოლიტენ მუზეუმში და ის VIII საუკუნითაა დათარიღებული.⁵⁶

ანისის კერამიკული მასალების მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს სამხარეულოსთვის განკუთვნილი მოუჭიქავი ჭურჭელი: ქვაბები, ქოთნები, ბადიები, კოჭობები; სუფრის ჭურჭელი: მოჭიქული და მოუჭიქავი თეფშები, ჯამები, სამარილეები; სხვადასხვა სითხისთვის განკუთვნილი დოქები, ხელადები, სურები, სასმისები. საყოფაცხოვრებო კერამიკიდან ასევე ანისშია აღმოჩენილი ოთახ-სათავსების გასანათებელი ტრაქები და სამელნეები (სურ. 26-29).⁵⁷

მნიშვნელოვან და საინტერესო კოლექციას ქმნის ანისში აღმოჩენილი იმპორტული კერამიკული ნაწარმი, რომელიც ძირითადად წარმოდგენილია სხვადასხვა ჯამებითა და მათი ფრაგმენტებით. ამ მასალის უდიდესი ნაწილი ისლამური კერამიკის ბრწყინვალე ნიმუშებს წარმოადგენს და, ამდენად, მათზე არაერთხელ გაუმახვილებიათ ყურადღება.⁵⁸ ამდენად, ამ ნიმუშებზე ვრცლად აღარ შევჩერდებით; შევნიშნავთ მხოლოდ, რომ ამ კოლექციის ფარგლებში, როგორც ნ. მარისეული ექსპედიციებიდან, ისე ბოლო ათწლეულების გათხრებიდან მომდინარე მასალებში, გამოიყოფა სხვადასხვა ტიპის კერამიკის ნიმუშები, რომლებიც, სავარაუდოდ, შუამდინარეთის და ირანის ცნობილი კერამიკული ცენტრებიდან უნდა მომდინარეობდეს (სურ. 25).

ამ მასალაში არის ანგობის საღებავებით მოხატული ე.წ. ნიშაპურის სტილის კერამიკის რამდენიმე ნიმუშიც. გვხვდება ადრეული (X-XI სს.) და შემდგომი პერიოდის (XII-XIII სს.) ლუსტრის საღებავით მოხატული ჭურჭლის ნიმუშები (ე.წ. მესოპოტამიური ტიპი, რეის, ქაშანის ნაწარმი). ლუსტრითა და ლურჯი საღებავებით თეთრი კობალტის ტიქურზე მოხატული, სპილენძის ლუსტრის საღებავებითა და ლურჯი კობალტის ტიქურით დაფარული ჭურჭლის ნიმუშები (XII-XIII სს.); ამოკაწვრით, რელიეფური ორნამენტით შექმნილი, კობალტის ლურჯი ან ფირუზისფერი ტიქურით მოჭიქული ჭურჭელი (XII-XIII სს.); ანგობის შავი საღებავით მოხატული ფირუზისფერი ტიქურგადავლე-

ბული ჭურჭელი – ე.წ. სილუეტური კერამიკა (გვიანი XII – XIII საუკუნეები, ძირითადად ქაშანის ნაწარმი); რელიეფური ან ჭვირული ეფექტებით შემკული, ე.წ. ლურჯ საღებავდაღვრილი თეთრი კერამიკა (გვიანი XII – ადრეული XIII საუკუნეები); ფირუზისფრად მოჭიქული და ოქროს ფურცლებით მოხატული ე.წ. ლაჟვარდინას ტიპის კერამიკის ნიმუშები (XIII ს.); მრავალფრად მოხატული კერამიკული ჭურჭელი, ე.წ. მინაის ტიპის კერამიკის ნიმუშები (გვიანი XII – ადრეული XIII საუკუნეები); სხვადასხვა ფერის საღებავებით მოხატული და გამჭვირვალე ჭიქურით დაფარული, ე.წ. სულთანაბადური ტიპის კერამიკა (XIII-XIV სს.).

ზემომოყვანილი მაგალითებით ჩანს, რომ ანისში იმპორტული ნაწარმი განსაკუთრებით XII-XIII საუკუნეების მიჯნაზე მატულობს, რაც, რეგიონისა და ქალაქის საქართველოს სამეფოს ფარგლებში მოქცევის კვალად, სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების ახალ ეტაპზე გადასვლის, დიდი ეკონომიკური სიძლიერის თავმოყრის მანიშნებელი უნდა იყოს.

საგულისხმოა, რომ უშუალოდ ანისის ნაქალაქარზე მინის წარმოების ფაქტი არქეოლოგიურად დადასტურებული არ ყოფილა. ივარაუდება, რომ ანისში აღმოჩენილი მინის არტეფაქტები განსხვავებული წარმომავლობისა უნდა იყოს. ანისში აღმოჩენილი IX-XIV საუკუნეების მინის ჭურჭლის ნაწილი ბიზანტიური წარმომავლობისაა, ნაწილი კი აღმოსავლური მინის წარმოების ცნობილი ცენტრების (რაკკა, ალეპო, დამასკო) პროდუქციას უნდა შეადგენდეს. მინის პროდუქცია, დვინის ნაქალაქარზე მოპოვებული მასალის მსგავსად, ანისშიც, სავარაუდოდ, უნდა მოხვედრილიყო საქართველოს სხვადასხვა მინის საწარმო ცენტრიდან (რუსთავი, ორბეთი).⁵⁹ შესაძლოა, მინის ნაწარმის ერთ-ერთი ექსპორტიორი ყოფილიყო დმანისიც, რომლის პროდუქციაც, სავარაუდოდ, ჩანს დვინისა და გარნის მასალებში.⁶⁰ რაც შეეხება დვინში დამზადებულ, მაღალი ხარისხის, მინის ნაწარმს, რომელიც ასევე ფართოდ იყო გავრცელებული რეგიონში,⁶¹ დმანისში მოხვედრილ იმპორტში მისი წილიც მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო. ანისის მინის არტეფაქტების მონაპოვარში, გარდა ჭურჭლისა (სასმისები, ჭრაქები, სანელსაცხეები და სხვ.), ასევე შედის სამკაული – სამაჯურები, მძივები, აგრეთვე სარკმლის ფრაგმენტები.⁶²

საკმაოდ მრავალრიცხოვანია ანისის არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩენილი ლითონის არტეფაქტები. მათი წარმომავლობა, დანიშნულება, რელიგიურ-აღმსარებლობითი კუთვნილება ფართოდ უნდა ასახავდეს ქალაქის მოსახლეობის მრავალეთნიკურ, რელიგიურად განსხვავებულ და მეტწილად ერთიან საქალაქო სოციალ-ეკონომიკურ, კულტურულ სივრცეში მოქცეული მოსახლეობის ყოფისა და სამეურნეო ცხოვრების სურათს. ასეთია ქრისტიანულ და ისლამურ რელიგიებთან, კერძოდ კი ქრისტიანულ ღმრთისმსახურებასთან დაკავშირებული ნივთები: კანდელები, ჭრაქები, სასაკმეველები, საწინამძღვრო ჯვრები, მათთან ერთად კი – პირადი მოხმარების გულსაკიდი ჯვრები და ავგაროზები, რელიგიური დატვირთვის მატარებელი სამკაული (საკინძები, საყურეები, ბეჭდები) და



სურ. 33. მოჭიქული ჯამი, დვინი. სომხეთის ისტორიის მუზეუმი. საინგ. №HMA 1794-314. წიგნიდან - Armenian Ceramics 2014

სურ. 34. მოჭიქული ჯამი, თბილისი. სემ, საინგ. №GNM01 1-54:2765

სურ. 35. მოჭიქული ჯამი, თბილისი. სემ, საინგ. №GNM01 1-54:3226



სურ. 36. ფრინველების გამოსახულებიანი მოჭიქული ჯამების ფრაგმენტები ანისიდან (სომხეთის ისტორიის მუზეუმი - საინვ. №HMA 123-269 (ზემოთ) და საინვ. №HMA 123-309 (ქვემოთ)). ი. სტრაუმეს ჩანახატი. საქართველოს ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი. საინვ. №17-1/2



სურ. 37. ფრინველის და ლომის გამოსახულებიანი მოჭიქული ჯამების ფრაგმენტები ანისიდან (სომხეთის ისტორიის მუზეუმი - საინვ. №HMA 123-308 (ზემოთ) და საინვ. №HMA 123-312 (ქვემოთ)). ი. სტრაუმეს ჩანახატი. საქართველოს ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი. საინვ. №22-1/7

სხვა ნივთები;⁶³ აგრეთვე ისლამური ტიპის ჭურჭელი, სასაკმეველები, სამკაული⁶⁴ და ა.შ.

საინტერესოა ანისში აღმოჩენილი საბრძოლო იარაღის (შუბისპირები, ისრისპირები) ნიმუშები, ხელოსნის სხვადასხვა ხელსაწყოები და სასწორის ჯამები, რომლებიც ქალაქში არსებულ სავაჭრო საქმიანობებს უკავშირდება.⁶⁵

ანისიდან მომდინარე, ჩვენთვის ცნობილ, არქეოლოგიურ კოლექციებში ასევე გვხვდება სხვადასხვა დანიშნულების, ძვლისა და რქის მასალისგან დამზადებული, ნივთები. ასეთია: სხვადასხვა ფორმის კოლოფების ფრაგმენტები, დანისა და სამართებლის ტარები, ღილები, გულსაკიდი ჯვრები და სხვ.⁶⁶ მსგავსი ტიპის არტეფაქტები მრავლად გვხვდება საქართველოსა და აზერბაიჯანის ტერიტორიაზე შესწავლილ არქეოლოგიურ ძეგლებზეც.⁶⁷

ანისის ქალაქობის პერიოდთანაა დაკავშირებული საქართველოს ეროვნული მუზეუმის კოლექციებში დაცული ერთ-ერთი ექსპონატი. ნაქალაქარიდან მომდინარე ეს ნივთი ჩვენთვის ასევე საინტერესოა ანისის ყოფითი და კულტურული სავარაუდო გარეკავშირების თვალსაზრისითაც. ესაა გულსაკიდი ჯვრების ერთ-ერთი განსხვავებული ტიპის ნიმუში, რომელიც არცთუ ისე გავრცელებული ჩანს კავკასიის რეგიონში. ანისში აღმოჩენილი სწორედ ერთ-ერთი ასეთი ტიპის ბრინჯაოს გულსაკიდი ჯვარი 1914 წელსაა შემოსული კავკასიის მუზეუმში (შეძენილია ა. ფლორენსკისგან) (სურ. 30).

გულსაკიდი ჯვრის (საინვენტარო №GNM01 ან46, ძვ. №2-14:3) ზომებია: სიმაღლე ყუნწიანად – 5.3 სმ; სიგანე – 4.3 სმ. ერთიანი ჩამოსხმის შედეგად მიღებული ტოლმკლავებიანი ჯვრის ზედა მკლავის თავზე მოთავსებულია ოვალური ფორმის საყუნწე რგოლი (სურ. 30). ჯვრის მკლავები მრგვალგანიკვეთიანია; გაფორმებულია დაბალრელიეფიანი ლილვებითა და მკლავების ბოლოს არსებული ქუდისებრი დაბოლოებებით. ამ ორ ელემენტს შორის, მკლავების დაბოლოებებისკენ, მოთავსებულია შესქელებული ნაწილები – ბიკონუსური ოვალური მონაკვეთები. მკლავების შეერთების ცენტრში, კუბური, ოთხკუთხედის ფორმის ფასადზე დატანილია დიაგონალურად მიმართული, ურთიერთ გადამკვეთი ორი ხაზი, რითაც იქმნება ნიშანი X (სავარაუდოდ, ქრისტეს ან ჯვრის სიმბოლური მონოგრამა).

ფორმებით მსგავსი ტიპის, მრგვალგანიკვეთიანი, ტოლმკლავა, ოღონდაც ამ შემთხვევაში ძვლისგან დამზადებული გულსაკიდი ჯვრის ფრაგმენტი აღმოჩენილი ანისში 1908 წლის აქეოლოგიური გათხრების დროს. სომხეთის ისტორიის მუზეუმში დაცული ჯვრის (№HMA 123-1216)⁶⁸ სიმაღლე 3.2 სმ-ია, შემორჩენილი სიგანე კი 1.7 სმ (მარჯვენა მკლავი ჩამოტეხილია). წარმოდგენილი გულსაკიდი ჯვარი XI-XIII საუკუნეებით თარიღდება (სურ. 31).⁶⁹

საინტერესოა, რომ ძვლისგან შექმნილი, ფორმით თითქმის ანალოგიური გულსაკიდი ჯვარი აღმოჩნდა კუნძულ კვიპროსზე (სურ. 32), 2009-2010 წლებში ღალიის ქართული სამონასტრო კომპლექსის გათხრებისას,⁷⁰ წმინდა ნიკოლოზის დარბაზული ეკლესიის კრიპტის №4 საძვალეში. აღნიშნულ ძვლის ჯვართან ერთად საძვალეში აღმოჩნდა ოთხი მონეტა, რომელთაგან ყველაზე გვიანდელი XI

საუკუნით თარიღდება, აგრეთვე კერამიკის ნიმუშები, რომელთაც პარალელები XII საუკუნის მასალებში ეძებნებათ. ამდენად, არქეოლოგიური მასალა, მათ შორის ძვლის გულსაკიდი ჯვარიც, XI- XII საუკუნეებითაა დათარიღებული.⁷¹

ანისის ნაქალაქარსა და კვიპროსის ქართულ ნამონასტრალში თითქმის ანალოგიური ძვლის გულსაკიდი ჯვრების აღმოჩენა ეგებ არ წარმოადგენს უბრალო დამთხვევას – ეს ფაქტი შესაძლოა განხილულ იქნას როგორც ერთ-ერთი მაგალითი ანისის კავშირისა ქართულ კულტურულ სივრცესთან.

ანისში აღმოჩენილ სხვა, ლითონის გულსაკიდ ჯვრებს⁷² პარალელები ეძებნებათ არა მარტო სომხეთში მოპოვებულ არქეოლოგიურ მასალაში, არამედ საქართველოს ტერიტორიაზე შესწავლილ არქეოლოგიურ ძეგლებზეც. ასეთი, ყველაზე კომპლექსური, არქეოლოგიური ძეგლის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ სოფელ შენაქოს შესაწირველი და იქ აღმოჩენილი მასალა.⁷³

ანისთან სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებში ასევე მნიშვნელოვანი ჩანს წვლილი აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებისა, რომელთა საქალაქო-ხელოსნური ნაწარმი კავკასიის სხვადასხვა მხარეში ექსპორტის საგანი უნდა ყოფილიყო.

სხვადასხვა ხელოსნური ნაწარმის ფართო ბაზარზე ექსპორტიორ ქალაქთა რიგში უნდა ყოფილიყო საქართველოს სამეფოს დედაქალაქი თბილისი და სამეფო ქალაქი დმანისი. როგორც ჩანს, ამ ქალაქებში არქეოლოგიურად დადასტურებული კერამიკის⁷⁴, მინის⁷⁵, ძვლის მასალისა⁷⁶ და სხვათა წარმოების პროდუქტი სავაჭროდ გაჰქონდათ იმდროინდელი ძლიერი ქართული სამეფოს პოლიტიკურ საზღვრებსა და ეკონომიკურ სივრცეში შემავალ სხვადასხვა რეგიონსა და ქალაქში⁷⁷ (სურ. 33, 34 და 35).

ამ საკითხებთან დაკავშირებით ადრე გამოთქმულ მოსაზრებათა შემაგრება-შეცხებისა თუ შესწორების მიზნით, ყურადღებას გავამახვილებთ რამდენიმე არქეოლოგიურ ნივთზე, რომლებიც, ჩვენი აზრით, აღმოსავლეთ საქართველოსა და სომხეთის ქალაქებს შორის იმპორტ-ექსპორტის სურათს კარგად წარმოაჩენს.

საქართველოსა და სომხეთის ქალაქებს შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის მაგალითად შეიძლება დასახელებულ იქნას დვინში აღმოჩენილი მოჭიქული ჯამი (სურ. 33). სომხეთის ისტორიის მუზეუმში დაცული, ამოკაწვრითა და სხვადასხვა ფერის საღებავებით მოხატული, ტიქურგადავლებული ეს ქუსლიანი ჯამი (№HMA 1794-314) ზომით 21x9 სმ-ია.⁷⁸ ჯამის შიგნით, ცენტრალურ ნაწილში, მცენარეული ორნამენტის შუაში გამოსახულია მარცხნივ პროფილით მიმართული ფრინველი – წერო, ნისკარტით მონადირებული ჭიაცელით თუ პატარა გველით. ეს ჯამი კეცის ფერითა და ფაქტურით, აგრეთვე მოყვანილობით: ქუსლისა და პირის დიამეტრით, კალთასა და ქიმს შორის გარდამავალი წიბოს მომრგვალებით, ასევე მომრგვალებული პირის ფორმით, მხატვრული მოტივებით, ზედმიწევნით იმეორებს თბილისური ნაწარმის, კერძოდ ე.წ. განჯისკარის კერამიკული სახელოსნოს მსგავსი, მასობრივი წარმოების პროდუქციას – ფრინველებით მოხატული ჯამების ტიპს.⁷⁹ განსხვავებით თბილი-



სურ. 38. მოჭიქული ჯამი ლომის გამოსახულებით, დმანისი. სემ, საინგ. №GNM01 დმ. 209

სის სახელოსნოში აღმოჩენილი ჯამებისა, რომელთა დიდ ნაწილზე ფრინველთაგან ჩიტია გამოსახული, დვინში აღმოჩენილ ჯამზე წეროს ნადირობის სცენაა მოცემული. ნიშანდობლივია, რომ დვინში აღმოჩენილ ჯამზე გამოსახული წეროს ტანი გარკვეულწილად იმეორებს თბილისურ ჯამებზე გამოსახული ჩიტების ტანს. რჩება შთაბეჭდილება, რომ თბილისური ჯამებისთვის სტანდარტული ფორმის ფრინველის ტანს ხელოვნურადაა მისადაგებული წეროს თავი და კუდი, ისე, რომ წეროს ფრთა და ფეხები კვლავ ჩიტის ფორმებს იმეორებს. სახეზეა ერთგვარი „გადაკეთება“ თბილისური (ფრინველის თემა კერამიკაზე არსებულ მხავრობაში ერთ-ერთი მთავარი მხატვრული მოტივია და ფართოდაა გავრცელებული მთელ აღმოსავლეთში) სტანდარტული ჩიტის მოტივიდან განსხვავებულ, წეროს ნადირობის სცენაში. ანალოგიური მოყვანილობისა და ზომების, მსგავსი მხატვრული ხერხებით გაფორმებული და წეროს გამოსახულებიანი ჯამი ჩვენთვის უცნობია. უცხოა იგი ადგილობრივი წარმოების, ამიერკავკასიის განვითარებული შუა საუკუნეების არქეოლოგიურ მასალებში. ეს გარემოება იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ ჯამი შეიქმნა თბილისის კერამიკულ სახელოსნოში, როგორც არასტანდარტული მოტივით გაფორმებული პროდუქტი, თბილისური ჯამების ფრინველის გამოსახულებიანი სტანდარტული მოტივების მხოლოდ რამდენადმე განსხვავებულად ინტერპრეტირების შედეგად, შესაძლოა საგანგებო დაკვეთით. ყოველივე ეს კიდევ ერთხელ წარმოაჩენს დვინში აღმოჩენილი ჯამის ორიგინალურობას. შესაძლებელია, ეს ჯამი, როგორც განსაკუთრებული პროდუქტი, თავიდანვე შორეული ექსპორტისთვის იყო გათვალისწინებული და მისი აღმოჩენა დვინში ამასვე უნდა მიეწეროს.

საერთო მხატვრული ტენდენციების არსებობაზე ან აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებიდან სომხეთის ქალაქებში ექსპორტის შემთხვევაზე შეიძლება მსჯელობა სხვა, ანისში აღმოჩენილი, კერამიკული ნიმუშის შემთხვევაში. ასეთია ადამიანის გამოსახულებიანი ჯამი (№HMA 123-306).⁸⁰ მსგავსი მხატვრული მოტივებით ჭურჭლის გაფორმება საკმაოდ ახლობელი ჩანს აღმოსავლეთ საქართველოს კერამიკული წარმოების ცენტრებში. საინტერესოა ანისის ჯამზე გამოსახული ადამიანის, სავარაუდოდ, ქალის გამოსახულება. თავის დროზე ბ. შელკოვნიკოვმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ჯამზე უნდა გამოესახათ ანელი სომეხი ქალი, რომელსაც ხელში სარკე უჭირავს.⁸¹ თავსაბურღიან ფიგურას და შესაბამის მოტივს ახლო პარალელები ეძებნება აღმოსავლეთ საქართველოს ნაქალაქარებზე აღმოჩენილ მასალებში. იგივე ითქმის ზოომორფული გამოსახულების თაობაზეც, კერძოდ ამგვარი ფიგურის ადამიანის სახესა და მისი თავსაბურავის ფორმაზე. ასეთია ჯამები ჟინვალიდან, გავაზიდან, თელავიდან, დმანისიდან და სხვ.⁸²

ასევე საინტერესოა ანისში აღმოჩენილი ჯამების ფრაგმენტები ფრინველის (სურ. 36) და ლომის (სურ. 37) ტანის გამოსახულებებით,⁸³ რომელთაც ასევე ახლო პარალელები გააჩნიათ დმანისში და თბილისში აღმოჩენილი ნიმუშების სახით (სურ. 38).⁸⁴

ამდენად, არქეოლოგიური მასალა ცხადყოფს ანისის საქალა-

ქო ცხოვრების, აქტიური სავაჭრო-ეკონომიკური, კულტურული ურთიერთობების განვითარების პროცესს. როგორც ადგილობრივ, ქალაქის ეკონომიკური რაიონის სივრცეში, ისე მეზობელ, მათ შორის – შორეულ ქალაქებთან, ხელოსნობა-წარმოების ცნობილ ცენტრებთან, ურთიერთობის შემთხვევაშიც. ამავე არქეოლოგიური მასალის მიხედვით, ეს პროცესები, ისევე როგორც ქალაქის განვითარება, განსაკუთრებული აღმავლობის ეტაპს XII-XIII საუკუნეებში აღწევს.

შენიშვნები

- 1 Мурадалиева 2011: 65.
- 2 Манандян 1954: 220-222.
- 3 Акопян Т. 1985: 72-73.
- 4 Мapp 1934: 79.
- 5 დაკუთის ცნობები 1964: 1.
- 6 Джафарзаде 1949: 58.
- 7 Бартольд 1966: 186-187.
- 8 ჭილაშვილი 1970: 95-99; მათიანე ქართლისა 1955: 306.
- 9 თოფურია 1985: 37-39.
- 10 ჟამთააღმწერელი 1959: 174-175.
- 11 თოფურია 1985: 21.
- 12 Мapp 1934: ტაბ. XXXIX, სურ. 164.
- 13 Орбели 1911: 10.
- 14 საბაჟო ან საყარაულო პუნქტად, მდინარე ახურიაზე არსებულ ხიდთან კავშირში განიხილავს ი. ორბელი ე.წ. მანუჩეს მეჩეთის ადგილას არსებულ ადრეულ, სავარაუდოდ X საუკუნის სამშენებლო ფენებს: Орбели 1910: 6.
- 15 თოფურია 1985: 38.
- 16 Мapp 1934: ტაბ. I; Орбели 1910: 5-6.
- 17 Мapp 1934: таб. I.
- 18 ლორთქიფანიძე ო. 2002: 218-219.
- 19 Акопян Т. 1985: 115.
- 20 Манандян 1954: 200-216.
- 21 Константин Порфириогенитус 1991: 205.
- 22 Հարությունյան 1960: 80-86.
- 23 Манандян 1954: 271-276.
- 24 Мapp 1934: 35-36.
- 25 Vixio et al. 2009: 35-60.
- 26 Токарский 1973: 53-62.
- 27 ბახტაძე 1991: 45-47; Bakhtadze 2014: 93-95.
- 28 Мapp 1934: 33-34.
- 29 Киракос Гандзакеци 1976: 165.
- 30 მესხია 1982: 224-226.
- 31 მათიანე ქართლისა 1955: 299, 312.
- 32 Докладные записки 1981a: 100-110.
- 33 Мapp 1934: 13.
- 34 Mellink 1967: 155-174, 165; Sinclair 1987: 377-378.
- 35 Bayram 2016: 79-90.
- 36 Мapp 1934: 93.
- 37 Акопян Т. 1985: 31-32.
- 38 Мapp 1934: 117-118.
- 39 ცნობილია, რომ იმ დროისთვის ზეთსახდელ მასალად სელს მოიხმარდნენ. ანისის მსგავსი, დიდ შენობაში მოწყობილი, ზეთსახდელი ნაგებობები, საზეთე მასის მოსახალი ადგილით, ქვის წრიულ კალოზე ვერტიკალურად შემდგარი გელაზის ქვითა და ზეთის წნეხ-საქაჯავი მოწყობილობით, არქეოლოგიურადაა გამოვლენილი შუა საუკუნეების სხვადასხვა ძეგლებზე, მათ შორის – ნაქალაქარ დმანისის ტერიტორიაზეც, უშუალოდ ქალაქის ცენტრალურ უბანზე. აღნიშნული ზეთსახდელიც, ანისის ზეთსახდელების უმრავლესობის მსგავსად, XIII-XIV საუკუნეებით თარიღდება (ჯაფარიძე ვ. 1969: 69). XII-XIII საუკუნეებით დათარიღებული ზეთსახდელი აღმოჩნდა, ასევე, ჯავახეთის ახალქალაქის გათხრებისასაც (ჯანდიერი 1969: 60). ზეთის წარმოება საქართველოს მაგალითზე ფართოდ ჩანს განვითარებული საზეთე მასალის – სელის ინტენსიური გავრცელების ადგილებში; განსაკუთრებით ეს ითქმის სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლზე, სადაც ეთნოგრაფიულ ყოფაში ბოლო დრომდე იყო შემორჩენილი სელის ზეთის წარმოების ცოცხალი ტრადიცია (მოლოდინი 1970: 22-27). შირაკის მოსაზღვრე მხარეებში, ტაშირსა და აბოცში, XVIII საუკუნის პირველ ნახევარში, სელის ზეთის აქტიურ წარმოებაზე საუბრობს ვახუშტი ბაგრატიონი (ვახუშტი ბაგრატიონი 1941: 37-38); აღსანიშნავია, რომ ანისის ნაქალაქარზე მდებარე „ქართული ეკლესიის“ ჩრდილოეთ ფასადთან შემორჩა ნაშთები ზეთსახდელისთვის დამახასიათებელ შენობისა, რომელიც ფაქტობრივად ეკლესიაზე იყო მიდგმული: დარჩენილია მასიური ბაზალტის ქვებით კირის დულაზე ნაგები შენობის კედლების სამხრეთი ფრაგმენტი. ამ კედელზე, ინტერიერის მხრიდან, ოთხკუთხა ფორმის ორი ღრმა ნიშაა მოწყობილი. ნიშები გადახურულია მასიური გლუდარი ქვებით – ისეთივეთი, როგორც დამახასიათებელია ამ და მომდევნო

- პერიოდის ზეთსახდელების კედლებში მოწყობილი წნეხის/საქაჯავის ძელებისთვის ერთი ბოლოთი დასამაგრებლად. ბუნებრივია, ძელების დაბოლოებას, საწნეხი მექანიზმის მოწყობის სპეციფიკიდან გამომდინარე, დიდი ძალა ადგებოდა და მათ დამჭერად დიდი სიმძიმე იქნებოდა საჭირო. როგორც ჩანს, ზემოაღწერილი ზეთსახდელი ანისის „ქართულ ეკლესიას“ ეკუთვნოდა. ამასთან დკავშირებით ნიშნულია, რომ მონასტრის საკუთრებაში ზეთსახდელის არსებობა დადასტურებულია ჯერ კიდევ V საუკუნის პალესტინაში, ბირ-ელ-კუთის უდაბნოს წმ. თეოდორეს ქართულ მონასტერში, რომელიც პეტრე იბერის მიერ დაარსებულად და აგებულად ითვლება (Avni 2014: 149-150).
- 40 Шелковников 1942; Шелковников 1957; Кверфельдт 1947; Джанполадян 1982.
- 41 Калантарян 1974: 280-290.
- 42 Eminli, Iskanderov 2014: 221-213; 252, sur. 16-22, 33, 302-305.
- 43 მიწიშვილი 1969: 69-71.
- 44 Çoruhlu 2016: 91-103. ტაბ. 21a-b.
- 45 ჯანდიერი 2010: 184, სურ. 11.
- 46 შესაბამისი არქეოლოგიური მასალა ინახება საქართველოს ეროვნული მუზეუმის ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის შუა საუკუნეების არქეოლოგიური კოლექციების ფონდში.
- 47 Արարქյան 1958: таб. XLII-XLIII; Чубинов 1916: 22-39; Шелковников 1942: 9-36; Çoruhlu 2016: 91-103, ტაბ. 23a, b; 24a-b; 25a-b, 25c; 26a-b; 27a, 27b; 28a-c; 29a-c; 30c.
- 48 Петросян 1996: 63-65.
- 49 Ахмедов 1959: ტაბ. VI-VII.
- 50 Kalantaryan et al. 2009: 132-137.
- 51 მინდორაშვილი 2002: 162-165; არჩვაძე 1969: 126-136.
- 52 Минкевич-Мустафаева 1959: 174-185.
- 53 Мapp 1934: 96.
- 54 Джанполадян 1982: 15-24.
- 55 Armenian Ceramics 2014: 177; **Մուხეյան** 1982: 28-29, ტაბ. XVII, სურ. 3 (201).
- 56 Jenkins 1983: 5, ტაბ. 2.
- 57 **Մուხეյան** 1982: **սղ.** XIV-XVII, XL-XLV; Çoruhlu 2016: 91-103, ტაბ. 4-45.
- 58 Շամსիჯյան 1981: 82-147; Шелковников 1957.
- 59 Джанполадян, Калантарян 1988: 12-15; Джанполадян 1974: 45.
- 60 ჩხატარაშვილი 1978: 39.
- 61 Акопян и др. 2008: 122.
- 62 **Մուხეյան** 1982: ტაბ. XVIII, სურ. 1-12.
- 63 **Հակոբյան** 1981: 5-80.
- 64 Belli 2016: 104-128.
- 65 **Մուხეյան** 1982: ტაბ. XXXI-XXXIV.
- 66 იქვე, ტაბ. XIX-XX, XLXVI.
- 67 კერესელიძე 1978; Dostiyev et al. 2013.
- 68 **Մուხეյան** 1982: 113, ტაბ. XX, სურ. 10.
- 69 Ani: The Millennial Capital of Armenia 2015: 158.
- 70 გაგოშიძე ი., მინდორაშვილი, გაგოშიძე გ. 2014: 26, ტაბ. LXVI, სურ. 1.
- 71 გაგოშიძე ი., მინდორაშვილი, გაგოშიძე გ. 2014: 24-26.
- 72 **Մուხეյան** 1982: **սղ.** XXVIII-XXIX.
- 73 დოლაბერიძე 1973.
- 74 ჯაფარიძე ო. 1955: 89-98; ლომთათიძე 1982: 76-122; ჯაფარიძე ვ. 1969: 72-73.
- 75 Джапаридзе и др. 1987: 105-119.
- 76 ჯაფარიძე ვ. 1966: 8; კერესელიძე 1978.
- 77 ჩხატარაშვილი 1978, 39.
- 78 Armenian Ceramics 2014: 150, 199.
- 79 ბახტაძე 2013: 85-88.
- 80 Armenian Ceramics 2014: 151, 199.
- 81 Шелковников 1942: 12, 22. ჯამზე არსებულ ადამიანის გამოსახულებას მარჯვენა ხელში თეთრი დისკოსებრი ნივთი მართლა უჭირავს. ამასთანავე, მარცხენა ხელში შეიმჩნევა მოგრძო ფორმის დანა წვეტის გარეშე. არ არის გამორიცხული, რომ ზემოაღწერილ სცენაში გამოსახული იყოს ადამიანი, რომელსაც ხელში იერარქიული ინსიგნიები უპყრია.
- 82 მაისურაძე 1953: ტაბ. 5; ჭილაშვილი 1975: ტაბ. XXXV, სურ. 1; ჩიკოძე 1979: ტაბ. XI, სურ. 608; გვრიტიშვილი 2010: 221-233; Redford 1990: 119-135.
- 83 ჯამების ფრაგმენტების ჩანახატები შესრულებულია კავკასიის შინამრეწველობის კომიტეტის მიერ ანისში მივლენილი წვეგრის, მხატვარ ი. სტრაუმეს მიერ, ნაქალაქარის არქეოლოგიური ექსპედიციის XI სეზონის განმავლობაში, 1912 წელს. ანისში მის მიერ შესრულებული ჩანახატები ინახება საქართველოს ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების მუზეუმის კოლექციებში.
- 84 ჯაფარიძე ვ. 1956: ტაბ. XLVII; ბახტაძე 2013: 83, სურ. 84, 95, 94.



თავი IV

ანისი და ქართული ნუმისმატიკა



ქალაქ ანისისა და ქართული სამყაროს პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული კავშირები სათანადოდ აისახა ნუმისმატიკაშიც. ნაქალაქარში ასევე შემოინახა მრავალმხრივ საგულისხმო ეპიგრაფიკული მასალა, რომელიც, სხვა მხარეებთან ერთად, ქართულ ნუმისმატიკურ ისტორიასაც მიემართება და მის შესახებ ღირებულ, დამატებით ინფორმაციას გვაწვდის.

შესაბამისად, საკვლევ მასალას წარმოადგენს, ერთი მხრივ, ქართული მონეტები, აღმოჩენილი ანისის ნაქალაქარის ტერიტორიასა და მის მახლობლად, მეორე მხრივ კი ანისის სამონეტო ნაწარმი, რომელიც საქართველოსა თუ შესაბამისი პერიოდის ქართულ სახელმწიფოში გაერთიანებულ ამა თუ იმ რეგიონში მიმოიქცეოდა; ასევე განიხილება ანისის ყველა სამონეტო ემისია, რომელიც ქრონოლოგიურად ანისის ქართული სახელმწიფოს ფარგლებში ყოფნის პერიოდს მიეკუთვნება. საგანგებო აღნიშვნის ღირსია ქალაქ ყარსის (თურქეთის რესპუბლიკა) მუზეუმის ნუმისმატიკურ ფონდებში მიკვლეული და შესწავლილი ქართული მონეტები – ადგილობრივ აღმოჩენილი ეგზემპლარები, შესაბამისი ეპოქისთვის, ადგილობრივი ფულადი მიმოქცევის საგულისხმო სურათს სახავს. ამ სურათის შეძლებისდაგვარად სრული სახით წარმოსაჩინად მნიშვნელოვანია კათოლიკოს-პატრიარქ ეტიფანეს ეპიგრაფიკული საბუთიც.

ქართული სახელმწიფოებრიობის ორბიტაში მყოფი ანისის სამონეტო ემისიები

დავით კაპანაძემ ჯერ კიდევ 1959 წელს გამოთქვა მოსაზრება ანისის ქართული ზარაფხანებისადმი მიკუთვნების შესახებ.¹ მოგვიანოდ, ჩეხეთის კოლექციებში დაცული სხვა ქართული მონეტების აღწერასთან ერთად, ირაკლი ფალავას და ვლასტიმელ ნოვაკის ნარკვევში ანისის ნაწარმიც იქნა განხილული.²

კარგადაა ცნობილი, რომ მეფე თამარის ზეობაში ანისი მკვიდრად შემოდის ქართული სახელმწიფოს შემადგენლობაში და მის ერთ-ერთ წამყვან ქალაქად იქცევა. ბაგრატიონთა სამეფო სახლის პოლიტიკური ხელისუფლება ანისზე XIV საუკუნემდე გრძელდება.

შესაბამისად, იმ პერიოდის განმავლობაში ანისში მოჭრილი მონეტები ქართველი ერის ნუმისმატიკური წარსულისა და მემკვიდრეობის განუყოფელი ნაწილია (თუმცა კი, ბუნებრივია, პარალელურად, სომხური ნუმისმატიკური წარსულის ძეგლიცაა). მართალია, ანისში ზოგად-ილხანური ტიპის მონეტები იჭრებოდა, ან სპილენძის, სულაც უნიკალური, საკუთარი სამონეტო ტიპი, მაგრამ იგივე სურათს ვხედავთ თბილისშიც, ახალციხეშიც და სხვა ქართულ ზარაფხანებშიც. ის ფაქტი, რომ ანისის მონეტებზე არ აღინიშნებოდა ქართველი მონარქის/სუვერენის სახელი, არ გამოყოფს მას საქართველოს სახელმწიფოს ზარაფხანებში მოჭრილი მონეტების რიგიდან. ანისი აღნიშნული პერიოდისათვის მოქმედ ერთ-ერთ ქართულ ზარაფხანად უნდა ჩაითვალოს.

დასახელებული ეპოქის ანისის სამონეტო ემისიები შესწავლილი აქვს არამ ვარდანიანს³ : არსებული მასალით, ქალაქმა მონეტის მოჭრა (როგორც აღინიშნა, ზოგად-ილხანური ტიპით) განაახლა ჰ. 700 წელს (ამაზე ჯერ კიდევ დავით კაპანაძეც წერდა⁴). სხვადასხვა ტიპისა და ნომინალის ვერცხლის მონეტები იჭრებოდა ილხანების – ლაზან-მაჰმუდის, ოლჯაითუს, აბუ-საიდის, მუჰამმად ხანის, სულეიმან ხანის, ანუშირვანის; ჯალაირიანთა მმართველების – ჰუსეინისა და აჰმედის სახელით. აღსანიშნავია ჰ. 747 წელს მოჭრილი ოქროს მონეტაც (5.44 გ).

სამონეტო მიმოქცევა

ქართველების გაბატონებამდე, ანისის ადგილობრივ მიმოქცევაში ქართული მონეტები, როგორც ჩანს, (პრაქტიკულად) არ მონაწილეობდა; ყოველ შემთხვევაში, არსებული მონაცემების (პუბლიკაციების) მიხედვით, XI საუკუნის არც ერთი ქართული მონეტა არ არის აღმოჩენილი.

სავარაუდოა, რომ ეს ფაქტი არა იმდენად ეკონომიკური (და კულტურული) კავშირების დეფიციტს უნდა უკავშირდებოდეს (იმ პერიოდში პოლიტიკურ-სამხედრო კონტაქტები ადგილობრივ ქართველ და სომეხ, ასევე სომხეთში გაბატონებულ მაჰმადიან დინასტიებს შორის საკმაოდ ინტენსიური იყო), არამედ XI საუკუნის ქართული თუ ქართულ-სომხური მონეტების (ბიზანტიური ყაიდის დასავლურ-ქართული ფული, კახეთ-ჭერეთის საფასე, მნიშვნელოვანწილად ქვემო ქართლისა და ჯავახეთის ტერიტორიაზე წარმოქმნილი ლორე-ტაშირის სამეფოს ემისია⁵) უკიდურესი იზვიათობით, და, ჩანს, მიმოქცევის ლოკალური ხასიათით. ამ მხრივ საგულისხმო ფაქტად ჩნდება ის გარემოება, რომ ანისში/ანისთან არ არის აღმოჩენილი ჯა'ფარიანთა არცერთი მონეტა (მიუხედავად მათი ემისიების შედარებითი მრავალრიცხოვნობისა). სამაგიეროდ, ჩვენთვის ცნობილია კახეთ-ჭერეთის სამეფოსა და თბილისის საამიროს ტერიტორიაზე ანისის შადადიანი მმართველის, მანუჩიჰრ ბ. შავურის სპილენძის საფასის აღმოჩენის ოთხი ფაქტი.⁶

ამ პერიოდში ანისში სხვა მონეტა, რამდენადაც ჩვენთვის არის ცნობილი, არ იჭრებოდა. შესაბამისად, ის ვერც ქართული თუ საქართველოს ფარგლებში არსებული სამეფო-სამთავროების ტერიტორიაზე შემოვიდოდა.

ანისში ქართული მონეტა XII საუკუნის მიწურულს – XIII საუკუნის დასაწყისში შემოდის. ეს აიხსნება როგორც ქართული საფასის მასობრივი ტირაჟით გამოშვებით, ასევე, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, ანისის თანდათანობითი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ინკორპორირებით გაძლიერებული ქართული სახელმწიფოს ფარგლებში.

საფიქრებელია, დავით IV აღმაშენებლის საგარეო პოლიტიკას (ანისის შემოერთება 1124 წელს)⁷ უკავშირდება ისტორიული ანისის მიდამოებში დავით IV აღმაშენებლის არაბულენოვანი მონო-ეპიგრაფიკული მონეტის⁸ (სურ. 1) აღმოჩენის ჩვენთვის ცნობილი ერთადერთი ფაქტი.⁹ შემდგომი პერიოდის ქართული მონეტა (ერთი ეგზემპლარი), ნაპოვნი ანისში – გიორგი III-ის წესიერი ჭედვის სპილენძია, ქართველი მონარქის გამოსახულებით. თუმცადა, ანისში ქართული მონეტების მასობრივად შემოსვლა იწყება მხოლოდ XII საუკუნის ბოლოს, ქალაქისა და მთელი რეგიონის ქართული სახელმწიფოს ფარგლებში მოქცევის შემდეგ. ანისის ნაქალაქარის ტერიტორიაზე განხორციელებული გათხრების პროცესში¹⁰ აღმოჩენილია მხოლოდ მეფე თამარის წესიერი ჭედვის 9 მონეტა, უწესო ჭედვის კი – 2; ასევე რუსუდანის წესიერი ჭედვის 39 მონეტა (სურ. 2), ჯალალ ად-დინის მონეტა – 1 (სურ. 3), სპილენძის გაურკვეველი (უწესო ჭედვის?) მონეტა ქართული დამლით – 1.¹¹

მსგავსი დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა ყარსის მუზეუმის ნუმიზმატიკური ფონდებიც. ყარსი, როგორც ცნობილია, ისტორიული ანისის მახლობლადაა განლაგებული; შესაბამისად, ადგილობრივ აღმოჩენილი მასალები, რომლებიც მეტწილად ყარსის მუზეუმშია მოხვედრილი, ფაქტობრივად, ანისის ნუმიზმატიკურ ისტორიასაც ასახავს. 2017 წლის აგვისტოში პროექტის „ანისი: ქართული კულტურული მემკვიდრეობა“ ფარგლებში განხორციელებული სამეცნიერო ექსპედიციის მიერ შესწავლილ იქნა მუზეუმის საკმაოდ მდიდარი ნუმიზმატიკური ფონდები. რამდენადაც ჩვენთვის არის ცნობილი, ქართველ თუ უცხოელ მეცნიერებს ქართველოლოგიური კუთხით იქ არსებული ნუმიზმატიკური მასალები აქამდე ჯერ არასდროს უკვლევიათ.

მუზეუმის ფონდებში ექსპედიციის მუშაობის შედეგად გამოვლინდა 75 ქართული მონეტა. პრაქტიკულად ყველა მათგანი ადგილობრივად არის აღმოჩენილი (აღმოჩენის ლოკალიზაციას ქვემოთ დავუბრუნდებით). ყარსის მუზეუმის ამ ქართული მონეტების კატალოგი წინამდებარე პუბლიკაციის მეორე ნაწილშია წარმოდგენილი (იხ. ტ. III, თავი III).

საყურადღებოა, რომ ყარსის მუზეუმში დაცული ყველა ქართული მონეტა წესიერი ჭედვისაა. 73 მონეტა (97.3%) რუსუდანის (წესიერი) ჭედვის სპილენძია, 2 მონეტა (2.7%) კი თამარ-დავითის ერთობლივ ემისიას წარმოადგენს (ასევე წესიერად მოჭრილს).



სურ. 1. დავით აღმაშენებლის არაბულენოვანი მონოეპიგრაფიკული მონეტა. სემ, ნუმიზმატიკური კოლექცია



სურ. 2. რუსუდანის სპილენძის მონეტა. სემ, ნუმიზმატიკური კოლექცია



სურ. 3. ჯალალ ედ-დინის მონეტა

სამუზეუმო დავთრების მიხედვით, მონეტები ადგილობრივად არის აღმოჩენილი, და, ამრიგად, შესაბამის პერიოდში ადგილობრივი სამონეტო მიმოქცევისა და მასში ქართული საფასის მონაწილეობის შესახებ გვაწვდის ინფორმაციას.

რუსუდანის მონეტების აღმოჩენის ადგილად მითითებულია:

- უშუალოდ ქალაქი ყარსი (59 ეგზემპლარი);
- სოფელი თუნქჩაია, ყარსის ოლქი (3 ეგზემპლარი);
- სოფელი ბოსქუში, ყარსის ოლქი (1 ეგზემპლარი);
- ნაქალაქარი ანისი (2 ეგზემპლარი);
- ქალაქი ელაზი (1 ეგზემპლარი).

თამარ-დავითის სახელით მოჭრილი მონეტების აღმოჩენის ადგილად მითითებულია:

- სოფელი ქიქოში, ყარსის ოლქი (1 ეგზემპლარი);
- ქალაქი ილდირი, ყარსის სამხრეთ-აღმოსავლეთით (1 ეგზემპლარი).

გარდა ამისა, შეიძლება გავიხსენოთ ასევე რუსუდანის მონეტების ყარსში ჯერ კიდევ 1855 წელს აღმოჩენილი განძიც. კომპლექსი მხოლოდ რუსუდანის მონეტებს შეიცავდა, და, ტეზავრაცია, სავარაუდოდ 1227-1243 წლების შუალედში განიცადა.¹²

ყარსის მუზეუმის მასალა ცხადყოფს, რომ საქართველოს სამეფოში ქალაქ ანისის ნუმისმატიკური ინკორპორირება უფრო რუსუდანის ზეობაში მოხდა. ამრიგად, საქართველოს სამეფოს პოლიტიკურ დაუძღურებას მისი ეკონომიკური ექსპანსია ახლდა თან; ყოველ შემთხვევაში, შიდა რეგიონების უფრო მყარად ინკორპორირება საერთო-სახელმწიფო ფულად/სამონეტო მიმოქცევაში.

ზემოთ განვიხილეთ ანისის ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრების პროცესში ანისსა და შემოგარენში ნაპოვნი XII-XIII საუკუნეების ქართული მონეტები. დაახლოებით იმავე პერიოდის (1175-1240) არაქართული მონეტები იქ არა ნაკლები რაოდენობითაა ნაპოვნი – ართუქიანთა – 2, რუმისა და არზრუმის სელჩუკების – 9 (აქედან 7 დირჰემი), ილდეგიზიანთა – 31, შირვანშაჰების – 4.¹³

ანალიზი ცხადყოფს, რომ 53 ქართულ მონეტაზე მოდის 46 არაქართული, ანუ ქართული მონეტების ხვედრითი წილი 53.5%-ია. ეს ციფრი საყურადღებოა თავისი უმნიშვნელობით – აშკარაა, რომ XIII საუკუნის პირველი ნახევრისთვის, ყოველ შემთხვევაში, რუსუდანის ზეობაში, ქალაქში წამყვან პოზიციას ქართული საფასე იკავებს; ამასთანავე, ეს არ გამოორიცხავს უცხოური საფასის ცირკულაციას, რომლის ხვედრითი წილი ძალიან მაღალია და თითქმის ნახევარს აღწევს. ჩანს, ანისის ქართული ადმინისტრაცია არ კრძალავდა უცხოური საფასის მიმოქცევას.

აღნიშვნის ღირსია ორი გარემოება – ქართულ მონეტებში ჭარბობს წესიერი ჭედვის (49/53, ანუ 92.5%) მონეტები. არაქართული მონეტების მნიშვნელოვანი ნაწილიც, როგორც ჩანს, ასევე წესიერი ჭედვის უნდა იყოს. იქმნება შთაბეჭდილება, რომ საქართველოს სახელმწიფოს ფარგლებში მოქცეული სომხური ქალაქების სამონეტო ბაზარს უჭირდა უწესო ჭედვის მონეტის ათვისება. მეორე მხრივ, ვერცხლის სახით მიმოქცევა მხოლოდ რუმის სელჩუკების მიერ

გამოშვებული დირჰემები, რუსუდანის სპილენძის მონეტების მრავალრიცხოვნების ფონზე, არ არის აღმოჩენილი მისი ერთი ვერცხლის მონეტაც კი – ამრიგად, სამონეტო მიმოქცევის შესაბამისი ნიში შევსებულია სელჩუკური ვერცხლის ემისიებით.

ამასთან, სურათი სრულად იცვლება, თუ გავითვალისწინებთ კიდეც 262 (sic) მონეტას, №№1435-1697,¹⁴ რომელთა იდენტიფიცირებაც ვერ მოხერხდა. მათი უმეტესი ნაწილი, დიდი ალბათობით, არაქართულია (ისლამური მონეტების იდენტიფიცირება უფრო რთულ ამოცანას წარმოადგენს), და სხვადასხვა ისლამური დინასტიის მიერ არის გამოშვებული (ძირითადად, ილდეგიზიანების მიერ).

თუ ამ ციფრებსაც გავითვალისწინებთ, ცხადი გახდება, თუნდაც ყარსის ექსკლუზიურად რუსუდანის მონეტების განძის გათვალისწინებითაც, რომ ქართული მონეტები ქართული სახელმწიფოს ფარგლებში მოქცეული ანისის სამონეტო მიმოქცევაში შედარებით მოკრძალებულ როლს თამაშობდა.

შედარებით მოკრძალებული (თუმცა კი, საგულისხმო) იყო ქართული ნუმისმატიკური კომპონენტი ანისში ფულადი მიმოქცევის მთელი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მასშტაბითაც. ხაჩატურ მუშელიანის მიხედვით, სულ ანისის ტერიტორიაზე აღმოჩენილი 1793 მონეტიდან ქართველ ბაგრატიონთა მიერ მოჭრილი იყო მხოლოდ 53 (2.9%).¹⁵

ეპოქის შესანიშნავ არქეოლოგიურ ძეგლად შეიძლება ჩაითვალოს ნაქალაქარ ანისის გათხრებისას ნიკო მარის ექსპედიციის მიერ 1893 წელს გაკეთებული აღმოჩენა: „მეფე აშოტის კედლის“ მახლობლად მიკვლეულ იქნა აკლდამა, რომელშიც ჩასვენებული იყო მიცვალებული მჯდომარე მდგომარეობაში; იქვე იპოვეს თიხის ჭურჭელი, ლითონის ნივთები და 127 მონეტა, რომელთაგან 1 (sic) რუსუდანის თანადროული იყო. ევგენი პახომოვის სამართლიანი შენიშვნით, ამ აღმოჩენაში უფრო მფლობელის ძალდატანებითი სიკვდილის ნივთიერი მტკიცება უნდა დავინახოთ; იგი, სავარაუდოდ, რაღაც საფრთხეს ემალებოდა და შენობების ნანგრევებში დაიღუპა.¹⁶ საყურადღებოა რუსუდანის მონეტების სიმწირე.

ზემოთ აღწერილი არქეოლოგიური აღმოჩენა ქალაქ ანისის, ისევე როგორც საზოგადოდ, საქართველოს სამეფოს ისტორიაში სრულიად ახალი ეტაპის – მონღოლთა მფლობელობის პერიოდის დაწყების სპეციფიური, მაგრამ სახასიათო მაუწყებელია.

მონღოლთა მფლობელობის პერიოდში ანისი რჩება საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში და მის ტერიტორიაზე ფართოდ შემოდის სხვა ქართულ ბარაფხანებში მოჭრილი მონეტები: დიდი ყაენების მონეტებიდან, როგორც ჩანს, ყველა თბილისის ბარაფხანის ნაწარმს წარმოადგენს – 1 დირჰემის და 16 ფელსის სახით;¹⁷ ღაზან-მაჰმუდის რეფორმამდელი 5 ილხანური მონეტიდან, სულ მცირე, 4 (80%) ასევე თბილისის ბარაფხანაშია მოჭრილი (სურ. 4). ღაზან-მაჰმუდის რეფორმის შემდგომ პერიოდში კი ადგილობრივად ნაპოვნ მონეტებში დიდია წილი ადგილობრივი, ანისის ბარაფხანის ნაწარმისა: 27 მონეტა 38-დან (71.1%), ამასთან, ჭარბობს



სურ. 4. ღაზან-მაჰმუდის მონეტა. თბილისის ბარაფხანა

(24, 63.2%) ცხადია, ე.წ. მაიმუნის მონეტა. თბილისის ზარაფხანა არცერთ მონეტაზე არ იკითხება.¹⁸

სამაგიეროდ, ანისის ზარაფხანის ნაწარმი შემოდის საქართველოს სამეფოს შიდა, ეთნიკურად ქართულ ტერიტორიებზეც: თუ გადავხედავთ XIV საუკუნის ილხანური მონეტების განძებს, ცხადი გახდება, რომ ისინი, სხვაგან მოჭრილ მონეტებთან ერთად, ანისის პროდუქციასაც შეიცავდა: ქოდალოს განძი – 3 მონეტა 501-დან (0.6%), ფოკას განძი – 14 მონეტა 155-დან (9.0%), პატარა გომარეთის განძი – 4 მონეტა 92-დან (4.3%); ყარაღაჯის განძი – 3 მონეტა 102-დან (2.9%).¹⁹ აღნიშნული ციფრები (0.6–9.0%) უნდა ასახავდეს აღდგენილი ანისის მნიშვნელობას სამხრეთი კავკასიისა და საქართველოს სამეფოს ეკონომიკურ რუკაზე.

ანისსა და მის შემოგარენში ყარა-ყონღუს გაბატონების დროისთვის ქალაქი გამოდის საქართველოს სამეფოს პოლიტიკური საზღვრებიდან. მიუხედავად ამისა, ეკონომიკური კავშირები საბოლოოდ, ჩანს, არ გამწყდარა – ცნობილია კახეთის სამეფოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი განძი, რომელიც ყარა-ყონღუს ანისში მოჭრილ მონეტებსაც შეიცავდა.²⁰

ანისისა და სომხეთის შესაბამისი რეგიონის ქართული სახელმწიფოებრიობის ფარგლებიდან გასვლის შემდეგ ქართული მონეტა ანისში თითქმის ვეღარ აღწევს. ეს აიხსნება, ერთი მხრივ, საქართველოს დასუსტება-დანაწევრების შემდგომ სამონეტო ემისიების დაკნინება-ლოკალიზაციით, მეორე მხრივ კი თავად ანისის გაპარტახებითა და გაუდაბურებით XIV–XVII საუკუნეებში.

მცირე დასახლების სახით ანისის ხელახალ აღზევებას შეიძლება დავუკავშიროთ ქართლის მეფის/მმართველის, ბაქარის საკმაოდ მრავალრიცხოვანი სპილენძის ემისიის (ფარშევანგის გამოსახულებიანი ქალაქური შავის ტიპის მონეტები) მიღწევა ანისამდე – იქ ბაქარის 2 მონეტის, სახელდობრ ნახევარ-ბისტიისა და ფულის პოვნის ფაქტია დაფიქსირებული.²¹ სხვა ქალაქური შავებიდან აღსანიშნავია ირავანში/ერევანში მოჭრილი 13 მონეტის აღმოჩენა (სურ. 5).²² სხვა ქალაქების სპილენძის ფული ანისში აქამდე არ ყოფილა ნაპოვნი. ერევნის სპილენძის აღმოჩენა ანისის ტერიტორიაზე ბუნებრივია, მაგრამ ბაქარის 2 მონეტის შემოღწევა უდაოდ საგანგებო ყურადღების ღირსია – იგი ემისიის ინტენსიურობის მაჩვენებელია, ამასთან, შესაძლოა, ანისის დაკნინებული დასახლების ქართლის სამეფოსთან და თბილისთან კავშირის მაუწყებელიც იყოს.

ასევე აღნიშვნის ღირსია ანისის ტერიტორიაზე ერთ-ერთი ყველაზე გვიანდელი ქართული მონეტის (თუ არ ჩავთვლით თანამედროვე ემისიებს) – 1831 წლის ვერცხლის ე.წ. რუსულ-ქართული ორ-აბაზიანის (სურ. 6) – რუსული საიმპერიო ადმინისტრაციის მიერ ქართლ-კახეთის სამეფოს ანექსიის შემდგომ თბილისში მოჭრილი მონეტის – აღმოჩენის ფაქტი.²³



სურ. 5. ერევნის ფულუსი



სურ. 6. 1831 წლის ორაბაზიანი

კათოლიკოს-პატრიარქ ეტიფანეს წარწერა და მისი ნუმისმატიკური მნიშვნელობა

ანისის ქართული ნუმისმატიკური მემკვიდრეობიდან საგანგებო აღნიშვნის ღირსია საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ეტიფანეს წარწერა, რომელიც 1218 წლით არის დათარიღებული: წარწერის სომხურ დამტკიცებაში მითითებული თარიღი (სომხური წელთაღრიცხვით) ამ წელს შეესაბამება; წარწერის ქართულ ნაწილში ქართული ქორონიკონით აღნიშნული თარიღის ცალსახად წაკითხვა ვერ ხერხდება;²⁴ შესაძლოა, წარწერის ქართული ნაწილი უფრო ადრეც იყოს შესრულებული, მაგრამ, უეჭველია, რომ მასში მეფეების – თამარისა და გიორგი IV-ის ზეობის დროინდელი რეალიებია ასახული.

წარწერის ტექსტში მოიხსენიება:

- **დრამა:** „გურგუნთა კურთხევისათუს ასისა დრამისა...“;
 - **ტფილური დრამა:** „ეგდენივე ასისსა ტფილურისა მიეცეს“;
 - **დანგი:** „ტფილური ასი დრამა იგი იყოს: დანგი ერთი გ მიეცეს“.
- სახელდობრ რა მონაცემებია ასახული ამ ლაპიდარულ წარწერა-საბუთში?

ეტიფანეს წარწერა ამჟამად ამ ეპოქის ქართული მონეტების მოჭრის ადგილს (ეს, თუმცა ბუნდოვნად, ვარლამ დონდუასაც აქვს აღნიშნული²⁵). საზოგადოდ, ცნობილია, რომ საფასის გამომშვები ზარაფხანის სახელწოდება იმ პერიოდის სპილენძის ქართულ მონეტებზე (დემეტრე I-დან მოყოლებული და რუსუდანიტ დასრულებული) არ მიეთითებოდა.²⁶ მეტწილად არაბულენოვანი სპილენძის საფასის გამომშვება ქუთაისიდან თბილისში დედაქალაქის გადატანას და სამეფო კარის შემდგომ ორიენტაციას²⁷ რომ მოჰყვა – ეჭვს არ იწვევს. მაგრამ კათოლიკოს-პატრიარქ ეტიფანეს წარწერის სახით გვაქვს დოკუმენტური წყარო, რომელიც ცალსახად ადასტურებს, რომ ზარაფხანა თამარის ზეობაშიც თბილისში იყო განლაგებული – მოჭრილი დრამებიც ამიტომ იყო ტფილური.²⁸

წარწერაში ასევე დასტურდება თანადროული სამონეტო/ფულადი ტერმინები:

- **დრამა.** ეჭვი არაა, რომ დრამები სახელმწიფოს ეკონომიკური ცხოვრების შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა. რასაკვირველია, ეს ტერმინი ფართოდ გამოიყენება თუნდაც თანადროულ „ვეფხისტყაოსანში“, მაგრამ დოკუმენტური წყარო, ცხადია, მხატვრულ ნაწარმოებზე უფრო სარწმუნო წყაროდ უნდა იქნას მიჩნეული.

ამასთანავე, დრამა, როგორც ჩანს, არ იყო გიორგი IV-ის ზეობის პერიოდში ყველაზე კნინი ფულის ერთეული. საქართველოს ეკლესიის იმუხამინდელი მწყემსმთავრის წარწერაში მოიხსენიება „დანგი“, როგორც დრამის ფრაქცია: „ტფილური ასი დრამა იგი იყოს: დანგი ერთი გ მიეცეს“. ეჭვს არ იწვევს, რომ აქ საუბარია საფასეზე; ფაქტია, რომ დრამას, როგორც სამონეტო თუ ფულად ერთეულს, არა აქვს დაკარგული კავშირი დანგთან – ცნობილია, რომ დრამა, როგორც წონითი ერთეული, 4 დანგისგან შედგებოდა.²⁹ წარწერის ტექსტის ამ მონაკვეთიდან გამომდინარეობს ის, რომ „ტფილური დრამები“

(წესიერი ჭედვის იქნებოდა ისინი თუ, მით უმეტეს, უწესო) არ კარგავდა კავშირს, ჰიპოთეტურ *ტფილურ დანგთან*, რომელიც, საფიქრებელია, დრამასავით უკვე აღარ იყო წონის საზომი და ფულად ერთეულად უნდა ქცეულიყო. დგინდება ლაშა-გიორგის ზეობაში *დანგის* გამოყენება *დრამაზე* უფრო მცირე ღირებულების ფულადი ერთეულის სახით; *დანგი*, ამ შემთხვევაში, იქნებ მხოლოდ *საანგარიშო* (?), მაგრამ მაინც ფულადი ერთეულის – *დრამის ფრაქციის* დანიშნულებას ასრულებს.³⁰

აქვე აღვნიშნავთ, რომ არ ვიზიარებთ ვარლამ დონდუასა და ვალერი სილოგავას მოსაზრებას, რომლის თანახმადაც „დრამა“ და „ტფილური“ თუ „ტფილური დრამა“ სხვადასხვა საფასეს აღნიშნავს.³¹ ეპოქის ნუმისმატიკური კონტექსტი ამას გამორიცხავს.

მიუხედავად ტერმინოლოგიური ხასიათის ფასეული მოწმობისა, კათოლიკოს-პატრიარქ ეტიფანეს წარწერის შესაბამისი ფრაგმენტი შედარებით ბუნდოვანი რჩება. „ტფილური ასი დრამა იგი იყოს: დანგი ერთი გ მიეცეს“ – ნიკო მარმა ეს ფრაგმენტი ახსნა როგორც: *ის ასი თფილური დრამა დაე დარჩეს, მაგრამ სამის მაგიერ ერთი დანგის გადახდით.*³² როგორც ჩანს, მკვლევარი გულისხმობდა ხუცესთაგან სხვადასხვა საეკლესიო წესის ასრულებისათვის მრევლისადმი დაწესებული ნიხრის ორი მესამედით შემცირებას.³³

სწორედ ეს „მიეცეს“, როგორც ჩანს, კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ვარლამ დონდუას გონებამახვილურ, მაგრამ, ჩვენი აზრით, დაუსაბუთებელ ჰიპოთეზას, რომლის თანახმადაც, ამ შემთხვევაში საუბარია განსაკუთრებულ *დრამაზე*, საგანგებოდ დადგენილი ღირებულებით; ამ უკანასკნელს ავტორი აიგივებდა თამარ-დავითის წესიერი ჭედვის მონეტებთან დამლით $\overline{\text{D}}-\text{ს} = 3$ დანგი.³⁴ ჰიპოთეზა მომხიბვლელია, მაგრამ „დანგი ერთი გ“ მონეტების არსებობა არარეალურად გვეჩვენება. $\overline{\text{D}}-\text{ს}$ მატარებელ მონეტებში სიტყვა „ერთი“ რაღას უნდა აღნიშნავდეს? სიტყვა „მიეცეს“, ჩვენი აზრით, უფრო სწორედ იმას გულისხმობს, რომ საუბარია არა განსაკუთრებულ ფულზე, არამედ რაღაც გონებაჭვრეტით ოპერაციამზე.

ამასთანავე, საგულისხმო და ნიშნეულია ფულადი გასამრჯელოს შემცირების გზა: არ არის შემცირებული დრამების საერთო რაოდენობა, მაგრამ (მათში შემავალი) დანგების ნომინალური ღირებულება გაზრდილია – თითოეული სამად უნდა ჩაითვალოს. როგორც ჩანს, ამოსავალი წერტილი დანგია, და არა დრამა. საპირისპირო შემთხვევაში გასამრჯელოდ *ნაკლები რაოდენობით დრამას* დააწესებდნენ. რაკი ამოსავალი დანგია, გაურკვეველია, წარმოადგენდა ის რაიმე მატერიალურს თუ არა, და თუ წარმოადგენდა, რას? აგრეთვე – რა კავშირი ქონდა მას დრამასთან? ცნობილია, რომ წონის ერთეული დრამა უდრიდა 4 წონით დანგს³⁵ (და არა, ვთქვათ, 3-ს); შესაბამისად, 100 დრამა 400 დანგისგან შედგებოდა. თუკი სწორად გვესმის, რომ წარწერა იუწყებოდა 400 დანგისგან შემდგარი თანხის გამესამედებას, ისე გამოდის, რომ 400 დანგისგან წილადი უნდა მიეღოთ 133.33..., რაც საკმაოდ უცნაურად გვეჩვენება.

ჰიპოთეზის სახით წამოვაყენებთ იდეას, რომ დრამა ამ შემთხვევაში რაღაც კრებით ფულად ერთეულს აღნიშნავდა – დავუშვათ,

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, გარკვეული ჯამური წონის რამდენიმე უწესო ჭედვის ქართული სპილენძის მონეტის ერთობლიობას. ასეთ შემთხვევაში, შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ კათოლიკოს-პატრიარქ ეტიფანეს განკარგულებით, მღვდელმსახურთ დრამად უნდა ჩაეთვალიათ და დრამის ანგარიშში მიეღოთ სამჯერ ნაკლები წონის უწესო ჭედვის სპილენძის მონეტები.

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ სამონეტო მასალა იძლევა საშუალებას ორიგინალურ ჭრილში განვიხილოთ ანისის მიმართება საქართველოსა და ქართულ სახელმწიფოსთან როგორც სამეფოში ინკორპორირების პერიოდში, ისე იქამდე და შემდგომაც. თავად ანისში აღმოჩენილი ლაპიდარული მასალა კი დამატებით ინფორმაციას გვაწვდის საზოგადოდ ეპოქის ქართული ნუმისმატიკის შესახებ.

შენიშვნები

- 1 Капанაძე 1959: 508-509.
- 2 Paghava, Novák 2013: 56.
- 3 Vardanyan 2013: 202-237.
- 4 Капанაძე 1959: 508.
- 5 ფალავა 2016 : 247-270, 344-345.
- 6 მასალა მზადდება გამოსაქვეყნებლად ირაკლი ფალავას მიერ.
- 7 ირაკლი ფალავას გამოთქმული აქვს ვარაუდი, რომ დავითის გამოსახულებიანი უნიკალური მონეტა, რომელიც ბრიტანეთის მუზეუმში ინახება, სწორედ ანისში, დავით IV-ის მიერ ქალაქის ალების შემდეგ მოიჭრა (ავტორის აზრით, დავით აღმაშენებლის წოდება "სომეხთა მეფე" სწორედ ანისის დაუფლებას უკავშირდება) - ფალავა 2019. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ თანავეტორი, მაია პატარიძე, ამ მოსაზრებას არ იზიარებს.
- 8 Paghava 2012 : 220-261.
- 9 ამ ტიპის მონეტების მიმოქცევასთან დაკავშირებით ირაკლი ფალავა საგანგებო ნაშრომს ამზადებს.
- 10 ქართული მონეტები შედიოდა (?) ანისის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ერთ-ერთი (№3) განძის შემადგენლობაშიც, მაგრამ მოყვანილი მონაცემების განძის შემადგენლობის შესახებ იმდენად არადამაჯერებელია, რომ ამ ინფორმაციის ნდობა დაუშვებლად მიგვაჩნია. Mousheghian et al. 2000: 139-146.
- 11 იქვე, 112-114.
- 12 Пахомов 1926: 54, No131.
- 13 Mousheghian et al. 2000: 108-111, 115-116, 124.
- 14 იქვე, 126-129.
- 15 Варданян 2002: 8.
- 16 Пахомов 1957: 111, N895.
- 17 Mousheghian et al. 2000: 117-118.
- 18 იქვე, 119-124.
- 19 ღვაბერიძე 1986: 81-90.
- 20 მასალა ჯერ გამოუქვეყნებელია.
- 21 თარიღად მითითებულია ჰ. 1129 წელი (?).
- 22 იქვე, 129-130.
- 23 იქვე, 132.
- 24 Мapp 19106: 1436.
- 25 Дондуа 1935: 653-654.
- 26 Пахомов 1970: 74-111.
- 27 იქვე, 75. ფალავა 2016: 247-270, 344-345; ფალავა 2015.
- 28 საზოგადოდ, ქართული საფასის გამოშვება სამეფოს დედაქალაქში ლოგიკურია, მაგრამ შეუძლებელია იმის გამორიცხვაც, რომ XII-XIII საუკუნეების ქართული სპილენძის მონეტები თბილისის გარდა სადმე სხვაგანაც იჭრებოდა – რამდენიმე ზარაფხანის ერთდროული არსებობით უფრო გაადვილებოდა სამეფოს მრავალრიცხოვანი მოსახლეობისთვის საკმარისი რაოდენობით საფასის დამზადება; თავის დროზე, ჯალალ ად-დინის მონეტებთან მიმართებაში უკვე აღინიშნა, რომ ზარაფხანას, თბილისის გარდა, შეიძლება სადმე სხვაგანაც ემუშავა. იხ.: ფაცია, ფალავა 2009: 23. ჩვენი აზრით, არ არის არგუმენტირებული იმ ეპოქის ყველა ქართული სპილენძის მონეტის ხელალებით თბილისის ზარაფხანისადმი მიკუთვნება (როგორც ეს ზოგჯერ ნუმისმატიკურ ლიტერატურაში ხდება). იხ., მაგალითად, Mayer 2006: 110-116. თუმცა, უწესო ჭედვის მონეტების უპირატესი კონცენტრაცია აღმოსავლეთ საქართველოში (Пахомов 1970: 106-107; Пахомов 1926: 26-27) ალბათ მართლაც იმაზე მიუთითებს რომ ძირითადი (უფრო აქტიური? ერთადერთი?) ზარაფხანა სწორედ ქვეყნის ამ ნაწილში (თბილისში) მოქმედებდა.
- 29 ჯაფარიძე გ. 1973: 32-40.
- 30 კაკაბაძე 1925: 3; ამგვარად, დრამა არ არის უკნინესი ფულადი ერთეული. შდრ. ლომოური 1936: 288. დანგი „უკნინეს ფულის ერთეულის აღსანიშნავად სახარების უძველეს ხანმეტ ქართულ თარგმანში ... არის ნახმარი“. ჯავახიშვილი 1925: 26.
- 31 Дондуа 1935: 643-670.

- ³² მარის თარგმანი რუსულად: “Тъ сто тифлисских
“драмъ” пусть останутся, но съ оплатою одного “данга”
за три”. Мapp 1910б: 1439.
- ³³ ჯავახიშვილი 1982ა: 7-8.
- ³⁴ Дондуа 1935: 643-670.
- ³⁵ ჯაფარიძე გ. 1973: 32-40.





თავი V

ანისის საფორტიფიკაციო სისტემა –
მფლობელობა და აღმშენებლობა



კავკასიისა და მცირე აზიის შუა საუკუნეების ქალაქთა შორის ანისის გამორჩეული იყო თავისი მასშტაბებითა და მოსახლეობის მრავალრიცხოვნებით, ეროვნული და აღმსარებლობითი მრავლისმომცველობით, ეკონომიკური სიძლიერითა და შენობა-ნაგებობათა ტექნიკური თუ მხატვრული დონით. არსებითია ის გარემოება, რომ ანისი და მისი შემოგარენი, თავისი გეოგრაფიული მდებარეობისა და ისტორიული ვითარების წყალობით, შეიქმნა სხვადასხვა ეთნოკულტურული ტრადიციის თანაარსებობისა და მრავალმხრივი ურთიერთმიმართებების ადგილად.

მნიშვნელოვანია ანისის, როგორც ისტორიისა და კულტურის ძეგლის, აუთენტურობის განსაკუთრებული ხარისხი. 1319 წლის მიწისძვრის შემდეგ ქალაქი თანდათან დაიცალა და გაუდაბურდა,¹ ხოლო XV საუკუნიდან იგი სრულიად მიტოვებული იყო.² ამის გამო,

სურ. 1. ანისის ნაქალაქარი, საერთო ხედი





სურ. 2. ანისის კედლები.
წიგნიდან - Texier 1842a

იმ ძველი ქალაქებისაგან განსხვავებით, რომლებიც დღესაც ცოცხლობს და ვითარდება, მან ფაქტობრივად სრულად შეინარჩუნა პირვანდელი სახე; ეს კი ნაქალაქარის ისტორიის სხვადასხვა მხარესთან დაკავშირებული ასპექტების სამეცნიერო კვლევისთვის განსაკუთრებულ შესაძლებლობებს იძლევა. რასაკვირველია, აღნიშნული არ ნიშნავს იმას, თითქოს ანისის გეგმარება, მისი არქიტექტურული ძეგლები და, რაც ჩვენს შემთხვევაში ყველაზე საინტერესოა, მისი სათავდაცვო ნაგებობები შექმნის დროიდან დღემდე ხელუხლებელი და სრულებით უცვლელი სახითაა მოღწეული: ქალაქს არსებობის მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს – შესაბამისად, ამ პერიოდის განმავლობაში იგი იცვლებოდა და ვითარდებოდა, მაგრამ მთლიანობაში მისი შუასაუკუნოებრივი სახე შენარჩუნებულ იქნა და იგი ეპოქის მრავლისმეტყველ მაგალითს წარმოადგენს (სურ. 1).

დასახლების კვალი ანისში ჯერ კიდევ ძვ.წ. II ათასწლეულის მიწურულს იკვეთება, თუმცა კი მისი აყვავება შუა საუკუნეებს ემთხვევა. IV საუკუნიდან ანისი ცნობილია, როგორც კამსარაკანთა წარჩინებული გვარის სამფლობელო და სამკვიდრო ციხე-სიმაგრე (სურ. 2). VIII საუკუნის ბოლოდან იგი ბაგრატუნთა საკუთრებაში გადადის; სწორედ იმ დროიდან იწყება ანისის აღზევება. 961 წელს, მეფე აშოტ III-ის (952-977 წწ.) ბეობაში, ანისში გადააქვთ სამეფო რეზიდენცია, ხოლო X-XI საუკუნეთა მიჯნაზე იქვე ინაცვლებს სომხური მონოფიზიტური ეკლესიის ცენტრი – ამან ქალაქს, საეროს გარდა, საეკლესიო მნიშვნელოვანებაც შესძინა. 1045 წელს ანისი, ისევე როგორც ბაგრატუნების მთელი სამეფო, ბიზანტიელთა ხელში გადავიდა, ხოლო 1064 წელს ქალაქი სელჩუკებმა დაიპყრეს და დაარბიეს. 1072 წელს ანისი

სამფლობელოდ ქურთ ამირებს – შადადიანებს გადაეცათ. 1105 წელს სომხეთის საკათალიკოსო საყდარი ანიდან კილიკიაში გადავიდა.

1124 წელს ანისი საქართველოს სამეფოს შემადგენლობაში მოექცა. XII საუკუნის განმავლობაში, მიუხედავად საქართველოს სამეფოს მზარდი ძლიერებისა, ანისი რამდენჯერმე გადავიდა თურქი სულთნების ხელში. მოგვიანოდ, 1199 წელს, ქალაქი დიდი ხნით შემოიერთეს მეფეთ მეფე თამარის ქვეშევრდომებმა, ზაქარია და ივანე მხარგრძელებმა.³

სომხეთი იმჟამად საქართველოს სამეფოს შემადგენელი ნაწილი იყო, ხოლო ძმები მხარგრძელები – საქართველოს სამეფო კარის წარჩინებული მოხელეები – ვრცელ ტერიტორიებს ფლობდნენ როგორც ქვემო ქართლში (ლორე-ტაშირში), ისე სომხეთში. მათვე ეკუთვნოდათ შირაკი, რომლის ცენტრსაც წარმოადგენდა ანისი. მხარგრძელთა შთამომავლები მართავდნენ ანისს შემდგომშიც, როდესაც, XIII საუკუნეში, საქართველოს სამეფო მონღოლთა ბატონობის ქვეშ მოექცა.

ანისი კარგადაა ცნობილი, როგორც შუა საუკუნეების მრავალკულტურული ცენტრი, სომხური, ქართული, ისლამური და ბიზანტიური ურბანული, ხუროთმოძღვრული და მხატვრული მემკვიდრეობის შეხვედრის ადგილი.⁴ ყოველივე ეს აღიბეჭდა ქალაქის ნაგებობათა ხუროთმოძღვრულ სახეში, მათ დეკორატიულ შემკულობაში. ანისის ცხოვრებისა და ყოფის მრავალსიმომცველი ბუნება კარგად ჩნდება როგორც სხვადასხვა კულტურული გარემოსადმი კუთვნილ არქიტექტურულ ხერხებში და მხატვრულ მიდგომებში, ისე იქ მოპოვებულ არტეფაქტებში. სწორედ კულტურულ მემკვიდრეობათა ურთიერთმიმართების შედეგია ის სწორუპოვარი ხუროთმოძღვრული და მხატვრული ენა, რომელიც ანისის გარემოსთვისაა დამახასიათებელი. ეს მხატვრული ენა აისახებოდა უფრო ფართო არეალის მასშტაბითაც – იგი მოიცავდა ანატოლიას და სამხრეთ კავკასიას. ქალაქის მრავალკულტურული გარემოს ჩამოყალიბებას ხელს უწყობდა ისიც, რომ იგი აბრეშუმის დიდ გზაზე იყო განლაგებული და მის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გზაჯვარედინს წარმოადგენდა. ცნობილია, რომ სამხრეთ კავკასიას ორი ძირითადი სატრანსპორტო მაგისტრალი სერავდა. ისინი დასავლეთიდან აღმოსავლეთით შავიზღვისპირეთს კასპისპირეთთან, ხოლო ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ – კავკასიას ანატოლიასთან და ირანის ზეგანთან აკავშირებდა. სწორედ ამ რეგიონში, მნიშვნელოვან ეკონომიკურ და პოლიტიკურ გზაჯვარედინზე მდებარეობდა ანისი.⁵

ანისის მდებარეობა აბრეშუმის გზაზე, სადაც იგი ანატოლიის ერთ-ერთ კარიბჭეს წარმოადგენდა, ხელს უწყობდა მის ზრდას და ეკონომიკურ განვითარებას. ამასთანავე, იგი სხვადასხვა კულტურათა ურთიერთგავლენისა და მიმართებების არეალად იქცა – თანდათანობით იგი ჩამოყალიბდა მსხვილ კოსმოპოლიტურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცენტრად, სადაც ერთმანეთის გვერდიგვერდ სხვადასხვა წარმომავლობისა და აღმსარებლობის მოქალაქეები მკვიდრობდნენ. ანისის მრავალეროვნულ ხასიათზე განსაკუთრებით ნათლად მეტყველებს ქრისტიანული (მონოფიზიტური და დიო-

ფიზიკური), მაჰმადიანური და ზოროასტრიული რელიგიური ძეგლების თანადროული არსებობა, აგრეთვე საცხოვრებელი და საჯარო ნაგებობების ხასიათი.

ქალაქისა და საფორტიფიკაციო ნაგებობების განლაგება და საერთო გეგმარება

ანისის მოხერხებული გეოგრაფიული მდებარეობა და გარემო პირობების გააზრებული გამოყენება ქალაქის მაღალი თავდაცვისუნარიანობის შექმნას უწყობდა ხელს. იგი განლაგებულია მდინარე ახურიანის (არუხიანის) მარჯვენა სანაპიროზე, ორი მხრიდან ხეობებით შემოსაზღვრულ სამკუთხა ფორმის პლატოზე. კონცხს სამხრეთიდან



სურ. 3. ანისის ნაქალაქარი, აეროფოტო

საზღვრავს წყალუხვი მდინარე ახურიანის ხეობა, დასავლეთიდან კი გაუყვება წაღკოცადორის ხეობა მდინარე ანისით (ალაჯი), რომელიც კონცხის სამხრეთ-დასავლეთ კიდესთან უერთდება მდინარე ახურიანს. ამას გარდა, ქალაქის ტერიტორიას კიდევ ორი ხეობა საზღვრავს – გაილაძორი ჩრდილო-აღმოსავლეთით და იგაძორი ჩრდილო-დასავლეთით (სურ. 3).

ამ ბუნებრივ საზღვრებში მოქცეული ქალაქის ტერიტორია ძალზე მოხერხებული იყო მშენებლობისთვის – ეს არის ფართო ვაკე, სადაც, ორი მდინარის შესართავთან, კონცხის სამხრეთ კიდეში განლაგებულია ერთადერთი ამაღლებული წერტილი: სამხრეთ-აღმოსავლეთიდან, დასავლეთიდან და სამხრეთიდან ციცაბო ფერდობებიანი გორაკი, რომელიც მიმდებარე ველებზე ბატონობს. სწორედ ამ გორაკზე აიგო კამსარაკანთა მმართველობის პერიოდში ციხე-სი-



მაგრე, ხოლო ბაგრატუნთა აღზევებისას – კარგად გამაგრებული სასახლე (სურ. 4).

კონცხის სამხრეთ-დასავლეთ კიდეში, ციტადელთან შედარებით რამდენადმე უფრო დაბლა, ციცაბო კლდეებით შემოსაზღვრული ნახევარკუნძულის ზედა, ძნელად მისავალ მონაკვეთზე განლაგებულია კამსარაკანების დროინდელი კიდევ ერთი საფორტიფიკაციო ნაგებობა – „ქალწულის ციხე-სიმაგრე“, ანუ „ყიზ-კალა“ (სურ. 5).

ბუნებრივი ბარიერების წყალობით, ქალაქის ყველა მისადგომი, გარდა ჩრდილოეთით განლაგებული დაბლობისა, სადაც შემდგომში მძლავრი სათავდაცვო კედლები აიგო, მტრისთვის პრაქტიკულად მიუწვდომელი იყო. ქალაქის ასეთი მოხერხებული მდებარეობა არა მარტო უზრუნველყოფდა მის ბუნებრივ დაცვას, არამედ შესაძლებელს ხდიდა არც თუ დიდი ოდენობის სათავდაცვო ნაგებობების განთავსებით შექმნილიყო მძლავრი საფორტიფიკაციო კომპლექსი. სწორედ ამგვარი პირობების გამო შეიქმნა ანისი, ბაგრატიონთა და ერანკავორის/შირაკავანის შემდეგ, სომხეთის მმართველი ბაგრატუნების მიერ.⁶

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შუა საუკუნეების სომხურ არქიტექტურას საზოგადოდ ახასიათებს დიდი ყურადღება გარემოსადმი – ეს ეხება არა მარტო ურბანულ არქიტექტურას, არამედ ცალკეული ხუროთმოძღვრული ძეგლების ან კომპლექსების სივრცეში განთავსების საკითხებსაც. აქ იგულისხმება არა მხოლოდ პრობლემის პრაქტიკული და/ან ფუნქციური მხარე, ანუ მოხერხებული, უსაფრთხო, ან ადვილად თუ პირიქით, რთულად მისადგომი ადგილის შერჩევა, არამედ ესთეტიკური მხარეც, სახელდობრ, ნაგებობის სილუეტისა და ფასადების შეხამება პეიზაჟთან, მისი დომინანტური და მარგანიზებული როლის გამოვლენა, როდესაც არქიტექტურული ძეგლი, როგორც ძირითადი კომპოზიციური აქცენტი, თავის გარშემო „იკრებს“ სივრცეს, ან პირიქით, შეუმჩნევლად ერწყმის მას.

სომეხ ხუროთმოძღვართა გამუდმებული ინტერესი როგორც ნაგებობის გარესაზის გადაწყვეტისადმი, ისე გარემოსთან მისი ჰარმონიული დაკავშირებისადმი ნათლად იკვეთება უკვე ადრექრის-

სურ. 4. ანისის ნაქალაქარი, ციტადელი. საერთო ხედი აღმოსავლეთიდან

სურ. 5. ანისის ნაქალაქარი, ქალწულთა ციხე, გოდოლი. ხედი სამხრეთიდან




ტიანულ ხანაში. ამ თვალსაზრისით შუა საუკუნეების სომხური და ქართული არქიტექტურა აშკარად ენათესავება ერთმანეთს: ქართული ხუროთმოძღვრების განვითარების მთელ მანძილზე, ნაგებობის ფასადების გადაწყვეტა და ბუნებასთან მისი ჰარმონიული მიმართება აშკარად გამიზნულ მხატვრულ ამოცანას წარმოადგენდა;⁷ მაშინ, როცა, მაგალითად, ადრეული პერიოდის ბიზანტიურ არქიტექტურაში, ფაქტობრივად XI საუკუნემდე, ასეთი ამოცანა საერთოდ არ

სურ. ნ. ჰორომოსის მონასტერი. საერთო ხედი ჩრდილო-აღმოსავლეთიდან



მდგარა და ხუროთმოძღვართა მთელი ყურადღება ბრწყინვალე ინტერიერის შექმნაზე იყო გადატანილი.⁸

ნაგებობის გარესახესთან, ისევე როგორც არქიტექტურისა და გარემოს ურთიერთმიმართებასთან დამოკიდებულების მხრივ მსგავსება და გარკვეული სიახლოვე უჩვეულოდ არ გამოჩნდება, თუკი გავითვალისწინებთ გემის იმ თანაგვარობას, რომელიც სხვადასხვა ისტორიული ბედის პირობებში აღბეჭდავდა სამხრეთი კავკასიის ორ მეზობელ ერს. თუმცა გასათვალისწინებელია ისიც, რომ სომხური არქიტექტურული ძეგლების – როგორც საეკლესიო, ისე საერო ნაგებობების – ფასადების გადაწყვეტის კონკრეტული ხასიათი და ფორმა, ფერი და ფაქტურა, ნაგებობათა პროპორციები და სილუეტები საკმაოდ განსხვავდება ქართულისაგან. ერთი შეხედვით, მეზობელი ხალხების – ქართველებისა და სომხების მიერ შექმნილი თანადროული ნაგებობები გაცილებით ნაკლებ კონტრასტულად გამოიყურება, ვიდრე თუნდაც ქართული და ბიზანტიური არქიტექტურა



სურ. 7. ანისის ნაქალაქარის რუკა.
წიგნიდან - Мapp 1934

რული ძეგლები, მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, მიუხედავად ამისა, მაინც ყოველ მათგანს თავისებური, თვითმყოფადი სახე აქვს.

ამასთანავე, თანაგვარობის არსებობა არ ნიშნავს იმას, რომ გარემოსთან არქიტექტურის მიმართების პრობლემა საქართველოსა და სომხეთში სრულიად ერთგვარად წყდებოდა. ერთი შეხედვით, საქართველოსა და სომხეთის ბუნებრივი პირობები თითქოს მსგავსია: ორივე ქვეყანა მეზობლად, ერთ გეოგრაფიულ რეგიონში მდებარეობს, ორივე მცირე მასშტაბებისაა და მთაგორიანია. მაგრამ საქართველოს პეიზაჟები თავისი იერ-სახითა და ხასიათით სომხურისაგან ძალზე განსხვავებულია და, შესაბამისად, სხვაგვარი ფერის, ფორმისა და სივრცის შეგრძნებას აყალიბებს ადამიანში, ეს კი, თავის მხრივ, აისახება ხელოვნების ნაწარმოებთა ხასიათშიც.

საგულისხმო ჩანს სომხურ ძეგლთა გარემოში განლაგების ერთი თავისებურებაც: იგი აშკარად შერჩევითი და გამიზნულია; სხვადასხვა პერიოდში აგებული ძეგლების უმეტესობა შემალლებულ ად-

გილებზე განლაგებული, მაგრამ პრაქტიკულად არც ერთი მათგანი არ დომინირებს გარემოზე, არც ერთი არ არის განთავსებული ლანდშაფტის ყველაზე მაღალ წერტილზე. ასეთი მიდგომა თავისთავად განსხვავდება ქართულ არქიტექტურაში არსებული ტენდენციისაგან, სადაც მნიშვნელოვანი არქიტექტურული ძეგლები და კომპლექსები, უმეტესწილად და ფაქტობრივად ყველა ეპოქაში, სწორედ გარემოზე ბატონობის პრინციპს ემყარება და განასახიერებს.

ანისში ქალაქისთვის ტერიტორიის შერჩევისა და განლაგებისთვის, რასაკვირველია, უმთავრეს ფაქტორს სწორედ პრაქტიკული, ფუნქციური წანამძღვრები განაპირობებდა, თუმცა მიღებული შედეგი, ამავე დროს, ესთეტიკური თვალსაზრისითაც ფრიად შთამბეჭდავია.

ქალაქის ურბანული სტრუქტურა ყალიბდებოდა თანდათანობით, ფეოდალური ციხე-სიმაგრისა და მის გარშემო მდებარე დასახლების დედაქალაქად ჩამოყალიბების შესაბამისად.⁹ მის ბირთვის წარმოადგენდა სწორედ კამსარაკანთა ციხე-სიმაგრე, რომელიც ბაგრატუნებმა საფუძვლიანი რეკონსტრუქციის შედეგად სამეფო რეზიდენციად აქციეს.¹⁰ ანისის ეს ყველაზე ძველი ნაწილი – „ზედა ქალაქი“ („მიჯნაბერდი“) კომპლექსის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი იყო როგორც ფუნქციური, ისე კომპოზიციური თვალსაზრისით.

შემდგომ ეტაპს წარმოადგენდა „ძველი ქალაქი“, ანუ შიდა ქალაქში, ციტადელის გარშემო განლაგებული სამოსახლოს გაჩენა, რომელსაც გარშემო ბაგრატუნთა წარმომადგენლის, აშოტ III-ის მიერ აგებული კედლები ევლებოდა.¹¹ შემდგომში, ანისის ზრდა-განვითარების კვალდაკვალ, ჩნდება „ახალი ქალაქი“, რომელიც სმბატ II-ის (977-990 წწ.), ზეობაში აგებულ კედლებამდე ვრცელდებოდა. სწორედ ციტადელი, ძველ და ახალ ქალაქთან ერთად, წარმოადგენდა ე.წ. „შაჰასტანს“ – ანისის ძირითად, კარგად გამაგრებულ ნაწილს, მჭიდროდ განაშენიანებულსა და დასახლებულს. საშიშროების შემთხვევაში აქ აფარებდა თავს ქალაქის შემოგარენში მცხოვრები მოსახლეობა. ამასთანავე, ქალაქის მასშტაბები არ იფარგლებოდა კედლებით – იგი მოიცავდა ვრცელ არეალს ხეობებით შემოზღუდული პლატოს ჩრდილო-აღმოსავლეთ და დასავლეთ მხარეს – აქ განლაგებული გარეუბნები ერთ მთლიანობას წარმოადგენდა ქალაქის ცენტრალურ, გალავნით შემოზღუდულ ნაწილებთან ერთად.¹²

აქედან გამომდინარე, ნათლად იკვეთება ანისის სტრუქტურა, მისი ურბანული სახე, რომელიც ზოგადად საკმაოდ დამახასიათებელია შუა საუკუნეების ქალაქისათვის: ა. ცენტრალური ნაწილი, ციტადელი, ანუ „ზედა ქალაქი“, ბ. ქალაქის ძირითადი ნაწილი, ანუ „შაჰასტანი“ და გ. ქალაქის მიმდებარე ტერიტორიები გარეუბნებით (სურ. 6).

სტრატეგიული მოსაზრებების გამო, ქალაქიდან ციტადელში შესვლა საკმაოდ გართულებული იყო. მშვიდობიან პერიოდებში ქალაქის ცენტრალური ნაწილის დაკავშირება გარეუბნებთან საკმაოდ ადვილად ხდებოდა სმბატის დროს აგებულ გალავანში დატანებული კარიბჭეების მეშვეობით. მოსალოდნელი ძნელებდობისთვის

არსებობდა საიდუმლო გასასვლელი ქალაქიდან მდინარე ახურიანის ნაპირამდე, მგლის ხეობის ახლოს. გაღმა გარეუბანში; ალაჯინის მხრიდან მოხვედრა შესაძლებელი იყო მიწისქვეშა დერეფნით, რომელიც ამჟამად ჩამონგრეულია. ახურიანის გაღმა ნაპირს ანელები ქვის ორი დიდი ხიდით უკავშირდებოდნენ.¹³ გარდა ამისა, არსებობდა ხის მომცრო ხიდები, რომლებიც მდინარე ანისზე იყო გადებული. ხიდების ეს სისტემა აკავშირებდა ანისს როგორც შირაკის პროვინციის სხვა პუნქტებთან, ისე ქვეყნის სხვა ნაწილებთანაც. მთავარი გზა გადიოდა ჰორომოსის მონასტრის ტერიტორიაზე. X საუკუნის ეს სამონასტრო კომპლექსი ქალაქის შორეული კარიბჭის როლსაც ასრულებდა, რაზედაც მეტყველებს იქვე სასტუმროს არსებობა და ე.წ. „ხოშერი“ – ნაგებობა, რომელიც, სავარაუდოდ, ანისისკენ მიმავალ გზაზე მდებარე სატრიუმფო კარიბჭეს წარმოადგენდა (სურ. 7).¹⁴

ზოგადად ამგვარი სახე ჰქონდა ანისს მისი განლაგების, ურბანული სტრუქტურის, ქალაქის სხვადასხვა ნაწილებს შორის არსებული კავშირებისა და ქვეყნის სხვა მხარეებთან დამაკავშირებელი ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით.

ციტადელი, ანუ „გაღმა ქალაქი“

ციტადელი, ანუ *მიჯნაბერდი* (Միջնաբերդ), აგებული ბაგრატუნების დროს იმავე ადგილზე, სადაც იდგა კამსარაკანთა ციხე-სიმაგრე, მისი დომინანტური ადგილმდებარეობის წყალობით ზედმიწევნით ასრულებდა თავის სტრატეგიულ ფუნქციას. ბორცვი, რომელზეც განლაგებული იყო ქალაქის შიდაციხე, მდინარეების – ახურიანის და წალკოცაძორის – მხრიდან კარგად იყო დაცული ბუნებრივი ბარიერებით – 80-100 მეტრის სიმაღლის ფრიალო, მკვეთრად დაქანებული მიუდგომელი კალთებით. მხოლოდ ჩრდილოეთიდან ბორცვის კალთა შედარებით რბილად ეშვება დაბლობისკენ, რომელზეც გაშენებული იყო ძველი ქალაქი.

ციტადელის ტერიტორიის დაახლოებით ერთ მეექვსედ ნაწილზე, ყველაზე მაღალ ადგილას, განლაგებული იყო კედლების კიდევ ერთი წყებით გარშემორტყმული სასახლის კომპლექსი. აქ დღემდე შემორჩა ხუთი ეკლესიისა და დაუდგენელი დანიშნულების მქონე რამდენიმე ნაგებობის ნაშთი.

ბუნებრივი დაცვის გარდა, ბორცვის ბრტყელ თავზე და სამხრეთ-დასავლეთ კალთაზე განლაგებულ ზედაციხეს საფორტიფიკაციო ნაგებობებიც იცავდა – იგი მთელ პერიმეტრზე გადაჭიმული მძლავრი კედლებითაც იყო გარშემორტყმული. კედლების საერთო სიგრძე 700 მეტრს აღწევდა; მათი ნაშთები მრავალგანაა შემორჩენილი, განსაკუთრებით – ქალაქის მხრიდან. კედლები იცავდნენ ციტადელს მდინარეების – ახურიანისა და ანისის ხეობათა მხრიდანაც, თუმცა ამ ხეობების ფრიალო ფერდობები მტრისთვის ისედაც საკმაოდ მოუდგომელს ხდიდა ამ მიმართულებას.

ციტადელის კედლები მხოლოდ ერთ რიგად იყო განლაგებული, თუმცა სასახლეს საკუთარი გალავანი შემოსდევდა. მათი ძირი-



სურ. 8. ანისი, აშოტისეული გალავანი.
დეტალი

თადი ნაწილი ჯერ კიდევ კამსარაკანთა მმართველობის პერიოდში (VII ს.) იყო აგებული,¹⁵ თუმცა კი სამუშაოები შემდგომშიც, XIII საუკუნემდე გრძელდებოდა. ჩრდილოეთ, ყველაზე მასიურ, კედელში დატანებული იყო კოშკები და ორი კარიბჭე. მთავარი კარიბჭე განლაგებული იყო ციტადელის ჩრდილო-დასავლეთით, უშუალოდ წალკოცაძორისკენ მიმართული ხრამის მხარეს, სადაც ხრამსა და კედელს შორის დარჩენილი ადგილის სივიწროვე დამატებით სირთულეს უქმნიდა თავდამსხმელს. ნ. მარის ვარაუდით, ეს კარიბჭე აგებული იყო შადადიანთა მმართველობის პერიოდში (1072-1199 წწ.). მისკენ მიემართება ქვის დიდი ფილებით მოკირწყლული, დაფერდებული გზა. ჭიშკრის ქვემოთ, თუმცა კი მიწის დონეზე მაღლა, გათხრებისას აღმოჩნდა თიხის მილების სისტემა, რომლითაც წყალი ქალაქგარეთ მდებარე წყაროდან ციტადელში იყო შეყვანილი – საკუთარი წყარო ქალაქს არ გააჩნდა.

მართკუთხა გეგმის კოშკი, რომლითაც მარცხენა მხრიდან ფლანკირებულია შესასვლელი, აგებულია შავი ბაზალტის დიდი ბლოკებისაგან; ქვებს წინანდელი გამოყენების კვალი ემჩნევა – ბლოკების ბოლოებში ამოკვეთილია სიცარიელები, რაც იმას მოწმობს, რომ თავდაპირველად ისინი სხვა ნაგებობისთვის იყო გამოყენებული.¹⁶

სამხრეთიდან, სამხრეთ-დასავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ფერდობებზე, განლაგებული იყო დამატებითი კედლები, რომლებიც ზედაციხეს ზურგიდან შემოტევისაგან იცავდა. ერთ კედელს, რომელიც მდინარე ანისის ხეობის მხრიდან იყო განლაგებული, სა-

მი მართკუთხა და ერთი მრგვალი კოშკი ჰქონდა, ხოლო მეორეს – მხოლოდ ორი მრგვალი კოშკი. მათ შორის არსებული მონაკვეთი ქალაქის მხრიდან განხორციელებული შემოტევის შემთხვევაში საშუალებას აძლევდა მცხოვრებლებს, გასულიყვნენ ქალაქიდან და ძნელადსავალ ფერდობებზე განლაგებული ბილიკებით გარშემო ხეობებისთვის შეეფარებინათ თავი.

აშოტის კედლები

ბაგრატუნების გვარის წარმომადგენლის, აშოტ III-ის მიერ 963-964 წლებში აგებული კედლები იცავდა ძველ, ანუ შიდა ქალაქს, რომელიც ციტადელის ჩრდილოეთი კედლების მიმდებარე ტერიტორიაზე იყო განლაგებული. სავარაუდოდ, იქ მანამდეც არსებობდა სათავდაცვო კონსტრუქციები, შესაძლოა – მიწაყრილი, რომლის კვალი დღესაც შეინიშნება.¹⁷

აშოტის კედლები მდინარეების – ახურიანსა და წალკოცაძორს შორის განლაგებული სამკუთხა ფორმის კონცხის ყველაზე ვიწრო ნაწილში იყო გადაჭიმული (სურ. 8). XIX საუკუნეში აშოტის კედლები პრაქტიკულად აღარ ჩანდა მიწის ზემოთ; ისინი მხოლოდ დაბალი ბორცვების სახით აღიქმებოდა. 1893 წელს ნ. მარის ხელმძღვანელობით ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩნდა 120 მეტრის სიგრძის კედელი, რომელშიც ნახევარწრიული გეგმის



სურ. 9. ანისი, აშოტისეული გალავანი, კედლის წყობა. დეტალი



სურ. 10. ანისი, ციტადელის გალავანის კედელი. დეტალი

შვიდი კოშკი იყო განლაგებული.¹⁸ კოშკები ახალი ქალაქის მხარესაა ორიენტირებული. აღმოსავლეთით განლაგებული ორი კიდურა კოშკი სხვებზე დიდი იყო და კედლის სიბრტყიდან უფრო ძლიერად იყო გამოწეული. მათ შორის აგებული იყო კარიბჭე. დასავლეთით, მეექვსე და მეშვიდე კოშკებს შორის, მდებარეობდა ჭიშკარი, რომლის გავლითაც შესაძლებელი იყო ძველ ქალაქში მოხვედრა.

აშოტის კედლები აგებულია ძალზე მტკიცე, წითელი ფერის ბაზალტის ქვისაგან, კირხსნარის გამოყენებით (სურ. 9 და 10). ასეთი ქვა ანისის მიდამოებში დიდ იშვიათობას წარმოადგენს და მას, სა-



სურ. 11. ანისი, გალავნის ჩრდილოეთი კედელი. საერთო ხედი

ვარაუდოდ, შორიდან ეზიდებოდნენ. კედლის წყობა ოსტატური და მყარია, თუმცა ქვის კვადრები შედარებით უხეში ფორმისაა და არცთუ მთლად გლუვად და წმინდადაა გათლილი. ძალზე სახასიათოა ამ კედლების წყობისთვის დამახასიათებელი ქვების სპეციფიკური ფორმა – იგი გვერდზე დაწვენილ მაღალ პირამიდებს მოგვაგონებს, რომლებსაც საფუძველი გარეთა მხარეს აქვთ მიმართული.¹⁹

ვარდან არეველცის ცნობით, მეფე აშოტმა „ბრძანა ყველა კომკის ეკლესიებად გადაკეთება“,²⁰ რაც იმას უნდა გულისხმობდეს, რომ კომკების ზედა ნაწილებში სამლოცველოები უნდა განთავსებულიყო. ეს ცნობა დასტურდება არქიტექტორ თოროს თორამანიანის მიერ ჩატარებული კვლევებითაც, რომელთა შედეგადაც კიდურა ორ კომკში სამლოცველოების არსებობის კვალი იქნა დადასტურებული. მსგავს მაგალითებს ასევე ვხვდებით ლორეში განლაგებულ ციხე-კომკებში,²¹ კილიკიაში მდებარე ილან-თეფეს (ლევონკლას) ციხე-სიმაგრეში²² და სხვ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აშოტის დროინდელ კედელთა კომკებში სამლოცველოების ქვემოთ სხვა რაიმე (სამხედრო ან სამეურნეო) დანიშნულების სათავსები არ ვხვდებთ. ეს მნიშვნელოვანი მომენტი – ტ. ბრეჩია ფრატადოკი აღნიშნავს, რომ X-XI საუკუნეთა სომხური ციხე-სიმაგრეები, მაგალითად, ამბერდი, ბჯნი, ლორიმბერდი, ტიგნისი, მაღასბერდი და სხვ., თავისი მიუდგომელი მდებარეობის წყალობით მოსახლეობისთვის თავშესაფრის როლს ასრულებდა ძირითადად ადგილობრივი კონფლიქტების დროს და არ იყო განკუთვნილი კარგად გაწვრთნილი და შეიარაღებული დიდი არმიების ხანგრძლივი და მასირებული შეტევების მოსაგერიებლად. ასეთი დასკვნა გამომდინარეობს არა მარტო იმდროინდელი პოლიტიკური და ისტორიული ვითარების გათვალისწინებით, არამედ სა-

ფორტიფიკაციო ნაგებობათა სპეციფიკური გადაწყვეტიდანაც.

დაკვირვება ცხადყოფს, რომ კედლების გასწვრივ განთავსებული ცილინდრული კოშკები შიდა მხრიდან წყობით მთლიანად იყო შევსებული. ამგვარი კონსტრუქცია გამიზნული იყო უფრო მიწისძვრებისგან დასაცავად, ვიდრე დამატებითი სამხედრო მოქმედებებისთვის.

მიჩნეულია, რომ იმ პერიოდში ციხეთა დაცვა ევალებოდა არა საგანგებოდ გაწვრთნილ მეომრებს, არამედ ციხე-კოშკების ან ციხე-ქალაქების მოსახლეობას. ამაზე მეტყველებს თავად საფორტიფიკაციო ნაგებობების სტრუქტურაც: კედლის სიმაღლესთან გათანაბრებული კოშკების ბრტყელი გადახურვა ნაწილობრივ ზრდიდა მის თავზე განლაგებული საბრძოლო მოედნებისა და გადასასვლელების სიგანეს, რაც თავდაცვის პრიმიტიული ხერხების გამოყენების (მაგ., მტრისთვის ქვების სროლის და სხვ.) საშუალებას იძლეოდა, მაგრამ არ იყო საკმარისი კატაპულტების დასაყენებლად ან ქონგურების თუ დამცავი ზღუდეების ასაგებად.²³

ეს დაკვირვებები დიდი ალბათობით შეიძლება განივრცოს ანისის აშოტის დროინდელ კედლებზეც, რომლებიც იმავე პერიოდში – X საუკუნის მეორე ნახევარში არის აგებული და რომელთა კოშკებიც შიგნიდან ასევე ამოვსებული იყო. ასეთ კოშკებს არ გააჩნდა სარკმლები და ამბრაზურები; შესაბამისად, ამკარაა, რომ ისინი ემსახურებოდა არა საომარ, არამედ მხოლოდ კონსტრუქციულ მიზნებს – კედლის განმტკიცებას, მისი მდგრადობის გაძლიერებას როგორც თავდასხმის, ისე ბუნებრივი კატაკლიზმების დროს. ასეთ შემთხვევაში გასაგები ხდება, თუ რატომ განლაგეს სამლოცველოები იქ, სადაც თითქოს უფრო უპრიანი იქნებოდა სამხედრო დანიშნულების სათავსების – მაგალითად, გარნიზონის დასაყენებელი სათავსების – მოწყობა.

დროთა განმავლობაში, როდესაც ქალაქის გარშემო დამცავი კედლების მეორე რიგი – სმბატის კედლები აიგო, აშოტის კედლებმა დაკარგა თავდაპირველი სტრატეგიული მნიშვნელოვნება. როგორც ჩანს, ეს უნდა გამხდარიყო წინაპირობა იმისა, რომ მათ გამაგრება-შეკეთებას სულ უფრო ნაკლები ყურადღება ექცეოდა – ამის გამო, მათი მდგომარეობა იმ დროს, როცა ანისის მეცნიერული შესწავლა დაიწყო, უკვე ძალზე სავალალო იყო.

სმბატის კედლები

აშოტის კედლებისაგან განსხვავებით, მეფე სმბატ II-ის (977-983) ბეობისას აშენებული საფორტიფიკაციო ნაგებობები მხოლოდ ლოკალურ კონფლიქტებზე არ ყოფილა გათვლილი – ეს იყო გაცილებით უფრო სერიოზული და მძლავრი სისტემა, რომელიც იმდროინდელი სამხედრო ხელოვნების მიღწევებს შეესაბამებოდა და მწვავე კონფლიქტების დროს არა მარტო იცავდა ქალაქს მტრის შემოჭრისაგან, არამედ საშუალებას აძლევდა ქალაქის დამცველებს, ეწარმოებინათ აქტიური საბრძოლო მოქმედებები (სურ. 11). ეს კომპლექსი



სურ. 12. ანისი, გალაგნის კედლები



სურ. 13. ანისი, სმბათისეული გალავნის კედლების წყობა


ანისის ყველაზე მძლავრ სათავდაცვო ნაგებობას წარმოადგენდა. როდესაც 989 წელს სმბატ II-მ ეს მშენებლობა წამოიწყო, იგი ცდილობდა, არა მარტო მნიშვნელოვნად გაეზარდა ქალაქის დაცული ტერიტორიის ფართობი, არამედ იგი მაქსიმალურად მიუდგომელი გაეხადა მტრისთვის.

ახალი კედლების წყობა აშოტის კედლებისაგან ჩრდილოეთით, მათგან დაახლოებით 720 მეტრის დაშორებითაა აგებული. სმბატის



სურ. 14. ანისი, გალავანი, მერვე კოშკი. ქრონოლოგიური ფენები

დროს ეს კედლები დაახლოებით 2,5 კილომეტრზე იყო გადაჭიმული და სტრატეგიულად მნიშვნელოვან ნაწილებში ორ რიგად იყო განთავსებული. გარეთა რიგის კედლების სიგანე დაახლოებით 1 მეტრია, სიმაღლე – 8-10 მეტრი. მათ მხოლოდ ახლოს მყოფი მტრის მოგერიების როლი გააჩნდათ, ისევე, როგორც ეს იყო აქამდე, ტრადიციულ სომხურ სათავდაცვო ნაგებობებში. კედლების შიგა რიგი გაცილებით უფრო მაღალია, ვიდრე გარეთა და იგი 20 მეტრს აღწევს, ამასთან ამ კედლებს უკვე არა მხოლოდ თავდაცვითი, არამედ შეტევითი როლიც ეკისრებოდათ: კედლების ორ რიგს შორის არსებულ გასასვლელში მოხვედრილი მტერი თავად ხდებოდა თავდასხმის ობიექტი (სურ. 12).




ამ კედლების მასალა და სამშენებლო ტექნიკა განსხვავდება ადრეული, აშოტისეული კედლებისაგან. როგორც ზემოთ აღინიშნა, ძველი საფორტიფიკაციო ნაგებობები აგებული იყო შორიდან მოზიდული მოწითალო ბაზალტის უხეშად დამუშავებული კვადრებისაგან, კირხსნარის გამოყენებით. სმბატის კედლები აგებულია ადგილობრივად მოპოვებული სხვადასხვა ფერის ტუფისგან და ორივე მხრიდან მოპირკეთებულია ზედმიწევნით გათლილი და გულდასმით, მჭიდროდ დალაგებული ქვის შედარებით თხელი კვადრებით, მათ შორის არე კი ამოვსებულია ყორებეტონით, ანუ ქვისა და მჭიდი ხსნარის ნაზავით, რომელიც მზადდებოდა ასევე ადგილობრივ მოპოვებული პემზის ქვიშის გამოყენებით. სადაო არ უნდა იყოს, რომ ადგილობრივი საშენი მასალების გამოყენებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამგვარი, ფართომასშტაბიანი სამუშაოების პროცესში, რამდენადაც ეს საგრძობლად ამცირებდა სხვადასხვა სახის დანახარჯებს.²⁴ თუ გავითვალისწინებთ მშენებლობის მასშტაბებს, ცხადი გახდება, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამ ფაქტორს (სურ. 13).

ნათელია, რომ ასეთი გრანდიოზული სამშენებლო სამუშაოები საკმაოდ დიდხანს უნდა გაგრძელებულიყო. თ. თორამანიანის აზრით, ანისის დამცავი კედლების ასაგებად განხორციელებული სამუშაოების პირველი, სმბატის დროინდელი, ეტაპი, სულ მცირე, ხუთი-ათი წელი მაინც გრძელდებოდა.²⁵

სმბატის მმართველობის შემდგომ პერიოდებშიც სათავდაცვო კედლების მშენებლობის, გამაგრებისა და განახლების ფართომასშ-

სურ. 15. ანისი, გალაგნის აღმშენებლობის ქრონოლოგიური ფენები. ნარკვევიდან - Mahé et al. 1999



სურ. 16. ანისი, აღმშენებლობის ქრონოლოგიური ეტაპების აქსონომეტრია. ნარკვევიდან - Mahé et al. 1999



სურ. 17. ანისი, გალავნის ჩრდილოეთი ნაწილი. პირველი და მეორე რიგის კოშკები



სურ. 18. ანისი, გალავანი. კედლის პოლიქრომიული აქცენტი

ტაბიანი სამუშაოები ხანგრძლივი დროის მანძილზე, გარკვეულ ეტაპებად მიმდინარეობდა.²⁶

ამ კედლების მნიშვნელობა ანისის, როგორც ქალაქისა და რეგიონის ცენტრის არსებობისათვის განუზომლად დიდი იყო, ამიტომ მათი გამაგრებისა და შემდგომი განახლებისთვის საჭირო სამუშაოები ხშირად და ინტენსიურად ტარდებოდა. მაგალითისთვის შეიძლება დასახელებულ იქნას საკათედრო ტაძარზე არსებულ სომხურ წარწერაში აღნიშნული „გენერალური შეკეთება“, რომელიც ჩაუტარდა საფორტიფიკაციო სისტემას მას შემდეგ, რაც 1045 წელს ანისი ბიზანტიელებმა აიღეს. წარწერაში ნათქვამია, რომ კატეპანმა აარონმა „ამაღლა და სიგანეში გაზარდა ძველი კედლები“.²⁷ XI-XII საუკუნეთა მიჯნაზე სელჯუკების მიერ დაზარალებული ანისის ახალი მფლობელები – შადადიანები ასევე ახორციელებდნენ საფორტიფიკაციო ნაგებობათა გასამაგრებელ სამუშაოებს: მათ დროს აღუდგენიათ ზედა ქალაქის კარიბჭე და გაუმაგრებიათ მთავარი კარიბჭის მიმდებარე კოშკები, რის შესახებაც გვამცნობს ერთ-ერთ კოშკზე არსებული არაბული წარწერა.²⁸

სამუშაოთა მომდევნო ეტაპები არ იწვევდა უკვე არსებული, ადრეული ნაწილების ნგრევას: მათ იყენებდნენ როგორც ბაზისს, რომელზეც ეფუძნებოდა შენობის ახალი ფრაგმენტები (სურ. 14). ეს, ერთი მხრივ, მეტად მომგებიანი იყო ეკონომიკური თვალსაზრისით, მეორე მხრივ კი მშენებლობის პერიოდში ქალაქი არ რჩებოდა დაუცველი. ასეთი ტექნიკის გამოყენების შედეგად, კედლის ძველი ფენები კი არ ნადგურდებოდა, არამედ ახალი ნაგებობის შიგნით, მის ქვედა ნაწილში ხვდებოდა.²⁹

არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის პროცესში, მიწისძვრების შედეგად გაშიშვლებული სამშენებლო ფენების შესწავლის სა-

ფუძველზე, გამოიყო სათავდაცვო ნაგებობების აღმშენებლობისა და აღდგენა-განახლების ოთხი ქრონოლოგიური ფენა, რომლებშიც ნათლად იკვეთება განსხვავებული კონსტრუქციული და ტექნოლოგიური მიდგომები.³⁰

ჟან-პიერ მაცს ქრონოლოგიური სქემის მიხედვით, პირველი, უძველესი ეტაპი, 989 წლამდე (სმბატისეულ) პერიოდს მიეკუთვნება. იგი ხასიათდება სწორხაზოვანი კედლებით (კურტინებით), რომლებიც ბოლოებში გამაგრებულია მართკუთხა განიერი გოდოლებით და წაკვეთილი კონუსის ფორმის ღრუ კოშკებით, რომელთაგან ზოგიერთი თიხის გამოყენებითაა ნაგები (სურ. 15 და 16).

მეორე, 1020 წლამდე პერიოდი, ანუ აშოტ III-ისეული ეტაპი, ძირითადად ხასიათდება ნალისებრი ფორმის ახალი გოდოლების მიშენებით.

მესამე ეტაპის განმავლობაში, რომელიც წინ უსწრებს ანისის ქართულ სახელმწიფოში შესვლის პერიოდს, შენდება მეორე რიგის კედელი, რომელიც აორმაგებდა საფორტიფიკაციო სისტემის ეფექტურობას.

მეოთხე ეტაპი ემთხვევა იმ პერიოდს, როდესაც ანისი საქართველოს სახელმწიფოს შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა. კვლევები ცხადყოფს, რომ სწორედ იმ პერიოდში საფორტიფიკაციო სამუშაოები განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენდა როგორც თავისი მასშტაბებით, ასევე ტექნიკური და ესთეტიკური თვალსაზრისითაც.³¹

საქართველოს სამეფოს მფლობელობის პერიოდის სათავდაცვო სისტემა

როგორც ზემოთ აღინიშნა, ანისის საფორტიფიკაციო სისტემის სრულქმნისთვის განსაკუთრებით ფართო და მასშტაბური სამუშაოები ხორციელდებოდა ქალაქის აყვავებისა და გაძლიერების პერიოდში – XII საუკუნესა და XIII საუკუნის პირველ მესამედში, მხარგრძელთა მმართველობის ხანაში, როდესაც ანისი ქართული სახელმწიფოს ნაწილს წარმოადგენდა.

ჟან-პიერ მაცს ხელმძღვანელობით განხორციელებული არქეოლოგიური ექსპედიციების მასალებზე დაყრდნობით, შესაძლებელი ხდება მსჯელობა იმის თაობაზე, რომ დასახელებული პერიოდისთვის ქალაქის დამცავი გარეთა კედლების ზომა ორმაგდება (სურ. 17); ასევე მნიშვნელოვნად იზრდება შიგა კედლის სიმაღლე და კოშკების დიამეტრი, ხოლო მათ ზემოდან ეწყობა დიდი ზომის საბრძოლო მოედნები. ქალაქის საფორტიფიკაციო სისტემა მთლიანად იმოსება შესანიშნავად გათლილი ქვის პერანგით, რომელიც, თავისი ხარისხით, არსებითად განსხვავდება ძველი წყობისაგან.³² დამცავი კედლების იერსახე ნათლად მოწმობს არა მარტო მისი მშენებლების მაღალ ტექნიკურ ოსტატობას, არამედ აგრეთვე გამორჩეულ ინტერესს ნაგებობათა მხატვრულ-ესთეტიკური მხარის სრულყოფილი გადაწყვეტისადმი; ეს აშკარად არის არა შემთხვევით მიღწეული ეფექტი,



სურ. 19. ანისი, გალაგანი. რელიეფი ჯვრის გამოსახულებით



სურ. 20. ანისი, გალავანი. რელიეფური წარწერისთვის განკუთვნილი არე

არამედ მიზანმიმართულად დასახული შემოქმედებითი ამოცანა. უნდა აღინიშნოს, რომ ეს უჩვეულოა, რადგანაც თავისი დანიშნულებით სრულებით უტილიტარული საფორტიფიკაციო ნაგებობის კედლების ესოდენ გულდასმით დამუშავება საკმაოდ იშვიათია მსოფლიო სათავდაცვო არქიტექტურაში (თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი ტექნიკით შესრულებული ფრაგმენტების მცირე კვალი შემორჩენილია, მაგალითად, თბილისში, ნარიყალას ციხის კედლებზე). სამაგიეროდ, ასეთი ტექნიკა ხშირად გვხვდება შუა საუკუნეების სომხური და ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრების ძეგლებში.

შესაბამისად, ანისის გალავანი და ქალაქის საკულტო ნაგებობები, თავისი ესთეტიკური გადაწყვეტის წყალობით განუყოფელ არქიტექტურულ ერთიანობად აღიქმებოდა. მუქი უნაბისფერი და ოქროსფერი ტუფის გლუვი ზედაპირები, სადაც წითელი და შავი ქვების აქცენტები მუდერ პოლიქრომიულ ეფექტს ქმნიდა, მთლიანად განსაზღვრავდა ქალაქის კოლორიტს და მხატვრულ სახეს (სურ. 18).

გარდა ფერადოვანი ეფექტებისა, კედლები შემკული იყო, აგრეთვე, სხვადასხვა ფერის კვადრებით გამოყვანილი დეკორატიული მოტივებით, რელიეფური გამოსახულებებით, ჯვრებით. მაგალითად, მეორე და მეოთხე კოშკებს შორის კედელზე მაღალი რელიეფით ამოკვეთილია არწივი კლანჭებში კრავით, რომოცდამეექვსე კოშკზე – ორი გველი, რომელთა თავებს შორის ხარის თავია გამოქანდაკებული; ასეთივე ფიგურებითაა შემკული სამოცდამეორე კოშკი.

აქ შეგვიძლია პარალელი გავავლოთ ფილიპ ნივონერის მიერ აღნიშნულ ფაქტთან, რომ ადრებიზანტიურ პერიოდში ქალაქთა კედლებზე ხშირად გამოისახებოდა წინაქრისტიანული ხანის სიმბოლოები, როგორცაა არწივი და გველი, რომლებსაც, ასეთ შემთხვევაში, აპოტროფული მნიშვნელობა ენიჭებოდა.³³

ძალზე მრავალფეროვანია ანისის კედლებზე გამოსახული ჯვრები: ზოგ მათგანს რელიეფური ჩუქურთმის სახე აქვს, ზოგი მუქი ფერის ქვითაა ამოწყობილი ღია ფერის ფონზე, ხოლო ორმოცდამეოთხე და ორმოცდამეექვსე კოშკებს შორის კედელზე გამოსახული ჯვარი სმალტის დიდი ცისფერი ბურთებისაგან შედგება. ასეთივე ბურთებია ჩასმული უფრო მომცრო ჯვრებში, რომლებიც კედელზე რამდენიმე ადგილასაა მობნეული.

ამასთანავე, ანისის დამცავი გალავნის კედლებზე გამოსახული ჯვრები, რასაკვირველია, მართო დეკორატიული აქცენტის როლს არ ასრულებდა: თუმცა ჯვრის ხშირი გამოსახვა საფორტიფიკაციო ნაგებობებზე, ერთი შეხედვით, თითქოს ნაკლებად მოსალოდნელი უნდა იყოს, ვიდრე, ვთქვათ, რელიგიურ შენობებზე, ეს მაინც სავსებით ლოგიკურია: ჯვრის, როგორც დამცავი სიმბოლოს მნიშვნელოვნება ძალზე დიდი იყო.³⁴ ანისის კედლებზე გამოსახული ჯვრების უჩვეულო სიმრავლეზე და მათ მნიშვნელობაზე მიუთითებს, მაგალითად, ჰამლეტ პეტროსიანი ნაშრომში „ქვის ჯვრების კულტურა ქალაქ ანისში“, სადაც ავტორი აღნიშნავს არა მართო ჯვრების განლაგებას არქიტექტურულად განსაკუთრებით მნიშვნელოვან ადგილებზე და მათი გადაწყვეტის მხატვრული ხერხების მრავალფეროვნებას, არამედ ჯვრის, როგორც ქალაქის ქრისტიანული კულტურისადმი კუთვ-

ნიღების მკაფიო დემონსტრაციის საშუალებას (სურ. 19).³⁵

საფორტიფიკაციო ნაგებობების კედლებზე გამოსახული ჯვრების აპოტროფულ ფუნქციაზე საუბრობს ანდრეას რობი თავის ნაშრომში „წარწერები ბიზანტიურ საფორტიფიკაციო ნაგებობებზე“.³⁶

საკმაოდ ხშირია ანისის კედლებზე სვასტიკის გამოსახულებაც, რომელსაც, ასტრალურის გარდა, დამცავი მნიშვნელობაც ჰქონდა. მაგალითად, ორმოცდამეათე კოშკზე შიდა მხრიდან შავი ფერის ქვით გამოყვანილია ასეთი გამოსახულება.³⁷

ზოგჯერ დეკორატიული აქცენტების როლს ოსტატურად გან-



ლაგებული წარწერებიც ასრულებდა. ამავე დროს, ამ წარწერების მნიშვნელოვნება იმაშიც მდგომარეობს, რომ „კერძო შემწირველთა მრავალრიცხოვანი წარწერების წყალობით... ეს სათავდაცვო ნაგებობები ცალსახად შეგვიძლია მივაკუთვნოთ ანისის ქართულ პერიოდს...“.³⁸

ამის დასტურს წარმოადგენს ის მრავალრიცხოვანი სააღმშენებლო წარწერები, რომლებიც ეკუთვნის თავად მხარგრძელებს – ამირსპასალარ ბაქარიას, ათაბაგ ივანეს, ბაქარიას ძეს სარგისს და სხვებს, აგრეთვე, ანელ მოქალაქეებს, რომლებიც მოიხსენიებენ მხარგრძელებს, როგორც ქალაქის პატრონებს, „შაჰინშაჰებს“. მაგალითად, წარწერა, რომელიც ბაქარია მხარგრძელის კოშკზე იყო მოთავსებული, გვამცნობს, რომ 1208 წელს მანდატურთუხუცეს-ამირსპასალარ შაჰინშაჰმა ბაქარიამ ააგო გოდოლი და ბლუდე მისი და თავისი მშობლების მოსახსენებლად,³⁹ ხოლო წარწერაში, რომელიც ანისიდან სანკტ-პეტერბურგში გადაიტანეს, მითითებულია, რომ იმავე 1208 წელს მანდატურთუხუცეს ბაქარიას სახელზე აიგო კარიბ-

სურ. 21. ანისი, გალავანი. კოშკი სათავდაცვო სისტემის აღმოსავლეთ ნაწილში

ტე და ბურჯები ჯუნდკანის ხელით.⁴⁰

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სათავდაცვო ნაგებობებზე ადგილობრივ მოქალაქეთა წარწერების არსებობა არ ნიშნავს იმას, რომ ეს ნაგებობები მართლაც შენდებოდა ამ პირთა უშუალო მონაწილეობით ან მათი დაკვეთით, და რომ მშენებლობა ამის გამო ნაწილ-ნაწილ, ცალკეული გოდოლების ან კედლის რომელიმე მონაკვეთის აგების გზით ხორციელდებოდა. ი. ორბელი აღწერს, თუ რა ფორმით ხდებოდა ზოგადად მშენებლობა და კერძო პირთა მონაწილეობა ამ პროცესში:

„ანიის კოშკები და კედლები იგებოდა საერთო გეგმის მიხედვით, სახელმწიფოს ან ქალაქის თანხებით, ერთდროულად დიდი ჯგუფების და მონაკვეთების სახით. შემდეგ მსურველებს საშუალება ეძლეოდათ, გამოესყიდათ ესა თუ ის გოდოლი ან კოშკებს შორის განლაგებული კედლის ნაწილი და, ამგვარად, მისი აგების მიახლოებითი ღირებულების გადახდის შემდეგ, მათ ეძლეოდათ უფლება



სურ. 22. ანიის, გალავნის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი. ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან

კედელზე, წინასწარ მომზადებულ სტელაზე, შეესრულებინათ საკუთარი სააღმშენებლო წარწერა; ასეთ წარწერებში სიტყვა „აშენება“ სრულიად კარგავს თავის რეალურ მნიშვნელობას და გულისხმობს მხოლოდ ნაგებობის ღირებულების გადახდას, თანაც, შესაძლოა, მშენებლობის დასრულებიდან დიდი ხნის შემდეგ (სურ. 20).⁴¹

დაფინანსების ასეთი მეთოდი, ცხადია, შესაძლებელი იყო იმ შემთხვევაში, თუ მშენებლობის ინიციატორს წარმოადგენდა ძლიერი და მდიდარი სახელმწიფო, რომელსაც, ერთი მხრივ, ძალუძდა ესოდენ გრანდიოზული და ძვირადღირებული სამუშაოების განხორციელება, ხოლო, მეორე მხრივ, გააჩნდა სერიოზული ავტორიტეტი, რომელიც, საჭიროების შემთხვევაში, წაახალისებდა შეძლებული მოსახლეობის მიერ საჭირო შეწირულობის გაღებას. სწორედ ასეთ სახელმწიფოს წარმოადგენდა მხარგრძელთა მმართველობის



სურ. 23. ანისი, გალავანი.
ჭადრაკული კარიბჭე

პერიოდში საქართველოს სამეფო და, შესაბამისად, დაფინანსების ეს ხერხი სავსებით გამართლებული გამოდგა.

როგორც ვხედავთ, ანისის საფორტიფიკაციო ნაგებობათა კედლებზე განლაგებულ წარწერებს, ერთი მხრივ, დიდი მნიშვნელობა აქვთ სამშენებლო პროცესის შესწავლის თვალსაზრისით, მეორე მხრივ კი ისინი ცხადყოფს, რომ იმ პერიოდისთვის ანისი არა მართლ პოლიტიკურად წარმოადგენდა საქართველოს ფეოდალური მონარქიის ნაწილს, არამედ კულტურული თვალსაზრისითაც ძალზე მჭიდროდ იყო მასთან დაკავშირებული.

ახალი ქალაქის კედლები „დროთა განმავლობაში ახლდებოდა და განივრდებოდა, იზრდებოდა კოშკების რიცხვიც... კედელთა ტიპების სხვადასხვაობა, რომელიც მათი აგების დროზეა დამოკიდებული, განსაკუთრებით თვალნათლივ ჩანს, თუ შევადარებთ წალკოცაძორთან და გაილაძორთან მდებარე კოშკებსა და იმ ბურჯებს, რომლებიც ცენტრალურ შესასვლელთანაა განლაგებული. წახკოწაძორის კოშკებზე ნაწილობრივ შემორჩენილია ქონგურები, მაგრამ კიდევ უფრო მნიშვნელოვანია კედლის წყობის თავისებურება და ის, რომ ამ კოშკებს კვადრატული გეგმა აქვთ, ხოლო მთავარი კედლის ყველა კოშკი, ორი კიდურა ბურჯის გარდა, მომრგვალებულია სამი მხრიდან“ (სურ. 21 და 22).⁴²

ჩრდილოეთის კედლების ორივე რიგში, ყოველი ათი-ოცი მეტრის დაშორებით, ნახევარწრიული კოშკები იდგა. მართკუთხა ფორმის გეგმა გააჩნდა მხოლოდ ორ კიდურა კოშკს – გაილაძორის მხრიდან და ივაძორის მხრიდან. ნ. მარის დაკვირვებით, ქალაქის სათავდაცვო სისტემის მთელს პერიმეტრზე იყო სულ ოთხმოცი კოშკი, მათ შორის ორმოცდათხუთმეტი სმბატის კედლებში იყო განთავსებული.⁴³ თავისი სტრუქტურით ეს გოდოლები ძლიერ განსხვავდება ადრეული, აშოტისეული კოშკებისაგან – ისინი არ არის შიგნიდან ამოვსებული და, შესაბამისად, მათში საკმაოდ დიდი სათავსებია გამართული: ზოგიერთ მათგანში ორ-სამ იარუსად განლაგებულია



სურ. 24. ანისის ნაქალაქარი, სმბატის
გალავანი, “ლომის კარიბჭე”.
ხედი ჩრდილოეთიდან.
დ. ერმაკოვის ფოტოკოლექცია

ამბრაზურებიანი ოთახები, რომლებიც ერთმანეთს ქვის შიგა კიბეებით უკავშირდება. ასეთი კომპლექსიდან შესაძლებელი იყო აქტიური საომარი მოქმედებების წარმოება.⁴⁴

ამავე დროს, ეს კომპლექსი, რასაკვირველია, ითავსებდა იმ კონსტრუქციულ ფუნქციასაც, რომელიც გააჩნდა უფრო ადრეულ, ამოტისდროინდელ სათავდაცვო ნაგებობებსაც: იგი ზრდიდა კედლის სიმაღლეს და გამძლეობას მტრის შემოსევების თუ მიწისძვრების დროს. გარდა ამისა, კონტრფორსების დაგვარად გამოწეული მოცულობები მტერს არ აძლევდა უშუალოდ კედელთან მისვლის საშუალებას და იცავდა გალავანს კედლის სანგრევი მანქანების დარტყმებისაგან.

რაც შეეხება შიგნითა რიგის კედლებისა და მათი კომპლექსის დანიშნულებას, იგი ორმაგ ფუნქციას ასრულებდა: სანამ მტერი ჯერ კიდევ შორ მანძილზე იმყოფებოდა და უშუალო საფრთხეს ნაკლებად წარმოადგენდა, ისინი მომხვდურზე თავდასხმის კარგ საშუალებას უზრუნველყოფდა: მაღალი კედლები, სადაც რამდენიმე იარუსად განლაგებული იყო სათავსები პატარა, ვიწრო ლიობებით, იქ განთავსებულ მოისრეებს შორ და ფართო არეალზე სროლის შესაძლებლობას უქმნიდა.

მეორე მხრივ, შიდა კედლებს სათავდაცვო ფუნქციაც გააჩნდათ.

იმ შემთხვევაში, თუ მტერი გარე კედლების გადალახვას მოახერხებდა, ის გარე და შიგა კედლებს შორის ვიწრო სივრცეში მოექცეოდა, სადაც მანევრირების საშუალება პრაქტიკულად არ ექნებოდა და იმავე მოისრეებისათვის ახლო და იოლ სამიზნედ იქცეოდა. ამგვარი სტრატეგია ფართოდ იყო გავრცელებული არაბულ და მესოპოტამიურ სამყაროში.⁴⁵

გარედან ქალაქის კედლებს შემოვლელი ჰქონდათ თხრილი, რომლის ორივე მხარეს ბაზალტის კედლები იყო ამოყვანილი. თხრილის შიგნით, ყოველი ათი-თორმეტი მეტრის დაშორებით, იმავე ქვისაგან აგებული იყო განივი კედლებიც, რომლებიც წყლის დონის რეგულირებისთვის იყო საჭირო. მთლიანობაში, თხრილის ჩათვლით, ეს სათავდაცვო კომპლექსი ორმოცდაათი მეტრის სიგანეს



სურ. 25. ანისი, გალავანი, „ლომის კარიბჭე“. ლომის გამოსახულება

აღწევდა. იგი წარმოადგენდა არა მარტო შესანიშნავ საინჟინრო-საფორტიფიკაციო ნაგებობას, რომლის სათავდაცვო ფუნქცია უმაღლეს დონეზე იყო გადაწყვეტილი (მართლაც, საისტორიო წყაროები მოწმობს, რომ ანისის კედლები მტერს არასოდეს შეუწვდებია – ისინი მხოლოდ მიწისძვრების შედეგად იყო დაზიანებული),⁴⁶ არამედ უაღრესად შთამბეჭდავ არქიტექტურულ ძეგლს, რომელიც დღესაც შორიდანვე მკაფიოდ იკითხება თავისი გრანდიოზული მასშტაბების წყალობით და რომლის მონუმენტური, მძლავრი პროპორციები წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე.

ქალაქში სხვადასხვა მხრიდან შეიძლებოდა შესვლა მრავალრიცხოვანი კარიბჭეებისა და ჭიშკრების მეშვეობით. მათ შორის სამი კარიბჭე ორმაგი იყო: ა. ყარსისა, ბ. მთავარი, ანუ „ლომის კარიბჭე“, და გ. დვინის. კარიბჭეების სახელწოდება დაკავშირებული იყო იმ რეგიონებთან, რომლებთანაც ანისს აკავშირებდა ამ ჭიშკრებიდან დაწყებული გზები (თუმცა ზოგიერთი მკვლევარი, მაგალითად, ი. ორბელი მიიჩნევს, რომ დვინის ჭიშკრის სახელწოდება მცდარია და დვინისკენ მიმართული კარიბჭე სამხრეთით, ახურიანის მხარეს უნდა ყოფილიყო განლაგებული).⁴⁷ ამ კარიბჭეს ასევე ზოგჯერ უწოდებენ ერევნის, ან „ჭადრაკულ“ კარიბჭეს. ეს უკანასკნელი სახელ-

წოდება კარიბტეს კონტრასტული ფერის, შავი და წითელი ქვების ორნამენტული წყობით ამოყვანილი კედლების გამო დაერქვა. იყო, აგრეთვე, ორი რიგითი კარიბტეც: იგაძორის და გაილაძორის (სურ. 23).

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს კარიბტეთა მოწყობის ძალზე გონებასამხვილური ხერხი, რომელიც საკმაოდ ხშირად გამოიყენება შუა საუკუნეების სათავდაცვო არქიტექტურაში: ორმაგი კარიბტეების გარეთა და შიგა კარები განლაგებულია არა იმავე სწორ ღერძზე, არამედ ასიმეტრიულად აცდენილ ღერძებზე, მათ შორის კი პატარა ეზო-მახეებია მოწყობილი. ამის გამო მტრისთვის ძალზე რთული იყო მეორე, შიგნითა კარიბტეზე შეტევა, რადგანაც პირველი კარიბტის გადალახვის შემთხვევაში იგი მძლავრი კედლის ან კოშკის წინ აღმოჩნდებოდა, საიდანაც ქალაქის დამცველთა მიერ უკვე ადვილი იყო მტრის მოგერიება. გარდა ამისა, სტეფანოს ტარონაცის ცნობით, თვით ეს კარიბტეები ძალზე მტკიცე იყო, რადგანაც მათი კარები მზადდებოდა კედარის მსხვილი მორებისაგან, რომლებზეც ორივე მხრიდან რკინის სქელი ფურცლები იყო აკრული.⁴⁸ ამას ადასტუ-

სურ. 26. რელიეფი ლომის გამოსახულებით. ჩიკაგოს უნივერსიტეტის აღმოსავლეთის ინსტიტუტის მუზეუმი



რებს ყარსის კარიბტესთან ჩატარებული არქეოლოგიური გათხრები, რომლის დროსაც სწორედ ასეთი ტიპის კარის ნაშთები აღმოჩნდა.⁴⁹

ქალაქის მთავარი კარიბტე ჩრდილოეთი კედლის შუა ნაწილში იყო განლაგებული. აქედან იწყებოდა მთავარი ქუჩა, რომელიც კვეთდა ახალი ქალაქის ტერიტორიას (სურ. 24). გარეთა კარის მიღმა განლაგებული იყო პატარა ეზო, შემდეგ – ორი მაღალი ნახევარწრიული კოშკით ფლანკირებული მეორე კარიბტე. შიგნითა კედლის მხრიდან მარჯვენა კოშკს მართკუთხა გეგმა აქვს. მარჯვნივ ეს კედელი შემკულია ლომის (ან ჯიქის) ჰორელიეფური გამოსახულებით, რომლის თავზე შავი რომბებით გამოყვანილია ჯვრის გამოსახულება (სურ. 25). არსებობს მოსაზრება, რომ იგი ქალაქის გერბს წარმოადგენდა.⁵⁰ სწორედ ამ რელიეფის გამო ეწოდა ამ კარიბტეს „ლომის“. ფიგურა მოძრაობაშია გამოსახული და ელევანტური, ტალღოვანი კონტური-

თაა შემოსაზღვრული. ერთი მხრივ, თავისი იკონოგრაფიული ნიშნებით იგი აღმოსავლური ხელოვნების სტილს მოგვაგონებს, მაგალითად, მას ბევრი რამ აქვს საერთო პერსეპოლისის ლომის აქემენიდურ რელიეფთან ჩიკაგოს აღმოსავლეთის ინსტიტუტის მუზეუმიდან (სურ. 26), ამასთან, მისი რბილი სილუეტი ერთგვარად მოგვაგონებს ლომის გამოსახულებას, რომელიც 1188 წელს გადანუსხულ და დასურათებულ ქართულ ხელნაწერში, ე.წ. ასტრონომიულ ტრაქტატშია ჩართული (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, MS A-65, ფოლ. 185r) (სურ. 26).⁵¹

ცხოველთა რეალური და ფანტასტიკური ფიგურების რელიეფური გამოსახულებები საკმაოდ უხვად ამკობს ანისის კედლებს. განსაკუთრებით საინტერესოა კედლის შიგნითა რიგის გამოსახულებები, რომლებიც ნაქალაქარის დავაკებული ნაწილისკენაა მიმართული. მათ შორის აღსანიშნავია ზემოთ უკვე აღნიშნული მაღალი რელიეფით შესრულებული ფრთაგაშლილი არწივის ფიგურა კლანჭებში მოქცეული კურდღლით, რომელიც მეორე და მეოთხე კოშკებს შორის მოქცეულ კედელზეა გამოსახული, ასევე გველებისა თუ დრაკონების ორი ფიგურა, რომლებიც ორმოცდამერვე კოშკზეა გამოსახული – მათი სხეულები წრიულად უვლის კოშკს, თავებს შორის კი ხარის თავია მოცემული. სამწუხაროდ, დღეს აღარ არსებობს მეფე სმბატის რელიეფური გამოსახულება, რომელსაც, აღწერილობის მიხედვით, ხელში ნაგებობის მოდელი ეპყრა.⁵² საინტერესოა დეკორატიულ აქცენტებს ქმნიდა, აგრეთვე, ნაკვეთი რელიეფებით დაფარული ცალკეული ქვები და კომპოზიციურად ძალზე გააზრებულად განლაგებული წარწერების ფორმები. კედლების შემკულობის მეტად მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს ფერადი ქვებით შესრულებული გამოსახულებები.

ამრიგად, ანისის სათავდაცვო სისტემა, რომელიც ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე იგებოდა და რომელმაც საბოლოო მასშტაბები და სახე საქართველოს სამეფოს მფლობელობისას მიიღო, გამოირჩეოდა არა მარტო თავისი მონუმენტურობით, მასშტაბურობით და კონსტრუქციული გადაწყვეტით, არამედ საგანგებოდ გააზრებული მხატვრული გადაწყვეტითაც – ამ მხრივ იგი ჰარმონიულად ესადაგებოდა ქალაქის არქიტექტურის მთლიან იერსახეს.

ანისის სათავდაცვო სისტემა და მისი ადგილი შუა საუკუნეების საფორტიფიკაციო არქიტექტურაში

როგორც უკვე აღინიშნა, ანისის საფორტიფიკაციო ნაგებობები უაღრესად მნიშვნელოვანია როგორც არქიტექტურული, საინჟინრო და ესთეტიკური თვალსაზრისით, ისე თავისი გრანდიოზული მასშტაბებით. გარდა ამისა, ანისი იმ იშვიათ ძეგლთა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებიც პრაქტიკულად უცვლელი სახით მოვიდა ჩვენამდე; ამიტომ მისი, როგორც აუთენტური ძეგლის, შედარება შუა საუკუნეების სხვა სათავდაცვო ნაგებობებთან, ბევრი საინტერესო საკითხის გაშუქების საშუალებას იძლევა.



სურ. 27. ლომი. ასტრონომიული ტრაქტატი, 1188 წ. ხეც, A-65, ფ. 185r



სურ. 28. კონსტანტინოპოლი, ქალაქის სათავდაცვო სისტემა, სქემა. წიგნიდან – Banduri 1729

მაგალითად, როდესაც განვიხილავთ შუა საუკუნეების სომხური ციხე-სიმაგრეების – ამბერდის, ტიგნისის, მალაზბერდის, კეჩივანის, ბაგნაირის, მრენის, ჰორომოსის და სხვათა გადაწყვეტას, მათ ფონზე განსაკუთრებით ნათლად იკვეთება არა მარტო ანისის არქიტექტურული თავისებურებები, არამედ აგრეთვე მისი ადგილი სომხური სათავდაცვო არქიტექტურის განვითარების გზაზე.

ამთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ თუკი ანისის აშოტისეული სათავდაცვო სისტემის გადაწყვეტას ბევრი რამ აქვს საერთო ადრეული სომხური ციხე-სიმაგრეების აგების ადგილობრივ პრინციპებთან, ახალი ქალაქის შემომსაზღვრელი კედლები, რომელთა მშენებლობაც მეფე სმბატის ზეობისას დაიწყო და პრაქტიკულად ანისის შემდგომი არსებობის პერიოდში არ შეწყვეტილა, განვითარების გაცილებით უფრო მაღალ საფეხურზე მეტყველებს. იმ პერიოდის ნაგებობები ნათელყოფს, რომ აქ უკვე საქმე გვაქვს იმდროინდელი მსოფლიო გამოცდილების ათვისებასა და გაზიარებასთან. ამავე დროს, თავად ანისის ხუროთმოძღვართა მიღწევები აშკარად ვრცელდება რეგიონის საზღვრებს გარეთ და თავადაც ამდიდრებს სხვა ქვეყნების სათავდაცვო არქიტექტურას.

უპირველეს ყოვლისა, უპრიანი იქნება განვიხილოთ ის კავშირები, რომლებიც იკვეთება ბიზანტიის საფორტიფიკაციო არქიტექტურასთან. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ პირველ რიგში სწორედ ბიზანტიური არქიტექტურის თავისებურებებმა დიდად განსაზღვრა ანისის ახალი ქალაქის საფორტიფიკაციო სისტემის განვითარება.

ცნობილია, რომ ქალაქის გეოგრაფიული მდებარეობა და გარემო აშკარად განსაზღვრავს მის ურბანულ გეგმას და სათავდაცვო კომპლექსის სტრუქტურას: სამკუთხა ფორმის ველზე განლაგებულ ქალაქს ორი მხრიდან კლდეები იცავს და მხოლოდ მესამე, ჩრდილოეთის მხარე არის ერთადერთი, რომელიც მძლავრ ხელოვნურ ფორტიფიკაციებს საჭიროებს. ამ ამოცანის გადასაჭრელად საჭირო გახდა გრანდიოზული და სრულიად ახლებური სამხედრო-საინჟინერო სამუშაოები, სადაც პირველად იყო გათვალისწინებული არა მარტო ნოვატორული სამშენებლო ტექნოლოგიები, არამედ აგრეთვე თანამედროვე სტრატეგიული მოთხოვნებიც – ახალი ფორტიფიკაციების კონსტრუქცია პროფესიული არმიის არსებობას ადასტურებს, რადგანაც აქ შექმნილია პირობები პროფესიონალი მეომრების საქმიანობისათვის. გარდა ამისა, ანისის ხუროთმოძღვრები აშკარად იცნობდნენ უცხოეთში შექმნილ საფორტიფიკაციო სისტემებს და საბოლოოდ აირჩიეს ფორტიფიკაციის ის ტიპი, რომელიც 413-440 წლებში იქნა გამოყენებული კონსტანტინოპოლში თეოდოსიოს II-ის მიერ. ბიზანტიის იმპერიაში ამ კედლებს ხუთი საუკუნის შემდეგაც კი არ მოეძებნებოდა შესატყვისი. ანისში ისევე, როგორც კონსტანტინოპოლში, სათავდაცვო სისტემა ეფუძნებოდა კედლების ორმაგ წყებას – უფრო დაბალ გარეთა და უფრო მაღალ შიგნითა კედლებს – რაც უზრუნველყოფდა როგორც თავდაცვის, ასევე თავდასხმის შესაძლებლობებს (სურ. 28 და 29).⁵³

ბიზანტიაში მართლაც არსებობდა სათავდაცვო არქიტექტურის ძველი, ჯერ კიდევ ანტიკური პერიოდიდან მომდინარე ტრადი-



სურ. 29. კონსტანტინოპოლის კედლები

ცია. ეს ეხება როგორც ამ საქმის პრაქტიკას, ისე თეორიასაც – მათთვის ცნობილი იყო ამ საკითხზე შექმნილი რომაული ტრაქტატები, მაგალითად, ვიტრუვიუსის⁵⁴ და ვეგეციუსის⁵⁵ შრომები; ამავე თემას ავითარებდა ფილონ ბიზანტიელის და ანონიმი ბიზანტიელის⁵⁶ (მეცნიერთა ნაწილი მას ჰერონ ბიზანტიელად მოიხსენიებს) ტრაქტატები. მეტად მნიშვნელოვანი ნაშრომია, აგრეთვე, პროკოპი კესარიელის „ნაგებობების შესახებ“.⁵⁷ აღსანიშნავია, რომ ბიზანტიის ისტორიის შუა და გვიანდელ პერიოდებში ტერმინი „ციხე-სიმაგრე“ გაიგივებული იყო ზოგადად ქალაქის ცნებასთან, რაც სათავდაცვო არქიტექტურის მნიშვნელოვნებაზე მიგვითითებს.⁵⁸

ბიზანტიურ სათავდაცვო არქიტექტურაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ციხე-სიმაგრეების განლაგებას, შესაფერისი, ბუნებრივად დაცული გარემოს შერჩევას, რომელიც დიდად განსაზღვრავდა ნაგებობის თავდაცვისუნარიანობას და ეფექტიანობას, ასევე მის კონკრეტულ ფორმას, ზომასა და კონსტრუქციას. „ფაქტორი, რომელიც მნიშვნელოვანწილად განაპირობებდა ბიზანტიური ქალაქების ფორტიფიკაციათა არქიტექტურულ განვითარებას და, თავის მხრივ, მათ ესთეტიკურ და ვიზუალურ მხარეს, პრინციპში, არის მათი ბუნებრივი განლაგება“.⁵⁹

ბიზანტიური საფორტიფიკაციო ნაგებობის თავდაცვისუნარიანობის უმთავრეს ფაქტორს წარმოადგენდა თავად კედელი, მისი

სტრუქტურა, კონსტრუქცია, მშენებლობის ტექნიკები და ტექნოლოგიები (სურ. 30).⁶⁰

პრაქტიკული თვალსაზრისით ძალზე მნიშვნელოვანი იყო კედლის სისქე. მისი იდეალური ზომა, ანონიმი ავტორის მიხედვით, დაახლოებით 2,5 მეტრია, თუმცა კონსტანტინოპოლის კედლები, მაგალითად, 5 მეტრი სისქისაა. რეალურად სხვადასხვა ციხე-სიმაგრეებში იგი ყოველთვის განსხვავებულია, რადგანაც ამ საკითხში გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა კონკრეტულ პირობებს: შენობის განლაგებას, გარემოს, მისადგომებს და ა.შ.

კედლის თავზე განთავსებული იყო საბრძოლო დერეფანი, რომლის სიგანე ისე იყო გათვლილი, რომ ორ მეომარს ერთმანეთისთვის გვერდის ავლის საშუალება ჰქონოდა. გარეთა მხრიდან კედლის ამ დამცველებს ადამიანის სიმაღლეზე ცოტა დაბალი პარაპეტი იფარავდა.

ბიზანტიურ ციხე-სიმაგრეებს ხშირად ორმაგი კედელი ჰქონდა გარშემორტყმული. გარეთა, დამატებითი კედელი, ანუ პროტეიხიზმა, კონსტრუქციის მხრივ, პრინციპულად არ განსხვავდებოდა ძირითადი კედლისაგან; მაგრამ იმისთვის, რომ მოსახერხებელი ყოფილიყო მისი დაცვა ძირითადი კედლის გარნიზონის მიერ, იგი ამ უკანასკნელზე ორჯერ დაბალი უნდა ყოფილიყო. ასეთ გადაწყვეტას ვხვდებით სწორედ კონსტანტინოპოლის საფორტიფიკაციო კომპლექსში: შიგა კედელი 20 მეტრის სიმაღლისაა, პროტეიხიზმა, შესაბამისად, 10 მეტრისა. ეს ელემენტი – პროტეიხიზმა – გვხვდება, მაგალითად, ბულგარეთისა და ყირიმის ტერიტორიებზე აგებულ ბიზანტიურ ციხე-სიმაგრეებშიც, ასევე გაგრის ციხე-სიმაგრესა და არქეოპოლისშიც.⁶¹

ბიზანტიურ ციხე-სიმაგრეში შიგა და გარე კედლები ერთმანეთისაგან რამდენიმე მეტრის დაშორებით უნდა ყოფილიყო განლაგებული (კონსტანტინოპოლში იგი 15 მეტრს აღწევს). ამ ელემენტს, ანუ პერიბოლს, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ვინაიდან პროტეიხიზმის შტურმის შედეგად აქ მოხვედრილი მტრის მეომარი თავად ხდებოდა თავდასხმის ობიექტი.⁶²

სიმაგრეთა როგორც შიგა, ისე გარე კედლებში ჩაშენებული იყო გოდოლები. ისინი არამართო ამყარებდნენ კედლის სტრუქტურას, არამედ დიდ როლს ასრულებდნენ როგორც თავდაცვის, ისე თავდასხმის დროს: გოდოლებში რამდენიმე სართულად განლაგებული იყო გარნიზონის ოთახები და მეომრებს საშუალება ჰქონდათ, ღიობებიდან ისრები დაეშინათ მტრისთვის. გარდა ამისა, კედლის სიბრტყიდან საკმაოდ შორს გამოწეული გოდოლები ხელს უშლიდა მტრის საომარ მანქანებს, უშუალოდ მიახლოებულიყვნენ ციხე-სიმაგრის კედლებს.

კოშკებს გააჩნდათ კიდევ ერთი, სტრატეგიულად მეტად მნიშვნელოვანი, ფუნქცია: სწორედ იქ იყო მოწყობილი ციხის კარიბჭეები – ან თავად კოშკში, ან ორ კოშკს შორის. შტურმის დროს მტრის ძირითადი დარტყმა, სავარაუდოდ, სწორედ აქეთ უნდა ყოფილიყო მიმართული. ასეთ დროს კარიბჭის კოშკში განთავსება თავდაცვის გაცილებით უმჯობეს საშუალებას იძლევა, ვიდრე მაშინ, როცა იგი უშუალოდ კედელშია განლაგებული.



სურ. 30. ილანკალეს ციხე-სიმაგრე

ცენტრალური კარიბჭეების გარდა, არსებობდა, აგრეთვე, მცირე ჭიშკრები, ანუ პოტერნები. ისინი ძირითადად უფრო შეუმჩნეველ ადგილებზე, ცენტრალური გზებისაგან მოშორებით იყო ხოლმე განლაგებული და კოშკის ან კედლის შვერილით ინიღბებოდა. ასეთ მცირე შესასვლელებს საკმაოდ მნიშვნელოვანი როლი ენიჭებოდა: საომარი მოქმედებების დროს აქედან შესაძლებელი იყო მოულოდნელი შეტევების განხორციელება ან მოსახლეობის გახიზნვა.

სათავდაცვო სისტემაში თავისი ადგილი ჰქონდა აგრეთვე თხრილებსაც, რომლებიც ზოგ შემთხვევაში გარს უვლიდა ციხე-სიმაგრის კედლებს.

ბიზანტიური ციხე-სიმაგრეებისთვის დამახასიათებელი ის თავისებურებები, რომლებიც აქამდე იყო აღწერილი, ფაქტობრივად სრულიად ემთხვევა ანისის საფორტიფიკაციო სისტემისთვის დამახასიათებელ ნიშნებს, რაც ადასტურებს ფრატადოკისა და სხვა მკვლევართა მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს. უნდა აღინიშნოს, აგრეთვე, მნიშვნელოვანი არქიტექტურული და საინჟინრო თავისებურებებიც, რომლებიც განასხვავებს ანისის სათავდაცვო არქიტექტურის კონსტრუქციასა და იერსახეს ბიზანტიურისაგან.

უპირველეს ყოვლისა, ნიშნულია კოშკების ფორმათა განსხვავებული ხასიათი: თუ ანისის კოშკები უმეტესწილად მომრგვალებული ან ნალისებური ფორმისაა (იშვიათად, თუმცა მაინც გვხვდება მართკუთხა), ბიზანტიური კოშკები ძირითადად სწორედ მართკუთხა მოხაზულობისაა, მიუხედავად იმისა, რომ სწორედ ბიზანტიურ ტრაქტატებში საკმაოდ დამაჯერებლად აღწერილი მსგავსი კონსტრუქციის ნაკლოვანებები: ასეთ შემთხვევაში გაცილებით მცირედ-

ბა დამიზნებით სროლის არეალი; გარდა ამისა, კუთხეები პირველ რიგში ზიანდება საბრძოლო მანქანების დარტყმებისაგან. ამიტომ ზემოაღნიშნულ თეორიულ ნაშრომებში უპირატესობა ენიჭება კომპლექსის მრგვალ, ნალისებურ, სამკუთხა ან ხუთკუთხა ფორმებს (ასეთი ფორმებია გამოყენებული კონსტანტინოპოლის კოშკების გადაწყვეტილს); მაგრამ პრაქტიკაში, ანისისაგან განსხვავებით, მართკუთხა ფორმა ბიზანტიაში მაინც უფრო გავრცელებულია.⁶³

სხვაობა საჩინოა, აგრეთვე, სამშენებლო ტექნოლოგიებშიც, რომლებიც, საბოლოო ჯამში, დიდად განსაზღვრავს შენობათა როგორც კონსტრუქციულ, ისე ესთეტიკურ თავისებურებებსაც. ბიზანტიაში გამოიყენებოდა ქვის რამდენიმე ტიპის წყობა, მათ შორის ყველაზე გავრცელებული იყო ე.წ. ემპლექტონი, ანუ სამფენოვანი კონსტრუქცია, სადაც პირის მხარეს წყობა გათლილი ბლოკებისაგან შედგებოდა, შიგა მხარე – ნატეხი, უხეშად გათლილი ქვებისაგან, ხოლო სივრცე მათ შორის ივსებოდა ე.წ. ყორებეტონით – სხვადასხვა ზომის ნატეხებით და მინარევებიანი კირხსნარით. მინარევისთვის ყველაზე ხშირად გამოიყენებოდა ქვისა და აგურის ან კერამიკის ნაფხვენი. ზოგჯერ მიმართავდნენ აგრეთვე ქვისა და აგურის შერეულ წყობასაც. ხანდახან ბიზანტიელი ოსტატები, მჭიდრი ნივთიერების გარდა, ბლოკების შესაერთებლად ლითონის ღეროებს – პირონებსაც იყენებდნენ.⁶⁴

წინა თავებში აღწერილი ტექნოლოგია, რომელიც გვხვდება ანისში, პრინციპულად ემპლექტონის მსგავსია; მაგრამ ვინაიდან იქ კედლის ორივე პირი იდეალურად გათლილი ქვის კვადრებით იყო ამოყვანილი, ვიზუალური შთაბეჭდილება ორივე შემთხვევაში სრულიად სხვადასხვაგვარია: ანისის ტუფის კედლების გლუვი ზედაპირი, თავისი კონტრასტული ფერადოვანი ეფექტებით და რელიეფური შემკულობით უაღრესად უჩვეულოა და განსაკუთრებული, მჟღერი დეკორატიულობის ეფექტს ახდენს, რაც მასიურ, მონუმენტურ ფორმებთან ერთად, სრულიად უნიკალურ და თვითმყოფად ფენომენს ქმნის.

ანისის საფორტიფიკაციო ნაგებობების არქიტექტურული ტიპი, რომელიც დიდწილად მრავალასწლოვანი და მდიდარი ბიზანტიური გამოცდილების ათვისების საფუძველზეა შექმნილი (ბიზანტიური კი, თავის მხრივ, ანტიკური ცივილიზაციის ხუროთმოძღვრული მიღწევების ბაზისს ეყრდნობა), თავისებურ მხატვრულ და ტექნიკურ გადაწყვეტას გვთავაზობს. ამავე დროს, ანისის სათავდაცვო არქიტექტურის მიღწევები სერიოზულ გავლენას ახდენს მეზობელი ქვეყნების საფორტიფიკაციო არქიტექტურაზე, რომელიც განსაკუთრებით ფართოდ ვრცელდება კილიკიის სამეფოს ჩამოყალიბებასთან ერთად.⁶⁵

XI საუკუნის მეორე ნახევრიდან კილიკიაში, ბიზანტიის ძალაუფლების ქვეშ მყოფ ქვეყანაში, ინტენსიურად დაიწყო დასახლება თურქებისა და სპარსელებისაგან დევნილმა სომხებმა. მალე იქ ჩამოყალიბდა ე.წ. „მცირე სომხეთი“ – დამოუკიდებელი სამეფო, რომელსაც 1199 წლიდან განაგებდა ლევონ I (1199-1219 წწ.).⁶⁶

ტომაზო ბრეჩია ფრატადოკი ყურადღებას ამახვილებს იმ გა-

რემოებაზე, რომ ისტორიული და გეოგრაფიული ფაქტორი ძლიერ გავლენას ახდენდა კილიკიის სათავდაცვო არქიტექტურის თავისებურებათა ჩამოყალიბებაზე. დროთა განმავლობაში აქ ერთმანეთს ცვლიდა ბიზანტიური, არაბული, შორეული აღმოსავლეთის და ლათინთა კულტურები; ეს უკანასკნელები რეგიონში ჯვაროსნული ლაშქრობების დროს გამოჩნდნენ. ვინაიდან ზოგი ციხე-სიმაგრე აგებულია სხვადასხვა ეროვნული ტრადიციის შესაბამისად, მათი მშენებლობის ტექნიკების და არქიტექტურული ტიპის მიკუთვნება რომელიმე ერთი კონკრეტული არქიტექტურული ტრადიციისადმი ზოგჯერ რთულია. იცვლებოდნენ ციხეთა მფლობელები და ყოველი მათგანი იწყებდა არსებული სტრუქტურების შეკეთებასა და გადაკეთებას საკუთარი მოთხოვნილებების და სამშენებლო ტრადიციების შესაბამისად, რაც, ბუნებრივია, საბოლოო ჯამში საკმაოდ ცვლიდა ნაგებობის იერსახეს. დღეს ზოგიერთი ციხე-სიმაგრის წარმოშობის გარკვევა მხოლოდ ისტორიულ-საარქივო გამოკვლევების საფუძველზეა შესაძლებელი.⁶⁷ ამის მაგალითები შეიძლება ავრეთვე ვიხილოთ ა. ვ. ლოურენსის კვლევაში „ბაგრასის ციხე-სიმაგრე“.⁶⁸

კილიკია ისევე, როგორც ანისი, რამდენიმე კულტურის გზაჯვარედინს წარმოადგენდა. ერთი მხრივ, ამჟამად ეს მომენტი ერთგვარად ართულებს კონკრეტული ძეგლების ანალიზს, მათი წარმომავლობის და განვითარების გზის დადგენას, მაგრამ თავის დროზე კილიკიის ეთნიკური და კულტურული მრავალფეროვნება საშუალებას აძლევდა არქიტექტორებს, გაცნობოდნენ ახალ მიღწევებს და გაეცრცელებინათ საკუთარი ცოდნა და ტრადიციები თავიანთი ვიწრო-ეროვნული წრის ფარგლებს გარეთ.

კილიკიაში არ იყო დედაქალაქი, სამაგიეროდ იყო ციხე-ქალაქები – ლამპრონი, სავრანდა, ვაჰგა, ანავარზა, კანდირი, სისი და სხვ.

კილიკიის ციხე-სიმაგრეების სიღრმისეული შესწავლა, მათი დათარიღება და კულტურული კუთვნილების გარკვევა შესაძლებელი გახდა რ. ვ. ედვარდსის კვლევების საფუძველზე.⁶⁹ მის ნაშრომებში განხილულია ოცი ძეგლი. სომხურ კილიკიურ ციხე-სიმაგრეებს ახასიათებს გააზრებული განლაგება ამაღლებულ და მიუდგომელ არეებზე, არარეგულარული გეგმა, რომელიც ზუსტად შეესაბამება გარემოს ხასიათს, ქვემოთკენ გაფართოვებული კედლები მომრგვალებული კუთხეებით და მრგვალი ან ნალისებური გეგმის მქონე კოშკები, რომლებიც საკმაოდაა წინ წამოწეული კედლის სიბრტყიდან. კედლების ზედა ნაწილებში აგებულია პარაპეტები მომრგვალებული ქონგურებით ანუ მერლონებით. კარიბჭე ერთმანეთის უკან განლაგებული ორი შესასვლელისაგან შედგება, რომელთა შორის პატარა ეზო-„ხაფანგია“ განლაგებული. მის თავზე გარნიზონის ოთახია, საიდანაც შესასვლელის კონტროლი და დაცვაა შესაძლებელი.⁷⁰

კილიკიის ციხე-სიმაგრეთათვის დამახასიათებელი ეს თვისებები აშკარად მეტყველებს მათ კავშირზე ანისის სათავდაცვო არქიტექტურასთან. ასევე ფაქტობრივად იგივეა სამშენებლო ტექნიკაც; განსხვავდება მხოლოდ კედლის მოპირკეთების და დეკორირების ხარისხი და მისი მხატვრული გადაწყვეტა. თუმცა კილიკიის სათავდაცვო არქიტექტურაში გვხვდება კონკრეტული საინჟინრო ელემენტ-

31. ანისის ნაქალაქარი.
ხედი ჩრდილოეთიდან.
დ. ერმაკოვის ფოტოკოლექცია





ტების მეტი მრავალფეროვნება, მაგალითად, აქ ხშირად გამოიყენება მაშინკულები.

კილიკიის თავისებური გეოგრაფიული, ისტორიული და ეთნოკონფესიური გარემო, მისი არაერთგვაროვნება და მრავლისმომცველობა ინტენსიური კულტურული ურთიერთობების დამყარების საშუალებას იძლეოდა სხვადასხვა რეგიონებთან. აქედან გამომდინარე, ანისის არქიტექტორთა მიღწევები, რომლებიც საფუძვლად დაედო კილიკიურ სათავდაცვო არქიტექტურას, ცნობილი ხდება უცხოელი მშენებლებისთვისაც და ფართოდ ვრცელდება ხმელთაშუაზღვისპირეთის გარკვეულ არეალში.⁷¹

როგორც ვხედავთ, სათავდაცვო არქიტექტურის ის სამშენებლო ტრადიციები, რომლებიც არსებობდა ევროპაში და რომლებიც კარგად იყო ნაცნობი ჯვაროსნებისთვის, მოიცავდა როგორც აღმოსავლური არქიტექტურის მსგავს, ისე განმასხვავებელ ნიშნებს. მაგრამ „როდესაც ჯვაროსნებმა მიაღწიეს ბიზანტიის იმპერიას და ახლო აღმოსავლეთის ისლამურ სახელმწიფოებს, მათ პირისპირ იხილეს ყველაზე მასიური, რთული და ძვირადღირებული საფორტიფიკაციო ნაგებობები, რომლებიც კი არსებობდა ჩინეთის საზღვრებს გარეთ. ამ პერიოდში დასავლეთეუროპელი ჯვაროსნები თავდამსხმელების როლში იყვნენ და მათ ძალიან იშვიათად თუ სჭირდებოდათ მძლავრი სათავდაცვო ნაგებობების შექმნა. თუმცა, როგორც კი მათ ჩამოაყალიბეს ჯვაროსანთა სახელმწიფოები, მაშინვე ხელი მოჰკიდეს მშენებლობას და განიცადეს იმ სათავდაცვო არქიტექტურის გავლენა, რომელსაც გარშემო ხედავდნენ“.⁷²

ყოველივე ამის საფუძველზე კილიკიაში ძალზე საინტერესო პროცესები წარიმართა: საკმაოდ დაშორებული რეგიონების ფრიად განსხვავებული კულტურების წარმომადგენლებს საშუალება მიეცათ, პრაქტიკულად გაცნობოდნენ ერთმანეთის არქიტექტურას, აეთვისებინათ იგი და საკუთარი მიზნებისთვის გამოეყენებინათ მისი ზოგიერთი ელემენტი. იმის შესაბამისად, თუ კონკრეტულად სად და ვის გარემოცვაში ჩამოყალიბდა ეს ჯვაროსნული სახელმწიფოები, მათი საკუთარი ხუროთმოძღვრებაც თავისებურ იერ-სახეს იღებდა. „მაგალითად, ანტიოქიის სამთავრო დაკავშირებული იყო კილიკიის სომხურ სახელმწიფოებთან, რომლებიც ჩამოყალიბდა კილიკიის სამეფოდ, ანუ მცირე სომხეთად. აქ სათავდაცვო ნაგებობები მოიცავდა მრავალგვარ ფორმებს, დაწყებული მთაზე განლაგებული მცირე საგუშაგოებიდან გარნიზონის მთავარ ციხე-სიმაგრემდე, მაშინ როდესაც სომეხი არქიტექტორები ამჯობინებდნენ ნახევარწრიულ კოშკებს, რომლებიც იმდენად იყო გამოწეული კედლიდან, რომ მოისრეებისათვის მტერზე შეტევის მიტანის საშუალება ჰქონოდათ. ამ იდეებმა გავლენა იქონია ციხე-სიმაგრეების მშენებლობაზე ანტიოქიის სამთავროში. ვინაიდან ანტიოქია არ იყო მიმზიდველი დასავლეთიდან ჩამოსახლებული მრავალრიცხოვანი მოსახლეობისთვის, იგი ძლიერ იყო დამოკიდებული სომხური, ბერძნული და სირიული წარმოშობის სამხედრო არისტოკრატიაზე, რომელსაც ასევე შეეძლო გავლენა მოეხდინა ადგილობრივი სათავდაცვო ნაგებობების გადაწყვეტაზე“.⁷³

ანტიოქიის სამთავროს და ტრიპოლის საგრაფოს არქიტექტურაში ვხედავთ თამამი ექსპერიმენტული იდეების გაჩენას, რასაც ხელს უწყობდა სხვადასხვა საამშენებლო ტრადიციების გაცნობა და საკუთარი მიზნებისათვის გამოყენება. ზოგჯერ საამშენებლო ტექნიკები შეიცავს სუფთა ბიზანტიურ ხერხებს, როგორცაა, მაგალითად, ქვის და აგურის შერეული წყობის გამოყენება, ზოგჯერ კი ვხვდებით სხვადასხვა ხერხების გაერთიანებას, რომლებიც დამახასიათებელია ბიზანტიური, სომხური, დასავლეთევროპული, შემდეგ კიდევ სირიულ-ისლამური ტრადიციებისათვის, რომელთაგან ყოველს საკუთარი თვისებები ჰქონდა. ზოგჯერ განსხვავებული კულტურული გავლენების თვალის მიდევნება შეიძლება აგრეთვე მასალებზე, მაგალითად, ცემენტის ან კირის შეზავების სხვადასხვა ხერხებზე დაკვირვებითაც.

ვ. მიულერ-ვიენერი თავის მონოგრაფიაში „ჯვაროსნების ციხე-სიმაგრეები წმინდა მიწაზე“⁷⁴ წერს კილიკიის სათავდაცვო არქიტექტურის თავისებურებათა შესახებ: „მცირე სომხეთის ციხე-სიმაგრეები ბევრი საფორტიფიკაციო დეტალით განსხვავდება ფრანკებისა და არაბების იმდროინდელი სათავდაცვო კომპლექსებისაგან. კედლის სტრუქტურა პრაქტიკულად ერთნაირია, თუ ყურადღებას არ მივაქცევთ წყობის ვარიაციებს და ქვის დამუშავების გულმოდგინებას, რასაც ადგილობრივი მასალები განაპირობებდა, მაგრამ მათ შორის არსებობს დიდი განსხვავება კოშკების ფორმებისა და განლაგების მხრივ. ფრანკებისა და არაბების ციხე-სიმაგრეებში საზოგადოდ მიღებული კოშკებისა და ბასტიონების მართკუთხა ფორმის მაგივრად, სომეხი მშენებლები (შესაძლოა, ბიზანტიური ტრადიციების გავლენით), არჩევენ ნახევარწრიულ, ხშირად ძლიერად წინ გამოწეულ კოშკებს, რათა იქიდან გრძივი მიმართულების ცეცხლით შესაძლებელი ყოფილიყო კედლებისა და მტრისთვის მისაწვდომი სხვა წერტილების დაცვა. მძლავრი დონუონი, კოშკი ციხე-სიმაგრის შიგნით, ფრანკთა ფორტიფიკაციების გავრცელებული ნიშანი, სომხურ ციხე-სიმაგრეებში უაღრესად იშვიათად გვხვდება“.⁷⁵

XII საუკუნის ჯვაროსნული არქიტექტურა მეტყველებს იმაზე, რომ ევროპელებმა აშკარად ბევრი რამ აითვისეს ადგილობრივი ოსტატებისაგან, რომლებიც დიდი ხანია, დახელოვნებულები იყვნენ ქვის მოპოვებაში, დამუშავებასა და მისგან უზადო წყობის შექმნაში, ქვის თალების, კამარების, გუმბათებისა და სხვა ურთულესი სტრუქტურების მშენებლობაში.

ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ანისის, როგორც კულტურათა გზაჯვარედინის ფუნქცია, სადაც ერთმანეთს შეერწყა სომხური, ქართული, ბიზანტიური და თურქული კულტურებისთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები, ნაწილობრივ კვლავ იჩენს თავს კილიკიის სათავდაცვო არქიტექტურაში, სადაც ასევე ვხედავთ უაღრესად საინტერესო კულტურათაშორის კავშირებსა და ურთიერთგავლენებს და სადაც ნათლად იკვეთება ორი მანამდე სრულიად ერთმანეთისთვის უცნობი სამყაროს – აღმოსავლეთისა და დასავლეთის გაცნობისა და ურთიერთგამდიდრების ტენდენციები (სურ. 31).

შენიშვნები

- 1 Ani. World Heritage Nomination file 2015: 2.
- 2 Арутюнян 1964: 13.
- 3 Манандян 1943: 48-49.
- 4 Ani. World Heritage Nomination file 2015
- 5 Breccia Fratadocchi 1997: 66.
- 6 Арутюнян 1964: 21.
- 7 Чубинашвили Г. 1970: 105.
- 8 Комеч 1987: <http://architecture.artyx.ru/books/item/f00/s00/z0000007/st002.shtml>
- 9 Арутюнян 1964: 22.
- 10 <http://virtualani.org/citadel/index.htm>
- 11 <http://virtualani.org/citadel/index.htm>
- 12 Мapp 1898: 221.
- 13 იქვე, 222.
- 14 Thierry J.-M. 1980: 286.
- 15 <http://virtualani.org/citadel/index.htm>
- 16 კარგადაა ცნობილი სამშენებლო ხერხი, რომლის დროსაც ქვის ორი დიდი ბლოკი ერთმანეთთან ტყვიაში ჩასმული რკინის ე.წ. „მერცხლის კუდის“ ფორმის სამაგრებით იყო დაკავშირებული. ასეთ ტექნოლოგიას არშაკუნიანთა მმართველობის პერიოდის ნაგებობებში (I-IV სს.) იყენებდნენ. შესაძლოა, ეს ბლოკები ოდესღაც აღებული იყო ზოროასტრიული „ცეცხლის ტაძრიდან“, ან იმავე პერიოდის რომელიმე სხვა ნაგებობიდან (<http://virtualani.org/citadel/index.htm>).
- 17 Орбели 19106: 4.
- 18 ნაქალაქარის გეგმაზე, რომელიც ნ. მარის წიგნშია გამოქვეყნებული, აღნიშნულია შვიდი კოშკი. უკანასკნელი, კედლის უკიდურეს დასავლეთ ნაწილში განლაგებული კოშკის ფორმა გაურკვეველია, შესაძლოა იმიტომ, რომ ის არ ყოფილა გაწმენდილი და შესწავლილი. ამავე დროს, მარი აღნიშნავს, რომ კედელს ექვსი კოშკი ჰქონდა.
- 19 Орбели 19106: 4.
- 20 Арутюнян 1964: 41.
- 21 იქვე, 42.
- 22 Edwards 1982: 170-171.
- 23 Breccia Fratadocchi 1997: 70.
- 24 Арутюнян 1964: 42.
- 25 **Թირასანյან** 1942: 334.
- 26 Dangles 2012: 190.
- 27 Мapp 1934: 155.
- 28 **Թირასანյან** 1942: 345.
- 29 ცნობები ამის თაობაზე მოიპოვება ფილიპ დანგლის ნარკვევში, სადაც წარმოდგენილია 1998-2004 წლებში ჯერ ნიკოლა ფუმეს, შემდეგ კი ჟან-პიერ მანს ხელმძღვანელობით ფრანგული არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ ანისის ნაქალაქარზე განხორციელებული სამუშაოების ამსახველი მასალები (Dangles 2012).
- 30 Mahé et al. 1999: 740.
- 31 იქვე, 741.
- 32 იქვე, 742.
- 33 Niewöhner 2010: 248.
- 34 Webber 1938: 99.
- 35 **Պետրიუს** 2012: 300.
- 36 Rhoby 2016: 364.
- 37 Орбели 19106: 21-22.
- 38 Mahé et al. 1999: 741.
- 39 იხ. ტ. III, თავი II.
- 40 იხ. ტ. III, თავი II.
- 41 Орбели 1921: 115-116.
- 42 Орбели 19106: 19-20.
- 43 Мapp 1934: 172.
- 44 Арутюнян 1964: 43.
- 45 Breccia Fratadocchi 1997: 70.
- 46 Мapp 1934: 50-51.
- 47 Орбели 19106: 22.
- 48 Арутюнян 1964: 44.
- 49 Орбели 1911: 39.
- 50 Орбели 19106: 21-22.
- 51 Алибегашвили 1973: ტაბ. 43.
- 52 Мapp 1934: 172.
- 53 Breccia Fratadocchi 1997: 70.
- 54 Vitruvius 1914.
- 55 Vegetius 2011.
- 56 Sullivan 2000.

- 57 Procopius 1940.
- 58 Müller-Wiener 1986: 435-475.
- 59 Foss, Winfield 1986: 15-17.
- 60 Мπακρτζής 2012: 139-158.
- 61 Манаев 2005: 122.
- 62 Turnbull 2004: 12-15.
- 63 Манаев 2005: 123.
- 64 იქვე, 122.
- 65 Lang 1970.
- 66 Robinson, Huges 1969: 183-187
- 67 Breccia Fratadocchi 1997: 71.
- 68 Lawrence 1978: 38-48.
- 69 Edwards 1982; Edwards 1987.
- 70 Pringle 2005: 215.
- 71 Lang 1970.
- 72 Nicoll 2004: 5.
- 73 იქვე, 9.
- 74 Müller-Wiener 1966.
- 75 Müller-Wiener 1966; http://www.xliby.ru/istorija/istorija_krestovyh_pohodov/p9.php





თავი VI

ანისის საეკლესიო ხუროთმოძღვრება
და ქართული მხატვრული ტრადიცია



ისი „1001 ეკლესიის ქალაქად“ დარჩა, თუმცა კი მისი საეკლესიო არქიტექტურა მხოლოდ ერთი ნაწილია იმ უმდიდრესი სამშენებლო მემკვიდრეობისა, რომელიც მოიცავს ციტადელს, გალავნებს, კოშკებს, კარიბჭეებს, ხიდებს, საგზაო სტრუქტურას, წყალგაყვანილობას, სასახლეებს, სახლებს, აბანოებს, სავაჭრო თუ სამეურნეო ნაგებობებს, სამონასტრო შენობებს, მეჩეთებსა და მინარეთებს, მიწისქვეშა ქალაქს მისი აკლდამების, საცხოვრებლებისა და გამოქვაბულების ქსელით, რეგიონის ამ ერთ-ერთ უნიშვნელოვანეს ცენტრში რომ შეიქმნა და ახლა კი მხოლოდ ნაქალაქარის შთამბეჭდავი ნანგრევების სახით შემორჩა (სურ. 1).

გეოპოლიტიკურმა მდებარეობამ და ისტორიამ განსაზღვრა ქალაქის არქიტექტურული სახის ჩამოყალიბება. სამხრეთი კავკასიისა და ანატოლიის გზაჯვარედინზე გაშენებული ქალაქი მუდამ საზრდოობდა იმ კულტურული მრავალფეროვნებით, რომელიც აქ მტერსა თუ მოყვარეს მოჰქონდა. ანისის სახელი განთქმული იყო იმდენად, რამდენადაც მასზე გადიოდა ეპოქის უმნიშვნელოვანესი სავაჭრო თუ სამხედრო გზები. ეს ქალაქი, საუკუნეთა განმავლობაში გადადიოდა ხელიდან ხელში და ადგილობრივი ფეოდალების, სომხური სამეფო ოჯახის, ქართული სამეფოს ვასალთა თუ უცხოთომეღთა და მუსლიმთა დაქვემდებარებაში ექცეოდა. ვითარდებოდა, ინგრეოდა და ხელახლა შენდებოდა ქალაქის მმართველთა სურვილებითა და გემოვნების შესაბამისად. ანისის არქიტექტურული სკოლაც ყოველთვის ითვისებდა თანამედროვე გემოვნებასა და სტილურ მიმართულებებს. ამასთან ერთად, ვის დაქვემდებარებაშიც არ უნდა ყოფილიყო ქალაქი, იგი ინარჩუნებდა საკუთარ იდენტობასა და თვითმყოფადობას, ამასთან ქმნიდა გამორჩეულ, უპირობოდ უმაღლესი რიგის ხელოვნებას, მისთვის დამახასიათებელი ქალაქური „არისტოკრატიული“ ანისის არქიტექტურული სკოლა¹ დაფუძნდა იმ სამშენებლო ტრადიციებზე, რომელიც რომაულ-სირიულ საფუძვლებზე იდგა და სომხეთისთვის ორგანული იყო. ქვა (ანისის შემთხვევაში ყოველთვის უზადოდ ნათალი ადგილობრივი რუხი ქვიშაქვაა, წყობა კი იდეალურად სუფთა), კედელი (ძლიერი კირის დულაბზე) და კარკასული თუ კამაროვანი გადახურვის ოსტატური ცოდნა რჩებოდა საფუძვლად, რომელმაც დროთა განმავლობაში ახალი ფორმები შეიძინა. საეკლესიო არქიტექტურისთვის ასევე ტრადიციული გეგმარების სახესხვაობები გამოიყენებოდა; კერძოდ,

სურ. 1. ანისი, ნაქალაქარის საერთო ხედი. აეროფოტო





დარბაზული ცალნავიანი ეკლესია (ციტადელის ეკლესია, „ქართული ეკლესია“), გარშემოსავლელიანი ტეტრაკონქი (გაგიკაშენი, რომელიც ზვართნოცი ზუსტი ანალოგი უნდა ყოფილიყო), ან მხოლოდ ტეტრაკონქი (თორმეტი მოციქულის ეკლესია), ჩაწერილი ჯვარი (კათედრალი), მრავალაფსიდიანი ეკლესია (აბულამრენცი, მაცხოვრის ეკლესია, ციტადელის გუმბათიანი ეკლესია და სხვ.). გუმბათიანი დარბაზი, ე.წ. კუპელჰალე (წმ. გრიგოლის ეკლესია, ქალწულთა ციხის ეკლესია, ბახტაგეკის წმ. გრიგოლის ეკლესია, მარმაშენის წმ. სტეფანოზის და ღმრთისმშობლის ეკლესიები და სხვ.) სიახლეს არ წარმოადგენდა, თუმცა ანელებმა მათ საფუძველზე ახალი პროპორციული აგებულების მოცულობები გამოძერწეს და დროის შესაბამისი სტილური მახასიათებლებით აღბეჭდეს. ანისურ საეკლესიო არქიტექტურაში ორგანულად იქნა დამკვიდრებული ისლამური ხელოვნების სტილისტიკა და დეკორატიული რეპერტუარი, რომელიც გეომეტრიულ ორნამენტში ზომორფულ გამოსახულებათა ჩართვასაც გულისხმობს.

ანისის არქიტექტურულ ტრადიციას აქვს ერთი მეტად გამორჩეული თვისება: ზღვარი საერო თუ რელიგიურ, მით უფრო, კონფესიურ კუთვნილებასთან აქ თითქოს უგულებელყოფილია. მაგალითისთვის, ქალაქის გალავანს საეკლესიო არქიტექტურის იერი აქვს, რასაც, უპირველესად, მისი ფასადების სამშენებლო ხარისხი და ჯვრებით შემკულობა განსაზღვრავს. მთელი რიგი ეკლესიებისა და ჟამატუნის ფასადების შემკულობა კი ისლამური რეპერტუარითაა გამდიდრებული, ან სულაც ისლამურ სტილზეა მოწყობილი. მინუჩეს მეჩეთის პირველად ფუნქციაზე კი მსჯელობა არ წყდება – გასარკვევია იგი მეჩეთად აიგო თუ საერო დანიშნულების დარბაზებად. მით უფრო, რთულია გარეგნულად, ერთი შეხედვით დაასკვნა – ესა თუ ის ეკლესია რომელი აღმსარებლობის მრევლისთვის აიგო ან დროთა განმავლობაში ვის მიერ გამოიყენებოდა, მონოფიიტებისთვის თუ დიოფიიტებისთვის; და, ყოველივე ამის ფონზე, სად და როგორ აღიბეჭდა ქართული სახელმწიფოს და ეკლესიის მფლობელობა ანისურ ხუროთმოძღვრებაში. წინამდებარე კვლევა სწორედ ამ კითხვებზე პასუხის გაცემის მცდელობაა.

საეკლესიო მშენებლობა ანისში არაბობის წინა პერიოდში უნდა იღებდეს სათავეს, როცა ის ჯერ მხოლოდ კამსარაკანების წარჩინებული გვარის გამაგრებულ ცენტრს წარმოადგენდა. ანისის, როგორც ქალაქის აღმშენებლობა ბაგრატუნებს, შემდეგ კი მხარგრძელებს უკავშირდება. აღნიშნული ნარკვევისთვის ჩვენ შევჩერდით მხოლოდ საეკლესიო არქიტექტურაზე. შერჩევა კი ერთი პრინციპით მოხდა. ჩვენ მიერ შესწავლილი ყველა ეკლესია, რომელიც სტილურად ანისური არქიტექტურის ტიპური ნიმუშებია, ან ფუნქციით ან ისტორიით უკავშირდება ანის-შირაკის ისტორიის გარკვეულ ეტაპს, სახელდობრ საქართველოს სახელმწიფოს და ეკლესიის მმართველობის პერიოდებს. ამასთან ერთად, ჩვენ შევეცადეთ, განგვეხილა ანისური არქიტექტურის ძეგლები როგორც სომხურ, ისე ქართულ და, ზოგადად, რეგიონალურ კონტექსტში.

„ქართული ეკლესია“

დღეს თითქმის მთლიანად განადგურებული „ქართული ეკლესია“ შორიდან ნანგრევის სახითაა მოჩანს. „ლომის კარიბჭის“ გავლით, ანისში მიმსვლელი, პირველად სწორედ ამ ტაძრისგან დარჩენილ ნაშთს იხილავს.

ნიშნულია ეკლესიის ადგილმდებარეობა შუა საუკუნეების ანისში.² სამკუთხა პლატოზე გაშლილ ქალაქს სამხრეთ – ჩრდილო-აღმოსავლეთიდან, ჩრდილოეთიდან და ჩრდილო-დასავლეთიდან შემოსდევს მასიური გალავანი, რომლის მშენებლობა ანისის ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე ხორციელდებოდა.³ ქალაქის ძველი ნაწილი – ციტადელი, ადგილობრივ მმართველთათვის განკუთვნილი, ბუნებრივად თუ ხელოვნურად დაცული არე, პლატოს სამხრეთ-დასავლეთით წამომართულ ბორცვზე მდებარეობს. იქ არსებული მცირე სიმაგრის გარშემო დაიწყო ქალაქმა განვითარება, როდესაც აშოტ III ბაგრატიონი (953–977 წწ.) დედაქალაქი 964 წელს ყარსიდან ანისში გადაიტანა და კედლებით შემოზღუდა. ქალაქის შემდგომი განვითარება და მისი მოქცევა მასშტაბური გალავნის ფარგლებში დაკავშირებულია სმბატ II ბაგრატიონის (977–989 წწ.) მოღვაწეობასთან – 979 წლიდან მოყოლებული, მან ქალაქს ჩრდილოეთიდან ორმაგი გალავანი შემოარტყა და რამდენიმე კარიბჭე ააგო.⁴ იმ დროიდან ქალაქის მთავარ შესასვლელად იქცა ე.წ. ლომის კარიბჭე: აქედან იწყებოდა ქალაქში გამავალი მთავარი ქუჩა, რომელიც ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით ციტადელამდე აღწევდა. სწორედ სმბატისეული კედლების საზღვრებში – მთავარი კარიბჭისა და ძირითადი ქუჩის არეალში აუგიათ „ქართული ეკლესია“. ეკლესიის დასავლეთით იდგა გაგიკ I-ის (989 – დაახლ. 1017/1020 წწ.) მიერ აგებული დიდი გუმბათიანი ტაძარი, ხოლო სამხრეთით, რამდენიმე ათეული მეტრის დაშორებით – „ცეცხლის ტაძარი“ (სურ. 1).

მკაცრი კლიმატის პირობებში, დამანგრეველი მიწისძვრების შედეგად, ნაქალაქარის ძეგლები, დროთა განმავლობაში, ზიანდებოდა. გასულ საუკუნეში ამას ემატებოდა ახლომდებარე სოფელ ანის (ყოფილი ოშაქლის) მკვიდრთა მიერ ნაქალაქარის ტერიტორიიდან დამუშავებული ქვებისა თუ კერამიკის გაზიდვა სამშენებლო მასალად გამოყენების მიზნით. ამის გამო, სოფლის მცხოვრებთა სახლების კედლებში ანისის არქიტექტურულ ძეგლთა არაერთი მნიშვნელოვანი ფრაგმენტის მოძიებაა შესაძლებელი.

ისტორიულ ქარტეხილებს ვერც „ქართული ეკლესია“ გადაურჩა; მეტიც – იგი გარკვეულწილად ამ ისტორიის თანაზიარად იქცა (სურ. 2 და 3).

* * *

ნაგებობის ყველაზე ადრეული აღწერილობა ეკუთვნის გერმანელ მოგზაურსა და გეოლოგს ჰერმან აბისს (1806–1888 წწ.). იგი ძეგლს „ღმრთისმშობლის ხარების ეკლესიად“ მოიხსენიებს. მასვე აქვს გამოქვეყნებული ტაძრის ინტერიერში, ჩრდილოეთ კედელზე შემორჩენილი *ღმრთისმშობლის ხარების* რელიეფის ჩანახატი, რომელიც

სურ. 2. ანისი, „ქართული ეკლესია“.
საერთო ხედი სამხრეთიდან







სურ. 3. „ქართული ეკლესია“, ინტერიერი.
ჩრდილოეთი კედელი

„ქართული ეკლესიის“ დღეისათვის ცნობილი, ყველაზე ადრეული ილუსტრაციაა. აბიხიეულ მოკლე აღწერილობაში ყურადღება გამახვილებულია ნაგებობის აღნაგობაზე, მისი ინტერიერის გადაწყვეტაზე, იმ მხატვრულ შთაბეჭდილებაზე, რომელიც „ფრიად სასიამოვნო და უბრალო სახის“ ნაგებობის ხილვისას ჩნდება. აღწერილობაში საუბარია ეკლესიის ორ მხარეს – სამხრეთით და ჩრდილოეთით – არსებულ მინაშენებზე, აგრეთვე დასაკრძალავ კრიპტაზე. ავტორი ყურადღებას ამახვილებს ეკლესიის ინტერიერის შემამაკობელ, მისი თქმით, „უხეშად დამუშავებულ“ ქანდაკებაზე. იგი ტაძარს მნიშვნელოვან ნაგებობად მიიჩნევს და მას „ანისის მარგალიტს“ უწოდებს.⁵

„ქართული ეკლესიის“ ყველაზე სრულყოფილი ილუსტრაცია აღმოჩნდა ბროსესეულ ანისის კატალოგში, სახელწოდებით „ეკლესიის ნანგრევი“. როგორც ცნობილია ამ კატალოგში გამოცემული ჩანახატები ლეიტენანტ იულიუს კასნერს გაუკეთებია, რომელიც ანისში 1845 წლის აგვისტო-სექტემბერში კავკასიის მთავარმართებლის, გრაფ ვორონცოვის დავალებით იყო მივლინებული. კესტნერის ჩანახატების მიხედვით დამზადებული მელინგის ლითოგრაფიები მოგვიანებით მარი ბროსემ გამოაქვეყნა.⁶ მათ შორისაა „ქართული ეკლესიაც“, რომელიც სამხრეთ-აღმოსავლეთიდან აღუბეჭდავთ. აქ კარგად ჩანს ბევრი ის დეტალი, რისი აღდგენაც ახლა წარმოსახვითაა შესაძლებელი. (სურ. 4)



სურ. 4. „ქართული ეკლესია“.
წიგნიდან – Brosset 1861

გერმანელი დიპლომატი მაქს ფონ ტელმანი (1846-1929 წწ.), რომელიც 1872 წელს, აღმოსავლეთში მოგზაურობისას, ანისის ნაქალაქარსაც სწვევია, „ქართულ ეკლესიას“ მოკლედ აღწერს. მისი ცნობით, „ეკლესიას აქვს ბიზანტიური რელიეფები, რომლის გადატანა ევროპულ მუზეუმში ღირებული იქნებოდა. გამოსახულია ხარება და საყდარზე დაბრძანებული ღმრთისმშობელი, რომელიც აღმოსავლური გემოვნებით ფრიად გამორჩეული სახისაა“.⁷

შედარებით უფრო ვრცლად ახასიათებს ეკლესიას ბრიტანელი მოგზაური ჰენრი ლინჩი (1862-1913 წწ.).⁸ 1893 წელს, ანისში მისი ყოფნისას, ეკლესიის კამარა და კედლების ზედა ნაწილი უკვე მთლიანად ყოფილა ჩამორღვეული – ნაგებობისგან დარჩენილი იყო მხოლოდ ჩრდილოეთი კედელი, საკურთხევლის აფსიდი და, ნაწილობრივ, სამხრეთი კედელი. აგტორი მიუთითებს ჩრდილოეთ კედელზე არსებულ ორ რელიეფზე; მათგან მარცხენას ღმრთისმშობლის ხარებასთან აიგივებს, მარჯვენას კი ორი წმინდანის გამოსახულებად მიიჩნევს. ლინჩის მოგზაურობის დროს ნაგებობის ნანგრევებადქცეულ კედლებზე აღარ იყო დარჩენილი წარწერები, თუმცა ადგილობრივი მოხუცი მღვდელი იმხანად უკვე აღარ არსებული წარწერის საფუძველზე ამტკიცებდა, რომ ეკლესია წმ. სტეფანეს სახელობისა იყო.

ეკლესიის სახელწოდება – „ქართული ეკლესია“ (Грузинская Церковь, Gürcü Kilise), სამეცნიერო ლიტერატურაში ნიკო მარისა და

იოსებ ორბელის მიერ იქნა დამკვიდრებული.⁹ ორივე მკვლევრის პუბლიკაციებში მოიპოვება საგულისხმო მასალები ეკლესიის ისტორიისა და არქიტექტურის შესახებ (სურ. 5).

ორბელი მოკლედ აღწერს ნაგებობას; პირველ სართულზე არსებულ სათავსს იგი დასაკრძალავ კრიპტად მიიჩნევს. ეკლესიის ინტერიერში, ჩრდილოეთ კედელზე არსებული რელიეფები მას საკმაოდ პრიმიტიული ხელობისად მიაჩნია. ორბელის ცნობით, ნაგებობის სამხრეთ კედელზე იყო 1320 წლის ვრცელი ქართული ასომთავრული წარწერა.¹⁰ ავტორთან მითითებულია ტაძარზე სამხრეთიდან მიდგმული, იმხანად მთლიანად დანგრეული მინაშენის თაობაზე.

ნაქალაქარზე არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის პერიოდში, 1910 წელს „ქართული ეკლესიაც“ იქნა შესწავლილი. ნანგრევებზე



სურ. 5. „ქართული ეკლესია“, ინტერიერის ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან

ბადცეული ტაძრით მარის დაინტერესება ძირითადად განპირობებული იყო იქ მიკვლეული ქართული წარწერებით, რომელთა მნიშვნელობაც ანისისა და, ზოგადად, შუა საუკუნეების საქართველოსა და სომხეთის ურთიერთობისათვის არსებითია.¹¹ ავტორი ექსპედიციის განსაკუთრებული სამეცნიერო ღირებულების მქონე აღმოჩენად ასახელებს საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავრის, კათოლიკოს-პატრიარქ ეტიფანეს წარწერას, რომელიც „ქართული ეკლესიის“ გაწმენდისას იქნა მიკვლეული.¹² ნაგებობის მოკლე აღწერაში იგი უთითებს ტაძრის ორსართულიანობაზე, ყურადღებას აქცევს ინტერიერის მამკობ რელიეფებს.¹³

XIX საუკუნის განმავლობაში ეკლესია საგრძნობლად დაზიანდა; მისი კამარა მთლიანად იყო ჩამოქცეული, აღარ არსებობდა დასავლეთი და, ნაწილობრივ, სამხრეთი კედლები, თუმცა ჯერ კიდევ იდგა საკურთხევის აფსიდი კონქითურთ და დარბაზის ჩრდილოეთი კედელი. ჩანგრეული იყო ეკლესიის იატაკის და დასაკრძალავი კრიპტის კამარის დასავლეთი ნახევარი; ასევე გამონგრეული იყო ორსართულიანი ნაგებობის აღმოსავლეთი კედლის ქვედა ნაწილი, მთლიანად განადგურებული იყო ეკლესიაზე ერთ დროს სამხრეთი-



დან მიდგმული მინაშენი (სურ. 6).

1917 წელს, ანისის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის ფარგლებში, ეკლესია ნაწილობრივ აღადგინეს – ამოაშენეს და შემოსეს აღმოსავლეთი კედელი; საპერანგე წყობა აღდგა სამხრეთის კედლის აღმოსავლეთ ნახევარზეც, მის ქვედა ნაწილში, აგრეთვე ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ კუთხეში, ასევე ქვედა მონაკვეთზე (სურ. 7). ტაძრის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში ამჟამადაც შემორჩენილი საპირე წყობა ცხადყოფს XX საუკუნის დასაწყისში ჩატარებული აღდგენითი სამუშაოების არასათანადო ხარისხს (სურ. 8).¹⁴

1917 წლის შემდეგ ანისში არქეოლოგიური გათხრები შეწყდა – თურქეთის რესპუბლიკას და საბჭოთა კავშირს შორის სასაზღვრო ზოლში მოქცეული ნაქალაქარი დიდი ხნით მიუწვდომელი აღმოჩნდა როგორც მკვლევართათვის, ისე დამთვალიერებელთათვის.

რამდენიმე ათწლეულის შემდეგ მკვლევრებს კვლავ მიეცათ ანისში მუშაობის შესაძლებლობა. სომხური არქიტექტურის ძეგლებისადმი მიძღვნილი სერიის მეთორმეტე ნაკვეთში, სადაც თავმოყრილია მოკლე ნარკვევები ანისის მემკვიდრეობის შესახებ, ჟან-მიშელ ტიერი, ნაქალაქარის სხვა ძეგლების გვერდით, მოკლედ განიხილავს „ქართულ ეკლესიასაც“, თუმცაღა, ძეგლის აგების სავარაუდო პერიოდის მითითების გარეშე. ავტორის მოსაზრებით, ეკლესიის ინტერიერში რელიეფების არსებობა ქართული მხატვრული ტრადიციიდან მომდინარე გავლენასთან უნდა იყოს დაკავშირებული და მოწმობს, რომ ეკლესიაში ქალკედონური (იგულისხმება მართლმადიდებლური – ი.გ.) ღმრთისმსახურება აღესრულებოდა.¹⁵

ეკლესიის აგების პერიოდი ასევე არ არის დასახელებული ჟან-მიშელ ტიერის და პატრიკ დონაბედიანის წიგნში სომხური ხელოვნების შესახებ – ივარაუდება, რომ „ქართული ეკლესიის“ აშენების დრო ახლოს უნდა იყოს მის ფასადზე ერთ დროს არსებული წარწერის თარიღთან.¹⁶ ამასთანავე, წიგნის ორივე, როგორც ფრანგულ, ისე ინგლისურ ვერსიაში, ნაქალაქარის სიძველეთა რუკის განმარტებისას, „ქართული ეკლესიის“ თარიღი კითხვის ნიშნითაა მოტანილი.¹⁷ 2016 წლის პუბლიკაციაში კი პატრიკ დონაბედიანი „ქართულ

სურ. 6. „ქართული ეკლესია“, აღმოსავლეთი ფასადი. XIX საუკუნის მიწურულის ფოტო

სურ. 7. „ქართული ეკლესია“ 1917 წლის აღდგენითი სამუშაოების შემდეგ. ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან



სურ. 8. „ქართული ეკლესია“, დასავლეთი კედლის ფრაგმენტი. ხედი დასავლეთიდან

ეკლესიას” XIII საუკუნის დარბაზული არქიტექტურისადმი მიძღვნილ ქვეთავში განიხილავს.¹⁸

სომხური არქიტექტურის ძეგლთა კატალოგში, რომელიც პაოლო კუნეოს მიერაა შედგენილი, „ქართული ეკლესიის“ აგების თარიღად XII–XIII საუკუნეებია დასახელებული, თუმცა ავტორი იმასაც მიუთითებს, რომ ნაგებობისაგან შემორჩენილი ნაშთების სიმწირის გამო მისი აგების დროის დადგენა შეუძლებელია.¹⁹

დასახელებული პუბლიკაციების მიხედვით აღწერდნენ და აქვეყნებდნენ „ქართულ ეკლესიას“ სომეხი მეცნიერები, რომელთაც ძეგლზე მუშაობის საშუალება ბოლო დრომდე არ ჰქონიათ.²⁰

ენტონი ისტმონდის ნარკვევში ტრაპიზონის წმ. სოფიის (XIII ს.) ტაძრის ჩრდილოეთი ფასადის ფრიზის თაობაზე, „ქართული ეკლესიის“ რელიეფები პარალელადაა მოხმობილი – ტაძარზე არსებული ეს ნაქანდაკევი სახეები „ქართული ეკლესიის“ რელიეფთან ყველაზე ახლო მაგალითად სახელდება. ავტორის მიზანს არ წარმოადგენდა ანისის ეკლესიის რელიეფთა საგანგებო კვლევა; მის ნაშრომში გამოსახულებათა შექმნის თარიღად მითითებულია 1218 წელი – „დრო, როდესაც სომხეთის დედაქალაქს მხარგრძელები მართავდნენ“.²¹

„ქართული ეკლესია“ ცალკე თავის სახით განიხილება ფეხვი ჩელების ნაშრომში, რომელიც ანისის ქართულ მემკვიდრეობას ეძღვნება. ავტორი ნაგებობას X საუკუნით ათარიღებს და მის რელიეფებს ოშკის ტაძრის ქანდაკებებთან მიმართებით განიხილავს.²²

ანისის ვირტუალური მუზეუმის ვებგვერდზე (ავტორი სტივენ სიმი) მოკლედაა აღწერილი ნაგებობა და მისი რელიეფები, აგრეთვე ერთ დროს მის კედლებზე არსებული ქართული წარწერები; გამოთქმულია მოსაზრება, რომ ეკლესია, შესაძლოა, ავგოთ XIII საუკუნეში, მაშინ როდესაც ანისი საქართველოს სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა, ანდა XI საუკუნის დასაწყისში.²³

* * *

ცნობები ანისის „ქართული ეკლესიის“ შესახებ საისტორიო წყაროებში არ ჩანს. არც ეკლესიის ფასადებზე ერთ დროს არსებულ წარწერებში მოიპოვება მონაცემები ტაძრის ისტორიის თაობაზე.²⁴ ეკლესიაზე არსებული ყველა ლაპიდარული და საღებავით დატანილი წარწერა ქართულია.²⁵ ლაპიდარული წარწერების შესრულების ეპოქა – XIII საუკუნე, ისევე როგორც მათი მასშტაბები და შინაარსი, შემქმნელთა სტატუსი და სოციალური მდგომარეობა სავარაუდოს ხდის, რომ ეკლესია გარკვეული დროის განმავლობაში ადგილობრივი ქართული ეპარქიის მღვდელმთავრის კათედრა შეიძლებოდა ყოფილიყო.

ამგვარ პირობებში, ეკლესიის აგების სავარაუდო პერიოდის განსასაზღვრად არსებითი ჩანს როგორც მისი ხუროთმოძღვრული და მხატვრული მახასიათებლები, ისე მასთან სავარაუდოდ დაკავშირებული ისტორიული რეალიები.

ანისის „ქართული ეკლესიის“ თაობაზე სამეცნიერო ლიტერატურაში ათწლეულების განმავლობაში დაგროვილი მასალის, დაკვირვებებისა და მოსაზრებების მიუხედავად, იგი დღემდე საგანგებოდ



სურ. 9. „ქართული ეკლესია“,
ჩრდილოეთი ფასადი

შესწავლილი არ ყოფილა.²⁶ ნაგებობიდან დარჩენილი ნანგრევები, ძველ ფოტოებთან ერთად, მისი რეკონსტრუქციის და მისი საერთო არქიტექტურულ-მხატვრული მახასიათებლების განხილვის შესაძლებლობას იძლევა (სურ. 9).

* * *


„ქართული ეკლესია“ მომცრო ზომის, გეგმაში სწორკუთხა, აღმოსავლეთ-დასავლეთ ღერძზე წაგრძელებული ორსართულიანი ნაგებობაა. (სურ. 11) ნაგებია მუქი წითელი ფერის ადგილობრივი ტუფის ქვით. ზედმიწევნით სუფთად ნათალი ქვის კვადრები თანაბარზომიერ, სწორ რიგებადაა ნაწყობი. ნაგებობის სიგრძე გარედან დაახლოებით 13.30 მეტრი იქნებოდა,²⁷ სიგანე კი 7.10 მეტრი. მისი პირველი სართული დასაკრძალავი კრიპტაა – იგი თავდაპირველად მხოლოდ ნაწილობრივ უნდა ყოფილიყო მიწაში მოქცეული. კრიპტის ზემოთ დარბაზული ტიპის ეკლესიაა, აღმოსავლეთით ფართო და მაღალი საკურთხევლის ნახევარწრიული აფსიდით. ეკლესიის ახლოს ნაპოვნი ლორფინის ფრაგმენტის მიხედვით ცხადი ხდება, რომ ანისის სხვა ეკლესია-სამლოცველოების მსგავსად, ეს ტაძარიც ქვის ლორფინით იქნებოდა დაბურვილი (სურ. 10).

ეკლესიის საკურთხევლისგან დღეს აღარაფერია დარჩენილი. XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისის ფოტოებზე ჩანს, რომ იგი ნახევარწრიული მოხაზულობისა იყო, საკმაოდ დიდი და ფართო, დამჯდარი პროპორციებისა; ამ ეფექტს კიდევ უფრო უსვამდა ხაზს თარაზული კარნიზი, რომელიც საკურთხევლის კონქსა და აფსიდის კედლებს მიჯნავდა (სურ. 5). აფსიდი, თავისი სისადავითა და გლუვი, თითქოს დაჭიმული ზედაპირით, უპირისპირდება დარბაზის განივ კედელს, რომელიც რიტმულად არის დამუშავებული პილასტრებით და კედლის თალებით. ამასთანავე, კარნიზი, რომელიც ტაძრის მთელ ინტერიერს შემოუყვება, შიდა სივრცის აღნაგობის შვეულ რიტმს განივ კედელზე ვერ არღვევს, აფსიდში, კონქის სივრცეს კი ერთგვარ სიმძიმეს უქმნის.

თარაზული კარნიზები ინტერიერსა თუ ფასადებზე როგორც



სურ. 10. „ქართული ეკლესია“, ქვის
ლორფინი



სურ. 11. „ქართული ეკლესია“: ა. ჭრილი ჩრდილოეთით; ბ. ჭრილი აღმოსავლეთით; გ. გეგმა; დ. კრიბტა, გეგმა

სომხურ, ისე ქართულ საეკლესიო არქიტექტურაში გვხვდება; მის საწყისებზე მსჯელობისას სირიულ და ბიზანტიურ არქიტექტურაზე მიუთითებენ (სურ. 12).²⁸ კონქს ქვემოდან შემოვლელი თარაბული კარნიზი, რომელიც განივ კედლებზე გრძელდება, ან მრავალაფსიდიანი ეკლესიების აფსიდებს უწყვეტად ევლება, გვხვდება ანისის არქიტექტურული სკოლის სხვა ნიმუშებშიც – მაცხოვრის ეკლესიაში, ჰორომოსის წმ. გიორგის და აშოტის საფლავისპირა დარბაზულ ეკლესიაში,²⁹ ანბერდ/ვაჰრამაშენში³⁰ და სხვ (სურ. 13). იგი ოდნავ სახეცვლილი, მაგრამ მაინც მსგავსი, სივრცულ-პლასტიკური აქცენტის სახით გამოიყენება სომხეთის მოგვიანო ხანის სამონასტრო ეკლესიებში.³¹

საქართველოში თარაბული კარნიზის გავრცელების პერიოდი რამდენადმე უფრო მოკლეა, დღეისთვის არსებული მონაცემებით V–XI საუკუნეებით იფარგლება და გავრცელებულია ქვეყნის როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ რეგიონებში (სურ. 14). V საუკუნის მიწურულისთვის ამგვარი კარნიზი ჩანს ბოლნისის სიონის სამხრეთ სტოას კონქისა და აფსიდის გამმიჯნავად.³² იგი გვხვდება ჭერემის წმ. ბარბარეს (V ს.)³³ და საბუეს წმ. შიოს (VI ს.),³⁴ ეკლესიებში. უფრო მკვეთრია თარაბული კარნიზის ფორმა განთიადის/ცანდრიფშის ბაზილიკის აფსიდში, რომელიც VI საუკუნით თარიღდება.³⁵ თარაბული კარნიზი კონქის ქვედა კიდეც ევლება მოგვიანო ხანის ეკლესიების აფსიდებში – ეს მხატვრული ხერხი თითქმის მთელი

შუა საუკუნეების განმავლობაში იქნა შენარჩუნებული. ამასთანავე საჩინოა სახესხვაობების არსებობაც – ზოგჯერ ფორმა მკვეთრადაა გამოკვეთილი ზოგჯერ კი უმნიშვნელოდ, ან ფრესკების ქვეშ უჩინრად ქცეული. ამ მხრივ სურათს მრავლისმომცველად წარმოაჩენს ორსაყდრები (VI-VII სს.),³⁶ მატანის „გუმბათიანი საყდარი“ (IX ს.),³⁷ ბზიფის (IX-X სს.)³⁸ და მოქვის (957-967 წწ.)³⁹ ეკლესიები, შუატყე (IX-X სს.),⁴⁰ ტაბაწყურის წითელი ეკლესია (X ს.),⁴¹ ბზას წმ. გიორგის ეკლესია (X ს.),⁴² ორთულის ვანქი (X ს.),⁴³ ბურნაშეთის (X ს.)⁴⁴ და თრიალეთის ახალქალაქის (X-XI სს. მიჯნა)⁴⁵ ეკლესიები, და სხვ. იგი



1.



2.



3.

გვხვდება უფრო მოგვიანო ხანის, სახელდობრ XIII-XIV საუკუნეების ეკლესიებშიც, მაგალითად, ოლოდას,⁴⁶ საფარას,⁴⁷ ბარზმის,⁴⁸ ჭულეს⁴⁹, გერგეთის წმ. სამების⁵⁰ აფსიდებში.


„ქართული ეკლესიის“ საკურთხეველს ერთი სარკმელი ჰქონდა – ფასადზე მას ორმაგი ლილვებით შექმნილი სწორკუთხა მოჩარჩოება ამკობდა, შიგნიდან კი ღიობი თაღოვანი იყო. სარკმლის ორსავე მხარეს აფსიდში თითო ნიშა იყო შექმნილი. ძველ ფოტოზე ჩანს მხოლოდ ჩრდილოეთი ნიშა (სურ. 5). თანაგვარი ნიშა უნდა ყოფილიყო სამხრეთითაც. ამგვარი ნიშები თითქმის ყოველთვის კეთდებოდა როგორც სომხურ, ისე ქართულ დარბაზულ ეკლესიებში (მით უფრო, რომ ლიტურგიკული ჭურჭლის განსათავსებლად და კვეთის აღსასრულებლად აქ სხვა დამატებითი სივრცე არ იყო). ფოტოზე ჩანს, რომ ჩრდილოეთი ნიშის თავი მუქარნასის მსგავსი ფორმებით იყო გამშვენებული. ამგვარი გაფორმება ხშირად გვხვდება ანისის როგორც საეკლესიო, ისე საერო ნაგებობებში.⁵¹

ჩრდილოეთი კედლის შემორჩენილ ნაწილზე კარგად იკვეთება ეკლესიის შიდა და გარესახის აგებულება, აგრეთვე მისი გაფორმების ხასიათი (სურ. 11.ა).

დარბაზის გრძივი კედელი ინტერიერში მასიური პილასტრების წყვილის და კუთხის ვიწრო პილასტრების საშუალებით სამ უბედ იყოფა (სურ. 3, 5 და 11). შუა უბის ძირში შექმნილია საფეხური – იგი ერთგვარ აქცენტად ჩნდება დარბაზის ინტერიერში (სურ. 11 და 15). დასავლეთ და აღმოსავლეთ უბეებში ამგვარი საფეხური არ ჩანს. ნათელია, რომ ამ საფეხურს გარკვეული ფუნქციური დატვირთვა ჰქონდა. მსგავსი საფეხურები წმ. გრიგოლის ეკლესიის გვერდითა მკლავებსაც გაუყვება (იხ. ქვემოთ სურ. 121).

კედლისპირა პილასტრები რთული აღნაგობისაა – მათ წინა-

სურ. 12. საკურთხეველის და კონქის გამყოფი კარნიზები სირიულ და კონსტანტინოპოლურ ეკლესიებში: 1. ქალბლოზე, სირია; 2. წმ. სერგის და ბაქოსის ეკლესია, კონსტანტინოპოლი; 3. წმ. ირინეს ეკლესია, კონსტანტინოპოლი




სურ. 13. საკურთხეველისა და კონქის გამყოფი კარნიზები სომხურ ეკლესიებში: 1. კოში; 2. ავანი; 3. ანისი, საკათედრო ტაძარი; 4. ჰორომოსის მონასტერი, მეფე აშოტის სამლოცველო; 5. ანისი, ქალწულთა მონასტრის ეკლესია; 6. ანისი, მაცხოვრის ეკლესია; 7. ჰაღარწინი; 8. ჰარიჭავანჭი; 9. გელარდი

პირზე არსებული ნახევარწრიული ლილვები სწორკუთხა საფეხურს ებჯინება; ამასთან, ისინი იმდენად სრული წრის ფორმას ქმნიან, რომ კედლებზე მიბჯენილი სვეტების შთაბეჭდილებასაც კი ტოვებს (სურ. 16 და 17). დღეს პილასტრები შუა წელზე შემოძარცვულია და საპირე ქვები მხოლოდ ზედა ნაწილშია შემორჩენილი. სინამდვილეში, ეს „სვეტები“, მათ ორსავე მხარეს არსებულ სწორკუთხა საფეხურებთან ერთად, ერთ მთლიან ქვაშია გამოკვეთილი, რაც კარგად ჩანს მარჯვენა პილასტრებიდან შემორჩენილ ფრაგმენტებზე და მის ბაზისებზე (სურ. 17 და 18). მასიური პილასტრების ეს კონა კედლის სიმაღლეს აუყვება და გვირგვინდება ორმაგი კაპიტელების რიგით; მათგან ქვედა წარმოადგენს ინტერიერის – საკურთხეველსა და დარბაზს – შემოყოლებული თარაბული კარნიზის გაგრძელებას და იმეორებს პილასტრების ნახევარწრიულ და სწორკუთხა ფორმებს; ზემოდან კი მას აგვირგვინებს მართკუთხა ფილა შეტეხილი კუთხეებით. კუთხეები „სტალაქტიდების“⁵² მსგავსია და სამ ფოთლად არის ჩაკვეთილი (სურ. 19). ეს მოტივი გვხვდება ანისის არქიტექტურაში, მაგალითად, XI საუკუნის მიწურულს, მინუჩეს მეჩეთის სვეტების კაპიტელთა გაფორმებისას (სურ. 20).⁵³



1.



2.



3.



4.



5.



6.



7.



8.



9.



10.



11.



12.

კამარის დამჭერი თალები (რომელთაგანაც დღეს მხოლოდ ქვის თითო მწკრივია დარჩენილი) სწორკუთხა ფილებს ეყრდნობა; პილასტრებს ემყარება კედლის უბეების შიდა პირს გაყოლებული საფეხურებიც – ამ შემთხვევაშიც პილასტრის ღერძი ნახევარწრიულია, მის ორსავე მხარეს არსებული საფეხურები კი სწორკუთხაა. შემორჩენილი ნაშთების მიხედვით ჩანს, რომ ამ პილასტრების კაპიტელთა სიმაღლე კედლის მასიური პილასტრების კაპიტელებს უსწორდებოდა. თავის მხრივ, ნახევარწრიული პროფილი აქვს კედლის პილასტ-

სურ. 14. საკურთხევისა და კონქის გამყოფი კარნიზები ქართულ ეკლესიებში:

1. ბოლნისის სიონი, სამხრეთი სტოა;

2. საბუე, წმ. შიოს ეკლესია; 3. ჭერემი,

წმ. ბარბარეს ეკლესია; 4. ცანდრიფში;

5. ტაბაწყური; 6. ორსაყდრები; 7. ბზიფი;

8. შუატყე; 9. ბურნაშეთი; 10. ბზა; 11. მატანი,

„გუმბათიანი საყდარი“; 12. ორთული

სურ. 15. „ქართული ეკლესია“, ინტერიერი.
ჩრდილოეთი კედელი, ჩამოსაჯდომი
სოლეა



სურ. 16. „ქართული ეკლესია“, ინტერიერი.
ჩრდილოეთი კედლის დასავლეთი
მონაკვეთი

რების წიბოებსაც (სურ. 16).

კედლების პილასტრებით, თალებითა და უბეებით გაწყობა კავკასიაში VII საუკუნიდან იწყება; მალე ის მოიცავს როგორც ფასადებს, ისე შიდა სივრცეს და ერთ-ერთი უმთავრესი მხატვრული თუ კონსტრუქციული ფორმა ხდება. ამ ფორმებისთვის მიუმართავთ როგორც ბაზილიკურ, ისე გუმბათიან ეკლესიებში, აგრეთვე საერო ნაგებობებში. მას არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ნაგებობის შიდა სივრცის მხატვრული სახის შექმნისას.⁵⁴ ცილინდრული კამარით გადახურული მკლავის კედელთა პილასტრებით, თალებითა და ნიშებით გაფორმება ქართული დარბაზული, სამეკლესიანი თუ გუმბათიანი ეკლესიების არქიტექტურის ორგანული ნაწილია. კედლის ამგვარი პლასტიკური დამუშავების მაგალითებს ვხვდებით ასევე სამონასტრო ნაგებობებისა⁵⁵ და სასახლეების არქიტექტურაშიც.⁵⁶

ანისის ციტადელის დარბაზულ ეკლესიაში (VII ს.) განივი კედლები ასევე პილასტრების რიგებითა და თაღნარით არის გაფორმებული. „ქართული ეკლესიისგან“ განსხვავებით იქ ბურჯები მასიურია, სწორკუთხა, ნიშები კი ბევრად უფრო ღრმა (სურ. 87).

მართკუთხა და ნახევარწრიული პილასტრების კონა დამახასიათებელია ანისის ხუროთმოძღვრული სკოლისთვის (აბულამრეცი, მარმაშენი – ორივე X ს.,⁵⁷ საკათედრო ტაძარი – XI საუკუნის დასაწყისი,⁵⁸ მაცხოვრის ეკლესია – XI ს.,⁵⁹ წმ. გრიგოლის ეკლესია – 1215 წ.⁶⁰ ინტერიერის პილასტრებით დანაწევრება-გაფორმებასთან დაკავშირებით ანისის სკოლაში დამკვიდრებული პრაქტიკა უნდა ასახულიყო ამბერდის ვაჰრამაშენის ეკლესიაში,⁶¹ ბაგნაირი მონასტრის ღმრთისმშობლის ეკლესიაში,⁶² კეჩარისის მონასტრის წმ. გრიგოლის ეკლესიაში (სამივე – XI ს.) (სურ. 21 და 22).⁶³ სწორკუთხა პილასტრებისა და მათი მამკობი ნახევარწრიული ლილვების მსგავსი ერთიანობა ქართულ არქიტექტურაში მხოლოდ საფასადო დეკორში გვხვდება, ინტერიერში კი, როგორც წესი, ბრტყელი და საფეხურისებრი პილასტრები გამოიყენება. გამონაკლისად შეიძლება ჩითვალოს ბანას და ალავერდის კათედრალები (სურ. 23 და 24).

თუკი კედლის პილასტრებზე დამყარებული თაღნარი სომხურ არქიტექტურაში თავიდანვე საფასადო დეკორისთვის იყო გამიზნული (ამასთან დაკავშირებით თუნდაც ზვართნოცის კათედრალის (VII ს.)⁶⁴ დასახელებაც იკმარებდა), ქართულ არქიტექტურაში მან ადგილი ჯერ ეკლესიების ინტერიერში დაიმკვიდრა და კონსტრუქციულთან ერთად შიდა სივრცის მთავარი არქიტექტურული შემკულობის დატვირთვაც შეიძინა. IX საუკუნიდან მოყოლებული, ქართული ცალწვიანი და გუმბათიანი ეკლესიების ინტერიერში, გრძივ კედლებს გაყოლებული მასიური პილასტრები და თაღები ღრმა ნიშებს ქმნის. დროთა განმავლობაში მონუმენტური და მძიმე პილასტრების მოცულობა შემცირდა – მათ თხელი, საფეხურებად დაწყობილი, მოხდენილი ნახევარსვეტები ჩაენაცვლა (სურ. 25 და 26).⁶⁵ X-XI საუკუნეების მიჯნიდან მოყოლებული, კედლის ნიშები და პილასტრები თანაგვარ მნიშვნელობას იტვირთავს ტაძრის სივრცული დანაწილება-გაფორმების შესაქმნელად, სადაც წონასწორობა ორი სხვადასხვა დონის, ორი განსხვავებული სიმძიმის მასის მუდმივ წონასწორობაზეა დაფუძნებული. კედლის მხატვრობის ფართოდ გავრცელების თანადროულად, განივი კედლების თაღებით და ნიშებით გაფორმების პრაქტიკა თანდათანობით მინიმუმამდე იქნა დაყვანილი. შესაბამისად, ლილვების კონებზე გაწყობილმა თაღნარმა ფასადებზე გადაინაცვლა და ეკლესიის გარე მორთულობის ერთ-ერთ მთავარ ელემენტად იქცა.

„ქართული ეკლესიის“ ინტერიერში ხაზგასმულია არქიტექტურული სტრუქტურა, პილასტრები ინარჩუნებენ თავის მნიშვნელოვანებას, აშკარაა რომ მასში აქცენტი არა კედლის მხატვრობაზე, არამედ მასების დანაწევრებითა და პლასტიკურად გაფორმების გზით მიღწეული მხატვრული გამომსახველობის შექმნისკენაა მიმართული. იქმნება პლასტიკური სტრუქტურა, რაც კედლის ზედაპირთა ორი სხვადასხვა დონის, ასევე ორი სხვადასხვა მიმართულების (თარაზულის და შვეულის) აქცენტირების მუდმივ წონასწორობაზეა დაფუძნებული.

ანისის „ქართული ეკლესია“ სივრცის პილასტრებითა და თაღ-ნიშების დამუშავებით საერთოს ჰოვებს სხვა ქართულ ცალწვიან ეკლესიებთან, სადაც ცალკეული სახესხვაობებით შიდა სივრცე იგივე პრინციპზეა აგებული (სურ. 25 და 26). ასეთია: აზავრეთი (IX ს. ბოლო, X ს. დასაწყისი),⁶⁶ მურჯახეთი (ადრეული X ს.),⁶⁷ ფექრაშენის (X ს.) (სურ. 27),⁶⁸ შეპიაკის (X ს.),⁶⁹ საღამოს პირველი ეკლესიის (X ს.),⁷⁰ ასფარას მონასტრის მიძინების (X საუკუნის მეორე ნახევარი),⁷¹ ჭალას (X საუკუნის ბოლო),⁷² ზედა ვარძიის (X-XI სს. მიჯნა),⁷³ უწერას (X-XI სს. მიჯნა),⁷⁴ დარკვეთის (X-XI სს. მიჯნა),⁷⁵ ხცისის (1002 წ.),⁷⁶ ეხვევის (XI საუკუნის დასაწყისი),⁷⁷ ფოკას (1031-1053 წწ.),⁷⁸ სავანეს წმ. გიორგის (1046 წ.)⁷⁹ ურაველის აგარას (X საუკუნის მეორე ნახევარი),⁸⁰ სათხეს (XI საუკუნის პირველი ნახევარი) (სურ. 28),⁸¹ ფარავანის (XI ს.),⁸² ასფარას (XI ს.),⁸³ ეკლესიები, მრავალი სხვა.

XX საუკუნის დასაწყისისთვის უკვე ნახევრად დანგრეული „ქართული ეკლესიის“ სამხრეთი კედელი ძველ ფოტოზე საფასადო მხრიდან ნაწილობრივ აღიბეჭდა. სამხრეთ-დასავლეთიდან გადა-



სურ. 17. „ქართული ეკლესია“, ინტერიერი. ჩრდილოეთი კედლის პილასტრის ფრაგმენტი



სურ. 18. „ქართული ეკლესია“, ინტერიერი. ჩრდილოეთი კედელი, კედლისპირა ნახევარსვეტის ბაზისი



სურ. 19. „ქართული ეკლესია“, ინტერიერი. ჩრდილოეთი კედელი, კედლისპირა ნახევარსვეტის კაპიტელი



სურ. 20. ანისი, მანუჩეს მეჩეთი, ინტერიერი, კაპიტელი

ლებულ ფოტოზე კარგად ჩანს ამჟამად დანგრეულ კედელზე არსებული საპირე წყობა, რაც სამხრეთ კედელში ერთ დროს სარკმლის ღიობის არსებობაზე მიუთითებს (სურ. 5).

ეკლესიას კარი, სავარაუდოდ, დასავლეთიდან უნდა ჰქონოდა. ამასთანავე, კარის წინ ეკლესიას დამატებითი სივრცე ჰქონია მიშენებული. დასავლეთი ფასადის გასწვრივ ჩანს კედლის ფრაგმენტი, რომელიც მინაშენის ნაწილი უნდა იყოს (ხილული ფრაგმენტის სიგრძეა 2.5 მ.) (სურ. 29 და 30) მკვეთრად განსხვავებული ქვის ფერი – თეთრი, ისევე როგორც კედლის შედარებით ნაკლები სისქე და სამშენებლო ნაკერი სავარაუდოდ ხდის, რომ მინაშენი მოგვიანოდ უნდა მიედგათ ეკლესიაზე. ამ მინაშენის დანიშნულების დაზუსტება (კარიბჭე, ნართექსი თუ ეკვდერი), მხოლოდ არქეოლოგიური გათხრების შემდეგ გახდება შესაძლებელი. აქვე ჩნდება კითხვა – რამდენად შესაძლებელია ასეთი პატარა მოცულობის მინაშენს ჰქონოდა რაიმე სხვა ფუნქცია გარდა კარიბჭისა. ამასთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს ნაქალაქარის დასავლეთ ნაწილში მდებარე აბულამრენცის მომცრო ეკლესია (აგებული 980-იანი წლების ახლო ხანებში), რომლისთვისაც ფაშლავუნების ოჯახს 1030-იან წლებში კიდევ უფრო მცირე ზომის დასაკრძალავი სამლოცველოები მიუშენებია.⁸⁴ დასავლეთიდან კარიბჭე უნდა ჰქონოდა მიდგმული ნაქალაქარის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, მდ. ახურიანის ნაპირზე მდებარე ე.წ. ქალწულთა მონასტრის XIII საუკუნის მინიატურული ზომის ეკლესიას.⁸⁵

„ქართულ ეკლესიას“ მინაშენი ჰქონდა სამხრეთითაც. ამაზე ჯერ კიდევ გასული საუკუნის დასაწყისში მიუთითებდა იოსებ ორბელი, რომელიც აღნიშნავდა, რომ მინაშენი იმხანად უკვე მთლიანად იყო დანგრეული.⁸⁶ მინაშენი შედარებით სრული სახით ჩანს ბროსეს მიერ გამოქვეყნებულ, ზემოხსენებულ ლითოგრაფიამც (სურ. 4). ალბათ, მინაშენს უნდა გულისხმობდეს აბიხის მიერ ნახსენები „გვერდითა სამლოცველოები“ (Nebenkapellen), რომელიც, ავტორის მითითებით, ეკლესიასთან დაკავშირებული არ იყო.⁸⁷ ეკლესიის სამხრეთით მინაშენის არსებობაზე მეტყველებს გასულ საუკუნეში ნაგებობის სამხრეთ ფასადზე დარჩენილი ნაღესობა (სურ. 5), აგრეთვე კამარის საყრდენი კრონშტეინის ფრაგმენტები და ის მთლიანი კედლის ფრაგმენტები, რაც სამხრეთი ფასადის წინ გადმოქცეული კედლიდან ყრია. მინაშენის ნაშთები ეკლესიის გარშემო განხორციელებული გათხრების შედეგად გამოვლინდება.

* * *

ეკლესიის პირველ სართულზე არსებული დასაკრძალავი კრიპტის ინტერიერი ასევე სუფთად ნათალი ქვითაა ნაშენი (სურ. 15); ნახევარწრიული კამარა ახლა ჩამონგრეულია; აღმოსავლეთით შემორჩენილია დამჭერი თაღის ნაწილი. აბიხის აღწერილობის თანახმად, „კრიპტა სამნაწილიანი იყო, რაც მიწისძვრის შედეგად სრულად გამოჩნდა“.⁸⁸ როგორც ჩანს, კრიპტის კამარა ორი მზიდი თაღით იყო დაყოფილი სამ ნაწილად – ამაზე მეტყველებს ამჟამად შემორჩენილი თაღის მდებარეობა (სურ. 11). დღეს კრიპტა ქვებითა და მიწით



1.



2.



3.



4.



5.



6.

არის საგსე; მისი იატაკის დონის დაფიქსირება შეუძლებელია.

კრიპტას შესასვლელი აღმოსავლეთიდან რომ ჰქონდა, ბროსეს ალბომში გამოქვეყნებული ილუსტრაციით დასტურდება (სურ. 4). მართალია, 1910-იანი წლების აღდგენითი სამუშაოების დროს ნაგებობის აღმოსავლეთი კედელი მთლიანად ამოაშენეს, მაგრამ ძველ ფოტოზე დაკვირვება და პარალელური მასალის ანალიზიც სავარაუდოს ხდიდა სწორედ ამგვარ რეკონსტრუქციას (სურ. 5).

დასაკრძალავზე აღმართული, ორსართულიანი ეკლესიების მშენებლობის ტრადიცია ქრისტიანობის გავრცელების ადრეული პე-

სურ. 21. ნახევარწრიული ფორმის ნახევარსვეტები ანისურ არქიტექტურაში: 1. საკათედრო ტაძარი; 2. დარბაზული ეკლესია; 3. მანუჩეს მეჩეთი; 4. აბულამრენცის ეკლესია; 5. წმ. გრიგოლის ეკლესია; 6. ქალწულთა ციხის ეკლესია



1.



2.



3.

სურ. 22. ნახევარწრიული ფორმის ნახევარსვეტები სომხურ არქიტექტურაში: 1. მარმაშენის მონასტერი, წმ. სტეფანეს ეკლესია; 2. ჰორომოსის მონასტერი, რუზაკანის დასაკრძალავი; 3. ამბერდის ეკლესია

რიოდიდანვე იყო დამკვიდრებული სამხრეთ კავკასიაში. ამასთანავე, საერთო საწყისების მიუხედავად, საფლავსზედა ეკლესიათა არქიტექტურამ საქართველოსა და სომხეთში განსხვავებული ფორმები შეიძინა. ანისის „ქართული ეკლესიის“ ამ თავისებურებაზე მსჯელობისას საგულისხმო ჩანს კავკასიაში მემორიალური საეკლესიო არქიტექტურის ტრადიციების გათვალისწინება. ამასთანავე, თუკი სომხეთში იგი მკვლევართა რამდენიმე თაობის კვლევის საგანი გახდა, საქართველოში ამ მიმართებით თანმიმდევრული და მომცველი კვლევა ჯერ არ ჩატარებულა.⁸⁹

ქრისტეს კვართის დაფლვის ადგილას წმ. ნინოს და წმ. მეფე მირიანის განგებით მცხეთაში პირველი ეკლესიის აგება ასახავს ქართველთა სწრაფვას, დაეფუძნებინათ პირველი ეკლესია უფლის


სურ. 23. ბანას საკათედრო ტაძარი. გარშემოსავლელი, ინტერიერი

სურ. 24. ალავერდის საკათედრო ტაძარი. ინტერიერი, დასავლეთ მკლავის სამხრეთი მონაკვეთი




საფლავის თანაფარდ სიწმინდეზე.⁹⁰ სწორედ აქედან უნდა იღებდეს სათავეს საქართველოში საფლავსზედა ეკლესიების მშენებლობა.⁹¹ ამაზე მეტყველებს სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძრის სამხრეთ მკლავში, კვართის დაფლვის ადგილის, შესაბამისად – ცხოველ-სმყოფელი სვეტის უშუალო სიახლოვეს აგებული სამლოცველოც (XV ს.), რომელიც, მიუხედავად ქართული სატაძრო არქიტექტურისთვის დამახასიათებელი იერსახისა, იერუსალიმისა და მცხეთის ურთიერთმიმართების ხელქმნილი მოწმობაა.⁹²

ადრეული ეკლესიები საქართველოში, ისევე როგორც ზოგადად ქრისტიანულ სამყაროში, ხშირად წმინდანთა დასაკრძალავებზე იგებოდა; ამგვარ მაგალითებად მიჩნეულია მცირე ზომის ნახევრად



სურ. 25. სამხრეთ და დასავლეთ საქართველოს დარბაზული ეკლესიები, გეგმები: 1. ალანძა; 2. აზავრეთი; 3. ხვილიშა; 4. ფარავანი; 5. საღამო; 6. აგარა; 7. დარკვეთი; 8. ხცისი; 9. შეპიაკი; 10. მურჯახეთი; 11. ფოკა; 12. ასფარა; 13. ფექრაშენი; 14. სავანე; 15. სათხე; 16. სპეთი; 17. ეხვევი; 18. ჩაისი



სურ. 26. ქართული დარბაზული ეკლესიების ტრილები:
 1. აზავრეთი, ტრილი ჩრდილოეთით;
 2. მურკახეთი, ტრილი ჩრდილოეთით;
 3. ფექრაშენი, ტრილი ჩრდილოეთით;
 4. ასფარა, ტრილი ჩრდილოეთით;
 5. ხცისი, ტრილი ჩრდილოეთით;
 6. ფოკა, ტრილი ჩრდილოეთით

გახსნილი ნაგებობები – ტერემის კვადრატი (IV ს.),⁹³ წმ. იოანე ზედაზნელის დასაკრძალავი ეკლესია (V ს.),⁹⁴ ნეკრესის ეკლესია (VI ს.),⁹⁵ ამმანას ეკლესია (VIII ს.) და სხვ.⁹⁶ ითვლება, რომ ამგვარი ეკლესიების შექმნის საფუძველი უნდა გამხდარიყო იმპერატორ კონსტანტინე დიდის მიერ უფლის საფლავზე აღმართული ნაგებობა, რომელიც შემდგომში საფლავსზედა ეკლესიების წინასახედ შეიქნა.⁹⁷

ვახტანგ ბერიძე მიიჩნევს, რომ დასავლური ტრადიციისგან განსხვავებით, სადაც ეკლესიის ქვემოთ მდებარე კრიპტებს დამატებითი სამლოცველოს ფუნქციაც აქვთ, საქართველოში, კრიპტას მხოლოდ პირდაპირი ფუნქციური დანიშნულება აქვს, ეს სამარხია და ხშირ შემთხვევაში გამართული კაცი ვერც კი შევა, თუმცა იგი ახსენებს გამონაკლისებსაც.⁹⁸ ჩვენს მიერ შეგროვებული მასალა აჩვენებს, რომ კრიპტის, თაღოვანი დარბაზის ზომა შეიძლება სხვაობდეს, მაგრამ მათი, როგორც სამარხის ფუნქცია ერთადერთია, სამლოცველოს კი კრიპტაზე დაშენებული ეკლესია წარმოადგენს.

საქართველოში საფლავზე აგებული ყველაზე ადრეული ქრის-

ტიანული ტაძარი ბოდბეს „ფრიად დიდი“ ეკლესიაა, რომელიც წმ. ნინოს სამარხზე წმ. მეფე მირიანის დროს აიგო.⁹⁹ ეკლესიის ამჟამინდელი ნაგებობა უფრო გვიანდელია, თუმცა მისი სამხრეთი ეკვდერი, სადაც წმ. ნინოს საფლავი მდებარეობს, ტაძრის ყველაზე ძველ ნაწილადაა მიჩნეული.¹⁰⁰ 1884 წელს ჯერ კიდევ ღია ყოფილა საკურთხევლიდან კრიპტაში ჩასასვლელი, რომელიც მოგვიანებით მოექცა სამნავიანი ბაზილიკის მოცულობაში.¹⁰¹


ქართულ ეკლესია-მონასტრებში არსებული კრიპტიანი ეკლესიები რამდენიმე ჯგუფად შეიძლება დაიყოს. მათგან, პირველ ყოვლისა, ანისის „ქართული ეკლესიის“ მსგავსად აგებული ორსართულიანი ეკლესიებია საგულისხმო. სომხური და ქართული ტრადიციების შედარებისას ასევე გასათვალისწინებელი ჩანს აკლდამიან ეკლესიათა სხვა მაგალითებიც, რომლებიც საქართველოში მიცვალებულის ტაძრის საფუძველში დაკრძალვის ტრადიციაზე მეტყველებს. ამგვარ ძეგლთა საგრძნობი ნაწილის შესახებ ინფორმაცია მწირია, რადგან არქეოლოგიური გათხრები და/ან შესაბამისი კვლევა, ხშირ შემთხვევაში, არ ჩატარებულა.

ანისის „ქართული ეკლესიის“ მსგავსად ორსართულიანი, დარბაზული ტიპის კრიპტიანი ეკლესიაა ტანას ხეობაში – იგი სიონის ტაძრის დასავლეთით, ქარაფის პირას აღუმართავთ. გურამ აბრამიშვილი ნაგებობას IV საუკუნით ათარილებს.¹⁰²

იმავე ჯგუფში ერთიანდება წუნდას ეკლესია (სურ. 34 და 37.2). ლეონტი მროველის თანახმად, წუნდა ერთ-ერთია იმ ტაძართა შორის, რომელიც წმ. მეფე კონსტანტინესგან წარმოგზავნილთა მიერ იბერიის გაქრისტიანების კვალად უნდა ყოფილიყო დაფუძნებული.¹⁰³ ამასთანავე, უცნობია ბიზანტიიდან წარმოგზავნილი ხუროების მიერ აშენებული ეკლესიის ადგილი; იმ ნაგებობისგან, ნაშთის სახითაც კი, არაფერი შემორჩენილა. წუნდას სახელს დღეს კლდეზე აღმართული, მოზრდილი დარბაზული ეკლესია ატარებს. მისი პირველი სართული კრიპტაა, რომელიც ზომით ეკლესიაზე უფრო მცირეა. კრიპტაში ჩასასვლელი სამხრეთიდან იყო, აღმოსავლეთ კედელში კი დაყოლებულია ორი დარანი. ეკლესიის დასავლეთ ფასადზე შეს-



სურ. 27. ფექრაშენის ეკლესია, ინტერიერი. სამხრეთი კედელი



სურ. 28. სათხეს ეკლესია, ინტერიერი. ჩრდილოეთი კედელი



სურ. 29. ანისი, „ქართული ეკლესია“. დასავლეთი მინაშენის კედლის ფრაგმენტი. საერთო ხედი



სურ. 30. „ქართული ეკლესია“. დასავლეთი მინაშენის კედლის ფრაგმენტი



სურ. 31. ანისი, „ქართული ეკლესია“, კრიპტა. საერთო ხედი დასავლეთიდან



სურ. 32. მცხეთის წმ. ჯვრის მცირე ეკლესია. ხედი დასავლეთიდან

სურ. 33. ოთხთა ეკლესიის ლავრა, ე.წ. არსენისეული ეკლესია. ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან

რულებულ წარწერაში მოხსენიებული ადგილობრივი დიდებულის, იჩქით გურგენის ძის გაიგივების საფუძველზე, ისევე როგორც ნაგებობის მხატვრული თავისებურებების გათვალისწინებით, ნაგებობა მეფე თამარის ზეობით, სახელდობრ XII საუკუნის მიწურულით თარიღდება.¹⁰⁴

ანისის „ქართული ეკლესიის“ ყველაზე ახლო პარალელს წარმოადგენს ოთხთა ეკლესიის ლავრის ტერიტორიაზე, მთავარი ტაძრის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ფერდობზე აღმართული ორსართულიანი ეკლესია, რომლის პირველი სართული კრიპტაა (სურ. 35 და 37.6). დასაკრძალავი, ანისის „ქართული ეკლესიის“ მსგავსად, მხოლოდ ნაწილობრივია მიწის ქვეშ მოქცეული. აქაც ერთი დიდი, კამაროვანი სამარხი აკლდამაა გამართული, აღმოსავლეთიდან არსებული შესასვლელით.¹⁰⁵ ეკლესია ქვისა და აგურის მონაცვლეობით, ბერძნული „ოპუს-მიქსტუმის“ ტექნიკითაა ნაგები, კრიპტა კი უხეშად გათლილი ქვის კვადრებით არის ამოყვანილი. გამოირიცხული არ არის, რომ კრიპტა წინ უსწრებდეს ეკლესიას, თუმცა ამის დაბეჭითებით მტკიცება დამატებითი კვლევის გარეშე შეუძლებელია. ეკლესიის აგების სავარაუდო პერიოდი X საუკუნის ფარგლებში ექცევა.¹⁰⁶

ოთხთა ეკლესიის მონასტრის სიახლოვეს მდებარე, ე.წ. არსენისეულ ორ დარბაზულ ეკლესიას პირველ სართულზე აქვს კრიპტები – შედარებით დაბალი, კამაროვანი გადახურვის მქონე დასაკრძალავები, აღმოსავლეთიდან მოწყობილი შესასვლელით. ეკლესიაზე ამოკვეთილი ერთ-ერთი წარწერის თანახმად, იგი არსენ ნინოწმინდელს 984 წელს აუგია (სურ. 33, 37.7 და 37.13).¹⁰⁷

ორსართულიანი კრიპტიანი ეკლესია დგას ისტორიულ სამხრეთ საქართველოში, ბორჩხას მახლობლად, სოფელ ქვედა კლასკურის (ახლანდელი სოფ. არალიკი) მიდამოებში. ძეგლი შესწავლილი და გამოქვეყნებული არ ყოფილა.

დღემდე შეუსწავლელი რჩება იშხნის სიახლოვეს მდებარე ეს-



ბეკის სახელით ცნობილი დიდი სამონასტრო კომპლექსის კრიპტიანი ეკლესია. დიდი ბაზილიკისგან ჩრდილო-დასავლეთით მდებარე გალავნით გამიჯნული აგურის დარბაზული ეკლესია, როგორც ჩანს სამარხს წარმოადგენდა. ჩრდილოეთის და სამხრეთის კედლებში არკოსოლიები მოწყობილი, ხოლო იატაკის ქვეშ დიდი კრიპტა მოჩანს, ჩასასვლელებით ასევე შუა ნავიდან.¹⁰⁸

ორსართულიანია კიდევ ერთი დარბაზული ეკლესია ისტორიულ ტაოში, ვაჩეძორის მონასტერში. ოთხკუთხა ნაგებობას, რომელიც გუმბათიანი ტაძრის სამხრეთ-აღმოსავლეთით დგას, ექვთიმე თაყაიშვილის თანახმად, ქვედა სართულში სამარხი ჰქონია მოწყობილი (სურ. 36).¹⁰⁹

გარდა საკუთრივ ორსართულიანი დარბაზული ეკლესიებისა, ხშირ შემთხვევაში აკლდამები ეწყობოდა სხვადასხვა ტიპის ტაძრის ქვემოთ, რომელიმე მონაკვეთზე; ზოგჯერ ტაძრის ქვეშ არსებული დასაკრძალავი რამდენიმე სათავსისგან შედგებოდა.

უჯარმის ციხის ტერიტორიაზე მდებარე მცირე დარბაზული ეკლესიის ქვედა სართული – დასაკრძალავი, სამ კამერას აერთიანებს (სურ. 37.11). გიორგი ჩუბინაშვილის მოსაზრებით, დასაკრძალავი უნდა უკავშირდებოდეს მეფე ვახტანგ გორგასალის მიერ უჯარმაში განხორციელებულ აღმშენებლობას, რომლის თაობაზეც ცნობა „ქართლის ცხოვრებაში“ დაცული; დასაკრძალავის ზემოთ განთავსებული, ასევე დარბაზული, ეკლესია კი მოგვიანოდ უნდა აეგოთ.¹¹⁰

ორსართულიანი სამარხის ეკლესიის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო ნიმუში მცხეთის ჯვრის მცირე ეკლესიაა (VI საუკუნის შუახანები) (სურ. 32 და 37.1).¹¹¹ მის ქვედა სართულზე ასევე სამი კრიპტა – იქ დაუკრძალავთ ქართლის ერისმთავართა წარჩინებული სახლის წარმომადგენლები.¹¹²

ტაბაკინის მონასტრის წმ. გიორგის ეკლესია ორნაგვიანი ბაზილიკაა სამხრეთი გალერეით. შუა ნავის ქვეშ არის ორკამერიანი აკლდამა, აღმოსავლეთი მხრიდან შესასვლელით (სურ. 37.4). ნაგებობაში გაირჩევა VI-VII და X-XVI საუკუნეების სააღმშენებლო ფენები.¹¹³


ბიეთის სამონასტრო კომპლექსის მთავარი ეკლესია დარბაზული ტიპის ნაგებობაა, ჩრდილოეთით კლდეში ნაკვეთი სათავსებითა და სამხრეთი მინაშენით. ეკლესიის აღმოსავლეთ ნაწილში, საკურთხეველის ქვეშ, არის კამარიანი კრიპტა, ჩასასვლელით აღმოსავლეთიდან (სურ. 37.2).¹¹⁴

ორსართულიანია ნუკას საყდრის სახელით ცნობილი, IX საუკუნის ეკლესია, რომელიც სალ კლდეზეა წამომართული. მისი ქვედა სართული ახლა თითქმის მთლიანად მიწითაა ამოვსებული და უცნობია, რა ზომისა იყო აკლდამა. კრიპტას შესასვლელი დასავლეთიდან უნდა ჰქონოდა – დღესაც აქედანაა ერთადერთი მისადგომი ტაძართან (სურ. 38).¹¹⁵

ვარნეთის ეკლესიაში,¹¹⁶ დარბაზული ეკლესიის საკურთხეველის ქვეშ, კრიპტაა მოწყობილი (სურ. 40). ნანგრევების სახით შემორჩენილი ნაგებობა გაუთლელი და უხეშად ნათალი ქვით აუგიათ. რუსუდან გვერდწითელი მას გვიანი შუა საუკუნეების ძეგლად მიიჩნევს, თუმცა კი სავარაუდოა, რომ ეკლესია, ქვის წყობის ხასიათით




სურ. 34. წუნდა, წმ. გიორგის ეკლესია. ხედი აღმოსავლეთიდან



სურ. 35. ოთხთა ეკლესიის ლავრა, ეკლესია-საძვალე. ხედი სამხრეთიდან



სურ. 36. ვაჩეძორის მონასტერი, დარბაზული ეკლესია. ხედი სამხრეთიდან



სურ. 37.

კრიპტიანი ეკლესიები საქართველოში: 1. მცხეთის წმ. ჯვრის მცირე ეკლესია, ტრილი სამხრეთით; 2. წუნდა. წმ. გიორგის ეკლესია, ტრილი ჩრდილოეთით; 3. ბიეთის ეკლესია, ტრილი სამხრეთით; 4. ტაბაკინის მონასტერი, წმ. გიორგის ეკლესია, ტრილი სამხრეთით; 5. ანისის „ქართული ეკლესია“, ტრილი ჩრდილოეთით; 6. ოთხთა ეკლესიის ლავრა, ეკლესია-საძვალე, ტრილი ჩრდილოეთით; 7. ოთხთა ეკლესიის ლავრა, ე.წ. არსენისეული მეორე ეკლესია, ტრილი ჩრდილოეთით; 8. ნეკრესის მონასტერი, მცირე ბაზილიკა, ტრილი აღმოსავლეთით; 9. ურაველის აგარას მონასტერი, სამლოცველო-საძვალე, ტრილი დასავლეთით; 10. ვაჩნაძიანის სვეტიცხოვლის ეკლესია, ტრილი სამხრეთით; 11. უჯარმა, ჯვარპატიოსანის ეკლესია, ტრილი აღმოსავლეთით; 12. თმოგვის ციხე, წმ. მარინეს ეკლესია, ტრილი აღმოსავლეთით; 13. ოთხთა ეკლესიის ლავრა, ე.წ. არსენისეული პირველი ეკლესია, ტრილი აღმოსავლეთით; 14. ლალიას მონასტერი, მთავარი ეკლესია, ტრილი აღმოსავლეთით; 15. მარტვილის მონასტერი, ჩიქვანების საძვალე ეკლესია, ტრილი აღმოსავლეთით

და არქიტექტურული ფორმებით, ადრინდელი უნდა იყოს – მისი აგების პერიოდი X საუკუნეს არ უნდა სცდებოდეს.¹¹⁷

თმოგვის ციხის აღმოსავლეთ ფერდთან აღმართული წმ. მარინეს ეკლესია ორსართულიანი ნაგებობაა. გუმბათიანი ტაძარი 1303 წლით თარიღდება. გამორიცხული არაა, რომ კრიპტა, რომელზეც იგი აღუმართავთ, უფრო ადრე აეგოთ (სურ. 37.12 და 39).¹¹⁸

უკანასკნელ წლებში ვანნაძიანის ამიდასტურის ეკლესიის სიახლოვეს არსებული ე.წ. “სვეტიცხოვლის” გუმბათიანი ეკლესიის ნანგრევების ქვეშ კრიპტა გამოვლინდა. ჯვრული კამარით გადახურული აკლდამა ჯვრული ეკლესიის გეგმას იმეორებს (გარდა აღმოსავლეთი აფსიდისა), და ტაძრის სუბსტრუქციაშია მოქცეული. დასაკრძლავს ჩასასვლელი დასავლეთიდან აქვს. ეკლესია VII საუკუნით თარიღდება.¹¹⁹

დასაკრძლავი კრიპტა არის მოწყობილი ურაველის აგარას მონასტრის მახლობლად აგებულ დარბაზული ეკლესიის საფუძველში. კამერის აღმოსავლეთი ნაწილი ქვითაა ნაშენი, დასავლეთი მონაკვეთი კი კლდეშია ნაკვეთი. ეკლესია XI-XII საუკუნეებით თარიღდება).¹²⁰

კრიპტიანი ეკლესიის ნანგრევები მდებარეობს გელათის მონასტრის გალავნის გარეთ, სამხრეთი კარიბჭიდან დასავლეთით, მთის ფერდზე. შემორჩენილია მხოლოდ ქვით ნაგები დასაკრძლავი კამაროვანი გადახურვით და ორი სარეცლით; ჩასასვლელი დასავლეთიდან აქვს. უცნობია რა ტიპის ნაგებობა იდგა მის თავზე. ეს ძეგლი დღემდე შეუსწავლელია.¹²¹

ზემოთ აღინიშნა, რომ ანისის „ქართული ეკლესიის“ კრიპტაში ჩასასვლელი დრომოსი აღმოსავლეთიდან იყო. მოხმობილი მაგალითები ცხადყოფს, რომ აღმოსავლეთიდან ჩასასვლელის მოწყობის პრაქტიკა საკმაოდ გავრცელებული იყო საქართველოში (ოთხთა ეკლესია, არსენისეული ეკლესიები, ტაბაკინი, ბიეთი), მაშინაც კი თუ აკლდამის აღმოსავლეთი კედელი მიწის ზედაპირს არ უსწორდებოდა და დრომოსი მიწის ქვეშ ჩასასვლელ დერეფანს წარმოადგენდა. ასეთია ბოლნისის სიონი, სადაც დრომოსი ეკლესიის ჩრდილო-აღმოსავლეთით მიშენებული სამლოცველოს აღმოსავლეთი კედლის პირას მდებარებს, თავად დასაკრძლავი კი სამლოცველოს ქვეშ.¹²² ეკლესიის აღმოსავლეთი კედლის გარეთ არის მოწყობილი ჩასასვლელი სამთავისის თავდაპირველი ეკლესიის კრიპტაში, რომელიც უკანასკნელ წლებში განხორციელებული გათხრების შედეგად გამოვლინდა – VII საუკუნის ბაზილიკის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში ქვით და აგურით ამოშენებული ორსართულიანი დასაკრძლავი აღმოჩნდა.¹²³

კრიპტები აქვს არაერთ სხვა ეკლესიასაც – ამ განსასვენებლების მასშტაბების და არქიტექტურული იერსახის დადგენა მხოლოდ შესაბამისი კვლევების შემდეგ გახდება შესაძლებელი. მაგალითად, ტაოს კიდევ ერთი მონასტრის – ხახულის ტერიტორიაზე, საკათედრო ტაძრის ჩრდილოეთით მდებარე, სავარაუდოდ X-XI საუკუნეების დარბაზული ეკლესიის ქვეშ საკმაოდ მასშტაბური, ქვით ნაგები კრიპტაა. ნაგებობის ნანგრევები, ისევე როგორც არე მის გარშემო, მთის ფერ-



სურ. 38. ნუკას საყდარი. ხედი დასავლეთიდან

სურ. 39. თმოგვის ციხე,
წმ. მარინეს ეკლესია. ხედი
სამხრეთ-აღმოსავლეთიდან



სურ. 40. ვარნეთის ეკლესია, ინტერიერი.
ხედი დასავლეთიდან

დიდან ჩამონაშალი მიწითაა დაფარული – გაწმენდამდე შეუძლებელია კრიპტის გეგმარების და ფორმების თაობაზე მსჯელობა.

იშხანის საკათედრო ტაძრის კომპლექსის ტერიტორიის გაწმენდის შედეგად გამოვლინდა რამდენიმე მცირე სამლოცველოს ნაშთი; მათ შორის ერთ-ერთს (კათედრალის დასავლეთით მდებარე სამლოცველოთა რიგში ჩრდილოეთისას), როგორც ჩანს, უნდა ჰქონოდა მიწის ქვეშ მოქცეული კრიპტა (სურ. 41). სამლოცველოს, ისევე როგორც მისი კრიპტის თაობაზე მსჯელობა საკათედრო ტაძრის კომპლექსის არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგების გამოქვეყნების შემდეგ გახდება შესაძლებელი.

კრიპტა ოთხთა ეკლესიის დასავლეთი მინაშენის საფუძველში.¹²⁴ ასევე ქვით ნაშენი ვრცელი კამერები ჩანს იყალთოს მონასტრის ტერიტორიაზე 2009 წელს არქეოლოგიური გათხრების შედეგად ამალღების ტაძრის სამხრეთით გამოვლენილი მცირე დარბაზული ეკლესიისა¹²⁵ (სურ. 42) და ხევისჭალის დარბაზული ეკლესიის ქვეშ.

კრიპტიანი ეკლესიის განსხვავებულ სახესხვაობას წარმოადგენს დადიანების ეკლესია მარტვილის მონასტერში, ე.წ. „ჩიქვანების საძვალე“ (სურ. 37.15 და 43). აქამდე განხილული კრიპტიანი ეკლესიებისგან განსხვავებით, დადიანების ეკლესია სამ სართულიანი ნაგებობაა; მათგან ზედა „თავისუფალი ჯვრის“ ტიპის გუმბათიანი ეკლესიაა, საძვალე კი მის ქვემოთ არის განთავსებული, შესასვლელით დასავლეთის მხრიდან.¹²⁶

ნიშნეულია, რომ ანისის „ქართული ეკლესიის“ მსგავსი ორსართულიანი კრიპტიანი ეკლესიები უცხოეთის ქართულ სასულიერო კერებშიც იგებოდა. მათგან ერთ-ერთია ღალიას მონასტრის წმ.

ნიკოლოზის ეკლესია-საძვალე, რომელიც X-XI საუკუნეთა მიჯნაზე უნდა აეგოთ¹²⁷ (სურ. 37.14 და 44). მისი ზედა სართული ცალნავიანი ნაგებობაა, ქვემოთ კი დასაკრძალავი ეკვდერი შეუქმნიათ. არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლინდა განსასვენებლის სტრუქტურა, რომელიც კლდეში ამოკაფულ ღრმულშია ჩაშენებული და ცილინდრული კამარით ყოფილა გადახურული. კრიპტას შესასვლელი, სავარაუდოდ, დასავლეთიდან უნდა ჰქონოდა და ორი ნაწილისგან შედგებოდა. დასავლეთ მონაკვეთზე განთავსებულია ოთხი დასაკრძალავი კამერა. სავარაუდოდ, ეს უნდა ყოფილიყო მონასტრის მოწესეთა განსასვენებელი. სამარხი არქიტექტურის ამგვარი სახესხვაობა უცნობია კვიპროსის საეკლესიო არქიტექტურისათვის¹²⁸ – იგი იქ მოღვაწე ქართული ძმობის მიერ უნდა იყოს აგებული ქართული სამონასტრო ტრადიციების შესაბამისად.

დასავლეთის დიდი დომესტიკოსის, გრიგოლ ბაკურიანის ძის მიერ 1083 წელს დაფუძნებული პეტრიწონის მონასტრის სიახლოვეს მდებარე, კომპლექსის თანადროულადვე აგებული, ორსართულიანი ეკლესია-საძვალის ფასადების თაღნარით გაფორმება ქართულ საეკლესიო არქიტექტურიდან მომდინარე ტრადიციასთან მიმართებით განიხილება. ნაგებობის ქვედა სართულზე ვრცელი დასაკრძალავია, ზემოთ კი ეკლესია (სურ. 45).¹²⁹

მოხმობილი მასალები ცხადყოფს, რომ ანისის „ქართული ეკლესია“ აღნაგობით, ისევე როგორც კრიპტის აგებულებით, ყველაზე ახლოს დგას სამხრეთ საქართველოს დასაკრძალავ ეკლესიებთან, სახელდობრ ისეთებთან, როგორებიცაა ოთხთა ეკლესიის ლავრის ეკლესია, აგრეთვე არსენისეული ეკლესია; მათთან ერთად შეიძლება დასახელებულ იქნას ტაბაკინი დასავლეთ საქართველოში. ნიშნულია, რომ ამ ეკლესიათა აგების პერიოდი X საუკუნის მიწურულით – X-XI საუკუნეთა მიჯნით იფარგლება. ანისის „ქართული ეკლესია“ უფრო მეტად სამხრეთ საქართველოს სამშენებლო ტრადიციასთან მიმართებით შეიძლება იქნას განხილული.¹³⁰

სომხეთში დასაკრძალავთა არქიტექტურული ტრადიცია მნიშვნელოვნად სხვაობს საქართველოს, ბიზანტიის და ზოგადად მართლმადიდებლური სამყაროსგან. ამ შემთხვევაში არსებითია ის გარემოება, რომ ადგილობრივი საეკლესიო ტრადიციის შესაბამისად, მიცვალებული ტაძარში არ იკრძალება. სამარხი არქიტექტურის ტრადიცია არსობრივად უკავშირდება სომხეთის ეკლესიის აღმსარებლობით გემს და ქვეყნის საეკლესიო თუ საერო არქიტექტურულ პრაქტიკას.¹³¹ არამ მარდიროსიანი ამის საფუძვლებს ხედავს ქრისტიანულ სომხეთში შემორჩენილ ზოროასტრულ წესში, რომლის თანახმადაც, გვამი უწმინდურ მატერიას წარმოადგენს.¹³² მისი აზრით, სომხეთში ქრისტიანობის გავრცელებიდან რამდენიმე საუკუნის შემდეგ, ზოროასტრული რწმენა იმისა, რომ დამარხული მიცვალებულის გვამი იწვევდა მიწის გაუწმინდურებას, კვლავ საგრძნობლად ძლიერი იყო – ამან ასახვა ჰპოვა საეკლესიო კანონებში და გავრცელდა ქრისტიანულ წმინდა ადგილებზეც.¹³³

VI საუკუნეში, ნერსესისა და ნერშაპუჭის სომხური საეკლესიო კრებების დადგენილებებში ძველი ტრადიცია კვლავ აისახა:



სურ. 41. იზხანის საკათედრო ტაძარი, ახლადგამოვლენილი დარბაზული ეკლესიის ნანგრევები კრიპტით. ხედი დასავლეთიდან



სურ. 42. იყალთოს მონასტერი, აკლდამიანი ეკლესია. ხედი დასავლეთიდან



სურ. 43. მარტვილის მონასტერი, ჩიქვანების საძვალე ეკლესია. ხედი აღმოსავლეთიდან



სურ. 44. ღალია. წმ. ნიკოლოზის ეკლესიის საძვალე. ხედი დასავლეთიდან

„სამარხი არ შეიძლება იყოს მოთავსებული ეკლესიის შიგნით, ხოლო თუ იქნება ნანახი ასეთი შემთხვევა, მაშინ არავის აქვს უფლება აღასრულოს ჟამისწირვა ეკლესიაში, სანამ ადგილი არ გასუფთავდება“.¹³⁴ საჰაკ პართევი (†439 წ.) განაწესებს, რომ „გაუკუღმართებული წესი საშუალებას აძლევდა მღვდლებსა და მათ თანამეცხედრეთ, საფლავები ჰქონოდათ ეკლესიის შიგნით და სხვა წმინდა ადგილებში. მათ არ აქვთ ამის გაკეთების უფლება და მღვდლების საფლავები სხვა საერო პირთა საფლავების გვერდით (ეკლესიის გარეთ – ი.გ.) უნდა მოთავსდეს, რათა წმინდა ადგილებს ჯეროვანი პატივი მიეგოს“.¹³⁵

ჰოვანეს მაირაგომეცის (†650 წ.) მიხედვით, აკრძალულია ჟამისწირვის აღსრულება იქ, სადაც წმიდა მოწამის ნაწილებია დაბრძანებული, რადგან ადამიანის გვამის უწმინდურობა მარტვილთა წმინდა ნაწილებზეც გადადის. ამასთანავე, წმინდა ნაწილები შეიძლება დაბრძანებულ იქნას ტაძარში, სამლოცველოში ან სამარტვილეში ნებისმიერ ადგილას, გარდა საკურთხევისა.¹³⁶ სომხეთის მონოფიზიტური ეკლესიის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის საეკლესიო წესგანგებასთან მიმართებით გვამის უწმინდურობასთან დაკავშირებული წინაქრისტიანული ტრადიციის გათვალისწინება, მარდროსიანის აზრით, ნათლად მეტყველებს, თუ რაოდენ იყო ფესვგადგმული ძველი წეს-ჩვეულებები სომხურ საზოგადოებაში.¹³⁷

ზოროასტრულ ტრადიციასთან ერთად მნიშვნელოვანია თავად სომხეთის მონოფიზიტური ეკლესიის სწავლება ქრისტეს ერთი ბუნების შესახებ. საფიქრებელია, რომ ზოროასტრული ტრადიციის შენარჩუნებასა და ქრისტიანულ გარემოში მის ადაპტაციას სომხური ეკლესიის აღმსარებლობითმა გემმაც შეუწყო ხელი. მონოფიზიტური აღმსარებლობისთვის, რომელიც ქრისტეს მხოლოდ ერთ ბუნებას აღიარებს, ასევე მიუღებელია ადამიანის სხეულის ტაძარში დაკრძალვა.¹³⁸ ამგვარი სწავლებებისა და კანონების შესაბამისად მოხდა სომხეთში დასაკრძალავი არქიტექტურის განვითარებაც და ის დიოფიზიტური აღმსარებლობის ქვეყნებისგან განსხვავებულ ტრადიციად ჩამოყალიბდა. სომხეთის ეკლესიის მრავალასწლოვანი ისტორიის მანძილზე მიმდინარე პროცესების კვალად იკვეთება ადგილობრივ ნიადაგზე მემორიალური არქიტექტურის მრავალგვარობის წანამძღვრებიც. სომხეთსა და საქართველოს შორის ამ მხრივ სხვაობა ნათელია: საქართველოში სამარხი არქიტექტურის ის ტიპი დამკვიდრდა, რომელსაც ანისის „ქართული ეკლესიის“ ტიპიც შეიძლება ვუწოდოთ, სხვა საფლავებზე არქიტექტურული ფორმები კი მისთვის ფაქტობრივად უცნობია. როგორც ჩანს, თავად ფაქტი იმისა, რომ წმინდანი ან წარჩინებული პირი ტაძარში იკრძალებოდა, რაც უთუოდ ყველაზე დიდი პატივი იყო, ცალკე სამარხი არქიტექტურის შექმნის აუცილებლობას არ გულისხმობდა. შესაბამისად, ის არც განვითარებულა, განსხვავებით სომხეთისგან, სადაც საუკუნეების განმავლობაში ამ ფუნქციას სხვადასხვა სახის, ამასთან ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული სახის ნაგებობები – ეკლესიები, მავსოლეუმები, სტელები იტვირთავდა.¹³⁹


მიჩნეულია, რომ ქრისტიანობის გავრცელების ხანიდან მო-



სურ. 45. პეტრიწონის მონასტერი, ეკლესია-საძვალე. ხედი დასავლეთიდან

ყოლებული, ადრეული შუა საუკუნეების განმავლობაში სომხეთში „მემორიალურმა კულტმა საფუძველი დაუდო სამარხი არქიტექტურის სხვადასხვა ფორმებს, რაც თავდაპირველად დაფუძნებული იყო ურარტულ, რომაულ-ელინისტურ და მესოპოტამიურ (განსაკუთრებით კი სირიულ) ტრადიციებზე, თუმცა კი მან საკუთარი, სპეციფიკური ხასიათი V-VI საუკუნეებისთვის მიიღო. მონაცემები ცხადყოფს, რომ IV საუკუნისთვის უკვე არსებობდა რიგი სამარტვილეებისა... ამასთან მათი აგებულება იდენტური არაა“.¹⁴⁰ დროთა განმავლობაში შეიქმნა დასაკრძალავთა სახესხვაობები, რომლებიც თანადროულად არსებობდნენ.

ადრეული შუა საუკუნეების სომხეთის მემორიალურ ძეგლებს ორ ძირითად ჯგუფად ჰყოფენ: ესაა ძეგლები შიდა სივრცის გარეშე და ძეგლები სივრცული აღნაგობით.¹⁴¹ თავის მხრივ, მეორე ჯგუფში გამოიყოფა რამდენიმე ქვესახეობა: ორსართულიანი კრიპტიანი ნაგებობები, კლდეში ნაკვეთი აკლდამები, იარუსიანი შენობები კრიპტის გარეშე, ჟამატუნები და გავითები. მათგან ორისთვის – კრიპტიანი ეკლესიებისა და კლდეში ნაკვეთი აკლდამებისათვის, ხშირ შემთხვევაში, დამახასიათებელია თანაგვარი ფორმები, რაც, თავის



სურ. 46. ადრექრისტიანული სომხეთის დასაკრძალავები: 1. ალცი; 2-3. ანისი, გაილაძორის ხევი; 4. წმ. რიფსიმე; 5. წმ. გაიანე; 6. ოშაკანი, წმ. მესროპ მაშტოცი; 7. ამარა, წმ. გრიგოლი; 8. ზოვოუნი, წმ. ვარდანი; 9. ჟვრაპი; 10. ნახჩევანი. წიგნიდან – Donabedian 2008



სურ. 47. ალცი. არშაკუნიანთა დასაკრძალავი

მხრივ, საერთო საწყისებზე უნდა მეტყველებდეს. ამ მხრივ ნიშნული ხანს შიდა სივრცის აგებულება: ძირითადად ესაა კამარით გადახურული მცირე კამერა, კედლებში არსებული ნიშებით – მიცვალებულთა განსასვენებელი არკოსოლიუმებით. ამ რიგის განსასვენებლები ფართოდ იყო გავრცელებული როგორც წინარექრისტიანული ხანის ბერძნულ-რომაულ სამყაროში, ისე გვიანანტიკურ და ადრექრისტიანულ მცირე აზიასა და სირიაში. არსებობს მოსაზრება, რომ სომხური დასაკრძალავი არქიტექტურის საწყისები, ისევე როგორც მთლიანად ადრეული სომხური არქიტექტურისა, სწორედ სირიიდან უნდა მომდინარეობდეს.¹⁴² თავის მხრივ, რამდენიმე ჯგუფად იყოფა სირიის ადრექრისტიანული დასაკრძალავი არქიტექტურაც, თუმცა კი მისთვის საზოგადოა ძირითადი მახასიათებლები: კლდეში ნაკვეთ სამარხებს სამ მხრივ აქვს ნიშები – არკოსოლიუმები, მეოთხე მხარეს კი ღიობი, რომელიც მოძრავი ქვით იკეტებოდა.¹⁴³ სომხეთის ადრექრისტიანული დასაკრძალავი ნაგებობები სწორედ ამ ტრადიციის შესაბამისად იქმნებოდა: ეკლესიის ქვემოთ განთავსებულ კრიპტებს მსგავსი გეგმარება აქვს.

სტეფანოს ტარონეცის ცნობა, რომლის მიხედვითაც კათოლიკოსმა ნერსეს I-მა (353-373 წწ.) ბრძანა წმ. გრიგოლის დასაკრძალავზე ეკლესიის აგება, ქრისტიანობის გავრცელების ადრეულ ეტაპზევე, ორიარუსიანი სამარხი არქიტექტურის არსებობის დასტურად არის მიჩეული; არსებობს მოსაზრება, რომ ადრეული პერიოდის ყველა დასაკრძალავი ნაგებობა უნდა ყოფილიყო ორსართულიანი სტრუქტურა, რომლის მიწისქვეშა სართული წარმოადგენდა აკლამას, ხოლო მასზე დაშენებული იმავე ზომის ეკლესია ჟამისწირვისთვის იყო განწყობილი.¹⁴⁴

უცნობია, როგორი იყო განსასვენებლებზე აღმართული თანადროული ნაგებობების ფორმები. შესაძლებელია, დასაკრძალავებს მცირე დარბაზული ეკლესიები ედგა, მსგავსი ანისის „ქართული ეკლესიისა“; მისი მაგალითები ადრეული ხანის სომხურ დასაკრძალავ არქიტექტურაშიც დასტურდება. მემორიალური არქიტექტურის ამ

ფორმას სურენ მნაცაკანიანი სომხეთის ადრექრისტიანული პერიოდის დასაკრძალავი არქიტექტურისთვის დამახასიათებელ ფორმად მიიჩნევს.¹⁴⁵ კრიპტებზე აღმართული ეკლესიები ძირითადად დანგრეულია, ანდა სხვადასხვა პერიოდში განახლებულ-გადაკეთებული; მათგან განსხვავებით, თავად კამერები და კრიპტები მეტ-ნაკლებად ავთენტური სახით არის შემორჩენილი (სურ. 46) ამჯერად საგულისხმო და მნიშვნელოვანი სწორედ კრიპტების აგებულებაა, აგრეთვე ის, თუ როდის და რა ფორმით ხდებოდა ორსართულიანი, ანუ კრიპტიანი ეკლესიების მშენებლობა.

აღცის სამარტვილე ორსართულიანი კრიპტიანი ეკლესიის ერთ-ერთი გამორჩეული ნიმუშია. ეს იყო ორსართულიანი მონუმენტური ნაგებობა, რომლის ქვედა სართულზე მიწისქვეშა განსასვენებელია, დასავლეთიდან მოწყობილი ჩასასვლელით, აღმოსავლეთით საკურთხევლის აფსიდით, განივ კედლებში გამოყვანილი ინდივიდუალური უბეებით – არკოსოლიუმებით, სადაც იკრძალებოდნენ არშაკუნიანთა სამეფო ოჯახის წევრები. დასაკრძალავი გაფორმებულია ძველი აღთქმის რელიეფური სიუჟეტებით. აკლდამა 368 წლით თარიღდება.¹⁴⁶ მიჩნეულია, რომ შიდა სივრცის აგებულებით აღცის აკლდამა ეფუძნება რომაული ეპოქის სირიულ ტრადიციას და კატაკომბების არქიტექტურას (სურ. 46.1 და 47).¹⁴⁷

იდგა თუ არა აღცის სამარტვილეზე თავდაპირველადვე ეკლე-



სია თუ იგი მოგვიანოდ აიგო, უცნობია. სურენ მნაცაკანიანის რეკონსტრუქციის მიხედვით, ის სწორედაც რომ ქართული ნიმუშების ანალოგიურია. პატრიკ დონაბედიანი მიიჩნევს, რომ სწორედ ასეთი ეკლესიები იდგა წმ. გაიანესა და წმ. რიფსიმეს დასაკრძალავებზე, რომლებიც ვალარშაპატში 400 წლის ახლოს, წმ. გრიგოლის განგებით აიგო.¹⁴⁸

წმ. რიფსიმეს საფლავზედა ეკლესია დღეს მისივე სახელობის VII საუკუნის დიდი გუმბათიანი ტაძარია, რომელიც კათოლიკოს საშაპის (387-438 წწ.) მიერ აგებული მცირე სამლოცველოს ადგილზე აღუმართავთ. აკლდამა საკურთხევლის ქვეშაა მოქცეული. მცირე ზომის კამერას აქვს აფსიდი და დასაკრძალავი ნიშა. არკოსოლიუმები აქ არ

სურ. 48. ერმიადინი, წმ. რიფსიმეს საკათედრო ტაძარი. ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან

სურ. 49. ერმიადინი, წმ. გაიანეს ეკლესია. ხედი დასავლეთიდან



სურ. 50. კარენისი, წმ. თადეოსის ეკლესია, ინტერიერი. ხედი დასავლეთიდან

არის.¹⁴⁹ მინეულია, რომ ოძუნის სტელაზე გამოსახული სამიარუსიანი ნაგებობა უნდა იყოს რიფსიმეს საფლავსზედა ნაგებობა (სურ. 46.4 და 48), თუმცა სხვა მოსაზრებით, აკლდამას ზემოთ იდგა დარბაზული ეკლესია – ისეთივე, როგორც უნდა ყოფილიყო ალცში.¹⁵⁰

წმ. გაიანეს სამარტვილე 400 წლის ახლო ხანებში აიგო.¹⁵¹ სავარაუდოა, რომ მის ზემოთ აღმართული იყო მცირე ეკლესია, რომლის თავდაპირველი ფორმები უცნობი რჩება – დასაკრძალავი ამჟამად მოქცეულია დიდი გუმბათიანი ეკლესიის საკურთხევლის ქვეშ, რომელიც VII საუკუნეში აიგო კათოლიკოს ებრას (630-641 წწ.) მიერ. დასაკრძალავი მცირე ზომის მიწისქვეშა სათავსია აღმოსავლეთით არსებული სწორკუთხა ნიშით და სამხრეთ კედელში შექმნილი დასაკრძალავი არკოსოლიუმით. დასაკრძალავ კამერას ორი კარი უნდა ჰქონოდა, რაც მომლოცველთა შეუფერხებელი მოძრაობისთვის იყო გამიზნული (სურ. 46.5 და 49).¹⁵²

დასაკრძალავები ოშაკანსა და ამარასში თავისი აგებულებით წმ. გაიანეს სამარტვილეს მსგავსია – კამერებს აქვს ორ-ორი კარი აქვს. ოშაკანის წმ. მესრობ მაშტოცის აკლდამა 443 წელს აიგო და ამჟამად 1875 წლით დათარიღებული ეკლესიის საკურთხევლის ქვეშაა მოქცეული (სურ. 46.6).¹⁵³ წმ. გრიგოლის შვილისშვილის, მასქუთების (მასაგეტების) მოქცევისას მოწამებრივად აღსრულებული წმინდანის, წმ. გრიგოლის სამარტვილე ამარასში, 489 წლის ახლობანებში, მეფე ვაჩაგანის დროსაა აგებული. კრიპტა ორი ჩასასვლელით მოქცეულია XIX საუკუნის ეკლესიის საკურთხევლის ქვეშ (სურ. 46.7).¹⁵⁴

V საუკუნეში აგებული დასაკრძალავი კარენისში VII საუკუნის დარბაზული ეკლესიის საკურთხევლის ქვეშაა მოქცეული (სურ. 50).¹⁵⁵ იგი ალცის დასაკრძალავის კომპოზიციური ტიპის სახესხვაობად მიიჩნევა. კარენისში კრიპტას აქვს აფსიდი, მაგრამ არ აქვს არკოსოლიუმები. იგი უფრო მცირე ზომისაა, ვიდრე ალცის დასაკრძალავი; ასევე არ აქვს საფეხურებიანი სტილობატი.

ზემოთ დასახელებულ ყველა დასაკრძალავს აღმოსავლეთით აქვს საკურთხევლის ფუნქციის მქონე აფსიდი ან სწორკუთხა ნიში – ივარაუდება, რომ ეს ადრეული პერიოდისთვის დამახასიათებელი ნიშანი უნდა იყოს.¹⁵⁶

დასაკრძალავთა ამ რიგისგან განსხვავდება ადრეული ხანის ის სამარხი კამერები, რომელთაც სწორკუთხა ფორმა აქვთ, ნიშების და აფსიდების გარეშე.

ზოგუნის წმ. ვარდანის დასაკრძალავი (სავარაუდო თარიღი – V ს). მართკუთხა სათავსია. (სურ. 46.8) ივარაუდება, რომ თავდაპირველად მასზე უნდა მდგარიყო კოშკურა ნაგებობა. მოგვიანოდ აქ დარბაზული ეკლესია აუგიათ – დასაკრძალავი კამერა განთავსებულია ეკლესიის არა საკურთხევლის, არამედ სამხრეთი მონაკვეთის ქვეშ.¹⁵⁷

ერერუიქის ერთნავიანი ეკლესიის ქვეშ არის ნახევრად მიწის ქვეშ მოქცეული კამაროვანი სათავსი, სავარაუდოდ მაგზოლეუმი (VI ს.).¹⁵⁸

მრენის (630-640 წწ.) ეკლესიის დაზიანების შედეგად მისი საკურთხევლის ქვეშ გამოვლინდა მცირე ზომის სწორკუთხა, კამარო-

ვანი სათავსი. მასში ჩასასვლელი გაწმენდითი სამუშაოების ჩატარების გარეშე არ ჩანს. კრისტინა მარანჩი მიუთითებს მის სიახლოვეზე წმ. რიფსიმესა და წმ. გაიანეს ეკლესიების ქვეშ არსებულ სამარტვილებთან.¹⁵⁹

ხორ ვირაპის ეკლესია (აგებული 641 წელს და განახლებული XIII-XVII საუკუნეებში) აღმართული იყო IV საუკუნის სათავსზე, რომელსაც, სავარაუდოდ, დასაკრძალავის დანიშნულება უნდა ჰქონოდა.¹⁶⁰

თალინის საკათედრო ტაძრის ჩრდილოეთით გამოვლინდა ნანგრევები ცალკე მდგომი დარბაზული ეკლესიისა, რომელიც კამაროვანი კრიპტის თავზე იყო აღმართული (სურ. 51). უცნობი რჩება მისი აგების პერიოდი, აგრეთვე ის, თუ ვინ უნდა ყოფილიყო იქ დაკრძალული. ივარაუდება, რომ ეკლესია კრიპტითურთ ადრეული შუა



სურ. 51. თალინი, საკათედრო ტაძრის ჩრდილოეთით არსებული ეკლესია აკლდამით. ხედი დასავლეთიდან



სურ. 52. ცალაც ქარის ეკლესია. ხედი ჩრდილო-დასავლეთიდან

საუკუნეების გარკვეულ მონაკვეთში უნდა აეგოთ.¹⁶¹

ვაჰანავანქის ეკლესია ორსართულიანი ნაგებობაა; მისი ზედა სართული დარბაზულ ეკლესიას წარმოადგენს; ქვემოთ არსებული, ორკამერიანი სივრცე, სავარაუდოდ, სამარხი უნდა იყოს. ეკლესია 1086 წლით თარიღდება.¹⁶²

ცალაც ქარის 1041 წელს აგებული სამლოცველო ორსართულიანი დასაკრძალავი ნაგებობაა. ვაჰანავანქის მსგავსად, ისიც ნაწილობრივ მიწის ქვეშ არის მოქცეული. თავისი აგებულებით იგი განსხვავდება ზემოთ დასახელებულ სომხურ ძეგლთაგან, რადგან ორსართულიანია მხოლოდ ეკლესიის დასავლეთით არსებული სივრცე და არა თავად ეკლესია (სურ. 52). ამ მხრივ ნაგებობა საერთოს ჰპოვებს როგორც ჟამატუნ/გავითებთან (სადაც დასაკრძალავი ეკლესიის გარეთ არის განთავსებული), ისე მრავალღარუსიან მემორიალურ ძეგლებთან.¹⁶³

სამარხი კამერების მოწყობის თვალსაზრისით საგულისხმო ჩანს კლდეში ნაკვეთი აკლდამებიც.



სურ. 53. ანისი, წაღკოცაძორის ხევი, კლდეში ნაკვეთი აკლდამა №1, ინტერიერი

სურ. 54. წაღკოცაძორის ხევი, კლდეში ნაკვეთი აკლდამა №2, ინტერიერი

ანისში, გაილაძორის ხევის გასწვრივ მრავლადაა კლდეში გამოკვეთილი სამარხები (სურ. 53 და 54) ესაა მცირე ზომის სამარხი კამერები, რომელთაც აღმოსავლეთით აქვს აფსიდი, დასავლეთით – დარანი/დრომოსი, განივ კედლებში კი არკოსოლიუმები სამარხებისთვის.¹⁶⁴ ნიკოლაი ტოკარსკის მოსაზრებით, ეს აკლდამები კამსარაკანების ეპოქას უნდა მიეკუთვნებოდეს, ისევე როგორც ალცის აკლდამა.¹⁶⁵ ეს სავსებით მოსალოდნელია, რადგან აკლდამები რომაული სამარხი არქიტექტურის პრინციპებზეა აგებული და საერთოს ჰპოვებს ასევე ანატოლიის, განსაკუთრებით, კაპადოკიურ, სამარხ არქიტექტურასთან. ეს მსგავსება ცხადყოფს, რომ ანისში, მსგავსად კაპადოკიისა, გრძელდებოდა დასაკრძალავთა რომაული ტრადიციის ადაპტირება.¹⁶⁶ კლდეში ნაკვეთი სამარხი არქიტექტურის ტრადიცია ანისშიც საუკუნეების განმავლობაში ყოფილა შენარჩუნებული. ამის მოწმობად თუნდაც ტიგრან ჰონენცის დასაკრძალავის დასახელება იკმარებდა (სურ. 55).¹⁶⁷

სომხური დასაკრძალავი არქიტექტურის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ფორმა ჟამატუნი და გავითია. ესაა კვადრატული ან მართკუთხა გეგმარების ვრცელი სათავსი, ცენტრში ოთხი მასიური სვეტით, რომლებიც ერთმანეთს, ისევე როგორც კედლის პილასტრებს, თალებით უკავშირდებიან. შედეგად სივრცე ცხრა ნაწილად



სურ. 55. ანისი, წაღკოცაძორის ხევი, ტიგრან ჰონენცის დასაკრძალავი. ხედი აღმოსავლეთიდან

იყოფა. სვეტებს შორის, კამარის ცენტრში, ღიობია, რომლის ფორმები და დეკორი დროთა განმავლობაში იცვლებოდა.¹⁶⁸ როგორც წესი, გავითი/ჟამატუნი ეკლესიის დასავლეთით მდებარეობს (არის გამო-ნაკლისებიც), და ისინი დასაკრძალავად გამოიყენებოდა.¹⁶⁹ მიჩნეულია, რომ თავდაპირველად ჟამატუნი ჰორომოსის მონასტერში უნდა აეგოთ (სურ. 56).¹⁷⁰ ემმა ვარდანიანი მიიჩნევს, რომ ჰორომოსის მონასტრის ეკლესიის ჟამატუნი, თავისი ფორმითა და სხვადასხვა ელემენტებით, ემყარება დასაკრძალავი არქიტექტურის ძველ ტრადიციებს, ამასთან იგი წარმოადგენს არა იმდენად ამ ტრადიციის ტიპოლოგიურ განვითარებას, არამედ მის სახესხვაობას, რომელიც



ახალი მნიშვნელობით იქნა აღბეჭდილი – მისი სტრუქტურული და დეკორატიული სიახლეები ნაკარნახევი უნდა ყოფილიყო ფუნქციური მოთხოვნილებებით. სახისმეტყველებითად იგი მნახველს შეახსენებდა უფლის საფლავს, რომელიც ყველა ქრისტიანული დასაკრძალავის პირველსახე იყო.¹⁷¹

გავითი/ჟამატუნი სომხური დასაკრძალავი არქიტექტურის საყოველთაოდ მიღებულ ფორმად ჩამოყალიბდა და სამონასტრო კომპლექსთა აუცილებელ ნაწილად იქცა (სურ. 57).¹⁷²

სომხურ მემორიალურ არქიტექტურაში დასტურდება კიდევ ერთი ფორმა, რომელიც გავითის/ჟამატუნის მსგავსად სრულიად განსხვავდება ანისის „ქართული ეკლესიის“ არქიტექტურისგან, თუმცა კი ამ სახესხვაობის გათვალისწინება საგულისხმო ჩანს სომხეთის სამარხი არქიტექტურის საერთო სურათის წარმოსადგენად. ეს არის

სურ. 56. ჰორომოსის მონასტერი, ზედა კომპლექსი. საერთო ხედი ჩრდილო-აღმოსავლეთიდან

სურ. 57. გავითები სომხურ საეკლესიო არქიტექტურაში: 1. გოშავანქი; 2. საღმოსავანქი; 3. ჰალარწინი; 4. ჰოვანავანქი



1.



2.



3.



4.

რამდენიმე იარუსიანი ნაგებობა, რომლის პირველი, მიწისპირა სართული სამარხი-მაგზოლეუმია, მასზე დადგმული გუმბათიანი ან ფანჩატურიანი სამლოცველოთი, ისე, რომ შენობა სამსართულიან, შვეულად განვითარებულ, სტრუქტურას წარმოადგენს. ამ ტიპის ნაგებობები XIII-XIV საუკუნეებში იქმნებოდა. ეს ფორმა ძალიან ჰგავს სამრეკლოებს, მაგრამ მის წინასახედ არა სამრეკლოები, არამედ დასაკრძალავები ითვლება. როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ოძუნის სტელაზე გამოსახულ ნაგებობას, სახელდობრ მაღალ სტილობატზე შემომდგარ ფანჩატურს, წმ. რიფსიმეს საფლავზე აგებული ეკლესიის


გამოსახულებად მიიჩნევენ.¹⁷³ მართალია, ამ ტიპის ნაგებობები არ შემორჩენილა, მაგრამ, სავარაუდოდ, ისინი ჯერ კიდევ არსებობდა, როდესაც იარუსებიანი სამარხების შენება დაიწყო. პატრიკ დონაბედიანი მიიჩნევს, რომ ეს მემორიალური ნაგებობები არ მიყვება სირიულ ტრადიციას; ისინი შთაგონებული უნდა ყოფილიყო ანტიკური ხანის და რომაული ეპოქის სამსაფეხურიანი აკლდამების აღნაგობით.¹⁷⁴ კავკასიის სხვადასხვა რეგიონში არსებული ამ რიგის დასაკრძალავების განხილვისას, ბარბარა შელევალდმა ისინი იერუსალიმს დაუკავშირა.¹⁷⁵

სომხეთში ამ ტიპის გამორჩეულ ნიმუშებად შეიძლება დასახელებულ იქნას ელვარდი (1310-1320),¹⁷⁶ ნორავანქი (1339),¹⁷⁷ კაპუტანი (1349) (სურ. 58, 59 და 60).¹⁷⁸


სართულებიანი, შვეულად აღნაგი დასაკრძალავი არქიტექტურის ჯგუფში შედის ანისის გარეთ მდებარე, ამჟამად განადგურებული ე.წ. მწყემსთა ეკლესია (სურ. 61), რომლის პირველ სართულზე იყო რადიალურად განლაგებული ექვსი ნიშა, აფსიდის გარეშე, რაც გარე მასებში თორმეტწახნაგა ვარსკვლავის ფორმას იძენს. ეს აგებულება ორივე სართულზე მეორდება. შენობა ძალიან ჰგავს ეკლესიას, მხოლოდ შიდა სივრცის გადაწყვეტა მიაჩნება, რომ იგი, სავარაუდოდ, დასაკრძალავი უნდა ყოფილიყო. დაუზუსტებელია ძეგლის შექმნის პერიოდიც, თუმცა არსებობს მოსაზრება, რომ ნაგებობა XI საუკუნეს განეკუთვნება და შვეულად აღმართული სართულებიანი დასაკრძალავის დღეისთვის ცნობილ უადრეს ნიმუშს წარმოადგენს. სხვა მოსაზრებით იგი XIII საუკუნეში უნდა აეგოთ.¹⁷⁹

მათგან რამდენადმე სხვაობს ტათევის 1087 წლის ორიარუსიანი ნაგებობა,¹⁸⁰ აგრეთვე ვარამ და სარგის მხარგრძელების 1189 წლის დასაკრძალავი სანაინის მონასტერში – კვადრატული ნაგებობა კამაროვანი გადახურვით. სარქის შაჰინიანი თვლის, რომ დასაკრძალავზე აღმართული იყო ეკლესია, რომლის პარალელად ჰორომოსის მონასტერში ბაგრატუნების განსასვენებელი სახელდება.¹⁸¹

მოხმობილ ძეგლთა გათვალისწინება ცხადყოფს, რომ განსასვენებლები, როგორც წესი, ეკლესიებს ქვემოთ არსებულ სათავსებშია განთავსებული; ამასთანავე, სურათი არაა ისე ერთმნიშვნელოვანი, როგორც ეს ზემოთ მოტანილი საეკლესიო დადგენილებით შეიძლება ყოფილიყო განსაზღვრული. არც ზოროასტრული ტრადიციები ჩანს იმხანად იმდენად ძლიერი, რომ იმ ეკლესიებში, სადაც დასაკრძალავები არსებობდა, ჟამისწირვა სრულიად აეკრძალათ.¹⁸² ყოველ შემთხვევაში, ქრისტიანობის გავრცელების ადრეულ ეტაპზე, IV-V საუკუნეებში, ეკლესიები საფლავებზე იგებოდა, ხოლო საფლავისა და ეკლესიის უფრო მკვეთრი გამიჯვნა, სავარაუდოდ, სხვა მიზეზებით იქნა განპირობებული. გამორიცხული არ არის, რომ ეს უნდა ყოფილიყო დაკავშირებული სომხეთის სახელმწიფოებრიობის დაკარგვასა და სამეფო მმართველობის გაუქმებასთან, რადგან ეკლესიაში დაკრძალვის სწორუპოვარი უფლება, რაც იქამდე მხოლოდ სამეფო ოჯახის წევრებსა და ეკლესიის მწყემსმთავარს ეკუთვნოდა, შემდგომში დაიკარგა და მივიწყებას მიეცა. თუმცა, ეს არგუმენტი არ ჩანს დამაჯერებელი, რადგან მოგვიანოდ სწორედ სამეფო დინას-



სურ. 58. ელვარდი, აზიზბექის დასაკრძალავი და ეკლესია. ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან



სურ. 59. ნორავანქი, ბურთელის დასაკრძალავი და ეკლესია. ხედი ჩრდილო-დასავლეთიდან



სურ. 60 კაპუტანი, წმ. მინას დასაკრძალავი ეკლესია. ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან



სურ. 61. ანისის შემოგარენი, ე.წ. მწყემსთა ეკლესია. 1905 წლის ფოტო

ტიის წიაღში ჩამოყალიბდა სამარხი არქიტექტურის ახალი ფორმა გავით/ჟამატუნის სახით.

არ გამოირიყხება იმის შესაძლებლობაც, რომ ეს აკრძალვა ძალაში შევიდა მას შემდეგ, რაც სომხეთის საეკლესიო კრებამ დვინში საბოლოოდ უარყო ქალკედონის მსოფლიო საეკლესიო კრების დადგენილებები მაცხოვრის ბუნებასთან დაკავშირებით. ამის კვალად სომხეთში დგება ახალი ეტაპი მემორიალური არქიტექტურული ფორმებისა და პრინციპების ჩამოყალიბებისათვის.

სომხეთსა და საქართველოში სამარხი საეკლესიო არქიტექტურის ტრადიციებთან მიმართებით შეჯამებისას შეიძლება გამოიყოს რამდენიმე ასპექტი, რაც მათ საერთო საწყისებსა და განსხვავებულ გეგმზე მიუთითებს:

კრიპტიან ეკლესიაში იკრძალება წმიდა მოწამე, ქვეყნის/რეგიონის უზენაესი მმართველი გვარის წარმომადგენელი ან საეკლესიო იერარქი.

IV-V საუკუნეებში იგება კამაროვანი კრიპტები, რომლებზეც თანადროულად ან ახლო ხანებშივე აღიმართება მცირე დაბაზული ან სხვა ტიპის (გუმბათიანი ან ბაზილიკური ტიპის) ეკლესიები.

ერთ-ერთი არსებითი განსხვავება ქართულ და სომხურ დასაკრძალავ ნაგებობებს შორის თავად განსასვენებლის ადგილია – საქართველოში (ისევე როგორც ბიზანტიაში ან ბალკანეთში), განსვენებული ეკლესიაში იკრძალება.

საქართველოში დასაკრძალავ სათავსებს შესასვლელი მეტწილად აღმოსავლეთიდან აქვს, მაშინ როცა სომხეთში ეს ადგილი მკაფიოდ განსაზღვრული არ ჩანს.

მოგვიანოდ, X საუკუნიდან მოყოლებული, დასაკრძალავთა აგებისას სომხეთში საჩინოა ახალი არქიტექტურული ფორმების ძიება, მაშინ როდესაც საქართველოში და ქრისტიანული აღმოსავლეთის სხვა რეგიონებში კვლავაც გრძელდება კრიპტიანი ეკლესიების მშენებლობა.

* * *

როგორც უკვე აღინიშნა, „ქართული ეკლესია“, კრიპტასთან ერთად, მთლიან აბრისშია მოქცეული – ზედა და ქვედა იარუსები გარედან ერთნაირად, კარგად თლილი ქვითაა მოპირკეთებული. ნაგებობას ფასადებზე სართულთა გამომყოფი კარნიზიც არ უნდა ჰქონოდა.

რამდენადაც გაფორმებული იყო შიდა სივრცე, იმდენად სადა და ასკეტური იყო მისი თავდაპირველი გარესახე. საარქივო ფოტოების მიხედვით, სადაც კარგად ჩანს XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ჯერ კიდევ მდგომი აღმოსავლეთი და სამხრეთი კედლები, ეკლესიის ფასადებს თაღნარი არ ამშვენებდა; (სურ. 5-9) ნაგებობაზე არც რელიეფები და ორნამენტები ყოფილა დადასტურებული. აღმოსავლეთი ფასადის ერთადერთი მორთულობა სადა კარნიზიანი საპირე იყო – საკურთხევლის სარკმელს, რომელსაც ინტერიერში ნახევარწრიული თაღი აგვირგვინებდა, ფასადზე მართკუთხა საპირე გააჩნდა (სურ. 4 და 5). პროფილირებული ჩარჩოს შიგნით, სიღრმეში, კიდევ ერთი კარნიზია. ამ ტიპის საპირეები დამახასიათებელია ანისის არ-


ქიტექტურისთვის (სურ. 62). ორნამენტაციისგან თავისუფალი ან წნული ორნამენტაციით შევსებული, მართკუთხა მოხაზულობის, მრავალპროფილიანი ჩარჩო ამკობს ანისისა და მისი არქიტექტურული სკოლის ძეგლებს: შირაკავანის კათედრალს (IX-X სს.),¹⁸³ ანისის კათედრალს (1001 წ.),¹⁸⁴ მიჯნაბერდს (X-XI სს.),¹⁸⁵ წმ. გიორგის ეკლესიას ჰორომოსში (X-XI საუკუნის მიჯნა),¹⁸⁶ მარმაშენის მონასტრის მთავარ ეკლესიას (ადრეული XI ს.),¹⁸⁷ ტიგრან ჰონენცის საფასით აგებულ წმ. გრიგოლის ეკლესიას (1215 წ.),¹⁸⁸ ბახტაგეკის წმ. გრიგოლის ეკლესიას (XIII ს.),¹⁸⁹ ე.წ. ქალწულთა მონასტრის ეკლესიას (XIII ს.).¹⁹⁰ იგი დასტურდება სომხეთის სხვა რეგიონებშიც – ესაა მაკარავანქის ღმრთისმშობლის ეკლესია (XII ს.),¹⁹¹ კეჩარისის კათედრალი (XIII ს.),¹⁹² ჰარიჭავანქის ღმრთისმშობლის ეკლესია (XIII ს.),¹⁹³ ხორანაშატის კაპელა (XIII ს.)¹⁹⁴ და მრავალი სხვა.

შუა საუკუნეების ქართულ საეკლესიო არქიტექტურაში, თაღოვან საპირეთა გვერდით გავრცელებული იყო სწორკუთხა მოჩარჩოებაც (სურ. 63). X-XI საუკუნეების მიჯნიდან მოყოლებული, მისი სახესხვაობები გვხვდება საყოველთაოდ ცნობილ ისეთ ძეგლებში, როგორებიცაა სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარი (1010-1029 წწ.),¹⁹⁵ იშხანის კათედრალი (X-XI სს.),¹⁹⁶ სამთავისის კათედრალი (1030 წ.),¹⁹⁷ სამთავროს მონასტრის საკრებულო ეკლესია (XI ს. პირველი მესამედი),¹⁹⁸ ვერეს ეკლესია (X-XI სს.),¹⁹⁹ კაცხის ტაძარი (XI ს.),²⁰⁰ ხცისის ეკლესია (1002).²⁰¹ იგი გვხვდება ქვეყნის ფაქტობრივად ყველა რეგიონში,²⁰² თუმცა განსაკუთრებით გავრცელებული ჩანს სამხრეთ საქართველოს არქიტექტურაში; ამაზე მეტყველებს მრავალრიცხოვანი მაგალითები, მათ შორის – იედი ქილისას (840-861 წწ.),²⁰³ ზედა თმოგვის (X საუკუნის პირველი ნახევარი),²⁰⁴ მურჯიკანის (X ს.)²⁰⁵, ზედა ვარძიის (X-XI სს.),²⁰⁶ თრიალეთის ახალქალაქის (X-XI სს. მიჯნა),²⁰⁷ ფოკას (1031-1053),²⁰⁸ საპიტიახშოს (XII-XIII სს.),²⁰⁹ განძანის (XIII-XIV სს.),²¹⁰ ზემო ოროზმანის (XII-XIII სს.)²¹¹ ეკლესიები. იგი სამთავისის ტიპის ეკლესიათა საფასადო კომპოზიციის განუყოფელ და ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილად იქცა.²¹² გუმბათიანი ეკლესიების ვრცელ რიგთან ერთად, ასეთივე გადაწყვეტით გამოირჩევა დარბაზული ნაგებობებიც, მაგალითად, წეროვანის (XII ს.),²¹³ გუდარეხის (XIII ს.),²¹⁴ არგვეთის (XV ს.)²¹⁵ ეკლესიები, არაერთი სხვაც.

აღსანიშნავია რომ თანაგვარი დეკორატიული სისტემა, სწორკუთხა მოჩარჩოებიანი სარკმლითურთ, გავრცელდა სომხეთშიც – გიორგი IV ლაშას ზეობაში აგებული ჰოვანავანქის წმ. კარაპეტის ეკლესიის (1216-1221)²¹⁶ ამ მხრივ უთუოდ საგულისხმო ჩანს.


„ქართული ეკლესიის“ ერთადერთი, დღემდე გადარჩენილი, ჩრდილოეთი ფასადი მკაცრად და მონოტონურად გამოიყურება (სურ. 9). კედელი გლუვია, ყოველგვარი გაფორმების გარეშე. ამას ისიც ემატება, რომ მუქი ფერის ქვას მზის სინათლე არასდროს ადგება. ამ ფასადზე ერთადერთი შერჩენილი დეკორი დაფერდებული სახურავის ძირს გაყოლებული სადა, ორლილვა კარნიზია (სურ. 64), რომელიც ეკლესიას ყოველი მხრით შემოუყვებოდა (საარქივო ფოტოზე ის კარგად ჩანს სამხრეთ ფასადზეც (სურ. 5)). კარნიზის შემორჩენილი ფრაგმენტი დასავლეთი კედლის ჩრდილოეთ კუთხე-

სურ. 62. სარკმელთა სწორკუთხა საპირეები ანისისა და მისი შემოგარენის საეკლესიო არქიტექტურაში: 1. მარმაშენის მონასტრის წმ. პეტრეს ეკლესია; 2. მარმაშენის მონასტრის წმ. სტეფანეს ეკლესია; 3. ჰორომოსის მონასტრის წმ. გიორგის ეკლესია; 4-5. ანისის წმ. გრიგოლის ეკლესია; 6. ანისის ქალწულთა მონასტრის ეკლესია



შიც გადმოდის და ოდნავ შეტეხილია. ფორმის ამგვარი, რბილი გადასვლით, როგორც ჩანს, ოსტატს გეომეტრიული ფორმების სიხისტისადმი თავის არიდების ერთგვარი ხერხისთვის მიუმართავს (სურ. 65).

„ქართული ეკლესიისგან“ დარჩენილი ნაშთების, ისევე როგორც სიძველეთსაცავებში არსებული მონაცემების მიხედვით შესაძლებელი ხდება ნაგებობის თავდაპირველი იერსახის წარმოდგენა – ეს იყო ორსართულიანი ეკლესია, ჩაწერილი სწორკუთხა აბრისში; საკმაოდ სადა და ასკეტური. მთელი მისი მშენებლობა საფასადო ქვების უზადო დამუშავებასა და მოხდენილ პროპორციებში ცხადდებოდა. ეკლესიას ჰქონდა ერთი, სადად გაფორმებული სარკმელი აღმოსავლეთით, ერთი, სავარაუდოდ, დასავლეთით და, შესაძლოა, ორი სარკმელი სამხრეთით. სარკმელთა გაფორმება მცირე აქცენტებს ქმნიდა ფასადებზე, ამასთან აწესრიგებდა და კრავდა გლუვი კედლის ზედაპირებს. ზემოთ აღინიშნა, რომ ეკლესიას ჰქონდა ერთი კარი დასავლეთიდან და კრიპტაში შესასვლელი აღმოსავლეთიდან. მიუხედავად იმისა, რომ ეკლესია ქალაქის ცენტრალურ ქუჩასთან საკმაოდ ახლოს მდებარეობდა, იგი ვერ იქნებოდა მრავალრიცხოვანი მრევლისთვის გამიზნული. სადა და მკაცრი გარე იერსახისგან განსხვავებით, ნაგებობის ინტერიერი მდიდრულადაა გამშვენებული. ლამაზი, მრგვალი ნახევარსვეტები, თაღ-კამარები, ნიშები, კარნიზები, კედლებზე წარმოდგენილი რელიეფები, ტრადიციულად უზადოდ ნათალი ქვა – ეს ყოველივე იმის დასტურია, რომ



სურ. 63. სარკმელთა სწორკუთხა საპირეები ქართულ საეკლესიო არქიტექტურაში: 1. ბეთანია; 2. იკორთა; 3. ზარზმა; 4. იშხანი; 5. თრიალეთის ახალქალაქი; 6. სამთავისი

ეკლესიის მხატვრული იერსახის გადაწყვეტისას ყურადღება მის შიდა სივრცეში მყოფთათვის იყო შექმნილი. ეს საგულისხმო ფაქტია – ანისის ყველა ტაძარი იგებოდა ისე, რომ ირთვებოდა მათი ფასადები, რაც ქალაქის იერსახესთან შესაბამისობას გულისხმობდა. „ქართული ეკლესიის“ დამკვეთს სხვა მოთხოვნა და მიზანდასახულობა ჰქონდა – ის სხვა არქიტექტურულ-მხატვრული ტრადიციების თანაბიარ შენობას აგებდა. თუკი ნაგებობის ცალკეული არქიტექტურული დეტალები, მაგალითად, წრიული ფორმის პილასტრი, ინტერიერს შემოყოლებული თარაზული კარნიზი, სადა მოჩარჩოებიანი სწორკუთხა საპირე ანისური სკოლისთვის დამახასიათებელი დეტალებია (რაზედაც მიუთითებს კიდევ პატრიკ დონაბედიანი²¹⁷), „ქართული ეკლესიის“ საერთო მხატვრული იერსახის კონცეფცია ქართულ არქიტექტურულ ტრადიციაშია საძიებელი.²¹⁸

ამ მხრივ, პირველყოვლისა, საგულისხმო ჩანს ის დარბაზული ეკლესიები, რომელთაც აერთიანებს საზოგადო მახასიათებელი: მათი ფასადები სადაა, მწირად გაფორმებული, ინტერიერი კი პირიქით – მხატვრულად დამუშავებული და მრავალმხრივ გამომსახველია. საგულისხმოა ამგვარ ეკლესიათა სიმრავლე სამხრეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, სახელდობრ ისტორიულ ტაო-კლარჯეთში, ჯავახეთსა და თრიალეთში. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ეს ტენდენცია X საუკუნიდან მოყოლებული ხდება საჩინო, გამორჩეულ ინტენსივობას კი XI საუკუნეში იძენს; სწორედ XI საუკუნის პირველი ნახევრის ეკლესიებთან ჰპოვეს ყველაზე მეტ



სურ. 64. ანისი, „ქართული ეკლესია“.
ჩრდილოეთი კედელი, კარნიზი



სურ. 65. „ქართული ეკლესია“.
ჩრდილო-დასავლეთი კუთხე, კარნიზი

საერთოს ანისის „ქართული ეკლესია“ (სურ. 66). იმ ეპოქის ეკლესიების თანაგვარია კარგად გაწყობილი ქვის კვადრებით ნაგები სადა ფასადები, მინიმალისტური აქცენტები კარ-სარკმლებთან, შეკრული მოცულობა, მოხდენილი პროპორციები, ინტერიერის შემკობა თაღნართა და კედლის პილასტრებით, რომლებიც, ამასთანავე ცილინდრული კამარის დამჭერ თაღებს იყრდნობს, ინტერიერის მორთულობის სისადავე. მსგავსება თრიალეთის საეკლესიო არქიტექტურასთან ვლინდება ისეთ მხატვრულ დეტალებში, როგორიცაა კონქის ძირს გაყოლებული თარაზული კარნიზი (ბურნაშეთი),²¹⁹ საკურთხევლის სარკმლის გაფორმება სწორკუთხა საპირეთი – მაგალითად, თრიალეთის ახალქალაქი (X-XI სს.)²²⁰, ზედა თმოგვი (X საუკუნის მეორე ნახევარი)²²¹, ყაურმა (XI საუკუნის შუახანები),²²² ფოკა (1031-1053),²²³ სხვ.

საზოგადო მსგავსება აშკარაა სამხრეთ საქართველოს – ისტორიული ტაოს, ჯავახეთისა და თრიალეთის X-XI საუკუნეების ცალნავიან ეკლესიებთან, მათ შორის შეიძლება დასახელებულ იქნას წითელი საყდარი (X ს.),²²⁴ ასფარა (XI საუკუნის პირველი ნახევარი)²²⁵, ფარავანი (X-XI სს.),²²⁶ სათხე (X საუკუნის ბოლო)²²⁷, ზემო ოროზმანის, ბურნაშეთი (ორივე – X-XI სს.),²²⁸ არჯევან-სარავანი (XI ს.)²²⁹ და მრავალი სხვა. (სურ. 66)

შუა საუკუნეების სომხური და ქართული საეკლესიო არქიტექტურისთვის საზოგადო მახასიათებლებზე მსჯელობისას პატრიკ დონაბედიანი განიხილავს საქართველოში გავრცელებულ დარბაზული ეკლესიის ტიპს, სადაც ცილინდრული კამარა გრძივ კედლებზე მიდგმულ ორ ან სამ წყვილ პილასტრებსა და მათზე გადასროლილ თაღებზეა დამყარებული, თავად კედლებში კი შესაბამისი რაოდენობის ნიშებია შექმნილი. დონაბედიანის მითითებით, „სომხეთი, სადაც ცალნავიანი ეკლესიები ქრისტიანობის ადრეული პერიოდიდანვე იგებოდა, არ იცნობდა ამგვარ გავრცობილ და განვითარებულ სახესხვაობას“. იქვე ყურადღება გამახვილებულია იმ გარემოებაზე, რომ სომხეთში ამგვარად ნაშენი ეკლესიები ჩნდება XIII საუკუნეში, ძირითადად ქვეყნის ჩრდილოეთში, ამასთან ამ ნაგებობათაგან თითქმის ყველა აღბეჭდილია მართლმადიდებლური მახასიათებლებით ან დაკავშირებულია საქართველოსთან. ავტორი ასეთებად მიიჩნევს ანისის „ქართულ ეკლესიას“, აგრეთვე ქობაირის, თეჟარუიქის და მელრადორის ეკლესიებს, აგრეთვე რამდენიმე სხვა ძეგლს.²³⁰

ანისის „ქართულ ეკლესიასთან“ ზემოთ ჩამოთვლილი ეკლესიების შედარებისას, სხვაობა თავს იჩენს არა როგორც კედლის სიბ-



1.



2.



3.



4.



5.



6.

რტყესთან პილასტრებისა და თაღების პროპორციულ შეფარდებაში (სადაც ისინი ანისის „ქართული ეკლესიის“ ძარღვიანი, მოცულობითი ფორმებისგან სრულიად სხვაობს), ისე ნაგებობის გარესახის გადაწყვეტაშიც: XIII საუკუნის დარბაზული ეკლესიების ფასადები გაფორმებულია – ზოგჯერ ეს ჩუქურთმიანი საპირეები და კარნიშებია, ზოგან კი, ამასთანავე, უხვად გაფორმებული პორტალებიც.

დონაბედიანი სომხურ სივრცეში ქართულთან თანაზიარი დარბაზული ეკლესიების გამოჩენას მხარგრძელების მოღვაწეობის ეპოქას უკავშირებს. მას საგანგებოდ არ შეუსწავლია ანისის „ქართული ეკლესია“ და, როგორც ზემოთ აღინიშნა, საგარაუდო თარიღი – 1218 წელი, კათოლიკოს-პატრიარქ ეტიფანეს წარწერის შესრულების დროს გულისხმობს. ეს თარიღი, საგარაუდოდ, ეკლესიის მინაშენების აგებას შეიძლება დაუკავშირდეს – ანისში ქართული არქიტექტურული იდეების შემოტანა საქართველოს სამეფოს ფარგლებში სომხეთის მოქცევისა და შესაბამისად, ანის-შირაკში მხარგრძელთა მმართველობის ეპოქაზე უფრო ადრე იქნებოდა მოსალოდნელი.

ეკლესიის ჩრდილოეთი და დასავლეთი კედლებიდან შემორჩენილი ნაწილების ზედა მონაკვეთებზე, საფასადო მხარეზე, შემორჩა ქვის მთლელების მიერ ამოჭრილ-ამოკაწრული ჯვრები (სურ. 67 და 68). ამგვარი ნიშნებია ინტერიერშიც, ჩრდილოეთი კედლის თაღნარის კიდურა ქვებზე. ჩრდილოეთ ფასადის რამდენიმე კვადრზე, აგრეთვე ინტერიერშიც, თაღნარის კიდურა ქვებზე გაირჩევა თითქოს ფარგლის დახმარებით ამოკაწრული რკალების მეოთხედი სეგმენტები (სურ. 68). რთულია დაბეჯითებით რაიმეს თქმა იმის თაობაზე, ეს მშენებელთა ნიშნებია თუ მშენებლობის პროცესთან დაკავშირებული რაიმე მოწმობა.

სურ. 66. სამხრეთ საქართველოს დარბაზული ეკლესიები: 1. ფარავანი, ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან; 2. განძანი, ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან; 3. ფოკა, ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან; 4. ტონთიო, ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან; 5. არჯევანი, ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან; 6. საღამო, სამხრეთ ეკლესია, ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან



სურ. 67. „ქართული ეკლესია“. ჩრდილოეთი ფასადი, ნაკაწრი ჯვრები



სურ. 68. „ქართული ეკლესია“. დასავლეთი ფასადი, ნაკაწრი ჯვრები



სურ. 69. „ქართული ეკლესია“, ინტერიერი. ჩრდილოეთი კედელი, ნაკაწრი გრაფიტები



სურ. 70. „ქართული ეკლესია“. ჩრდილოეთი კედელი, მეორადი გამოყენების ქვა

„ქართული ეკლესიის“ ჩრდილოეთ კედელში, ორ პილასტრს შორის, კედლის სისქეში, კრიპტის ჩამორღვეული კამარისა და ეკლესიის იატაკის გასწვრივ ჩატანებულია მეორადად გამოყენებული, დამუშავებული ქვა, რომელიც სხვა ქვებისგან ჟღერადი ტონალობით გამოირჩევა. მისი ფორმა, შუაწელზე გამოყვანილი კარნიზის პროფილით, მიანიშნებს, რომ ქვის კვადრი სხვა ადგილზე მოსარგებად იყო გამოჭრილი და „ქართული ეკლესიის“ ამ მონაკვეთზე მშენებლობის გარკვეულ ეტაპზე იქნა ჩართული. ქვის ჩაბრუნებულ პირზე მკრთალად მოსჩანს წარწერის ნაშთები – მათ მიხედვით ტექსტის წაკითხვა შეუძლებელია²³¹ (სურ. 70). მიჩნეულია, რომ აქ ბერძნული გრაფემები იკითხება; შესაბამისად, ივარაუდება, რომ ეკლესია ბერძნული ეკლესიის ნაფუძარზე აშენდა, ხოლო „ბერძნული წარწერის თარიღის განსაზღვრის შემდეგ ავტომატურად დადგინდება ქართველთა ეკლესიის აგების ქვედა ზღვარი“.²³² ცხადია, რომ ანისის მართლმადიდებლური თემი, ქალაქის სხვა ნაწილებთან შედარებით, ბევრად უფრო მრავალრიცხოვანი ქართული ეკლესიის გარშემო უნდა არსებულიყო, თუმცა უცნობი რჩება, როდის და საიდან უნდა მოხვედრილიყო ეს ქვა „ქართული ეკლესიის“ წყობაში.

ეკლესიის ჩრდილოეთი კედლის დასავლეთ მონაკვეთთან სხვა შენობის ნანგრევებია – ეს ზეთსახდელია. დიდი ზომის, ნატეხი ქვებით ნაგებ სტრუქტურას ორ მასიურ ქვაზე გადაებული ქვის ანტაბლემენტი ადგას. დაკვირვება ცხადყოფს, რომ ზეთსახდელი მოგვიანებით უნდა აეგოთ ეკლესიის კედლის გასწვრივ. ამგვარი ზეთსახდელები მრავლად მოიპოვება ნაქალაქარის ტერიტორიაზე (სურ. 71).²³³

* * *

უცნობი რჩება, იყო თუ არა რელიეფური დეკორი ან ნაქანდაკევი გამოსახულებები „ქართული ეკლესიის“ ფასადებზე. სამაგიეროდ, რელიეფები არის ინტერიერში, სახელდობრ, ჩრდილოეთი კედლის შუა და აღმოსავლეთ უბეებში, თაღებ ქვეშ. რელიეფები მოჩარჩოების გარეშეა ჩასმული. შუა უბეში წარმოდგენილი ღმრთისმშობლის ხარება ორ ფილაზე გამოუკვეთავთ: მარცხნივ გამოსახულია წმ. მთავარანგელოზი გაბრიელი ლაბარუმით ხელში; იგი მიმართულია საყდარზე დაბრძანებული ღმრთისმშობლისკენ. მთავარანგელოზის მარჯვნივ მიმართული ფიგურა, მისი სამოსის დრაპირება, რომელიც წინ გადადგმულ ფეხს ეფინება, ფრთების ასიმეტრიული განლაგება და გაწვდილი ხელი ღმრთისმშობლისკენ მის მოძრაობას უსვამს ხაზს. ფიგურის თავი ჩამოტეხილა. დედაღმრთისა ოთხფეხა საყდარზე დაბრძანებული; მისი ფიგურა უფრო სტატიკურია, პირობითი დრაპირება სხეულს არ გამოკვეთს. ოდნავ დახრილი თავი ხაზს უსვამს მის მორჩილებას, იმავდროულად კი განაპირობებს ორი ფიგურით შექმნილი კომპოზიციის ერთიან აღქმას. ფიგურებს შორის, თეთრი საღებავით, მსხვილი ასომთავრულით, დატანილია განმარტებითი წარწერა: **ⲬⲰⲠ–ⲃ(ⲁ)ⲣ(ⲉ)ⲃ(ⲁⲒ)** (სურ. 72).²³⁴

აღმოსავლეთ უბეში წარმოდგენილია წმ. მარიამისა და წმ. ელისაბედის შეხვედრა ორი ფიგურა ერთ მონოლითურ, შვეულად



სურ. 71. ანისი, მეთსახდელი “ქართული ეკლესიის” ჩრდილო-დასავლეთ კუთხესთან. საერთო ხედი

ჩასმულ ქვაზე გამოუქანდაკებიან. წაგრძელებული პროპორციის ფიგურები შედარებით სტატიკურია; ფიგურათა თავები ერთმანეთზე მსუბუქადაა მიდებული. ღმრთისმშობლის ფიგურის უკან თეთრი საღებავითვე შესრულებული ასომთავრული წარწერაა: **წ ა ი წ გ ყ – წ (მიდა) ღ (მრ) თ (ის) მ შ (ო ბ ე ლ ი)** (სურ. 73).²³⁵

კედლის დასავლეთ უბეში რელიეფური გამოსახულება არ შესრულებიათ. იყო თუ არა სხვა ფიგურული რელიეფები „ქართული ეკლესიის“ ინტერიერის ან ფასადების კედლებზე, უცნობი რჩება.

რელიეფების განთავსების ადგილი გარკვეულ კითხვებს ბადებს. ქართულ და სომხურ საეკლესიო ხელოვნებაში ეკლესიის ინტერიერში ქანდაკების, მით უფრო კი სიუჟეტური რელიეფების განთავსების მაგალითები არც თუ ხშირია, თუმცა კი ცალკეული შემთხვევები, ადრეული შუა საუკუნეებიდან მოყოლებული, დროდადრო მაინც ჩნდება.

ამ მხრივ საქართველოში სურათი ბევრად უფრო მომცველი და თანამიმდევრულია: რელიეფური გამოსახულებები ამკობს წოფის, ივრის სიონის (ორივე V ს.),²³⁶ ბოლნისის სიონის (478-493),²³⁷ აკვანებას (VI ს.)²³⁸ და რკონის მონასტრის (VIII-IX სს.)²³⁹ ეკლესიებს. უფრო მოგვიანოდ რელიეფებით გაუფორმებიათ ვალეს ეკლესიის კაპიტელები (X ს.),²⁴⁰ პარხალის ტაძრის სამეუფო ნიშების კაპიტელები (X ს.)²⁴¹ (სურ. 74). თრიალეთის, საღამოს და ბურნაშეთის X საუკუნის ეკლესიებში ადამიანის ფიგურები კონქის კიდეზე, ქანობებზეა გამოსახული (სურ. 75).²⁴² საგულისხმოა ზემო კრიხის ეკლესიის (X ს.)²⁴³ (სურ. 76) გაფორმება – საკურთხევლის კიდეების ბაზისებად დათვების ფიგურები გამოუქანდაკებიან, ეკვდერის აფსიდის კედლებში კი ვერძისა და ხარის ფიგურებია ჩასმული.²⁴⁴ ვერძის ფიგურა გვხვდება ოთხთა ეკლესიის ლავრის მთავარ ტაძარში (970-იანი

წლები),²⁴⁵ სახელდობრ პატრონიკეს დამჭერი თაღედის სამხრეთ ნაწილში (სურ. 77).

დასახელებულებთან ერთად საგანგებო ჯგუფად შეიძლება გამოიყოს ის მაგალითები, სადაც ინტერიერში საქტიტორო რელიეფებია წარმოდგენილი. ამ მხრივ გამორჩეულია კუმურდოს კათედრა-



სურ. 72. „ქართული ეკლესია“, ინტერიერი. ჩრდილოეთი კედელი, „ღმრთისმშობლის ხარება“

ლი (964 წ.), სადაც დედოფალ გურანდუხტის და მისი ძმის, აფხაზეთის მეფე ლეონ III-ის ან მისი მეუღლის, ბაგრატ ქართველთა მეფის ძის, გურგენის ფიგურული რელიეფები ტრომპებშია გამოსახული (სურ. 78).²⁴⁶ ოშკის წმ. იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის (963-973 წწ.) ინტერიერში ბაგრატ ერისთავთ-ერისთავისა და დავით მაგისტროსის (979 წლიდან - კურაპალატი) გამოსახულებები წარმოდგენილია სამხრეთ-აღმოსავლეთი გუმბათქვეშა ბურჯის სამეუფო ნიშის კედლებზე. ეკლესიის ინტერიერში, სახელდობრ მის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მდგარა ორი სტელა ბაგრატისა და დავითის სახეებით, ღმრთისმშობლისა და იოანე ნათლისმცემლის ფიგურებთან ერთად ფიგურული რელიეფებით შეუმკიათ სამხრეთ-დასავლეთი ნართექსის რვაწახნაგა სვეტი, სადაც ანგელოზთა, ქერუბიმთა და წმინდანთა გვერდით, ვედრების კომპოზიციას წარმოდგენილი (სურ. 79).²⁴⁷ აშოტ



კუხის (†918 წ.) ქანდაკება ამკობდა ტბეთის საკათედრო ტაძრის ინტერიერს, თუმცა არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ თავდაპირველად ეს გამოსახულება ფასადზე იყო განთავსებული.²⁴⁸

სომხურ ეკლესიებში რელიეფური გამოსახულებები კარის ტიპანს ამკობს – შესაბამისად, ნაქანდაკევი სახე ნაგებობის საფასადო შემკულობის ნაწილად აღიქმება (ზოგჯერ ისინი გავითვია მოქცეული). „ქართულ ეკლესიასთან“ მიმართებით ერთ-ერთ საგულისხმო მაგალითად ჩნდება ჩვილედი ღმრთისმშობლის ნაქანდაკევი ხატი, რომელიც ჩასმული იყო ოძუნის ეკლესიის (VIII ს.) დასავლეთი შესასვლელის თავზე არსებულ საგანგებო ნიშაში. გიორგი ჩუბინაშვილის ცნობით, რელიეფს ახლდა ქართული ასომთავრული წარწერა: **ՃՅԱ Ո՛Ն – დ(ე)დ(ა)ღ ღ(მრთისა)ღ.**²⁴⁹

როგორც არ უნდა იყოს საქართველოსა და სომხეთში არსე-

სურ. 73. „ქართული ეკლესია“, ინტერიერი. ჩრდილოეთი კედელი, „წმ. მარიამის და წმ. ელისაბედის შეხვედრა“



სურ. 74. პარხალის ეკლესია, ინტერიერი. სამეფო ნიშების კაპიტელების რელიეფური შემკულობა, დეტალი



სურ. 75. საღამო, ჩრდილოეთი ეკლესია, ინტერიერი, საკურთხევის სატრიუმფო თაღის სამხრეთი ქანობი, ადამიანის გამოსახულება



სურ. 76. ზემო კრიხის ეკლესია, ინტერიერი, კაპიტელის ბაზისი ფიგურული რელიეფებით

ბულ მაგალითთა მრავალგვარობა, ცხადი ერთია – არსებული მასალა ცხადყოფს, რომ ეკლესიათა ინტერიერებში გვხვდება ცალკეული სახეები და სცენები, მაგრამ არა ბიბლიური სიუჟეტები.

„ქართული ეკლესიის“ რელიეფების იკონოგრაფია, სტილი, გამოსახვის ფორმა და, ზოგადად, ესთეტიკა შორსაა თანადროული ეპოქის სომხური ან ქართული მონუმენტური ქანდაკებისგან. შინა-არსობრივად და სტილურად ის მეტ საერთოს ჰპოვებს მცირე პლასტიკის და კედლის მხატვრობის ნიმუშებთან.

საქართველოში კანკელის არსებობა, სომხეთისგან განსხვავებით, მართლმადიდებლური ეკლესიის ლიტურგიული წესგანგებით იყო განაპირობებული. უცნობია, რა სახის კანკელი შეიძლებაოდა მდგარიყო ანისის „ქართულ ეკლესიაში“, მაგრამ მისი დარბაზის მამკობი რელიეფებისთვის ყველაზე ახლო პარალელები, როგორც იკონოგრაფიული, ისე სტილური ნიშნებით სწორედ კანკელების მამკობ ფიგურულ რელიეფებს შორისაა საძიებელი. ამ მხრივ, მრავალრიცხოვან მაგალითთა შორის, ყველაზე საგულისხმო ჩანს გაბრიელ მთავარანგელოზის ფიგურა სამწვერისის ეკლესიის კანკელის ფილაზე წარმოდგენილი ხარების სცენიდან (XI ს.)²⁵⁰; ფორმის გადმოცემის მხრივ „ქართული ეკლესიის“ გამოსახულებების მსგავსია მაცხოვრისა და მოციქულთა, აგრეთვე წმ. იოანე ნათლისმცემლის ფიგურები ხოვლეს ეკლესიის კანკელზე (XI ს.)²⁵¹

ამასთანავე, ანისის ეკლესიის რელიეფთა ერთ-ერთ ყველაზე ახლო პარალელად შეიძლება დასახელდეს საფარის მონასტრის მიძინების ეკლესიის კანკელის ნაქანდაკევი რელიეფები (ადრეული XI ს.)²⁵² (სურ. 80) მათგან „ქართულ ეკლესიის“ რელიეფებთან უფრო მეტ ფორმისეულ და სტილურ სიახლოვეს ჰპოვებს წმ. მარიამისა და წმ. ელისაბედის შეხვედრის სცენა: მსგავსია სქემა, სრულიად სადა ფონზე წარმოდგენილ ფიგურათა პროპორციული აგებულება, რაც კარგად საჩინოვდება საფარის ეკლესიის კანკელის მეორე ფილაზე გამოსახული კომპოზიციის – მარიამის ტაძრად მიყვანების ფიგურებთან შედარებისას.²⁵³

ანისის „ქართული ეკლესიის“ რელიეფები, საქართველოსა და სომხეთის ეკლესიებში დადასტურებული იშვიათი მაგალითების ფონზე, მაინც უჩვეულო მოვლენად რჩება, მით უფრო, რომ აქ ღმრთისმშობლის ცხოვრების აპოკრიფული ციკლის სცენები გამოისახება. შედარებისთვის და პირველსახეებთან მიმართებისთვის საგულისხმო ჩანს „ქართულ ეკლესიაში“ წარმოდგენილი რელიეფების თანაგვარი ქართული, სომხური და ბიზანტიური მაგალითების გათვალისწინება. მათ შორის განსაკუთრებით საგულისხმო ჩანს ღმრთისმშობლის ხარების და წმ. მარიამის და წმ. ელისაბედის შეხვედრის ამსახველი სცენები, სალოლაშენის ლორფინებზე (X-XI სს. მიჯნა)²⁵⁴ აგრეთვე მოლნის (1060 წ.) და მილეთის (1057 წ.) ოთხთავების მინიატიურებში.²⁵⁵

ქართული კედლის მხატვრობიდან ანისის „ქართული ეკლესიის“ რელიეფებთან პარალელის გავლება შეიძლება ატენის სიონის მოხატულობასთან (XI საუკუნის ბოლო მესამედი), სადაც ღმრთისმშობლის ცხოვრების ვრცელი ციკლი იქნა წარმოდგენილი. ციკლში

გაერთიანებული სცენების იკონოგრაფია, ისევე როგორც ფიგურების პოზები, მოძრაობა, პროპორციები და ემოციური გამომსახველობა, გარკვეულ ასოციაციას იწვევს „ქართული ეკლესიის“ მამკობრელიეფებთან.²⁵⁶

ანისის „ქართული ეკლესიის“ რელიეფები ხასიათდება სადა, მონუმენტური, ზედმეტი დეტალიზაციის გარეშე დამუშავებული ფორმებით. მასშტაბური, ბლოკური ფიგურები, იმავდროულად, ელეგანტური პროპორციებისაა, რასაც ხაზს უსვამს დახვეწილი ნახატი და პლასტიკურად ნაკვეთი დეტალები. ამ სტილური მახასიათებლით რელიეფები საერთოს ჰპოვებს XI საუკუნის ქართული ქანდაკების ნიმუშებთან, იმავდროულად კი გარკვეულად სხვაობს ანისის XIII საუკუნის ეკლესიების რელიეფურ სამკაულთან, რომლის მიმართებაც ზოგადად მოსავლურ მხატვრულ ტენდენციებთან ნათლად საჩინოვდება.

აქვე ბუნებრივად ჩნდება კითხვა: რა დანიშნულება უნდა ჰქონოდათ ამ სცენებს ანისის „ქართული ეკლესიის“ ინტერიერში – ხომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამ ნაქანდაკევი სახეებით ფერწერული გამოსახულებები უნდა ყოფილიყო ჩანაცვლებული. უცნობია, არსებობდა თუ არა XI საუკუნისთვის ანისში კედლის მხატვრობით ეკლესიათა ინტერიერის შემკობის პრაქტიკა. ნაქალაქარში შემორჩენილ მოხატულობათაგან იმ პერიოდისა არც ერთი არ ჩანს. ამასთან მიმართებით ჩნდება სხვა კითხვაც – რასთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული ეკლესიის გამშვენება ღმრთისმშობლის ცხოვრების ციკლის სცენებით?



სურ. 77. თბთა ეკლესიის ლავრის მთავარი ეკლესია, პატრონიკეს სვეტი. ვერძების რელიეფური გამოსახულება



სურ. 78. კუმურდოს საკათედრო ტაძარი. გუმბათქვეშა ტრომპები. ა. დედოფლის რელიეფური გამოსახულება. ბ. მეფის რელიეფური გამოსახულება

ანისში, მართლმადიდებლური ეკლესიის აგებისას, ბუნებრივად უნდა დამდგარიყო აღმსარებლობის შესაბამისი წესგანგებით მისი შემკობის აუცილებლობა. არ გამოირიცხება იმის შესაძლებლობა, რომ ინტერიერის გასამშვენებლად ფერწერული სახეები რელიეფებით იქნა ჩანაცვლებული. ამგვარი განზრახულობა, შეიძლება, განპირობებული ყოფილიყო ანისში გარკვეული პერიოდისთვის არსე-



სურ. 79. ოშკის ტაძარი, სამხრეთ-დასავლეთი ვალერეა, რვაწახნაგა სვეტის რელიეფური შემკულობა, ვედრების კომპოზიცია

ბული ეთნოკონფესიური ვითარებით და ამასთან დაკავშირებული მხატვრული პრაქტიკით, რაც ადგილობრივ გარემოში გარკვეულ ეტაპამდე – საქართველოს სამეფოს ფარგლებში ანის-შირაკის მოქცევამდე – მონუმენტური ფერწერით ეკლესია-სამლოცველოების შემკობის პრაქტიკისადმი მიმართებას უნდა უკავშირდებოდეს. ამგვარი პრაქტიკის დამკვიდრება უფრო მოსალოდნელი ქართველთა მფლობელობის დროიდან და მართლმადიდებლობის გავრცელებადამკვიდრების კვალად უნდა ყოფილიყო მოსალოდნელი.²⁵⁷

საგულისხმო ჩანს თავად სცენების არჩევანიც – კედლის მესამე უბეს რელიეფი არ ამკობს, ეს გარემოება ცხადყოფს, რომ ღმრთისმშობლის ცხოვრების ციკლი ეკლესიის ინტერიერში მხოლოდ ცალკეული სცენებით უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი. არსებულ რელიეფთაგან განსაკუთრებული მნიშვნელობისა ჩანს მარიამისა და ელისაბედის შეხვედრა, რომლის განთავსებაც ეკლესიის ინტერიერში, შესაძლოა, დიოფიზიტურ სწავლებას უკავშირდებოდეს – იგი აღმსარებლობითი მიმართებების გაცხადების გზად ისახება დიოფიზიტებსა და მონოფიზიტებს შორის არსებული დაპირისპირების ფონზე.²⁵⁸ კერძოდ, სომხები უარყოფდნენ დედაღმრთისას მუცლადღებას, მათი სწავლების თანახმად, იესო ხარების შემდგომ დღეს იშვა. შესაბამისად, გამოირიცხება წმ. მარიამისა და წმ. ელისაბედის შეხვედრის შესაძლებლობა. ნიკიტა სტითატი თავის ანტიმონოფიზიტურ თხზულებაში ამხელს მონოფიზიტებს, რომლებიც ღმრთისმშობლის



სურ. 80. საფარას მონასტრის ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიის კანკელის ფილა, სემ

ორსულობის ცხრა თვეს არ სცნობდნენ და მას მხოლოდ მაცხოვრის ხორციელად მომავლინებლად აღიარებდნენ.²⁵⁹

* * *

ანისში ქართველთა მკვიდრობის ისტორია XI საუკუნეში იწყება და გარკვეული წყვეტილებით გრძელდება მონღოლთა ბატონობის პერიოდის ჩათვლით. XI საუკუნეში, როდესაც საქართველოს სამეფო გაერთიანების გზაზე წარმატებებს აღწევდა, სომხეთის სამეფო გარე შემოსევებისა თუ ქვეყნის შიგნით დაპირისპირებების შედეგად იშლებოდა და ძალას კარგავდა. ვასპურაკანის სომხური სამეფო ბიზანტიამ შეიერთა;²⁶⁰ იგივე საფრთხე ელოდა ანისის სამეფოსაც. 1042 წელს ბიზანტიელთა ლაშქარი ანელებმა მოიგერიეს. ბიზანტიელთა მიმართ კეთილგანწყობილმა მოქალაქეებმა მეფე გაგიკი აიძულეს სამშვიდობო ხელშეკრულების დასადებად კონსტანტინოპოლს წასულიყო. ბიზანტიელებმა სომეხი მეფე დაატყვევეს და ანისს ხელახლა შეუტიეს.²⁶¹ არისტაკეს ლასტივერტცი, აღწერს რა უიმედო მდგომარეობას, მეფე გაგიკის მძევლად აყვანის თაობაზე ყვება: ანისის წარჩინებულებს ქალაქი უნდა გადაეცათ ან ტაშირ-ძორაგეტის სამეფოს მფლობელი დავითისათვის, რომელიც დვინს მართავდა (რადგან გაგიკის ცოლი იყო დავითის და), ან აფხაზთა მეფე ბაგრატისთვის.²⁶² გადაწყვეტილება ქართველთა მეფის სასარგებლოდ იქნა მიღებული – „მატიანე ქართლისაჲს“ ცნობით, „მოერთო ვესტი ცხრითა ცხითა ანისისათა, თჳნიერ ამბერდისათა. და მოსცეს ანელთა ანისი ბაგრატის დედასა, რამეთუ მამულად იყვოდეს სომეხნი-სენექერემ სომეხთა მეფისა ასული იყო მარიამ დედოფალი, ბაგრატის დედაჲ“.²⁶³ ეთნიკურად სომეხის მიმართ, როგორც ჩანს, ანელებს მეტი ნდობა ჰქონდათ და მარიამის სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილება ქართველთათვისაც მომგებიანი აღმოჩნდა. ეს ამბავი 1045 წელს უნდა მომხდარიყო. თუმცა ქართველებმა და ანელებმა ქალაქი ვერ დაიცვეს – იმავე წელს ანისი ბიზანტიელებმა დაიკავეს და იბერიის თემში გააერთიანეს.²⁶⁴

მართალია, იმ ეტაპზე ქართველთა მმართველობა ხანმოკლე აღმოჩნდა, მაგრამ მან მაინც შექმნა გარკვეული საფუძველი საქართველოს სამეფოს განზრახულობის – სამხრეთი კავკასიის, მათ შორის ანის-შირაკის შემოერთების – აღსასრულებლად, რაშიც დედოფალ მარიამის ღვაწლი არც თუ მცირე უნდა ყოფილიყო.

დედოფალი მარიამი არწრუნთა სამეფო ოჯახის შვილი იყო, ასული ვასპურაკანის მეფე სენექერიმისა, რომლის სამეფოც 1021 წელს ბიზანტიამ გააუქმა. მისი დედა იყო დედოფალი ხუშუში,²⁶⁵ ასული მეფე გაგიკ I ბაგრატუნისა და დედოფალ კატრამიდესი, რომელიც სხვადასხვა ვერსიით ბერძენი ან ქართველი უნდა ყოფილიყო.²⁶⁶ გაგიკ I-ის გარდაცვალების შემდეგ სწორედ დედოფალმა კატრამიდემ დაასრულა ანისის საკათედრო ტაძრის მშენებლობა.²⁶⁷ მისი ორი ვაჟი მამის გარდაცვალების შემდეგ სამეფო ტახტის მოპოვებისთვის ერთმანეთს ეცილებოდა – შედეგად ბაგრატუნებმა დაკარგეს კიდევ ქალაქზე კონტროლი.

დედოფალი მარიამი იყო ერთიანი საქართველოს მეფის, გი-

ორგი I-ის (1014-1027 წწ.) პირველი მეუღლე. ბიზანტიასთან არსებული კონფლიქტური ურთიერთობის გამო მეფეს კურაპალატის წოდება არ მიუღია. მათი ვაჟი, შემდეგში მეფე ბაგრატ IV (1027-1072), მეფე გიორგი I-ის მიერ ბიზანტიასთან 1021 წელს სამშვიდობო ზავის დადების შემდეგ, სამი წლის ასაკში კონსტანტინოპოლს მძევლად გააგზავნეს.²⁶⁸ 1027 წელს, მეფე გიორგის გარდაცვალების შემდეგ, დედოფალი მარიამი აქტიურად მონაწილეობდა ორ სახელმწიფოს – ბიზანტიას და საქართველოს – პოლიტიკურ ურთიერთობებში. ვასპურაკანისა და ანის-შირაკის მეფეთა შთამომავალი, მეუღლე და დედა ქართველ მეფეთა, გონიერი და გამბედავი მარიამი პასუხისმგებლობას იღებდა სამხრეთ კავკასიაში იმხანად არსებული პრობლემების გადასაჭრელად.²⁶⁹ იგი რამდენჯერმე იმყოფებოდა დიპლომატიური მისიით კონსტანტინოპოლში, რათა თავიდან აეცილებინა მოსალოდნელი თავდასხმები იმპერიის მხრიდან.²⁷⁰ საქართველოს მიერ იმპერიისთვის შეთავაზებული სამშვიდობო შეთანხმება ბიზანტიამ მიიღო; ბაგრატ IV-ს კურაპალატის ტიტული ებოძა, მარიამმა მას ბიზანტიელი საცოლე, იმპერატორ რომანოზ III არგიროსის ძმის შვილი ელენე (1018-1033) მოჰგვარა. ქორწილი ბანას ტაძარში, 1032 წელს შემდგარა.²⁷¹

მოგვიანოდ დედოფალი მარიამი კიდევ ერთხელ, 1052/1056(?) წელს, ეწვია დიპლომატიური მისიით ბიზანტიის იმპერიის დედაქალაქს – ახლა უკვე თავის ვაჟთან, მეფე ბაგრატ IV-სთან ერთად.²⁷² დედოფალი მრავალმხრივ ეხმარებოდა უცხოეთის ქართულ სასულიერო კერებს, იყო თანამდგომი იქ მოღვაწე ქართველი მოწესეებისა, მათ შორის – წმ. გიორგი მთაწმინდელისა.²⁷³ აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ იგი ათონის ივერთა მონასტრის დამფუძნებელთა შორის მოიხსენიება.²⁷⁴ მან მოილოცა ქართული მონასტრები ანტიოქიაში და განზრახული ჰქონდა სწვეოდა იერუსალიმსაც – წმ. ჯვრის მონასტერს, რომლის საკრებულო ეკლესიის ასაგებადაც შეწირულობა გაიღო.²⁷⁵ დედოფალი მარიამი სწვევია მარმაშენს, რომელიც ანისის გადაღმა, მდინარე ახურიანის მეორე ნაპირზე მდებარეობს. მარმაშენის ეკლესიის წარწერას დაუცავს ცნობა მისი მფარველობის შესახებ.²⁷⁶

ყოველივე აღნიშნული ცხადყოფს მარიამის, როგორც პოლიტიკური მოღვაწისა და ქტიტორის როლს, იმას, თუ რამდენად ინტენსიურად მფარველობდა ის საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას. საისტორიო ცნობები ნათელს ხდის მის ურთიერთობას ანისთან – ქალაქთან, რომელიც დედამისის სამშობლო იყო.

შესაძლებელია თუ არა დავუშვათ, რომ ანისში „ქართული ეკლესიის“ აგება სწორედ დედოფალ მარიამის მოღვაწეობას უნდა უკავშირდებოდეს? ნაგებობის დანიშნულება და ხუროთმოძღვრება, ისევე როგორც მისი მამკობი რელიეფების სტილი სავარაუდოს ხდის მის აგებას XI, და არა XIII საუკუნეში, როცა მის ფასადებზე ვრცელი ქართული ეპიგრაფიკული საბუთები იქნა განთავსებული.

ქალაქის ფარგლებში ეკლესიის მდებარეობა მრავლისმეტყველია – იგი მოქცეულია იმ უბანში, რომელიც ბაგრატუნიანთა მშენებლობის ეპოქას უკავშირდება, სმბატის კედლების, გაგიკაშენის,

კათედრალისა და მოციქულების ეკლესიებს შორის (სურ. 1). ყველა ამ შენობის აგების დრო თანხვედბა ქალაქის გაფართოვება-გავრცობის პერიოდს – ბაგრატუნიანთა ზეობის ხანას.

„ქართული ეკლესიის“ აგება დაკავშირებული უნდა იყოს ანისში ქართველთა გამოჩენის პირველ პერიოდთან. შესაბამისად, დიდია ალბათობა იმისა, რომ სწორედ დედოფალი მარიაში შეიძლება ყოფილიყო ეკლესიის ქტიტორი. ეს შედარებით მომცრო ზომის ნაგებობა ვერ იქნებოდა სამრევლო ტაძარი – იგი, თავდაპირველად, შესაძლოა, ყოფილიყო დედოფლის სამწირველო ეკლესია და, სავარაუდოდ, მისი სამომავლო განსასვენებელიც. სწორედ ამიტომაც გახდა შემდგომში ტაძარი ანისში ქართველთა მკვიდრობის ერთ-ერთი უმთავრესი ნიშნული, რაც დასტურდება იმით, რომ ჯერ 1218 წელს, კათოლიკოს-პატრიარქ ეტიფანეს, მოგვიანებით კი 1288 წელს, პარონ საჰმადინის ქართული წარწერები სწორედ ამ ტაძრის კედლებზე განათავსეს. შესაძლებელია, მოგვიანებით სწორედ ეს ეკლესია შეიქმნა ანისის ქართული საეპისკოპოსო კათედრაც.²⁷⁷

არქეოლოგიური გათხრები, რომელიც, სავარაუდოდ, ახლო მომავალში უნდა განხორციელდეს, ნათელს მოჰფენს ანისის „ქართულ ეკლესიასთან“ დაკავშირებულ მრავალ საკითხს და წინამდებარე ნარკვევში გამოთქმულ მოსაზრებებს.

მხარგრძელთა მმართველობის პერიოდი მეორე ოქროს ხანად არის მიჩნეული ანისის ისტორიაში. ზაქარია და ივანე მხარგრძელების მოღვაწეობა უაღრესად წარმატებული აღმოჩნდა როგორც მეფეთ-მეფე თამარის სახელმწიფო პოლიტიკისთვის, ისე სახელმწიფოებრიობა დაკარგული და საქართველოს მფარველობის ქვეშ მოქცეული სომხეთისთვის. ეს ეპოქა ხასიათდება პოლიტიკური, სავაჭრო-ეკონომიკური, საეკლესიო, საგანმანათლებლო თუ სამშენებლო-სამხატვრო მოღვაწეობის მნიშვნელოვანი გააქტიურებით. პოლიტიკური სტაბილურობის პირობებში ვაჭრობისა და ხელოსნობის განვითარებასთან ერთად დაწინაურებული საქალაქო ცხოვრება და მდიდარი ქალაქური ელიტა გახდა კიდევ საქალაქო აღმშენებლობის თავმდები. რეგიონის დაწინაურებულ ქალაქებს შორის უპირველესი იყო ანისი, სადაც, გარდა საკუთრივ მხარგრძელებისა, მოღვაწეობდნენ ადგილობრივი წარჩინებული მოქალაქეები (ამის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითი ტიგრან ჰონენცის საქტიტორო ღვაწლია).

მხარგრძელთა გვარში ზაქარია ერთადერთი იყო, რომელიც მონოფიზიტური ეკლესიის წიაღში დარჩა; მისმა შთამომავლებმა, ისევე, როგორც მისმა ძმამ, ივანემ, დიოფიზიტური აღმსარებლობა მიიღო და ოჯახის წევრებთან და შთამომავლებთან ერთად ბევრი იღვაწა რეგიონში ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის გასაძლიერებლად. მხარგრძელთა პოლიტიკამ და აღმსარებლობამ არსებითი კვალი დააჩნია ანისის საკრალურ სივრცეს, სადაც სომხურ მონოფიზიტურთან ერთად საგრძნობია ქართულ დიოფიზიტურთან დაკავშირებული საეკლესიო აღმშენებლობისა და მხატვ-

რული შემოქმედების კვალი.

მხარგრძელთა მმართველობის პერიოდში ქალაქში აიგო ახალი ეკლესია-მონასტრები, როგორც მონოფიზიტური, ისე დიოფიზიტური მრევლისთვის – ისინი ძირითადად ქალაქის ახალ უბნებსა და გარეუბნებშია განთავსებული. ამ ნაგებობათა ხუროთმოძღვრულ-მხატვრული სტილი იმდენად თანაგვარია, რომ ეჭვგარეშეა – მათ ერთი სამშენებლო ჯგუფი აგებდა და ამკობდა. მანამდე კი მხარგრძელებს ანისში დახვდათ ის შენობები, რომელთა მისადაგება დროითი მოთხოვნების შესაბამისად უნდა განხორციელებულიყო. შედეგად, შეკეთდა, გადაკეთდა ან გაფართოვდა ძველი ეკლესიები; ისინი შეიმკო მრავლისმთქმელი წარწერებითა და გამშვენდა ფრესკული მხატვრობით.

წინამდებარე ნარკვევის ამ თავში შევიდა არა მხოლოდ ის ეკლესიები, რომელთა მშენებლობა მხარგრძელთა ეპოქაში განხორციელდა, არამედ ისინიც, რომლებიც უფრო ადრე აიგო და რომელთაც მხარგრძელთა ეპოქამ ხელი შეავლო – იქნებოდა ეს ლიტურგიკულ მოთხოვნებთან დაკავშირებული თუ სხვა, სააღმშენებლო მხატვრული წანამძღვრებით განპირობებული.

ციტადელი, სასახლის მკლესია

ციტადელის ყველაზე შემადლებულ მონაკვეთზე, მის აღმოსავლეთ კიდეში, დგას ნანგრევებადქცეული, სასახლის ნაშთებით გარშემორტყმული, დარბაზული ეკლესია, რომელსაც, მიუხედავად მისი სავალალო მდგომარეობისა, სამეფო დიდებულების შესაბამისი იერი მაინც არ დაუკარგავს. ის ითვლება ანისის უძველეს ეკლესიად, რომლის მშენებლობის დასაწყისი კამსარაკანების წარჩინებული სახლის მმართველობის პერიოდში უნდა განხორციელებულიყო – ჯერ კიდევ მანამდე, სანამ ანისი სომხეთის დედაქალაქი გახდებოდა და ბაგრატუნთან სამეფო გვარის რეზიდენციად იქცეოდა.²⁷⁸ ისტორიული, ხუროთმოძღვრული და მხატვრული ღირსებების მიუხედავად, ეკლესია საგანგებოდ შესწავლილი არ ყოფილა; თუმცა კი, მისთვის თავის დროზე ყურადღება მიუქცევიათ ევროპელ მოგზაურებს,²⁷⁹ სიძველეთა მოყვარულებს და მეცნიერებს. ამის წყალობით მასალები დღეისთვის ძალზე დაზიანებული ძეგლის თაობაზე საკმაოდ მომცველი და დეტალურია. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია მარი ბროსეს წვლილი, რომელმაც, ნაგებობის აღწერილობის გარდა, გამოაქვეყნა მისი ინტერიერის ამსახველი ჩანახატები (სურ. 81).²⁸⁰ ნიკო მარის ხელმძღვანელობით ანისის ნაქალაქარზე მიმდინარე არქეოლოგიური სამუშაოების დროს განხორციელდა ეკლესიის დეტალური გრაფიკული და ფოტო ფიქსაცია – ეს მასალები ანისის სიძველეთა მუზეუმმა 1915 წელს ალბომის სახით გამოსცა (სურ. 83 და 84).²⁸¹ ძეგლი ბოლო ასწლეულის განმავლობაში ხშირად სახელდება ან მოკლედ განიხილება სომხური ხელოვნებისადმი მიძღვნილ ნაშრომებში.²⁸² ათწლეულების განმავლობაში ციტადელი სასახლევრო გარნიზონის განსაკუთრებული კონტროლის ქვეშ იმყოფებოდა; შე-

საბამისად, იგი ანისის ნაქალაქარში მისულთათვის დახურულ არე-ალში იყო მოქცეული. ყოველივე ეს ართულებდა ძეგლის კვლევას. ამჟამად, ციტადელისა და მის ტერიტორიაზე არსებულ ნაგებობათა ნაშთების ხილვა ნაქალაქარის დამთვალიერებლებისთვის დაუბრ-კოლებლად არის შესაძლებელი.

ეკლესია ძლიერ დანგრეულია; ნაგებობის კორპუსისაგან დარჩენილია მხოლოდ ჩრდილოეთი კედლის ნაწილი (სურ. 87 და 88). აფსიდი თითქმის მთლიანადაა დარღვეული – იგი მიწისძვრისას ხევში გადაქცეულა. მთლიანად არის გადაწოლილი სამხრეთი კედელიც. დასავლეთი კედლიდან მხოლოდ ჩრდილოეთი კუთხის მცირე ფრაგმენტი შემორჩა (სურ. 86).²⁸³

XX საუკუნის დასაწყისში გადაღებული ფოტოების მიხედვით ცხადი ხდება, რომ ნაგებობა იმხანად ჯერ კიდევ თითქმის სრული სახით მდგარა – დანგრეული იყო მხოლოდ საკურთხევლის აფსიდი (სურ. 82). ანისის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის მეცამეტე სეზონის განმავლობაში, 1912 წელს, სავლეთ სამუშაოების თანადროულად, შენობის გამაგრების მიზნით, შეკეთდა მისი დასავლეთი კედელი. სავარაუდოდ, შენობა დაინგრა 1966 წლის მიწისძვრის დროს.


ნაგებობისგან შემორჩენილი ნაშთების, აგრეთვე ძველი ფოტოებისა და ანაზომების მიხედვით ირკვევა, რომ ეკლესიას ჰქონდა მინაშენები, ამასთან, იგი გარკვეულ დროს უნდა განეახლებინათ – ჩრდილოეთიდან კორპუსის ნახევარს ფარავდა ორსართულიანი, კოშკის მსგავსი ნაგებობა (სურ. 83 და 88), რომლის ნაკვალევი მკაფიოდ ატყვია ფასადს, თავად მინაშენი კი პირველი სართულის გეგმის დონეზეა დარჩენილი. გადაკეთება ეტყობა ეკლესიის სახურავსაც – ჩრდილოეთი კედლიდან დარჩენილ ფრაგმენტზე ჩანს ხელმეორედ მოწყობილი საბურველი ქვის ლორფინებითა და კარნიზით (სურ. 92).

საკმაოდ ვიწრო და წაგრძელებული ეკლესიის დარბაზი, აღმოსავლეთით საკურთხევლის აფსიდით იყო გასრულებული (სურ. 84 და 85). ნაგებობას სამი შესასვლელი ჰქონია: დასავლეთი კედლის




სურ. 81. ანისი, ციტადელის ეკლესია, ინტერიერი. წიგნიდან – Brosset 1861

სურ. 82. ციტადელის ეკლესია, საერთო ხედი აღმოსავლეთიდან. XX საუკუნის დასაწყისის ფოტო




სურ. 83. ციტადელის ეკლესია, დასავლეთი ფასადი. გამოცემიდან – Mapp 1915



სურ. 84. ციტადელის ეკლესია, გეგმა

ცენტრში, ჩრდილოეთი კედლის აღმოსავლეთ ნაწილში და სამხრეთით – ცენტრალური თაღის აღმოსავლეთ მონაკვეთში. სწორკუთხედში ჩაწერილ ტაძარს ერთი თავისებურება გამოარჩევს: მის აღმოსავლეთ ფასადზე გამოყვანილი იყო ნიშები – ჩრდილოეთით სწორკუთხა, სამხრეთით კი ნახევარწრიული მოხაზულობისა (სურ. 82). სავარაუდოდ, ამ ნიშების მთავარი დანიშნულება კონსტრუქციული იყო და კედლის მძიმე მასის გამოთავისუფლებას ემსახურებოდა. ამასთანავე, როგორც ჩანს, სწორედ ამ ნიშების არსებობის გამო კონსტრუქცია შესუსტდა და ყველაზე მეტად ნაგებობის ეს ნაწილი დაზიანდა.

ეკლესიის ინტერიერში, დარბაზის გრძივ კედლებზე არსებული პილასტრებით სივრცე სამ ნაწილად იყოფოდა (სურ. 81 და 87). პილასტრების მასიური ფორმების გამო კედლებში ღრმა უბეები იქმნება. პილასტრები სწორკუთხა ფორმისაა. თითოეული პილასტრის წიბოებს საკმაოდ მსხვილი „ლილვები“ აუყვება, ხოლო წინა პირს შვეული ღარები გასდევს. პილასტრებს ორიგინალური გაფორმება გამოარჩევს: რელიეფურად გამოყვანილი დეკორატიული მოტივები, ნაცვლად კაპიტელებისა, პილასტრის ტანის ზედა ნაწილში, კაპიტელების ქვეშ კეთდება. იონიური ორდერის იმიტაციით შექმნილი წრეებით, ზოგჯერ სპირალისებრ ჩახვეული, სხვა შემთხვევაში კი ვარსკვლავებით, ვარდულებითა და მათ ზემოთ თხელი ორნამენტული კარნიზებით გაფორმებული პილასტრები მთლიანად შავი ტუფითაა ამოყვანილი (სურ. 87 და 89). პილასტრებს აგვირგვინებს სადა პროფილის მქონე, წითელი ფერის მასიური კაპიტელები. მათი ქვედა ძირი ზუსტად ემთხვევა პილასტრის სიგანეს, შემდეგ კი ოდნავ განივრდება და ერთ ქვაშივე ქმნის ბრტყელ და სადა თაროს. ამ თაროებს ეყრდნობა განივ კედლებს გადაყოლებული, ნახევარწრიული მოხაზულობის თაღები – მათგან მხოლოდ აღმოსავლეთ თაღს აქვს მცირედ გამოყვანილი კვერცხისებრი ფორმა, რაც, სავარაუდოდ, აღდგენა-განახლების შედეგი უნდა იყოს. თაღთა შორის ჩასმულია კონსოლები, ასევე სადა ფორმის თაროთი. მათ ეყრდნობოდა დარბაზის



სურ. 85. ციტადელის ეკლესია ამჟამად. გეგმა

ცილინდრული კამარის დამჭერი ორი თალი. ამას გარდა, გვერდითა კედლებზე, თაღნარს ზემოთ, ცილინდრული კამარის ძირს გაუყვება თარაბული კარნიზი, რომელიც დასავლეთ კედელზე არ გრძელდება – სავარაუდოდ, ესეც აღდგენითი სამუშაოების შედეგი უნდა იყოს, რადგან შეკეთებისა და ქვის გადაწყობის კვალი ჩრდილოეთი კედლის უკიდურეს დასავლეთ მონაკვეთშიც შეიმჩნევა.

ეკლესიის ინტერიერში აფსიდის კიდეები საგანგებოდ გაუფორმებიათ: მას ორივე მხარეს აუყვება ნახევარწრიული ლილვები, მათთან ერთად კი დაღარულ-ჩაკვეთილი, თხელი და განიერი ზოლები. ამ დეკორატიულ პილასტრებს კაპიტელები არ აქვს, ძირები კი უჩვეულოდაა გადაწყვეტილი: შვეული ზოლები ქვემოთ თარაბულად ტყდება და უერთდება გვერდითა კედლის უბეებს აყოლებულ პილასტრთა შვეულ დამუშავებას. ნახევარწრიული ლილვი, რომელიც თითქმის თალის ძირამდე ადის, ზიგზაგისებურადაა დამუშავებული და ერთ ქვაშივე გამოკვეთილი პატარა ბურთულით გვირგვინდება. აფსიდის კედელზე გადასულ ვერტიკალურ ღარებს შორის მცენარეული ორნამენტია გამოკვეთილი. დანგრეული აფსიდიდან შემორჩენილი ფრაგმენტი ცხადყოფს, რომ მისი იატაკის დონე მოგვიანოდ უნდა შეეცვალათ (სურ 93).

ეკლესია ნაგები იყო წითელი და შავი ფერის კარგად გათლილი ქვის ბლოკებით – როგორც შიდა სივრცეში, ისე ფასადებზე. სხვადასხვა ფერის ქვები საგანგებოდაა განაწილებული: კედლები მიწის დონიდან კარის ლიობთა თავანებამდე, როგორც ინტერიერში, ისე ფასადებზე, მუქი შავი ტუფითაა ნაწყობი; იმავე ფერის ქვით ამოყვანილი პილასტრები, რომლებიც ქვის კვადრის ნახევრის სიმაღლეზე სცდება შავი ქვით ამოყვანილი პერანგის ზედა ზოლს. ყოველივე ეს ქმნის მკაფიო ეფექტს – იგი პილასტრებს ვიზუალურად კიდევე უფრო გამოჰყოფს და წარმოაჩენს. აღმოსავლეთ ფასადზე შექმნილ



სურ. 86. ციტადელის ეკლესია. დასავლეთი კედლის ფრაგმენტი



სურ. 87. ციტადელის ეკლესიის ინტერიერი.
ჩრდილოეთი კედელი

ორ ნიშას შორის, წითელი ფერის ქვების პირველ რიგში, ჩასმულია შავი ფერის თითო ბლოკი. ასევე ორფერი ქვით იქმნება საკურთხევლის საპერანგე წყობა, იმ განსხვავებით, რომ წითელი ფერის ქვა ახლა აფსიდის ამალღებული იატაკის წინაპირზეა ჩასმული და ჟღერად აქცენტად ჩნდება. ზიგზაგისებრი ლილვი შავი ქვითაა ამოყვანილი კაპიტელების ქუსლის პირამდე; იმავე ფერისაა აღმოსავლეთი ნიშის კედელიც, რაც კარის მთლიან მოხარხოებასაც მოიცავს, ხოლო განსხვავებული ფერადოვანი აქცენტი აქ წითელი ფერის ქვის კვადრების ჩასმით მიიღწევა. ფერთა ამგვარი განაწილებით მიიღება რიტმული, ტექტონიკური შიდა სივრცე, რომელიც მასიური პილასტრ-თალების, კარნიზების ფორმებისა და ქვის ფერის ოსტატურ მონაცვლეობაზეა დამყარებული (სურ. 87).

სურ. 88. ციტადელის ეკლესია.
ჩრდილოეთი ფასადი



ეკლესიას ჩრდილოეთით მიშენებული ჰქონდა ცალნავიანი, წაგრძელებული გეგმის მქონე, დამატებითი სათავსი (სურ. 84). იგი ისე იყო მიდგმული ტაძრის გარე კედლის გასწვრივ, რომ იქ არსებული საფასადე სწორკუთხა ნიშა კედლის უკან ექცეოდა. მინაშენი ორსართულიანია; 1914 წლის ანაზომის მიხედვით, მისი სიმაღლე ეკლესიისას აღემატებოდა კიდევ, თუმცა ფოტოზე იგი მხოლოდ გრძი-

ვი კედლის პირამდე ადის (სურ. 83). ნაშენია შედარებით მცირე ზომის, შავი და წითელი ფერის ქვის ბლოკებით, რომლებიც, ეკლესიის ძირითადი კორპუსისგან განსხვავებით (სადაც შავი და წითელი ფერის ქვათა თარაბული რიგები მონაცვლეობს), ჭადრაკული წყობის პრინციპით, თუმცა კი არათანამიმდევრულადაა ნაწყობი (სურ. 88). მარის ვარაუდით, ეკვდერი XIII საუკუნეში უნდა აეგოთ.²⁸⁴

ეკლესიის გრძივ კედლებს სარკმლები არ უნდა ჰქონოდა (მხოლოდ სამხრეთით შეუქმნიათ ერთი მცირე ლიობი). ნაგებობის გარესხის ერთ-ერთ არსებით მხატვრულ აქცენტს წარმოადგენდა ნიშების მამკობი ორნამენტული კარნიზები.

სამხრეთი ფასადის ნიშა გამორჩეულად უხვად ყოფილა გაფორმებული ორნამენტირებული კარნიზებით, პილასტრებითა და მათში ჩართული ფიგურული რელიეფებით. ფასადი დღეს მთლიანად დანგრეულია და მასზე საუბარი მხოლოდ არსებულ ანაზომებსა და ფოტოებზე დაყრდნობით შეიძლება.²⁸⁵

ეკლესია უხვად ყოფილა შემკული რელიეფებით.²⁸⁶ მათი დიდი ნაწილი ამჟამად დაკარგულია. გამორიცხული არ არის, რომ



რელიეფთა გარკვეული ნაწილი ნანგრევებში იყოს მოქცეული, ნაწილი – ხევში გადავარდნილი (სპირალურად ჩახვეული ლილვის ერთი ფრაგმენტი, რომელიც ბროსეს მიერ გამოქვეყნებულ ჩანახატზეც ჩანს, პროექტის განხორციელებისას მოწყობილი ექსპედიციის დროს ხევში ჩაყრილ ქვებს შორის აღმოჩნდა). შესაძლოა მათი ნაწილი სოფელ ანის (ძველი ოშაქლის) სახლებში იყოს ჩაშენებული.

ეკლესიის ინტერიერში რელიეფები ამკობს პილასტრებს და აფსიდისწინა კედლებს. გასული საუკუნის დასაწყისში შესრულებული ანაზომების მიხედვით, სამხრეთი კედლის ერთ-ერთი პილასტრის კაპიტელის პირებზე გამოკვეთილი იყო არწივი, რომელსაც კურდღელი კლანჭებით უჭირავს. არწივის ფიგურა პილასტრის ზედა ნაწილში, კაპიტელის ძირში იყო გამოსახული და სახისმეტყველებით-სიმბოლურთან ერთად (რაც მორწმუნის სულის ამაღლებაზე მიანიშნებდა),²⁸⁷ ცხადია, მხატვრული დანიშნულებაც გააჩნდა. ეს გამოსახულება, მხატვრული გადაწყვეტით, სასანური ხელოვნებისთვის ნიშანდობლივ მახასიათებლებთან გარკვეული თანაგვარობით არის აღბეჭდილი (სურ. 90). მარის თანახმად, 1907 წლის გათხრების დროს გამოვლინდა კიდევ ერთი პილასტრის რელიეფი – შავი ფერის ქვის ფრაგმენტი ლომის გამოსახულებით.²⁸⁸

მარი აღწერს სხვა ფიგურულ გამოსახულებებსაც: დარბაზის

სურ. 89. ციტადელის ეკლესიის ინტერიერი. ჩრდილოეთი კედლის პილასტრების წინაპირის შემკულობა. ა. დასავლეთი პილასტრი; ბ. აღმოსავლეთი პილასტრი; გ. აღმოსავლეთი პილასტრის გვერდითა წახნაგი

ორივე კედლის პილასტრებზე მოთავსებული იყო მახარებელთა სიმბოლოები – ხარის, არწივის, ლომისა და ადამიანის რელიეფური სახეები (სურ. 81).²⁸⁹

ნაგებობის ფასადთაგან საგანგებოდ იყო აქცენტირებული ჩრდილოეთი კარი – მის ტიმპანს რელიეფური კომპოზიცია ამკობდა.²⁹⁰ ეს რელიეფი XIX საუკუნის შუა წლებში ჯერ კიდევ ადგილზე იყო, თუმცა რამდენიმე ათწლეულის შემდეგ, არქეოლოგიურ ექსპედიციას აღარ დახვდა. არსებობს მისი მხოლოდ საკმაოდ ზოგადი, ამასთან რამდენადმე გაუწაფავი ჩანახატი, გამოქვეყნებული ბროსეს მიერ (სურ. 91.1) გამოსახული იყო წმინდა მხედრები – ცხენზე ამხედრებული, ერთმანეთისკენ მიმართული ორი ფიგურა: ბროსეს მიხედვით – წმ. გიორგი და წმ. თევდორე, მარის მიხედვით – წმ. სარგისი და წმ. თევდორე, ან წმ. გიორგი. მხედრები გრძელი შუბებით ბოროტ ძალებს ლახვრავენ. მარჯვნივ გამოსახულია გველეშაპი, მარცხნივ – სავარაუდოდ, დიოკლეტიანე. მათ შორის წარმოდგენილია დეკორატიული ხე, რომლის ტოტებიც ორივე მხრიდან აჩარჩოებდა კომპოზიციას. ჩანახატის მიხედვით ძნელია ნაქანდაკევი გამოსახულების მხატვრულ-სტილურ მახასიათებლებზე მსჯელობა. მარს გამოქვეყნებული აქვს კიდევ ერთი რელიეფური ფილის ფრაგმენტი, რომელიც სოფ. ჭალადან მიიტანეს ანისის მუზეუმში (სურ. 91.2): გამოსახულია მხედარი, მის გვერდით კი ადამიანის ფიგურა. ნაქანდაკევის დეტალებზე დაკვირვება სავარაუდოს ხდის, რომ ეს ფრაგმენტი სხვა რელიეფის კუთვნილი უნდა ყოფილიყო – სხვაობა, პირველყოვლისა, თავს იჩენს იკონოგრაფიულ სქემაში: არ გამოსახება ურჩხული, მხედარს არ უჭირავს შუბი, არც სიცოცხლის ხის უხვი ხეულები ჩანს. სანაცვლოდ, ამ რელიეფზე მხედრის გვერდით, მის ორივე მხარეს წარმოდგენილია ადამიანის თითო ფიგურა. ამასთანავე, საგულისხმო ჩანს ის გარემოება, რომ როგორც ფოტოზე, ისე ჩანახატზე აღბეჭდილ რელიეფზე, ცხენის ფიგურა მართლაც მსგავსია – თანაგვარია ცხოველის თხელი კიდურები, სავსე ტანი, თავდახრილი პოზა და გამონასკვული კუდი, ისევე როგორც მხედრის სამოსი, კაბა და ფეხთსამოსი. მარი მიიჩნევა, რომ რელიეფი ასევე კამსარაკანთა პერიოდს ეკუთვნის და იგი, სავარაუდოდ, ციტადელიდან იქნა გადმოტანილი. მისი დაკვირვებით, გამოსახული იყო საერო შინაარსის სცენა.²⁹¹



სურ. 90. ციტადელის ეკლესია, ინტერიერი. სამხრეთი კედლის პილასტრის შემკულობა. გამოცემიდან – Mapp 1915

რელიეფზე გამოსახული ცხენები მსგავსია მრენის ეკლესიის (VII ს.) ჩრდილოეთ ფასადზე, კარის ტიმპანის ქვეშ მდებარე არქიტრავის ქვის მამკობ რელიეფურ კომპოზიციაში წარმოდგენილი გამოსახულებისა.²⁹² საგულისხმოა, რომ მრენშიც კომპოზიცია თანაზულადაა განთავსებული, თუმცა კი მისი იკონოგრაფიული სქემა სხვაგვადრადაა გადაწყვეტილი, ამასთან მეორდება სიცოცხლის ხის გამოსახულებაც, აყვავებული ტოტებითა და სტილიზებული ფოთლებით (სურ. 91.7).

ციტადელის ეკლესიის რელიეფის მსგავსი იკონოგრაფიული სქემითაა წარმოდგენილი წმინდა მხედრების გამოსახულებები მარტვილის საკათედრო ტაძრის დასავლეთი აფსიდის ფასადს გაყოლებულ ფრიზზე (VII ს.) (სურ. 91.5-6) – ამ შემთხვევაში საგულისხ-



1.



2.



3.



4.



5.



6.



7.



8.

მო ჩანს სიცოცხლის ხის გამოსახულებების მსგავსებაც. ციტადელის ეკლესიის კედელზე ერთ დროს წარმოდგენილი წმ. მხედრების გამოსახულებასთან სტილურად ახლო დგას ატენის სიონის დასავლეთ ფასადზე წარმოდგენილი ნადირობის სცენა (VII ს.) (სურ. 91.8), განსაკუთრებით კი წმ. ევსტათეს ცხენის ფიგურა წებელდის ეკლესიის კანკელის ერთ-ერთ ფილაზე გამოსახული სცენიდან (VII-VIII სს.) (სურ. 91.3).²⁹³ შესაბამისად, არსებობს გარკვეული საფუძველი იმისთვის, რომ ციტადელის ეკლესიის რელიეფის შექმნაც, სავარაუდოდ, იმავე ეპოქით განისაზღვროს.

ეკლესიის დასავლეთი ფასადის ამსახველ ძველ ფოტოზე ჩანს, რომ ფრონტონის ქვეშ ჩართული იყო რელიეფური ჯვარი, რომელიც ამჟამად ასევე დაკარგულია. არსებობს ამ ჯვრის ჩანახატი, რომლის მიხედვითაც ძნელია რელიეფის შექმნის პერიოდზე მსჯელობა. შესაძლებელია, ის ნაგებობის მოგვიანო აღდგენა-განახლების დროსაც ყოფილიყო კედლის წყობაში ჩართული.

ფიგურულ რელიეფთანაღ ალსანიშნავია ასევე დაკარგული კომპოზიცია, სახელდობრ სამხრეთი ფასადის ნიშის დასავლეთი კუთხის კაპიტელის მამკობი ბიბლიური სცენა – აბრაამის მსხვერპლშეწირვა, რომელიც აკანთის მოტივში იყო ჩართული.²⁹⁴ მარი მიიჩნევს, რომ ეს რელიეფი ეკლესიის აგების დროს, კამსარაკანთა პერიოდს (VII ს.) ეკუთვნის და უნდა მიანიშნებდეს ნაგებობის გარე ნიშის თავდაპირველ ლიტურგიკულ დანიშნულებაზე, რაც მოგვიანოდ დეკორატიული ფუნქციით შემოიფარგლა (სურ. 82).²⁹⁵

ეკლესიის წნული ორნამენტით გაფორმებული კარნიზები, როგორც უკვე აღინიშნა, გადახურვის აღდგენა-განახლების დროისა უნდა იყოს – ისინი, მარის მიხედვით, XIII საუკუნით თარიღდება; იმა-

სურ. 91. წმ. მხედრების რელიეფური გამოსახულებები: 1. ანისის ციტადელის ეკლესიის ჩრდილოეთი კარის არქიტრავის რელიეფი; 2. ჭალას ეკლესიის რელიეფი; 3. წებელდის ეკლესიის კანკელის ფილა; 4. დვინი, კაპიტელი; 5-6. მარტვილის საკათედრო ტაძრის საფასადო რელიეფური ფრიზები; 7. მრენი, ჩრდილოეთი კარის არქიტრავი, რელიეფი იმპერატორ ჰერაკლეს მიერ ჯვრის თავყვანისცემის გამოსახულებით; 8. ატენის სიონი, დასავლეთი ფასადი, ნადირობის სცენა

სურ. 92. ციტადელის ეკლესია.
ჩრდილოეთი ფასადის კარნიზი და
ლორფინიანი გადახურვა



ვე პერიოდისა უნდა იყოს ეკლესიის სახურავის ქვის ლორფინებიც (სურ. 92).²⁹⁶

ნაგებობაზე არსებული წარწერები კარგადაა ცნობილი. მათგან ერთი მოთავსებული იყო ჩრდილოეთ ფასადზე, კარნიზის ქვეშ. ვარდაპეტ აბისოლომის ამჟამად დაკარგული ლაპიდარული საქტიტორო ტექსტის დაბოლოება თარიღის აღმნიშვნელი გრაფემებით ადრევე ყოფილა დაზიანებული.²⁹⁷ იმავე ქტიტორს ეკუთვნის მეორე წარწერაც – იგი 1914 წელს ეკლესიის აღმოსავლეთით, ნანგრევებს შორის იქნა მიკვლეული.²⁹⁸

ეკლესიის აგების შესაძლო პერიოდის განსაზღვრისას საგულისხმო ჩანს კაპიტელის ქვების ფორმა, აგრეთვე ორნამენტული დეკორისთვის გამოყენებული მცენარეული და გეომეტრიული მოტივები. კაპიტელის მსგავსი ფორმა – სადა, ზემოთ ოდნავ გადაშლილი მართკუთხა ბლოკი, დასრულებული ბრტყელობით თაროთი – გვხვდება ერერუიქში²⁹⁹ და ბაიბურთში (ორივე V-VI სს.).³⁰⁰ ამ ეკლესიებში რელიეფები კაპიტელზე გამოკვეთილი. ამასთანავე, უფრო ხშირია ამ ფორმის სადად დატოვებული კაპიტელები, ისე როგორც ანისის ეკლესიაში, მაგალითად, ოძუნის (VII ს.),³⁰¹ რიფსიმეს (VII ს.),³⁰² ავანის (VII ს.),³⁰³ მრენის (VII ს.)³⁰⁴ სენექის (V ს.)³⁰⁵ ეკლესიებში და იმ ეპოქის სხვა მრავალ ძეგლში. განსხვავება ისაა, რომ ანისის ციტადელის ეკლესიაში კაპიტელის ქვა სადაა, რელიეფები კი მის ქვემოთ, პილასტრების ზედა ნაწილშია განთავსებული (სურ. 89 და 90).

იონიური კაპიტელების იმიტაცია, სხვადასხვა ვარიაციებით, ფართოდ იყო გავრცელებული სომხურ არქიტექტურაში V საუკუნიდან მოყოლებული, ასწლეულების განმავლობაში. მათ შორის, ანისის ციტადელის ეკლესიაში არსებული მოტივი თავისი გადაწყვეტით ერთ-ერთი ყველაზე უფრო სტილიზებული და მინიმალისტურია. ორნამენტული მოტივები, სახელდობრ ვარდულები და ვარსკვლავები, რაც ციტადელის ეკლესიის შემკულობაში მეორდება, ფართოდაა გავრცელებული სომხურ ხელოვნებაში მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში. მაგალითად, თანაგვარი გადაწყვეტის სახესხვაობები დასტურდება არუჭში (VII ს.),³⁰⁶ პტლნიში (VI ს.),³⁰⁷ სტილიზებული ვარდულები და ვარსკვლავები გვხვდება მოგვიანო ხანის სომხურ

არქიტექტურაში, სახელდობრ, ანისში – კათედრალის (X-XI სს.) პორტალის პილასტრების კაპიტელზე,³⁰⁸ აგრეთვე მარმაშენში (XI ს.), ხწკონქში (XI ს.), კეჩარისში (XI ს.),³⁰⁹ ნორ ვარაგავანქში (XII ს.)³¹⁰ და სხვ.

ციტადელის ეკლესიის რელიეფთა შესრულებისას კვეთა მცენარეული ორნამენტის გადმოცემისას ხაზგასმულად გეომეტრიულია; იქმნება ასოციაცია ხეზე კვეთილობასთან. შეიძლება გამოირჩეს ორი ოსტატის ხელი; მათგან ერთი რამდენადმე უფრო დენად ორნამენტს ჭრის (მაგალითად, აკანთის ფოთლები, ხვეული ფოთლოვანი კანტები კაპიტელების ძირში), მეორე კი უფრო მკვეთრად გეომეტრიულს (ჩრდილოეთი პილასტრების გაფორმება, არწივის ფიგურა). აკანთის მოტივი ახლოა ზვართნოცის (VII ს.)³¹¹ ეკლესიის მამკობ ორნამენტთან. ანისის ციტადელის ეკლესიაში კაპიტელის ქვა იმდენად ბლოკურია, პილასტრები კი დანაწევრებული, რომ შედეგად იქმნება სრულიად განსხვავებული მხატვრული გამოსახველობით აღბეჭდილი გამოსახულება.

სწორკუთხა პილასტრები სომხეთში საეკლესიო აღმშენებლობის ადრეული ეტაპისთვის იყო დამახასიათებელი. VII საუკუნიდან მოყოლებული, იწყება პილასტრის ფორმის სახეცვლილება და X საუკუნისთვის იგი უკვე ლილვების კონად იქცევა; ასე გრძელდება მომდევნო პერიოდის განმავლობაშიც, ამასთან, გარკვეული აღნაგობრივი და მხატვრული პრინციპით – პილასტრის ცენტრალური ნაწილი ნახევარწრიული მოხაზულობის გახდა, კიდურა მონაკვეთები კი სწორკუთხა და ნახევარწრიული მოხაზულობის ფორმებით შექმნილი საფეხურებია.³¹² ციტადელის ეკლესიის პილასტრების კომპოზიციას ზუსტი ანალოგი არ მოეპოვება, მასთან შედარებით ახლოსაა თეკორის ეკლესიის (V, VI-VII სს.) პორტალის პილასტრთა არქიტექტურული სახე.³¹³

ეკლესიის საკურთხევლის აფსიდის პირას გამოკვეთილია მცენარეული ორნამენტის ორი ვარიაცია: მათგან ზედა დენადი ფოთლოვანი რტოა, ქვემოთ კი ფოთლების ირიბად დალაგებული მწკრივი. ამ ორნამენტების კომბინაციას ვხვდებით ბოლნისის სიონის (V ს.) სარკმლის შემკულობაში.³¹⁴ შესაბამისად, კაპიტელების ფორმა, ისევე როგორც მცენარეული და გეომეტრიული ორნამენტების რეპერტუარი, საერთოს ჰპოვებს ადრეული შუა საუკუნეების გარკვეული მონაკვეთის, სახელდობრ, VI-VII საუკუნეების სომხური და ქართული არქიტექტურის ნიმუშებთან.

როგორც ვხედავთ, რამდენადაც სადა იყო ეკლესიის გარე იერსახე, იმდენად დატვირთული იყო მისი შიდა სივრცე; და ეს არა მხოლოდ კვეთილი რელიეფების ხარჯზე მიიღებოდა. სივრცის მთავარი მარგანიზებელი აქ ის რიტმია, რომელიც განივი კედლების გასწვრივ არსებული ნახევარსვეტებითა და ნიშებით იქმნება. ნაგებობის ერთადერთ გადარჩენილ კედელზეც კარგად ჩანს, რომ ნახევარსვეტები საკმაოდ მასიური და დამჯდარი პროპორციებისა იყო, მაგრამ ქვის ფერთა განაწილებისა თუ კვეთილი ორნამენტების წყალობით ეს ერთგვარი სიმძიმე განეიტრალებულია, რასაც ეკლესიის შემჭიდროებული სივრცე უწყობდა ხელს. ეკლესიის სივრცე დანგრევამდე



სურ. 93. ციტადელის ეკლესიის ინტერიერი. საკურთხევლის აფსიდის ჩრდილოეთი კუთხე, ქვედა მონაკვეთი

რომ ინტენსიური, რიტმული და ცოცხალი იყო, ამას ბროსეს მიერ გამოქვეყნებული ილუსტრაციაც მოწმობს (სურ. 81). დღეს, ნაგებობიდან შემორჩენილი ერთადერთი კედლის ხილვისას, ძნელია მისი ინტერიერის აღნაგობისა და სივრცული გადაწყვეტის წარმოსახვა და ამის თაობაზე დაბეჯითებით მსჯელობა. ეკლესიის გეგმა ცხადყოფს, რომ იგი საკმაოდ ვიწრო უნდა ყოფილიყო. ეს ასევე დამახასიათებელია სომხეთის ადრეული შუა საუკუნეების დარბაზული ეკლესიებისთვის. მაგალითად, ვიწრო და წაგრძელებული დარბაზი, რომელიც მასიური სწორკუთხა პილასტრებით იყო დანაწევრებული, გვხვდება დვინის (VII ს.)³¹⁵ და თალინის (VII ს.)³¹⁶ ტაძრებში, აგრეთვე ლერნაკერტის (IV-V სს.),³¹⁷ არაქელოცვანქის (V-VI სს.)³¹⁸ და პემზაშენის (VII ს.)³¹⁹ დარბაზულ ეკლესიებში.

რაც შეეხება კედლების აგებისას ორი ფერის ქვის გამოყენებას, შავი და წითელი ქვის მონაცვლეობა უცხო არაა ანისისა და, საზოგადოდ, სომხური არქიტექტურისთვის.³²⁰ თუმცა, ადრეული პერიოდისთვის, როგორც წესი, სხვადასხვა ფერის ქვები პერანგის წყობაში გარკვეული პრინციპის მიხედვით არ არის დალაგებული და თავისუფლად მონაცვლე ფერადოვანი ლაქების ეფექტს ქმნის (მრენის კათედრალი ამის საგულისხმო მაგალითია³²¹). ციტადელის ეკლესიასთან ერთ-ერთი ყველაზე ახლო მდგომი მაგალითია თალინის ტრიკონქის ტიპის მცირე ეკლესია (VII ს.), რომლის ფასადებზე ქვედა რეგისტრები შავი, ეკლესიის დანარჩენი ნაწილი კი წითელი ქვის ბლოკებითაა მოპირკეთებული. თალინის მცირე ტრიკონქის აღმშენებლობა ასევე კამსარაკანთა წარჩინებულ საგვარეულოს უკავშირდება.³²²

ციტადელის ეკლესიას კამსარაკანების ტაძარს ეძახიან; მკვლევართა დიდი ნაწილი მას VII საუკუნით ათარიღებს და, როგორც ალინიშნა, ანისის ყველაზე ძველ ეკლესიად მიიჩნევს. ამასთანავე, მაინც არსებობს ეჭვი – ხომ არ არის იგი აგებული ბაგრატუნიანთა მიერ, ანუ მას შემდეგ, რაც ანისი დედაქალაქად იქცა.³²³ ამ მხრივ ნიშნული ჩანს ის გარემოება, რომ კავკასიის VII საუკუნის საეკლესიო არქიტექტურაზე მსჯელობისას ციტადელის ეკლესია საერთოდ არ განიხილება.³²⁴ ისტორიული ვითარების გათვალისწინებით, ეს საკმაოდ ლოგიკურიც ჩანს. თუმცა, ნაგებობის ხუროთმოძღვრულ და მხატვრულ სახეში თავჩენილი, ადრეული პერიოდისთვის დამახასიათებელი, ნიშნები საფიქრებელს ხდის, რომ ნაგებობა მართლაც კამსარაკანების კარის ეკლესია იყო. ამგვარ მოსაზრებას დასაშვებს ხდის იმის გათვალისწინებაც, რომ ეს სამეფო გვარი ტრადიციულად გამოირჩეოდა სააღმშენებლო აქტივობით – მათ სახელს უკავშირდება იმავე რეგიონში მდებარე მრენის (VII ს.)³²⁵ და თალინის (VII ს.)³²⁶ ეკლესიათა მშენებლობაც.

ეკლესია არ შემორჩენილა იმ სახით, როგორადაც იგი თავდაპირველად აიგო – ახალი რეალობა ითხოვდა მის განახლებას და დროით განპირობებულ მოთხოვნებთან მისადაგებას. განახლების პროცესი შესაძლებელია რამდენიმე პერიოდს მოიცავდეს;³²⁷ მათგან გამორჩეულად საინტერესო ჩანს XIII საუკუნე, საქართველოს სამეფოს მფლობელობის ხანა, მხარგრძელთა მმართველობის ეპო-

ქა. ტაძრის სახურავი, ისევე როგორც ჩრდილოეთი მინაშენი, სავარაუდოდ, XIII საუკუნის განახლების შედეგი უნდა იყოს – კარნიზის მამკობი წნული გეომეტრიული ორნამენტი მსგავსია მხარგრძელთა მმართველობის პერიოდის ანისის სხვა ეკლესიების ორნამენტებისა.

ნანგრევებადქცეული ეკლესიის ცალკეულ ნაწილებზე დაკვირვებისას იკვეთება სხვა გადაკეთებების კვალიც. სახელდობრ, აფსიდის იატაკის დონე ჩატრილი და დადაბლებულია. იქვე, ნაყარ ქვებში აღმოჩნდა ფოსოიანი ქვა, რომელიც ზუსტად მოერგო აფსიდის ჩრდილოეთ კუთხეს. ქვაში გამოკვეთილი ფოსო, სავარაუდოდ, კანკელის სამაგრი უნდა ყოფილიყო. მის ასწვრივ, კედლის კუთხეში, კიდევ ერთი, მცირე ზომის ფოსოა ჩატრილი – ამ შემთხვევაში, როგორც ჩანს, კანკელის არქიტრავის სამაგრად (სურ. 93). შესაძლებელია იმის დაშვებაც, რომ ეს ორივე ფოსო ეკლესიის აფსიდის წინ დამაგრებული კრეტსაბმელისთვის იყო შექმნილი და ის ნაგებობის ამ ნაწილის განახლება-გადაკეთების შედეგად არ გაჩენილა, თუმცა კი საკურთხევლის იატაკის დადაბლება ამ შემთხვევაში გარკვეულ ეჭვებს ბადებს. აღნიშნული ცვლილებები დაკავშირებული უნდა ყოფილიყო მხარგრძელთა სარწმუნოებივ გებთან – ამ წარჩინებული გვარის წარმომადგენელთა დიდი უმეტესობა XIII საუკუნის პირველ ათწლეულებშივე მართლმადიდებლობას ეზიარა; შესაბამისად მათ საქტიტორო მოღვაწეობასთან დაკავშირებული ეკლესიის ხუროთმოძღვრული სახეც მართლმადიდებლური საღმრთისმსახურო პრაქტიკის შესაბამისად უნდა ყოფილიყო გადაწყვეტილი.³²⁸

ნაგებობიდან დარჩენილი კედლის შიდა მხარეზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ ეკლესიის ინტერიერი გარკვეული დროის შემდეგ შეილესა და, შესაბამისად, მისი მამკობი რელიეფები ბათქაშით დაიფარა (სურ. 87). აქედან გამომდინარე, სავარაუდოა, რომ გარკვეულ ეტაპზე ეკლესია მოსახატად იყო გამზადებული – ეს კი მხარგრძელთა მმართველობის პერიოდში უნდა მომხდარიყო.³²⁹

საკათედრო ტაძარი

ანისის უმნიშვნელოვანესი და უდიდესი ნაგებობა, შუა საუკუნეების ქალაქათავის ნიშანდობლივ, კათედრალია. ღმრთისმშობლის საკათედრო ტაძარი ნაქალაქარის შუაგულში, მთავარი გზის აღმოსავლეთით მდებარეობს. ეს არეალი ეკლესიის აგების პერიოდისთვის ქალაქის ახალი უბანი უნდა ყოფილიყო. კათედრალის დანახვა ნაქალაქარის თითქმის ყველა უბნიდან არის შესაძლებელი – ის საკმაოდ კარგად იხილება როგორც ჩრდილოეთიდან, ე.წ. ლომის კარიბჭიდან, ისე ქალაქის შემოგარენიდან, კერძოდ მდინარე ახურიანის გადაღმა პლატოდან (სურ. 1 და 94).

კათედრალი გარშემორტყმული იყო სხვადასხვა ნაგებობებით, რომელთა შორის რამდენიმე მცირე ზომის ეკლესიაა, ე.წ. რიფსიმეს და კატრამიდეს სამარხები, ჟამატუნი, აგრეთვე საცხოვრებელი, საზოგადოებრივი და სამეურნეო დანიშნულების სივრცეები.³³⁰

ანისის კათედრალი არა მხოლოდ ქალაქის, არამედ ზოგადად



სომხური არქიტექტურის ერთ-ერთი გამორჩეული ძეგლია;³³¹ როგორც ჩანს, სწორედ ამიტომაც, რომ იგი ასე ხშირად იხსენიება შუა საუკუნეების წყაროებში.³³²

ანისის კათედრალის შესახებ, ჯერ კიდევ XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან მოყოლებული, წერდნენ შარლ ტექსიე,³³³ უილიამ ჰამილტონი,³³⁴ ჰენრი ლინჩი,³³⁵ კარლ შნაზე,³³⁶ ბარონ მაქს ტეილმანი.³³⁷ ძეგლის შესახებ ინფორმაცია დაიბეჭდა არქიტექტურის ისტორიის და ხელოვნების ისტორიის ადრეულ სახელმძღვანელოებში,³³⁸ აგრეთვე ჟურნალ-გაზეთებში (სურ. 95-100).³³⁹ იგი განხილულია იოზეფ სტრუიგოვსკისთანაც.³⁴⁰ ნიკო მარმა კათედრალის კვლევის შედეგები გამოაქვეყნა ანისისადმი მიძღვნილ მონოგრაფიაში;³⁴¹ ძეგლის გრაფიკული ფიქსაცია, ისევე როგორც რეკონსტრუქცია, თოროს თორომანიანმა იტვირთა.³⁴² კათედრალი მოექცა ყველა იმ მკვლევრის ყურადღების ცენტრში, ვინც ზოგადად არქიტექტურის ისტორიით ან ანისისა და სომხეთის არქიტექტურით დაინტერესდა.³⁴³

და მაინც, მიუხედავად ასეთი ინტერესისა, ანისის კათედრალი ერთ-ერთ ყველაზე არასათანადოდ შესწავლილ ძეგლად რჩება. ყოველივე ეს განპირობებულია განვლილი ორი ასწლეულის განმავლობაში რეგიონში ჩამოყალიბებული ვითარებით. თავად ნაგებობის აღმშენებლობის ეტაპები, ისევე როგორც მისი ფუნქციის შეცვლის ფაქტები,³⁴⁴ ართულებს ძეგლის კვლევას და მისი სამშენებლო ისტორიის ქრონოლოგიური ეტაპების დადგენას.

უკანასკნელი თხუთმეტი წლის განმავლობაში თურქეთის კულტურის სამინისტრო ატარებს სამუშაოებს ანისის მემკვიდრეობის არქეოლოგიური კვლევის, დაცვისა და კონსერვაციის მიმართულებით.³⁴⁵ მიუხედავად ამისა, ბოლო დრომდე კათედრალის მდგომარეობა კრიტიკული რჩებოდა.³⁴⁶ რამდენიმე წელია, რაც კათედრალის გარშემო მიმდინარეობს არქეოლოგიური გათხრები; იგეგმება შენობის კედლების კონსოლიდაცია და სრული რესტავრაცია.³⁴⁷

2016-2018 წლებში, ანისში ვიზიტების დროს კვლევითი სამუშაოები კათედრალზე უკვე დაწყებული იყო. არქეოლოგიურ გათხრებს


სურ. 94. ანისი, საკათედრო ტაძარი. საერთო ხედი აღმოსავლეთიდან



სურ. 95. საკათედრო ტაძარი. წიგნიდან – Brosset 1861



სურ. 96. საკათედრო ტაძარი, ინტერიერი.
წიგნიდან – Brasset 1861



სურ. 97. საკათედრო ტაძარი.
გეგმა, ჭრილი სამხრეთით, საფასადო
შემკულობის დეტალები.
წიგნიდან – Texier 1842a



სურ. 98. საკათედრო ტაძარი.
სამხრეთი ფასადის რეკონსტრუქცია.
წიგნიდან – Texier 1842a


ახორცილებდა არქეოლოგების ჯგუფი დენიზლის უნივერსიტეტის პროფესორის, ფაქრიე ბაირამის ხელმძღვანელობით.³⁴⁸ გათხრების შედეგად მოპოვებული მასალები ჯერჯერობით არ გამოქვეყნებულა. ქვემოთ წარმოდგენილი დაკვირვებები ემყარება მხოლოდ იმ მონაცემებს, რომელთა მოპოვებაც ძეგლის დათვალიერებისას იყო შესაძლებელი. ამასთან ერთად, ცხადია, გამოყენებულ იქნა ადრეული პერიოდის ის მასალები, რომელთა ნაწილი ზემოთ უკვე იყო დასახელებული.

* * *

ქალაქში საკათედრო ტაძრის აგების აუცილებლობა მას შემდეგ დადგა, რაც სამღვდელმთავრო კათედრა ეპისკოპოსმა სარგისმა არგინიდან ანისში გადაიტანა და ამით განსაკუთრებული მნიშვნელოვანება შესძინა ბაგრატუნიანთა სატახტო ქალაქს.³⁴⁹ სამხრეთი კედლის დასავლეთ მონაკვეთზე არსებული ვრცელი წარწერის თანახმად³⁵⁰ მშენებლობის ინიციატორი იყო მეფე სმბატ II (977-990 წწ.), რომლის გეობაშიც, 989 წელს ტაძარს საფუძველი ჩაეყარა.³⁵¹ სამშენებლო საქმე დაეკისრა არქიტექტორ თრდატს, რომლისთვისაც, გარდა სომხეთის სამეფო და საეპისკოპოსო ტაძრების მშენებლობისა (არგისის საეპისკოპოსო ტაძარი – 985 წ., გაგიკაშენის ეკლესია ანისში – 995-1000 წწ.; მასვე მიეწერება მარამაშენისა და გელარდის ეკლესიათა აგება, თუმცა ამის დამადასტურებელი წყაროები არ არსებობს³⁵²), ბიზანტიელებს



სურ. 99. საკათედრო ტაძარი.
დასავლეთი ფასადი, რეკონსტრუქცია.
წიგნიდან – Texier 1842a



სურ. 100. საკათედრო ტაძარი, ინტერიერი.
The Graphic 1885

კონსტანტინოპოლის წმიდა სოფიის ტაძრის ჩამოქცეული გუმბათის აღდგენაც მიუნდვიათ.³⁵³ მეფე სმბატ II-ის გარდაცვალების კვალად, კათედრალის მშენებლობა დროებით უნდა შეეყოვნებულებოდა, თრდატი 990-992 წლებში კონსტანტინოპოლში იმყოფებოდა,³⁵⁴ ნაგებობის განახლების მისია კი დედოფალ კატრამიდეს უტვირთავს. ვრცელი წარწერის თანახმად, რომელიც კათედრალის სამხრეთ ფასადზეა ამოკვეთილი, ცნობილი ხდება, რომ მშენებლობა 1001 (სხვა თვალსაზრისით 1010) წელს დასრულებულა.³⁵⁵ კათედრალის ინტერიერს ამშვენებდა საუცხოო ბროლის ჭადი, მის გუმბათზე კი აღმართული იყო ვერცხლის ჯვარი – მათი განადგურება ანისისა და კათედრალის ისტორიის იმ დრამატულ მოვლენებს უკავშირდება, როცა 1064 წლის ახლო ხანებში ქალაქი აღფ-არსლანის ჯარმა დაიპყრო და ტაძარი მეჩეთად გადააქცია.³⁵⁶ სწორედ ქრისტიანული სიწმინდეების შერყვნა გამხდარა მიზეზი იმისა, რომ ანელებმა დახმარებისთვის საქართველოს მეფე დავით IV აღმაშენებელს მიმართეს. დავითის მიერ ანისის სამოცწლიანი ტყვეობიდან გათავისუფლების ამბის თხრობისას მათეოს ურჰაეცი აღნიშნავს – საქართველოს მეფის გარდაცვალების შემდეგ მის მემკვიდრეს, მეფე დემეტრე I-ს მანუჩეს შვილებმა შეჭფიცეს, რომ „კათედრალი სამუდამოდ სომეხებს ექნებოდათ და არ შეუშვებდნენ მასში ტაჭიკებს ან სხვა მუსლიმ ხალხს“.³⁵⁷


კათედრალის ისტორიის ჩვენთვის საინტერესო მომდევნო ეტაპს ასახავს 1213 წლის საფასადო წარწერა, რომლის მიხედვითაც საქართველოს სამეფოს ფარგლებში ანისის არსებობისას, მხარგრძელთა მმართველობის პერიოდში, ვინმე ტიგრანს კათოლიკე ეკლუ-



სიისთვის დიდი ხნის განმავლობაში შერყვნილი საფეხურები აუგია. მიჩნეულია, რომ აქ ნახსენები ტიგრანი ის ადგილობრივი მოქალაქე, წარჩინებული და შეძლებული ტიგრან ჰონენცი უნდა იყოს, რომლის საფასითაც 1215 წელს აიგო წმ. გრიგოლის სამონასტრო ეკლესია,³⁵⁸ ხოლო წარწერაში ნახსენებ „საფეხურებში“ უნდა იგულისხმებოდეს ეკლესიის ცოკოლი (სურ. 123).³⁵⁹

1319 წელს, ძლიერი მიწისძვრის შედეგად ეკლესიის გუმბათი ჩამოინგრა.³⁶⁰ მიჩნეულია, რომ ტაძარმა, როგორც საკათალიკოსო საყდარმა, იმხანად შეწყვიტა ფუნქციონირება. დაცლილ ქალაქში კათედრალის რღვევა კვლავაც გრძელდებოდა, 1832 წლის მიწისძვრამ კი საბოლოოდ გაანადგურა ნაგებობის გუმბათის ყელი, რომლის ვრცელი და დეკორატიული ორნამენტებით დაფარული ქვები, ტექსიეს თანახმად, XIX საუკუნის პირველ ნახევარში ჯერ კიდევ კა-

სურ. 101. საკათედრო ტაძარი. ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან. დ. ერმაკოვის ფოტოკოლექცია



სურ. 102. საკათედრო ტაძარი, გეგმა




სურ. 103. საკათედრო ტაძარი.
ხედი ჩრდილო-დასავლეთიდან.
დ. ერმაკოვის ფოტოკოლექცია

თედრალის ინტერიერში, გუმბათქვეშა მონაკვეთში ეყარა.³⁶¹

ეს მონაკვეთები შესაძლებელს ხდის განისაზღვროს ანისის კათედრალის სამშენებლო ეტაპები და მისი ადგილი ნაქალაქარის ისტორიის საზოგადო სურათში.

კათედრალი ეკუთვნის გრანდიოზულ იმ საეკლესიო ნაგებობათა რიგს, რომლებიც იმხანად კავკასიაში შენდება (სურ. 104). გიორგი ჭეიშვილი მართებულად აღნიშნავს, რომ „X-XI საუკუნეთა მიჯნაზე საქართველოსა და სომხეთის სატახტო ქალაქებში, ქუთაისსა და ანისში, თითქმის ერთდროულად აღიმართა ორი საკათედრო ტაძარი, რომლებიც ბაგრატიონ-ბაგრატუნთა სიდიადესა და კავკასიის საქრისტიანოში მათ პირველობას უსვამდა ხაზს. ხუროთმოძღვრებაში განსახიერებელი მეტოქეობა კავკასიისათვის ბრძოლის ანარეკლს წარმოადგენდა. საუკუნოვან სარწმუნოებრივ და პოლიტიკურ ჭიდილს უნდა გადაეწყვიტა, იქნებოდა ეს გეოპოლიტიკური სივრცე ქართული თუ სომხური“.³⁶² სწორედ ამ კონტექსტშია განსახილავი ანისის საკათედრო ტაძრის ხუროთმოძღვრება, რაც შესაძლებელს ხდის პასუხი გაეცეს ზოგიერთ საკითხს, ამასთან დაისვას ახალი კითხვებიც.

კათედრალი გვემით სწორკუთხა, აღმოსავლეთ-დასავლეთ ღერძზე წაგრძელებული ნაგებობაა. მას ოთხ მასიურ, თავისუფლად მდგომ, ბურჯზე აღმართული გუმბათი აგვირგვინებდა (სიგრძე – 34,3 მ., სიგანე – 21,7 მ., სიმაღლე – დაახლოებით 40 მ.). ინტერიერის სივრცული დაყოფა საკმაოდ სადაა, გახსნილია. ის მოიცავს აღმოსავლეთით მასშტაბურ, ვრცელ საკურთხეველს პასტოფორიუმებით, ასევე ვრცელ გუმბათქვეშა სივრცეს და განივ მკლავებს, აგრეთვე დასავლეთ მკლავს, რომელიც, თავის მხრივ, სამ ნავად იყოფა (სურ. 102).



სურ. 104. X-XI სს. გუმბათიანი ტაძრები საქართველოში: 1. ოშკის წმ. იოანე ნათლისმცემლის ეკლესია; 2. ქუთაისის სიონი; 3. ალავერდის საკათედრო ტაძარი; 4. სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარი. წიგნიდან – Mepiaschwili, Zinzadze 1986

გუმბათი და გუმბათქვეშა სივრცე საკურთხეველთან ერთად ინტერიერის ხილულ და ლიტურგიკულ ცენტრს წარმოადგენდა. რეალურად გუმბათქვეშა სივრცე არა ტაძრის შუაში, არამედ საკურთხეველთან ახლოს მდებარეობს, ხოლო ეკლესიის მესამედს დასავლეთი მკლავი შეადგენს. ანისის კათედრალი, ირინე ელიზბარაშვილის მოსაზრებით, აღმოსავლეთისკენ დაძრული გუმბათქვეშა სივრცით, ქართულ არქიტექტურულ ტრადიციას უკავშირდება. ხუროთმოძღვარი თრდატი, რომელიც თავისი დროის ყველაზე მასშტაბურ პროექტებს ახორციელებდა სომხეთსა და კონსტანტინოპოლში, ცხადია, იცნობდა რეგიონის მოწინავე არქიტექტურულ ტენდენციებს და, შესაძლოა, სწორედ სივრცული აღნაგობის მხრივ მან ანისის კათედრალისთვის ტაოს ქართული ტრადიციებით იხელმძღვანელა. ამის მაგალითად შეიძლება დასახელებულიყო ოშკის მონასტრის წმ. იოანე ნათლისმცემლის ეკლესია (963-973 წწ.), რომელიც, თავის მხრივ, უწინარესი იყო კავკასიის მასშტაბით ახალი ტიპის საეკლესიო არქიტექტურის ჩამოყალიბების პროცესში (სურ. 104.1).³⁶³

ანისის კათედრალის საკურთხეველის აფსიდის ორსავე მხარეს თითო ორსართულიანი გვერდის ოთახია. მათ ქვედა სართულზე შესასვლელები ტაძრის განივი მკლავებიდანაა, მეორე სართულზე მოხვედრა კი საკურთხეველის კედელში დაყოლებული ვიწრო კიბიდან არის შესაძლებელი.

საკურთხეველის აფსიდი ამალეებულია, ასასვლელები კიდევშია მოწყობილი. XIX საუკუნეში აქ ჯერ კიდევ ყოფილა კრეტსაბმელის სამაგრი, რომელიც აფსიდის კიდევს შორის იყო გაჭიმული.³⁶⁴ საკურთხეველში ათი ნიშია, რომელთაც უწყვეტი თაღნარი აერთიანებს. ყოველ ნიშაში დასაბრძანებელია გამართული, ნიშების კონ-

სურ. 105. საკათედრო ტაძარი, ინტერიერი. მოხატულობის კვალი საკურთხევლის კონქში



ქები კი ნიჟარისებრი ფორმებითაა გამშვენებული. შეწყვილებულ პილასტრებს ნატიფად დამუშავებული სხვადასხვა მცენარეული ორნამენტით შემკული კაპიტელები აგვირგვინებს. თაღნარი დაგვირგვინებულია კარნიზიანი თაროთი – იგი აფსიდის კედლიდან გამოწეულია და ამით თითქოს გამოყოფს კიდეც ამ თაღნარს (სურ. 108). მაღალდასაბრძანებლის კონქების შემკულობას ეხმიანება საკურთხევლის კონქის სატეჩი ქვის ორნამენტაცია, სადაც რადიალურად განლაგებული სხივებია გამოკვეთილი. ეს ორნამენტული ნახატი ასევე გვხვდება საფასადე ნიშების გაფორმებისასაც (სურ. 105, 115.1).

საკურთხეველი ერთადერთი სივრცეა ინტერიერში, სადაც რაიმე სახის ორნამენტი ჩნდება. შიდა სივრცის მთელი ძალა მის სი-სადავესა და უბრალოებაშია. ქვის ზედაპირის უზადო დამუშავების მხატვრული ხერხი, რომელიც სომხური ხუროთმოძღვრებისთვის ზოგადად არის დამახასიათებელი, ანისის კათედრალში ზედმიწევნით დატვირთვას იძენს. მასიური, ამასთან საფეხურებად დანაწევრებული ბურჯების, გუმბათქვეშა აფრების, შეისრული თაღებისა და

სურ. 106. საკათედრო ტაძარი, ინტერიერი. გუმბათქვეშა კამარები



შეკონილი პილასტრების ვერტიკალური აქცენტები მასიური და მუქი კედლების გლუვ სიბრტყეებს უპირისპირდება და კათედრალის მონუმენტურ, მძიმე და გარინდულ სივრცეს მასიურობით და სიხალვათით აღბეჭდავს. ფორმების მონუმენტურობას და სივრცის სიხალვათეს ისიც ემატება, რომ ეკლესია მწირადაა განათებული – გუმბათის დანგრევამდე ეს კიდე უფრო საგრძნობი იქნებოდა (სურ. 106, 107 და 109).

ინტერიერისგან განსხვავებულია კათედრალის გარე სახე. იგი მასშტაბურობით, მონუმენტურობითაა აღბეჭდილი. თაღნართი გამშვენებული მისი ბრტყელი ფორმების მონაცვლეობას მხოლოდ ორ-ორი სამკუთხა ნიშა არღვევს; მათი ერთი წყვილი – თავისი ზომებით და გაფორმებით გამორჩეული – აღმოსავლეთით, საკურთხევლის აფსიდსა და გვერდითა პასტოფორიუმებს შორის არსებულ მონაკვეთებზეა განთავსებული. სამხრეთი და ჩრდილოეთი ფასადების შედარებით ვიწრო ნიშები პორტალთა ორივე მხარეს ჩაურთავთ – იმ მონაკვეთებზე, რომლებსაც ინტერიერში ნახევარსვეტები ებჯინება. დასავლეთი ფასადი შედარებით სადაა, ნიშების გარეშე (სურ. 103). ყველა ფასადს თაღნარი გაუყვება; ამ რიგში ცენტრალური თაღები შედარებით განიერი და ამაღლებულია, თუმცა ნებისმიერი შვეული აქცენტი გაწონასწორებულია თარაზული ხაზით, რომელიც აჩარჩოებს ან კარნიზის სახით აგვირგვინებს თაღებს. ეკლესიის გუმბათის ყელი ასევე პილასტრებს დამყარებული თაღნართი იყო შემკული – მათი ნაშთები ახლაც შეიმჩნევა გუმბათის ფუძის ზემოთ შემორჩენილ რამდენიმე საპირე ქვაზე (სურ. 94, 101 და 103).

ეკლესიის ფასადები შემკულია ღიობთა ფართო, სწორკუთხა ორნამენტული საპირეებით, აგრეთვე კაპიტელებით, კარნიზებით,



სურ. 107. საკათედრო ტაძარი, ინტერიერი. ხედი სამხრეთით



სურ. 108. საკათედრო ტაძარი. საკურთხევლის აფსიდი, მაღალდასაბრძანებელი ნიშების რიგი

ვარდულებით, ჯვრებისა და ფრინველების გამოსახულებებით. ორნამენტული დეკორი არ არღვევს კედლის მონოლითურობას და ერთიანად ექვემდებარება თაღნარის რიტმს (სურ. 110-116).

აფსიდის კედელს შემოყოლებული თერთმეტი მაღალდასაბრძანებელი თაღოვანი ნიშა, ინტერიერის საერთო მონუმენტური და სადა სახისგან განსხვავებულია. ეს გარემოება სავარაუდოს ქმნის, რომ ისინი მოგვიანოდ უნდა შეექმნათ – იმ ეპოქაში, როდესაც ანისი საქართველოს სამეფოს ფარგლებში მოექცა, მის შესაძლო პირველსახედ კი მცხეთის სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძრის საკურთხეველში არსებული მაღალდასაჯდომელი ნიშების რიგის



სურ. 109. საკათედრო ტაძარი, ინტერიერი. სამხრეთ-დასავლეთი ბურჯი



სურ. 110. საკათედრო ტაძარი, დასავლეთი ფასადის სამხრეთი მონაკვეთი

მსგავსი განლაგება შეიძლება იქნას მიჩნეული.³⁶⁵ შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ მეფე დავით IV აღმაშენებლის მიერ ანისის გამოსხნის შემდეგ, კათედრალის მეჩეთისგან გათავისუფლებისა და კვლავ ეკლესიად კურთხევის კვალად იგი საქართველოს საპატრიარქოს დაექვემდებარა და მაღალდასაჯდომელთა რიგიც იმხანად იქნა გამართული. ამასთანავე, აქვე უნდა გავისხენოთ მარამაშენის მონასტრის მთავარი ეკლესია,³⁶⁶ რომელიც ანისის სიახლოვეს, ხეობის გადაღმა მდებარეობს და ასევე ანისური არქიტექტურული სკოლის ნიმუშად ითვლება (არსებობს მოსაზრება რომ ასევე თრდატის აგებულია და თარიღდება X-XI საუკუნეების მიჯნით, წარწერის თანახმად კი 1225 წელს იქნა აღდგენილ-განახლებული) და გაილაძორის ხევის კლდეში ნაკვეთი მცირე ზომის ეკლესია - ე. წ. ეკლესია N20 (მიღმიღ ქილისე), რომელთა საკურთხეველებში ასევე მაღალდასაჯდომელთა რიგია მოწყობილი.³⁶⁷ მაღალდასაჯდომელების ტრადიციას, მართალია, სომხეთში ფეხი არ მოუკიდია, მაგრამ, როგორც ჩანს, შირაკის მხარისთვის ის უცხო არ დარჩენილა: არ არის აუცილებელი, რომ თაღნარის შექმნა დავით აღმაშენებლის ეპოქის სამეფო და საეკლესიო ხელისუფლების მმართველობას დაუკავშირდეს. შესაძლოა, სომხეთის ეკლესიამ მაღალდასაჯდომელის ეს ფორმა ტაო-კლარჯული საეკლესიო არქიტექტურიდან იმემკვიდრა (ხახული, ურთა - ორივე X საუკუნისა) ან სულაც სირიულიდან (ჰაჰის მონასტრის ღმრთისმშობლის ეკლესია³⁶⁸), რომელიც მათთვის უფრო ახლობელი შეიძლებაოდა ყოფილიყო, როგორც აღმსარებლობითად, ისე სამშენებლო ტრადიციებით.

თამარის ზეობის პერიოდს გულისხმობდა ნიკო მარი, როდესაც ანისის კათედრალის განხილვისას დარწმუნებით მსჯელობდა ინტენსიური აღდგენითი სამუშაოების შესახებ. მარის დაკვირვებით, ნაგებობის გარე მოპირკეთება არ არის ავთენტური და ის ხელახლა შეიმოსა XII საუკუნის დასასრულს - XIII საუკუნის დასაწყისში. ამგვარი მოსაზრების საფუძვლად მარი იმ სხვაობას მიიჩნევს, რომელიც საჩინოა თრდატის მიერ აგებული ორი ნაგებობის - კათედრალისა და გაგიკის ტაძრის გარესახეთა შორის. მკვლევარი მიიჩნევს, რომ კათედრალის თავდაპირველი სახე აღბეჭდილი უნდა ყოფილიყო ეკლესიის მოდელის ფრაგმენტში, რომელიც გათხრების დროს აღმოჩენილა და, რომელიც, მისი რწმენით, საქტიტორო რელიეფის ნაწილი უნდა ყოფილიყო. ეს რელიეფი, სავარაუდოდ, ეკლესიის ფასადიდან მაშინ უნდა მოეხსნათ, როცა კათედრალი მუსლიმთა ხელში აღმოჩნდა. მარი ადარებს თრდატის მიერ აგებულ ამ ორ ტაძარს და ხაზს უსვამს იმ სხვაობას, რომელიც მათ შორის არსებობს. სახელდობრ, მისი დაკვირვებით, გაგიკის ტაძარში ორნამენტის ნახატი არქაულია და მთავარი დეკორატიული მოტივები თავისი ხასიათით ბერძნულის თანაზიარია, კვეთილი ორნამენტაცია განზომიერებულად გამოიყენება, მასალა კი ერთფეროვანი მუქი ქვაა. ყველა ამ მახასიათებლით იგი სხვაობს კათედრალისგან და უახლოვდება მეფე გაგიკის ზეობის პერიოდის სხვა ნაგებობებს, როგორებიცაა ანისის მოციქულების ეკლესია და ზედა უბნის ეკლესია. მარი ასევე მსჯელობს მკვეთრ სხვაობაზე, რომელიც ეკლესიის ინტერიერსა და ექს-

ტერიერს შორის არსებობს და დარწმუნებულია, რომ ფასადთა პოლიქრომია XII-XIII საუკუნეების განმავლობაში შექმნილი ხელახალი მოპირკეთების შედეგია.³⁶⁹ იგი ახსენებს 1213 წლის წარწერას და დასძენს, რომ „როგორც ჩანს, ტაძარს იმ დროს უფრო საფუძვლიანი რესტავრაცია ჩაუტარდა, ვიდრე საფეხურების აღდგენა. დღეისთვის არსებული სახით კათედრალი არ წარმოადგენს X-XI საუკუნეების ხელოვნების ნიმუშს, იგი არის XII-XIII საუკუნეების (არა უგვიანეს XIII საუკუნისა) ძეგლი“. მარი იქვე ახსენებს X საუკუნის წარწერას, რომელსაც XII-XIII საუკუნეების ასლად მიიჩნევს – „სხვა რომ არაფერი, მასში ქართული თარიღია შეტანილი, რისი არსებობაც რთული ასახსნელი იქნება სომეხ მეფეთა მმართველობის პერიოდისთვის“.³⁷⁰ მარის ეს მოსაზრებები ნაკლებად იქნა გაზიარებული (გაიზიარა კონდაკოვმა); მას არადამაჯერებელი ჰიპოთეზა უწოდეს სტრუიგოვსკიმ, ტოკარსკიმ, მურადიანმა, ოგანესიანმა. თორამანიანი, რომელმაც ეკლესიის რეკონსტრუქციის მისეული ვარიანტი შექმნა, ასევე არ ემხრობოდა იმ მოსაზრებას, რომ კათედრალს, შესაძლოა, მხარგრძელთა მმართველობის ეპოქაში შემოსილი გუმბათი ედგა. გუმბათის მისეული რეკონსტრუქცია კათედრალის პირვანდელი სახით აღდგენის მცდელობაა. მხარგრძელთა მმართველობის პერიოდში კათედრალის განახლების იდეას იზიარებს ჟან-მიშელ ტიერი, თუმცა იგი ამის თაობაზე მხოლოდ მითითებით იფარგლება.³⁷¹

მარის მიერ გამოთქმული მოსაზრებები ბუნებრივად განაპირობებს ეკლესიის კედლების, ფასადებისა და ორნამენტების ფოტოებზე ზედმიწევნითი დაკვირვების სურვილს. დაკვირვება კი ცხადყოფს – მიუხედავად იმისა, რომ ნაგებობის კედლები საკმაოდ თხელია, და ძალიან ძნელია მის აღნაგობაში სამშენებლო გადაბმების ან ნაკერების დანახვა, საფასადო წყობაში მათი პოვნა შესაძლებელი ხდება. კერძოდ, ყველაზე მკვეთრი ნაკვალევი გადაკეთებისა არის სამხრეთ ფასადზე, სადაც ცენტრალური თაღის ზედა მოხარჩოება აღმოსავლეთით წყდება და შვეულ საფეხურს აღარ ქმნის (სურ. 101).

ირდილოეთ ფასადზე, ასევე ჩანს ცვლილება აღმოსავლეთ ნაწილში განთავსებული თაღნარის თავზე, სადაც თარაზული კარნიზი ნაწილობრივ არის შენარჩუნებული. შესაძლებელია, ეს კარნიზი თავდაპირველად აგვირგვინებდა კიდევ კედელს, რომელიც მშენებლობის პროცესში იქნა ამალღებული (სურ. 103).

დასავლეთი ფასადის სამხრეთ მონაკვეთზე საფასადე ქვის წყობა ჩამოშლილია, კედლის შიდა წყობაზე დაკვირვებისას კი უცნაური სურათი იშლება მნახველის თვალწინ: ძალიან თხლად გათლილი საპირე ქვა თითქოს ზემოდანაა დაკრული კედელს, კედელი კი არ ატარებს ქვის ანაბეჭდს, ის კირდულაბს კი არ წარმოადგენს, არამედ მომცრო ზომის ნატეხი ქვებით აწყობილი კედლის გულია (სურ. 103 და 110). საპირე ქვები აღმოსავლეთ ფასადზეც შემოდარცვია ეკლესიას, თუმცა აქ ბათქაში და მასზე ქვის ანაბეჭდები ნათლად ჩანს (სურ. 116). ეს სხვაობა გვაფიქრებინებს, რომ დასავლეთ ფასადზე, საფასადე წყობა განუახლებიათ შესაძლოა სოლუას შეკეთების დროს.

თვალშისაცემია კიდევ ერთი სხვაობა – იგი თავს იჩენს სამკუთხა ნიშების დეკორატიულ შემკულობაში (სურ. 115). აღმოსავლეთ



სურ. 111. საკათედრო ტაძარი. სამხრეთი ფასადი, არწივის რელიეფური გამოსახულება



სურ. 112. საკათედრო ტაძარი. აღმოსავლეთი ფასადი, არწივის რელიეფური გამოსახულება



სურ. 113. საკათედრო ტაძარი
სამხრეთი ფასადი, წრიული სარკმლები



სურ. 114. საკათედრო ტაძარი.
დასავლეთი ფასადი, რელიეფური კვარი

თი ფასადის ორივე ნიში, აგრეთვე სამხრეთი ფასადის აღმოსავლეთი ნიში, თანაგვარი გეომეტრიული და მცენარეული ორნამენტული მოტივებითაა გამშვენებული. მაგალითად, აღმოსავლეთი ფასადის ორივე ნიშის კონქში გრეხილებითა და მათში ჩართული ვარდულებით ერთგვარი სხივებია გამოყვანილი, რაც მონაცვლეობით დაწყობილ, წითელი და რუხი მონაცრისფრო ტუფის ბლოკებშია გამოკვეთილი. მოტივის ხაზგასასმელად კონქის გულში იგივე სხივები თეთრი და წითელი საღებავითაა დაფერილი. ნიშების გარშემო არსებული საფასადო სიბრტყე ინტენსიური წწული გეომეტრიული ორნამენტით, მცენარეული რკალით და ცრემლების წყებითაა გამშვენებული.

ჩრდილოეთი და სამხრეთი ფასადების აღმოსავლეთი ნიშების დეკორი ასევე ახლოსაა აღმოსავლეთი ფასადის შემკულობასთან, სადაც გეომეტრიულ ორნამენტს ნიშის კონქების მამკობი რელიეფური სხივები ენაცვლება (სურ. 115. 1-2).

ხასიათითა და ქვის კვეთის ხარისხით სრულიად განსხვავებულია სამხრეთი ფასადის დასავლეთი ნიშის შემკულობა, სადაც ორნამენტი დაბალი, ხისტად გეომეტრიული და უმეტესელოა (სურ. 115.3). ჩრდილოეთით არსებული ნიში შემკულობის გარეშეა დატოვებული. სხვაობს სარკმლის ღიობთა საპირე-თავსართებით შემკობის ფორმებიც. აღმოსავლეთ ფასადზე (ასევე საკურთხეველის აფსიდში) სარკმელს წყვილ ლილვზე დამყარებული, ნახევარწრიული მოყვანილობის თავსართი ამკობს, მაშინ როცა დასავლეთ მონაკვეთებზე საპირეებიცა და თავსართებიც ბრტყელი რელიეფითაა შექმნილი (სურ. 114 და 116).

შესაძლოა ვიფიქროთ, რომ ნიშებს სხვადასხვა ოსტატები ამკობდნენ. ამასთანავე, არ გამოირიცხება, რომ მათი შემკულობის ხასიათი სხვადასხვა სამშენებლო ეტაპით იქნა განპირობებული.

ნიშების წითელი და რუხი ქვის მონაცვლეობით გაფორმება ისევე ქართულ ხუროთმოძღვრებასთან მიმართებაზე მეტყველებს, სადაც სხვადასხვა ფერის ქვის კვადრების რადიალური განთავსება ამ დროისთვის უკვე კარგად დამკვიდრებული ტრადიცია იყო.³⁷² ანისის კათედრალში გამოყენებული ეს მოტივი სომხურ არქიტექტურაში დადასტურებულ უადრეს ნიმუშად არის მიჩნეული.³⁷³ მოგვიანებით ის გვხვდება ჰორომოსის წმ. გიორგის ეკლესიისა და ანისის ქალწულთა ციხის ეკლესიის ფასადებზე (სურ. 159 და 160).


უცნობი რჩება თუ როგორ გამოიყურებოდა ანისის საკათედრო ტაძრის გუმბათი. ის უფრო ადრე დაინგრა, ვიდრე მოგზაურებმა, სიძველეთა მოყვარულებმა და მკვლევარებმა მისი ჩახატვა შეძლეს (სურ. 98), თუმცა ტექსიეს ჩანაწერი და მის მიერ გამოცემული რეკონსტრუქცია, კათედრალის ისტორიის საინტერესო ასპექტზე მიანიშნებს. კერძოდ, ტექსიე წერს, რომ ანისში მისი ყოფნისას ეკლესიის გუმბათის ყელი თითქმის მთლიანად დანგრეული იყო, მისი ქვები კი ეკლესიის შიგნით იყო დახვავებული. მათ შორის იოლად გამოირჩეოდა გუმბათის საფასადე ქვები, რომელთაც ზუსტად ისეთივე ორნამენტები ამკობთ, როგორც ანისის სხვა ეკლესიებს.³⁷⁴ მართლაც, ნაქალაქარში შემორჩენილ ეკლესიათა გუმბათები, გარდა ერთისა



სურ. 115. ნიშების შემკულობა: 1. ანისის საკათედრო ტაძარი, აღმოსავლეთი ფასადი; 2. ანისის საკათედრო ტაძარი, სამხრეთი ფასადის აღმოსავლეთი ნიშა; 3. ანისის საკათედრო ტაძარი, სამხრეთი ფასადის დასავლეთი ნიშა; 4. მარმაშენის მონასტრის მთავარი ეკლესია. ჩრდილოეთი ფასადის ნიშა

(აბულამრენცის ტაძარი), მცირედი სახესხვაობით ერთი რიგისაა. მათ შორის სანიმუშო ჩანს წმ. გრიგოლის ეკლესიის გუმბათი, რომელიც შემკულია წნული ორნამენტაციით დაფარული უწყვეტი თაღნარით; თაღებს შორის სარკმლებია მოქცეული, კედლის თავისუფალ არეებს ვარდულები და ფრინველები ამკობს, თაღნარს ზემოთ კი ისევ წნული ორნამენტის განიერი კარნიზია (სურ. 118 და 140).

სავარაუდოა, რომ კათედრალის გუმბათი საქართველოს სამეფოს მფლობელობის (შესაბამისად – მხარგრძელთა მმართველობის) ეპოქაში ხელახლა შეიმოსა და, შესაბამისად, მისი საერთო არქიტექტურულ-მხატვრული სახე ქალაქის სხვა ეკლესიის გუმბათების მსგავსი იყო. მაგალითისთვის შეიძლება დასახელებულიყო საკათედრო ტაძრის უშუალო სიახლოვეს, მისგან რამდენიმე ათეული მეტრის დაშორებით მდგარი მაცხოვრის ეკლესია, რომელიც, 1035-1036 წლებში აიგო.³⁷⁵ მისი გუმბათი კი მოგვიანოდ ხელმეორედ აღუმართავთ.³⁷⁶ ნახევრად დანგრეული ეკლესიის ფასადზე დაკვირვება ცხადყოფს სხვაობას ტაძრის წრიული ფორმის კორპუსისა და მასზე აღმართული, ასევე წრიული ფორმის, გუმბათის თაღნარითა და ორნამენტაციით გაფორმების ხასიათში. მიუხედავად იმისა, რომ სომეხი ქვითხუროები ტრადიციულად მაქსიმალურად ამცირებენ სამშენებლო ნაკერების ხედვითობას და სხვადასვა სამშენებლო პერიოდების გარჩევისა და დანახვის შესაძლებლობას (მაშინ, როცა ქართველი ოსტატები ამ სხვაობას არაფრად დაგიდევნ და ხაზგასმულად აჩვენებენ კიდეც, თუ რა ცვლილება განხორციელდა), ქვის ფერი და ორნამენტის კვეთის ხასიათი თვალს მაინც არ გამოეპარება. მაგალითად, თუკი მაცხოვრის ეკლესიის ინტერიერი დამჯდარი პროპორციებითა და მსუყე ფორმებით ხასიათდება, ისევე როგორც კათედრალისა, ქვედა იარუსის თაღნარი სისადავით გამოირჩევა, კარის პორტალს კი ელინისტური კარნიზი ბურავს, მისი ზედა, გუმბათის ყელის თაღნარით დამუშავება სრულიად განსხვავებული ხა-



სურ. 116. საკათედრო ტაძარი. აღმოსავლეთი ფასადი, საკურთხევლის სარკმელი

სიათისაა. იგი, ერთი მხრივ, უფრო ელეგანტურია, მეორე მხრივ კი რამდენადმე დაწვრილმანებული და ისლამური მხატვრული წრის თანაზიარი წნული კარნიზის ელემენტებსაც შეიცავს (სურ. 140).

მიჩნეულია, რომ 1319 წლის მიწისძვრის შედეგად კათედრალის გუმბათი ჩამოიქცა.³⁷⁷ სავარაუდოდ, იმავე დროს დაზიანდებოდა მაცხოვრის ეკლესიაც, რომლის გუმბათის აღდგენა 1342 წელს გამხდარა შესაძლებელი.³⁷⁸ თუ ქალაქს ჯერ კიდევ შესწევდა უნარი რაიმეს აღდგენისა, ეს, პირველ ყოვლისა, კათედრალი უნდა ყოფილიყო.

ანისის კათედრალის გუმბათი XIV საუკუნეში უნდა აღედგინათ და მას ისეთივე იერსახე ჰქონდა, როგორც ანისის სხვა ეკლესიებს. ამის დამადასტურებელი ისტორიული ცნობა ან წარწერა არ არსებობს, თუმცა კი მოსალოდნელია, რომ არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩნდეს ნივთიერი მოწმობა, რაც ამ მოსაზრებას გაამყარებს ან დაადასტურებს. ამავე დროს, სავსებით შესაძლებელია, რომ სოფელ ანის (ძველი ოშაქლის) საცხოვრებელი სახლების წყობაში კათედრალის გუმბათის ყელის მამკობი ქვების ორნამენტული ფრაგმენტები აღმოჩნდეს. ყოველივე კი ნათელს მოჰფენს კათედრალის სამშენებლო პერიოდებთან დაკავშირებულ საკითხებს, დაადასტურებს ან უარყოფს ტექსიეს და მარის მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს ეკლესიის აგების სავარაუდო ეტაპებისა და ფორმების შესახებ.

წმ. გრიგოლის ეკლესია

ტაძარი მდებარეობს ქალაქის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, მდინარე ახურიანის ამართებით, მთის ფერდის შუა მონაკვეთზე, საგანგებოდ შექმნილ მოზრდილ ბაქანზე (სურ. 124). ქალაქის ლანდშაფტში ეკლესია არ იკითხება, თუმცა კი ის კარგად ჩანს მდინარის გადაღმა პლატოდან. დღეს ეკლესიასთან ჩრდილო-დასავლეთიდან მისვლა ბოლო წლებში საგანგებოდ მოწყობილი ქვის კიბითაა შესაძლებელი. ტაძრის გარშემო შემორჩენილია სხვადასხვა ნაგებობათა ნაშთები (სურ. 117).

ტაძრის სამხრეთი ფასადის აღმოსავლეთ ნახევარზე ამოკვეთილი ვრცელი სომხური წარწერის მიხედვით,³⁷⁹ იგი აიგო ადგილობრივი წარჩინებული მოქალაქის, ტიგრან ჰონენცის საფასით, ამირსპასალარ ზაქარიას მმართველობის დროს, 1215 წელს.³⁸⁰ ეკლესია სამონასტრო კომპლექსს ეკუთვნოდა – როგორც ჩანს, სწორედ ამიტომ შეირჩა მის ასაგებად ქალაქის განაპირა სამხრეთ-აღმოსავლეთი უბანი. საქტიტორო წარწერა ასევე იუწყება, რომ ტაძრის ასაგებად გამიზნული ბაქანის მოსაწყობად მშენებლები დიდად გარჯილან.

ეკლესიის შესახებ მოგვითხრობენ XIX საუკუნის ევროპელი მოგზაურები, სიძველეთა მოყვარულები და სწავლულები (სურ. 143, 144).³⁸¹ შემდგომში მასზე წერდნენ იოზეფ სტრუიგოვსკი,³⁸² იოსებ ორბელი,³⁸³ ტატიანა იმმაილოვა.³⁸⁴ მოგვიანოდ გამოიცა ჟან-მიშელ და ნიკოლ ტიერების მონოგრაფია, რომელშიც განხილულია ეკლესიის ხუროთმოძღვრება და კედლის მხატვრობა,³⁸⁵ მოკლე ინფორმაცია,

სურ. 117. ანისი, წმ. გრიგოლის ეკლესია. საერთო ხედი მდ. ახურიანის მარჯვენა ნაპირიდან




სურ. 118. წმ. გრიგოლის ეკლესია.
საერთო ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან.
დ. ერმაკოვის ფოტოკოლექცია




ხშირად უხვი ილუსტრაციებით, იბეჭდება ანისისადმი და ზოგადად სომხური არქიტექტურისადმი მიძღვნილ სამეცნიერო თუ პოპულარულ პუბლიკაციებში³⁸⁶. ეკლესიის სახელდება – „ტიგრან ონენცის ეკლესია“, ნიკო მარის მიერ იქნა დამკვიდრებული. მისი წინამორბედი, ჰენრი ლინჩი ძეგლს „წმ. გრიგოლ განმანათლებლის“ და „წმ. გრიგოლის ეკლესიას“ უწოდებს;³⁸⁷ ტექსიესთან ის იწოდება როგორც „ეკლესია მდინარის პირას“ და „ბერძნული ეკლესია“.³⁸⁸

წმ. გრიგოლის ეკლესია მოზრდილი გუმბათიანი ნაგებობაა (14.2x9.7 მ.), ტრადიციულად კარგად ნათალი, უნაბისფერი ტუფით ნაშენი. ეკლესიას დასავლეთიდან აქვს მოგვიანოდ მიშენებული, ვრცელი კარიბჭე,³⁸⁹ ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში კი დარბაზული



სურ. 119. წმ. გრიგოლის ეკლესია.
სამხრეთი ფასადის რეკონსტრუქცია.
წიგნიდან – Texier 1842a

სურ. 120. წმ. გრიგოლის ეკლესია. გეგმა



სამლოცველო განსასვენებელი კრიპტით (სურ. 120, 122 და 135). ტაძარი ყველაზე უკეთ შემონახული ნაგებობაა ნაქალაქარის სიძველეთა შორის – ჟამთა სვლას მხოლოდ მისი გუმბათის კონუსი და დასავლეთი კარიბჭე დაუზიანებია.³⁹⁰ ეკლესიის უკეთ დაცულობა, შესაძლოა მყუდრო, ერთგვარად მოფარებულმა ადგილმაც განაპირობა (სურ. 124).


ეკლესია გეგმით გუმბათიანი დარბაზია, ე.წ. კუპელჰალეს ტიპისა (სურ. 120), ესოდენ პოპულარული და ფართოდ გავრცელებული არქიტექტურული ფორმა სომხური საეკლესიო არქიტექტურისთვის. ამ სახის ეკლესიები ასწლეულების განმავლობაში იგებოდა საქართველოშიც (სურ. 125 და 126).³⁹¹ წმ. გრიგოლის ეკლესიაში გუმბათი ეყრდნობა საკურთხევლის (აღმოსავლეთით) და განივი კედლის (დასავლეთით) შვერილებს; შესაბამისად, მიიღება მცირე სიღრმის უბეები, ხოლო მკლავების კამაროვანი გადახურვით იქმნება ჯვრული სივრცე. აღმოსავლეთით, საკურთხევლის აფსიდის ორსავე მხარეს სამკვეთლო და სადიაკვნეა. ეს არის გუმბათიანი დარბაზის გამარტივებული სახესხვაობა, გავრცელებული იმდროინდელ სომხეთში, თუმცა კი გარკვეულწილად განსხვავებული საკურთხევლისა და მისი მიმდებარე მონაკვეთების აგებულებით.

წმ. გრიგოლის ეკლესიაში საკურთხევლის ჩრდილოეთით სამკვეთლო იყო მოწყობილი. მართლმადიდებლური ლიტურგიკული წესგანგების შესაბამისად, ეს სათავსი საკურთხეველს კარის ღიობით უკავშირდება, ხოლო სადიაკვნე, რომელიც საკურთხევლის სამხრეთით არის განთავსებული, მისგან ყრუ კედლითაა გამოყოფილი. ორივე პასტოფორიუმს აღმოსავლეთით თითო სარკმლიანი მცირე აფსიდები აქვს; ორივე სამრევლო სივრცეს დასავლეთ კედელში გაჭრილი კარის ღიობით უკავშირდება (სურ. 121 და 128). XIX საუკუნის 80-იან წლებში, ანისში სომეხი სასულიერო პირების დამკვიდრების



სურ. 121. წმ. გრიგოლის ეკლესია. ა. ჭრილი აღმოსავლეთით; ბ. ჭრილი დასავლეთით; გ. ჭრილი სამხრეთით; დ. ჭრილი ჩრდილოეთით

და მღვდელმსახურების აღდგენის კვალად ეკლესიის საკურთხეველი გადაუკეთებიათ – საკურთხევლის იატაკის დონე აუმაღლებიათ და მასზე ასასვლელი საფეხურებიც, შესაბამისად, გვერდებიდან გაუმართავეთ. საკურთხევლის იატაკის აწევის გამო აფსიდის კედლებში მოწყობილი ნიშები არაბუნებრივად ქვემოთ – ადამიანის მუხლების დონეზე აღმოჩნდა (სურ. 128).³⁹² იატაკის აწევასვე შეეწირა სამღვდელმთავრო მაღალდასაჯდომელიც, რომელიც, როგორც ჩანს, აფსიდის აღმოსავლეთ კედელზე, სარკმლის ჩამოსწვრივ იყო გამართული, და რომლისგანაც ახლა მხოლოდ მაღალი საბურგის კვალი ჩანს (სურ. 129).



სურ. 122. წმ. გრიგოლის ეკლესია. კარიბჭე და ეკვდერი. ტრილი აღმოსავლეთით

ეკლესიის გუმბათის მჭერი პილონები შეკონილია საფეხურებად დაწყობილი პილასტრებით, ურთიერთმიმართულ პირებს კი ნახევარსვეტები აუყვება (სურ. 121 და 122). ნახევარსვეტებისა და საფეხურების მთელ ამ კონას ერთიანი კარნიზები აგვირგვინებს; კარნიზებს ქვედა ნაწილში მომრგვალებული ფორმა აქვს, ზემოდან კი სწორკუთხა თარო ადგას. სამრევლო სივრციდან გუმბათზე გადასვლისთვის აფრები გამოიყენება. გუმბათის ყელი მრგვალია, სადა კედლებითა და თაღოვანი, ვიწრო და მაღალი რვა სარკმლით (სურ. 127 და 130).

წმ. გრიგოლის ეკლესია კუპელჰალეს შედარებით გამარტივებული სახესხვაობის მაგალითია – მისი გუმბათქვეშა სივრცე უშუალოდ საკურთხევლის აფსიდის წინ მდებარეობს, საპირისპირო მხარეს კი დასავლეთი მკლავით არის გაწონასწორებული. მიუხედავად იმისა, რომ სივრცე დასავლეთ-აღმოსავლეთის ღერძზეა აგებული, დომი-




სურ. 123. წმ. გრიგოლის ეკლესია. ხედი აღმოსავლეთიდან

სურ. 124. წმ. გრიგოლის ეკლესია.
აეროფოტო








სურ. 125. გუმბათიანი დარბაზის ტიპის ეკლესიები სომხეთში: 1. არუჯი; 2. პტლნი; 3. შირავაქანი; 4. დადმაშენი; 5. ზოვუნი; 6. არგინა; 7. მიჯნაბერდი; 8. ჰორომოსი, წმ. მინას ეკლესია; 9. თაილარი; 10. მარმაშენი; 11. ჰორომოსი; 12. ჰოგევანქი; 13. ბჯნი; 14. ოგუზლი. წიგნიდან – გენგიური 2005

ნანტს აქ გუმბათი წარმოადგენს, ჯვრული მოცულობა კი კამარებისა და თაღების მეშვეობით მაინც მიიღება. გვერდითა „მკლავები“ ღრმა არაა და ერთიანი სივრცის განუყოფელ ნაწილად აღიქმება, მთავარისა და მეორეხარისხოვანის გამოყოფის გარეშე. შედარებით განცალკევებულად რჩება დასავლეთ კედელსა და გუმბათქვეშა სივრცეს შორის არსებული არეები, რომლებიც ნაკლები განათების პირობებში ცენტრალურ, კარგად განათებულ სივრცესთან შედარებით, ჩრდილში რჩება (სურ. 121). ამ უბებში მხოლოდ თითო წრიული სარკმელია. ცენტრალური არე ნათდება როგორც გუმბათიდან, ისე გვერდით მკლავებში, აგრეთვე საკურთხეველში და დასავლეთ კედელში არსებული დიდი ზომის თითო სარკმლიდან შემომავალი შუქით. გვერდითა მკლავების კედლებში დამატებით წრიულ სარკმელთა თითო წყვილია, თუმცა ინტერიერის მოხატვისას, კედლის ერთიანი, კონსტრუქციული დეტალებით და ღიობებით დაუნაწევრებელი ზედაპირის შესანარჩუნებლად, სარკმლები ამოუქოლავთ და მხოლოდ თითო ღიობი დაუტოვებიათ.³⁹³

ჩრდილოეთი და სამხრეთი კედლების გასწვრივ, პილასტრებს



სურ. 126. გუმბათიანი დარბაზის ტიპის ეკლესიები საქართველოში:
 1. დვანი; 2. კლარჯეთი; 3. ვაჩნაძიანი;
 4. ფარნაკი; 5. ნიქოზი; 6. ყინწვისი;
 7. სოლომონისი; 8. ნაჯახოვო;
 9. მამაწმინდა; 10. ჯვარის მამა; 11. ლოუბანი;
 12. გრემი, წმ. ნიკოლოზის ეკლესია;
 13. გრემი, თარსა-გალავანი; 14. ბოდორნა;
 15. კულბითი; 16. მანავი; 17. მაჩხაანი;
 18. ქვაშეთი; 19. მელაანი; 20. ხელთუბანი.
 წიგნიდან – გენგური 2005

შორის ქვის სოლეაა მოწყობილი. ეკლესიის იატაკი ქვის დიდი ზომის ფილებითაა მოგებული ეკლესიის შიდა კედლები, ისევე როგორც ფასადები, ერთიანად შეუმოსავთ გულდაგულ გათლილი ქვით – ეს გარემოება სავარაუდოს ხდის, რომ ნაგებობა თავიდან მოსახატად არ უნდა ყოფილიყო გამიზნული.

ნაგებობის კორპუსი გარედან მართკუთხაა – მის სამ ფასადს სამკუთხა ნიშები ანაწევრებს და აფორმებს; დასავლეთიდან რამდენადმე მოგვიანოდ აგებული კარიბჭეა მიდგმული, ჯვარგუმბათოვანი ფორმა კი ოთხივე მხარეს ამოზიდული ორფერდა სახურავებით იქმნება (სურ. 117, 120 და 122); მიუხედავად ამისა, ნაგებობის გარესაზე მაინც ბლოკურობის განცდას იწვევს. ამ ეფექტს გარკვეულწილად განსაზღვრავს საფასადო გაფორმებაც, სადაც თარაზული აქცენტები ჭარბობს შვეულს – ესაა უწყვეტი თაღნარი ფასადებზე, სამკუთხა ნიშები, ფრონტონები.

აღმოსავლეთ და დასავლეთ ფასადებზე ვერტიკალი მაინც მოინიშნება, რადგან ცენტრალური თაღები უფრო მაღალია გვერდითებზე და ფასადებზე გაჭრილ ერთადერთ სარკმელს ზემოდან ევლება



სურ. 127. წმ. გრიგოლის ეკლესია. სამხრეთი და დასავლეთი მკლავები, გუმბათი



სურ. 128. წმ. გრიგოლის ეკლესია. საკურთხეველის აფსიდი, ჩრდილოეთი მონაკვეთი

(სურ. 122). თაღნარის ამგვარი განაწილება სომხური არქიტექტურის-თვის ტიპური არ არის, თუმცა ანისურ სკოლაში მის სახესხვაობებს ვხვდებით მარმაშენის ღმრთისმშობლის (სურ. 141), ანისის საკათედრო (სურ. 101) და ბახტაგეკის ეკლესიების საფასადო გაფორმებებში (სურ. 178), ასევე სანაინის წმ. გრიგოლის ეკლესიის აღმოსავლეთის ფასადზე.³⁹⁴ ცენტრალური თაღის ამალღებით ეს სისტემა ეხმიანება ქართულ არქიტექტურაში დამკვიდრებულ ხერხს, მაგრამ ქართული ნიმუშებისგან განსხვავებით, ცენტრალური თაღი სომხურ არქიტექტურაში არ „იჭრება“ კედლის ზედა არეალში, ფრონტონის ქვეშ. როგორც ჩანს, ქართული მოდელი მხოლოდ ფორმალურადაა აღებული, პროპორციული განაწილებით კი შვეული აქცენტი მაინც გაბათილებულია. ამას ისიც ემატება, რომ ქართული ნიმუშებისგან განსხვავებით, ორივე ფასადზე კიდის წყვილი თაღები სიგანითა და სიმაღლით მცირედ, მაგრამ მაინც აღემატება სიმაღლით შუა თაღებს, რომლებიც სამკუთხა ნიშებს შემოსდევს გარს.

გაცილებით უფრო მონოლითურია ტაძრის გრძივი ფასადები. უწყვეტი თაღნარი აქ ერთ რიგზე მიუყვება მთელ კედელს, ფრონტონის ქვემოთ არსებული სარკმლები თაღნარში არაა მოქცეული; მეტიც – თავისი ჩუქურთმით განსაზღვრული ისინი თაღნარს ზემოდან ებჯინება (სურ. 177, 118 და 131). ასიმეტრიულად განლაგებული, ფართო მოჩარჩოება მოვლენული, მრგვალი სარკმლები ფასადებზე აღბეჭდილი თარაზული რიტმის ნაწილად აღიქმება. ათ-ათი თაღისაგან შემდგარი რიგი თითო ფასადზე ორ-ორ სამკუთხა ნიშას მოიცავს, რაც რეალურად თვალისთვის შეუმჩნეველიც კი რჩება და თითქმის არანაირ როლს არ თამაშობს ფასადის მხატვრულ გადაწყვეტაში.³⁹⁵ მთავარი აქ უხვად ორნამენტირებული, მაქმანისებური დეკორია – იგი თაღნარს მიუყვება, ავსებს ანტრეკოლტების არეს და თარაზული კარნიზით გვირგვინდება (სურ. 131, 149 და 150).

გუმბათის ყელი, ერთი შეხედვით, მრგვალ ფორმად ჩანს, რეალურად კი ის თექვსმეტწახნაგოვანია (სურ. 117 და 118). ფართო კუთხით დალაგებული, თხელი წახნაგები გუმბათს სიმსუბუქესა და ელევანტურობას ანიჭებს, რითაც ის განსხვავდება თანადროული სომხური გუმბათიანი ეკლესიებისაგან (შდრ. გოშავანქი, ნორავანქი, ჰალარწინი, გელარდი და სხვ.³⁹⁶). გუმბათის ყელის აზიდული პროპორციებით ის საერთოს ჩანგლის (XI ს.; მოგვიანოდ განახლებული) ეკლესიასთან ჰპოვებს, რომელიც ასევე საქართველოს ეკლესიის წიაღში შეიქმნა და ქართულ არქიტექტურასთან მრავალ საერთოს ავლენს.³⁹⁷ მიუხედავად რამდენადმე შეუსაბამო პროპორციული თანაფარდობისა, წმ. გრიგოლის ეკლესიის გუმბათი იმდენად მოხდენილია, რომ ის ნაგებობის კორპუსს სიმძიმეს არ სძენს. შეწყვილებულ ნახევარწრიულ ლილვებზე შემდგარი, მაღალი და კეთილალნაგი თაღნარი ასევე უხვად არის ორნამენტირებული კაპიტელებისა და ანტრეკოლტების ჩათვლით, თითო თაღის გამოტოვებით სარკმლებია გაჭრილი, თაღებს შორის კი მცენარეულ თუ ცხოველურ გამოსახულებებისა სხვადასხვა რელიეფია ჩასმული.³⁹⁸ გუმბათის ყელს, ორნამენტირებული თაღნარის კარნიზს ზემოთ, საპირე ქვის ერთი რიგის შემდეგ, შემოსდევს წითელ ქვაში ნაკვეთი ფართო კარნიზი,

რომელსაც საბურველის მაღალი კონუსი აგვირგვინებს (სურ. 118, 122, 144, 151).

აშკარაა წმ. გრიგოლის ეკლესიის ხუროთმოძღვრული სახის გამორჩეულობა არამარტო მისი სამშენებლო ხარისხისა და დახვეწილი ფორმების, არამედ საღმრთისმსახურო წესგანგებასთან დაკავშირებული იმ თავისებურებებითაც, რაც აქ ჩნდება და რაც არაერთ კითხვას ბადებს. ამ კითხვებზე პასუხის გაცემა შესაძლებელი ჩანს ანისის ბუნების გააზრებით, იმ მრავალკულტურული გარემოს გათვალისწინებით, რომლის წიაღშიც იგი შეიქმნა.

ერთ-ერთი არსებითი საკითხი ეკლესიის აღმსარებლობითი კუთვნილებაა – გასარკვევია რომელი აღმსარებლობის მრევლისთვის აიგო იგი, ამასთან დასადგენია ისიც, თავდაპირველად იგი მონოფიზიტური იყო თუ დიოფიზიტური.

ამ საკითხთან დაკავშირებით მოსაზრებები არაერთხელ გა-



სურ. 129. წმ. გრიგოლის ეკლესია. საკურთხეველის აფსიდი. მაღალდასაბრძანებლის საზურგის ნაშთი



სურ. 130. წმ. გრიგოლის ეკლესია. საკურთხეველის აფსიდის საერთო ხედი

სურ. 131. წმ. გრიგოლის ეკლესია,
ჩრდილოეთი ფასადი, ცენტრალური არე





სურ. 132. წმ. გრიგოლის ეკლესია, გუმბათის ყელი, ხედი ჩრდილოეთიდან



სურ. 133. წმ. გრიგოლის ეკლესია. ინტერიერი, გასასვლელი სამკვეთლოდან საკურთხეველში, აღმოსავლეთი წირთხლი



სურ. 134. წმ. გრიგოლის ეკლესია. გასასვლელი სამკვეთლოდან საკურთხეველში. ხედი აღმოსავლეთიდან

მოუთქვამთ. ნიკო მარი ეკლესიას დიოფიზიტურად თვლიდა.³⁹⁹ დიოფიზიტურად თვლიდა იგი ნაქალაქარის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მისი ხელმძღვანელობით 1892 წელს გათხრილ ბახტაგეცის ეკლესიასაც, რომელიც წმ. გრიგოლის ეკლესიის მინიატურული ვერსია უნდა იყოს (სურ. 177-180).⁴⁰⁰

პარუირ მურადიანი, ლაპიდარული წარწერების მონაცემთა განხილვისას ასკვნის, რომ წმ. გრიგოლის ეკლესია თავდაპირველად მონოფიზიტური უნდა ყოფილიყო.⁴⁰¹ იგივე მოსაზრება აქვს სურენ მნაცაკანიანს, რომელიც აღნიშნავს, რომ „დიოფიზიტები მოგვიანოდ ეუფლებოდნენ ეკლესიებს და საკუთარი საღმრთისმსახურო წესგანგების შესაბამისად გადააკეთებდნენ მათ, რაც ინტერიერის ფრესკებით გამშვენებას გულისხმობდა“.⁴⁰² ავტორი დარწმუნებულია, რომ „ტიგრან ჰონენცის ეკლესიის არქიტექტურაში ყველა ფორმა, დაწყებული გეგმის კომპოზიციიდან, მჭიდრო კავშირშია მონოფიზიტურ საკულტო არქიტექტურასთან, აქ არ არის ქალკედონური არქიტექტურისთვის დამახასიათებელი არც ერთი მოტივი“.⁴⁰³ ეკლესიას მონოფიზიტური აღმსარებლობის შესაბამისად აგებულად მიიჩნევს ალექსეი ლიდოვიც.⁴⁰⁴

ტაძრის წარწერების ანალიზის საფუძველზე საწინააღმდეგო დასკვნებს აკეთებენ ვლადიმერ კეკელია⁴⁰⁵ და ბუბა კუდავა.⁴⁰⁶

ამგვარი, ურთიერთისგან რადიკალურად განსხვავებული მოსაზრებების არსებობის პირობებში განმსაზღვრელი ჩანს ეკლესიის არქიტექტურა, რომელიც უტყუარად მიგვანიშნებს ეკლესიის აგების დროს მისი აღმსარებლობითი კუთვნილების თაობაზე.

ცნობილია, რომ X საუკუნის დასასრულიდან მოყოლებული, პოლიტიკური და აღმსარებლობითი ორიენტაციის კვალად, საქართველოში თანდათანობით მკვიდრდება კონსტანტინოპოლური ტიპიკონის შესაბამისი საღმრთისმსახურო პრაქტიკა.⁴⁰⁷ მართლმადიდებლური ტიპიკონის შესაბამისად, იმ დროიდან მოყოლებული, ქართულ საეკლესიო არქიტექტურაში საბოლოოდ დამკვიდრდა საკურთხეველისა და, ზოგადად, ტაძრის აღმოსავლეთი ნაწილის მოწყობის წესი. საეკლესიო ნაგებობების ადაპტირება მართლმადიდებლური ლიტურგიკული პრაქტიკისადმი ადრეული შუა საუკუნეებიდანვე იჩენს თავს,⁴⁰⁸ თუმცა კი საბოლოო სახით იგი ხსენებულ ეპოქაში გასრულდა. ამ პროცესის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილი იყო საკურთხეველისა და სამკვეთლოს ურთიერთმიმართება




სურ. 135. წმ. გრიგოლის ეკლესია, კარიბჭე, ჩრდილო-დასავლეთი კუთხე

– ისინი ღიობით დაუკავშირდა ურთიერთს.⁴⁰⁹ განსხვავებულია სომხური ტრადიცია: ეკლესიის საკურთხეველი ბევრად უფრო მაღალია, არ არსებობს კანკელი, კვეთა ხორციელდება საკურთხეველში და არა საგანგებო სათავსში; შესაბამისად, არ არის საჭიროება ამ მოცულობის არსებობისა და როგორც საკურთხეველთან ისე სამრევლო სივრცესთან მისი დაკავშირებისა (სურ. 125 და 126).

სომხური არქიტექტურის ეკლესიათა გეგმებისთვის თვალის გადევნებისას ცხადი გახდება, რომ გამონაკლისის გარეშე, ფაქტობრივად ყველა ეკლესია, რომლის საკურთხეველი სამკვეთლოსთანაა კარით დაკავშირებული, ექცევა მართლმადიდებლურ სივრცეში, და მათი დიდი ნაწილი არის მხარგრძელების რელიგიური პოლიტიკის სამშენებლო შედეგი.⁴¹⁰

ანისის წმ. გრიგოლის ეკლესიაში საკურთხეველი კარით უკავშირდებოდა სამკვეთლოს. ამკარაა, რომ ეს კარი ავთენტურია და არა მოგვიანებით გაჭრილი. ამასთან, თავდაპირველად, ხანგრძლივი დროის მანძილზე, იატაკის თავდაპირველი დონე, მართლმადიდებლური ეკლესიების მსგავსად, მცირე სიმაღლისა იყო (სურ. 130 და 134). ამჟამად ეკლესიის საკურთხეველი საკმაოდ ამაღლე-




სურ. 136. თალინის საკათედრო ტაძარი. ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან

ბულია, ერთი შეხედვით ისე, როგორც ეს სომხურ ეკლესიაში უნდა იყოს. ამასთანავე, საკურთხევლის ჩამოშლილ წინაპირზე, ისევე როგორც კედლებში არსებულ ნიშებზე, დაკვირვება ცხადყოფს, რომ მათი ქვედა დონე თითქმის ამჟამინდელი იატაკის პირას მდებარეობს; ხოლო საკურთხევლის სარკმლის ჩამოსწვრივ, როგორც უკვე ზემოთ ითქვა, ჩანს ნაკვალევი სამღვდელმთავრო ტახტისა, რომელიც იატაკის დონის ამაღლების შემდეგ მოუშლიათ, მისი ზურგის ზედა ნაწილის ნაკვალევი კი ისევ ჩანს (სურ. 129). ეს გარემოება ცხადყოფს, რომ საკურთხევლის იატაკის დონე თავდაპირველად დაბალი იყო. უფრო მნიშვნელოვანია საკურთხევლისა და გვერდითი სათავსის ურთიერთდაკავშირების ფაქტი – იგი ქართული ეკლესიების არქიტექტურული გადაწყვეტის ბედნიერებით თანაგვარია,⁴¹¹ ამასთან სხვაობს სომხური ეკლესიების აგებულებისაგან. მოგვიანებით (სავარაუდოდ, 1880-იანი წლებიდან მოყოლებული) ეკლესიაში სომეხი სამღვდელთა დამკვიდრდა და მასში სომხურ-მონოფიზიტური ღმრთისმსახურება აღესრულებოდა; ამის შესაბამისად გადაკეთდა ნაგებობის საკურთხეველიც და ამაღლდა მისი იატაკის დონე (სურ. 133).

გარკვეულ ეტაპზე, მოხატვის შემდეგ, საკურთხევლის ამაღლების გამო, საკურთხევლის და სამკვეთლოს დამაკავშირებელი ღიობის გაზრდის აუცილებლობაც დადგა და კარი გადაუკეთებიათ – მისი სწორკუთხა ზედა კიდე თაღოვანით შეუცვლიათ. ამას შეეწირა ღიობის ასწვრივ გამოსახული ეკლესიის მამის ფიგურის ქვედა ნაწილი, სახელდობრ წმ. არისტაკესის შესამოსლის ქვედა კალთა და ტერფები. ღიობის ზედა მონაკვეთის გადათლის შემდეგ მისი თავანების ზედა ნაწილში დარჩა ნაწიბურები, რომლებიც ღიობის თავდაპირველ, ოთხკუთხა მოხაზულობას ეკუთვნის (სურ. 128).

სწორედ ეკლესიის აღმოსავლეთი ნაწილის (სახელდობრ, საკურთხევლისა და მის გვერდით არსებული სივრცეების – სამკვეთლო-სადიაკვნის) არქიტექტურული გადაწყვეტა არის დასტური იმისა, რომ წმ. გრიგოლის ეკლესია თავდაპირველადვე დაგეგმილი და აშენებული იყო როგორც მართლმადიდებლური ტაძარი.

აღიარებული ფაქტია, რომ ეკლესიის ფრესკებით გამშვენება არ უნდა ყოფილიყო ტაძრის ამგებთა თავდაპირველი ჩანაფიქრის ნაწილი – მოხატულობა მოგვიანებით შესრულდა. ამაზე მეტყველებს ეკლესიის ინტერიერის სუფთად დამუშავებული ქვით მოპირკეთებული კედლები. თუმცა, ამ მოსაზრების ეჭვქვეშ დაყენებაც შეიძლება – დასავლეთი კარიბჭე მაშინ აიგო, როდესაც ტაძარს ფრესკები უკვე ამკობდა, თუმცა კი კარიბჭის შიდა კედლები ასევე სუფთად ნათალი ქვითაა მოპირკეთებული, როგორც გარე, და იგი ფრესკებით არის შემკული. შესაძლებელია იმის დაშვება, რომ მიუხედავად მოხატვის პრაქტიკის გაჩენისა, სომხურ სამშენებლო პრაქტიკაში ბოლომდე იქნა შენარჩუნებული ქვის პერანგის უზადოდ დამუშავების ტრადიცია.⁴¹² დამატებითი მაგალითებისთვის შეიძლება დასახელებულ იქნას ანისის ორი ეკლესია: კათედრალი, სომხური საეკლესიო წესგანგებით მოწყობილი საკურთხევლით, აგრეთვე ბახტაგეკის ეკლესია, რომელიც მრავალმხრივ იმეორებს წმ. გრიგოლის ეკლესიის



სურ. 137. ყარსი, საკათედრო ტაძარი. საერთო ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან



სურ. 138. ბანა, საკათედრო ტაძარი. სამხრეთი ფასადის თაღნარი და რელიეფური სამკაული

არქიტექტურულ სახეს.

წმ. გრიგოლის ეკლესიის ხუროთმოძღვრული იერი აერთიანებს სომხური და არქიტექტურისათვის ტრადიციულ სხვადასხვა ელემენტს. პირველ ყოვლისა, აღსანიშნავია უწყვეტი თაღნარი, რომელიც ოთხივე ფასადს გასდევს და საფასადე გაფორმების მთავარ აქცენტს წარმოადგენს (სურ. 117, 118 და 119). თაღნარით ფასადების გაფორმების ერთ-ერთ უადრეს ნიმუშებად VII საუკუნის ზვართნოცის (სურ. 139),⁴¹³ თალინისა (სურ. 136)⁴¹⁴ და ართიკის⁴¹⁵ კათედრალები ითვლება. ზვართნოცის ტაძრის კედლები შემკული უნდა ყოფილიყო შეწყვილებულ პილასტრებზე დაყრდნობილი თანაბარი სიმაღლის თაღნარით, რომელიც ყოველ იარუსს მიუყვებოდა. თალინსა და ართიკში იგივე ტიპის ცრუ თაღნარი მხოლოდ შვერილ აფსიდებსა და გუმბათის ყელს ამკობს.⁴¹⁶ უწყვეტი თაღნარით ფასადების შემკობა ფრაგმენტულად ჩნდება შემდგომი ხანის სომხურ საეკლესიო არქიტექტურაში, მეტწილად გუმბათის ყელზე და წრიული ეკლესიების ფასადებზე; მაგალითად, ყარსის კათედრალი (X ს.) (სურ. 137), აგრეთვე აბულამრენცის (XI ს.), გაგიკაშენის (1001-1105) და მაცხოვრის ეკლესიები (1035) ანისში (სურ. 140).⁴¹⁷ ბრტყელ კედლებზე უწყვეტი თაღნარის გადმოტანა ისევე ანისის არქიტექტურული სკოლის მახასიათებლად უნდა ჩაითვალოს (მარმაშენის ეკლესიები, ანისის კათედრალი (სურ. 141 და 103). XIII საუკუნიდან იგი ფართოდ ვრცელდება მთელს სომხურ არქიტექტურაში. საფასადო თაღნარისთვის სომხურ საეკლესიო ხუროთმოძღვრებას საფუძვლად უნდა დასდებოდა მრგვალი ტაძრის და არა სწორკუთხა, ფრონტონებიანი ნაგებობის გაფორმების მხატვრული კონცეფცია.⁴¹⁸ ყოველივე ეს იქიდანნაც ჩანს, რომ სომხურმა საეკლესიო არქიტექტურამ ვერ შეითვისა თაღნარის ის შვეული მონაცვლეობა, რაც ქართული საეკლესიო არქიტექტურისთვის ასე ორგანული იყო და რაც ამ ორ ხუროთმოძღვრულ წრეს ერთმანეთისაგან ყოველთვის გამოარჩევდა (სურ. 142 და 143).⁴¹⁹ თუმცა კი ანისის არქიტექტურულ სკოლაში გამოყენებული ელემენტი, ცენტრალური დიდი და მაღალი თაღისა, რომელიც ფრაგმენტულად ჩნდება სომხური ეკლესიების ფასადებზეც, შესაძ-



სურ. 139. ზვართნოცის საკათედრო ტაძარი, ფასადის თაღნარის რელიეფური შემკულობის ფრაგმენტები



სურ. 140. ანისი, მაცხოვრის ეკლესია. ხედი დასავლეთიდან

ლოა, ქართული არქიტექტურით იყოს შთაგონებული, რაზეც ვახტანგ ბერიძეც მიანიშნებს.⁴²⁰ ყოველ შემთხვევაში, ფაქტია, რომ ეს ფორმა უფრო ხშირად დიოფიზიტებთან დაკავშირებული (მათ მიერ აგებული ან განახლებულ-გადაკეთებული) ეკლესიების ფასადებზე გამოიყენებოდა. ამასთან დაკავშირებით ნიშნულია ტატიანა იზმაილოვას დაკვირვება, რომლის მიხედვითაც ქართული არქიტექტურიდან მომდინარედ უნდა ჩაითვალოს გოშავანქის მონასტრის წმ. გრიგოლ განმანათლებლის მცირე სამლოცველოს (1237-1241) ფასადების თაღნართი შემკობა.⁴²¹

თარაზული ფორმების ხაზგასმა, განსაკუთრებით კი თარაზული კარნიზის მნიშვნელობის წარმოჩენა, დამახასიათებელია სომხური არქიტექტურისთვის მისი ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე. საგულისხმოა, რომ ის გვხვდება როგორც ინტერიერებში, ისე ექსტერიერში. ამ მხრივ ერთ-ერთი გამორჩეული მაგალითია აღთამარის ეკლესია (915-921 წწ.),⁴²² ფიგურული და მცენარეული სახეების მონაცვლეობით შექმნილი ფართო რელიეფური ფრიზებით, რომელთაგან ქვედა შუაწელზე შემოსდევს ნაგებობის ოთხივე ფასადს და მოიცავს სარკ-



სურ. 141. მარმაშენის მონასტერი. საერთო ხედი ჩრდილო-აღმოსავლეთიდან

მელთა თავსართებსაც. გეომეტრიული ორნამენტით გაფორმებული თარაზული სარტყლები ამკობს ანისის ეკლესიათა გუმბათებს. წმ. გრიგოლის ეკლესიის გარდა, ამგვარი შემკულობა აქვს მაცხოვრის ეკლესიის გუმბათს (სურ. 140) არსებული მონაცემების მიხედვით, მსგავსი კარნიზებით იყო გაფორმებული ქალწულთა ციხის ეკლესიის გუმბათის ყელი (სურ. 167). აგრეთვე, რეკონსტრუქციის თანახმად, კათედრალის გუმბათის ყელი (სურ. 99). მსგავსი გამოფორმება ასევე სახასიათოა სელჯუკური სამარხსზედა შენობების გაფორმებისას (სურ. 145). სელჯუკური აკლდამების არქიტექტურული იერსახე ქართული და სომხური ეკლესიების გუმბათების მსგავსია და რეგიონში ქრისტიანობისა და ისლამის სამშენებლო ფორმების ურთიერთერთგაცვლის ერთ-ერთი ყველაზე მკაფიო მაგალითია.⁴²³

გეომეტრიული კარნიზების ოთხი წყება ამკობს ანისის წმ. მოციქულთა ეკლესიის გავითის ფასადს (XIII ს.), იმ განსხვავებით, რომ



სურ. 142. ოთხთა ეკლესიის ლავრა.
მთავარი ეკლესიის დასავლეთი ფასადი



სურ. 143. ოშკის ტაძარი.
საერთო ხედი სამხრეთიდან



სურ. 144. ანისი, წმ. გრიგოლის ეკლესია.
გუმბათის ლავგარდანი

კარნიზები არა თარაზულად, არამედ შვეულად აუყვება ფასადის კედელს. ამგვარი გადაწყვეტა ისლამური მხატვრული ფორმის ასოციაციებს იწვევს, თუმცა კი სელჯუკურ საფასადო არქიტექტურაში ზუსტი ანალოგი არ მოეპოვება; სავარაუდოდ, იგი ადგილობრივი სკოლის წიაღში უნდა იყოს შექმნილი.

ტაძრის აგებისას შეიქმნა ახალი მხატვრული სახე მაქმანისებური ლავგარდანის სახით; ლავგარდანის გაფორმებისთვის გამოყენებული მოტივები – ზომორფული სახეები და ორნამენტი – ერთგვარი გაგრძელებაა იმ ტრადიციისა, რომლის სათავეც აითვლება ბანას და ზვართნოცის ტაძრების რელიეფური დეკორიდან – იქ ნაგებობის საფასადო თაღნარს ზემოდან მიუყვება მცენარეული ორნამენტი, რომელიც ასევე ავსებს თაღებშუა არეებს და თარაზული კარნიზით

სურ. 145. არზურუმი, წყვილმინარეთიანი
მედრესეს აკლდამა, ლავგარდანი



სრულდება (სურ. 138 და 139).⁴²⁴

მრგვალი სარკმლები, რომელიც წმ. გრიგოლის ეკლესიის ფასადებზე განთავსებული, შესაძლებელია ასევე გამოძახილი იყო ზვარტნოცის ეკლესიისა, რომლის თანაგვარი ნაგებობაც – გაგიკაშენის ტაძარი ანისში 1001–1005 წლებში აიგო.⁴²⁵

წმ. გრიგოლის ეკლესიის საფასადო გაფორმება დიდი ხანია, რაც მკვლევართა მსჯელობის საგნად იქცა. ოთხივე ფასადზე თაღნარის ზემოთ მაქმანისებურად დაფენილი ორნამენტული დეკორი ფიგურული გამოსახულებებითურთ ამგვარი მორთულობის პირველსახედ და საფუძვლად არის მიჩნეული (სურ. 146–150).⁴²⁶ მის სახისმეტყველებით და სტილურ მახასიათებლებთან დაკავშირებით სხვადასხვა მოსაზრებები არსებობს. ნიკო მარი თვლიდა, რომ ნაგებობის საფასადო დეკორის შესრულებაში აისახა საერო ნაგებობების დეკორატიულ მოტივთა გავლენები, თუმცა კი იდეას უნდა ჰქონოდა წინარე პარალელები დიოფიბიტური წრის სომხურ საეკლესიო არქიტექტურაში.⁴²⁷ იგი ასევე მიიჩნევდა, რომ საქალაქო საერო ხასიათის ორნამენტული რეპერტუარი ეკლესიების ფასადებზე გადავიდა, მაგრამ ვერ შევიდა ტაძრის შიგნით და მხოლოდ ქალკედონური ტაძრების ფასადებს მიუყვება ოთხივე მხრით.⁴²⁸

ტატიანა იზმაილოვა, წმ. გრიგოლის ეკლესიისა და მისი მინიატიურული რეპლიკის საფასადო გაფორმებაზე მსჯელობისას, ყურადღებას ამახვილებს ტრადიციებთან მიბრუნებაზე და მიუთითებს ანისის X–XI საუკუნეების არქიტექტურაზე. მისი აზრით, ანისს კავშირები ჰქონდა ხალიფატში შემავალ სხვადასხვა ქვეყნებთან და მათ კულტურასთან მჭიდრო ურთიერთობა განსაკუთრებით კარგად აისახა მაღალი საზოგადოების ხელოვნებაში.⁴²⁹ გარდა ამისა, ამ სახეების დიდი ნაწილი დაკავშირებულია X–XI საუკუნეების არა საეკლესიო, არამედ საერო არქიტექტურასთან; ეს, ავტორის აზრით, შეიძლება აიხსნას საზოგადოებრივი საწყისის გაძლიერებით XII–XIII საუკუნეებში.⁴³⁰

სურენ მნაცაკანიანი ამგვარი მორთულობის გაჩენას უკავშირებს ანისში საქალაქო ცხოვრების აყვავებას, სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბებას, ახალი, მდიდარი და განათლებული ფენის გაჩენას, რომელიც არ მოდიოდა ფეოდალური წრიდან. მკვლევარი ვარაუდობს, რომ ცვლილებები ადგილობრივ ხელოვნებაში სწორედ ამ გზით ხორციელდებოდა.⁴³¹ მისი მოსაზრებით, ფრინველებისა და ცხოველების გამოსახულებებს, რომლებიც რელიეფურ დეკორშია ჩართული, ჰერალდიკური მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა.⁴³² ჟან-მიშელ ტიერი თვლის, რომ საფასადო მორთულობისთვის გამოყენებული ზომორფული სახეები აღმოსავლური წარმომავლობისაა და XIII საუკუნის ისლამურ და ქრისტიანულ სამყაროში გავრცელებულ საზოგადო გამომსახველობითი ენის ფარგლებში ექცევა, ხოლო ფონად გამოყენებული ორნამენტული რეპერტუარი სომხური ხელნაწერი წიგნის მორთულობის (განსაკუთრებით კი თოროს ტარონაცის სკოლაში შექმნილი ხელნაწერების გაფორმების) თანაზიარია. იგი ასევე ხედავს მსგავსებას კორდობას სპილოს ძვლის ზარდახშების შემკულობასთან.⁴³³



სურ. 146. წმ. გრიგოლის ეკლესია. ჩრდილოეთი ფასადის რელიეფური შემკულობა. დეტალი



სურ. 147. წმ. გრიგოლის ეკლესია. ჩრდილოეთი ფასადის რელიეფური შემკულობა. დეტალი



სურ. 148. წმ. გრიგოლის ეკლესია. სამხრეთი ფასადის რელიეფური შემკულობა. დეტალი



სურ. 149. წმ. გრიგოლის ეკლესია. ჩრდილოეთი კედლის თაღნარი. დეტალი

მარია ადელაიდე ლალა კომნენო წმ. გრიგოლის ეკლესიის საფასადო დეკორში გამოყენებულ სახეებს ადარებს ზომორფულ მოტივებს, რომლებიც თანადროულ სელჩუკურ ხელოვნებაში დამკვიდრდა (ეს, ამასთანავე, გარკვეული ინოვაცია იყო ისლამური კულტურისთვის). იგი ამ გამოსახულებათა საფუძვლებს სელჩუკთა და სომეხთა საერთო ტრადიციებში ეძიებს.⁴³⁴

XIII საუკუნის კავკასიურ ხელოვნებაზე საუბრისას იოაჰიმ გერლიში გამოთქვამს მოსაზრებას, რომ მსგავსი გამოსახულებებისთვის პარალელები დაღესტანშიცაა საძიებელი,⁴³⁵ რაზედაც იმმაილოვაც მიუთითებს, აღნიშნავს რა ორი კულტურის საერთო სასანურ საწყისებს.⁴³⁶

სკოტ რედფორდისთვის ქვაში გამოკვეთილი ორნამენტაცია კერამიკის იმიტაციას წარმოადგენს. მკვლევარი ამის საწყისს სწორედ ისლამურ კერამიკაში ხედავს.⁴³⁷

განიხილავს რა ანისის XIII საუკუნის ნაგებობათა მამკობ რელიეფებს, ფევზი ჩელები ანისის არქიტექტურის განსაკუთრებულ მულ-



ტიკულტურულ ხასიათზე ამახვილებს ყურადღებას და ამ ფაქტს ქალაქის საქარავნო გზების გადაკვეთაზე მდებარეობით ხსნის.⁴³⁸

მატია გუდგეტი ანისის წმ. გრიგოლის ეკლესიის რელიეფურ მორთულობაში „ისლამური“ მხატვრული მიმართებების განხილვისას აღნიშნავს, რომ იგი აერთიანებს როგორც არაბესკების მოტივებს, ისე ორნამენტის ირიბად ჩაკვეთის ტექნიკას,⁴³⁹ რაც აბასიანთა არქიტექტურასა და ხელოვნებაში იყო გავრცელებული. იგი პარალელურად ასევე ასახელებს სირიულ ხელნაწერებში გამოსახული ხის ავეჯის ორნამენტაციას. მკვლევრის აზრით, წმ. გრიგოლის ეკლესიის

სურ. 150. წმ. გრიგოლის ეკლესია. ჩრდილოეთი ფასადის რელიეფური შემკულობა. დეტალი



სურ. 151. წმ. გრიგოლის ეკლესია, გუმბათის რელიეფური შემკულობა. დეტალი



სურ. 152. წმ. გრიგოლის ეკლესია. კარიბჭის აღმოსავლეთი კედლის რელიეფური შემკულობა. დეტალი



სურ. 153. წმ. გრიგოლის ეკლესია. კარიბჭის აღმოსავლეთი კედლის რელიეფური შემკულობა. დეტალი

საფასადო შემკულობაში ორნამენტის ამ ფორმების გაჩენის დროისთვის იგი ასევე გამოიყენებოდა სირიელი ქრისტიანი ოსტატების მიერ ჩრდილოეთ მესოპოტამიური ეკლესიების ავეჯისათვის. ხელოვანთა მობილობა კი იყო წინაპირობა იმისა, რომ სომხური ხელოვნება შეიძლება დაუკავშირდეს არა მხოლოდ ქართულსა და სელჯუკურს, არამედ ჩრდილო მესოპოტამიურს, განსაკუთრებით კი მოსულის მხარეს, სადაც ქრისტიანები მუსლიმთა განმგებლობის ქვეშ ცხოვრობდნენ.⁴⁴⁰

სომხეთსა და ანატოლიაში არსებულ საერთო გამომსახველობით ენაზე საუბრობს ენტონი ისტმონდი – მისი მოსაზრებით, განუჩევლად რელიგიური კუთვნილებისა, არისტოკრატიისა და სამეფო ელიტისთვის არსებობდა საერთო ენა და ინტერესი – ასტროლოგია.⁴⁴¹ მსგავსი ფიგურები გამოისახება სხვა დარგში, კერამიკული ფილების სახით სულთან ქეიქუბად I-ის სელჯუკური სასახლის კედლებზე (1220-იანი წლები). ენტონი ისტმონდის აზრით, იქაც, ისევე როგორც თითბრის ჭურჭელზე, კოსმოსის მრავალფეროვნებაა ასახული. მსგავსი გამოსახულებები გვხვდება XIII საუკუნის თითბრისა და ვერცხლის ნაკეთობებზე; ასეთად სახელდება რეალური და ფანტასტიკური ცხოველების შერკინება ალ-ადილ II-ის ავგზე (1238-1240 წწ., ლუვრი).⁴⁴²

პარალელები თავად ანისშიც არსებობს – სტუკოს რელიეფები მცენარეულ ხვიარა ორნამენტში ჩასმული სენმურვების გამოსახულებებით⁴⁴³ უშუალო პარალელია წმ. გრიგოლის ეკლესიის ნაქანდაკევი სახეებისა (სურ. 154); თემატიკა, ცხადია, სპარსული წინასახეებიდან მომდინარეობს. ასევე ახლო პარალელები ნაპოვნია ქაი-

ზერის სელჩუკურ სახლში, სადაც მცენარეულ ორნამენტში ფრინველები ანალოგიურად გამოისახებიან, აგრეთვე დივრილის ხის მინბარისა და კარის ნაკეთობები, რაც, წარწერის თანახმად, დივრილში სამუშაოდ ჩასულ თბილისელ ოსტატს ეკუთვნოდა.⁴⁴⁴ ცხადია თავად დივრილის პორტალების კვეთაში ისევ პარალელები ჩნდება, ამჯერად – სამკუთხა ნიშების კონქთა მორთულობაში, რაც ისლამური ხელოვნებისათვის დამახასიათებელი ირიბად ნაკვეთი ორნამენტის ვარიაციაა.



სურ. 154. თაბაშირის სტუკოები ანისიდან. სომხეთის ისტორიის მუზეუმი

მსგავსი თემა ჩნდება რეგიონის სელჩუკურ არქიტექტურაში – ასეთია, მაგალითად, კაჩინ დორბათლის მავზოლეუმი აზერბაიჯანში (ელვარდის ეკლესიის პორტალის შემკულობის უშუალო პარალელი); ამასთანავე, გამორჩეულია მსგავსება ერზერუმის სამი აკლდამის კომპლექსში შემავალი ემირ სალთუკის ტურბეს სამკუთხა ნიშების შემკულობებთან.⁴⁴⁵ თაღნარის კიდეების, ანტრევივოლტების ორნამენტაციით შევსების ნიმუშებს ასევე ვხვდებით ხელნაწერთა ილუსტრაციებში – ამის ერთ-ერთი ადრეული მაგალითი 1038 წლის სომხური ოთხთავია,⁴⁴⁶ თუმცა ეს ფორმა დამკვიდრებული გახდა იმავე XIII საუკუნეში, მაგალითად, თოროს როსლინთან.⁴⁴⁷ პარალელად შეიძლება ჩაითვალოს ის ხაჩკარები, სადაც ასევე გეომეტრიული ორნამენტი ავსებს ჯვრის თავზე თალის გარდიგარდმო ანტრევივოლტების არეებს. ამდენად, იმ ხანის ელიტარული გამომსახველობითი ენის გადმოტანა წმ. გრიგოლის ეკლესიის საფასადო დეკორში ნიშნავდა მფლობელის სიმდიდრისა და პროგრესულობის უწყებას, და ამით ის ორგანულად ადგილს იმკვიდრებდა გარემომცველ სამყაროში.

ენტონი ისტმონდი ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ანისისა თუ მისი თანაგვარი ძეგლების კვლევისას მკვლევრები გამოარჩევენ და გამოჰყოფენ ისლამურსა და ქრისტიანულს; ამასთანავე, იმ ეპოქაში, როდესაც წმ. გრიგოლის ეკლესია აიგო, გამომსახველობითი ენა უფრო საერთო იყო და სხვადასხვა მხატვრული წრის ტრადიციებს შორის გაუცხოება არ უნდა არსებულიყო. ეს მოტივები ან ფორმები არ აკნინებდა შენობის ქრისტიანულობას.⁴⁴⁸ ფაქტია, რომ XIII საუკუნეში არსებობდა კულტურის საერთო მახასიათებლები – ეს იყო ენა, რომელიც გასაგები უნდა ყოფილიყო ნების-

მიერი აღმსარებლობის მნახველისთვის, რადგან გარემო სწორედაც რომ ასეთი იყო. შესაძლებელია გამოსახულებები თავსდებოდა არა სასახლეზე, არამედ ეკლესიაზე – სრულიად სხვა მედიუმში, მაგრამ მისი იქ არსებობა უნდა ყოფილიყო ნაცნობი და ახლობელი სხვადასხვა ეროვნების, აღმსარებლობის თუ სოციალური წრის ადამიანისათვის. ასე იყო თუ ისე, ეს რელიეფები ისლამურის მსგავს, ან საერთო კავკასიურ-ისლამურ მხატვრულ წრეს მიეკუთვნება. შესაძლებელია, მათი აქ გამოსახვის შთამაგონებელი გამხდარიყო დროით უფრო ადრეული, თუმცა კი სახისმეტყველებითად მსგავსი ტოკლარჯეთის ეკლესიათა ნაქანდაკევი სამკაული, სადაც წნულებში ჩართული თუ ცალკე არსებული, რეალური თუ ფანტასტიკური ცხოველები და ფრინველები, ნადირობის სცენები თუ სხვა სიუჟეტები აღბეჭდილნი იყვნენ ქრისტიანული სახისმეტყველებით, სადაც წნულებში მოთავსებული ფიგურები სამოთხის, ან აღდგომისა და უკვდავების ხატოვანი გაცხადებაა. ცხადია, მხარგრძელები, რომლებიც ქართველ ბაგრატიონთა სამსახურში იდგნენ და ანისს სომეხ ბაგრატუნთან სამართალმემკვიდრეების თანაგვარი ამბიციით განაგებდნენ, მიმართავდნენ იმავე სამეტყველო ენას, ოღონდ თანადროული მხატვრულ-სტილური მიმართებებით და ესთეტიკით. სწორედ ფორმის მრავალმნიშვნელოვნება ახასიათებს ზოგადად XIII საუკუნის სომხურ საეკლესიო ნაგებობებს და, განსაკუთრებით, ანისის არქიტექტურას.

ქალწულთა ციხის ეკლესია

ქალწულთა ციხის (სომხურად – **Սուրբ Կաթերի**, თურქულად – Kiz Kalesi) სახელით ცნობილი მომცრო კომპლექსი აგებულია ქალაქს მოწყვეტილ, მაღალი, კლდოვანი ხევებით გამოყოფილ, ვიწრო ნახევარკუნძულზე, რომელსაც მდინარე ახურიანი სამხმხრივ ნახევარკალურად ევლება. კომპლექსს გამორჩეული მდებარეობა აქვს: გარდა იმისა, რომ ტაძარი და მის გარშემო არსებული ნაგებობები ქალაქის გარკვეული უბნებიდან ხელის გულზე მოჩანს, იგი მისგან მაინც იზოლირებულია (სურ. 155 და 157).


გადმოცემის თანახმად, ეკლესია აგებულია იმ ადგილზე, სადაც IV საუკუნეში, წმ. გრიგოლს წარმართული ტაძარი გადაუკეთებია ეკლესიად, ხოლო მოგვიანებით, XIII საუკუნეში, ზაქარია მხარგრძელს აუგია ახალი ტაძარი.⁴⁴⁹ ნიკო მარის ხელმძღვანელობით განხორციელებული არქეოლოგიური ექსპედიციების დროს კომპლექსის ტერიტორია არ გაუთხრიათ; შესაბამისად, დადასტურებული არ ყოფილა სხვა ეპოქის რაიმე ნაგებობა.⁴⁵⁰

კომპლექსის ისტორიის თაობაზე ცნობები მოიპოვება ტაძრის ფასადებზე არსებულ მრავალრიცხოვან წარწერებში;⁴⁵¹ ამ წარწერებში იხსენიება მეფე თამარი (1184-1210) და ამირსპასალარი ზაქარია, რომელიც 1199 წლიდან განაგებდა ქართული სახელმწიფოს დაქვემდებარებაში მოქცეულ რეგიონს და, კერძოდ, ანისს.⁴⁵² ამის შესაბამისად უნდა განისაზღვროს ეკლესიის აგების პერიოდიც.



სურ. 155. ანისი, ქალწულთა ციხის ეკლესია. წიგნიდან – Brosset 1861

ეკლესია ნახევარკუნძულის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილშია აღმართული. მასთან მისასვლელად ახლა მხოლოდ ვიწრო საცალფეხო გზაა დარჩენილი. ნაქალაქარის მხრიდან ეკლესიის ჩრდილოეთი მხარე ჩანს – იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს შენობას მხოლოდ გუმბათი აქვს მორღვეული, რეალურად კი ის ძლიერაა დაზიანებული: ხელუხლებლად დგას მხოლოდ აღმოსავლეთი კედლის ნაწილი საკურთხევის აფსიდით და პასტოფორიუმებით, აგრეთვე ჩრდილოეთი კედელი და დასავლეთი კედლის ჩრდილოეთი ნაწილის მცირე მონაკვეთი. ნაგებობის სამხრეთი ნახევარი 1988 წლის მიწისძვრის დროს დანგრეულა. შესაბამისად, ეკლესიის კორპუსი ბოლო ათწლეულებამდე ფაქტობრივად დაუზიანებელი სახით იდგა. ამჟამად სანახევროდ დანგრეული ტაძრის ქვები – რელიეფური ორნამენტით შემკული კარნიზები, ფრიზები, ცალკეული დეტალები, წარწერათა ფრაგმენტები – ნაგებობის სამხრეთით და დასავლეთით (ნაწილობრივ აღმოსავლეთითაც), მის უშუალო სიახლოვეს, მასიურ გროვებადაა დახვავებული (სურ. 158, 162 და 163).⁴⁵³



სურ. 156. ანისი, ქალწულთა ციხის ეკლესია. გეგმა

სურ. 157. ქალწულთა ციხის ეკლესია.
აეროფოტო







ეკლესია უზადოდ გათლილი, მუქი უნაბისფერი, ადგილობრივი ტუფის ბლოკებით აუგიათ. იგი გეგმით გუმბათიანი დარბაზის ტიპისაა – ე.წ. კუპელჰალე. ნაგებობა ამ ტიპის ნიმუშებისაგან იმით სხვაობს, რომ მის ინტერიერში, როგორც აღმოსავლეთით, ისე დასავლეთით, ორივე მხარეს (სამხრეთით და ჩრდილოეთით) კუთხის სათავსებია შექმნილი (სურ. 156). ეს სათავსები ორ სართულადაა განლაგებული, ამასთან, ოთხივეს აღმოსავლეთით მცირე აფსიდები აქვს. გვერდით სათავსებში მოსახვედრად თაღოვანი ღიობებია გაჭრილი; მათგან ორი მკლავების აღმოსავლეთი კედლებიდანაა მოწყობილი, ორი კი დარბაზის განივ კედლებში.⁴⁵⁴

ეკლესიის შიდა კედლები, ფასადების მსგავსად, ასევე სუფთად ნათალი ქვით ამოუყვანიათ – ეს სომხეთისა და, კერძოდ, ანისის არქიტექტურული სკოლისთვის დამახასიათებელი, ტრადიციულადქმნილი სამშენებლო ხერხია.

გუმბათიანი დარბაზის ტიპის ეკლესიის გეგმარება თავისთავად განაპირობებდა მისი შიდა სივრცის მთლიანობას. საკურთხევლის აფსიდი ნახევარწრიულია და გუმბათქვეშა კვადრატის ფარგლებში ოდნავ წინ გამოწეული. გუმბათი საკურთხევლის კიდეებს და კედლის შვერილებს ეყრდნობოდა; გვერდითა უბეები საკმაოდ ბრტყელია და კიდევ უფრო წარმოაჩენს ერთიან, გახსნილ სივრცეს. დასავლეთი მკლავი აგებულიებით სხვაობს კუპელჰალეს ტიპის სხვა ეკლესიათა ანალოგიური მონაკვეთებისგან – დამატებითი ორსართულიანი სათავსების არსებობის გამო მკლავს განივი უბეები აღარ აქვს, როგორც ამ ტიპის ეკლესიათა დიდ უმეტესობაში, მათ შორის – რამდენიმე ასეული მეტრით მდგომ წმ. გრიგოლის ეკლესიაში. ამასთანავე, ქალწულთა ციხის ეკლესიაში დასავლეთი მკლავი რამდენადმე დაგრძელებულია; ამით იგი თითქოს ეხმიანება და აწონასწორებს საკურთხევლის აფსიდის სიღრმეს. შესაბამისად, ეკლესიის შიდა სივრცე მსგავსი ტიპის ნაგებობებთან შედარებით რამდენადმე უფრო ვრცელი და ერთიანია.

ნაგებობის ინტერიერში თვალს ხვდება პილასტრებისა და ლილვების სიუხვე – ისინი საფეხურებად ლაგდება და შიდა სივრცეს პლასტიკურობას მატებს. ყოველ კუთხეს აუყვება თხელი და მაღალი, თითქმის სრული წრის ფორმის მთავარი სვეტი, მის უკან – სწორკუთხა ფორმა, შემდეგ კი ისევ ნახევარწრიული მოყვანილობის ვიწრო ლილვების წყვილი ორივე მხარეს და კვლავ სწორკუთხა საფეხური. გადარჩენილი ჩრდილოეთი მკლავის ჩრდილოეთ კედელზე დამატებით თხელი საფეხურია გამოყვანილი – მასაც იგივე სახის ლილვები გაუყვება (სურ. 163 და 164).

ეკლესიის საერთო მხატვრული სახისთვის შვეული აქცენტების მნიშვნელობას აწონასწორებს თარაზული კარნიზი, რომელიც უწყვეტად მიუყვება მის მთელ შიდა სივრცეს, საკურთხევლის ჩათვლით (სადაც იგი კონქის ძირს ევლება). გარდა ამ ტრადიციული კარნიზისა, თარაზული რელიეფური ზოლი რამდენადმე უფრო დაბლა გაუყვება დასავლეთ მკლავს და აღნიშნავს გვერდითა სათავსების სართულიანობას. დარბაზის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში გამოკვეთილია მარაოსებრ გაფორმებული კონქით დაგვირგვინებული

სურ. 158. ქალწულთა ციხის ეკლესია. აღმოსავლეთი ფასადი



სურ. 159. ქალწულთა ციხის ეკლესია. აღმოსავლეთი ფასადის ნიშის შემკულობა



სურ. 160. ენირაბათი. გუმბათის ნიშის შემკულობა



სურ. 161. ოშკის ტაძარი. აღმოსავლეთი ფასადის ნიშის შემკულობა

ნიში; სავარაუდოდ, ასეთივე ნიში იქნებოდა სამხრეთ-დასავლეთ კუთხეშიც (სურ. 168).

სწორკუთხა ნაგებობის ფასადებზე, ოთხივე მხარეს, სამკუთხა ნიშები შეუქმნიათ – აღმოსავლეთით აფსიდსა და გვერდით სათავსებს შორის (ტრადიციულად, ამ ადგილებზე, კედლის შესამსუბუქებლად, ხშირად გამოჰყავდათ ნიშები), აგრეთვე განივ კედლებზე – ინტერიერში, მკლავების კუთხეებში არსებულ პილასტრებთან მიმართებით (როგორც, მაგალითად, ქალაქის კათედრალში) და დასავლეთ კედელზე (სადაც კედელი რეალურად არც იყო იმდენად სქელი, რომ მისი გამსუბუქება აუცილებელი გამხდარიყო). ოთხივე ფასადი გაფორმების მხრივ ერთმანეთისაგან სხვაობს:

აღმოსავლეთი ფასადი სადაა, ლილვებით შექმნილი თაღნარის გარეშე დატოვებული (სურ. 158). სამკუთხა ნიშების გაფორმებას წითელი და თეთრი ფერის საღებავით დატანილი მარაოსებრი ნახატი ქმნის (სურ. 159). დიდი ზომის ცენტრალურ სარკმელს ასევე საკმაოდ სადა მორთულობა აქვს – ღიობის ორსავე მხარეს აუყვება სწორკუთხა იმპოსტზე შემომდგარი და თანაგვარი კაპიტელით დაგვირგვინებული წვრილი, შეწყვილებული ლილვები, რომლებსაც ასეთივე სადა წარბი ადგას. გვერდითა სარკმლებიდან თავსართებით მორთული იყო მხოლოდ ზედა სართულის სათავსთა ღიობები: აქაც მეორდება წარბის ფორმა, მხოლოდ ლილვების გარეშე. სხვა შემკულობა ფასადს არ ჰქონია. შერეული, მუქი, მოშავო და მოწითალო-რუხი ქვების საფასადო წყობაში სამკუთხა ნიშებიცა და, მით უფრო, საპირეები ჩაკარგულია – ეკლესიის კედელი ერთიან, გლუვ ზედაპირად აღიქმება.

ასეთივე სისადავითაა აღბეჭდილი ჩრდილოეთი ფასადი: მის გაფორმებას ქმნის ფრონტონის ქვეშ არსებული ერთი დიდი სარკმელი იგივე ტიპის თავსართით და ორი სამკუთხა ნიში, რასაც ემატება გვერდითა სათავსების წრიული სარკმლები (სურ. 157 და 162). ამ მხრიდან ნაგებობის ხილვა მხოლოდ შორი მანძილიდან – ხეობის მეორე ნაპირიდან, ქალაქის სამხრეთ-დასავლეთი კიდიდან არის შესაძლებელი; შესაბამისად, ეკლესიის აღმშენებლებს არც უზრუნველათ ნაგებობის ჩრდილოეთი ფასადის დეკორატიულად გაფორმებისთვის. ასეთ პირობებში გასარკვევი რჩება, რატომ დატოვეს ასე სადად აღმოსავლეთი ფასადი, რომელიც იოლად მოსახილველია, მაშინ როცა ასევე იოლად მოსახილველი დანარჩენი ფასადები – სამხრეთისა და დასავლეთისა – უხვად იქნა გაფორმებული.

ქალწულთა ციხის ეკლესიის სამხრეთ და დასავლეთ ფასადთა გაფორმების სისტემა წმ. გრიგოლის ეკლესიის შემკულობის მსგავსია: კედელს მიუყვება შეწყვილებული ლილვებით შექმნილი თაღნარი, რომელიც დაფარულია წნული რელიეფური მოტივებით; ასევე გაფორმებული თაღებს შორის არეებიც – ისინი ერთიანადაა დაფარული წნული ორნამენტით. უჩვეულოდ გამოიყურება დასავლეთი ფასადის შედარებით კარგად შემონახული ჩრდილოეთი მონაკვეთის რელიეფური შემკულობა – იქ არსებულ სარკმელს აქვს წნული წარბი, მის ზემოთ კი წრეში მოქცეული ჯვარი და ორი ვარდულია გამოქანდაკებული, ამასთან ქვაში გამოკვეთილი ვარდულები საფა-

სადო თაღნარის მოხაზულობის შესაბამისად გადაუხერხავთ (სურ. 165 და 166). ამასთან დაკავშირებით ბუნებრივად ჩნდება კითხვა – ეს სამშენებლო ხარვეზია თუ მშენებლობის პროცესში განხორციელებული ცვლილება? ამაზე პასუხი ჯერ კიდევ მოითხოვს დაფიქრებას და განსჯას. როგორც ჩანს, თანაგვარად იყო გაფორმებული სამხრეთი ფასადიც – ძველი ფოტოები, რომლებზეც ფასადის ცალკეული მონაკვეთები აღუბეჭდავთ, ისევე როგორც დარღვეულ კედელთან დახვავებული ორნამენტული ქვები, ამის დასტურია (სურ. 167).

ეკლესიის გუმბათი ადრევე უნდა დანგრეულიყო; არ შემორჩა მისი ამსახველი ფოტო და ჩანახატი. მიუხედავად ამისა, მისი ზოგადი სახის აღდგენისას გასათვალისწინებელი უნდა იყოს წმ. გრიგოლის და ე.წ. ქალწულთა მონასტრის ეკლესიების გუმბათების ხუროთმოძღვრული გადაწყვეტა. გუმბათისა და მისი ყელის სხვადასხვა ზომის ფრაგმენტები, რომლებიც ძირითადად ნაგებობის ინტერიერშია დახვავებული, მოწმობს, რომ ისიც წნული ორნამენტული თაღებითა და სარტყლით იყო გაფორმებული. ჩამოცვნილი პროფილირებული კარნიზების ფრაგმენტები მოწმობს, რომ გუმბათს ნახევრადგაშლილი ქოლგის ფორმა ჰქონდა (სურ. 167). მკლავების საბურველის ქვემოთ ასევე უხვად პროფილირებული, კარნიზები მიუყვება: დასავლეთით და ჩრდილოეთით – წნული ორნამენტით დაფარული, აღმოსავლეთით კი – სადა (სურ. 165).

ეკლესიის მთავარი საქტიტორო წარწერა მოთავსებული იყო ტაძრის სამხრეთი ფასადის აღმოსავლეთ ნაწილში; იგი ამჟამად



სურ. 162. ქალწულთა ციხის ეკლესია.
ხედი ჩრდილო-დასავლეთიდან

სურ. 163. ქალწულთა ციხის ეკლესია.
საერთო ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან



აღარ არსებობს. სხვა წარწერები შემონახულია გვერდით სათავსში შესასვლელი ლიობის ტიმპანის ქვაზე, ჩრდილოეთ ფასადზე, ჩრდილო-დასავლეთი სათავსის დასავლეთი კედლის ქვედა ნახევარზე, წრიული სარკმლის გარშემო.⁴⁵⁵

სურ. 164. ქალწულთა ციხის ეკლესია.
ინტერიერი, საკურთხევის აფსიდი





სურ. 165. ქალწულთა ციხის ეკლესია.
ჩრდილო-დასავლეთი კუთხე

დებოდა სხვადასხვა ხუროთმოძღვრული და მხატვრული ტრადიციის ურთიერთმონაცვლეობისა და მიმართებების საფუძველზე. აღმოსავლეთი მხრიდან ეკლესიასთან მიახლოებისთანავე კარგად ჩანს სამკუთხა ნიშების მორთულობა, მარაოსებრ გაშლილი წითელი და თეთრი საღებავით დატანილი დეკორი, რომელიც ყველა ნიშაში მეორდება (სურ. 158 და 159). ფასადების გაფორმების ეს ხერხი ანისში სხვაგან შემორჩენილი არ არის, გარდა ჰორომოსის მონასტრის ქვედა კომპლექსის წმ. გიორგის ეკლესიისა (1020 წლის ახლო-

სურ. 166. ქალწულთა ციხის ეკლესია.
დასავლეთი კედლის თაღნარი, დეტალი





სურ. 167. ქალწულთა ციხის ეკლესია.
სამხრეთი ფასადის და გუმბათის
რელიეფური შემკულობის ფრაგმენტები

ხანები), სადაც ასევე წითელი და თეთრი საღებავითაა დაფერილი საფასადო სამკუთხა ნიშების კონქები (სურ. 160).⁴⁵⁶ საგულისხმოა, რომ შემკულობის ამგვარი ხერხი განსაკუთრებული პოპულარობით ტაო-კლარჯეთის ეკლესიების საფასადო შემკულობაში სარგებლობს— ამ მხრივ ყველაზე ნიშნული ოშკის ტაძრის ნიშების მორთულობაა (სურ. 161).⁴⁵⁷

ქალწულთა ციხის ეკლესიის საფასადო შემკულობაში არის კიდევ ერთი მხატვრული ხერხი, რომელიც ჰორომოსის წმ. გიორგის ეკლესიაზეც დასტურდება — ესაა საკურთხევლისა და ჩრდილოეთი მკლავის სარკმლის საპირე, რომელიც ქვედა თარაზული ზოლის გარეშე, სამხრივ შემოსდევს ვიწრო და გრძელ ღიობს. სარკმლის მოჩარჩოების ეს ფორმა ანისისა და მისი შემოგარენის ეკლესიებს კიდევ ერთხელ აკავშირებს ტაო-კლარჯეთის არქიტექტურულ სკოლასთან. მაგალითად, მსგავსად გაფორმებული სარკმლებია ხახულის საკათედრო ტაძრის სამხრეთ-დასავლეთით მდგარი მცირე ეკლესიის აღმოსავლეთ ფასადზე (X ს.),⁴⁵⁸ აგრეთვე, იშხანის კათედრალის სამხრეთ და ჩრდილოეთ ფასადებზე (1032 წლის ახლო ხანები).⁴⁵⁹ ეს ფორმა პოპულარული იყო სომხეთშიც — ამასთან დაკავშირებით ისაა საგულისხმო, რომ მისი ადრეული სახესხვაობა დასტურდება ანისშივე, სახელდობრ, აბულამრენცის ეკლესიის (XI ს.) ფასადებზე.⁴⁶⁰ მსგავსება ტაო-კლარჯეთის საეკლესიო ხუროთმოძღვრულ ტრადიციასთან მულავენდება გუმბათქვეშა ბურჯში უზენაეს საერო თუ საეკლესიო იერარქთა სადგომის მოწყობაშიც: ესაა საგანგებო ნიშა, გამიზნული ღმრთისმსახურების დროს საპატიო სტუმრის სამყოფად. ამგვარი ნიშები კეთდებოდა ტაო-კლარჯეთის დიდ ეკლესიებში, მაგალითად, პარხალში, ხახულში, ოშკში, იშხანში.⁴⁶¹

ქალწულთა ციხის ეკლესიის ისტორიის თაობაზე ცნობილი არაფერია, თუმცა კი მისი საკრებულო ეკლესიის არქიტექტურული იერსახე მოწმობს მაშენებელთა მიმართებას ტაო-კლარჯეთის საეკლესიო ხუროთმოძღვრებასთან და ტაძრის აგების პროცესში ამ სკოლის მახასიათებლების გათვალისწინებას.

მიუხედავად იმ რამდენიმე დეტალისა, რაც ქართულ, კერძოდ კი ტაო-კლარჯეთის სამშენებლო ტრადიციებთან შეიძლება ყოფილიყო დაკავშირებული, ქალწულთა ციხის ეკლესია ანისში საქართველოს სამეფოს მფლობელობისა და მხარგრძელთა მმართველობის ეპოქის მკაფიო ნიმუშია — ყოველივე ეს მის გეგმარებაში, აღნაგობაში, განსაკუთრებით კი საფასადო მორთულობის ხასიათში მულავენდება. ასევე რთულია ამ მონასტრის და მისი ტაძრის დიოფიზიტურ აღმსარებლობასთან მიმართებაზე მსჯელობა; კითხვად რჩება — ხომ არ იყო ეკლესია ხელახლა შემოსილი და როგორი იყო მისი თადაპირველი სახე. ყოველივე ეს სამომავლო კვლევას გულისხმობს.




სურ.168. ქალწულთა ციხის ეკლესია. ინტერიერი, ჩრდილო-დასავლეთი გუმბათქვეშა ბურჯი, სატახტე ნიში

ე.წ. ქალწულთა მონასტერი

ანისის ნაქალაქარის ე.წ. ქალწულთა მონასტრის (სომხურად – **Կուսանաց**, თურქულად – Kizlar Manastırı) სახელით ცნობილ ეკლესიას მეცნიერთა ყურადღება ადრევე მიუქცევია. მისი ანაზომი და გრაფიკული ჩანახატები გამოაქვეყნა შარლ ტექსიემ. მასზე წერს იოზეფ სტრუიგოვსკი. ნიკო მარის ხელმძღვანელობით ანისში განხორციელებული ექსპედიციის დროს კომპლექსი შესწავლილი არ

სურ. 169. ანისი, ქალწულთა მონასტრის ეკლესია, ჩრდილოეთი ფასადი. წიგნიდან – Texier 1842a



სურ. 170. ქალწულთა მონასტრის ეკლესია. გეგმა. წიგნიდან – Eastmond 2018



სურ. 171. ქალწულთა მონასტრის საერთო ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან. წიგნიდან – Brosset 1861

ყოფილა.⁴⁶² მისი მთავარი ნაგებობა, ეკლესია, პირველ ყოვლისა, გამორჩეულია თავისი ადგილმდებარეობით, მინიატურული ზომებით და შედარებით კარგი დაცულობით.

ძალზე პატარა, მოხდენილი ფორმების ეკლესია მდინარე ახურიანის პირას, ციცაბო ფერდზე შექმნილ მომცრო ბაქანზე დგას. დღევანდელ ვითარებაში, როცა მდინარე ახურიანი თურქეთისა და სომხეთის გამყოფ სასაზღვრო ზოლს წარმოადგენს, ეკლესიაში მოხვედრა მხოლოდ ნაქალაქარიდან არის შესაძლებელი (სურ. 171), ანისის ქალაქობის დროს კი ეკლესია მდინარეზე არსებული ხიდის სიახლოვეს, საქარაგნო გზისა და, შესაბამისად, გალაგნის პირას იდგა – იგი ამ გზით ანისში მიმავალს პირველი ეგებებოდა; ეკლესიის გასწვრივ, მის უშუალო სიახლოვეს არსებული, ქვით ნაგებ გვირაბში მოქცეული გზა ქალაქში ადიოდა. საკმაოდ დამრეც ფერდზე გაყვანილი გზა, ქალაქის პლატოზე მკვეთრად უხვევს მარცხნივ და ქალაქისკენ მიემართება; სწორედ ამ მოსახვევის პირას არის კარიბჭე, საიდანაც შედიოდნენ ეკლესიის ტერიტორიაზე.⁴⁶³ პატარა გუმბათიანი ტაძრის გვერდით, მის ჩრდილოეთით არის კიდევ ერთი დარბაზული სამლოცველო, ხოლო გზის გასწვრივ – ნანგრევი მართკუთხა ნაგებობისა, რომელსაც სარკმლის კვალი არ უჩანს (სურ. 173).

გუმბათიანი ეკლესია ექვსაფსიდიანია; თითქმის თანაბარი ზომის ექვსივე აფსიდი გუმბათქვეშა სივრცის გარშემო ეწყობა. ინტერიერი კარგად არაა განათებული: გუმბათის (ოთხი) და საკურთხევლის (ერთი) სარკმლების გარდა, მასში შუქი მხოლოდ ორი მცირე, წრიული ღიობიდან შედის. ნაგებობის მასშტაბები და ფორმები, მათ შორის – აღმოსავლეთი აფსიდისა – იმდენად მცირეა, რომ შეუძლებელია მასში საზოგადო ღმრთისმსახურება აღსრულებულიყო (სურ. 170).

ეკლესიის გარე მასები შიდა გეგმარებას იმეორებს; ვიწრო და მაღალ ტანს ასევე ვიწრო და კიდევ უფრო მაღალი გუმბათი ადგას, ნახევრადგაშლილი ქოლგისებრი გადახურვით (სურ. 169 და 172).



მარმაშენის (XI ს.)⁴⁶⁴ შემდეგ ეს გუმბათის საბურველის ამ სახესხვაობის სომხეთში ცნობილი ერთ-ერთი ყველაზე ადრეული ნიმუში უნდა იყოს. იგივე ფორმა მეორდება ასევე მხარგრძელების აგებულ ჰარიჭავანქსა (1201)⁴⁶⁵ და ხვკონქში (XIII ს.)⁴⁶⁶ მოგვიანებით იგი სომხური საეკლესიო არქიტექტურის ერთ-ერთ სახედ იქცა. ამ სიმრავლის გამო ნახევრადგაშლილ ქოლგისებრ გადახურვას სომხურ არქიტექტურულ მიგნებადაც კი თვლიან, თუმცა უთუოდ გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ მისი უფრო ადრეული ნიმუშები საქართველოში, კერძოდ კლარჯეთში – ხანძთაში (918-941) და ოპიზაში (X საუკუნის შუა წლები) დასტურდება.⁴⁶⁷

ნახევარწრიული აფსიდების აბრისით შეკონილი ფასადი მდიდრულად იყო მორთული. დასავლეთით ეკლესიას კარიბჭე/გავითი ჰქონდა მიშენებული, რომელიც ახლა თითქმის მთლიანად განადგურებულია (სურ. 173); დანარჩენი ხუთი აფსიდის კედლები კი თხელი სამმაგი ლილვებითა და მათზე გადაყვანილი უწყვეტი თაღნართაა გაფორმებული (ყოველ შვერილ აფსიდზე თაღნარის სამ-სამი კონაა). კედლისპირა თაღები მცენარეული ორნამენტითაა გამშვენებული, თაღებსშორის არეები კი მცენარეული ორნამენტით იმკობა, მსგავსად წმ. გრიგოლის და ქალწულთა ციხის ეკლესიებისა. ეკლესიის ცალკეულ ფასადზე, თაღებს ქვემოთ, საპირე წყობაში ჩართულია ცალკე რელიეფები – ფრინველთა ფიგურები, ჯვრები, ვარდულები; მათი ნაწილი ეკლესიის სარკმლების მორთულობასაც წარმოადგენს (სურ. 172 და 174). დეკორატიული მოტივები ამკობს ეკლესიის გუმბათის ყელსაც – აქ ყველა სარკმლის საპირე ასევე მდიდრულადაა გაფორმებული, ხოლო ფრონტონებში ისევ მცენარეული ორნამენტი ქვედა თარაზული მიჯნის დაცვით. გუმბათის კარნიშების გაფორმებაში გამოყენებული მხატვრული ხერხი – ნახევარწრიული მედალიონების მწკრივი (სურ. 175) – განსაკუთრებით პოპულარულია ტაოკლარჯეთის X-XI საუკუნეების არქიტექტურაში, შემდგომში კი საქართველოს სხვადასხვა რეგიონშიც მკვიდრდება.

ამ მცირე ეკლესიის მხატვრული სახის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი მის კედლებზე – როგორც ინტერიერში, ისე ფასადებზე, პირდაპირ ქვის ზედაპირზე – საღებავით დატანილი ორნამენტული დეკორია (სურ. 174). წითელი და თეთრი ფერის საღებავით შექმნილი კარნიშისთვის გამოყენებული მოტივი პარალელს ქართულ კედლის მხატვრობაში ჰპოვებს.⁴⁶⁸ ნიშანდობლივია, რომ იგივე მოტივი პოპულარობით სარგებლობს XIII საუკუნის სომხურ ხელნაწერთა გაფორმებაში,⁴⁶⁹ რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს კულტურულ დიალოგს ხელნაწერისა და არქიტექტურის ოსტატთა შორის.

ამჟამად თითქმის მთლიანად დანგრეული, ოთხკუთხა ფორმის კარიბჭე⁴⁷⁰ სამი მხრიდან იხსნებოდა თაღნართ, თითო ლიობით სამხრეთითა და ჩრდილოეთით, ხოლო დასავლეთით, სადაც დამატებით კიდევ ერთი წრიული ბურჯი იდგა – ორი თაღით. აგებულებით, მართკუთხა ფორმითა და გახსნილი თაღნართ ის სხვაობს სომხეთში დამკვიდრებული ჟამატუნების არქიტექტურისგან და პარალელს ჰპოვებს წმ. გრიგოლის ეკლესიის კარიბჭესთან (სურ. 170).⁴⁷¹

სურ. 172. ქალწულთა მონასტრის ეკლესია. ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან. დ. ერმაკოვის ფოტოკოლექცია



სურ. 173. ქალწულთა მონასტრის ეკლესია.
საერთო ხედი დასავლეთიდან.
დ. ერმაკოვის ფოტოკოლექცია

ეკლესია ქალწულთა მონასტრის სახელითაა ცნობილი – ამის თაობაზე ეჭვი დღემდე არავის გამოუთქვამს. ამასთანავე, მკვლევართა ნაწილმა იგი ბეჰენცის მონასტერთან გააიგივა.⁴⁷² ეკლესიის ფასადებზე შემორჩენილია რამდენიმე წარწერა, მათ შორის – მომლოცველთა მიერ შესრულებული, თუმცა კი არც ერთი არ შეიცავს მონაცემებს ეკლესიის სახელდების, აგების პერიოდის ან აღმსარებლობითი კუთვნილების შესახებ.



სურ. 174. ქალწულთა მონასტრის ეკლესია.
აღმოსავლეთი აფსიდის საფასადო
შემკულობა. დეტალი



სურ. 175. ქალწულთა მონასტრის ეკლესია. გუმბათის შემკულობა. დეტალი

ეკლესიის მასშტაბის, მდებარეობის და მის გარშემო არსებული გარემოს გათვალისწინებისას გაჩნდა განსხვავებული მოსაზრება მის სახელდებასა და დანიშნულებასთან დაკავშირებით. კომპლექსი დგას ანისში შესასვლელი გზის პირას, მხარგრძელთა ებოქაში აგებული გალავნის უშუალო სიახლოვეს, მდინარე ახურიანის მხრიდან ანისში ამავე გზაზე აღმართული ერთ-ერთი კარიბჭის გვერდით. როგორც აღინიშნა, ამ მინიატიურული ეკლესიის შიდა სივრცე იმდენად მცირეა, რომ შეუძლებელია მასში ყოველდღიური ჟამისწირვის აღსრულება. ასევე საყურადღებოა მისი გეგმა და აგებულება. ესაა ე.წ. ჰექსაკონქი, რომლის ექვსი აფსიდი რადიალურად არის განლაგებული გუმბათქვეშა წრიული სივრცის გარშემო. (სურ. 170 და 176). ამგვარი, მცირე ზომის, მრგვალი ტაძრები მემორიალურ არქიტექტურასთან არის გაიგივებული.⁴⁷³ მრავალაფსიდიანი, მათ შორის – ექვსაფსიდიანი ეკლესიები კავკასიაში რამდენიმე აწლეულის განმავლობაში იგებოდა.⁴⁷⁴ შესამჩნევია მათი სიმრავლე ანისსა და მის შემოგარენში. მრავალაფსიდიანი ეკლესიების ტიპოლოგიურ სახესხვაობებს გვაძლევს ანისის ციტადელის (X საუკუნის მეორე ნახევარი) და აბულამრენცის (X საუკუნის ბოლო), აგრეთვე ბაგნაირის (IX-X საუკუნეები)⁴⁷⁵ ჰექსაკონქები, აგრეთვე მაცხოვრის (1036) რვააფსიდიანი ეკლესია,⁴⁷⁶ და კიდევ ერთი ექვსაფსიდიანი ნაგებობა, რომელიც ქალაქის გარეთ, სმბატისეული კედლების სიახლოვეს მდგარა.⁴⁷⁷




სურ. 176. ქალწულთა მონასტრის ეკლესია. ინტერიერი

ნიშანდობლივია, რომ ე.წ. ქალწულთა მონასტრის ეკლესიის პირველი გამომცემელი, ტექსიე, მას დასაკრძალავ სამლოცველოს სახელით მოიხსენიებს (*Chapelle Sépulcrale*).⁴⁷⁸ ძნელი წარმოსადგენია, რომ ეკლესიაში ყოფილიყო დასაკრძალავი, თუკი იგი სომხური მონოფიზიტური აღმსარებლობის მიხედვით იყო შექმნილი. სავარაუდოდ, დასაკრძალავის დანიშნულება უნდა ჰქონოდა ეკლესიის მინაშენს. ეკლესიის ამგვარი სახელდება ან მემორიალური ტაძრის აგებულების ასოციაციიდან მომდინარეობდა, ან არსებობდა გარკვეული გადმოცემა მასში რელიქვიის ან სიწმინდის არსებობის შესახებ.⁴⁷⁹

საფიქრებელია, რომ ეკლესია თავისი განთავსების ადგილიდან გამომდინარე იმ ტრადიციას უკავშირდება, რომლის ადრეული ნიმუშიც ჰორომოსის მონასტერში დასტურდება – იქ ეკლესია აგებულია არა სალოცავად, არამედ ძეგლად, ერთგვარ ნიშნულად, რომელიც ისევე როგორც გალავნის წყობაში გამოყვანილი მონუმენტური ჯვრები, ქალაქში მომსვლელს ატყობინებდა ქალაქის, როგორც საქრისტიანოს მცველის ფუნქციას. როგორც ჩანს, ეს მინიატიურული ეკლესია, თავისი მორთულ-მოკაზმული ფასადებითა და საზოგადო ჟამისწირვისთვის შეუსაბამოდ მცირე შიდა სივრცით (აქ დავანებული სიწმინდით), შესაძლოა, სხვა არაფერი იყო, თუ არა ქალაქის ერთ-ერთ უმთავრეს კარიბჭესთან არსებული სალოცავი ანისში მომსვლელთათვის.

ბახტაგეკის წმ. გრიგოლის ეკლესია

ბახტაგეკის სახელით ცნობილი ეკლესია ნაქალაქარის ე.წ. ახალი ქალაქის აღმოსავლეთ ნაწილში იდგა. ნანგრევებად ქცეული ეკლესია, ირგვლივ არსებული სასაფლაოთი, ნიკო მარის ხელმძღვანე-



სურ. 177. ანისი, ბახტაგეკის წმ. გრიგოლის ეკლესია. გეგმა. წიგნიდან – Леонтьев 1905


ლობით 1892 წელს განხორციელებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლინდა.⁴⁸⁰

ნანგრევებში აღმოჩენილი ე.წ. შახერის წარწერიდან ირკვევა რომ ტაძარი წმ. გრიგოლის სახელობის ყოფილა.⁴⁸¹ იგი არქიტექტურულად წმ. გრიგოლის (ე.წ. ტიგრან ჰონენცის) ტაძრის მომცრო სახესხვაობაა. „ეკლესიის ნაწილები ისეთი სისრულით იყო ადგილზე შემონახული, რომ არქიტექტორ თორამანიანს დიდი შრომა არ დასჭირვებია რესტავრაციის შეძლებისდაგვარად ზუსტი პროექტის შესადგენად“.⁴⁸² საინტერესოა ის ფაქტი, რომ მშენებლებს საფასადე თაღნარის ქვები დაუნომრავთ სომხური ანბანის მიხედვით, რაც საგრძნობლად უწყობდა ხელს ფასადთა რეკონსტრუქციას (სურ. 178).⁴⁸³

ეკლესია გეგმით ე.წ. კუპელჰალეს ტიპისაა. მისი გუმბათი ინტე-

რიერის აღმოსავლეთ ნაწილში საკურთხევლის კიდეებს აყოლებულ პილასტრებს ეფუძნებოდა, დასავლეთით კი მასიური, შვერილი პილონების წყვილს. საგრძნობლად ამაღლებული საკურთხევლის აფსიდის ორივე მხარეს პასტოფორიუმები განუთავსებიათ (სურ. 177).

ტაძარს შესასვლელი დასავლეთიდან ჰქონია. წმ. გრიგოლის ეკლესიის მსგავსად, მისი ფასადებიც უწყვეტი თაღნართ იყო შემკული, მხოლოდ განსხვავებული რიტმით: ჰონენცისეულ ეკლესიაზე განივ კედლებზე თანაგვარი სიმალლისა და სიგანის თაღნარია (სურ. 119). ბახტაგეკის ეკლესიის სამხრეთ და ჩრდილოეთ ფასადებზე თაღები ზომში სხვაობს. კიდის ორ-ორი თაღი თანაბარია, მომდევნო, უფრო ვიწრო და დაბალი თაღები ევლება სამკუთხა ნიშებს, ფრონტონის ქვემოთ არსებულ, ცენტრალურ არეს კი საზღვრავდა თითო ვრცელი, დანარჩენებზე უფრო განიერი და მაღალი თაღი. თაღნარის ამგვარი განაწილებით ბახტაგეკის ეკლესია საერთოს ჰპოვებს წინა პერიოდის საეკლესიო ნაგებობებთან, კერძოდ კი მარმაშენის მონასტრის კათოლიკე ეკლესიის (XI ს.) ფასადების მამკობ თაღნართან.⁴⁸⁴ თაღები ამგვარივე პრინციპითა და რიგით არის განაწილებული აღმოსავლეთ და დასავლეთ ფასადებზეც, სადაც, ამასთანავე, კომპოზიცია უფრო სადაა, მხოლოდ სამი თაღის-




სურ. 178. ბახტაგეკის წმ. გრიგოლის ეკლესიის დასავლეთი და სამხრეთი ფასადები. წიგნიდან – Mapp 1934

გან შედგება – ეს პრინციპი იდენტურია წმ. გრიგოლის ეკლესიის საფასადო დეკორისა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ წმ. გრიგოლის ეკლესიის ტიგრან ჰონენცისეული საფასით აგებული ტაძრის დასავლეთ ფასადზე სარკმელი წნული ჩარჩოთი მაღალი თაღის ქვეშაა მოქცეული, ბახტაგეკის ეკლესიაში კი – მის ზემოთ. ბახტაგეკის ეკლესიას არ უნდა ჰქონოდა წრიული სარკმლებიც; ეკლესია მოსახატად იყო გამიზნული და, როგორც ჩანს, ამის გამო გაითვალისწინეს წმ. გრიგოლის ეკლესიაში რამდენადმე მოგვიანოდ მხატვრობის შესრულებისას, წრიული სარკმლების არსებობით გამოწვეული უხერხულობა, რის გამოც ისინი თავის დროზე ამოუქოლავთ.

თორამანიანის რეკონსტრუქციის თანახმად, ბახტაგეკის ეკლესიის გუმბათი ნახევრადგაშლილი ქოლგისებრი კონუსით იყო დაგ-

ვირგინებული; ამით ის სხვაობს წმ. გრიგოლის ეკლესიისგან და გარკვეულწილად ესადაგება ე.წ. ქალწულთა მონასტრის ეკლესიის გუმბათის საერთო მხატვრულ სახეს.


ბახტაგეკის ეკლესია უხვად ყოფილა შემკული ქვაზე კვეთილი რელიეფებით (სურ. 179 და 180). ინტერიერის მორთულობას დიდად განსაზღვრავდა საკურთხევლის აფსიდის კარნიზი რელიეფური სომხური წარწერით, რომელიც მცენარეული ორნამენტით იყო მოჩარჩოებული. კვეთილი ორნამენტული კარნიზი ამკობდა აფსიდის ნიშებსაც.⁴⁸⁵ დასავლეთი კარის ტიმპანის ქვაზე გამოქანდაკებული ყოფილა ვედრების სამფიგურიანი კომპოზიცია. მასზე მსჯელობისას მარი აღნიშნავს, რომ „სომეხი ოსტატები საკმაოდ სუსტები იყ-



სურ. 179. ბახტაგეკის წმ. გრიგოლის ეკლესიის რელიეფური შემკულობის ფრაგმენტები. წიგნიდან – Mapp 1934

ნენ ადამიანის სხეულის გამოსახვისას... რაც დასტურდება ტიმპანის ვედრების რელიეფური გამოსახულებით“.⁴⁸⁶ იგი იქვე დასძენს, რომ „შემოქმედებითობა და, საერთოდ, ხელოვნება სომეხი ოსტატებისა ეთქმის ორნამენტის კვეთას, გეომეტრიულსა და მცენარეულს“ (სურ. 179).⁴⁸⁷ მცენარეული და გეომეტრიული ორნამენტები, მათში ჩართული ფრინველთა და ცხოველთა გამოსახულებები და წნული კარნიზები, როგორც ჩანს, გაუყვებოდა ფასადის ზედა რეგისტრებს, ამკობდა სარკმლებს და თავმოყრილი იყო თაღების გარშემო ანტრეკოლტებსა და ფრონტონთა ქვედა არეებზე. გათხრების დროს ასევე აღმოჩნდა ეკლესიის ქვის მოდელი, რომელიც ცხოველის თათებში უნდა ყოფილიყო მოქცეული და ასევე საფასადო მორთულობის ნაწილს წარმოადგენდა. საფასადო ფიგურულ რელიეფთაგან აღსანიშნავია ორ ცრუ თაღს შორის გამოქანდაკებული ქვითხუროს ფიგურა ხელში სამშენებლო იარაღებით (სურ. 180).⁴⁸⁸

ე.წ. შახერის ზემოხსენებულ წარწერას აქვს ძნელად გასარჩევი თარიღი – 1271 ან 1251 წ. სიჩოვი ვარაუდობს, რომ წარწერა მოგვი-



სურ. 180. ბახტაგეკის წმ. გრიგოლის ეკლესიის რელიეფური შემკულობის ფრაგმენტები. წიგნიდან – Mapp 1934

ნო განახლებასთან უნდა იყოს დაკავშირებული. საიმპერატორო არქეოლოგიური კომისიის 1892 წლის ანგარიშში მითითებულია, რომ ეკლესია 952 წელს უნდა აეგოთ, მხატვრობა კი მოგვიანოდ, XII-XIII საუკუნეებში შეიქმნა.⁴⁸⁹ უცნობი რჩება, რას ეყრდნობა ამგვარი დასკვნა. წმ. გრიგოლის ორი ეკლესიის შედარებისას, მათი მსგავსების მიუხედავად, სიჩოვი აღნიშნავს, რომ „მცირე ეკლესიის კედლები უფრო სქელია, ნახევარკოლონები მასიური, საფასადე ნიშები უფრო ღრმაა და ლაგდება ანტების შესაბამისად; ყველა ეს ნიშანი კი უფრო ადრეული ძეგლებისთვისაა დამახასიათებელი, რაც იძლევა საშუალებას, გათხრილი ეკლესიის მშენებლობის დრო ტიგრან ჰონენცის ეკლესიაზე უფრო ადრეული ხანით განისაზღვროს.“⁴⁹⁰ დღეს ძნელია ამ არგუმენტების გაზიარება. გამოქვეყნებულ მასალაზე დაყრდნობით შეუძლებელია საუბარი ეკლესიის სამშენებლო ფენებზე, მაგრამ რამდენიმე ფოტოზე დაკვირვებაც კი ნათელყოფს, რომ ბახტაგეკის ეკლესიის რელიეფები და საფასადო შემკულობა ანისის იმ ხუროთმოძღვრული სკოლის ნამუშევარია, რომელსაც წმ. გრი-

გოლის, ქალწულთა ციხის ეკლესიის და ე.წ. ქალწულთა მონასტრის ფასადები შეუმკია (სურ. 131, 166 და 172).

ეკლესიის დასავლეთი სარკმლის სწორკუთხა ჩარჩოში მოქცეული საპირე (სურ. 180), ვარკვლავისებურად დაწნული მოტივით, ჰონენცისეული ეკლესიის სარკმლის შემკულობის ანალოგიურია (სურ. 62.5). იგივე შეიძლება ითქვას ფიგურულ რელიეფებზე, სადაც დენად მცენარეულ და გეომეტრიულ ხვეულებს შორის ჩართულია ფრინველების, ცხოველების და ადამიანთა ფიგურები (სურ. 131, 179 და 180). ყურადღებას იქცევს ერთი ფრიზის ფრაგმენტი, სადაც წნულ უჯრედებში გამოსახულია ფეხმორთხმული მამაკაცი, ხარი და ტურა. ცხოველების და ფრინველების ორნამენტულ მოტივებში ჩართვის ტრადიცია ჯერ კიდევ ანტიკური პერიოდიდან მოდის და მისი მრავალი ნიმუში მოზაიკების სახით შემორჩა. ეს ფორმა შემორჩა ქრისტიანულ ხელოვნებასაც, სადაც მან გვიანანტიკური პერიოდის საეკლესიო მოზაიკებიდან გადმოინაცვლა და პოპულარობით სარგებლობდა როგორც ბიზანტიაში, ისე კავკასიაში.⁴⁹¹ მოტივი იმემკვიდრა სელჯუკურმა ხელოვნებამაც.

ბახტაგეკის ეკლესიის ამ რელიეფზე ყურადღებას იპყრობს ფეხმორთხმული მამაკაცის ფიგურა (სურ. 179). მსგავსი გამოსახულება არსებობს ალთამარის ეკლესიაზე – იქ ამგვარად მეფე გაგიკ არწრუნი გამოუსახავთ.⁴⁹² ფეხმორთხმული მამაკაცის ფიგურა ამშვენებდა კონიის სელჯუკური სასახლის ფრიზს.⁴⁹³ უცნობი რჩება, ვინ უნდა გამოესახათ ბახტაგეკის ეკლესიის ფასადზე – მარი მას მეფედ მიიჩნევს,⁴⁹⁴ ტატიანა იზმაილოვამ კი ეკლესიის ფასადზე ამგვარი ფიგურის განთავსება ადრეულ ტრადიციასთან მიმართებით განიხილა, დალესტანში აღმოჩენილი სასახლის რელიეფებს დაუკავშირა და, ამის შესაბამისად, საერთო სასანურ საწყისებზე მიუთითა.⁴⁹⁵ იგი ასევე ამახვილებს ყურადღებას სტუკოს რელიეფურ ფრაგმენტებზე კონიიდან,⁴⁹⁶ რაც ანისის რელიეფური გამოსახულების უშუალო პარალელს წარმოადგენს. სადაო არ უნდა იყოს, რომ ოსტატი, ვინც ბახტაგეკის ეკლესიის ორნამენტებს შორის ფიგურულ რელიეფებს აქანდაკებდა, კარგად იცნობდა სელჯუკურ ხელოვნებას და მის რეპერტუარს. ეკლესიის რელიეფური ფიგურები თემატიკითა და მხატვრული მახასიათებლებით უფრო მეტ საერთოს ჰპოვებენ თანადროულ სელჯუკურ ხელოვნებასთან (რელიეფი, კერამიკა და სხვ.), ვიდრე წინარე პერიოდის სომხურ, ან ზოგადად კავკასიურ დეკორატიულ ხელოვნებასთან.

ბახტაგეკის ეკლესიის ინტერიერი, წმ. გრიგოლის დიდი (ტიგრან ჰონენცისეული) ეკლესიის მსგავსად, მთლიანად მოხატული უნდა ყოფილიყო, რასაც არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი ფრესკის სამოცდათორმეტი ფრაგმენტი მოწმობს.⁴⁹⁷ სწორედ მოხატულობა უნდა გამხდარიყო ერთ-ერთი არგუმენტი მარისთვის, ეკლესიის აღმსარებლობითი კუთვნილების განსაზღვრისას – იგი მიიჩნევს, რომ გათხრებისას მიკვლეული ნაგებობა სომეხ ქალკილონიტთა საგვარეულო ეკლესია უნდა ყოფილიყო.⁴⁹⁸

ხუროთმოძღვრული და მხატვრული მახასიათებლებით ბახტაგეკის ეკლესია XIII საუკუნის ანისური არქიტექტურული სკოლის

ტიპური ნიმუშია; მასში, თანადროული რამდენიმე სხვა ეკლესიის მსგავსად, ურთიერთს ენაცვლება რეგიონის იმუამინდელი ხელოვნებისთვის ნიშანდობლივი მახასიათებლები, სახელდობრ ქრიატიანული არქიტექტურული ფორმები და ისლამური სახვითი მოტივები, ყოველივე ამასთან ერთად კი – მართლმადიდებლური ეკლესიისთვის დამახასიათებელი ხატოვანი ნარატივი ფრესკული მხატვრობის სახით.

* * *

ამ ნარკვევში განხილულ იმ ეკლესიებს, რომლებიც ანისში საქართველოს სამეფოს მფლობელობისას, მხარგრძელთა მმართველობის დროს აიგო ან განახლდა, აერთიანებს მშენებლობის თანაგვარი ხარისხი, ისევე როგორც საფასადო დეკორატიული მორთულობის მსგავსი რეპერტუარი და მხატვრულ-სტილური მახასიათებლები; ყოველივე ეს მიანიშნებს, რომ მოხმობილი ეკლესიები არა მხოლოდ ერთ პერიოდში შეიქმნა (რასაც წარწერებიც მოწმობს), არამედ მათი აგება მშენებელთა ერთ წრეს შეიძლება უკავშირდებოდეს.

ქალაქის სხვადასვა უბანში აგებული ეს ეკლესიები ანისის სამშენებლო სკოლის გამორჩეული ნიმუშებია; ყოველ მათგანში აღიბეჭდა მხარგრძელთა მმართველობის ეპოქის საეკლესიო თუ საერო ხუროთმოძღვრებაში ჩენილი ტენდენციები. ამ ნაგებობათა მამკობი რელიეფები საერთოს ჰპოვებს თანადროულ ქრისტიანულ და ისლამურ ხელოვნებაში გავრცელებულ მოტივებთან. იმავდროულად, მათი საფუძვლები სომხეთის მდიდარ ტრადიციას ეფუძნება, სადაც ოდითგანვე ელინისტური თუ სასანური კულტურული გავლენების ადაპტირება ხდებოდა. გარდა ამისა, ანისის საეკლესიო ნაგებობების საფასადო ქანდაკება გვაგონებს როგორც ტაო-კლარჯეთის ქართული ეკლესია-მონასტრების დეკორს (სადაც უხვად გამოიყენება ფრინველთა და ცხოველთა ქანდაკებები), ისე სამხრეთი კავკასიისა და ანატოლიის სავაჭრო მაგისტრალეებზე მდებარე ქარვასლათა ფასადების მდიდრულ დეკორატიულ მორთულობას. ინტერიერის მამკობ ფრესკებში გამოყენებულ აბრეშუმის ქსოვილის იმიტაციას აღუბეჭდავს თანადროული ქრისტიანული თუ ისლამური აღმოსავლეთის საცხოვრებელი და საკულტო ნაგებობების შემკულობისთვის გამოყენებული მოტივები.

ანისში შეიქმნა ეპოქალური მნიშვნელობის სამშენებლო კულტურა, რომელმაც მრავალმხრივი გავლენა იქონია შემდგომი პერიოდის არა მხოლოდ სომხური, არამედ რეგიონული არქიტექტურისა და ხელოვნების განვითარებაზე. ამ მიღწევათა შორის კი უპირველესია ის მრავლისმომცველობა, რაც ზოგადად მხარგრძელთა ხელოვნებას ახასიათებს.

ანისში მიმსვლელს, მტერსა თუ მოყვარეს, ქრისტიანსა თუ მუსლიმს, ეკლესიების, მეჩეთებისა და საცხოვრებლების კედლებზე უნდა ენახა მისთვის ნაცნობი სახეები, თემები, ფორმები. ყოველივე ეს ამ ქალაქს აქცევდა მრავალკულტურულ, კოსმოპოლიტურ სივრცედ.

შენიშვნები

- 1 ანისის არქიტექტურული სკოლის შესახებ იხ.: Арутюнян 1964: 56–68; Cuneo et al. 1984: 5–9; Thierry J.-M., Donabedian 1987: 166–167; Мнацаканян 1987: 41–53; Халпахчьян 1966: 197–299. წინამდებარე ნარკვევი დასაბუთდა იყო გადაცემული, როდესაც არმენ კაზარიანმა ჩვენთვის ხელმისაწვდომად გამოაქვეყნა თავისი ნარკვევები ანისის საეკლესიო ხუროთმოძღვრების ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით (Казарян 2017: 87–116; Казарян 2018: 145–169; Казарян 2019: 127–143; Казарян, Лошкарева 2019: 100–123; Kazaryan 2018: 362–366; Kazaryan, Loshkareva 2019: 111–116). მისი დაკვირვებებისა და მოსაზრებების გათვალისწინება ჩვენთვის უკვე შეუძლებელი აღმოჩნდა.
- 2 იხ. აქვე, თავი V, სურ. 7.
- 3 აქვე, თავი V.
- 4 Thomson 1996: 189; Ganjakets'i 1986: 78–79; Mapp 1934: 19–25; Орбели 19106: 4–5, 19–22; Арутюнян 1964: 5–8; Vahramian 1984: 16–21.
- 5 1844 წლის 5/17 დეკემბრის დედისა და დებისადმი თბილისიდან გაგზავნილ წერილში მოცემულია ანისში მოგზაურობის შთაბეჭდილებები, ასევე სხვადასხვა ეკლესიის აღწერა და ჩანახატები. იხ: Abich 1896: 193–194; Абиx 1882: 287.
- 6 Brosset 1860–1861: ტაბ. XX; Brosset 1887: 379; Lynch 1901: 368.
- 7 თავდაპირველად გამოიგა ორ ტომად, გერმანულ ენაზე – Thielmann 1875a; წიგნის ინგლისური ვერსია იმავე წელს გამოქვეყნდა – Thielmann 1875b: 168.
- 8 Lynch 1901: 386.
- 9 Mapp 19106: 1433–1442; Орбели 19106: 30. „ქართული ეკლესიის“ თორთო თორმანანისეული ფოტო გამოქვეყნებულია იოზეფ სტრუიგოვსკის წიგნში, თუმცა თავად ძველი ავტორს საგანგებოდ არ განუხილავს (Strzygowski 1918: 518–519, სურ. 558).
- 10 იხ. ტ. III, თავი II, ქართული ლაპიდარული წარწერები I [1], სურ. 1–10.
- 11 იხ. ტ. III, თავი II, ქართული ლაპიდარული წარწერები.
- 12 იხ. ტ. III, თავი II, ქართული ლაპიდარული წარწერები I [1], სურ. 1–18.
- 13 ნ. მარს ასევე გამოქვეყნებული აქვს ეკლესიის ორი ფოტო: Mapp 1934: 35, ნახ. 181, 182.
- 14 Karapetian 2011: 548–211, სურ. 550, 552–553.
- 15 Thierry J.-M. 1984: 91.
- 16 Thierry J.-M., Donabedian 1987: 489; Thierry J.-M., Donabedian 1987: 489.
- 17 Thierry J.-M., Donabedian 1987: 481; Thierry J.-M., Donabedian 1987: 481.
- 18 Donabedian 2016: 60–70.
- 19 Cuneo 1988: 667 (429). გამოქვეყნებულ გეგმაზე უზუსტობაა – არაა დატანილი აღმოსავლეთი სარკმელი, ხოლო დანგრეულად ნაჩვენებია ჩრდილოეთი მხარე, ნაცვლად სამხრეთისა.
- 20 იხ., მაგალითად, Арутюнян 1964: 65, ტაბ. 40; Karapetian 2011: 208.
- 21 Eastmond 1999: 210–23; Eastmond 2004: 74–75.
- 22 Çelebi 2013: 25–32; Coruhlu, Çelebi 2017: 863–873.
- 23 <http://www.virtualani.org/georgianchurch/index.htm>
- 24 იხ. ტ. III, თავი II, ქართული ლაპიდარული წარწერები I – [1], [2].
- 25 იქვე.
- 26 ანისის ქართულ ეკლესიაზე ჩემი კვლევის თავდაპირველი შედეგები მოხსენების სახით “Meeting of Two Traditions: sculptures of Georgian Church in Armenia Ani” წარვადგინე 2010 წელს თბილისში, საერთაშორისო კონფერენციაზე Figure and Ornament: Aesthetics, Art and Architecture in the Caucasus region from 400 to 1650. კვლევის შედეგები შევიდა საენციკლოპედიო სტატიაში ანისის ეპარქიის სიძველეების შესახებ (გივიაშვილი 2015a: 214–216) და საერთაშორისო კონფერენციის მასალებში: Giviashvili 2019: 49–80.
- 27 დღეს ჩრდილოეთი კედლიდან მხოლოდ 10 მეტრზე ოდნავ მეტია დარჩენილი.
- 28 Krautheimer 1965: 15–116.
- 29 Kazaryan 2015: fig. II-35, II-37, II-51, II-52.
- 30 Cuneo 1988: 189 (69).
- 31 მაგალითად, თანადივანქის წმ. სტეფანეს ეკლესიაში (Cuneo 1988: 386–387 (199)); არენის ღმრთისმშობლის ეკლესიაში (Cuneo 1988: 394 (202)); ჰარიჭავანქის ღმრთისმშობლის ეკლესიაში (Cuneo 1988: 248–253 (112)), ჰალარწინის დიდ და მცირე ეკლესიებში (Cuneo 1988: 341–347 (168)).
- 32 ჩუბინაშვილი 1940; ბერიძე ვ. 2014, II: 31–32.

- 33 მამიაშვილი 2013: 240, 246-248.
- 34 იქვე, 442-443.
- 35 Рчеулишвили 1978: 21-28; ბერიძე ვ. 2014, I: 68-69; ბერიძე ვ. 2014, II: 34; გელენავა, პატაშური, დავითაია 2015: 12; ბერძენიშვილი ი. 2006: 68-74.
- 36 მუსხელიშვილი 1941: 26-29 (VI-VII სს. ათარილებს ეკლესიის ბარელიეფებს).
- 37 თუმანიშვილი 1982: 28-34.
- 38 ბზიფის ეკლესიას ლ. რჩეულიშვილი IX საუკუნით ათარილებს (Рчеулишвили 1988: 23-24), ვ. ბერიძე – IX-X საუკუნეებით (ბერიძე ვ. 2014, II: 28), დ. ბელეცკი და ა. ვინოგრადოვი – მეფე გიორგი II-ის გეობის ხანით (922-957) (Виноградов, Белецкий 2015: 174-175).
- 39 Виноградов, Белецкий 2015: 176, 225-226. მოქცევი კარნიშები ეკლესიის განივ კედლებსაც მიუყვება.
- 40 ბერძენიშვილი და სხვ. 2000: 130-131, ილ. 407, 411.
- 41 ელიზბარაშვილი 1996: 30-40.
- 42 ნარიმანიშვილი, შანშიაშვილი, კვაჭაძე 2018: 239; Шмерлинг 1969: 105-130; ხუნდაძე 2010: 122-132.
- 43 გვირაშვილი 2009: 668-674.
- 44 Такайшвили 1913: 39-43; ნარიმანიშვილი, შანშიაშვილი, კვაჭაძე 2018: 114-115 ილ. XXXIX- XL.
- 45 ნარიმანიშვილი, შანშიაშვილი, კვაჭაძე 2018: 121-122, 334, 441 ილ. LIV-1.
- 46 ბერძენიშვილი და სხვ. 2000: 123, ტაბ. 380.
- 47 ბერიძე ვ. 2014, II: 121-122, ილ. 321-4.
- 48 იქვე, 54-55, ილ. 321-5.
- 49 იქვე, 154-155.
- 50 იქვე, ილ. 321-6.
- 51 ეკლესიის ნანგრევებში ვიპოვეთ ფრაგმენტი, რომელიც არ ემთხვევა ჩრდილოეთი ნიშის გაფორმებას, მაგრამ შესაძლებელია სამხრეთი ნიშის ნაწილი იყოს, ან იგი ანისის რომელიმე ეკლესიის ნანგრევიდან არის აქ მოტანილი.
- 52 Thierry J.-M., Donabedian 1987: 489.
- 53 Cuneo 1988: 660-661 (425). კარგადაა ცნობილი მეჩეთის აღმშენებლობის ორი პერიოდი. რაც შეეხება სახურავს, სტალაქტიდებიანი ტერი, ცხადია, გვიანი პერიოდისა და, შესაძლებელია, ის მშენებლობის /გადაკეთების მესამე ფაზაში, XIII საუკუნის განმავლობაში შეიქმნა. „ქართული ეკლესიის“ კაპიტელების გაფორმება, ერთი შეხედვით, ისლამურის მხატვრული წრის თანაზიარად ჩნდება, თუმცა კი იგი არ უკავშირდება სტალაქტიდების სისტემას. ოია პანჯაროლლუმ გამოთქვა მოსაზრება, რომ სელჯუკურ ხელოვნებაში (გვიანი XII – ადრეული XIII სს.) ცნობილი ეს მოტივი ხეშე კვეთილი ორნამენტული რეპერტუარიდან მომდინარეობს. გამორიცხული არაა, რომ სამყურა ფოთლოვანი კვეთა ხითხურობიდან ევის არქიტექტურაში სწორედ ანელებმა გადაიტანეს და ეს ინოვაცია შემდგომში გავრცელდა როგორც სამხრეთ კავკასიაში.
- 54 Беридзе 1981: 82-90, 252-257; Kazaryan 2011: 341-374.
- 55 აგარის მონასტრის სატრაპეზო, XI-XII სს. მიჯნა, იხ.: ბერიძე ვ. 1974: 166, ილ. 128; ხოფას მონასტრის სატრაპეზო, XIII ს. იხ.: Меписашვილი, Цинцадзе 1975: 129.
- 56 ტერემის სასახლე, VIII-IX სს, იხ. Mepisaschwili, Zinzadze 1986: ტაბ. 85; გუდარეხის სასახლე, XII-XIII სს. იხ.: Mepisaschwili, Zinzadze 1986: ტაბ. 95.
- 57 Cuneo 1988: 662-663 (426); 260-264 (120); Thierry J.-M. 1984: 90-91.
- 58 Thierry J.-M. 1984: 93-94; Cuneo 1988: 660-661 (425).
- 59 Thierry J.-M. 1984: 88-89; Cuneo 1988: 655 (422).
- 60 Thierry J.-M. 1984: 94-95; Cuneo 1988: 658-659 (424).
- 61 Cuneo 1988: 188-189 (69).
- 62 იქვე, 646-648, 796 (414).
- 63 იქვე, 152-155, 796 (45).
- 64 იქვე, 102-106 (6).
- 65 შუა საუკუნეების ქართული დარბაზული ეკლესიების შიდა სივრცის გადაწყვეტის დახასიათებისთვის იხ. ვაჩიშვილი ნ. 1997: 14-24; დარბაზული ეკლესიების განვითარების ეტაპების შესახებ იხ.: ბერიძე ვ. 2014: 284-285.
- 66 ბერძენიშვილი დ. და სხვ. 2000: 73-76.
- 67 Такайшвили 1909: 27-28; ბერძენიშვილი დ. და სხვ. 2000: 44.
- 68 სანიკიძე 1972: 71-79; ჯაბუა 2012: 67-68; ბაგრატიონი გ., ბაგრატიონი ნ. 2015: 84-85.
- 69 რჩეულიშვილი 1963: 167-181.
- 70 ბერძენიშვილი ნ. 1964: 91; ბერძენიშვილი და სხვ. 2000: 23-24, ნახ. 11-12, ტაბ. 41-45, 47.
- 71 ბერიძე ვ. 1955: 42-44, ტაბ. 5, 28; ბერიძე ვ. 2014, II: 122-123.
- 72 Чубинашвили Н. 1976: 54-56, სურ. 33; გვირაშვილი, კობლატაძე 2004: 97-98, 2013-214.; ბერიძე ვ. 2014, I: 286, ტაბ. 276; ბაგრატიონი გ., ბაგრატიონი ნ. 2015: 82.
- 73 ბერიძე ვ. 2014, II: 55.
- 74 მეფისაშვილი 1991: 7-16.
- 75 ბერძენიშვილი და სხვ. 2000: 26-27, ილ. 16-17; ბერიძე ვ. 2014, I: 302.
- 76 Шмерлинг 1955: 139-168; ბერიძე ვ. 2014, I: 291-293; ბერიძე ვ. 2014, II: 161, ტაბ. 281.
- 77 ბერიძე ვ. 2014, II: 50.
- 78 ბერძენიშვილი ნ. 1964: 94-97; ბერიძე ვ. 2014, I: 297-298; ბერიძე ვ. 2014, II: 132-133, ტაბ. 292, 296-298; ბერძენიშვილი და სხვ. 2000: 14, ნახ. 3-4, ტაბ. 7-14; ნარიმანიშვილი, შანშიაშვილი, კვაჭაძე 2018: 267-268, 386, 500 ილ. CCCVIII.
- 79 ბერიძე ვ. 1942: 77-132; ბერიძე ვ. 2014, II: 116-117.
- 80 ბერიძე ვ. 2014, II: 10-11, 217-2018. ვაჩიშვილი 1997: 17.
- 81 ბერძენიშვილი და სხვ. 2000: 27, ნახ. 16-17; ბერიძე ვ. 2014, I: 288.
- 82 ბერძენიშვილი ნ. 1964: 101; ბერძენიშვილი და სხვ. 2000: 12-13, ნახ. 1-2, ტაბ. 3-4.

- ⁸³ ბერძენიშვილი ნ. 1964: 102; ბერძენიშვილი და სხვ. 2000: 17-18, ნახ. 5-6, ტაბ. 27-28; ნარიმანიშვილი, შან-შიაშვილი, კვაჭაძე 2018: 257, 384, 497, ილ. CCLXXXVI.
- ⁸⁴ Thierry J.-M. 1984: 90-91.
- ⁸⁵ იქვე, სურ. 2.
- ⁸⁶ Орбели 19106: 30.
- ⁸⁷ Abich 1896: 193-194.
- ⁸⁸ იქვე, 193-194.
- ⁸⁹ ნ. სილაგაძის სტატიებში განხილულია საქართველოში საფლავსზედა ეკლესიები სხვა ფართო გარემოცველ სამყაროსთან მიმართებით (სილაგაძე 2003: 135; სილაგაძე 2005: 209-218). ამასთანავე, ამ რიგის ქართული ეკლესიების სრული ნუსხა დღემდე არ ყოფილა შედგენილი; ხშირ შემთხვევაში არ არსებობს ასეთი ეკლესიების ქვედა სართულების ანაზომები, ტრილები ან აღწერები.
- ⁹⁰ ყარაულაშვილი 2012: 334-399, 384; სხირტლაძე 2015: 330-351.
- ⁹¹ წმინდანთა დასაკრძალავებზე აღმართული ეკლესიების საწყისებთან დაკავშირებით იხ. Brown 2015: 7-9, 36-37.
- ⁹² უილკინსონი 2002: 59-66; Eastmond 2018: 212-231.
- ⁹³ გიორგი ჩუბინაშვილი წერს, რომ ჭერემის კვადრატის მიწაში მოქცეულ კრიპტა-აკლდამაზე იყო აგებული (ჩუბინაშვილი 1936: 27); სხვა მოსაზრებით, ეს ნაგებობა ცეცხლის ტაძარი უნდა ყოფილიყო (ყიფიანი 2009: 16). ვფიქრობ, ჭერემის კვადრატის იყო კვადრიფონი, სატრიუმფო ნაგებობა, რომლის ფორმასაც საფუძვლად ტეტრაფილონი უდევს და ადრექრისტიანულ სამყაროში ეკლესიებისა თუ სხვა საკრალური სივრცეების წინ იდგმებოდა, როგორც სარიტუალო გზის მანიშნებელი. ერთადერთი, რაც მის ამგვარ დანიშნულებას სათუთს ხდის, მისი მასშტაბია, მაგრამ მეორე მხრივ, მისი თანაგვარობა სამრეკლოს ტრადიციულ აღნაგობასთან (სადაც პირველი სართული ხშირად ეკლესიისკენ მიმართული გზის აღმნიშვნელია და რომელიც კვადრიფონისა და ფანჩატურის კომბინაციით შეიქმნა), მის ამგვარ მნიშვნელობაზე უნდა მიუთითებდეს. ჭერემის კვადრატის ფუნქციის დადგენა, ცხადია, ცალკე კვლევის საგანია, თუმცა კი იმის გათვალისწინებით, რომ ძველი აღარ არსებობს, ყველა მოსაზრება მხოლოდ ვარაუდის სახით რჩება.
- ⁹⁴ Чубинашвили Н. 1971: 27-66; ანდლულაძე, დევდარიანი 1990: 284-287.
- ⁹⁵ ჭანიშვილი, ბახტაძე 2010: 31-40; ჩუბინაშვილი 1936: 26.
- ⁹⁶ ვაჩიშვილი 2002: 24-33.
- ⁹⁷ იქვე, 32-33.
- ⁹⁸ ბერიძე ვ. 2014, I: 180.
- ⁹⁹ მოქცევაჲ ქართლისაჲ 1963: 161.
- ¹⁰⁰ არსენ ბერი 1971: 45; შდრ. ჩუბინაშვილი 1936: 27; ჩახუნაშვილი 2006: 52.
- ¹⁰¹ ჩუბინაშვილი 1936: 27; Чубинашвили Г. 1959: 83-86; ჩახუნაშვილი 2006: 10.
- ¹⁰² აბრამიშვილი 1989: 37-44; ვაჩიშვილი 2002: 31.
- ¹⁰³ ლეონტი მროველი 1955: 132.
- ¹⁰⁴ ქარუმიძე 2000: 165-189; ბერძენიშვილი და სხვ. 2000: 109-111.
- ¹⁰⁵ Djobadze 1992: 171-173; ბაგრატიონი გ., ბაგრატიონი ნ. 2015: 146-147.
- ¹⁰⁶ Djobadze 1992: 173.
- ¹⁰⁷ მარსაგიშვილი 1999: 89-95; ბაგრატიონი გ., ბაგრატიონი ნ. 2015: 150-155; სხირტლაძე 2009: 32.
- ¹⁰⁸ Djobadze, 1992: 47-48; Baumgartner 1996: 338-339; ციცივაია 2020.
- ¹⁰⁹ თაყაიშვილი 1938: 60.
- ¹¹⁰ ჩუბინაშვილი 1936: 31-32; Чубинашвили Г. 1956: 515.
- ¹¹¹ ჩუბინაშვილი 1936: 59-62, სურ. 41.
- ¹¹² Sin. 50: 254; ალექსიძე 2011ა: 121; ალექსიძე 2011ბ: 331.
- ¹¹³ ბოჭორიძე 1995: 163-169; გაფრინდაშვილი, ჩუბინაშვილი 1969: 28-33.
- ¹¹⁴ გ. ჩუბინაშვილი მას VII-VIII საუკუნეებით ათარილებს, რ. მეფისაშვილი კი IX საუკუნით. იხ: ჩუბინაშვილი 1936: 194, 198, სურ 153, 154; Мелисашвили 1963: 39, ნახ. 4, 7.
- ¹¹⁵ ნუკას საყდრის ორსართულიანი ეკლესიის კრიპტა და მისი ფორმები დღემდე დადგენილი არ ყოფილა. ეკლესიის თავდაპირველი სახელდება დაკარგულია. ნ. მარის მას ხანძასთან აიგივებდა; პ. ინგოროყვამ ერთ-ერთ უადრეს საეპისკოპოსო კათედრად – ფორთად მიიჩნია; ვ. ჯობაძემ უარყო აქ რაიმე მონასტრის არსებობის შესაძლებლობა; დ. კლდიაშვილმა ეკლესია და მის გარშემო არსებული ნაშთები გუნათლეს ვანის სახელით ცნობილ, დაფანჩულთა სამარხ ეკლესიასთან გააიგივა. იხ.: კლდიაშვილი 1998: 162-180.
- ¹¹⁶ ვარნეთის ეკლესიაზე მიმითითა ქალბატონმა ირინა ელიზბარაშვილმა, ხოლო ფოტო გადმომცა ბატონმა კუკური მეტრეველმა, რისთვისაც მათ მადლობას მოვახსენებ.
- ¹¹⁷ გვერდწითელი 1979: 305; ბერძენიშვილი დ. 1975: 124.
- ¹¹⁸ გაფრინდაშვილი 1966: 41-46; გაგოშიძე 2013: 610-615.
- ¹¹⁹ კუპრეიშვილი, მარკოზაშვილი 2013: 90-94.
- ¹²⁰ ბერიძე ვ. 1970: 37-40; მარსაგიშვილი 1997: 18.
- ¹²¹ ეკლესია განადგურებულია, თუმცა შემორჩა ნახევრად მიწაში ჩაფლული კრიპტა. ცილინდრული კამარის ქვეშ, კედლის პირას, მიცვალებულის დასასვენებელი თაროებია. მოწოდებისათვის მადლობას ვუხდით გიორგი გაგოშიძეს და როლანდ თოფჩიშვილს.
- ¹²² სამლოცველო VIII საუკუნით თარიღდება. იხ. ბერიძე ვ. 2014, II: 31-32.
- ¹²³ მახარაძე და სხვ. 2008: 436-468.
- ¹²⁴ ანდლულაძე, დვალი 2011: 11.

- 125 წერეთელი, ცინდელიანი, ნუცუბიძე 2010: ნახ. III.
- 126 Mepisaschwili, Zinzadze 1986: 242; ჩიქვანების საძვალე X საუკუნით თარიღდება. ეს თარიღი, რომელიც ისტორიულ მონაცემებს არ ემყარება, გადასახედი ჩანს, რადგან ნაგებობა უფრო მოგვიანო ხანისა უნდა იყოს.
- 127 გაგოშიძე ი., მინდორაშვილი, გაგოშიძე გ. 2014: 24–25, 33.
- 128 ამას გარდა, კვიპროსზე ცნობილია ამგვარი კრიბტის კიდევ ერთი მაგალითი – აფსინთიოტისის მონასტრის (XI–XII საუკუნეების მიჯნა) მთავარი ტაძრის აღმოსავლეთით მდებარე დარბაზული ეკლესია, რომლისგანაც ახლა მხოლოდ ნანგრევებიღა შემორჩა. ეკლესიის ქვეშ ოთხი დიდი საძვალე მოჩანს. იხ. გაგოშიძე ი., მინდორაშვილი, გაგოშიძე გ. 2014: 33.
- 129 Бакалова 2010: 393.
- 130 ამის თაობაზე იხ. ქვემოთ.
- 131 შუა საუკუნეების სომხური საეკლესიო წესგანგება ჩამოყალიბდა მოციქულთა კანონების, პირველი სამი მსოფლიო კრების დადგენილებათა, ადგილობრივი საეკლესიო კრებების (ანკვირიის – 315 წ., ნეოკესარიის – 315 წ., განგრის – 380 წ., კესარიის ანტიოქიის – 341 წ., ლაოდიკიის – 365 წ., სარდიკიის – 344 წ.) და სომხეთის ეკლესიის ადგილობრივი კრებების (შაჰაპივანის – 365 წ., აშტიშატის – 443 წ., დვინის – 648 წ. და სხვ.) ძეგლისდებათა საფუძველზე (ალექსიძე 2008: 162). წმინდა მოწამეთა რელიქვიების პატივმიგების მარეგულირებელი დადგენილებები შაჰაპივანის კრებამ მიიღო. არსებითი იყო სამი ძირითადი დადგენილება: 1. ცრუ და მწვალებელ მარტვილთა თაყვანისცემის თავიდან ასაცილებლად რელიკვიების ავთენტურობის დადგენა ეპისკოპოსს უნდა მოეხდინა; 2. უნდა განხორციელებულიყო წმიდა მოწამეთა პატივმიგების მიმართ დამოკიდებულების ჩამოყალიბება, წარმართობის ფარული აღორძინების აღსაკვეთად; 3. უნდა გარკვეულიყო წმიდა რელიკვიების შესაძლო ადგილსამყოფელის საკითხი, რაც უკავშირდებოდა ზოროასტრულ წარმოდგენას გვამის უწმინდურობის შესახებ (Mardirossian 2004: 455).
- 132 იქვე, 456.
- 133 იქვე, 457.
- 134 იქვე, 456. იხ. NN20 (ნერსესისა და ნერშაპუჰის კანონები).
- 135 Mardirossian 2004: 457. იხ. SP24 (საჰაკ პართევის კანონები).
- 136 Mardirossian 2004: 458–459. იხ. CA27.
- 137 Mardirossian 2004: 456–458.
- 138 ამ მინიშნებისთვის მადლობა მინდა ვუთხრა ირმა ყარაულაშვილს. სურენ მნაცაკანიანი მიიჩნევს, რომ ტაძარში დაკრძალვის აკრძალვა არანაირად არ მომდინარეობდა მონოფიზიტური სწავლებიდან და ფენომენი გამოწვეული იყო მთლიანად ადგილობრივი ვითარებით – წმინდა მოწამეთა პატივების გავრცელებითა და აღმსარებლობითი რიგის მოვლენებით. Мнацаканян 1980: 140.
- 139 Khatchatrian 1971: 29.
- 140 Shahinian 1997–1999: 72–83.
- 141 იხ. Мнацаканян 1980: 133–151.
- 142 Мapp 1907в; Strzygowski 1936: 66–69; Khachatrian 1971; Якобсон 1976: 192–206.
- 143 ამგვარი სამარხები II–III საუკუნიდან მოყოლებული, ხუთი ასწლეულის განმავლობაში იგებოდა ჩრდილოეთ სირიაში. იხ.: Butler 1904: 104–106.
- 144 **Մնացականյան Ս.** 1982: 58. სარქის შაჰინიანი თვლის, რომ ცნობა არ უნდა იქნას მიღებული უშუალო არქიტექტურულ აღწერილობად და მისი განზოგადება მთელ ადრეულ სამარხ არქიტექტურაზე მიზანშეწონილი არაა. იხ: Shahinian: 1997–1999, 80–81.
- 145 **Մնացականյան Ս.** 1982: 58.
- 146 Cuneo 1988: 210–211 (83); Мнацаканян 1980: 139; Donabedian 2008: 22, 203, ილ. 1–6.
- 147 Мнацаканян 1980: 139; Donabedian 2008: 22; Teteriatnikov 1984: 2:149; Shahinian 1997–1999: 72, 81.
- 148 Donabedian 2008: 203.
- 149 შესაბამისად, პ. დონაბედიანის მოსაზრებით, არ უკავშირდება სირიულ დასაკრძალავებს. Donabedian 2008: 25.
- 150 **Մնացականյան Ս.** 1980: 136, 148.
- 151 Cuneo 1988: 2 (3); Donabedian 2008: 25, 83, 105; **Մնացականյան Ս.** 1982:77.
- 152 Donabedian 2008: 25, (n. 7:5).
- 153 Cuneo 1988: 181 (62).
- 154 Cuneo 1988: 436–437 (237); Donabedian 2008: 25, (n. 7:7, 8).
- 155 **Մնացականյան Ս.** 1982: 95, n. XXIV; Мнацаканян 1976: 220–221; Donabedian 2008: 204–205, 397–398.
- 156 Мнацаканян 1976: 220.
- 157 რეკონსტრუქცია ეკუთვნის სურენ მნაცაკანიანს. იხ.: **Մնացականյան Ս.** 1982: 88, 5, n.XXIII; Donabedian 2008: 26.
- 158 ერერუქის ორსართულიანი ეკლესიის შესახებ ინფორმაცია და ფოტო მასალა მომწოდებ პატრიკ დონაბედიანმა, რისთვისაც მას მადლობას ვუხდით.
- 159 Maranci 2015: 18.
- 160 **Մնացականյան Ս.** 1982: 101, ილ. XXV; Donabedian 2008: 50–51, 203. ილ. 93; Hasratian 2010: 115.
- 161 მადლიერებით მინდა აღვნიშნო, რომ თალინის კრიპტიანი ტაძრის შესახებ ინფორმაცია და ფოტო მასალა მომწოდებ პატრიკ დონაბედიანმა.
- 162 Мнацаканян 1980: 187, ილ. 110.
- 163 იქვე, 182, ილ. 107.
- 164 Мнацаканян 1976: 221; Donabedian 2008: 2–3, ნახ. 7;

- ყარსელი მკვლევარისა და ფოტოხელოვანის, ვედატ აკჩაიოზის უკანასკნელ წლებში გამოცემული, ანისისადმი მიძღვნილი, ალბომები ნათლად აჩვენებს, რომ ქალაქის ქვეშ და ხევის გადაღმა არსებული გამოქვაბულები დიდწილად სწორედ დასაკრძალავ კომპლექსებს წარმოადგენდა. იხ.: Akcayoz 2016; Akcayoz 2018b.
- 165 Тонарский 1973: 51.
- 166 Teteriatnikov 1984: 143; Ousterhout 2017.
- 167 Кипшидзе 1972: 88–94, ილ. 37, ნახ. 37.
- 168 არმენ კაზარიანი ჰორომოსის ჟამატუნის გვირგვინს უფლის საფლავთან კონტექსტში განიხილავს. იხ. Kazaryan 2015: 152.
- 169 დამკვიდრებული მოსაზრება, რომ გავითი მხოლოდ საზოგადოების შესაკრებელი ადგილია ეკლესიის გარეთ, ხოლო ჟამატუნს ასევე სამარხი ფუნქცია აქვს, უარყო თავის მონოგრაფიაში ემმა ვარდანიანმა, რომელმაც დაასაბუთა, რომ ორივე ნაგებობას აქვს დასაკრძალავის დანიშნულება, ხოლო განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ გავითი უკვე არსებულ საფლავზე დაიდგა, ხოლო ჟამატუნის შემთხვევაში ჯერ შენობა აიგო, მოგვიანებით კი გარდაცვლილთა განსასვენებელად იქცა. იხ. Vardanyan 2015: 207–236.
- 170 უძველესი სომხური მონასტერი (დაარსებული 930–940 წწ) მდებარეობს ანისიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 4–5 კმ. დაშორებით. ჰორომოსის მონასტერი დაარსდა მეფე აბას ბაგრატუნის ზეობისას (929–953 წწ.) სომეხი ბერების მიერ, რომლებიც ბიზანტიიდან აღმსარებლობით დევნას გამოერიდნენ. თავდაპირველად იგი შედგებოდა მდ. ახურიანის ხეობაში შეჭრილ ქვედა ტერასაზე განთავსებული ეკლესიებისგან (უძველესია წმ. მინას ეკლესია და წმ. გიორგის ტაძარი, აგებული მეფე გაგიკ I-ის დროს). დროთა განმავლობაში მონასტერი გაძლიერდა და გაფართოვდა; გაშენდა ზედა ტერასა ეკლესიებითა და სხვადასხვა სამონასტრო ნაგებობებით, აგრეთვე დასაკრძალავებით. მონასტერი იყო ბაგრატუნების სამეფოს ყველაზე მნიშვნელოვანი სასულიერო ცენტრი და სამეფო დინასტიის სამარხი, რამაც თავისთავად მემორიალურ არქიტექტურას განსაკუთრებული მნიშვნელოვანება შესძინა. იხ. Vardanyan 2015.
- 171 Vardanyan 2015: 236.
- 172 Cuneo 1988: ტაბ. 736–741.
- 173 Мнацаканян 1980: 135–136.
- 174 პარალელურად დასახელებულია დულას მავზოლეუმი ტუნისში და გლანუმის მავზოლეუმი საფრანგეთში. იხ. Camps 1992: 2522–2527; Donabedian 2008: 25.
- 175 Schellewald 1984/1985: 171–218; Shahinian 1997–1999: 75.
- 176 Cuneo 1988: 164 (51).
- 177 Alpago-Novello, Ieni 1985: 52; Cuneo 1988: 390–393 (201).
- 178 Cuneo 1988: 128 (22).
- 179 Shahinian 1997–1999: 75; Cuneo et al. 1984: 89–91; რეკონსტრუქცია ეკუთვნის თოროს თორამანიანს.
- 180 **Մնացականյան Ստ.** 1960: 188–190.
- 181 ჰორომოსში საფლავზედა ნაგებობების ორსართულიანობა, სავარაუდოდ, სამონასტრო კომპლექსის აღმშენებლობის ხასიათით იყო განპირობებული – იქ თავდაპირველად იგებოდა დასაკრძალავი აკლდამები, რომლებზეც შემდგომ აღიმართა ეკლესიები. ასეთია, მაგალითად, რუზაკანის დასაკრძალავი და ბაგრატუნების აკლდამები (XIII ს.), რომლებიც 1038 წელს აგებული წმ. იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის ორსავე მხარეს მდებარეობდა (Vardanyan 2015: 168–183).
- 182 სურენ მნაცაკანიანის აზრით, სართულებად აღნაგი დასაკრძალავების გაჩენა და არსებობა-განვითარება საჰაკ პართევის კანონებს ეფუძნებოდა. მკვლევარი იგივე წინამძღვრებით ხსნის საქართველოში ორსართულიანი აკლდამიანი ეკლესიების არსებობას, ამასთანავე პარალელურად ავლებს ალცისა და მცხეთის წმ. ჯვრის ტაძრის დასაკრძალავებს შორის და მათ სიახლოვეს ხსნის იმით, რომ იმხანად საქართველოში, ისევე როგორც სომხეთში, წარმმართველი იყო მონოფიზიტობა – მანამდე, სანამ ქართლის ეკლესიამ VII საუკუნისთვის საბოლოოდ არ აირჩია დიოფიზიტური/მართლმადიდებლური აღმსარებლობა. კრიპტიანი ეკლესიების სიმწირეს ბიზანტიასა და სხვა მართლმადიდებლურ ქვეყნებში ავტორი იმავე წინაპირობებით ხსნის, რადგან მიცვალებულის ეკლესიაში დაკრძალვა იმხანად მიღებული იყო და არ არსებობდა ფუნქციური აუცილებლობა რაიმე სახის არქიტექტურული ფორმების ჩამოყალიბებისა (Мнацаканян 1980: 140–141). ადრექრისტიანული კავკასიის აღმსარებლობითი სურათის ამგვარი, ერთმნიშვნელოვანი გააზრება მართებული არ ჩანს და მრავალ საკამათო საკითხს წამოჭრის.
- 183 Cuneo 1988: 682–683, 787 (437).
- 184 Thierry J.-M., Donabedian 1987: ill. 49.
- 185 Cuneo 1988: 652 (119).
- 186 Kazaryan 2015: 105.
- 187 Thierry J.-M., Donabedian 1987: ill. 55.
- 188 Cuneo 1988: 787 (424).
- 189 Mapp 1934: 54, ილ. 55.
- 190 Cuneo 1988: 656–657 (423).
- 191 იქვე, 146–147 (39).
- 192 იქვე, 787 (45).
- 193 იქვე, 788 (112).
- 194 Cuneo 1988: 792 (158).
- 195 ბერიძე ვ. 2014, I: 265; ბერიძე 2014, II: 91–95, ილ. 245–246.
- 196 Djobadze 1992: ill. 272.
- 197 ბერიძე ვ. 2014, I: 270; ზაქარაია 1990: 15, ილ. I–V.
- 198 ზაქარაია 1990: 15.

- ¹⁹⁹ ჩუბინაშვილი 1936: სურ. 158; ელიზბარაშვილი და სხვ. 2012: 85-87.
- ²⁰⁰ ელიზბარაშვილი და სხვ. 2012: 112-113.
- ²⁰¹ ბერიძე ვ. 2014, I: 291-292; ბერიძე ვ. 2014, II: ილ. 392.
- ²⁰² მაგალითად ზემო სვანეთში – ლაშთხვერის, ფხოტრერის და ფუზდის ეკლესიებზე (პატაშური 2009: 48, 53). სწორკუთხა მოხარჩობის გამოყენების ყველაზე ადრეულ მაგალითად და, როგორც ჩანს, ამის გამო გარკვეულ სახესხვაობად შეიძლება ჩაითვალოს გურჯაანის „ყველაწმინდა“ კახეთში, სადაც აღმოსავლეთი ფასადის შუა სარკმლის ზედა ნახევარს სწორკუთხა, მასიური ჩარჩო ედგმის – სწორედ მას აგრძელებს ფასადის ზედა ნაწილის მამკობი დეკორი. იხ. ბერიძე ვ. 2014, II: ილ. 146.
- ²⁰³ 840-861 წწ. დათარიღება კალისტრატე ცინცაძის მიხედვით. იხ. ნარიმანიშვილი, შანშიაშვილი, კვაჭაძე 2018: 127, 335, 442 ილ. XI, 5.
- ²⁰⁴ სამხრეთ ფასადზე მოთავსებულ წარწერაზე იკითხება „ქრისტე ადიდე ბაგრატი და მარიამ დედოფალი“. რადგან ბაგრატი მეფედ არ მოიხსენიება, შესაძლოა ეკლესია მის გამეფებამდე, 1027 წლამდე იყოს აშენებული, იხ. გვერდწითელი 1947: 237-250; ბერიძე ვ. 2014, II: 56.
- ²⁰⁵ ბერძენიშვილი და სხვ. 2000: ილ. 278.
- ²⁰⁶ ელიზბარაშვილი და სხვ. 2012: 91; ბერიძე ვ. 2014, II: 274.
- ²⁰⁷ ნარიმანიშვილი, შანშიაშვილი, კვაჭაძე 2018: 121-122, 334, 441, ილ. IV.
- ²⁰⁸ ბერძენიშვილი ნ. 1964: 258. ნარიმანიშვილი, შანშიაშვილი, კვაჭაძე 2018: 267-268, 386, 500, ილ. CCCVIII.
- ²⁰⁹ ეკლესიის აგების სავარაუდო პერიოდი არ არის დაზუსტებული. წარწერა თარიღდება XII-XIII სს-ით. იხ.: ნარიმანიშვილი, შანშიაშვილი, კვაჭაძე 2018: 160, 346, 456, ილ. CXXV.
- ²¹⁰ ბერძენიშვილი და სხვ. 2000: ილ. 34; ნარიმანიშვილი, შანშიაშვილი, კვაჭაძე 2018: 257, 258, 384, 498, ილ. CCLXXXVIII, 2.
- ²¹¹ ქსე IV: 510; შუბითიძე 2012: 35; მუსხელიშვილი 1941: 75-76.
- ²¹² Беридзе 1976: 45, рис. 34-35.
- ²¹³ ბერიძე ვ. 2014, I: 295; ბერიძე ვ. 2014, II: 214, 151, ილ. 288.
- ²¹⁴ ბერიძე ვ. 2014, I: 39-40. ილ. 362.
- ²¹⁵ ვაჩიშვილი 2004: 18-19.
- ²¹⁶ Cuneo 1988: 206-209 (82).
- ²¹⁷ Donabedian 2016: 60-61.
